АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

Н. А. ДЖАВАХИШВИЛИ

СОЧИНЕНИЯ В ДВЕНАДЦАТИ ТОМАХ

ТОМ XII

1998 · ТБИЛИСИ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი

თხზულებანი თორმეტ ტომად

ტომი XII

თბილისი · 1998

~~9 (c 41)~~
9 (47. 922)+90(47.922) ÷ 9(47922:47)
ჯ 145

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (მთავარი რედაქტორი), ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ვ. ბ ე რ ი ძ ე, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, † ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის
მდივანი მ. ი ნ ა ს ა რ ი ძ ე

XII ტომში დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებიც ძირითადად დაწერილია მეცნიერის შემოქმედების პირველ პერიოდში—1898—1912 წლებში.

ტომის რედაქტორი რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

0505040000
ჯ ―――――――
608(06)98

ISBN 5—511—00901—6

ტომის რედაქტორისაგან

XII ტომში იბეჭდება ის ნაშრომები, რომლებიც ძირითადად შექმნილია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

მეცნიერის კვლევა-ძიების მასშტაბი ფართო, მრავალსაგნიანი იყო; წინამდებარე ტომში ქვეყნდება „საქართველოს ეკონომიური ისტორია" (1907 წ. გამოცემა), რომელიც არსებითად განსხვავდება 1930—1935 წწ. გამოცემული „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" ორტომეულისაგან (ამ უკანასკნელს ივ. ჯავახიშვილის თორმეტტომეულში ორი წიგნი ეთმობა).

აქვე ქვეყნდება ივ. ჯავახიშვილის ნარკვევები: „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება", „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია", „მამულიშვილობა და მეცნიერება", „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა", დაწერილი ენციკლოპედიისათვის 1912 წ., და სხვ. სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით XII ტომში შეტანილია ივანე ჯავახიშვილის ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში", „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში", „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში" და „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული".

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები ამ ტომშიაც იბეჭდება უცვლელად. უარყოფილია ზედმეტი ჩარევა ტექსტებში. ავტორის ენა და სტილი დაცულია. სწორდება მხოლოდ უნებლიე შეცდომები, საჭიროების მიხედვით ზუსტდება წყაროებისა და ლიტერატურის დასახელება; ტომს ერთვის წყაროთა დასახელებაში დაშვებულ შემოკლებათა განმარტება და კომენტარები, რომელთა შედარებითი სიუხვე ნაკარნახევია მოცემულ ნაშრომთა მრავალსაგნოვანი თემატიკით.

წინამდებარე ტომში შესული ნაშრომები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, 80—90 წლის წინათ გამოქვეყნდა და მხოლოდ ახლა ხორციელდება მათი ხელმეორედ გამოცემა.

დიდი ისტორიკოსის ადრინდელმა ნაშრომებმა XX ს. დამდეგს სრულიად ახალი ეტაპი შექმნეს ქართული საისტორიო აზრის განვითარებაში. დღესაც უდავოა მათი მეცნიერული ღირსება და საპატიო ადგილი ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში. ტომის მნიშვნელოვანი ნაწილი ოცი

წლის წინათ იყო რედაქტირებული და გამოსაცემად მომზადებული პროფესორ მამია დუმბაძის მიერ. სამწუხაროდ, გამოცემა გაჭიანურდა. ტომის სტრუქტურა შეიცვალა, დაემატა რიგი თხზულებებისა და საჭირო გახდა ხელახალი რედაქტირება, რაც სარედაქციო კოლეგიის დავალებით ჩვენ შევასრულეთ. აუცილებლად მივიჩნიეთ დაგვეტოვებინა მ. დუმბაძის შესავალი წერილი „ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა 1898—1912 წლებში", რომელშიც დროისა (წერილი 1978 წ. დაიწერა) და ვითარების აუცილებლობით გამოწვეული მცირე ცვლილებები შევიტანეთ. ასევე დავტოვეთ მისი შეხედულებისამებრ შეტანილი ზოგიერთი ორთოგრაფიული სწორება.

რონ მეტრეველი

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა 1898—1912 წლებში

ივ. ჯავახიშვილის ადრინდელ შემოქმედებაზე მძლავრი გავლენა იქონია თანადროული ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურმა პრობლემებმა, მეტ-ნაკლები განსხვავებით რომ იჩენდნენ თავს, ერთი მხრივ, მშობლიურ საქართველოში, სადაც იგი აღიზარდა, ხოლო, მეორე მხრივ, პეტერბურგსა და მის უნივერსიტეტში, სადაც მან მეცნიერული ნათლობა მიიღო.

რუსეთისა და საქართველოს ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი იყო XIX—XX სს. მიჯნა. XIX ს. მიწურულში, როცა ივ. ჯავახიშვილი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, თვითმპყრობელური რეაქცია არნახული ძალმომრეობით უტევდა ქართულ კულტურას, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება მოსდევდა.

გიგანტური იმპერიის პოლიტიკურ ცენტრში, პეტერბურგში ჩასულ ჭაბუკს თან ჩაჰყვა სევდიანი ფიქრები კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ სამშობლოზე. მას ხომ გულით უნდოდა, რომ თავისი ქვეყნის აღორძინებული სახელმწიფოებრიობა და ცხოვრების მაღალი დონე ეხილა.

ახალგაზრდა ივანეს იმდროინდელ შემოქმედებას ნათლად ეტყობოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი თაოსნის ილია ჭავჭავაძის იდეური გავლენა. მშობლიური ისტორიის ცოდნა და მისი მეცნიერული შესწავლა, ილიას აზრით, წარმოადგენდა ძვირფას იარაღს ამა თუ იმ ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის შემთანხმებლური წრეებისაგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილი უფრო აქტიური ბრძოლის მომხრე იყო და აშკარად კიცხავდა მათ, ვინც ცარიზმთან მორიგების გზით ფიქრობდა ეროვნული ინტერესების დაცვას. მაგრამ იმ დროისთვის ბრძოლის აქტიური პოზიციებისადმი ერთგულება ივანესთან განსხვავდებოდა ახალი ეპოქის მიერ შობილი რევოლუციურ-პროლეტარული იდეოლოგიისაგან: ქართულ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან მაშინ მას აახლოვებდა ეროვნული თავისუფლების იდეა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის მოთხოვნათა რეალიზაციის სურვილები; იგი ობიექტურად ესიტყვებოდა რუსეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილთა პროგრესულ ბრძოლას დიდი სოციალური გარდაქმნებისა და ჩაგრული კლასების განთავისუფლებისათვის.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ჩაყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამსახურში ივ. ჯავახიშვილს გაცილებით ფართო და პერსპექტიული მნიშვნელობით ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე XIX ს. ქართველ რომანტიკოსებსა და კულტურის ზოგიერთ მოღვაწეს, რომელიც მზარდი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით,

მეცნიერება მხოლოდ პირუთვნელი, ობიექტური კვლევის პოზიციებიდან შეუწყობდა ხელს ეროვნულ ბრძოლას. ერის ისტორიაში თანაბრად უნდა გამოკვლეულიყო არა მარტო წარმატების მაჩვენებელი მოვლენები, არამედ ისიც, რაც მის წინსვლას აფერხებდა, განაპირობებდა მის ჩამორჩენას, მიუთითებდა ნაკლოვან მხარეებზე. ამის გარეშე ისტორია „ერის წვრთნის" ამოცანას ვერ შეასრულებდა.

1904 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში — „მამულიშვილობა და მეცნიერება" ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ისტორიული მეცნიერებისა და ეროვნული მოძრაობის ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. იგი გადაჭრით უარყოფდა საქართველოს ისტორიული წარსულის იდეალიზაციის ტენდენციას, მისი აზრით, „მამულიშვილი" ანუ სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი ის კი არ იყო, ვინც გაზვიადებით აშუქებდა მშობლიური ქვეყნის წარსულს, არამედ ის, ვინც მას მიუდგომლად სწავლობდა, აწმყოს უკეთესი წარმართვის მიზნით უყურებდა ისტორიას, რომ კონკრეტული ეპოქისათვის შესაბამისი დასკვნები გამოეტანა და აქტიური ბრძოლა გაეჩაღებინა. თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლის უფლება ჰქონდა ყველა ხალხს, განურჩევლად მისი ისტორიული წარსულისა. რომელიმე დაპყრობილი ხალხის წარსული ბრწყინვალეც რომ ყოფილიყო, ამ „სილამაზის" გულისთვის დამოუკიდებლობას არავის არ მისცემდნენ. ამდენად, წარსულის გაზვიადება, მისი შეფერადებულად წარმოდგენა და, ამასთან ერთად, პეტიციების წერა პრივილეგიების მოსაპოვებლად, ავნებდა არა მარტო მეცნიერებას, არამედ ადუნებდა აქტიური ბრძოლის უნარიანობას.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ საკუთარი ერის ისტორიის ხელოვნური გაზვიადება თავისთავად იწვევდა სხვა ერების ისტორიის დამცირებას. მეცნიერი ემიჯნებოდა „ეროვნული განსაკუთრებულობის" მაძიებელს, რომელიც ნაციონალისტურ ტენდენციებს ამჟღავნებდა და ერთა შორის სოლიდარობისადმი პატივისცემას ქადაგებდა. ამავე დროს მეცნიერი არანაკლები ძალით ებრძოდა ქართული კულტურის მაგინებლებს ველიკორუსული შოვინიზმისბანაკიდან და საქართველოს შიგნით მყოფ ნიჰილისტებს, ხშირად აბუჩად რომ იგდებდნენ მშობლიურ წარსულს.

ჯერ კიდევ 1902 წ. გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი აღმოსავლეთის ხალხებზე მაშინ გავრცელებული ოდიოზური წარმოდგენის წინააღმდეგ. საქართველოსა და სომხეთის კონკრეტულ მაგალითებზე იგი ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთშიაც ადგილი ჰქონდა კულტურისა და იდეოლოგიის უწყვეტ განვითარებას და ეპოქის შესაბამის ცვლილებათა ანარეკლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ მისთვის უცხო არ იყო კლასობრივი ბრძოლა და სოციალური გარდაქმნები.

საკაცობრიო და ჰუმანისტური იდეალების მაჩვენებელი იყო, აგრეთვე, ახალგაზრდა მეცნიერის დამოკიდებულება კულტურულ მიღწევათა სესხება-გაზიარებისადმი. მისი აზრით, ამაში სათაკილო არაფერი ყოფილა, პირიქით, კულტურის მიღწევათა გაზიარება ხალხის მაღალი ინტელექტის მაჩვენებელი იქნებოდა, რადგანაც მაღალ დონეს იგი ვერ გაუტოლდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი „სულიერი განწყობილება ამისთვის მომზადებული არ იქნებოდა".

არსებული სინამდვილისადმი კრიტიკულად განწყობილი ივ. ჯავახიშვილი გულმხურვალედ ეხმაურებოდა დიდმნიშვნელოვან მოვლენებს იმპერიალიზმის ეპოქის რუსეთში.

1905 წ. რევოლუციის დასაწყისში, პეტერბურგში, 9 იანვრის ამბებიდან 10 დღის შემდეგ, გაზეთ „ნაში დნის" ფურცლებზე გამოქვეყნდა 342 მეცნიერის პრო-

ტესტი თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ „პოლიციური პოლიტიკის" აღმოფხვრას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, თავისუფალი აზრისადმი პატივისცემას, „ძირეულ გარდაქმნებს".

„342"-ის განცხადებას 24 იანვარს შეუერთდა „პრივატ-დოცენტი" ივ. ჯავახიშვილი, ხოლო მეორე დღესვე მან თავისი მასწავლებლის ნ. მარის მრისხანებით სავსე წერილი მიიღო. ნ. მარი გამოხატავდა ე. წ. „აკადემიზმის" მიმდევართა შეხედულებას, რომ მეცნიერი პოლიტიკაში არ უნდა ჩარეულიყო; ასეთი რამ „აკადემიურ თავისუფლებას" ზიანს მიაყენებდა. ნ. მარმა თავისი მოწაფის აღნიშნული გამოსვლა მასთან განხეთქილების საფუძვლად მიიჩნია.

თავის პასუხში ნ. მარისადმი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მეცნიერული თანამშრომლობისათვის არ იყო სავალდებულო ორივე მხარის „პოლიტიკური და მორალური მრწამსის ნიველირება", რომ თვითმპყრობელობის პოლიტიკის მხილება ვერაფრით ვერ დაემუქრებოდა „აკადემიურ თავისუფლებას", რომელიც მაშინ არ არსებობდა. ივ. ჯავახიშვილი დასძენდა, რომ ქვეყნისათვის საჭირო „გარდაქმნების" სურვილთა გამოაშკარავება „ყოველი მოქალაქის მოვალეობად მიაჩნდა".[1]

1905 წ. რევოლუციური მოძრაობის დღეებში პეტერბურგსა და თბილისში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის ორი წიგნი — „Государственный строй древней Грузии и Армении" და „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია". ამ წიგნებს, თვალსაჩინო მეცნიერული ღირსების გარდა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ავტორი ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის პოზიციებიდან გამოეხმაურა რევოლუციას. იგი ამტკიცებდა, რომ ქართველ და სომეხ ხალხებს უძველესი ხანიდანვე ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა. საქართველოში მეფის ხელისუფლების ძიება მაშინ აქტუალურად ჟღერდა. ისეთი ფაქტის გამომზეურება, როგორიც იყო, მაგალითად, თამარის დროს მეფის ხელისუფლების შეზღუდვისათვის მიმდინარე ბრძოლა, გამოხატავდა ავტორის გარკვეულ ტენდენციას, მიმართულს თვითმპყრობელური ძალაუფლების წინააღმდეგ.

განსაკუთრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის ნარკვევს «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в." ეს ნაშრომიც რევოლუციის წლებში გამოქვეყნდა, 1906 წ. პეტერბურგში. მეცნიერი რევოლუციას „ხალხის დიადი მოძრაობის" სახელითაც იხსენიებდა და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სწორად რომ ხსნიდა მის გამომწვევ მიზეზებს. ეს მიზეზები, მისი შენიშვნით, XIX ს. 60—70-იანი წლების რეფორმებიდან იღებდა სათავეს და ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკიდან მომდინარეობდა.

ავტორი ასაბუთებდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობამ ფართო მასებში ყოველგვარი ნდობა და ავტორიტეტი დიდი ხანია დაკარგა, საერთოდ, კერძოდ კი მის მიერ დამონებულ ქვეყნებში, რომ თვითმპყრობელობის ძირმომპალ საფუძვლებს ახლა ვერაფერი ვერ უშველიდა. ასეთი დასკვნა „გაეპარა" ოფიციალურ ცენზურას, მაგრამ მისი ავტორი რეპრესიებს მაინც ვერ გადაურჩა.

აღნიშნული წიგნით ივ. ჯავახიშვილმა ნათელყო თავისი იდეური სიახლოვე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „რევოლუციურ პარტიებთან", რომელთაც მთავრობა ბრალს სდებდა, ხალხის თვალში სახელი გაგვიტეხაო. ივანე კი ასაბუთებდა, რომ მთავრობამ საქართველოში თავისი საუკუნოვანი პოლიტიკის შედეგად უნდობ-

———

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1453 და 1966.

ლობა დაიმსახურა და მისი სახელის წახდენაში რევოლუციურ პარტიებს არავითარი ბრალი არ ჰქონიათ.

ყველა ერის პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების იდეა ივ. ჯავახიშვილს აახლოვებდა, ერთი მხრივ, კლასიკური ხანის ბურჟუაზიის ჰუმანიზმთან, მეორე მხრივ კი (იმდენად, რამდენადაც ექსპლუატაციის ყოველგვარ ფორმათა წინააღმდეგი იყო) მშრომელი მასების ჰუმანიზმთან და რევოლუციურ-პროლეტარულ იდეოლოგიასთანაც.

ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებდა, რომ XIX ს. საქართველოს პოლიტიკური მოძრაობის უმთავრესი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, ხოლო მისი წარუმატებლობა აიხსნებოდა სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობით ფეოდალებსა და გლეხებს შორის.

იმავე 1906 წ. ივ. ჯავახიშვილი ბეჭდავს საინტერესო ნარკვევს — „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში", რომელიც მან რამდენადმე დაზუსტებული სახით გამოაქვეყნა თავის „ქართული სამართლის ისტორიაში" (1929 წ.). ავტორი, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა ისტორიული მაგალითების გამომზეურებით ებრძოლა კლასობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფესვგამდგარი ექსპლუატატორული და ბატონყაცური მორალის წინააღმდეგ, რაც ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივ-პროგრესული მოძრაობის წარმატებას. „წინანდელი აზროვნების რყევის" პერიოდი, მისი აზრით, XIX ს. 90-იან წლებში დაიწყო; მას აქეთ გრძელდებოდა „ხალხის დიადი მოძრაობა". ამ დროს კი ახალ თაობას იმ ძველი მორალური სკოლიდან შეეძლო აეღო ის, რაც დროის მოთხოვნებს შეეფერებოდა.

ივანე ჯავახიშვილი იკვლევდა ადამიანის პრობლემას. მან ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს დაწერა ნაშრომი — „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში". იგი გამოქვეყნდა მეცნიერის გარდაცვალებიდან 16 წლის შემდეგ — 1956 წელს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები. რედაქტორები ი. აბულაძე და ა. ბარამიძე). პირველი ვარიანტი ავტორს უნდა შეედგინა ჯერ კიდევ 1905 წელს. ამის შესახებ თვით ავტორი აცნობებდა მკითხველებს იმავე წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში — საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. წერილის თავდაპირველი სათაურია „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში". ასეთივე დასახელება ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წ. 30 იანვარს ახლად გახსნილ უნივერსიტეტში წაკითხულ პირველ ლექციას.

ნარკვევში ავტორი გადმოგვცემს ადამიანის ბუნებისა და არსებობის შესახებ იმ შეხედულებებს, რომლებიც მანვე გამოავლინა ქართულად ნათარგმნ ძველ ლიტერატურაში. კრიტიკული აქცენტით არ ამახვილებს თავის ნარკვევს, მაგრამ ეს კრიტიკა მაინც ვლინდება არსებული მასალების შერჩევაში. ავტორი რეალისტური პოზიციებიდან მიჟრავს თეოლოგიურ წარმოდგენებს ადამიანის ბუნებაზე, მისგან გამოაქვს მხოლოდ ის, რაც, შეიძლება ითქვას, არსებითად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ წარმოდგენებს ღვთაებრივი სულის როლის შესახებ. მაგალითად, მას წინა პლანზე მოაქვს გრიგოლ ნოსელის სიტყვები: „არს კაცი ჴური თჳთ მოძრავი სულითა, კელმწიფე ნებასა თჳსსა" და განმარტავს: „ამგვარად, ადამიანი სულდგმული, მოძრავი, თავისუფალი არსებააო".

ასე ყალიბდებოდა და ფრთებს ისხამდა ივ. ჯავახიშვილის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, მშრომელი მასებისა და მათი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი პატივისცემა, ლტოლვა სიახლისაკენ, ერების თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობისაკენ. ყოველივე ეს თავს იჩენდა მის უმდიდრეს შემოქმედებაში, საქართველოს ისტორიის ძირეულ პრობლემათა შესწავლას რომ მიეძღვნა.

• • •

ივ. ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი ისტორიკოსი და ფილოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა.

პეტერბურგი მაშინ სახელგანთქმულ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა დედაბუდეს წარმოადგენდა. ახალგაზრდა ივანე სწავლობდა და იზრდებოდა ისეთ სახელმოხვეჭილ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა წრეში, როგორიც იყვნენ ნ. მ ა რ ი, ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, ვ. რ ო ზ ე ნ ი, ს. პ ლ ა ტ ო ნ ო ვ ი და სხვ. მათ მეცნიერულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა არა მარტო იმ დროის საისტორიო და საენათმეცნიერო აზრის განვითარებაზე, არამედ რევოლუციის შემდგომი პერიოდის მეცნიერთა შემოქმედებაზეც.

ივ. ჯავახიშვილის სახელოვანი მასწავლებელი ვ. როზენი (1849—1908), მართალია, უმთავრესად იდეალისტური აზროვნებისა იყო, მაგრამ ზოგჯერ მატერიალური საფუძვლებით ხსნიდა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის ისტორიის საკითხებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის გამოსვლებს ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ. ამ საკითხში ივ. ჯავახიშვილი თავის მასწავლებელს ემხრობოდა. ასევე კეთილისმყოფელი უნდა ყოფილიყო ცნობილი რუსი ისტორიკოსის პლატონოვის ლექციათა როლი ივანეს შემოქმედებაში. პლატონოვი მას რუსეთის ისტორიის კურსს უკითხავდა. მისი კვლევა-ძიების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორია რუსეთში.

საკმაოდ მრავალგვარი იყო ე. წ. „მიმართულებანი" იმპერიალიზმის ეპოქის რუსულ ისტორიოგრაფიაში. მეტ-ნაკლებად გავრცელებულ „სკოლათა" შორის დავასახელებთ „კრიტიკულ მიმართულებას", „აკადემიურ სკოლას", სოციალურ-ეკონომიურ მიმართულებას, „სახელმწიფო (იურიდიულ) სკოლას" და სხვ.

კრიტიკული სკოლის წარმომადგენლები სამართლიანად აკრიტიკებდნენ პოზიტივისტ-ისტორიკოსებს, რომელთაც ახასიათებდათ სქემატიზმი და ევოლუციონიზმი, გვერდს უვლიდნენ ბევრ წყაროსა და ფაქტს, აუბრალოებდნენ ისტორიას[1]. სინამდვილეში კრიტიკული სკოლის წარმომადგენლებმაც კი ბევრი რამ დაღებითი შეითვისეს პოზიტივისტებისაგან.

რაც შეეხება ე. წ. „სახელმწიფო სკოლის" წარმომადგენლებს, ისინი აშკარად იდეალისტური მიდგომით ხსნიდნენ მოვლენებს; მხოლოდ იდეურ სამყაროში ეძებდნენ საზოგადოებრივი აზრის წყაროს და გვერდს უვლიდნენ სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებს. აქედან მომდინარეობდა მათ მიერ სახელმწიფოს როლის იდეალიზაცია.

---

[1] О. Л. В а й н ш т е й н. Историография средних веков. М.—Л., 1940, гл. 13; Е. В. Г у т н о в а, Критическое направление (СИЭ, 8, 161—162).

„აკადემიური მიმართულების" მეცნიერთა მძლავრი ჯგუფი მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც ივ. ჯავახიშვილი სწავლობდა. ამ ჯგუფს ახასიათებდა ძველი ეპოქის შესწავლისადმი მიდრეკილება, მოწყვეტა თანამედროვეობის საკითხებიდან, კვლევის ისტორიულ-ფილოლოგიური კურსი, რელიგიურ-ფილოსოფიური თემატიკით გატაცება და სხვა. სწავლულ აღმოსავლეთმცოდნეებს ბურჟუაზიული იდეოლოგია არიგებდა არსებულ სინამდვილესთან [1]. მათი მეთოდი და საკვლევი ამოცანები უმთავრესად განისაზღვრებოდა აღმოსავლური წყაროების დაგროვებასა და კრიტიკულ შესწავლაში. დაიწერა აგრეთვე განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომებიც. ბევრი მათგანის სამეცნიერო ასპარეზი თვალსაჩინოდ გაფართოვდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ასეთები იყვნენ აკად. ვ. ბარტოლდი, აკად. ი. კრაჩკოვსკი, ა. ბარანიკოვი, აკად. ვ. გორდლევსკი და სხვ. ივ. ჯავახიშვილმა ბევრი რამ დადებითი შეითვისა აღნიშნული სკოლიდან.

XIX—XX სს. მიჯნაზე და მის შემდეგაც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში რუსეთის საისტორიო მეცნიერების განვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონიეს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ნ. კარეევმა და ნ. პავლოვ-სილვანსკიმ.

ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგში აღნიშნული იდეური ბრძოლის გარემოცვაში იყო. მისი განსაკუთრებული ნიჭისა და ორიგინალობის მაჩვენებელი იყო ის, რომ იგი ზემოაღნიშნულ მიმდინარეობათა, და მით უფრო რეაქციულ-იდეალისტურ შეხედულებათა, მიმბაძველი არ ყოფილა. „პეტერბურგის სკოლიდან" და „კრიტიკული მიმართულებისაგან" მან შეითვისა ღრმა აკადემიზმი, დიდი ობიექტურობა და მეცნიერული კრიტიკის მაღალი დონე.

XIX—XX სს. მიჯნაზე ევროპისა და რუსეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანელი მეცნიერის ერნსტ ბერნჰაიმის წიგნი ისტორიის მეთოდოლოგიისა და ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე[2]. ამ ნაშრომს XX ს. რევოლუციამდელ პერიოდში ისტორიული მეთოდოლოგიის „კლასიკურ წიგნად" მიიჩნევდნენ. დიდად აფასებდა მის ნაშრომს ივ. ჯავახიშვილი. ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ იგი ბერნჰაიმის იდეალისტურ მსოფლმხედველობას იზიარებდა.

ე. ბერნჰაიმმა მართლაც გარკვეული ნაბიჯები გადადგა წინ საისტორიო მეცნიერების მეთოდოლოგიის დამუშავების დარგში. მისი ნაშრომი ძველი მემკვიდრეობის თავისებურ კრიტიკულ გააზრებას ემყარებოდა.

ე. ბერნჰაიმის აზრით, ისტორია ღრმამეცნიერული დისციპლინაა, რომელიც ისტორიულ-ფილოსოფიური ანალიზის გარეშე არ არსებობს. „მეცნიერებას" ვერ შევარქმევთ ფაქტების, ამბების, ბიოგრაფიების ცოდნას თუ თანამიმდევრულ აღწერილობას, სადაც მოთხრობა გარეგნული მთლიანობის სახითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი; ისტორიის ფილოსოფიის მთავარი ამოცანაა „ისტორიული სინთეზის" პრობლემა.

ისტორიის გამართვა ბერნჰაიმთან გულისხმობს მოვლენათა შესწავლას ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივ კავშირში, უწყვეტი განვითარების პროცესში. ალია-

———

[1] История ист. науки в СССР, т. III, с. 537—538.

[2] Ernst Bernheim. Lehrbuch der Historischen Methode und der Geschitsphilosophie. Leipzig, 1889.

რებდა განვითარების მხოლოდ ევოლუციურ ხასიათს. კაცობრიობის დღევანდელ დღეს მიიჩნევდა „შედეგად განვითარებისა მის შინაგან და გარეშე მიზეზებთან ერთობლივ კავშირში"; კაცობრიობის ისტორია მასთან გააზრებული იყო როგორც ერთიანი პროცესი, რომლის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გზით ხდება.

ე. ბერნჰაიმი ალიარებდა „ღვთაებრივ" ძალას, როგორც პირველ მიზეზს სამყაროს წარმოქმნაში, მაგრამ მერმინდელი პროცესების ახსნაში მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიმდევარი იყო. აკრიტიკებდა მარქსისტულ მოძღვრებას, რომელიც მას „ეკონომიურ მატერიალიზმამდე" დაჰყავდა.

სამყაროს შეცნობა „ბუნებრივ მიზეზებთან ერთიანობასა და მათ ზემოქმედებაში", ისევე როგორც ეკონომიკური ფაქტორის და მასების როლის წამოწევა ისტორიაში, წინაალმდეგ ძველი შეხედულებებისა, როცა უპირატეს ყურადღებას უთმობდნენ განთქმულ პიროვნებებსა და პოლიტიკურ მოვლენებს, ე. ბერნჰაიმს მატერიალისტური მსოფლმხედველობის სიახლედ მიაჩნდა.

ივ. ჯავახიშვილს ე. ბერნჰაიმთან აახლოებდა განვითარების ევოლუციური გაგება, ისტორიის გამართვაში ფილოსოფიური სინთეზის აუცილებლობა, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, როგორც განვითარების კანონთა დადგენის საშუალება, უპირატესად მატერიალისტური თვალსაზრისი მოვლენათა ახსნაში და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის ისტორიის მეთოდოლოგიაზე გარკვეული გავლენა ჰქონდა პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას. ამ გავლენისაგან თავისუფალი არ იყვნენ არც იმპერიალიზმის ეპოქის დიდი რუსი ისტორიკოსები და არც ე. ბერნჰაიმი.

პოზიტივისტურ მიმდინარეობაში მთავარი მაინც ის იყო, რომ მას საისტორიო მეცნიერება ობიექტურ-რეალურ საწყისებზე გადაჰყავდა. იგი ალიარებდა კანონზომიერებას ისტორიულ განვითარებაში და სცნობდა ამ განვითარების პროგრესულ ხასიათს. საზოგადოებრივი წინსვლა, პოზიტივისტების აზრით, ხდებოდა ევოლუციური ცვალებადობის გზით მარტივიდან რთულისაკენ. მათი იდეური მიმართულება დუალისტური იყო; ფიქრობდნენ, რომ ისტორიულ პროცესზე ერთნაირი ზემოქმედება ჰქონდათ მატერიალურ და სულიერ ფაქტორებს; უარყოფდნენ კლასობრივი ბრძოლის გადამწყვეტ როლს ისტორიაში და სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას, ისტორიულ მეცნიერებას აახლოებდნენ ბუნებისმეტყველებასთან.

პოზიტივიზმმა ყურადღების ცენტრში დააყენა ფართო მასები, ძირითადად სწორად შეაფასა პიროვნებათა როლი ისტორიაში, დაამუშავა ისტორიული კვლევის მეთოდები, ხელი შეუწყო ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ფართო შესწავლას, რასაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამრიგად, პოზიტივისტურმა ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ გარკვეული პროგრესული როლი შეასრულა [1].

ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება აღნიშნული ეპოქის საისტორიო მეთოდოლოგიური მიმართულებებისადმი რამდენადმე ჩანს მის ნაშრომებში გაბნეულ ფრაგმენტულ შენიშვნებსა და ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ავტორისეულ გაშუქებაში.

---

[1] იხ. Е. В. Гутнова, Место и значение буржуазной позитивистской историографии второй половины XIX в. в развитии исторической науки (по материалам медиевистики), в сб. «Средние века», в. 25, Москва, 1964; მისივე, „პოზიტივიზმი" (СИЭ, 11, 249—250).

ისტორიული სინთეზის პრობლემა ივ. ჯავახიშვილს ფართო მასშტაბით ჰქონდა წარმოდგენილი და მის ცალკეულ შენიშვნებში (1902, 1904 წწ.) ხშირად „ისტორიის ფილოსოფიაში" თავსდებოდა. ავტორი გულისხმობდა ისტორიის განხილვას ზოგად-თეორიულ ასპექტში. ასეთი თეორიის შემუშავება, მისი აზრით, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო, როცა საბოლოოდ იქნებოდა შესწავლილი კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები არა მარტო ცალკეული ქვეყნების არეალში, არამედ, საერთოდ, აღმოსავლური თუ დასავლური სამყაროს მიმართ; საქართველოს წარსული უნდა გააზრებულიყო მსოფლიო ისტორიული პროცესების ფონზე; აქ მიმდინარე მოვლენები მიჩნეული იყო ზოგადისტორიული პროცესის ლოკალურ გამოვლინებად, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელ თავისებურებას. ბოლოს და ბოლოს მეცნიერი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ საქართველოს ისტორია ისტორიულ-ფილოსოფიური განზოგადების სახით უნდა დაწერილიყო და მისი „უზენაესი მიზანიც" ამაში გამოიხატებოდა.

როგორც ჩანს, აღნიშნული მიზეზით იყო ნაკარნახევი ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილი უკვე 1904—1905 წლებიდანვე ფართო პრობლემატიკას შეეჭიდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი სამაგისტრო ნაშრომი „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება", შემთხვევითი არ იყო, რომ ნ. მარმა ნაშრომის დაცვის დროს ერთ „რბილ" შენიშვნად ავტორს „თეორიით გატაცება" წაუყენა და, სხვათა შორის, არქეოლოგიური ფაქტების უგულებელყოფაც.

მართალია, იმ ეტაპზეც ივ. ჯავახიშვილი შეუძლებლად მიიჩნევდა განმაზოგადებელი ნარკვევების წერას, რადგანაც ფაქტობრივი მასალების გამოვლენისა და მათი კრიტიკული შესწავლის საქმე მაშინ მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც მოკიდა ხელი სინთეზურ სამუშაოს, რაც, ჩვენი აზრით, „ისტორიის ფილოსოფიაზე" ზრუნვის ერთ-ერთი მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. ამის მაგალითია არა მარტო აღნიშნული ნაშრომი, არამედ „საქართველოს ეკონომიური ისტორია" (1907 წ.), „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის დაწერის ცდა (1908 წ.) და სხვ.

1910, 1916 წლებში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მისი სერიული გამოცემა — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა" — გააზრებული იყო როგორც „საისტორიო მეცნიერების შესავალი", რომელშიაც თეორიისა და მეთოდოლოგიის საკითხებს დიდი ადგილი უნდა დათმობოდა. მეცნიერმა დანაპირები მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის მიმართ განახორციელა, მაგრამ არ დაუწერია აღთქმული მესამე ტომი, რომელშიაც „თანამედროვე მეცნიერების" — ისტორიული მეცნიერების — მიზნები და მეთოდები უნდა გაერკვია.

ივ. ჯავახიშვილი იზიარებდა ეპოქის მოწინავე საისტორიო აზრის მიღწევებს. ამავე დროს საქართველოს ისტორიის საკითხებზე ხანგრძლივმა მუშაობამ იგი სერიოზულად დააფიქრა ზოგად-მეთოდოლოგიური პრობლემის ზოგიერთი საკითხის ორიგინალურ გადაწყვეტაზე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას მივაქცევთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და კლასობრივი ბრძოლის თავისებურ გააზრებას.

„შედარებითი მეთოდი და ანალოგია, — წერდა ივ. ჯავახიშვილი თავის ფრაგმენტულ შენიშვნებში „ისტორიის მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიის" შესახებ, — თუმცა ფრიად საყურადღებო და ძვირფასია, მაგრამ თუ მისთვის გარკვეული საზღვრები არ იქმნა მიჩენილი, იგი შეიძლება მრავალი შეცდომის წყაროდ იქცეს.

რადგან ისტორიულ მოვლენათა სრული იგივეობით გამეორება შეუძლებლად არის ცნობილი და მერმინდელი წინანდელისაგან, მსგავსების გარდა, მაინც არსებითად განსხვავდება. სხვადასხვა ერთა სხვადასხვა დროის დაწესებულებათა თავალებით ერთმანეთთან შედარება უმართებულო რამაა და ადვილად შეაცდენს მეცნიერს. შედარება მხოლოდ სხვადასხვა ერთა ერთგვარი საფეხურებით შეიძლება. ამასთანავე, რადგან წარმატების გარდა და მაგიერ ერი შეიძლება დაქვეითდეს თითქმის პირველყოფილ მდგომარეობამდე... ეს უკუქცევითი მეორე თუ მესამეგზისი პირველყოფილობა თავდაპირველისაგან მაინც უეჭველად უნდა განსხვავდებოდეს; ამიტომაც, შედარების დროს, ეს გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ"...[1] ავტორი ხაზს უსვამს, აგრეთვე, დიდი სიფრთხილის საჭიროებას ე. წ. რეტროსპექტული თვალსაზრისის წამოყენების დროს, შენიშნავს ცალკეული საუკუნეების თუ ეპოქების გავლენას მემატიანეთა შემოქმედებაზე, რომლებიც სრულიად განსხვავებული თვალთახედვით გადმოსცემდნენ მათგან დაშორებულ დროებათა ისტორიულ ამბებს.

კლასობრივი ბრძოლის ისტორიული როლის შესახებ ივ. ჯავახიშვილი მეტად ორიგინალურ თვალსაზრისს იცავდა:

„რით აიხსნება, (რომ) კლასთაშორის ინტერესთა სასტიკი წინააღმდეგობის- და მიუხედავად რევოლუცია მუდმივ კი არა, იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს? რადგან კლასობრივ დარაზმულობასთან ერთად სხვაგვარი შეკავშირებაც არსებობს და ერთი და იგივე პირი, როგორც მუშა, მაგ., კლასობრივად, ზოგიერთ საკითხში შეიძლება პროლეტარებთან იყოს დაკავშირებული, სხვაფრივ კი, ვითარცა წვრილი მესაკუთრე, ან ამავე დროს ვაჭრობის მიმდევარი, მესაკუთრეებთან იყოს დაკავშირებული. ადამიანთა შორის სრული და მკაცრი ინტერესთა წინააღმდეგობა აბსტრაქტული მსჯელობის ნაყოფია უფრო, ვიდრე ცხოვრების უტყუარი სინამდვილე...

გადამწყვეტი ბრძოლა და რევოლუცია იმ იშვიათ შემთხვევებში ხდება, როდესაც ინტერესთა გაერთიანება მკაფიოდ ჩამოყალიბდება და ორ შეუთანხმებელ ბანაკებად დარაზმულობა მოხდება ხოლმე"[2].

აღნიშნული სიტყვები ნათქვამი უნდა იყოს, დაახლოებით, XX ს. 10-იან წლებში. ამასთან ერთად მეცნიერის მიერ ჯერ კიდევ 1902, 1905 და 1906 წლებში გამოთქმული, ასევე ფრაგმენტული, კვალიფიკაციები გვარწმუნებს, რომ ივ. ჯავახიშვილი მისთვის შესაფერისი სიღრმით აღიქვამდა კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში. მაგალითად, 1906 წ. იგი საქართველოს მაგალითზე გამოთქვამდა სწორ დებულებას, რომ ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება დაახლოებით ერთნაირად აინტერესებდათ როგორც ჩაგრულ, ისე გაბატონებულ ფენებს[3].

დროთა ვითარებაში, განსაკუთრებით კი რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზი განუზომლად ფართოვდებოდა. მარქსისტული მეთოდოლოგია შეუჩერებლივ იკვლევდა გზას ქართულ ისტორიოგრაფიაში და ამ საგანზე ლიტერატურაც მრავლდებოდა. საფიქრებელია, რომ ამ მიზეზის გამო მან საჭიროდ აღარ ჩათვალა ისტორიის თეორიულ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება.

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 665, ფურც. 1,2.

[2] დასახ. არქივი, № 665, ფურც. 46—47.

[3] Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., 1906, გვ. 12—13.

ფაქტობრივი ძიებისადმი მიძღვნილ ნაშრომს ივ. ჯავახიშვილი „საისტორიო გამოკვლევას“ უწოდებდა; ნამდვილი ისტორია, მისი აზრით, უნდა დაწერილიყო მაღალ თეორიულ დონეზე, განტეირთული ფაქტების კრიტიკული განხილვის შესახებ მსჯელობისაგან. ამ მიზნის მიღწევა მას შესაძლებლად მიაჩნდა პირველწყაროებზე დიდხნოვანი მუშაობის დასრულების შემდეგ, მეორე ეტაპზე. 1928 წ. იგი წერდა, რომ განზრახული ჰქონდა ზოგადი პრობლემების შუქზე დაწერილი საქართველოს ისტორიის კურსის გამოცემაც [1].

* * *

ივანე ჯავახიშვილის წინამორბედი ქართული ისტორიოგრაფია ცდილობდა თავი დაეღწია „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტი ბატონიშვილის სქემებისაგან და ახლებურად გაეშუქებინა საქართველოს წარსული. პლატონ იოსელიანის, სულხან ბარათაშვილის, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, ა. ცაგარლისა და სხვათა მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა საგრძნობლად გააფართოვეს წყაროთმცოდნეობითი ბაზა და არაერთი მნიშვნელოვანი ნარკვევი დაუტოვეს შთამომავლობას. სახელოვანი დიმიტრი ბაქრაძის წყალობით საქართველოში ცნობილი გახდა ევროპელი პოზიტივისტების შეხედულებანი საისტორიო მეცნიერებაზე. დაიწყო მსჯელობა ისტორიის გამართვის ახალ ხერხებსა და მეთოდებზე, საუბრობდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლის აუცილებლობაზე; მოითხოვდნენ „მეფეთა ისტორიის“ ნაცვლად ხალხის ნამდვილი ისტორიის დაწერას, პირველწყაროთა კრიტიკულ გადასინჯვას. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება იმ ეტაპზე, ობიექტურ მიზეზთა გამო, ვერ ხერხდებოდა. სათანადოდ მომზადებული კადრები ჯერ კიდევ არ იყვნენ.

XIX საუკუნის II ნახევარში დაიწერა, აგრეთვე, საინტერესო ნაშრომები და მიმოხილვები, რომელთაც იმ დროს გარკვეული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა; თუმცა მაშინდელი ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი რომანტიზმისა და პრაგმატიზმისაგან, ისევე როგორც სუსტად გამოხატული ნაციონალისტური ტენდენციისაგან, რაც ცარიზმის მიერ აქ დამყარებული კოლონიური ჩაგვრის ანარეკლი იყო. ასეთ ვითარებაში ივ. ჯავახიშვილი ამკვიდრებს კრიტიკულ მიმართულებას და ობიექტურ დამოკიდებულებას ეროვნული ისტორიის შესწავლისადმი. მას ბედმა არგუნა რეფორმატორის როლი საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებაში. ეს მისია მან წარმატებით განახორციელა და სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ეროვნული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში.

ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ საისტორიო წყაროთა შინაგანი, ღრმა მეცნიერული კრიტიკის დასაწყისი. რაც შეეხება ქართული და სომხური წყაროების პარალელური შესწავლის აუცილებლობას ორივე ქვეყნის ისტორიული სურათის აღდგენისათვის, ამ შემთხვევაში იგი მარი ბროსეს მიერ წამოწყებული საქმის დიდი გამგრძელებელი იყო. თუ ბროსე არსებითად იფარგლებოდა საკუთრივ წყაროების შესწავლით, ივ. ჯავახიშვილი სომხურ-ქართული

———

1 ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928, გვ. IX—X.

წყაროების გათვალისწინების გზით იკვლევდა ფართო პრობლემატიკას, რომელიც ორივე ქვეყნის ძველ ისტორიას ეხებოდა. ნიკო მარი შენიშნავდა, რომ ივ. ჯავახიშვილმა დასახა ახალი გზები, იდეები და შესაძლებლობანი ძველი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესწავლაში; თავისი ნაშრომებით, როგორიცაა „ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო წყობილება", „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია", „საქართველოს ეკონომიური ისტორია IX—XIII სს." და სხვ. ავტორს „გადავყავართ მომავალში", რათა უფრო მყარ ნიადაგზე დამუშავდეს ახალი და რთული პრობლემები[1].

„ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება" (წიგნი I, 1905 წ.) ივ. ჯავახიშვილის პირველი სოლიდური მონოგრაფია იყო.

ახალგაზრდა მკვლევარმა სრულიად ახლებური, ორიგინალური გზით დაიწყო დასახული პრობლემის გადაწყვეტა. დაიწყო მეთქი, იმიტომ ვამბობთ, რომ ავტორს ასე ფართო ასპექტში დასათაურებული საკითხის სრული გადაწყვეტა არ უკისრია. მან მიზნად დაისახა სახელმწიფოს პრობლემასთან დაკავშირებული ქართული და სომხური სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ტერმინთა გამოვლენა და მათი შედარება არა მარტო კლასიკური პერიოდის ბერძნულ-რომაული მწერლობის მონაცემებთან, არამედ სპარსულ, სირიულ და ნაწილობრივ არაბულენოვან მასალებთანაც.

საინტერესო დეტალების დასადგენად ავტორმა ოსტატურად გამოავლინა პირველი საუკუნის წინა და მომდევნო პერიოდის ანალოგიები. გვიანფეოდალური ხანის წყაროებშიაც კი მოძებნა ძველი საქართველოს სოციალური წყობილების გარკვევისათვის საინტერესო გადანაშთობრივი ფაქტები.

სახელმწიფოს შესახებ ტერმინოლოგიურ ძიებაში ავტორის მიერ გარკვეული უპირატესობის მინიჭება ბერძნულ-რომაული მონაცემებისათვის, შედარებით ძველ ქართულ წყაროებთან, იმით აიხსნებოდა, რომ კვლევა-ძიების იმ დონეზე ქართული წყაროების ცნობები ძველი ისტორიისათვის „ნაკლებად რეალური" ჩანდა, თუმცა ლეგენდარულისა და ჭეშმარიტის გამიჯვნა ამ ცნობებში დღევანდელ ეტაპზედაც ძნელდება. მიუხედავად ამისა, ძველი ისტორიის უბანზედაც ქართული წყაროები მეცნიერის ყურადღების ცენტრში იყო.

ავტორი ახლო იყო ჭეშმარიტებასთან, როცა თვლიდა, რომ სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხი არსებითად იგივე იყო, რაც სოციალური წყობილების საკითხი. მათ შორის მიზეზობრივი კავშირის გამორიცხვა არ იქნება, მაგრამ სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის განხილვისას თითქმის გვერდის ავლა სამეურნეო-ეკონომიური თუ კლასთა წარმოშობის პროცესებისათვის ნამდვილად ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ავტორის კვლევის შედეგი დიდი იყო; მის მიერ ამ ნაშრომში წამოყენებული ბევრი დებულება თავის ძალას დღევანდელ ეტაპზედაც ინარჩუნებს.

სტრაბონის ცნობათა ისე ფართო ჭრილში განხილვა, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილთანაა, მანამდის არავის მოუცია; ასევე, მანამდის არავის არ ჩამოუყალიბებია ისეთი მწყობრი მსჯელობა საქართველოსა და სომხეთში გვაროვნული წყობილების არსებობის შესახებ, როგორიც ივ. ჯავახიშვილმა დაგვიტოვა. მან გა-

[1] Н. Я. Марр, Рецензия на книгу И. А. Джавахишвили «Государственный строй др. Грузии и др. Армении» (ЖМНП, СПб, № 5, 200—223).

მოავლინა საინტერესო პარალელები სტრაბონისა და ძველი ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა შორის.

საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა არა მარტო გვაროვნული წყობილების არსებობის დამადასტურებელ ფაქტებზე, არამედ ამ წყობილების რღვევაზედაც, ანუ იმ პროცესზე, რომელსაც შედეგად ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა მოჰქონდა. მეცნიერის მიერ წარმოდგენილ თანამიმდევრობაში ვლინდება მოვლენათა გარკვეული დიალექტიკა: სტრაბონის დროინდელ იბერიაში „წოდებრივი უთანასწორობა იწყებოდა", არსებობდნენ „სამეფო მონები", მაგრამ მონობა სათანადოდ გავრცელებული არ იყო; „ლაოები", რომელთაც ნატურალური ბეგარა ეკისრათ, „კოლონატს" უფრო უახლოვდებოდნენ. ყოველივე ეს გამოხატავდა „სოციალური უთანასწორობის განვითარების პირველ დაწყებით სტადიას". ავტორი თვალს მიადევნებს აგრეთვე სოციალური დიფერენციაციის შემდგომ მსვლელობას ვიდრე VI საუკუნემდე, როცა „მსახურეული წარჩინებულები" — აზნაურები თავიანთ წოდებრივ ორგანიზაციას ქმნიან და, სპარსელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმებასთან დაკავშირებით, ხელისუფლების სათავეში ექცევიან.

არქაული წყობილებიდან ფეოდალიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ ივ. ჯავახიშვილის ზოგიერთმა დებულებამ სათანადო მხარდაჭერა ჰპოვა მომდევნო თაობის ისტორიკოსთა ნაშრომებში. მისი დასკვნა მონობის როლის შესახებ საქართველოში რამდენადმე უახლოვდება თანამედროვე თვალსაზრისს; ასევე შეიძლება ითქვას ფეოდალური ფორმაციის საწყისი ეტაპის დათარიღებაზე და სხვ.

როგორც ზემოთ ითქვა, ივ. ჯავახიშვილი თანაბარი გულისყურითა და პატივისცემით იკვლევდა ძველი სომხეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიის საკითხებსაც. მან ძველი სომეხი ისტორიკოსების — ფავსტოს ბუზანდის, ელიშესა და ლაზარ ფარპეცის მონაცემების საფუძველზე შეისწავლა ეს რთული პრობლემა და „სამართლიანად გააკრიტიკა წინამორბედი მეცნიერები (ლანგლუა, ალიშანი, გარაგაშიანი)", რომელთაც სცადეს თავისებურად გაერკვიათ იგო[1].

აღნიშნულ წიგნში სპეციალური განყოფილება ეძღვნება სომხეთს. ავტორის სწორი მოსაზრებით, ვერ გავიგებდით, მაგალითად, V—VI საუკუნეებში სომეხი ნახარარების მწვავე ბრძოლის მიზეზებს ისე, თუ არ შევისწავლიდით ძველი სომხეთის სოციალურ ურთიერთობას. ნახარართა მოძრაობის მიზეზთა ახსნის ინტერესი ყოფილა ერთ-ერთი წამქეზებელი ავტორისათვის, რომ სომხეთის „ძველი წყობილება" შეესწავლა. ავტორი შენიშნავდა, რომ არ იყვნენ სწორი ისინი, ვინც აღნიშნულ მოძრაობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას რელიგიურ მომენტს ანიჭებდნენ; ამ მოძრაობის მთავარი გამომწვევი მიზეზი, მისი აზრით, ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში იყო საძებარი.

სომხეთის მაგალითებზე ავტორი თანამიმდევრულად ავლენდა გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესისათვის დამახასიათებელ მომენტებს. სომხეთშიაც ადგილი ჰქონდა ქართლის ანალოგიურ მოვლენებს, როცა დამპყრობლები თავიანთ მომხრეებს ადმინისტრაციული სახელოების ანუ „პატივ"-ების დარიგებით ამრავლებდნენ და ამითაც ხელს უწყობდნენ არსებული (გვაროვნული) წყობილების ნგრევას.

---

[1] С. Т. Еремян. П. Мурадян, Вопросы арменистики в трудах академика И. А. Джавахишвили (к столетию со дня рождения), «Вестник общественных наук АН Арм. ССР», 1976, № 4, Ереван, 1976, 87.

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, სახელმწიფოებრივი წყობილება ძველ საქართველოსა და სომხეთში ძირითადად ერთნაირი იყო.

ძველი ისტორიის დარგში XX ს. დამდეგს (1905 წ.) შექმნილი აღნიშნული ნაშრომი, რა თქმა უნდა, სრულყოფილი ვერ იქნებოდა და ამას თვითონ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა. მას არ აკმაყოფილებდა მისივე „ქართველი ერის ისტორიაში“ შესული ის ნაწილები, სადაც ისტორიის ძველი პერიოდი იყო წარმოდგენილი.

პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერის თვალწინ საქართველოს საისტორიო მეცნიერებაშიაც ადგილი ჰქონდა დიდ ძვრებს. ივ. ჯავახიშვილი თვითონ იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრებისა, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს ისტორიაში. არაჩვეულებრივად იზრდებოდა ქართველოლოგიით დაინტერესებულ მეცნიერთა რიცხვი. წყაროთმცოდნეობითი ბაზის თანდათანობით გაფართოებას თან სდევდა ისტორიული კვლევის დიფერენციაცია ცალკეულ დარგებად და ცნობიერების გაფართოება ახლოაღმოსავლური სამყაროს შესახებ, რაც ძველი ისტორიის შესწავლას დიდ პერსპექტივებს უქმნიდა.

ზემოთ განხილული ნაშრომის გაგრძელებად თვლიდა ავტორი ნარკვევს „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ (II წიგნი), რომელიც, ისევე როგორც პირველი, 1905 წ. გამოქვეყნდა. პირველი და მეორე წიგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა როგორც აგებულებით, ისე შესრულების დონით. ალბათ ეს იმით აიხსნებოდა, რომ პირველი წიგნის წყაროთა შეზღუდულობის გამო არჩეულმა ტერმინოლოგიურმა ძიებამ მას თავისებური ელფერი მისცა. II წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოები შედარებით უფრო ცნობიერ სამყაროს ეხებოდა. მართალია, ავტორი ამ გაგრძელებას VI საუკუნით იწყებდა, მაგრამ არსებითად ყურადღების ცენტრი გადაჰქონდა XI—XII საუკუნეებზე, როცა „მეფის უფლება“ არსებულ წყაროებში მთელი სიცხადით გამოხატული იყო და ქართულ სახელმწიფოს საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეკავა მახლობელ აღმოსავლეთში (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი „ჴელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა 1908 წელს).

„საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ დაწერილია ქართული ფეოდალიზმის კლასიკური პერიოდის სოციალური და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით; როგორც ჩანს, ეკონომიური ასპექტისაგან ავტორი თავს იკავებდა იმ მიზეზით, რომ მას საგანგებო შესწავლის საგნად გამოჰყოფდა.

ავტორი თვლიდა, რომ მეფის უფლების საკითხის შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა ისე, თუ არ გავითვალისწინებდით სოციალური წყობილების თავისებურებას, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სათანადო სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამით აიხსნებოდა, რომ ავტორი სპეციალურ თავს უთმობდა „პატრონყმობას“. პატრონყმობა ავტორს „ფეოდალიზმის“ შესატყვის ქართულ ტერმინად მიაჩნდა.

ნაშრომში დახასიათებულია ფეოდალიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ხანგრძლივი ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიანებს შორის, ნაჩვენებია ცალკეულ მეფეთა პოლიტიკის შინაარსი, განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებლის შორსმჭვრეტელური პოლიტიკა, რომლის გაგრძელება მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს.

XI—XII სს. საქართველოში მიმდინარე საკმაოდ მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის გაშუქება ივ. ჯავახიშვილის მიერ ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მეცნიერის შენიშვნები ყუთლუ-არსლანის თაოსნობით მიმდინარე ბრძოლაზე XII საუკუნეში. მეცნიერის მოსაზრებებს, მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შეხედულებათა მიუხედავად, დღესაც ჰყავს მიმდევრები.

1905 წ. „მეფის უფლების" შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომიდან ავტორმა ბევრი რამ შევსებულ-გადამუშავებული სახით შეიტანა „ქართული სამართლის ისტორიაში" (ტ. II, ნაკვ. II, 1929 წ.), მაგრამ ამით ზემოხსენებულ ნაშრომს თავისი ორიგინალობა არ დაუკარგავს. იგი საისტორიო კვლევის გარკვეულ საფეხურს ასახავს და თავის დამოუკიდებელ მეცნიერულ მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს.

1907 წ. თბილისში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის თვალსაჩინო მონოგრაფია — „საქართველოს ეკონომიური ისტორია IX—XIII სს", რითაც მან ქართულ ისტორიოგრაფიაში სოციალურ-ეკონომიური მიმართულება დაამკვიდრა და მანამდის თითქმის ხელუხლებელი საკითხების შესწავლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. ავტორმა თავის ამ ნაშრომს 1930 წელს „ჭაბუკური გამბედაობის" შედეგი უწოდა. მეცნიერის ასეთი დამოკიდებულება საერთოდ ადრინდელი ნაშრომებისადმი მისი იშვიათი თავმდაბლობით აიხსნებოდა.

„ჭაბუკური გამბედაობის" პერიოდი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამის საუკეთესო მაჩვენებლად სწორედ 1907 წ. გამოცემული ეკონომიური ისტორია უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერის მიერ ახალგაზრდობის დროს შექმნილ ნაშრომებში წამოყენებულ დებულებათა უმრავლესობა ავტორმა გაიმეორა მოწიფულობის დროს დაწერილ ნარკვევებში და გაამაგრა ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი მასალებით.

განსახილველი ნაშრომის აგებულება და პრობლემის გადაწყვეტისადმი მიდგომა იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი მატერიალისტური პოზიციებიდან სწავლობდა საკითხებს. იგი ისტორიის მამოძრავებელ ძალებზე, მათი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების საფუძვლებზე ამახვილებდა ყურადღებას. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრისათვის მან აუცილებლად მიიჩნია ძირითადი მწარმოებლური საზოგადოების, მისი სამეურნეო საქმიანობის, მიწისმფლობელობისა და სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა.

ავტორის მიერ საკითხების თანამიმდევრობით დალაგებაშიც კარგად ელინდება, რომ იგი გარკვეულ მთლიანობაში იკვლევდა ხალხის შინაგანი განვითარების ისტორიულ პროცესს.

მეცნიერი პირველ რიგში განიხილავს მიწისმფლობელ აზნაურებსა და მიწისმოქმედ გლეხებს. მას აინტერესებდა მფლობელი კლასის შემადგენლობა, მისი დიფერენციაცია, მისთვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობა, საბატონო მეურნეობა, ამ მეურნეობის მოელა-პატრონობის ორგანიზაცია, ყმური შრომის გამოყენება ბატონის მამულში და სხვ. ყოველივე ამას ლოგიკურად მოსდევს მწარმოებელთა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის დახასიათება.

გზის გამკვლევი იყო ივ. ჯავახიშვილის პირველი შენიშვნები იმ პერიოდის საქართველოს ქალაქებზე, თბილისსა და მისი მმართველობის ხასიათზე, მოქალაქეთა წოდებაზე, ხელოსნობაზე, დიდ თუ მცირე ვაჭრებზე. საკმაოდაა დახასიათებული საგარეო და საშინაო ვაჭრობა. ასეთი საკითხების განხილვამ ავტორი და-

არწმუნა, რომ სწორი არ იყვნენ ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ საქართველოში მეთვრამეტე საუკუნემდე მხოლოდ „საოჯახო მეურნეობა" არსებობდა. ავტორმა უჩვენა, რომ ქართული ხელოსნური ნაწარმი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მეზობელ ქვეყნებშიაც გაჰქონდათ, რომ საქონლის წარმოება საკმაოდ გავრცელებული იყო.

„საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში" ვრცლადაა დახასიათებული სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის წყაროები, ქვეყნის ბიუჯეტი, დადგენილია ფისკალური სისტემის მოხელეები, მათი ფუნქციები, მოცემულია სახელმწიფო-საშემოსავლო არხების კლასიფიკაცია.

ეკონომიური ისტორიის ავტორს ახასიათებდა მასალების არაჩვეულებრივი ცოდნა და სავარაუდო გამოთვლები, მოსახლეობის რაოდენობის ცვალებადობას რომ ეხება X—XIX სს. მანძილზე. დიდმნიშვნელოვანია შენიშვნები XII ს. საქართველოს სიმდიდრის წყაროებზე და ქვეყნის შემოსავლის სავალდებულო შესაბამისობაზე წარმოების განვითარების დონესთან.

1907 წ. „ეკონომიურ ისტორიაში" ავტორმა ქართული ფეოდალიზმის ისტორიის მანამდე ხელუხლებელი საკითხები დასვა და მათი გადაწყვეტის პირველი სერიოზული ცდა მოგვცა. ამ მემკვიდრეობამ დიდი გავლენა იქონია ფეოდალიზმის სოციალურ-ეკონომიური პრობლემატიკის შესწავლაზე მერმინდელ ხანაში — ავტორის სიცოცხლეში და მის შემდგომ პერიოდშიაც.

ზემოთ აღნიშნული უმთავრესი ნიშნების მიხედვით განსხვავდება განხილული მონოგრაფია ივ. ჯავახიშვილის მიერ 30-იან წლებში გამოცემული „ეკონომიური ისტორიის" ორი ტომისაგან, სადაც მეცნიერმა თავისი ამოცანა არსებითად მასალების გამოვლენა-დადგენის მიზნებს დაუქვემდებარა. მან უკვე ერთმანეთისაგან გამიჯნა ეკონომიური და სოციალური ისტორიის პრობლემები, რათა უკეთ დაემლია ისინი და მერმე კვლავაც ერთ მთლიანობაში, ისტორიის უწყვეტ პროცესში მიეჩინა მათთვის სათანადო ადგილი.

ისტორიის მამოძრავებელი ძალები — ფართო მასები, მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული ინტერესის ობიექტი იყო. ყველაზე უკეთ ეს გამოჩნდა ნაშრომში „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში" და „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვაში".

გასაგებია, რომ ივ. ჯავახიშვილი, როგორც ცარიზმის ბატონობის ქვეშ მყოფი საქართველოს შვილი, XIX ს. I ნახევრის ამბებზე საუბრისას მეტ ყურადღებას უთმობდა მოძრაობის პოლიტიკურ-განმათავისუფლებელ მოტივებს.

საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ღრმა გააზრების მაჩვენებელია ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული დებულება, რომ ამ მოძრაობას საერთო-სახალხო ხასიათი ჰქონდა; მის მონაწილეთა კლასობრივი განსხვავება ერთიანი ფრონტის გამძლეობას ვერ უზრუნველყოფდა. ეს სწორი თვალსაზრისი შესანიშნავადაა ასახული ავტორთან 1832 წ. შეთქმულების დამარცხების მიზეზებზე საუბრის დროს. ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ XIX ს. 20—30-იან წლებში ადგილი ჰქონდა გლეხთა ანტიბატონყმურ მოძრაობას; გლეხები თავგამოდებით იბრძოდნენ ბატონყმობისაგან განთავისუფლებისათვის, შეთქმულები კი არ გამოხმაურნენ გლეხთა ინტერესებს, — ამდენად, ვერ შეძლეს გლეხური მასების მიმხრობა და ამიტომ მათი დამარცხებაც გარდაუვალი იყო.

„საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა" ივ. ჯავახიშვილმა დაწერა ენციკლოპედიისათვის 1911—1912 წწ. იგი ჩვენი ქვეყნის წარსულის შეკუმშულად გადმოცემის ერთ-ერთი ნიმუშია. მიმოხილვაში შედარებით ძალზე მოკლედაა წარმოდგენილი ძველი პერიოდი, ვიდრე XIX ს. დამდეგამდე. გაცილებით მეტი ადგილი ეთმობა XIX საუკუნესა და XX ს. I ათეულს, 1911 წლამდე.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო და ორიგინალურია ავტორის შეხედულებანი XIX ს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის საკვანძო საკითხებზე.

ავტორი ძირითადად სწორ თვალსაზრისს ავითარებს ძველი და ახალი თაობების იდეური ბრძოლის მოვლენებზე. მნიშვნელოვანია ავტორისავე დაკვირვება ქართველი ნაროდნიკების ბრძოლის ხასიათზე და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დიდ როლზე; ნაროდნიკებმა ვერ შეძლეს ხალხის მიმხრობა, მისი დარაზმვა; ფართო მასების წინამძღოლობის უნარი აღმოაჩნდა საქართველოში 1893 წ. ჩასახულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ნარკვევში აშკარად ჩანს ავტორის თანაგრძნობა რუსეთისა და საქართველოს პროლეტარული მასების ერთობლივი ბრძოლისადმი, რომელიც სოციალური და პოლიტიკური თავისუფლების მიზნებს ემსახურებოდა.

აღნიშნული ნაშრომიდან, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული სხვა ნარკვევებიდან, კარგად ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი რუსეთის სახელმწიფოს აწმყოსა და მომავალზე დაფიქრებული მოღვაწე, რუსი ინტელიგენციის ჭეშმარიტი მოსიყვარულე და მეგობარი იყო. რუს კოლეგებთან ერთად მასაც სძულდა თვითმპყრობელური წესწყობილება და მის საფუძვლიან გარდაქმნაზე ოცნებობდა. „მიმოხილვაში" ხაზი ესმება „სულიერ კავშირს" რუს და ქართველ მოღვაწეებს შორის; აღნიშნულია, რომ დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში „სეპარატიზმის" ხასიათი არ ჰქონია; მხოლოდ მთავრობის ოფიციალური პოლიტიკოსები ცდილობდნენ, რომ ყველაფერში სეპარატიზმის ნიშნები დაენახათ. მეცნიერი სწორად ახასიათებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რაც თვალსაჩინო გახდა XIX ს. 30-იანი წლების შემდგომ პერიოდში: „წინანდელი პატრიარქალური ყოფა ქრებოდა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დიდად შეიცვალა, ძველი წყობილების რღვევა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა", — წერდა იგი 1912 წ.[1]

ივ. ჯავახიშვილი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე საუბრისას მკვლევართაგან მოითხოვდა ობიექტურობის დაცვას, მისდევდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ თეზისს, რომ წარსულის ხელოვნური შელამაზება ცოდვაა; სინამდვილეს, აწმყოს სრულებითაც არ ავნებს წარსული ამბების ობიექტური გადმოცემა. მაგალითად, „ბიბლიოგრაფიულ წერილებში" ავტორი კრიტიკულად განიხილავდა მ. ჯანაშვილის ნაშრომს „თამარ მეფე", ეხებოდა მის შენიშვნებს რუსი უფლისწულის თამარის ქმრად მოყვანის შესახებ და უსაყვედურებდა ავტორს, რომ იგი ავლენდა სურვილებს, წარმოედგინა „ისტორიული ფაქტები თანამედროვე პოლიტიკური ვითარების შესაბამისად". იქვე მეცნიერი დასძენდა, რომ „თანამედროვე

---

[1] Грузия. История Грузии (Энциклопедический словарь т-ва бр. А. и И. Гранат и К., СПБ, т. XVII, с. 213).

პირობებმა გავლენა არ უნდა იქონიოს საქართველოს შორეული წარსულის გაშუქებაზე"[1].

სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის შესახებ პირველწყაროების შესწავლას, მაგრამ ეს არ ნიშნავდა საეკლესიო თემატიკით ავტორის „გატაცებას", რაც „აკადემიურ მიმართულებას" ახასიათებდა. ივ. ჯავახიშვილის მთავარი მიზანი იყო სასულიერო წერილობით ძეგლებში ქართველი ხალხის წარსულის ამსახველი ფაქტების გამოვლენა და მათი სამეცნიერო ღირებულების შეფასება. ასეთი მიზანსწრაფვის მაჩვენებელია მისი ნაშრომები „ანდრია მოციქული და წმინდა ნინო", „საეკლესიო რეფორმების ისტორიისათვის საქართველოში (გიორგი ათონელი)", „საქართველოსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილების ისტორია" (რუს. ენაზე) და სხვ.

აღნიშნული თემატიკა და მისი ჯავახიშვილისეული გადაწყვეტა ნათელყოფდა მეცნიერული კრიტიკის უმაღლეს დონესა და ურმეს განსწავლულობას, ახასიათებდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალ პერიოდს.

ქართული ეპიგრაფიკის შესწავლის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის ნარკვევს „ატენის ტაძრის აშენების დათარიღებისათვის" (რუს. ენაზე).

დიდ მნიშვნელობისად მიგვაჩნია ივ. ჯავახიშვილთან ჯერ კიდევ 1904 წ. ხაზგასმული დებულება საერო და სასულიერო ლიტერატურის ურთიერთობასთან დაკავშირებით საქართველოს თავისებურებების შესახებ, სადაც, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქრისტიანულმა რელიგიამ და სამღვდელოებამ საერო ლიტერატურის განვითარება ვერ ჩაახშო. ქართული ეკლესიის მოწინავე დასმა „თეოკრატიულ აზრთა ბატონობას თავი დააღწია და მაღალ ესთეტიკურ გრძნობას და ხელოვნებისადმი სიყვარულს ადგილი დაუთმო".

ივ. ჯავახიშვილის ადრინდელ ნარკვევებში ცხადად ვლინდება მეცნიერის უაღრესად გულთბილი და ობიექტური დამოკიდებულება სომეხი ხალხისა და მისი ისტორიული წარსულისადმი. ამის მაჩვენებელია ნაშრომი „საქართველოსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილების ისტორია", რომელიც 1908 წ. გამოქვეყნდა. ცნობილი არმენოლოგის ლეონ მელიქსეთ-ბეგის სიტყვებით რომ ვთქვათ, ივ. ჯავახიშვილი „სომხური წყაროების საუკეთესო მცოდნე და მათი გულმოდგინე მკვლევარი" იყო[2].

ივ. ჯავახიშვილს არ მოსწონდა, როცა სომეხ და ქართველ კოლეგებს შორის ზოგიერთი სადავო საკითხი ზოგჯერ სუბიექტური განწყობილებით უფრო განიხილებოდა, ვიდრე პირველწყაროთა შესწავლის საფუძველზე. მისი ობიექტური დამოკიდებულება კარგად ჩანდა მირიან იბერთა მეფის გაქრისტიანების ამსახველ ცნობათა განხილვაში.

სარწმუნოებრივი ერთობა თუ განსხვავებულობა ძლიერი ფაქტორი იყო ორი მოძმე ერის ფეოდალური განვითარების ისტორიაში, როცა ეკლესია საზოგადოებრივი იდეოლოგიის მეუფედ გამოდიოდა.

ორიგინალურია ავტორის მოსაზრება საეკლესიო განხეთქილების მიზეზებზე. მისი შენიშვნით, ეს განხეთქილება წამოიწყეს და განახორციელეს გაბატონებულმა

---

[1] Журн. «Византийский Временник». т. XI. вып. 1—2. 1904. с. 327—328.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, აკად. ივ. ჯავახიშვილი და არმენოლოგია (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, 1958 წ., გვ. 269).

ფენებმა, რომლებსაც ავტორი ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ხელისუფალთა" სახელით იხსენიებდა. ამით ავტორი ხაზს უსვამდა იმას, რომ მშრომელი ხალხი აქ არაფერ შუაში იყო. /

სარწმუნოებრივი განხეთქილების პირველ და უმთავრეს მიზეზად ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა დოგმატურ განსხვავებას ორ ქრისტიანულ მიმართულებას შორის, რომელიც ემყარებოდა „საეკლესიო-კულტურულ იდეალებსა და მისწრაფებებს", მეორე მიზეზად დასახელებულია ორი ქვეყნის მესვეურთა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია — პროირანული მონოფიზიტური მიმდინარეობით სომხეთისათვის და ბერძნულ-რომაული — საქართველოსათვის; ამ მიზეზსაც, ავტორის აზრით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მესამე, მაგრამ „არაარსებითი" იყო ე. წ. „ეროვნული მოტივი", რომელიც ცურტავის საეპისკოპოსოში მომხდარ კონფლიქტში აირეკლა.

სამეცნიერო კვლევის მომდევნო პერიოდში ივ. ჯავახიშვილმა რამდენადმე დააზუსტა ზემოაღნიშნული დებულებები, თუმცა მათი ძირითადი შინაარსი მაინც უცვლელი დარჩა. 1928 წელს მეცნიერი ხსენებული მოვლენის უმთავრეს მიზეზად საგარეო ფაქტორს მიიჩნევდა [1].

მართალია, სარწმუნოებრივმა განხეთქილებამ ვერ ჩაშალა ქართველი და სომეხი ხალხების ერთობლივი ბრძოლა საგარეო მოძალადეების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ზიანი მიაყენა ამ ხალხების ინტელექტუალურ ძალთა უკეთესი შემჭიდროების დიდ საქმეს. ეპოქის მოწინავე წარმომადგენლები ცდილობდნენ დარღვეული მთლიანობის აღდგენას, მაგრამ კლერიკალური ფანატიზმი ყოველთვის ახშობდა მის განხორციელებას. ზოგადად ასეთ ასპექტში ვლინდება ავტორის დამოკიდებულება დასახელებულ გამოკვლევაში.

ამრიგად, მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ნათლად გამოიკვეთა ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული ტალანტი, შემოქმედების მთავარი მიმართულება, მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება თანადროული ევროპის, რუსეთისა და საქართველოს საისტორიო აზრის განვითარებისადმი. არაჩვეულებრივად აღიქვამდა ეპოქის მაჯისცემას და რევოლუციურ-დემოკრატიულ სულისკვეთებას ავლენდა. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხის ისტორიის პრობლემათა სისტემატურ, მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას და ეროვნული ისტორიოგრაფია იმ დროის მოთხოვნათა შესაფერის დონეზე გამოაჩინა.

მამია დუმბაძე

1978 წ.

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928 წ., გვ. 352—357.

ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში[1]

I. წმინდა ნინო

თუმცა ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი საისტორიო მასალა და საბუთი დაიბეჭდა, მკვლევართა რიცხვმაც შესამჩნევად იმატა, მაგრამ ახლაც წინანდებურად ხელშეუხებელი, შეუსწავლელი დევს ჩვენი მატიანის უძველესი ნაწილი. თავის გასამართლებლად მკვლევრები მასალების სიმცირეს, უქონლობას ასახელებენ ხოლმე. მართალია, საისტორიო მასალები, მეტადრე უძველესი ხანის შესახებ, ძალიან ცოტაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საბუთების სიმცირეს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენ ჯერ იმ მასალებსაც ვერ მივეერიეთ, რომელნიც ხელთა გვაქვს, ჯერაც მათი ღირსება, ეჭვშეუტანლობა და სასიათი ვერ გამოვიკვლიეთ, რომ რაც კი გამოსადეგარი, უტყუარი ცნობებია ამ საბუთებიდან გამოგვეკრიბა და ისტორიისათვის გამოგვეყენებინა.

როდესაც მატიანის ამგვარ მეცნიერულ განხილვას დაიწყებენ და შეისწავლიან, მაშინ თვით გამოკვლევა უჩვენებს მეცნიერს, რას უნდა მიაქციოს მან შემდეგში ყურადღება და რა და რა მასალები უნდა შეისწავლოს. ამ აზრის სამართლიანობა იქნება ამ პატარა, პირველმა ცდამ დაამტკიცოს.

წმინდა ნინოსა და ქართლის მოქცევის შესახებ ჩვენა გვაქვს ქართული, ბერძნული და სომხური* მასალები; ქართული — „ქართლის ცხოვრება", „Chronique Arménienne[2]". „საქართველოს სამოთხე" ბ-ნ გ. საბინინისა, სამეცნიერო აკადემიის № 37 ხელნაწერის წმ. ნინოს ცხოვრება[3] და, დასასრულ, ამ ათი წლის წინათ აღმოჩენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და წმ. ნინოს ცხოვრების ახალი დედანი** წვრილმანი ცნობები მკვლევარს, რასაკვირველია, აქა-იქ, სხვადასხვა წყაროებშიც შეხვდება. ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს შორის შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებას უმთავრესად მნიშვნელობა აქვს.

ბერძნული წყაროები IV საუკუნიდანვე იწყება: რუფინი,[4] Historia ecclesiastica, lib I, cap. X, შემდეგ სოკრატე[5] Historia scholastica, lib. I, cap. XX; სოძომენი[6], Historia ecclesiastica, lib. II, cap. VII; თეოდორიტე[7], Historia eccles., lib. I, cap. XXIV. ამ ოთხში მარტო პირველია განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, დანარჩენები მხოლოდ რუფინის ნათქვამს იმეორებენ; იგი

---

* ერთი ეთიოპური: O. von Lemm. Kleine Koptische Studien.

** რადგანაც ეს შატბერდის კრებულში ნაპოვნი წ~ა ნინოს ცხოვრება მანამდე ჩაითვლება „ახალ ვარიანტად", ვიდრე სხვა ახალი არ აღმოჩნდება, როცა შატბერდის ნინოს ცხოვრების „ახალი ვარიანტი" ველარ დაერქმევა, ამიტომ უკეთესია ამ „ახალ ვარიანტს" შატბერდისეული წ~ა ნინოს ცხოვრება დავარქვათ. ჩვენ ამ სახელს ვიხმართ.

საქართველოს მოქცევის თანამედროვეა და მეფე ბაკურის ნაამბობს მოგვითხრობს.[*]

წმ. ნინოს საქართველოში ქადაგების შესახებ მოსე ხორენელის ისტორიაშიც[*] არის მოთხრობა *(Մ. Խորենացի Կլ ՁՁ)*. ნინოს ცხოვრება სომხურ სვინაქსარებშიაც არის შეტანილი *Սահմի իե Հոկտեմբերի իթ*.

ამ მასალების ნუსხიდანაც ცხადად ჩანს, რომ მასალები საკმაოა, სხვადასხვაგვარი და ჩვენ კვლევაძიების გარდა არა დაგვრჩენია რა. ამის მაგიერ კი ჩვენი ისტორიკოსები წინანდებურად მხოლოდ მატიანეს ნათქვამს იმეორებენ, „ქართლის ცხოვრებას" თუ შეუდარებენ ხოლმე შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებას და „ქართლის მოქცევას", ისიც პირველის ისტორიული სინამდვილის დასამტკიცებლად. თორემ თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲს" და „შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებას" მეცნიერული გარჩევა ჯერ არ ღირსებია. საზოგადოდ ჩვენი მკვლევრები მეტისმეტი ნდობით, თითქმის მოწიწებით ეპყრობიან ჩვენ ორ უძველეს მატიანეს. რასაკვირველია, იმიტომ, რომ შატბერდისეულ წ͠მ. ნინოს ცხოვრებას თვით ნინოს ნაამბობად და მის თანამშრომელთა და თანამედროვეთა ნაწერადა სთვლიან* როგორც თვითონ ცხოვრების დამწერი გვარწმუნებს, ხოლო რამდენად სამართლიანია ეს მზობა, მკითხველი თვითონ დაინახავს.

ნინოს ცხოვრების შესწავლა გარეგანი სახიდან დავიწყოთ. „ტექსტი ნინოს ცხოვრებისა „ქართლის მოქცევაში", — წერს ე. თაყაიშვილი, — გაყოფილია 14 თავად, მაგრამ სათაური თავებისა იწყება მეოთხე თავიდან და წინა მყოფ სამ თავს სათაური არ უზის. სათაურების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველ თავს შეადგენს ქართლის მოქცევის ქრონიკა, მეორეს შესავალი ნინოს ცხოვრებისა და მესამეს ნინოს ცხოვრება სალომე უჯარმელის თქმულებამდე**". მარტო პირველ სამ თავს რომ ჰკლებოდა სათაურები, მაშინ კიდევ შეიძლებოდა როგორმე დასთანხმებოდა კაცი ამ ახსნას; ბ-ნ თაყაიშვილსა და სხვა მკვლევარებს ვერ შეუმჩნევიათ, რომ ამავ ცხოვრებაში **მეოთხე** („თავი დ, აღწერილი მისავე სალომე უჯარმელისაჲ", იხ. ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხ. გვ. 10) თავს ზედ მისდევს პირდაპირ თავი **მეექვსე** („თავი ვ მოწევნაჲ წმიდისა ნინოჲსი მცხეთად"... გვ. 20) და **მეხუთე** თავი კი სრულებით გამოშვებულია, რომ **მეცხრე** („თავი თ", ibid., გვ. 40) **თავის შემდეგ მეათე კი არაა, მეთერთმეტეა** („თავი ია, თქმული მისავე", ibid., გვ. 49); ვერც ის შეუნიშნავთ, რომ სათაური არ უზის, **აგრეთვე ცხოვრების ბოლოს მირიან მეფის წერილს** (ibid., გვ. 68) და **მირიანისვე ანდერძს** (ibid., გვ. 72). ჩვენი აზრით, ბ-ნ თაყაიშვილის ზემოთ მოყვანილი ახსნა უსაფუძვლოა, რადგან ერთი მხრით ძნელი წარმოსადგენია, რის გამო უნდა ჩაეთვალა შატბერდისეულ წმ. ნინოს ცხოვრების დამწერს ორი სხვადასხვა თხზულება („მოქცევაჲ ქართლისაჲ" და „წ͠ა ნინოს ცხოვრება") ერთი მეორის ნაწილად, მეორე მხრით, სათაურები, როგორც ზემოთ ვთქვით, გამოტოვებულია ინწაირადვე ცხოვრების ბოლოს. სათაურების ამაოდ ძებნას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შატბერდისეულ **ნინოს ცხოვრებაში ზოგან სათაურები გამოტოვებულია, ზოგან კი არეული.**

მაგრამ გულდადებითი გადაკითხვა და დაკვირვება მკვლევარს დაარწმუნებს,

---

* იხ. Х а х а н о в, Источники по введению христианства в Грузии («Древ. Вост». Моск. археол. об., 1893, т. I, вып. III, стр. 333, 334); თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. I, გვ. 106, შენიშვნა.

** ახალი ვარიანტი წ͠მ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XV.

რომ ამ ცხოვრებაში მარტო სათაურები კი არ არის შეცვლილი და არეული, არამედ ზოგიერთი სათაურიც, მოთხრობის წეს-რიგიც.

ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები ბლომადაა, მაგ. ამ ცხოვრების 36-ე გვერდზე (იხ. ახ. ვარ. წ˝მ. ნინოს ცხ.) ვკითხულობთ: „შემუსრნა უფალმან არმაზ და სხუანი იგი კერპნი... **რომელი იგი წინა წერილ არს ანდერძსა მას მიხხა ნინა"...**

ეს წინადადება რაღაც წ˝მ ნინოს ანდერძს ასახელებს, მაგრამ არც ერთ ნინოს ცხოვრების თავს ამგვარი სათაური არა აქვს წარწერილი; არმაზის და სხვა კერპების შემუსვრა მე-6 თავშია აღწერილი („თავი ვ., მოწევნაჲ წმიდისა ნინოჲსი მცხეთად, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ", ibid., გვ. 20), რომლის წინ ერთი (მე-5) თავი გამოშვებულია. მაგრამ რადგან მე-6 თავიც, მე-4-ც ერთი და იგივე მწერალ სალომე უჯარმელის ნაწერად არის მოხსენიებული, რადგან ამ ორ თავს შორის მჭიდრო კავშირია და სათაურები უხერხულად, აზრის მიმდინარეობის შეუთანხმებლადა ჰყოფს მოთხრობას, ამიტომ ზემომოყვანილ წინადადების აზრის თანახმად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ახლა ცალკე თავებად დაყოფილი მოთხრობა ერთ დროს ერთად ყოფილა (გაუყოფელი) აღწერილი და სათაურად ჰქონია „ანდერძი წმ. ნინოჲსი". საყურადღებოა, რომ „ქართლის ცხოვრებაში" შიო მღვიმისა და იოანე ნათლისმცემ. წ˝ა ნინოს ცხოვრებაში ეს ნაწილი დაყოფილი არ არის (იხ. ibid; გვ. 20 და გვ. 10). მეორე ნაწყვეტი შეეხება სვეტიცხოვლის ხილვას (ibid., გვ. 44):

...„და იყო სუეტსა მას საშინელი ხილვაჲ და საკვირველი, **რომელი ზემო აღწერილ არს**, ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებად **სუეტი იგი პირველ მოჴსენებული**, იწყეს ხერით მათ აღმართებად"...

ამ ადგილის მიხედვით, სვეტის საშინელი ხილვა ამის წინ უნდა იყოს მოთხრობილი, მაგრამ შატბერდისეულშიაც, სხვა აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრებაშიც სვეტიცხოვლის შესახებ ზილოსაა მოთხრობილი და არა თავში. ეს ნაწყვეტი, მაშასადამე, ამტკიცებს, რომ იმ ნინოს ცხ.-ში, საიდანაც უნდა იყოს ამოღებული ეს თავი, სვეტის შესახები თხრობა პირველად ყოფილა აღწერილი. შემდეგ წ˝ა ნინოს ცხოვრება სამღვდელოების საბერძნეთით მოსვლას მოგვითხრობს (გვ. 50):

„მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღვდელთ-მოძღვარი, მღვდელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლის ცემად, ვითარცა ზემოდ აწერილ არს"... ზემოთ კი არაფერია ნაწერი სამღვდელოების მოსვლისა და ხალხის ნათლის ცემაზე. ეს ნაწყვეტიც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უძველეს ნინოს ცხოვრების **მოთხრობის წეს-რიგი ისეთი არა ყოფილა, როგორიც შატბერდისეულ ნინოს** ცხოვრებაშია.

„მაშინ (ibid., გვ. 3) მოიხუნეს საწერელნი", ვკითხულობთ ცხოვრებაში, **„სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი** და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს". მწერალი ორი ყოფილა, ალბათ, როცა ერთი დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა წერას; ამიტომ შატბერდისეული ნინოს ცხოვრება ამ ორი ადამიანის ნაწერილი უნდა იყოს. მართლაც, სალომე უჯარმელის ნაწერი მკითხველს ხშირად შეხვდება, სივნიელ პეროჟავრს კი შატბერდისეულ ცხოვრებაში არაფერი არ ეკუთვნის. სალომე უჯარმელის სახელიც რომ არა ყოფილიყო სათაურებში მიწერილი, მაშინ ჩვენ ამ გარემოებისათვის არავითარი ყურადღება არ უნდა მიგვექცია, მაგრამ რაკი ერთის ნამუშევარი აღნიშნულია, ალბათ მეორისაც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში გამოუ-

ტოვებიათ. ეს რამდენიმე მაგალითიც მგონი საკმაო უნდა იყოს, რათა დავრწმუნდეთ, რომ შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში ზოგიერთი სათვალავი არეულია, სათაურები, თავების წესრიგი შეცვლილი და ზოგან კი მოთხრობაც გადაკეთებულია.

მაგრამ თავი დავანებოთ სათაურ-სათვალავებს, ნუ დავივიწყებთ, რომ შატბერდისეული ნინოს ცხოვრება გვარწმუნებს, ცხოვრება ნინოს ნაამბობია და მის თანამშრომელთა მიერ ჩაწერილიაო. თუ ეს რწმუნება მართალია, მაშინ სათაურების შეცვლას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ქადაგებით დამაშვრალი, ღონემიხდილი ნინო ს. ბოდში სარეცელზე განისვენებდა და თავის ახალ სამწყსოს სულთმობრძავი სამუდამოდ ეთხოვებოდა. აქ მოეყარათ თავი სამეფო სახლობას, დიდებულთ და მის მახლობელ თანამშრომელთ, რომელნიც ჰკითხავდნენ ნინოს მის ვინაობას და ცხოვრების თავგადასავალს: „ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ, ქუჱყანასა ჩუჱნსა მაცხოვრად ჩუჱნდა, ანუ სადამე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო, მაუწყე ჩუჱნ საქმჱ შენი, რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო"... (გვ. 2). წმინდა ქალწული თანხმდება და სამწყსოს თავის თავგადასავალს უამბობს: „მაშინ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს" (გვ. 3). ეტყობა, სიტყვასიტყვით წერდნენ. „შემდგომითი შემდგომად:" შატბერდისეულ ცხოვრებაში ნინო თვით უამბობს მკითხველს თავის ბედ-იღბალს, ჩამომავლობას, აღზრდას და სხვ...

როგორც ზემომოყვანილი წინადადებიდანა ჩანს, სამეფო სახლობასა და წმინდანის მოწაფეებს ნინოს უკანასკნელ წუთამდე არა სცოდნიათ, ვინ იყო ქალწული მქადაგებელი. თუმცა კი იმავ წიგნში რამდენიმე ფურცლის შემდეგ ნინო თვითონვე გვიამბობს (გვ. 26), რომ კერპების შემუსვრის შემდეგ, მეექვსე დღეს მასთან სეფე ქალი შროშანი მოვიდა, და ჰკითხა მას „ყოველი გზა მისი"; ნინომ უამბო („ოდეს ცნა ყოველი საქმჱ ჩემი") დაწვრილებით თავისი თავგადასავალი. მისი მოთხრობა მოქმედებს შროშანაზე და ნინო შეამჩნევს „თვალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოებისა მისისათჳს" (გვ. 26). ეს ადგილი, ცოტა არ იყოს, ზემომოყვანილ ნინოს თანამოღვაწეთა სიტყვებს ეწინააღმდეგება და გვიჩვენებს კიდეც, რომ ნინოს ვინაობა სამწყსოს წმინდანის სიკვდილის წინათვე სცოდნია, პირველ ხანებშივე თვით მქადაგებელს უამბნია თავგადასავალი.

ასე უნდა მომხდარიყო კიდეც! თუნდაც რომ ეს ადგილი არა ყოფილიყო „შატბერდისეულ" ნინოს ცხოვრებაში, თუნდ ეს ადგილიც ყალბად ჩაგვეთვალა, მაშინაც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ნინოს ვინაობა ქართველებს მოქცევის შემდეგ მაინც უნდა სცოდნოდათ. განა ახლად მოქცეულნი მისი მოწაფენი პირველად მას ვინაობას არ გამოჰკითხავდნენ, ან განა თვით ნინო ქართველების გაქრისტიანების შემდეგ დამალავდა-ღა თავის ვინაობას? იმას პირველ ხანებში კიდევ შეეძლო დაემალა თავის ვინაობა, როცა ქართველობის უმთავრესი ნაწილი, თვით სამეფო სახლობა, წარმართები იყვნენ, მაგრამ როცა თითქმის მთელი ხალხი, მეფე მირიანი თავის სახლობითურთ გაქრისტიანდა და ყველა თაყვანსა სცემდა მას, როგორც წმინდანს, ნინოს დასამალავი რაღა ექნებოდა? —რასაკვირველია, არაფერი, იგი უამბობდა ყველას, ვინც გამოჰკითხავდა, ხოლო მკითხველი, მგონია, ბევრი უნდა ყოფილიყო და სიკვდილის წინ თავგადასავლის მოთხრობა სრულებით საჭირო აღარ იქნებოდა. შატბერდისეული ნინოს ცხოვრების შემთხზველი კი გვარწმუნებს, რომ მეფის სახლობა, ნინოს მოწაფენი სულთმობრძავ მქადაგებელს ჰკითხავდნენ ვინაობასა და თავგადასავალსაო. ნუთუ იმათ მხოლოდ

მაშინ მოაგონდათ, რომ წმინდანის ვინაობის შეტყობა საჭიროა, როცა ქალწული წუთისოფელს ესალმებოდა და მხოლოდ ორიოდე დღეღა, ან იქნებ ორიოდე საათის სიცოცხლე დარჩენოდა. შატბერდისეული ცხოვრების ავტორი კი იმდენს ალაპარაკებს მომაკვდავ ნინოს, რომ ერთმა ადამიანმა ვერც კი შეძლო ნაამბობის ჩაწერა... ერთი ქალი რომ დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა ხოლმე წერას!

ცხადია, მგონი, რომ შატბერდისეულ ნინოს ცხოვრების ავტორის ცნობა, ვითომც ნინოს სიკვდილის წინ ეამბოს თავგადასავალი, დასაჯერებელი არ არის. ამის შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი და მაშინ უფრო ცხადად დარწმუნდებით, რომ შატბერდისეული ცხოვრების ტექსტი ვერც ნინოს ნაამბობად ჩაითვლება და ვერც იმის თანამედროვეთა და თანამოღვაწეების ნაწერად. აა, ამის საბუთიც:

ნინოს ნაამბობს ზედ მისდევს სიდონიას აღწერილი თხრობა კვართის მოტანის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით სიდონიას ნაწერს თავი დავანებოთ და პირდაპირ ამ ცხოვრების მე-13 (იგ) თავის განხილვას შევუდგეთ. ეს მე-13 თავი ეკუთვნის იაკობ მღვდელს, რომელიც საბერძნეთით მოსულ სამღვდელოებას მოჰყვა და ყველაზე უფრო დაახლოებული იყო ნინოსთან; მქადაგებელმა სიკვდილის წინ კიდეც უბრძანა მთავარეპისკოპოსს, შენ მოადგილედ იაკობი აკურთხეო (იხ. ქართლის მოქც. ქრონიკა, სამი ისტ. ქრ., გვ. 2). როცა ჯვარი პატიოსანი აღმართეს, ნინო სამღვდელოებითურთ მცხეთით ჯერ კიდევ არ დაძრულიყო (ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხ., თავი იგ, მეტადრე გვ. 55 და 59). მაშასადამე, რასაც იაკობ მღვდელი აგვიწერს, უეჭველია თვალით ნანახი ექნება; მართლაც, იმის სიტყვებიდან ცხადადა ჩანს, რომ ჯვარი პატიოსნის აღმართვაში მონაწილეობა მიუღია, მაგ.. (გვ. 56) „და ესე (ხე) **მოვკუეთეთ** თუესა მარტსა“... (გვ. 57)... „მაშინღა **ვიწყეთ** ნეტარისა ნინოჲსა კითხვად“... (გვ. 58). „ხოლო ესე... პატიოსანი ჯუარი მცხეთისაჲ **აღვიპყართ** კელითა კაცობრივითა და მივედით ბორცუსა მას ქუეშე... და ვათიეთ ღამჱ და **ვილოცევდით** ღმრთისა მიმართ... (გვ. 59.). და დასდვა კელი ერთსა ქუასა და **მრქუა** მე“... ამ სტრიქონების ავტორს, რასაკვირველია, პატიოსანი ჯვარის აღმართვა უნახავს, მაგრამ ახლა იმასაც ყური დავუგდოთ, რას გვეუბნება ეს თხრობა პირველ ფურცლებზევე (გვ. 56): „მაშინ ძირსა ზედა აღმართეს (ხე იგი) კარსა ეკლესიისა სამხრითსა და ჰბერვიდა წყალთაგან ნიავი და შ[ალვი] და ფურცელ[თა] ხისა მისგან და აძრევდა რტოთა მისთა და იყო ხილვაჲ მისი შუენიერ და სულპამო, **ვითარცა სმენით ვიციით ხისა მისთჳს ალვისა“...**

„ვითარცა სმენით ვიცით“-ო! მერე განა იაკობმა სმენით იცოდა ეს ამბავი? ავტორს ავიწყდება თავისივე სიტყვები „ჩვენ მოვკუთეთ თუესა მარტსა“-ო. თუ მოჰკვეთეს და ხის მოჭრას დასწრებია, მაშ სმენა რაღა შუაშია? — ცხადია, რომ უკანასკნელი ნაწყვეტი იმ ავტორის დაწერილი არ იქნება, რომელსაც ზემომოყვანილი წინადადებები უნდა ეკუთვნოდეს; უეჭველია, ისიც, რომ იაკობი იმისთანა თხრობას არ დაწერდა, სადაც იმის შესახებ იმგვარი ცნობებია, რომელნიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და არღვევენ. **ეს თხრობა ან ორ სხვადასხვა წყაროდან უნდა იყოს შედგენილი, ან ერთი რომელიმე წყარო იქნება უშნოდ გადაკეთებული.**

მაშასადამე, შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში შეტანილი თხრობა ჯვარი პატიოსნის შესახებ იაკობს არ ეკუთვნის და იმისი სახელი ტყუილადაა აღნიშნული სათაურში.

თუმცა ცხოვრების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ნინოს ცხოვრების თითქმის ყველა ის ნაწილი, სადაც ნინოს ერთ-ერთი თანამშრომელი ავტორადაა მოხსენიებული, ძალიან გადაკეთებული უნდა იყოს. ამ ცხოვრების შესავალიც (ანუ წინასიტყვაობა) თავიდან ბოლომდე შეთხზულია და ყალბი, მაგრამ ამ დასკვნის შემდეგაც ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ნინოს ცხოვრების ყოველივე ისტორიული ღირსება უარვყოთ: შესავალი შეეძლო შემდეგ ვისმე შეეთხზა და ცხოვრებისათვის დაემატებინა, მეორე მხრით, გადაკეთებულ და დამახინჯებულ ნაწილებშიაც შესაძლებელია ისტორიისათვის საჭირო ბევრი ცნობა აღმოჩნდეს; მაშასადამე, ჩვენ ახლა შატბერდისეული ცხოვრების შინაარსის ისტორიული ღირსება ზედმიწევნით, დაწვრილებით უნდა გამოვიკვლიოთ, ამასთანავე გავიგოთ, რამდენად ძველი უნდა იყოს ცხოვრების თითოეული ცნობა.

შრომის გასაადვილებლად შატბერდისეული ნინოს ცხოვრება რამდენიმე ნაწილად გავყოთ და თითოეული ცალ-ცალკე გავარჩიოთ: 1) ნინოს ჩამომავლობა, დაბადება, აღზრდა, ვიდრე თორმეტის წლისა შეიქმნა, 2) ნინოს ქადაგებრივი მოღვაწეობა საბერძნეთში საქართველოშა მოსვლამდე, და 3) ნინოს ქართლად მოსვლა, ქადაგება და ხალხის მოქცევა.

გიორგი კაპადუკიელის წამების დროს* კაპადუკიაშივე[9] ცხოვრობდა ერთი კაცი სახელად ზაბილონ, რომელიც „წარვიდა ჰრომედ მეფეთა წინაშე მსახურად და ნიჭის მიღებად". ამ დროს ბრანჯნი[10] ჰრომთ თავს დაესხნენ, მაგრამ „მოსცა ღმერთმან ჭაბუკსა მას კაპადუკიელსა ძალი უძლეველი და... წარიქცინა სივლტოლად". დატყვევებულმა ბრანჯებმა ქრისტიანობა მიიღეს და სიკვდილი თავიდან აიცილეს. ზაბილონი ბრანჯებს მათ სამშობლოში გაჰყვება, საიდანაც დიდძალი საჩუქრით სატახტო ქალაქსვე დაბრუნდება. სასელმწიფო სამსახურს თავს ანებებს და იერუსალიმს მიდის. ეს ზაბილონი — წმ. ნინოს მამა გახლავთ.

ზაბილონის დროსვე ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა — ძე იობენალი, — შემდეგ იერუსალიმის პატრიარქობას მიიღებს, როგორც ნინოს ცხოვრება მოგვითხრობს, — და ასული სუსანა; იობენალი რომ იერუსალიმის პატრიარქად იყო, სუსანა ძმასთან იერუსალიმში ცხოვრობდა; იერუსალიმად მოსული ზაბილონი სუსანას ცოლად ითხოვს. ამ სუსანასა და ზაბილონის შვილი იყო კიდეც წმ. ნინო. თორმეტი წლისა რომ გახდა, მისმა მშობლებმა თავიანთი სარჩო-ქონება გაყიდეს და მამა მეუდაბნოედ წავიდა, დედა პატრიარქმა იობენალმა გლახაკთა მსახურად დანიშნა.

ადვილი მისახვედრია, რომ გიორგი კაპადუკიელის წამება ამ ცხოვრებაში ნინოს დაბადების თარიღის მაგიერობასა სწევს, ხოლო პატრიარქი იობენალი და ძლევამოსილი ზაბილონი — ბრანჯთა განმანათლებელი — წ[მიდ]ა ნინოს ბრწყინვალე ჩამომავლობას უნდა გვიჩვენებდეს. თუმცა გიორგი კაპადუკიელის წამების წელიწადი რას გვიშველის თარიღის გამოანგარიშების დროს, როცა ნამდვილად

---

* სამეცნიერო აკადემიის (№ 37) ნინოს ცხოვრება გიორგი კაპადუკიელის ზაბილონის თანამედროვეობას აღარ კმარობს! და ამბობს: „იყო კაცი ვინმე (ზაბილონ) თანაზიარი და მეგობარი წმიდისა (გიორგისი). ვახუშტის ისტორიაში კიდევ ეს მეგობრობ. ნათესაობადა ხდება (საქარ. ისტ., გვ. 56... „იყო კაცი კაბადოკიას ნათესავი წმიდისა გიორგისა, მთავარი და მონა ღვთისა ზაბილონ". აი, საუცხოო იმის ნიმუში, თუ როგორ მახინჯდება ისტორიული ცნობები.

არ ვიცით, რამდენ წელიწადს უნდა გაევლო გიორგის წამებიდან ზაბილონის დაქორწინებამდე, ან იობენალის პატრიარქად კურთხევამდე? უამისოდ ხომ ნინოს დაბადების წელიწადის გაგება ყოვლად შეუძლებელია. ამ ცხოვრებაში რამდენიმე ქრონოლოგიური ცნობაა: ეს თარიღები თუმცა ნინოს დაბადებას არ შეეხება, მაგრამ ამ ცნობების საშუალებით იქნება ნინოს დაბადების დრო როგორმე გამოირკვეს.

ეს თარიღები ნინოს ქართლად მოსვლას და მის სიკვდილს შეეხება.

„გარდაკდეს ქრისტჱს მოსვლადმდე წელნი „ჴფ"*, შობითგან ქრისტჱსით ვიდრე ჯუარცმამდჱ „ლგ" და ჯუარცუმითგან ქრისტჱსით ვიდრე კონსტანტინე ბერძენთა მეფისა მონათვლამდჱ „ტია" და ათ-ოთხმეტისა წლისა შემდგომ მოივლინა ქუეყანასა ჩუჱნსა ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ ნინო დედოფალი ჩუენი"... (იხ. ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 30). ამ ნაწყვეტიდანა ჩანს, რომ მთლად ნინოს ცხოვრების წელთაღნიშვნა კონსტანტინე მეფის მონათვლის თარიღზეა დამყარებული: ამ თარიღის სისწორეზეა დამოკიდებული, რასაკვირველია, დანარჩენი ნინოს ცხოვრების წელთაღრიცხვის სისწორეც.

შობითგან ქრისტესით ჯვარცმამდე	ლგ	33
ჯვარცმითგან ქრისტესით კონსტანტინეს მონათვლამდე	ტია	311

მეფე კონსტანტინე, მაშასადამე, მოინათლა მატიანისამებრ 344 წელს ქ. შობითგან

ამ დროს კონსტანტინე მეფე სწორედ შვიდი წლის მკვდარი იყო, წმ. ნინო მოვიდა საქართველოში კონსტანტინე მეფის მონათვლის შემდეგ მე-12 წელს, ე. ი. 344+14=358 წ. მაშასადამე, წ"ა მქადაგებელი გარდაცვლილა 359+15**= 373 წ.

წმ. ნინო საქართველოში რომ 358 წ. მოსულიყო მეფე მირიანს კონსტანტინესთან მოციქულები (358+8=) 366 წ. უნდა გაეგზავნა, რადგან მირიან მეფე ნინოს მოსვლის შემდეგ მე-7 წელს*** გაქრისტიანდა და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიუგზავნა მოციქულები კონსტანტინეს.

ყველა ჩვენი თარიღი, რასაკვირველია, სწორი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ კონსტანტინე მეფის მონათვლის წელიწადი, რომელზედაც დამყარებულია წელთა აღრიცხვა, აშკარა შეცდომაა. მაგ., ქართველებს რომ 366 წელს გაეგზავნათ საბერძნეთში მოციქულები, განა კონსტანტინე მეფესთან გაგზავნიდნენ? იგი 337 წ. გარდაიცვალა და 29 წლის განმავლობაში, უეჭველია, გაიგებდნენ მცხეთელები კონსტანტინეს სიკვდილს. შატბერდისეული ნინოს ცხოვრება კი, დანარჩენებიც, აგრეთვე თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲ", გვარწმუნებენ, — მირიანმა მოციქულები კონსტანტინე მეფეს გაუგზავნაო. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ კონსტანტინეს სახელი უძველესის დედანში არა ყოფილიყო და შემდეგ შეცდომით ვინმეს ჩაემატებინოს, მაგრამ ამნაირი ფიქრი უსაფუძვლოა, იმიტომ რომ IV საუკუნის ბიზანტიელი მწერალი (თანამედროვე ქართლის მოქცევისა) რუფინიც" ქართულ მატიანეს ეთანხმება.****

* იხ. ამის შესახებ „აღვადგინე" ბ-ნ ჯავახიშვილისა, გვ. 43, 68.

** იხ. სამი ისტორიული ქრონია, გვ. 20.

*** იხ. სამი ისტორიული ქრონია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ", გვ. 15.

**** იხ. Rufinus. Historia Eccles. lib. I. cap. X de conversione gentis Iberorum per captivam facta.

«Posteâ vero quam Ecclesia magnifice constructa est et populi fidem Dei majore ardore sitiebant, captivae monitis ad Imperatorem Constantinum totius gentis legatio mittitur»...

„ხოლო მას შემდეგ, როცა ეკკლესია ბრწყინვალედ აღშენებულ იქმნა და ხალხს სარწმუნოება ღვთისა მხურვალედ სწადდათ (სწყუროდათ), ტყვეს რჩევისამებრ იმპერატორ კონსტანტინესთან მთლად ერის მიერ დესპანები (ელჩობა) გაგზავნილ იქმნენ".

ამგვარად, ქართლის მოქცევის თანამედროვე ბაკურიუსის (რუფინის) მოწმობაც ცხადად გვიმტკიცებს, რომ მირიანს მოციქულები კონსტანტინესთან გაუგზავნია. მაშასადამე, მას დესპანები საბერძნეთში მხოლოდ 337 წლამდე შეეძლო გაეგზავნა, რადგან ამ წლის შემდეგ კონსტანტინე მკვდარი იყო. ამისდაგვარად, ნინო მოსულა 329 (337—8) წ. და შატბერდისეულ ცხოვრებას 29 წლით შესცდომია. წ˜ა ნინო მოკვდებოდა 344 (=339+15) წ. და არა 373, როგორც შატბერდისეული ცხოვრება ამტკიცებს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ნინოს ცხოვრების ქრონოლოგიური ცნობები, როგორც ნინოს ქართლად მოსვლისა და სიკვდილის, ისე კონსტანტინეს შესახებაც, სწორი არ არის; მაგრამ ვერც „ქართლის მოქცევაჲ-ს" ცნობები გახლავთ უკეთესი. ნინო გარდაიცვალა „ქართლად მოსვლითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს ამაღლებითგან ტლჱ წელსა, დასაბამითგან ჴყლჱ." (იხ. სამი ისტ. ქრ., გვ. 20).

ჴყლჱ — 5838
—ჴფ˚ — 5500

ტლჱ — 338 წ. ამ წელს მომკვდარა წ˜ა ნინო, თუ წელთაღრიცხვის საფუძვლად დასაბამითგან გამოანგარიშებული თარიღი იქნება.

ტლჱ—338
+ლგ— 38

ტოა — 371 წ. მომკვდარა ნინო, თუ ქრისტეს შობითგან ვიანგარიშეთ.

358+15=473 წ. მომკვდარა მქადაგებელი, თუ იმის ქართლად მისვლითგან ვიანგარიშებთ.

ასე ეწინააღმდეგება ერთი თარიღი მეორეს და სამივე საერთოდ ზემომოყვანილ, დაახლოებით მაინც სწორ ქრონოლოგიურ ცნობებს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ შატბერდისეული წ˜მ. ნინოს ცხოვრების თარიღებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მქადაგებლის დაბადების წელიწადის გამოსაანგარიშებლად ხომ სრულებით გამოსადეგარი არ არის.

თავი დავანებოთ ახლა თარიღებს და ნინოს ჩამომავლობის გამოკვლევას შევუდგეთ. ნინოს მამა და ბიძა შესანიშნავი მოღვაწეები იყვნენ: პირველი — ძლევამოსილი სარდალი, ბრანჯთა უკუმქცეველი, ხოლო მეორე იერუსალიმის სამწყსოს მღვდელმთავარი, პატრიარქი. ისტორია ამგვარ კაცების სახელსა და ღვაწლს იშვიათად ივიწყებს ხოლმე; მივმართოთ მას და შევიტყოთ ისტორია რაღას გვეტყვის. განსვენებულმა მეცნიერმა მ. ბროსემ დიდი ხანია აღნიშნა**, რომ მეოთხე საუკუნეში არც ერთ იერუსალიმელ მღვდელმთავარს სახელი იობენალი

* იხ. ჯანაშვილის „აღაადგინე", გვ. 43, 68.
** Brossel, Hist. de la Geor. I, გვ. 92.

არ რქმევია. ამას უნდა დავურთოთ უფრო საყურადღებო შენიშვნა იმის შესახებ, **რომ IV საუკუნეში იერუსალიმში პატრიარქობა ჯერ დაწესებული არც კი იყო.** მხოლოდ ეფესოს მსოფლიო კრების[12] (431 წ.) შემდეგ, როცა ამ კრებამ არ შეიწყნარა იერუსალიმელ ეპისკოპოს იობენალის თხოვნა იმის შესახებ, რომ იერუსალიმს პატრიარქობა დაეწესებინათ, მეფე თეოდოსი II თვითონ გასცა ბრძანება და იობენალს პატრიარქობა მიანიჭა (იხ. Kurz. Lehrbuch, der Kirchengeschichte, გვ. 193). ამის გამო, თუნდაც რომ IV საუკუნეში ერთ-ერთ იერუსალიმელ მღვდელმთავარს იობენალი რქმეოდა, ე. ი. ნინოს ბიძა რომ მართლაც IV საუკუნის ისტორიაში ცნობილ პირად ყოფილიყო, მაინც ცხოვრებაში მას პატრიარქი არ უნდა რქმეოდა. ხოლო რადგან IV საუკუნეში არც ერთ იერუსალიმელ მღვდელმთავარს იობენალი არ რქმევია, იერუსალიმში კიდევ პატრიარქობა მხოლოდ V საუკუნის ნახევარში დააწესეს, ამიტომ **წ˜ა ნინოს ბიძის სახელწოდებაც, თანამდებობაც, თავგადასავალიც მოგონილი და შეთხზული უნდა იყოს.** შეიძლება, ცოტად თუ ბევრად დაახლოებით გამოვირკვიოთ, როდის უნდა იყოს შეტანილი ნინოს ბიძის შესახებ თქმულება ცხოვრებაში. V საუკუნის შემდეგ ბევრ ხანს უნდა გაევლო, რასაკვირველია, რომ ამ საუკუნის მოღვაწე ცხოვრების დამწერს IV საუკუნეში გადაესვეპებინა და თანაც ისეთი თანამდებობა მიენიჭებინა, რომელიც IV საუკუნეში არ არსებობდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲში" ერთი ამგვარივე შეცდომა მოიპოვება (სასანელთა სატახტო ქალაქად ბაღდადია დასახელებული* და შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში მეფე მირიანი ახალ სპარსულს ლაპარაკობს**); შესაძლებელია, რომ ნინოს ბიძის შესახებ თქმულებაც იმავე დროს შეეტანოთ ცხოვრებაში, როცა ზემოხსენებული შეცდომებია შეტანილი, ესე იგი VIII-IX საუკ. იმ აზრს, რომ წ˜ა მქადაგებლის ბიძა არც იერუსალიმის პატრიარქად ყოფილა და არც მღვდელმთავრად, ცოტა არ იყოს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ნინო მღვდლების მოსაყვანად და ქართველთა მოქცევის ამბავის შესატყობინებლად იერუსალიმში კი არა გზავნის მოციქულებს, არამედ ბიზანტიაში.[13]

არც ნინოს მამას,*** ძლევამოსილ სარდალ ზაბილონს, იცნობს ბიზანტიის ისტორია: ვერც სახელს, ვერც ნინოს ცხოვრებაში აღწერილ ბრანჯებთან ბრძოლისმაგვარ შემთხვევას იპოვნით იქ. მ. ბროსეს**** ეგონა, რომ ფრანგებთან კონსტანტინეს შეტაკება (306 წ.), ნინოს ცხოვრების ბრანჯებთან ბრძოლა უნდა იყოს. მართალია, ბრანჯნი ჩვენს ძველ ხელნაწერებშიაც ფრანგებად იწოდებიან, მაგალითად, სამეცნიერო აკადემ. მუზეუმის ნინოს ცხოვრებაში (№ 39) ნათქვამია: „ხოლო მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ ფრანგთა, ვიდრემდის თჳთ მეფისა მიმართ ბრძოლა ჰყვეს"; აგრეთვე ეკლესიის მუზ. № 131,—**„ბრანჯნი ფრანგნი არიან"** (იხ. თ. ჟორდანიას ქრონიკები, I ტ., გვ. 32, შენ. 66).

მაგრამ, ფრანგების სახელის გარდა, ეს ორი ბრძოლა არაფრით ემსგავსება ერთმანეთს: ჯერ ერთი რომ, არც ამ ბრძოლაში, არც საზოგადოდ ამ დროს, ზაბილონი არა ჩანს, მეორე მხრით, კონსტანტინემ ბრანჯთა მეფეები არამც თუ არ

---

* იხ. სამი ისტ. ქრ., გვ. 35 და Христианское Чтение 1898 г. წერილი პრ. ბოლოტოვისა, გვ. 255.

** Н. Марр. Хитон Господень.

*** იხ. „მოამბე", № V, 1900 წ.

**** იხ. Hist. de la G. I. I, გვ. 92, შენ. 3.

გაათავისუფლა, პირიქით, ისინი, ბიზანტიელ ისტორიკოსთა* სიტყვისამებრ, ამფითეატრონში მხეცებთან საბრძოლველად გააყვანინა. ფრანგების გაქრისტიანებაზე ხომ ისტორიაში კრინტიც არაა დაძრული, იმიტომ, რომ ფრანგებმა მხოლოდ V საუკუნის დამლევს მიიღეს ეს სარწმუნოება.** ბიზანტიის ისტორიამ, მაშასადამე, არა იცის რა ნინოს ბიძის შესახებ.

ზემონათქვამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ყოვლად შეუძლებელია, ეს ცრუ და არეული ცნობები ნინოს ან მისი თანამედროვეებისაგან მომდინარეობდეს.

მაგრამ უფრო გასაოცარი და საყურადღებო ის არის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ," ის მატიანე, რომელსაც შატბერდის კრებულში წ˝ა ნინოს ცხოვრება ზედ მისდევს, არას ამბობს ნინოს შთამომავლობისა და აღზრდის შესახებ; უეჭველია, იმიტომ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" დაწერის დროს ჯერ წ˝მ. ნინოს მშობლების სახელები არ ეცოდინებოდათ; თორემ განა შესაძლებელია, რომ ნინოს დედ-მამის ვინაობა და თავგადასავალი „მოქცევაჲს" დაწერის დროს ავტორს სცოდნოდეს და არ ჩაემატებინოს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ნინოს შესახებ ამბობს მხოლოდ: „და იყო... (იხ. სამი ისტ. ქრ., გვ. 14) ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო, რომლისა საქმეჲ მისი გამოიძია ელენე დედოფალმან".

ჩვენი მემატიანე, მაშასადამე, ნინოს „ტყვე"-დ იხსენიებს, ბიზანტიელი ისტორიკოსებიც სწორედ ამასვე ამბობენ. აი, მაგალითად, IV საუკუნის მწერალი რუფინი რას ამბობს ნინოს შესახებ:

„Per idem tempus etiam iberorum gens, quae sub axe Pontico iacet, verbi, Dei foedera et fidem futri susceperat regni. Sed hujus boni praestit. causam mulier quaedam captiva, quae... cum fidlemet sobriam satis ac pudicam duceret vitam... (Rufinus, Hist. Ecc. lib. I, cap. X.)."

„ამ დროსვე იბერთა ნათესავმა, რომელიც პონტოს იმყოფება (მდებარეობს), აღთქმა სიტყვისა ღვთისა და სარწმუნოება მომავალისა სასუფეველისა მიიღო. ამ სიკეთის მიზეზი იყო განსაკუთრებით ვინმე ტყვე დედაკაცი, რომელიც... სარწმუნოებასთან ერთად ჯეროვან წმიდა და ქალწულებრ ცხოვრებას მისდევდა".

ამგვარადვე სიტყვასიტყვით მოგვითხრობენ დანარჩენი ბიზანტიელი ისტორიკოსებიც. როგორც ჩანს, IV საუკუნეში იმ ქართველებსაც, რომელნიც სამშობლოს გაქრისტიანებას დასწრებიან, როგორც მაგ. რუფინის მეგობარი ბაკური, ნინოს ბრწყინვალე ჩამომავლობის შესახებ არა სცოდნიათ-რა, ბაკურს რომ სცოდნოდა, რომ ნინო შესანიშნავი ბიზანტიელი სარდლის ასულია და იერუსალიმელ პატრიარქის ან მღვდელმთავრის დისწული, განა თავის ბიზანტიელ მეგობარს მეტადრე რუფინს არ უამბობდა?" ამგვარი ბრწყინვალე მშობლები იშვიათად თუ ეყოლებოდა ვისმე, — ბიზანტიელი რუფინი კი, უეჭველია, მოიხსენებდა, რომ ქართველთა განმანათლებელი ნინო ბიზანტიელი სარდლის ქალი იყოო.

სამაგიეროდ რუფინის მიერ ნახმარი „quaedam" (ვინმე) ცხადად გვიჩვე-

* იხ. Le Beau, t. I, გვ. 42.

** Kurz. Lehrbuch der Kirchengeschichte, b. II, გვ. 12.

ნებს, რომ ვინც უნდა ყოფილიყო ნინო, მაინც ბრწყინვალე და დიდებული ჩამომავლობისა არ იქნებოდა იგი.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მოსე ხორენელის წყარომაც ნინოს მშობლებისა არა იცის რა:

«Կին ոմն անուն Նունէ յընկերաց սրբոյ Հռիփսիմեանց».	„დედაკაცი ვინმე სახელად ნუნე, წმიდა რიფსიმეანთა მეგობართაგანი“.

თვით იმავ შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ასე გულმოდგინედ გვარწმუნებს ნინოს მშობლები შესანიშნავი მოღვაწეები იყვნენო, **შეიძლება ნინოს ტყვეობის კვალს მივაგნოთ, და დავრწმუნდეთ, რომ იქაც წინათ ნინო უბრალო ტყვედ იწოდებოდა.** „ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე“ (გვ. 2) ეუბნებიან მაგალითად სულთმობრძავს ნინოს მისი თანამშრომლები, ან კიდევ: „მაუწყე ჩუენ საქმე შენი რაჲსა იტყჳ **ტყვეობასა,** ტყვეთა მხსნელო სანატრელო“... „უფალი იესო ქრისტე“ (ასე ლოცულობს მეფე მირიანი,—ი. ჯ.) „რომელი გურწამ **ტყჳსა ამის** მიერ“ (იქვე). „მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი... წმიდაჲ ნინო, პირველ[*], ვითარცა **ტყუე,** ვითარცა უცხოჲ და ვითარცა მწირი“. ეს რამდენიმე ადგილიც, სადაც შერჩენილი არის ნინოს ტყვეობის შესახებ ცნობა, ცოტა არ იყოს შესწორებულია და აზრი შეცვლილი, როგორც მაგ., „რაჲსა იტყჳ ტყვეობასა ტყუეთა მხსნელო სანატრელო“; მაგრამ სწორედ ნინოს ტყვეობის შესახები ცნობების ღაჩრდილვა, ან სრულებით გამოტოვება უფრო გვარწმუნებს, რომ იმ დედანშიც, რომელიც შატბერდისეული ცხოვრების ავტორს ხელთ ჰქონია, ნინო მხოლოდ უბრალო ტყვედ იყო მოხსენიებული.

შატბერდისეული ცხოვრების ავტორმაც, ან მისმა წყარომ, იქნებ სწორედ იმიტომ მოიგონა, ვითომც ნინომ მხოლოდ სიკვდილის წინ აიხსნა ნიღაბი და თავისი ვინაობა გამოუცხადაო ქართველებს, რომ უფრო მეტად დაეჯერის ქართველმა მკითხველმა ნინოს დედ-მამისა და ნათესაობის ბრწყინვალე ისტორია. ქართველ მკითხველს, რომელმაც ნინოს ტყვეობა იცოდა, მხოლოდ თვით ნინოს მიერ მოთხრობილი დაარწმუნებდა, რომ მქადაგებელი დიდებულ გვარტომობის ჩამომავალი იყო და ტყვეობა მხოლოდ თავდაბლობის გამო იჩემა. ამისთვის უნდა შეეთხზა, ჩვენი აზრით, შატბერდისეულ ცხოვრების ავტორს ყალბი და უხეირო წინასიტყვაობა.

ახლა შეიძლება უკანასკნელი დასკვნა გამოვთქვათ ნინოს ჩამომავლობისა და აღზრდის შესახებ და შემდეგ ნინოს ცხოვრების მეორე ნაწილის განხილვას შევუდგეთ.

ვინ უნდა ყოფილიყო ნინო, რა წოდებისა და ეროვნებისა, დაბეჯითებით არ ვიცით; შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ იგი ისეთ მოღვაწეთა ასული და ნათესავი არ ყოფილა, როგორიც ზაბილონი და იობენალია. ამის მშობლები იმდენად გამოჩენილები არ ყოფილან, რომ თანამედროვეებს (რუფინი, ბაკური) ყურადღება მიექციათ მათთვის და მათი სახელები დაეხსომებიათ. ნინო იყო ვილაც ტყვე— მხოლოდ ეს იციან რუფინიმ, „მოქცევაჲ ქართლისაჲმ“ და მოსე ხორენელმა. მხოლოდ VIII—IX საუკუნეებში ჩნდება ნინოს დედ-მამის და დედის ძმის სახელები

---

[*] იხ. ჯანაშვილის „აღვადგინე“, გვ. 74.

ცხოვრებაში, მაგრამ როგორც სახელები, ისე ვინაობის დასურათება შეთხზულია.

შევუდგეთ ახლა ნინოს ცხოვრების მეორე ნაწილს.

იმ დროს, როდესაც ნინოს დედა თავისი ძმის ბრძანებისამებრ იერუსალიმში გლახაკებს ემსახურებოდა, მისი თორმეტი წლის ქალი იერუსალიმშივე ერთ დვინელ სომეხთან ცხოვრობდა. ქალი რომ წამოიზარდა, ეფესოთგან მოსულ ელენე დედოფლის სეფე ქალს წაჰყვა, რომ დედოფალს ქრისტეს სარწმუნოება უქადაგოს.

„ოდეს მივედით", — გვიამბობს ნინო, — სახიდ მისა, მუნ ეპოვეთ დედოფალი ვინმე, მეფეთა ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იერუსალჱმით ნათლის ღებასა და ქრისტჱს ალსარებისათჳს სუროდა. მაშინ მიმცა მე ჴელთა მისთა დედაკაცმან მან და მიეეც მას ნათელი ჴელთა ქუეშე ჩემსა, მას და ორმეოცსა სულსა მის თანა სახლისა მისისათა და წარვედით სახიდ მისა, და ვიყვენით მუნ ორ წელ.

მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს, და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან, და ყოველმან პალატმან მათმან, დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოცდა ოთხსა, ხოლო ქრისტჱს ამაღლებითგან სამას და ათერთმეტსა და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა. მეშჳდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით, რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედა-მძუძჳ და ორმეოცდა ათი სული წარმოვემართენით"...

სომხეთს რომ მოვიდნენ, რიფსიმე და გაიანე ამხანაგებითურთ წვალებულ იყვნენ, ნინო კი გადარჩა განსაცდელს და საქართველოში ივლტოდა; აქ შევწყვიტოთ მოთხრობა.

ერთხელ რომ გადაიკითხოთ ნინოს ცხოვრების ეს ნაწილი, უეჭველ ისტორიულ ფაქტად გეჩვენებათ, თუმცა ამ წერილშიაც ბევრი რამაა უცნაური და გაუგებარი. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რად ცხოვრობს ნინო დვინელ სომეხ დედაკაცთან, როცა იმავ იერუსალიმში იყვნენ მისი დედა და ბიძა; თუ ნინოს დედა გლახაკებს ემსახურებოდა, ნუთუ თავის ერთ ქალს ვერ გამოზრდიდა? საკვირველია ეფესელი დედაკაცის და ნინოს საქციელიც. ეფესელი დედაკაცი ელენე დედოფლის მხევალია, „მახლობელი განზრახვისა" დედოფლისა. ნინოც, გაიგო რა ელენეს გაქრისტიანების სურვილი, ეხვეწება თავის აღმზრდელს „წარმავლინე დედოფლისა, ნუ უკუჱ მიმიახლოს სიტყჳს გებად მის წინაშე ქრისტჱსთჳს"-ო (ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხ., 12), მკითხველს ჰგონია, რომ ნინო და ელენეს მხევალი სასახლეში მოვლენ, მაგრამ მკითხველი ცდება, — დედოფლის მხევალი თურმე სასახლეში არც კი ცხოვრობს, იმას საკუთარი სახლი აქვს, ნინოს თავისთან მიიყვანს, იქ გამოჩნდა დედოფალი, მაგრამ ელენე კი არა, სხვა, — ვინმე ვადაგი, სახელით რიფსიმე, „რომელი ელოდა იჱრუსალიმით ნათლის ღებასა და ქრისტჱს აღსარებისათჳს სუროდა" (ibid., 13). შატბერდისეული ცხოვრების დამწერს თითქო სრულებით ავიწყდება, რომ ნინო ელენე დედოფლისათვის გამოჰყვა ეფესელ დედაკაცს, და ელენე დედოფლის წინაშე ნინოს ქადაგების შესახებ არას გვეუბნება. ცხოვრებაში თუმცა ნათქვამია — „მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან"-ო (ibid., გვ. 13), მაგრამ აქ არაფერია მოხსენიებული ნინოს ქადაგებრივ მოღვაწეობაზე სამეფო სახლობის წინაშე. ნინოს

---

* ახ. ვარ, ნინოს ცხ., გვ. 13.

ცხოვრების ავტორი, ცხადია, უმთავრესს ყურადღებას რიფსიმეს აქცევს, ამის გამო აზრდევინებს დვინელ სომეხს თორმეტი წლის ნინოს, ამიტომ არღვევს მოთხრობის ლოგიკურ მიმდინარეობას და ელენე დედოფლის მაგიერ რიფსიმეზე გვებაასება. მაშასადამე, ჩვენც ყურადღება მივაქციოთ ნინოს, რიფსიმესა და გაიანეს საბერძნეთით ლტოლვას, და ორი უკანასკნელის სომხეთში მარტვილობას. ნინოს ცხოვრების ამ ნაწილშიც რამდენიმე თარიღია აღნიშნული: „მეშვიდესა წელსა (კონსტანტინეს მოქცევიდგან), ნათქვამია ნინოს ცხოვრებაში, იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩვენი საბერძნეთით“... აქედანა ჩანს, რომ ნინოს და რიფსიმეს სივლტოლა ნიკეის კრების ერთი წლის შემდეგა ყოფილა.

ნიკეის მსოფლიო კრება 325 წ. იყო; მაშასადამე, ნინო და მისი ამხანაგები საბერძნეთით 326 წ. გამოქცეულან. ამ დროს კი კონსტანტინე მეფე იყო ბიზანტიის მმართველად, ქრისტიანობას უკვე მინიჭებული ჰქონდა თავისუფლება, მეტადრე მსოფლიო კრების შემდეგ და წმ. ქალწულების ამ დროს გამოქცევა და ქრისტიანობისათვის დევნა სრულებით შეუძლებელია. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის ცხოვრებაში, რომელშიაც იგივე რიფსიმეს და გაიანეს სომხეთად გამოქცევაა მოთხრობილი, ქალწულები დიოკლეტიანე მეფისგან დევნას გაურბიან, იმიტომ რომ დიოკლეტიანეს რიფსიმეს ცოლად შერთვა სურდაო. რამდენად დასაჯერებელია ეს უკანასკნელი მიზეზიც, ამის შესახებ მერე გვექნება ლაპარაკი. ჯერჯერობით კი ცხადი უნდა იყოს, რომ რაკი ნინო და რიფსიმე საბერძნეთით მორბოდნენ, 326 წელზე ცოტა ადრე მაინც უნდა გამოქცეულიყვნენ, იმიტომ რომ ამ დროს საბერძნეთშიც, სომხითშიც ქრისტიანობა გავრცელებული იყო და ქრისტიანობისათვის თრდატ მეფე ქალწულებს არ დატანჯავდა.

მაშასადამე, **თარიღი 326 სწორი არ არის და, რასაკვირველია, იგი არც ნინოს აღნიშნული იქნება, არც ნინოს თანამოღვაწისა.** ეფესელი დედაკაცისა და დვინელი სომეხის ამბავი უფრო გვარწმუნებს, რომ ნინოს და რიფსიმეს ამხანაგობა, მათი ერთად სომხეთს გამოქცევა, ნინოს სიკვდილის შემდეგ უნდა იყოს შეთხზული. ეს უკანასკნელი დასკვნა უფრო დამტკიცდება მაშინ, როცა განვიხილავთ საკითხს — რა კავშირი აქვს გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებას და რიფსიმესა და გაიანეს მარტვილობას.

ამ საკითხს კაი ხანია შეეხო გერმანელი მეცნიერი von Gudschmidt* და ამტკიცებდა, რომ რიფსიმესა და გაიანეს მარტვილობა თავდაპირველად ცალკე ცხოვრება იყო და გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებასთან არავითარი კავშირი ან დამოკიდებულობა არა ჰქონდაო[15]. პატივცემულმა მეცნიერმა თავისი აზრის დასამტკიცებლად ამ შემთხვევაში ისეთი საბუთები არ მოიყვანა, რომელთა მერყევა ასე თუ ისე არ შეიძლებოდეს. ზემომოყვანილი საკითხის გადაწყვეტის დროს, ჩვენი აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა დიოკლეტიანე მეფის თრდატისადმი გამოგზავნილ წერილსა აქვს, რადგან იქიდან ვიგებთ რისთვის სდევნიან ან დიოკლეტიანე, ან თრდატი რიფსიმეს და მის ამხანაგებს. ერთი სიტყვით, ეს წერილი წმ. ქალწულთა ცხოვრების ორ ნაწილს აერთებს—ბერძნულსა და სომხურს. როცა საქორწილოდ მომზადებულ დიოკლეტიანეს საცოლე რიფსიმე გამოექცა, იმწამსვე დაგზავნა ყველგან კაცები, რომ ქალი დაებრუნებინათ. დიოკლეტიანეს კაცებმა სომხეთსაც მოაღწიეს, თრდატ მეფეს იმპერატორის წერილი მიართვეს.

---

* იხ. Zeitschrift d. Daút. Margenländ. Gesell. 31 Bat., გვ. 1—60. „Agathangelos“, მეტადრე გვ. 34, 35.

ამ წერილში ნათქვამია, რარიგად მოსწონდა დიოკლეტიანეს რიფსიმე და როგორ აპირებდა იგი ქორწილს. ეს წერილი ასე თავდება.

«Զհրաշափառեալն գեղեցկագոյն ինձ ի սոյն այսրէն ուղարկեսցես, ապա թէ հաճոյ թուեսցի քեզ անձին գեղոյ նորա, այդրէն առ քեզ պահեսցես, զի ոչ երբեք գտանի նման ՚ի մեզ Յունաց աշխարհիս...» (Ագաթ., გვერდი 99).[13ა]

„მომხიბლავი ტურფა მე აქ გამომიგზავნე. ხოლო თუ მოგეწონოს (გესიამოვნოს) შენ სილამაზე მისი, მანდ შენთან დაინარჩუნე, — მაგისი მსგავსი არც მოიპოება ოდესმე ჩემს საბერძნეთში".

მეფე თრდატიც რიფსიმეს მოიწონებს, თავისთვის მოინდომებს ცოლად და ქალწულებს გაცხარებული აჟებნინებს.

ეს წერილი თავიდან ბოლომდე ყალბია, კილოც და შინაარსიც ცხადად ამტკიცებს ამას. განა დასაჯერებელია, რომ მეფემ, რომელსაც ცოლის შერთვა უნდა და საქორწილოდ მომზადებულია, თავისი გაქცეული საცოლე სხვას დაუთმოს, თანაც შეუთვალოს, „თუ მოგეწონოს, ინებე, მაგისი მსგავსი მთელ საბერძნეთში არ მოიპოვებაო"!.. ნუთუ დიოკლეტიანემ მხოლოდ იმიტომ შესძრა მთელი თავისი საბრძანებელი, ყველგან მხლებლები დაგზავნა, რომ ვისთვისმე ეთქვა, საცოლო გამომექცა და თუ მოგეწონოს შეირთეო?.. წერილის სიყალბე იმდენად ცხადია, რომ მეტი ლაპარაკი, ჩვენი აზრით, საჭირო არ არის. ხოლო რაკი დიოკლეტიანეს წერილის სიყალბე დამტკიცდა, მაშინ რიფსიმეს და გაიანეს მარტვილობის მოთხრობა მთლად ირღვევა, ირღვევა ის, რაც აკავშირებდა რიფსიმესა და გაიანეს სომხეთთან.

ზემოთ ნათქვამის შემდეგ ჩვენ ასე შეგვეძლია გავათავოთ ნინოს ცხოვრების მეორე ნაწილის განხილვა:

თავდაპირველად ნინოს და რიფსიმეს ცხოვრებათა შორის არავითარი კავშირი არ უნდა ყოფილიყო. შემდეგ რიფსიმეს მარტვილობა ნინოს ცხოვრებაში შეუტანიათ და წმ. ნინო ხან წმ. ქალწულთა ამხანაგად, ხან განმანათლებლად გაუხდიათ. ჯერჯერობით გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, როდის არის შეტანილი რიფსიმესა და გაიანეს მარტვილობა ნინოს ცხოვრებაში. **მაინც ცხადია, რიფსიმეს მარტვილობა უფრო ადრე უნდა იყოს შეტანილი, ვიდრე ნინოს დედმამის და ბიძის შესახები ცნობები, იმიტომ რომ ნინოს ისეთი ცხოვრება მოიპოვება, რომელშიაც ნინოს მშობლებზე არაფერია ნათქვამი, რიფსიმესა და ნინოს საბერძნეთით გამოქცევა კი უკვე შეტანილია იქ,** (მაგ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ", მოსე ხორენელის წყარო და სომხური სვინაქსარი). ამის გარდა, **ნინოს ცხოვრებაში შეტანილ რიფსიმესა და გაიანეს მარტვილობას უკვე სომხური გავლენა ატყვია.** როგორც შატბერდისეული ცხოვრების პირველი ნაწილი ნინოს ბრწყინვალე ჩამომავლობის დასამტკიცებლადაა, ამ გვარადვე მეორე ნაწილი უნდა გვიხსნიდეს იმას, თუ როგორ და რა მიზეზის გამო მოვიდა ნინო საქართველოში.

ნინოს თხრობაზევე მიბმულია თხრობა კვართის მოტანის შესახებ. შატბერდისეულ ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს, რომ ნინო ხშირად ჰკითხავდა ხოლმე დვინელ სომეხს სხვადასხვა ახალი და ძველი აღთქმის შესანიშნავ ამ-

პებსო, სხვათა შორის, უფლის კვართის შესახებაც. დვინელი სომეხიც მოუყვებოდა და დაწვრილებით უამბობდა ყველაფერს. მისი საუბარი უფრო სადღესასწაულოდ შეთხზულ ქადაგებას მოაგონებს კაცს, ვიდრე უბრალო მოთხრობას.

ქართულ საისტორიო მწერლობაში სამი სხვადასხვაგვარი თხრობაა კვართის მოტანის შესახებ. ერთი შეტანილია ქართლის ცხოვრებაში (გვ. 107—110), მეორე — სამეცნიერო აკადემიის ხელნაწერის ნინოს ცხოვრებაში (იხ. Марр. Хитон Господень გვ. 73—77) და მესამე — შატბერდისეულ წმ. ნინოს ცხოვრებაში (გვ. 29—36).

პირველ თხრობისამებრ კვართის მომტანი ელიოზ მცხეთელი და. ლონგინოზ კარსნელია; ეს ლონგინოზი უცებ ჩნდება, არც იმის ჩამომავლობა, არც ნათესაობა არაა მოხსენიებული და კვართის მოტანის შემდეგ ის უცებვე ქრება და მთელ მოთხრობაში იმაზე არაფერია ნათქვამი. ლონგინოზის სახელი, რასაკვირველია, განგებ არის დამატებული* ამ თხრობაში და შემთხზველის აზრით, უნდა თქმულების სიმართლეს ამტკიცებდეს.

მეორე თხრობაში ლონგიპოზზე არაფერია ნათქვამი, ის სრულებით არა ჩანს, ავტორი მხოლოდ გვარწმუნებს, სახარებიდანაც მტკიცდება, რომ ელიოზ მცხეთელი ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში იყოო. „ხოლო ვითარცა მიიწია იერუსალჱმს შეკრებული იყო ერი ჰურიათაჲ და დაამტკიცა ჯუარცმაჲ ქრისტესი, ხოლო არსადა ეზიარა განზრახვასა მათსა, არამედ შორს დგა იგი ხილვად არს სახარებასა შინა, ვითარმედ იყუნეს ვინმე წარმართთაგანნი, რომელნი აღმოსრულ იყვნეს იერუსალიმად დღესასწაულსა მას. იესოსა, ვითარცა იგი წერილ ესენი მოვიდეს ფილიპესსა, რომელი იყო ბედსაიდათ გალილიისათ და ეტყოდეს: „უფალო გუნებავს იესოსა ხილვაჲ“. მოვიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრიას“**. „ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან მოსულნი“ (Марр, Хитон Господ.). მესამე თხრობის შემთხზავი არც სახარებით ამტკიცებს თქმულების ჭეშმარიტებას, არც ლონგინოზს ასახელებს ელიოზის თანამოგზაურად. ავტორს სურს მკითხველი დაარწმუნოს, რომ თხრობა სანდო კაცის ხელით დაწერილია (ჩვეულებრივი ხერხი შატბერდისეულ ცხოვრების დამწერისა), რადგან მთხრობელი მღვდელ აბიათარის ასული, სიდონია დედაკაცი — თვით ელიოზის შთამომავალია. ვნახოთ, მართალია ეს ცნობაც, თუ არა? სიდონიასვე სიტყვით, გვაროვნობის შტო ამნაირად უნდა დაიხატოს:

„მოწერა ანა მღვდელმან მამასა მამისა ჩემისა ოზიაჲსა“... (ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხ., გვ. 32). ამბობს სიდონია — მაშასადამე

ოზია — მამა სიდონიას მამისა
აბიათარ — მამა სიდონიასი
სიდონია — „კვართის მოტანის“ ამბავის ავტორი.

„და წარვიდა აქაჲთ მამის დედის ძმაჲ ჩემი ელიოს, კაცი მოხუცებული და ესუა მას დედაჲ ტომისაგან ელი მღვდელისა, და ესუა ერთი მხოლოჲ დაჲ ელიოზს“... (ibid., გვ. 33). ეს ნაწყვეტი საზოგადოდ ძალიან საეჭვოა, — ამ ადგილის დაგვარად:

მამა აბიათარისი ოზია + ?
აბიათარ, მამა სიდონიასი (ელიოზის დისწული)
სიდონია (ელიოზის მამის დედის ძმაა).

---

* Н. Марр. Хитон Господень, გვ. 78, 79, 80, 81.

მაშასადამე, ელიოზის და, იმ ელიოზის, რომელიც ანა მღვდელმთავარმა იერუსალიმს მიიწვია იესოს საქმის გარჩევაზე, რომელმაც შემდეგ, თქმულებისამებრ, კვართი უფლისა მოიტანა საქართველოში, იყო სწორედ სიდონიას ბებია. რასაკვირველია, მას ეცოდინებოდა კვართის ამბავი, თუ ელიოზი მართლაც იერუსალიმში იყო. მაგრამ ბროსესი* არ იყოს, სიდონიას (IV საუკ.) ბებიის ძმა როგორ უნდა დასწრებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმას? განა შესაძლებელია, რომ სამმა თაობამ სამი საუკუნის განმავლობაში იცოცხლოს? ელიოზს შეეძლო მხოლოდ მეორე საუკუნის გასულს ეცხოვრა, ან მესამე საუკუნის დამდეგს. ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება ორი დასკვნა გამოვიყვანოთ: ან **ელიოზი სიდონიას ბებიის ძმაა, — მაშინ ის ჯვარცმას ვერ დაესწრებოდა და, რასაკვირველია, ვერც კვართს მოიტანდა,** ან — **ნათესავია.** ამ შემთხვევაში ნინოს ცხოვრების ავტორს უნდა დავეკითხოთ, **როგორ მოახერხა ღალოცვილმა ელიოზმა სამი დღის განმავლობაში** (სამ დღეს მოხდა იესო ქრისტეს შეპყრობა, სამართალი და ჯვარცმა სახარებისამებრ) **იერუსალიმიდან წყრილის მალებაც და იერუსალიმში მისვლაც.** ელიოზის სწრაფი მიმოსვლა სწორედ ზღაპრული გმირის მოგზაურობას მოაგონებს კაცს.

ჩვენ მოვიყვანო ამ თხრობის ერთ ნაწილს, რომელიც აგვიხსნის იმას, თუ როგორ არის შეთხზული კვართის თქმულება: „ამის ყოვლისა შემდგომად **თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნთაგან ვიცი კითხვით,** და მამისა ჩემისაგან თხრობილსა" (ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხ., გვ. 31). ეს უხეირო წინადადება გვიჩვენებს, რომ **თხრობა კვართის შესახებ წიგნებიდან ამოწერილ და ამონაკითხისაგან არის შედგენილი.**

მატბერდისეულ წმ. ნინოს ცხოვრების მესამე ნაწილი მოგვითხრობს იმას, თუ როგორ მკურნალობდა საქართველოში ეს მქადაგებელი და თან ქრისტიანობასაც ავრცელებდა ხალხში, შემდეგ როგორ უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება ჯერ ნანა დედოფალს, მერე მირიანსა. მირიანი სასწაულებრივმა შემთხვევამ მოაქციაო,— გვეუბნება მატბერდისეული ცხოვრება. რუფინი ამასვე ამბობს; ალბათ მზის დაბნელება თვით ქართლის მოქცევის თანამედროვეებს სასწაულად ჩაუთვლიათ. მოსე ხორენელი მზის დაბნელებას სხვანაირად მოგვითხრობს: მირიანმა მზის დაბნელების დროს თრდატის ეშვად ქცევა მოიგონა, შეშინდა, მეც იმასავით არ დამემართოსო, და ნინოს ღმერთს შეევედრაო *(Մ. Խորենացի.* გვ. *254).*

რუფინი ეკლესიის აშენების დროს მომხდარ სასწაულსაც მოგვითხრობს. მაშასადამე, ეს ამბავი ნინოს დროსვე გავრცელებული ყოფილა. ქართველებმა რომ ქრისტე იწამეს, ნინოს რჩევით მოციქულები გაგზავნეს საბერძნეთში, რომ ეს სასიხარულო ამბავი უმაღლესს სამღვდელოებისათვის შეეტყობინებინათ და მღვდელ-მოძღვარნი ეთხოვათ ახალი სამწყსოსათვის. ამ გარემოებას მ. ხორენელი სულ სხვანაირად მოგვითხრობს: ის არას ამბობს იმის შესახებ, რომ ქართველებმა მოციქულები საბერძნეთში გაგზავნეს, — საბერძნეთის და კონსტანტინეს მაგიერ კი ხორენელის მოთხრობაში სომხეთი და გრიგოლ განმანათლებელია. გრიგოლს უგზავნის ნინო მოციქულებს და ეკითხება, როგორ მოიქცეს შემდეგ. ხორენელი დასძენს, რომ გრიგოლმა მღვდლები საქართველოში არ გაგზავნა, ურჩია მხოლოდ, ძელი ცხოვრებისა აღმართეთ და კერპები დაამსხვრიეთ, მანამ

---

* Hist. de la G. t. I, стр. 106, п, 5.

ღმერთი წინამძღვრებს მოვცემთო (*«Մինչև ցօր տալոյ Տեառն հովիւ յառաջնորդութիւն նորա»* ibid. გვ. 255). რაკი ხორენელი არას ამბობს იმის შესახებ, თუ საიდან დაენიშნათ ქართველებს სამღვდელოება, და მწყემსები საქართველოში სომხითიდან არ მოუყვანიათ, ამიტომ უნდა გამოვირკვიოთ, რამდენად სამართლიანია ამ შემთხვევაში ცნობა მოციქულების გრიგოლ განმანათლებელთან გაგზავნის შესახებ. რუფინმა და იმის მეგობარმა მეფე ბაკურმა არა იციან რა სომხეთში გაგზავნილი მოციქულების შესახებ, ისინი გადაჭრით ამბობენ, რომ მოციქულები საბერძნეთში კონსტანტინე მეფესთან გაგზავნესო. ამ შემთხვევაში რუფინს და ბაკურს, როგორც თანამედროვეებს, რასაკვირველია, უფრო დაეჯერებათ, ეს მოღვაწეები აგრეთვე ისეთ დროს ცხოვრობდნენ, როცა ქრისტიანობას ჯერ ეროვნული, ნაციონალური აზრები შეთვისებული არა ჰქონდა, მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბაკურს განგებ, ან განზრახ შეეცვალოს სომხეთი საბერძნეთად და გრიგოლი კონსტანტინედ. მოსე ხორენელის მოთხრობილ ნინოს ცხოვრებას კი როგორც პრ. ხალათიანცი ამბობს, სომხური ეკლესიის და ეროვნული ტენდენციის გავლენა ატყვია (*Գր. Խալաթեան. Խորենացու նորագոյն աղբիւրների մասին. Վիեննա, 1898,* გვ. *49).*

ბ-ნ ხალათიანცს ჰგონია, რომ ეს ადგილი თვით მოსე ხორენელის შეთხზული უნდა იყოს სომხეთის ეკლესიის სასარგებლოდ, მაგრამ ამის თქმა და გადაწყვეტა ჯერჯერობით შეუძლებელია: ქართველ მოციქულთა სომხეთში გაგზავნა ნინოს და რიფსიმეს მეგობრობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. იმ მწერალს, რომელმაც იცოდა თქმულება იმის შესახებ, რომ წმ. ქალწულნი ამხანაგები იყვნენ, ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რომ ნინოს სასიხარულო ამბავი პირველად უნდა შეეტყობინებინა გრიგოლისათვის, იმ გრიგოლისათვის, რომლის ცხოვრებას და მოღვაწეობას რიფსიმესთან მჭიდრო კავშირი აქვს. ხოლო როგორ, სად და როდის დაიბადა ეს თქმულება, შეიძლება მხოლოდ მაშინ გაირკვეს, როცა ქართული და სომხური ეკლესიის უძველესი დროის ისტორია კვალდაკვალ შესწავლილი იქნება. არც ის პრ. ხალათიანცის აზრი უნდა იყოს სამართლიანი, ვითომც თქმულება ღრუბლის სვეტის, ჯვარი პატიოსნის და თორმეტი ვარსკვლავის შესახებ მ. ხორენელს შეეთხზას (ibid., გვ. 49—50). ძნელი დასაჯერებელია, რომ სომხეთის ეკლესიის ისეთი მაქებელ-მადიდებელი, როგორიც, ხალათიანცის აზრით, მოსე ხორენელი იყო, დამჯდარიყოს და ქართულ ეკლესიისათვის თქმულებები შეეთხზას. ჩვენი აზრით, მღვდ. მესროპ ტერ-მოსესიანი (*Մեսրոպ Տէր Մովսէսեան. Սոկրատայ Սքոլաստ. Եկեղեց. Պատմ. Վաղարշապատ* გვ. *Հ. Ա)* უფრო სწორედა სჯის, როცა ამტკიცებს, რომ მოსე ხორენელს ეს თქმულება ბერძნული ან ქართული წყაროებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. მეტაფრასეულ ნინოს ცხოვრებაში არის კიდეც „სვეტი ნათლისა" და „ათორმეტი ვარსკვლავნი" (იხ. გვ. 53) და ამაზე მეტიც. ეს თქმულება შესაძლებელია მეტაფრასეული ცხოვრების წინათაც ყოფილიყო.

ახლა ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ მირიან მეფის წერილი, რომელიც არც ერთ ახალ ცნობას არ გვატყობინებს და იმასვე მოგვითხრობს, რასაც სიდონია, სალომე უჯარმელი, აბიათარი და იაკობი გვიამბობენ, მხოლოდ მირიანის წერილის ცნობებს უფრო ზღაპრული სახე აქვს და აშკარად გაზვიადება ატყვია: მაგ. (იხ. ვარ. წმ. ნინოს ცხ., გვ. 68)... „შე(ა)ჭამნეს შვილნი მათნი მსხვერპლად კერპთა-

თჳს საძაგელთა... შვილთა მათთა, ვითარცა თიჳსა, თიბდეს მამანი ჩუენნი, რათა სათნო იყვნენ კერპთა", ან კიდევ უცნაური თქმულება იმ ხის შესახებ, რომელიც შემდეგ ჯვრად მოჰკვეთეს (ibid., გვ. 69). ეს თქმულება სრულებით არ არის იაკობის წერილში.

ჩვენთვის, რასაკვირველია, ყველა ამ სასწაულზე უფრო საყურადღებო და საინტერესოა ვიცოდეთ, რა და რა ადგილას იქადაგა წ̃ა ნინომ ქრისტიანობა და როგორ ვრცელდებოდა ახალი სარწმუნოება საქართველოში, — მაგრამ შატბერდისეული ცხოვრება უფრო სასწაულმოქმედებით არის გართული და დიდმნიშვნელოვან გარემოებათა აღწერა ავიწყდება. ამ კითხვის პასუხს ვერ ვღირსებოდით, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" არ შეენახა ჩვენთვის ძვირფასი ცნობები ამ საგნის შესახებ (იხ. ჟორდანია. ქრონიკები, წ. I, გვ. 32, 33). ქართლში რომ იქადაგა ნინომ, მთიულეთში დაუწყია ახალ სარწმუნოების გავრცელება, მაგრამ მათ „განუყარეს თავი" და ახალი მოძღვრება და ამ მოძღვრების მქადაგებელი უარჰყვესო. სწორედ ასე უნდა მომხდარიყო: ყველგან მთიულები უფრო მისდევენ ძველებურ, მამაპაპურ ზნეჩვეულებას და რწმენას, ვიდრე ბარის მცხოვრებნი. ეს ცნობა მთიელების შესახებ უძველეს, დაუმახინჯებელ საბუთებიდან უნდა იყოს შერჩენილი, რადგან შემდეგში რომ ეპოვათ, ან შატბერდისეულ ცხოვრებასავით გამოსტოვებდნენ ამ ცნობას, ან შიომღვიმის № 170 ხელთნაწერივით იტყოდნენ — „უმრავლესმან ქართველთა ნათესავმან პირველვე უკვე ნათელი იღო, რაჟამს იგი პირველ ეპისკოპოზი მოვიდა"-ო*. ქრისტიანობა კი რომ არც ასე სწრაფად გავრცელებულა, ამას „მოქცევაჲ ქართლისაჲც" მოგვითხრობს: მეხუთე საუკუნეშიც კი „მოგუნი მოვუვეთას მოგუობდეს ცეცხლის მსახურებასა ზედა".**

საზოგადოდ, ყველა იმ მასალას შორის, რომელიც ჩვენ ქართულად, სომხურად და ლათინურად ნინოს და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ გვაქვს, საუკეთესოდ უნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობები ჩაითვალოს.

წ̃ა ნინო გარდაიცვალა სოფელ ბუდს, ანუ ბოდს.

აქ შეიძლება შევაჩეროთ გამოკვლევა და ჩვენ თავს დავეკითხოთ, რა ახალი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ ყველა ამ მასალის შესწავლის შემდეგ, და რა და რა ცნობები შეიძლება შევიტანოთ საქართველოს სამეცნიერო საეკლესიო თუ საერო ისტორიაში?

მეოთხე საუკუნის დამდეგს, საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა ერთმა ტყვემ; ქართველი მატიანეები მას ნინოს ეძახიან, სომხური ნუნეს***, იმის ჩამომავლობისა და გვარტომობის შესახებ არა ვიცით რა. 337 წ. ახლო ხანებში ქართველობის ერთმა ნაწილმა მეფის სახლობითურთ ქრისტიანობა მიიღო და კონსტანტინე მეფეს ბიზანტიით სამღვდელოების გამოგზავნა სთხოვა; კონსტანტინემ ქართველებს თხოვნა აუსრულა, გაუგზავნა რამდენიმე მღვდელი, მღვდელმთავარი, რომელთაც ნათელი სცეს ახალმოქცეულებს. ზოგიერთმა მთიელმა ახალი სარწმუნოება არ მიიღო და წინაალმდეგობაც გაუწია. ჩვენ არ ვიცით, რო-

---

* ჟორდანია. ქრონიკები, I, 31, შენ. 64.

** ibid., გვ. 44.

*** ეთიოპური თეოგნოსტას.

დის დაუწერიათ პირველად ნინოს ცხოვრება. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ქართულად არც ერთი ისეთი ნინოს ცხოვრება, რომელიც ნინოს თანამედროვეს თხზულებად შეიძლებოდეს ჩაითვალოს. ყველა იმ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, გადაკეთება და დამატება ატყვია და თქმულების ხასიათი აქვს. **უპირველესად ნინოს ცხოვრებისთვის ის თქმულება უნდა დაესატებინათ, რომელიც ნინოს, რიფსიმესა და გაიანეს ამხანაგად ასახელებს და მათ საბერძნეთით ხივლტოლას მოგვითხრობს** (ამგვარია „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მოსე ხორენელის მოთხრ.). რადგან ეს თქმულება სომხურ და ქართულ ეკლესიების პირვანდელ ერთობას გვიხატავს, შეიძლება იგი ამ ორი ეროვნების სამღვდელოების წრეში იყოს შეთხზული, თუმცა ამ თქმულებაში სომხური ტენდენცია ჭარბობს. შემდევ **კიდევ—ნინოს ცხოვრებას დედ-მამასა და ნათესაობის ისტორია დაემატა**, რომელიც წმ. ქალწულის ბრწყინვალე ჩამომავლობის დასამტკიცებლადაა შეტანილი. პრ. ბოლოტოვი ამტკიცებს*, რომ ქრისტიანობა საქართველოში ბაკურის დროს გავრცელდა და მირიანს შემდეგ მიაწერეს ისტორიკოსებმაო, — შესაძლებელია — მაგრამ რადგან ამ საკითხის გადასაწყვეტად ცალკე გამოკვლევაა საჭირო, სადაც მეფეების გვაროვნობითი შტო და ეხლანდელი ქრონოლოგიური ცნობები (რომელნიც ძალიან საეჭვო საფუძველზე არიან დამყარებულნი) გამოკვლეული და განხილული იქნება, ამიტომ ამ საგანს ახლა თავს ვანებებთ.

ნინოს ცხოვრებამ ერთხელ კიდევ იცვალა ფერი: **თანდათან მოამბედ, შინაარსის სამართლიანობის დასამტკიცებლად, თვით ნინო და მისი თანამედროვეები გამოსახეს.** სახელდობრ ვის უნდა შეეცვალა ამნაირად ნინოს ცხოვრება, ჯერ ამის თქმა არ შეიძლება. აშკარაა მხოლოდ, რომ ეს შატბერდისეული ცხოვრების დამწერის საქმე არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ბევრი კიდევ სხვა თხზულება ყოფილა, რომელიც ხან ნინოს, ხან მის თანამოღვაწის სახელით იყო დაწერილი, თუმცა კი შატბერდისეულ ცხოვრებაში არ არის შეტანილი; მაგ., ანდერძი ნინოსი, პეროჟავრა სივნიელის ნაწერი და ამ აზრის საუცხოოდ დამამტკიცებელი „ორი ქადაგება წმ. ნინოსი"** (იხ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, გვ. IV), რომელიც X საუკ. ხელნაწერში აღმოჩნდა. უეჭველია, ამნაირი თხზულებანი შემდეგშიც აღმოჩნდება.

ამ ცხოვრების შესწავლამ, მაშასადამე, ერთი კიდევ ფრიად საყურადღებო დასკვნა შეგვძინა იმის შესახებ, **რომ ჩვენშიაც ყოფილა ის სასულიერო მწერლობის დარგი, რომელსაც ყალბსათაურიანი, ანუ ფსევდოეპიგრაფიკული მწერლობა** ეწოდება და რომელიც ყველგან გავრცელებული იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში.

შატბერდისეული ნინოს ცხოვრებაც ეკუთვნის სწორედ ფსევდოეპიგრაფიკულ მწერლობას.

2. ანდრია პირველწოდებული

ჩვენ საეკლესიო და საერო ისტორიებში ჯერ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლაა ხოლმე მოთხრობილი, შემდეგ ნინოს მოღვაწეობა. ჩვენ ამ გზას ავუხვიეთ და წმ. ქალწულის ცხოვრების განხილვა დავიწყეთ, იმიტომ რომ ჩვენთვის საჭირო იყო გვცოდნოდა, როდის არის შედგენილი შატ-

---

* «Христианское Чтенiе», 1898, № 4. გვ. 263.

** მ. ჯანაშვილმა გამოსცა კიდეც. იხ. История Груз. Церкви, кн. I.

ბერდისეული ნინოს ცხოვრების წინასიტყვაობა ანუ შესავალი, ამ შესავალზე იქნება დამყარებული შემდეგში ერთი ჩვენთვის ფრიად საყურადღებო დასკვნა. ყველა ჩვენი ისტორიკოსი დარწმუნებულია, რომ ანდრია პირველწოდებული საქართველოში იყო და ივერიელებს ქრისტეს მოძღვრება უქადაგა; ანდრია მოციქულის ქადაგებამ მოამზადა ქართველები, შეაჩვია და შეაგნებინა ქრისტიანობის დიადი მოძღვრება, რომელიც მეოთხე საუკუნეში საკვირველის სისწრაფით გავრცელდაო. „საქართველო მზადდებოდა, ამბობს, მაგალითად, განსვენებული ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, ქრისტეს სახარების მისაღებად მრავალი ჟამი. იმისი საფუძველი აქ დაიდო მოციქულების დროსვე... წილის ხვდომით ჩვენი პონტი ერგო ანდრია მოციქულს“ (ისტ. საქ., გვ. 107). ამასვე ამბობენ მ. ბროსეც*. და დანარჩენი მკვლევარნი, რომელნიც ამ ორი მეცნიერის სიტყვებს იმეორებენ. ჩვენი აზრით, საყურადღებოა მხოლოდ პ. იოსელიანის ცნობა ვითომ „ძველი თქმულება“ ანდრიას საქართველოში ქადაგების შესახებ წმ. ნინოს დროსვე იცოდნენ ქართველებმა**. თუმცა მას არ მოჰყავს ის საბუთი, რომლიდანაც ეს ცნობა ამოულია, მაგრამ განსვენებული მეცნიერის ზემომოყვანილი დასკვნა „ქართლის ცხოვრებაზე“ უნდა იყოს დამყარებული, სადაც ნინოს ცხოვრებას ანდრია მოციქულის მიმოსვლა მიუძღვის. ამ გარემოებიდან, რასაკვირველია, არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, ვითომც ნინოს თანამედროვეებს ანდრიას მიმოსვლის თქმულება სცოდნოდეთ, — სამაგიეროდ ისტორიული მოსაზრება, რომელსაც ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ, მგონი წინაალმდეგს უნდა გვიმტკიცებდეს. შატბერდისეულ ნინოს ცხოვრების შესავალში მოთხრობილია, როგორ ესაუბრებოდნენ მქადაგებელს მისი მოწაფეები. აი რას ეუბნებიან, სხვათა შორის, ქალწულს მისი თანამოღვაწენი: ...„ესე რა გვისწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილარიან **წინასწარმეტყუელნი პირველ მოსლვამდÐ მისა ღუთისა ქუÐყანად და მერე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოცდაათორმეტნი და ჩუÐნდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ“** (ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხ., გვ. 2).

ცხადია, ეს წინადადება შეეძლო ეთქვა ან შეეთხზა მხოლოდ იმას, რომელმაც არაფერი არ იცოდა ანდრიას საქართველოში მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ. ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, რომ შატბერდისეულ ცხოვრების წინასიტყვაობა ყალბია და შემდეგ დამატებული, ამიტომ, რასაკვირველია, ეს ნაწყვეტი გვიჩვენებს მხოლოდ, რომ როცა შატბერდისეული ცხოვრების შესავალი იწერებოდა, ესე იგი VIII—IX საუკ. განათლებულ ქართველებს ანდრიას საქართველოში მიმოსვლის თქმულება არ სცოდნიათ. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, იცოდნენ თუ არა ჩვენმა წინაპრებმა მეცხრე საუკუნემდე ეს თქმულება?

ბიზანტიელი ისტორიკოსი რუფინი, რომელიც ქართლის მოქცევის შესახებ ქართველთა მეფის ბაკურის ნაამბობს მოგვითხრობს,[17] ანდრიას საქართველოში მიმოსვლაზე არას ამბობს. ბაკურს რომ შეეტყობინებინა რამე პირველწოდებულის მიმოსვლის შესახებ, უეჭველია, რუფინი ყურადღებას მიაქცევდა, თავის ისტორიაში შეიტანდა. ბაკური კი ისეთი კაცი იყო, „cui summa erat cura et religionis et veritatis“[18], და ანდრიაზე რომ თქმულება სცოდნოდა, უთუოდ უამბობდა თავის მეგობარ რუფინს.

---

* საქართველოს ისტორია, გვ. 36, 37, 38, 39.

** Пл. Иоселиани, Краткая История Грузинской Церкви, 1843, გვ. 2, შენ. 3.

არც პეტრე მაიომელმა[19], ქართველ მეფის ძემ, არც მისმა მოწაფემ, პეტრეს ცხოვრების დამწერმა, იციან რამ ანდრიაზე: ამ მაიომელ ეპისკოპოსის ცხოვრებაში მოხსენიებულია მხოლოდ საქართველოს მოქცევა მეფე ბაკურის, პეტრეს პაპის დროს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ანდრიაზე საქართველოში თქმულება ყოფილიყო და ეს თქმულება არ სცოდნოდეს პეტრე მაიომელ ეპისკოპოსს. იმისი ცხოვრების ავტორიც, რომ სცოდნოდა, შეიტანდა თავის ნაწერში ამ ამბავს; რასაკვირველია, შეიძლება თქმულება ანდრიაზე იმიტომ არ იყო შეტანილი ცხოვრებაში, რომ მას ცხოვრებასთან პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს, მაგრამ ამ ზემომოყვანილ ცხადი ცნობის შემდეგ, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ანდრიაზე ჩვენ წინაპრებს არა სცოდნიათ რა, შეიძლება ეს პეტრე მაიომელის ცხოვრების ანდრიას მიმოსვლაზე დუმილიც, არცოდნად ჩავთვალოთ. მით უფრო, რომ **„მოქცევაჲ ქართლისაჲმაც", ჩვენმა უძველესმა საისტორიო მატიანემ, არა იცის რა ანდრიას საქართველოში მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ.** თუ პეტრე მაიომელის ცხოვრების დუმილის ახსნა სხვა მიზეზით შეიძლება, ამ შემთხვევაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" დუმილი მხოლოდ უცოდინარობით უნდა აიხსნას. ეს მატიანე შედგენილია, როგორც სხვა მკვლევარნიც ფიქრობენ, VII—VIII საუკ. მაშასადამე, IV საუკუნეში (ბაკური, რუფინი), V—VI საუკ. (პეტრე მაიომ., პეტრეს ცხოვრების ავტორი). VII—VIII და VIII—IX საუკუნეებშიაც ჩვენმა წინაპრებმა ანდრიას მიმოსვლაზე საქართველოში და ქადაგებაზე არა იცოდნენ რა.

იმ საკითხის გამოძიებას, თუ რომელმა მოციქულმა გაავრცელა ქრისტიანობა საქართველოში შეიძლება ჩვენი წინაპრები მაშინ შესდგომოდნენ, როცა ანტიოქიის პატრიარქი ქართულ ეკლესიას თვითმართველობას აძლევდა, — იმიტომ რომ ეკლესიის თვითმართველობისათვის ძველად აუცილებლად საჭირო იყო, რომ იქ ერთ-ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს დაემყარებინა ქრისტიანობა. მაგრამ იმ დროს, როცა ქართველობამ ეკლესიის თვითმართველობა მიიღო, ქრისტიანები საზოგადოდ ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ დოგმატიური და სქოლასტიკური პაექრობისათვის არ ეცალათ. მაჰმადიანებით გარშემორტყმულნი, უცხო თესლთ ბატონობის ქვეშე, ქრისტიანები მხოლოდ იმისათვის უნდა ცდილიყვნენ, რომ თავიანთი მოყვასები, ერთმორწმუნენი მაჰმადიანთა საბრძოლველად გაემხნევებინათ და ზურგი გაემაგრებინათ მათთვის. ამისათვის კი, სხვათა შორის, უმაღლესი საკუთარი სასულიერო მთავრობის ყოლა იყო საჭირო, რომ მათ თავიანთ მაგალითით და მხნეობით სამწყსო გაემაგრებინათ. ამგვარი უმაღლესი სასულიერო მთავრობის მზრუნველობა მაშინ აკლდა ქართველობას, იმიტომ რომ ქართველი მღვდელთმთავარნი ანტიოქიაში უნდა ყოფილიყვნენ ხელდასხმულნი; ანტიოქიაში კი ამ დროს უწესოება სუფევდა, პატრიარქი არ იყო (611—659; 682—683 წწ.). მიმოსვლაც ძალიან საშიში იქნებოდა, რასაკვირველია. აი რას ამბობს ამის შესახებ მემატიანე მიხეილ ბრეკი* თავის ანტიოქიის პატრიარქთა ნუსხაში:[20] „თეოფილაკტე ედესელი... († 751) მის პატრიარქობამდის საქართველოში ანუ იბერიაში იმ დროიდან დაწყებული, როცა ქართველებმა ქრისტე იწამეს... ისეთი ჩვეულება იყო, რომ ერთ რომელიმე ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ მის მოადგილედ ამორჩეული ანტიოქიაში ხელდასხმისათვის მიდიოდა. თეო-

* См. Порфирий. Восток Христ. Сирия, გვ. 51.

ფილაქტე პატრიარქის დროსაც ქართველებმა 12 ხუცესი გაგზავნეს... რომ ხელდასხმულნი უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ გზაზე სარკინოზთა მეკობრეებმა მათგან 10 კაცი მოკლეს... გადარჩნენ მარტო ორნი, ანტიოქიას რომ მიაღწიეს, მათ თეოფილაქტეს შეატყობინეს, რაც შეემთხვათ. პატრიარქმა თავისი არქიელნი შეკრიბა და გაუზიარა მათ, რაც ამ ხუცესებს შეეხებოდა... და დასძინა: რადგან მათი სამშობლო შორსაა და გზებიც საშიშია, ამიტომ ამათი ეკლესიის საქმე სხვანაირად მოვაგვაროთო. მაშინ ამ ადგილობრივ კრების მამებმა და ზემოხსენებულმა პატრიარქმა გადაწყვიტეს ხელდაესხათ ერთ-ერთ ხუცესისთვის, კათალიკოსადაც დაეყენებინათ და ეპისკოპოსთა და მიტროპოლიტთა ხელდასხმის უფლება მიენიჭებინათ საჭიროებისამებრ; „იმ ეპისკოპოსებმა იგი თავიანთ წირვის დროს უნდა მოიხსენიონ, ხოლო კათალიკოზმა მოიხსენიოს ანტიოქის პატრიარქის სახელი; (კათალიკოზი) რომ მოკვდება, შეიკრიბონ არქიელები და აირჩევენ რა მის მაგიერს, ხელი დაასხან“-ო...

მაშასადამე, თვითმართველობის მინიჭების დროს ანდრიას ქადაგებაზე სიტყვა არ ჩამოუგდიათ; საქართველოს ეკლესია პეტრე (XI საუკ.) პატრიარქის დრომდის მაინც ჯერ კიდევ ანტიოქიას ექვემდებარებოდა. ახლა მხოლოდ ერთი გარემოებაღა გვიშლის და არღვევს ჩვენ ზემოთ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ქართველებმა IX საუკ. არ იცოდნენ ანდრიას მიმოსვლაზე. პეტრე მაიომელის ქართულ ცხოვრებაში ნათქვამია (იხ. Пал. Сбор. 47 вып., გვ. 3): „იქადაგა ქადაგება იგი წმიდისა სახარებისა დიდებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრეასა მიერ ქუეყანასა მას ქართლისასა, ვითარცა დასწერს ნიკიტა საღმრთო და ფილოსოფოსი მიმოსვლათა შინა და ქადაგებათა წმიდისა მის მოციქულისათა“... თუ პეტრე მაიომელის ცხოვრება, ან ეს ადგილი, დიდი ხნის შედგენილია, მაშინ ეს ნაწყვეტი ჩვენ ზემომოყვანილ დასკვნას არღვევს. ხოლო რომ გავიგოთ, როდის უნდა იყოს მაიმელ მამის ქართული ცხოვრება, ან ეს ადგილი დაწერილი უნდა თავდაპირველად გამოვარკვიოთ, ვინაა ეს ნიკიტა ფილოსოფოსი, რომლის თხზულებაზეც დამყარებულია ცნობა ანდრიას საქართველოში ქადაგებაზე. ამ საკითხს განსვენებული მეცნიერი მ. ბროსეც შეეხო და თავისი ცოტა არ იყოს აჩქარებული აზრი გამოსთქვა; ნიკიტა სალმრთო და ფილოსოფოსი, იმის აზრით*, V საუკუნის ქართველი მწერალი იყო, ე. ი. იმ დროის მწერალი, როცა საქართველოში ანდრიას მიმოსვლასა და ქადაგებაზე თქმულებები არ იყო გამქრალიო. ამგვარი დასკვნა მის ზემომოყვანილ ნაწყვეტიდან გამოჰყავს, მაგრამ იქ არსადაა ნათქვამი, რომ ნიკიტა ქართველი ყოფილიყოს, ან მას V საუკუნეში ეცხოვროს. ჯერ ერთი, რომ ჩვენ მეხუთე საუკუნის ქართველ მწერლებზე არა ვიცით რა, არც მათ სახელებსა და არც მათ არსებობის შესახებ ცნობებს ჩვენამდის არ მოუღწევია. ვიცით მხოლოდ ორი ძველი მთარგმნელის სახელი — დავით და სტეფანე, რომელთაც VII—VIII საუკ. უნდა ეცხოვრათ. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ქართულად არც ერთი ანდრიას მიმოსვლა არ არსებობს, რომელიც ნიკიტას დაწერილად ითვლებოდეს, ბროსე ძალიან შესცდა, — ცნობილი ბიზანტიელი მეცხრე საუკ. მწერალი ნიკიტა პაფლაგონიელი (+890) მეხუთე საუკუნის ქართველ მწერლად გახადა.

ნიკიტა პაფლაგონიელს მართლაც ნართაულად ანუ მეტსახელად ფილოსოფოსი ერქვა (Krumbacher, Geschichte der Bizantin. Literatur, გვ. 16, § 375) და წმინდათა შესხმასა სწერდა; ანდრიას შესხმაცა აქვს დაწერილი ამ „ფილო-

* Hist. de la G. t. I. p. 60. 5.

სოფოსს“ და შესხმაში მართლაც ანდრია მოციქულის იბერიაში მიმოსვლასაც იგონებს:

Σὺ δέ μοι, σεβασμιώτατε Ἀνδρέα,... τὴν βοῤῥᾶν κληρωθείς, Ἴβηρας καὶ Σαυρομάτας, Ταύρους καὶ Σκύθας, καὶ πᾶσαν χώραν καὶ πόλιν ὅσαι τε πρὸς ἄρκτον Εὐξείνου τοῦ Πόντου, καὶ ὅσαι πρὸς νότον διάκεινται περιιὼν ἔδραμες ἐν δόξῃ δοξάζων τὸν Ἰησοῦν (Nicetae Paphlagonis oratio IV in laudem S. Andreae, Migne patrologia, 165 t., გვ. 64), „ხოლო შენ, ჩემო უპატივცემულესო ანდრიავ, წილად გხვდა რა ჩრდილოეთი იბერნი და სარმატნი, ტავრნი, და სკვითნი და ყოველი ქვეყანა და ქალაქი, რომელი პონტ ევქსინის ჩრდილოდ და რომელნი სამხრეთით მდებარეობენ, მიმოიარენ ქრისტეს დიდების წყურვილეულმა“.

პეტრე მაიომელის ცხოვრების ზემომოყვანილი ნაწყვეტი, მაშასადამე, შეიძლება მხოლოდ მეცხრე საუკუნის შემდეგ იყოს დაწერილი. რაკი ეს საკითხიც გამოირკვა, და დამტკიცდა, რომ მაიომელი ეპისკოპოსის ქართულ ცხოვრებას ჩვენი საკამათო საგნისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ ახლა შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ **ქართველობას მეცხრე საუკუნემდე ანდრიას იბერიაში მიმოსვლასა და ქადაგებაზე არა სცოდნია რა.**

მაშინ როდის და როგორ შეიტყვეს ჩვენმა წინაპრებმა, რომ ჩვენში ანდრიამ დასდო ქრისტიანობას საფუძველი? წინათ, როცა მეცნიერება და განათლება სამღვდელოების განსაკუთრებულ კუთვნილებას შეადგენდა, როცა სასულიერო წოდება საზოგადოდ და, კერძოდ, მონაზონები სწავლა-განათლების თითქმის ერთადერთ წარმომადგენლებად იყვნენ, მაშინ, მონასტერიც მეცნიერების ტაძრად იყო გადაქცეული, ჩვენი წინაპრებისათვის ამგვარ მეცნიერებისა და სწავლა-განათლების ტაძრებად ქართული მონასტრები ათონზე, პალესტინასა და ასურეთში იყო. ამ სავანეების დაფუძნების შემდეგ იწყება საუკეთესო, ნაყოფიერი ხანა ჩვენის სასულიერო მწერლობისა. ქართველი ბერები უცხო ქვეყნელ ბერებს უახლოვდებოდნენ, საუკეთესო ბიზანტიელ და ასურელ მწერლების თხზულებებსა კითხულობდნენ, უკვირდებოდნენ და უფრო მეტად, უფრო ცხადად ხედავდნენ თავიანთ მშობლიური მწერლობის სიღარიბეს, მაშინ უფრო აგონდებოდათ ხოლმე ის ნაკლი, რომლის შევსებაც აუცილებლად საჭირო იყო. ამგვარმა სულიერმა აღებმიცემობამ ბევრ განათლებულ ქართველ ბერს აღუძრა სურვილი, და მშობლიური მწერლობის გამდიდრება მოანდომებინა. სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა კაცი საკვირველი და დიდი, რომლის ღვაწლი დაუფასებელია ქართული მწერლობის წინაშე, მამა ექვთიმე ათონელი. მის თხზულებათა და თარგმანების ნუსხაში, სხვათა შორის, ანდრია მოციქულის მიმოსვლაც არის მოხსენიებული (იხ. А. Цагарели. Свед. о памят. груз. письм. ٌ. I, გვ. 58). იქნებ თვით ექვთიმემ მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ ანდრია საქართველოში მოღვაწეობდა, როცა ანდრიას მიმოსვლა გადაიკითხა და თარგმნა განიზრახა. ის ქართველი ბერები, რომელნიც უცხო ქვეყნებში ცხოვრობდნენ, ხშირად იგრძნობდნენ ხოლმე, რომ საჭიროა საფუძვლიანად დამტკიცდეს ქართულ ეკლესიის თვითმმართველობის უფლება. ღვთისმეტყველთა პაექრობა ბიზანტიელი მეფისა და პატრიარქის სასახლეებში ხშირად შეეხებოდა ხოლმე ამგვარ საკამათო საგნებს, ამა თუ იმ ეკლესიის თვითმმართველობის უფლებებს. ქართველებიც ამგვარი პაექრობისათვის უნდა მომზადებულიყვნენ, სხვადასხვა მოციქულთა მიმოსვლა გადაეკითხათ და მასალები და საბუთები მოეძებნათ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების დამწერი ქართველ ბერთა და ბიზანტიის სამღვდელოებას შორის

ატეხილ ერთ ამგვარ კამათს მოგვითხრობს*... „ვიეთთამე მრავალ ღონეთა და მანქანებითა მოაყსენეს და აუწყეს პატრიარქსა (იოანე ანტიოქელსა), ვითარმედ: „ვითარ ესე მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღდელთ მოძღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თჳთ დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და არა სამართალ **არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისულ არს ქუეყანასა** მათსა"... ანტიოქიელმა პატრიარქმა ეს მოსაზრება მოიწონა და როცა გიორგი მთაწმინდელი იმასთან იყო, ამბობს მისი ცხოვრების ავტორი, უთხრა: „შენ, ჵ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ. ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და მღდელთ-მოძღუარნი თქუენნი ჳელსა ქუეშე სამოციქულოჲსა ამის საყდრისასა იმწყსებოდენ, და ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისაჲთა"... ექვთიმის მონასტრიდან მოსულ გიორგის საბუთი დამზადებული ჰქონდა: „ხოლო ნეტარმან მან დაწყნარებით და ნელიად :რქუა პატრიარქსა, ვითარმედ: ..."ვინ არიან უგუნურნი იგი გამზრახნი შენნი ანუ რად ესრეთ უგუნურად შეჰრაცხე ესე ნათესავი ქართველთაჲ წრფელი და უმანკოჲ? აჰა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ. მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი, მ ო ღ ე ბ ა დ ე ც წ ი გ ნ ი მ ი მ ო ს ლ ვ ა ჲ ა ნ დ რ ი ა მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა ჲ დ ა მ უ ნ ი თ გ ე უ წ ყ ო ს ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი თ ქ უ ე ნ ი. ხოლო პატრიარქმან უბრძანა თეოფილეს, ნათესავით ქართველსა, რომელ იყო უკანაჲსკნელ ტარსუს მიტროპოლიტ იქმნა, მოღებაჲ წიგნისაჲ მის, და ვითარ მოიღეს, პირველ წარკითხვისა ჰრქუა ბერმან პატრიარქსა: „წმინდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მისი მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ჰზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების... (ibid., გვ. 282). წმიდაო მეუფეო, ჰშუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ"...[21] აი საუცხოო მაშინდელი განათლებული სამღვდელოების სჯა-ბაასის ნიმუში, აქ იჩენდნენ ნასწავლი ბერები თავიანთ გონებამახვილობას, მჭევრმეტყველებას და მომხრენი გამარჯვებას დღესასწაულობდნენ ხოლმე. ამგვარი პაექრობა იმდენად გავრცელებული ყოფილა და იმდენად გამწვავებული კამათიც ჰქონიათ ხოლმე, რომ ეფრემ მცირემ ცალკე გამოკვლევაც კი დაწერა იმის შესახებ, თუ ვინ უცხო მწერალთაგანი როდის ან სად იხსენიებს ქართველთა მოქცევას, რომ „უკეთუ უნდეს ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად", ქართველმა ბერმა პასუხი მიუგოს. ეფრემ მცირეს წერილის დასასრული, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, ცხადად გვიჩვენებს, რომ მისი გამოკვლევა ამგვარ მოთხოვნილების გამო იყო დაწერილი: „ესე მცირედნი სიტყუანი ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესილნი წმიდათა წიგნთაგან ერთად შემოკრიბნენ ჯერჩინებითა შენითა კაცო ღუთისაო, **რომელმან ესე უწყი ვითარ მრავალნი მრავალ გზის ამათ პირთათჳს გუკითხიდეს და დაბრკოლდებოდეს ჩუენთჳს უმეცრებით ვითარცა თჳთ განდგომილთა საყდრისაგან დიდისა პეტრე მოციქუ-**

* ჩუბინაშვილი. Грузинское Христианство, часть I, 1846 წ. გვ. 280, 281.

ლთა თავისა" (ჟორდანია, ქრონიკები, წ. I, გვ. 53). იმის შემდეგ, როცა ამგვარი გამოკვლევა და გამოძიება დაწერილი იყო, ანდრიას მიმოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ის დღე, როცა მართლმადიდებელი ეკლესია პირველწოდებულს იხსენიებს, განსაკუთრებულ დღესასწაულად გახდა. ერთი ათონზე დაწერილი სვინაქსარი* გვიჩვენებს, რომ ათონზე ანდრიაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ: „თუესა ნოენბერსა ლ (30) წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრიაჲსი ძმისა პეტრე მც̃ქლთა თვისაჲ" (იხ. პეტერბურგის საჯარო სამკითხველოს იოანე ბატონიშვილის ხელნაწერი, № 171). ცხოვრების ბოლოს ნათქვამია: „ცისკარსა თქუან კანონნი ერთი და იკითხონ მიმოსვლაჲ მოციქულისაჲ". მაშასადამე, ათონის მთაზე ქართველი ბერები ისმენდნენ იმ თხზულებას, რომელშიაც ქართული ეკლესიის თვითმმართველობის უფლების საბუთები მოიპოვებოდა.[22]

ცნობა ანდრიას იბერიაში ქადაგების შესახებ უცბად გავრცელდა მთელს საქართველოში და რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1103 წ.), ეფრემ მცირეს წერილის თანახმად, ანდრიას საქართველოში მიმოსვლას ფაქტადა სთვლის. შემდეგ საქართველოში სხვადასხვა ნაციონალური თქმულებები გაჩნდა ანდრიას შესახებ: „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილ ანდრიას მიმოსვლაში ყველა ამგვარი თქმულება შეკრებილია. მ. საბინინის მიერ დაბეჭდილი „მიმოსვლა" ძველი ძედნიდან გადმოთარგმნილი უნდა იყოს და ეპიფანეს მოთხრობას მისდევს.**

ამნაირად, ანდრიას იბერიაში ქადაგების ამბავი ქართველებმა არ იცოდნენ და ეს თქმულება ბიზანტიიდან შემოიტანეს ქართველმა ბერებმა სამშობლოში, და გაავრცელეს.

შევუდგეთ ახლა იმ ბიზანტიელი მწერლების ცნობის განხილვას, რომელნიც ანდრიას მიმოსვლაზე ლაპარაკობენ, რომ საბოლოოდ გამოვარკვიოთ, რამდენად სამართლიანია ცნობა პირველწოდებული მოციქულის შესახებ: იქნებ ანდრიამ მართლა იქადაგა ქრისტეს მოძღვრება და ქართველებს დაავიწყდათ მხოლოდ?

ორიგენს[23] პირველად აქვს მოხსენიებული მოციქულების წილხდომა:

„Τῶν δὲ ἱερῶν τοῦ Σωτῆρος ἡμῶν ἀποστόλων τε καὶ μαθητῶν ἐφ ἅπασαν διασπαρέντων τὴν οἰκουμένην. Θωμᾶς μεν, ὡς ἡ παράδοσις περιέχει, τὴν Παρθίαν εἴληχεν, Ἀνδρέας δὲ τὴν Σκυθίαν. Ἰωάννης τὴν Ἀσίαν... Πέτρος, δ'ἐν Πόντῳ καὶ Γαλατίᾳ καὶ Βιθυνίᾳ, Καππαδοκίᾳ καὶ Ἀσίᾳ κεκηρύχεται".

„როდესაც წმიდა მოციქულნი და მოწაფენი მაცხოვარისა ჩვენისა მოეფინნენ მთელ ქვეყნიერებაზე, თომამ, როგორც თქმულება გადმოგვცემს, წილად ილო პართია, ანდრიამ სკვითია, იოანემ ასია, პეტრემ პონტში, გალატიაში და ბითინიაში, კაბადოკიაში და ასიაში იქადაგა".

(Patrologia greca, t. 12. Origenis opera omnina, გვ. 91, 82.).

მაშასადამე, უძველესი ცნობის თანახმად, **ანდრიას** მხოლოდ სკვითიაში უქადაგნია, **პონტი** კი **პეტრეს** ხვედრი იყო, ესე იგი ყველა ის ადგილი, რომელიც

---

* ეს სვინაქსარი, რამდენადაც ჩვენ შევადარეთ, ბასილის მენოლოგიის თარგმანი უნდა იყოს, იმ ადგილების გარდა, სადაც ქართველი წმინდანები არიან მოხსენიებულნი.

** **Васильевский, Хождение апостола Андрея**, გვ. 166.

საქართველოზე დაახლოვებული არის, პეტრეს მოღვაწეობის ასპარეზად ითვლებოდა და არა ანდრიასი. ჩვენ აღარ მოვიყვანთ ევხერის († 449) სიტყვებს, რომელიც ორიგენის ნათქვამს იმეორებს. მხოლოდ ὡς ἡ παράδοσις περιέχει-ის მაგივრად ის ამბობს „Quantum narratt historia".*

ისიდორე ისპალიელიც ამბობს, რომ „Andreas.... frater Petri... in sorte praedicationis Scythiam atquec Ahaiam accepit"... პეტრეზე ნათქვამია: „hic in Galatia, Ponto, Cappadocia, Bithitnia, Asia atque Italia Evangelium pradicavit"[24],.. (Patrologia lat. t. 83, გვ. 151, cap LXX და გვ. 149, cap. LXVIII). მხოლოდ დოსითეოსის კატალოგში, რომელიც პრ. ვასილევსკის** აზრით, მეექვსე საუკუნის კარგა ხნის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, თითქოს ძმები მოციქულები თავიანთ ხვედრს სცვლიან და ანდრია ბითვინიაში, პონტში, თრაკიაში ქადაგობს[25]. ეპიფანე მონაზონიც (VIII—IX), რომელიც მოგზაურობდა და ადგილობრივ თქმულებებს ჰკრებდა, ამასვე ამბობს[26]. მაგრამ, როგორც ჩანს, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე არ ყოფილა, თორემ ჩვეულებისამებრ მოიხსენიებდა, რომ ამა და ამ ადგილას ჩვენც ვიყავით და ჩვენის თვალით ვნახეთ, როგორც მაგალითად:

„Καὶ ἦλθεν εἰς Βόσπορον, πόλιν πέραν τοῦ Πόντου, εἰς ἣν καὶ ἡμεῖς ἐφθάσαμεν" (Patrol. gr. t. 120. Epiphanii Monachi. გვ. 244).	„და მოვიდა (ანდრია) ბოსფორ ქალაქსა, რომელიც პონტის იმიერ მდებარეობს, სადამდის ჩვენც მივ-ვიღწევია".

ეპიფანე მოგვითხრობს, რომ მას სიმონ მოციქულის ლუსკუმა უჩვენეს, სიმონ კანანელის ნიკოპსის ლუსკუმაზე კი როცა ლაპარაკობს, არ უმატებს, რომ მან თვითონ ნახა ეს წმინდა ადგილი. ეპიფანე მონაზონს და დანარჩენ მერმინდელ მწერლებს ერთი თვალსაჩინო შეცდომა მოსდით: იმათი სიტყვით გამოდის, რომ სიმონი ორგან იყო დასაფლავებული, — ბოსფორში და ნიკოფსში. თუმცა თვით ეპიფანე არ ამბობს, სახელდობრ ვინ უნდა იყოს სიმონ მოციქული, მაგრამ მეტაფრასტი გვიხსნის, რომ იგი სიმონ მოშურნე არისო (Lipsius. Apostelgeschichte und Apostellegenden. B. I, გვ. 582). ამ ახსნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჯერ იმიტომ, რომ, სიმონ კანანელი, როგორც ჩანს***, უძველეს მიმოსვლის სიმონ-პეტრეს მაგიერ არის მოყვანილი, მერე იმიტომ, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიმონ მოშურნე და კანანელი ერთი და იგივე მოციქული იყო. მაგ., ლათინურ „Breviarum Apostolorum"-ში „სიმონ მოშურნე ანუ კანანელი" (იხ. Lipsius, ibid., B. I, გვ. 21, შენ. 1 და გვ. 23, შენ. 1) ესევეა „de vita et obitu sanctorum "-ში და იმ ქრონიკაში, რომელიც სიმონ ლოგოთეტის ნაწერად ითვლება (ibid., B. I, გვ. 24, შენ.). მიმოსვლათა გეოგრაფია ხომ უფრო არეულია: ერთი და იგივე ადგილები უძველეს თხზულებებში პეტრეს ხვედრად არის მოხსენიებული, მერე ანდრიას მოღვაწეობის ასპარეზად ხდება; ანდრია ყველგან ქადაგებდა, საკებთანაც, სოგდიანაშიც.[27] იქაც, საცა „არის ზღუდე აფსარი (აფსარი — აფხაზების სახელი ციხედ გაუხდიათ!). იგი მოღვაწეობდა, თქმუ-

---

* Patrol. lat. t. 50 s. Eucherii ligdunensis episcopi. გვ. 803.

** Хождение апост. Андрея, გვ. 49.

*** Lipsius. Apostelgeschichte und Apostelleg. B. I, გვ. 611.

ლებისამებრ, იქ, სადაც დაუცხრომელად და მხნედ მუშაობდნენ პავლე და პეტრე მოციქულები, „საქმე მოციქულთაში" კი, არც პავლეს ეპისტოლეებში, ერთხელაც არ არის ანდრიაზე ლაპარაკი, გაკვრითაც კი არ არის მოხსენიებული მისი ამ ადგილებში მოღვაწეობა. თუ ანდრია მოციქული ამ ადგილებში მართლა ასეთ მხნეობას იჩენდა, როგორც აპოკრიფულ მიმოსვლაშია აღწერილი, ერთხელ მაინც როგორ ვერ შეხვდა სადმე პავლე მოციქულს, ერთხელ როგორ ვერ შეიტყო ანდრიას გულმოდგინე მოღვაწეობა პავლემ?.

ის გარემოება, რომ უძველესი ბიზანტიელი და ლათინთა საეკლესიო მწერლები (ორიგენი, ევსევი) ანდრიას პონტში ქადაგების შესახებ არას ამბობენ, პავლეს ეპისტოლეებსა და „საქმე მოციქულთა"-ში კრინტიც არ არის დაძრული პირველწოდებულ ანდრიას ქადაგებრივ მოღვაწეობაზე, რადგან თვით „მიმოსვლას" შინაარსს ზღაპრული ხასიათი აქვს და არაფს უფრო მოაგონებს კაცს (ძაღლისთავა კაცებია, რომელთაც თავები გულზე აბიათ და ლაპარაკის მაგივრად ყეფენ, კაცის მჭამელები და სხვ.), დასასრულ, ის გარემოება, რომ არც თვით საქართველოში იცოდნენ VIII—IX საუკუნემდე ანდრიას იბერიაში მიმოსვლის შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანდრია პირველწოდებული არც როდის არ ყოფილა კავკასიაში, საზოგადოდ, და, კერძოდ, საქართველოში, რომ ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმულებაა, ისეთი თქმულება, რომელსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ეს თქმულება შეიძლება შემთხვევით წარმომდგარიყო: პეტრეს და ანდრიას (ძმების) წილხდომა აურევიათ, ანდრიას მოქმედების ასპარეზი პეტრესთვის მიუწერიათ, პეტრესი ანდრიასათვის, ან, როგორც პრ. ვასილევსკი ფიქრობს (Хождение апостола Андрея, გვ. 159), ეთიოპია კოლხიდად ჩაუთვლიათ მოციქულთა მიმოსვლის ავტორებს; მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც ანდრია მოციქულის ქადაგებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, იმიტომ, რომ ორიგენი ამბობს: „Non enim fertur praedicatum esse Evangelium apud omnesaethiopas, maxime apud eos, qui sunt ultra flumen"[25] (Origenis in Matthaeum comment. series. Migne, patr. gr. t. 13, გვ. 1655). თუ ქრისტე ეთიოპიაში არ უქადაგნიათ, ქრისტიანობა, მაშასადამე, არც კოლხიდაში იქნებოდა, იმ კოლხიდაში, რომელიც ზოგიერთ მწერალს ეთიოპიად მიაჩნდა.

ვარკვევთ რა და უარვყოფთ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების თქმულებას, ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა კი არა გვსურს, რომ ქრისტიანობა საზოგადოდ საქართველოში პირველ საუკუნეებში არა ვრცელდებოდა, რომ ახალი სარწმუნოება პირველ ხანებში არ იკიდებდა ფეხს ჩვენს სამშობლოში; ქრისტიანობა შეიძლება ყოფილიყო, მხოლოდ, ჩვენი აზრით, მისი არსებობის დასამტკიცებლად სხვა უფრო სანდო და ჭეშმარიტი საბუთების მოყვანაა საჭირო და არა ანდრია მოციქულის მიმოსვლის მოწმობის მოხსენიება, როგორც ჩვენმა ისტორიკოსებმა იციან ხოლმე.

ამ პატარა გამოკვლევაში ჩვენ გავარჩიეთ საქართველოს ის საეკლესიო თქმულებები, რომელნიც ათი საუკუნის განმავლობაში ხალხს შესისხლხორცებული ჰქონდა და შეურყეველ, ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა... ერთ დროს მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და ქართველობისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ: არა ერთხელ და ორჯერ სამშობლო ეკლესიის თვითმმართველობის უფლების დაცვისა და მაჰმადიანთა საზარელი ბატონობის დროს ამ თქმულებებს ხალხისათვის რწმენა განუმტკიცებიათ, მიუციათ სულგრძელობა და ცხოვრების

ტანჯვის ატანა გაუადვილებიათ... ახლა — დრო იყო, რომ ეს თქმულებები მეცნიერებას შეესწავლა და თავისი პირუთვნელი და მიუდგომელი მსჯავრი გამოეთქვა.

ეს თქმულებები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მამა-პაპურ შეხედულებას წარმოადგენენ. კრიტიკული გარჩევის დროს ჩვენ, მგონი, გამოვარკვიეთ, რამდენად გამოსადეგია ამ თქმულებების ცნობა ისტორიისათვის და ოდნავ მაინც აღვნიშნეთ ამ „ცხოვრებათა" თანდათანობითი ცვლილების ისტორია. ამ უკანასკნელ საკითხს კიდევ ბევრი კვლევა-ძიება ესაჭიროება, რომ თვალსაჩინოდ და ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ორ უძველეს საეკლესიო თხზულებათა ისტორია. ჩვენ ვიცით, რომ ამ გამოკვლევის შემდეგაც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების სურათს მკითხველი ვერ წარმოიდგენს, — ჯერ კიდევ ვერ გაითვალისწინებს იმ ჩვენი ისტორიის დიად და საინტერესო ხანას, რომელმაც ჩვენი ხალხის ისტორიის მიმდინარეობას დიდი კვალი დაამჩნია. საქართველოს ეკლესიის ანტიოქიისაგან დამოკიდებულების ისტორიის გამორკვევა, ასურელ მამათა მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა და ქართულ საეკლესიო წიგნების თარგმნის ისტორია სხვადასხვა მხრიდან, ამ სიბნელით მოცულ ხანის ისტორიულ სურათს ცხოვლად წარმოგვიდგენს. თავდაპირველად კი უძველესი, მამა-პაპური შეხედულების გარჩევა აუცილებლად საჭირო იყო, ერთი მხრით, იმისათვის, რომ შემდეგ სხვა სამეცნიერო კვლევისათვის ნიადაგი მომზადებულიყო, მეორე მხრით, რომ შეცდომები თავიდან აიცდინონ იმ ისტორიკოსებმა, რომელნიც მატიანეს სიტყვების განმეორებას აღარ კმარობენ და სხვადასხვა საეჭვო, ზღაპრულ თქმულებებზე ამყარებენ თავიანთ, ხშირად ფრიად დიდმნიშვნელოვან, საკითხების კვლევას.[29]

პეტერბურგი,

18$\frac{13}{\text{VII}}$98 წ.

აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები[30]

ბ ა ტ ო ნ ე ბ ო!

შესავალ ლექციას ჩვეულებრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხოლმე: იგი თითოეული ახალგაზრდა სწავლულის, რომელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთი კათედრის წარმომადგენლად გამოდის, სამეცნიერო საზოგადო პროგრამის გამომხატველია, ამასთანავე, იგი იმ მიმართულების დამახასიათებელია, რომელსაც ადგია თავის სპეციალურ საგანში, რომელიც მის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების არსებითი დამახასიათებელი იქნება.

დიახაც რომ შესავალ ლექციას სწორედ ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ გულახდილად გამოგიტყდებით, რომ ამგვარი საზოგადო მიმართულებას გამომხატველი ლექციის წაკითხვა მეცნიერების ისეთი დარგის შესახებ, როგორც საქართველოსა და სომხეთის ისტორიაა, მეტად ძნელ და უმადურ ტვირთს წარმოადგენს: აღმოსავლეთის წარსულის და განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიის სამეცნიერო შესწავლას დიდი ხანი არ არის რაც შეუდგნენ მკვლევარნი; გასაკვირველიც არა არის რა, რომ აღმოსავლეთის ისტორიკოსებმა ჯერჯერობით ვერ შეჰქმნეს განსაკუთრებული ახალი მიმართულება, ვერ შესცვალეს არსებითად ის თანამედროვე შეხედულება, რომელსაც ჩვენ დასავლეთის ისტორიის მკვლევარები გვითავაზებენ ხოლმე. ამის გამო აღმოსავლეთის ხალხთა წარსულის შემსწავლელის ერთადერთი ხელმძღვანელი უნდა ისტორიის ფილოსოფია ყოფილიყო, მეცნიერების დარგი, რომელიც ევგრეთწოდებულ საისტორიო კანონების, საზოგადოებრივ ცხოვრების წარმატებასა და სხვა კიდევ მრავალ მირითად კითხვას იკვლევს. მაგრამ აქაც იმედი უცრუვდება აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიკოსს, იმიტომ, რომ ისტორიის ფილოსოფიის მკვლევარნი თავიანთ თხზულებებში აღმოსავლეთს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და საზოგადოდ ჩვეულებრივ აზრებს იმეორებენ ხოლმე. აღმოსავლეთის ასე უყურადღებოდ დატოვებისა და აბუჩად აგდების მიზეზი, ერთი მხრით, ის არის, რომ აღმოსავლეთის ისტორია ჯერჯერობით ხეირიანად არ არის შესწავლილი, მეორე მხრით, და განსაკუთრებით, ის გარემოება, რომ იმ მეცნიერებს, რომელნიც მსოფლიო ისტორიისა და ისტორიის ფილოსოფიის შესახებ თხზულებებსა წერენ, თითქმის ყველას დასავლეთის ხალხთა წარსული აქვთ ხოლმე მხოლოდ სპეციალურად შესწავლილი; ევროპის ხალხთა ისტორიის კვლევით გატაცებული და გათამამებულნი, ეს მეცნიერები ეჭვის თვალით უცქერიან, ათვალისწუნებული ჰყავთ აღმოსავლეთი: მარტო აზიის ხალხების წარსულს კი არა, თვით იმ ევროპის ხალხების ისტორი-

ასაც, რომელნიც დასავლეთის კულტურაზე მოწყვეტილი იყვნენ, ამგვარისავე ეჭვის თვალით უცქეროდნენ: ამ ცამეტი წლის წინათ. ბატონებო, თვით გერმანიაში, ამ მეცნიერების დედაბუდეში, სპეციალისტები იძულებული იყვნენ დაემტკიცებინათ დანარჩენი მეცნიერებისათვის, რომ ბიზანტინოლოგიას აქვს უფლება არსებობისა, როგორც მეცნიერებას*. ეს მეტად დამახასიათებელი გახლავთ ძველ შემთხვევაში იმ აკვიატებულ, აჩემებულ აზრ-შეხედულებათა დასასურათებლად, რომელნიც ამას წინათაც ბატონობდნენ ჩვენს დისციპლინაში. თუ ბიზანტინოლოგიამ უკვე შეძლო მოეპოვებინა თავისი უფლებანი, სამაგიეროდ დღესაც ცოტანი როდი არიან ისეთი ისტორიკოსები, რომელნიც აღმოსავლეთის წარსულის შესწავლას მაღლიდან დასცქერიან და ამავე დროს ამგვარ სკეპტიკურ დამოკიდებულება-განწყობილებას აღმოსავლეთის ისტორიის მნიშვნელობის მიმართ მხარს უჭერენ და იზიარებენ. საოცარია, რომ ისტორიის ფილოსოფიის დარგის თხზულებებში ასეთი საბუთიანობა და მოსაზრებანი უხვად არის მიმობნეული და სწორედ ამიტომ მათ ენიჭებათ ავტორიტეტობის ხასიათი.

ცნობილია, რომ მეცნიერებაში ჰიპოთეზები, რომელნიც არასდროს არა გვკლებია, ყოველ დისციპლინას უეჭველად დიდ სამსახურს უწევენ, მაგრამ ამავე დროს ხშირად ხდება, რომ ჰიპოთეზის მოჩვენებითი სიმწყობრე და წარმტაცი მკაფიოობა თვალსა სჭრის და სინამდვილეს აბუნდოვანებს; ჰიპოთეზას უკვე იმდენად ეთვისებიან, რომ იგი თეორიისა და თითქმის კანონის სახესაც კი იღებს. მსგავსი ჰიპოთეზები მხოლოდ აფერხებენ მეცნიერების წინსვლას და ამყარებენ ერთგვარობას, შაბლონს.

ისტორიის ფილოსოფიაში მოიპოვება რამდენიმე ასეთი ჰიპოთეზა, საქმის შემაფერხებელი და ნამდვილ მოვლენათა დამაბუნდოვანებელი. ერთი მათგანი და, შეიძლება ითქვას, მთავართაგანი გახლავთ რასის ანუ მოდგმის თავისებურებათა და რასის სულის ანუ რაობის განსაზღვრა. კაცობრიობის სამ დიდ მოდგმად: ინდოევროპულ, სემიტურ და მონღოლურ მოდგმად დანაწილება მოითხოვდა იმ სულიერი გამასხვავებელი ნიშნების დადგენას, რომელნიც ზემოხსენებული სამი ჯგუფის მიმართ ყოველთვის და ყველგან მოქმედებდნენ. და აი აქ, მოდგმათა გამასხვავებელი ნიშნების გამორკვევისას, საოცარი სურათი წარმოგვიდგება: დადგენილია სხვადასხვა მოდგმისთვის ათვისების, შემოქმედებითი უნარისა და გონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი და ზღუდე, დადგენილია ამ მოდგმათა მორწმუნეობის ხარისხი და ხასიათი, გარკვეულია ამა თუ იმ მოდგმის ხალხების ბუნებრივი, თანდაყოლილი მიდრეკილება ერთ წერტილზე გაყინვისა, უძრაობისა ან კიდევ მათი ლტოლვა-მისწრაფება პროგრესისა და სოციალური განვითარებისაკენ. გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა: ერთნი რატომღაც დაჩაგრულნი არიან განგებისაგან, მეორენი ვერა სცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების პრიმიტიულ ფორმებსა და გონებრივი განვითარების უსუსურ ყოფა-მდგომარეობას; მაშინ როდესაც ერთნი ყოველთვის გულგრილნი არიან რელიგიის მიმართ, მეორეთა ხვედრია, ბედისწერისაგან დადგენილი, შეუქმნან კაცობრიობას რელიგიები; მესამენი ბედისაგან გალაღებულ-გათამამებულნი არიან და მარტო მათ აქვთ მინიჭებული ძალა და ღონე მიაღწიონ ყოველმხრივ განვითარებას.

---

* K. Krumbacher, Geschichte, V.

რაკი ინდოევროპული მოდგმის მეტი ნაწილი ბინადრობს უმთავრესად ევროპაში, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ჯგუფები მოსახლეობენ აღმოსავლეთში, ამიტომ ამის ძალით აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნებად ითვლება მეტად თუ ნაკლებად ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩაკეტილობა, წოდებათა და კლასების უქონლობა, წოდებრივისა და კლასობრივი ბრძოლის არქონება, ერთი სიტყვით, სულიერი და სოციალური უძრაობა.

ამ აზრს ზოგიერთი აშკარად გამოთქვამს და წერს, სხვანი კი ამას მარტო გულისხმობენ, ოღონდ მათ თხრობაში იგი ცხადად გამოსჭვივის.

აღმოსავლურ, აზიურ კულტურათა გამასხვავებელი ნიშნების მსგავსმა დახასიათებამ ბუნებრივად უნდა აღძრას ეჭვი თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარ დახასიათებას იძლევიან ისეთ დროს, როცა აღმოსავლეთისა და მისი ისტორიის შესწავლა ეს-ეს არის ახლა იწყება, როცა არ მოიპოვება ყოველმხრივ ზუსტი მონაცემები ასეთი ეგების ლამაზი და თვალწარმტაცი, გარნა მაინც გაბედული და სახიფათო განზოგადებებისათვის. ეჭვს იწვევს კიდევ ის გარემოება, რომ მსგავს დახასიათებათა ავტორები თითქმის ყოველთვის არიან არაორიენტალისტი ისტორიკოსები. ბოლოს, სპეციალისტთა ორიოდ-სამიოდე მშვენიერი გამოკვლევა, რომლებიც შეეხება აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხებს და სხვადასხვა ხანისას, საკმაო რაოდენობით შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომელნიც ზემოხსენებულ ჰიპოთეზებს ნიადაგს საგრძნობლად ურყევენ. ამიტომ არავითარი საფუძველი არ მოიპოვება იმის ვარაუდისათვის, რომ აღმოსავლეთის შემდგომი შესწავლა მსგავს ფაქტებს არ გაზრდის და არ გაამრავლებს. ამრიგად, ორიენტალისტ-ისტორიკოსს არ შეუძლია იხელმძღვანელოს, არ ძალუძს გაიზიაროს დიდ არსებით შესწორება-დამატებათა გარეშე ის დებულებანი, რომელნიც წამოყენებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას. პირიქით, მის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რათა მან აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია შეისწავლოს ყოველგვარი წინდაწინვე აკვიატებულ-აჩემებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე და სავსებით უეჭველ მონაცემთა მიხედვით, რაც კი მოპოვებულია მეცნიერული კვლევა-ძიების გზით; მისი ამოცანაა გაარკვიოს იმ ჰიპოთეზათა სისწორე თუ მცდარობა, რაც მიღებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას; შეიტანოს ახალ მონაცემთა ანკარა ნაკადი, რათა უფრო მართებულად იყოს ჩამოყალიბებული ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები, როგორიცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური გამასხვავებელი ნიშნებისა, სახელმწიფოსი და სხვა მისთანათა.

აღმოსავლეთის რომელიმე ხალხის ისტორიის გულდასმითი შესწავლა ნამდვილად შეძლებს მოგვცეს მრავალი საამისო ფაქტი, მაგრამ კიდევაც რომ დავჯერდეთ ჩვენი სპეციალობის ფარგლებს, შეიძლებოდა, დეტალებსა და გამოწვლილვას რომ არ გამოვეკიდოთ, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემთა მიხედვითაც გვეჩვენებინა თუ სრული სიმცდარე არა, ყოველ შემთხვევაში გაზვიადება მაინც იმ დახასიათებისა, რომელიც ეძლევა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურას, არაინდოევროპულ მოდგმათა წარმომადგენლების თავისებურებას.

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების აღწერილობა, სტრაბონის მიერ მოცემული ქრ. შემდეგ პირველი საუკუნის დასაწყისში, გვიჩვენებს, რომ იბერიის მთელი სოციალური ცხოვრება მაშინ ჯერ ისევ დაფუძნებული იყო სათემო-გვაროვნულ წყობილებაზე, ეს ქვეყანა ჯერ კიდევ არ იცნობდა ჩამოყალიბებულ წოდებებს, არ არსებობდა მიწის კერძო საკუთრება, ადგილ-მამულე-

ბი საზიარო იყო გვარების მიხედვით და ყველა საქმეს განაგებდა თითოეული გვარის უფროსი კაცი. ასე იყო ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნეში. იმ სიტყვათა ლინგვისტური ანალიზის გზით, რომელნიც აღნიშნავენ ნათესაურსა ან საზოგადოებრივ ურთიერთობას, არის შესაძლებლობა აღვადგინოთ სურათი უფრო ძველი, ადრინდელი წყობილებისა. VI საუკუნის დამდეგისათვის მკვლევარს საქართველოში საქმე აქვს უკვე ფეოდალურ წყობილებასთან, იგი უკვე მკვეთრად არის ცხოვრებაში ასახული და მას გარკვეულ იერს აძლევს. რაღაც ოთხი, ხუთი საუკუნის მანძილზე მოხდა საქართველოს სოციალური წყობილების ასეთი რთული ევოლუცია, მერვე საუკუნისათვის ფეოდალიზაცია უკვე სავსებით მომთავრებულია[21]. ამავე დროს გამოდის და განმტკიცებას იწყებს მეფის ხელისუფლება, თვითონ იგიც ფეოდალურ პრინციპზეა დაფუძნებული; მაგრამ რაც უფრო მეტად ძლიერდება ის, მით უფრო მეტი და ხშირია შეჯახება გვაროვნულ არისტოკრატიასთან, დიდკაცობასთან; მარტო მასთან კი არა აქვს შეჯახება, სასულიერო წოდებაც, ეკლესიის წარმომადგენლებიც, — ეკლესიამაც აითვისა ფეოდალური დაწესებულებანი, — არა ერთხელ შესჯახებიან მთავრობას.

ახლად აღმოჩენილი „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ" გვიჩვენებს, თუ როგორ ენერგიულად, შეთანხმებით და მწყობრად იცოდნენ ბრძოლა სასულიერო პირებმა, როცა მთავრობა მათ უფლებებს თრგუნავდა. საკმარისია ამ ცხორებიდან მარტო ერთი ადგილის წაკითხვა, რათა დავრწმუნდეთ, როგორ მტკიცედ და დარაზმულად მოქმედებდა სასულიერო წოდება, თუ კი საქმე შეეხებოდა მათ კომპეტენციას და უმაღლესი ხელისუფლება განიზრახავდა ეკლესიის საქმეებში ჩარევას. არა მარტო მოქმედებით, ხმის მიცემით ან სხვა რაიმე საშუალებით, არამედ თეორიულადაც, უფლებრივი თვალსაზრისით. იცოდნენ სასულიერო ძალაუფლებისა და ეკლესიის წარმომადგენელთა დამოუკიდებლობის დაცვა საერო ხელისუფლებისაგან. აი, მაგალითად, რა გაბედულებით და რწმენით ამტკიცებდა გრიგოლ ხანძთელი სასულიერო ხელისუფლების უპირველესობას და უპირატესობას საერო ხელისუფლების წინაშე, სამღვდელო დასის მთავრობაზე დამოუკიდებლობას, იმ მფლობელთა მოქმედების უსამართლობა-უკანონობას, რომელნიც, ბიზანტიის ზოგიერთი იმპერატორის მსგავსად, წარიტაცებდნენ ხოლმე საეკლესიო კრებათა და ეკლესიის უმაღლეს მღვდელმთავართა უფლებებს.

„პოი კელმწიფეო, — უთხრა გრიგოლმა გვარამს, — ესე უწყოდე. რამეთუ პირველთა წმიდათა მათ მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღუართა წესისათა მონაზონთა თანა იყვნეს პირველნი მორწმუნენი მეფენი, არა თუ მათ თანა შჯულის მოძღურებასა იკადრებდეს, არამედ შჯულის გამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყჳსა გამოცხადებაჲ, რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებათა ღმრთისათა და მოწამედ იყვნეს თქმულთა მათთა და წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელთ-მოძღუართაგან განსაზღვრებულსა კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერის კაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელის შჯულის მოძღურებასა იკადრებდა გინა ახალსახიობასა მოილებდა, დალაცათუ სამართლად საგონებელ იყოს, არამედ შჯულისა და მღდელთ-მოძღუართა შეურაცხებაჲ არს"*.

კრებაზე დამსწრე მთელი სამღვდელოება, მიუხედავად დიდი უთანხმოებისა

---

* Н. Марр, Житие Григория Хандзтийского (гл. XLII).

და მრავალი მათგანის ერთმანეთში მტრობისა, იზიარებდა ასეთ აზრს; ამ ფაქტშიც მოჩანს წოდებრივი ერთსულოვნება, სოლიდარობა.

ქართველი სამღვდელოების კორპორაციული მოქმედების მეორე არანაკლებ შუქური მაგალითს გვაძლევს მეთორმეტე საუკუნე, როცა სასულიერო წოდებამ ისარგებლა დემნას, გიორგი III-ის ძმისწულის, აჯანყების მარცხით და მთავრობას კოლექტიური წარდგინება მიართვა, რათა ეკლესია საქართველოში მთლიანად განთავისუფლებული ყოფილიყო სახელმწიფო გადასახადებისაგან; და სამღვდელოებამ თავის წადილს მიაღწია კიდეც*. რაკი საამისოდ დრო მარჯვედ იყო შერჩეული, ტაქტიკაც სწორი აღმოჩნდა, რათა მთავრობა და ფეოდალური დიდკაცობა აეძულებინა დამორჩილებოდნენ მის მოთხოვნას.

ხოლო ერთი საუკუნით უფრო გვიან საქართველოს სამღვდელოებამ მიმართა უფრო ძალუმ ზომას, გაბედა უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა. ეკლესიის მღვდელმთავართა სასულიერო კრებამ მეფესა და მმართველ წრეებს გაუგზავნა მრისხანე ულტიმატუმი: „თუ ღმერთი გურისხავს,—სწერდნენ კრების მონაწილენი მეფეს, — და ესე, რაც გვკადრებია და მოგჳჴსენებია, არ დაგვეურვების ჩვენითა წეს[ი]თა, რაჲცა დაგჳპირებია, მისნი მქნელნი ვართ: არცა მიჰრონსა განვჰჴსნით, საქართველოს ეკლესიათა დავჰბეჭდავთ. ხუცესთა დავაყენებთ წირვისა და ნათლვისა და სამკუდროთა ზიარებისაგან... აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მომლოდენი ამისისა დაურვებისანი ყოველნივე აქა ვართ"**.

ასე იცავდნენ თავიანთი ინტერესებისა და უფლებათა დაცვა სასულიერო პირებმა. განა ეს, ბატონებო, წოდებათა ბრძოლა არ გახლავთ? აჯანყება კი არა და არც აღშფოთებისა და უკმაყოფილების აფეთქება ყბადაღებული აღმოსავლური დესპოტიზმის წინააღმდეგ, არამედ ორგანიზებული ტაქტიკური, აწონილ-დაწონილი ბრძოლა სასულიერო წოდებისა მთავრობასთან, — აი რა წარმოესახება საქართველოს წარსულის მკვლევარს.

გარნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამღვდელოებას ბრძოლა ჰქონდა მარტო სხვა წოდებებთან ანდა მთავრობასთან კი არა, იგი ებრძოდა თავისავე წოდების უმაღლეს წარმომადგენლებსაც, სახელდობრ იმათ, ვინც არ შეესაბამებოდა ეკლესიის მწყემსის დიადსა და მაღალ იდეალს. ეს იყო ბრძოლა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი იდეალებისათვის, ბრძოლა სასულიერო იერარქიის დემოკრატიული ყოფისათვის. საკმარისია დავასახელოთ გამოჩენილი მოღვაწე და მსგავს იდეათათვის მებრძოლი გიორგი მთაწმიდელი და აგრეთვე 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც კანონიკური გზით განახორციელა იერარქიის დემოკრატიზაცია, რათა თვალსაჩინო შეიქმნას ის ფაქტი, რომ ეკლესია საქართველოში ინტენსიურ ცხოვრებას ეწეოდა და რეფორმებსაც განიცდიდა: მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული მეთორმეტემდე საქართველოს სამღვდელოებამ შეძლო ეკლესია ეროვნულ ინსტიტუტად გარდაექმნა, კანონიკური რეფორმები მოეხდინა და სამღვდელო დასის დემოკრატიზაცია განეხორციელებინა უფრო ადრე, ვიდრე ეს გატარდა დასავლეთ ევროპის ეკლესიაში.

გარნა ბრძოლა არ იზღუდებოდა მარტო სასულიერო წოდებით, საქართველოს მატიანემ მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან იცის უამრავი საინტერესო ფაქტი ფეოდალ დიდკაცობის ბრძოლისა როგორც ეკლესიის მესვეურებთან, ისე განსაკუთრებით მეფის ხელისუფლებასთან. ეს ბრძოლა წარმოებდა პოლიტიკუ-

---

* თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 266, სადაც არის გიორგის საამისო ბრძანებულება.

** თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 166.

რი უფლებებისთვის ცვალებადი წარმატებით ხან ერთისა და ხან მეორე მხარის სასარგებლოდ. იგი ბრძოლა არასდროს არ დამცხრალა, ის ყოველთვის მიმდინარეობდა, ვიდრე საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებამდე. ამ შემთხვევაშიაც ისტორიკოსთა გულდასმით შესწავლას ძალუძს დაგვანახოს, რომ მთავრობასაც და დიდკაცობასაც მშვენივრად ჰქონდა შეგნებული ასეთი ბრძოლის მნიშვნელობა, დაგვანახოს, რომ იგი წარმოებდა მოფიქრებით, აწონ-დაწონვით, არსებობდა მკაფიოდ დასახული ტაქტიკა, ყოველ შემთხვევაში სრული უეჭველობით საქართველოს სამეფოს ისტორიული ცხოვრების იმ ზოგიერთ მომენტებში მაინც, რომელნიც წყაროებით კარგადაა ცნობილი.

დავით აღმაშენებლის დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არაა ღირსებისამებრ დაფასებული საქართველოს ისტორიის სამეცნიერო ლიტერატურაში, არაა დაფასებული იმიტომ, რომ მკვლევრები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ შესანიშნავი მონარქისა და ადმინისტრატორის მოღვაწეობის სწორედ იმ მხარეს, რომელიც გამოსახა მის სისტემატურ, თანამიმდევრულ პოლიტიკაში დიდკაცობის მიმართ, საქართველოს სამეფოს უმაღლეს ადმინისტრაციულ მოხელეთა არისტოკრატიული წყობილების მიმართ. დავით აღმაშენებელი პირველია, რომელიც იწყებს ორგანიზებულ ბრძოლას ფეოდალებთან. ცალკეულ შემთხვევებში ამგვარი ბრძოლა მასზე გაცილებით ადრეც არსებობდა, მაგრამ მსახური წოდების („მსახურეულთა“) დემოკრატიზაციის პრინციპის თანამიმდევრული, სისტემატური გატარება ცხოვრებაში დავით აღმაშენებლის შემოღებულია. მისმა თანამედროვე ისტორიკოსმა რამდენიმე ძვირფასი ცნობა შემოგვინახა ბრძოლის მიზეზთა და ხასიათის შესახებ. მისი სიტყვებიდან შეიძლება დავინახოთ, რომ მეფემ ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც იგი ეპირებოდა, საფუძვლიანად მოიფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მტკიცე და ძლიერი სახელმწიფოს დაარსებისათვის აუცილებლივ საჭირო იყო, ურჩი ფეოდალების, დიდებულთა გვარების ძალის მოტეხა; ამაში ის დარწმუნდა თავისი სახელმწიფოს წარსულის შესწავლის შემდეგ, იგი ხედავდა, რომ დიდებულები ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობას და ღალატობდნენ თავიანთ ხელმწიფეს, როცა კი საკუთარ ძალას იგრძნობდნენ* საკითხის წინასწარმა შესწავლამ დავით აღმაშენებელს გაურკვია ის გზა, რომლითაც მას მართებდა სვლა. ისტორიკოსი ამბობს: „უკეთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შეწევნებანი და პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძლევანებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემთხვეულნი წინაგანსაკრძალებელად და სახედ არა შემოეხუნეს და არა მოეკმარნეს, არათუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნანდჳლ დიდი განსაგებელი რათა იპყრა ესრეთ მალლად, ვითარ ვერვინ სხუამან“.** აქედან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი სწავლობდა არა მარტო თავისი ქვეყნის ისტორიას, არამედ სხვა სახელმწიფოთა ისტორიებსაც და საკუთარი პოლიტიკის გატარებისას იყენებდა იმ დასკვნებს, რომელნიც მას გამოჰქონდა ამგვარი შესწავლის გზით. და აი მან გამონახა დიდებულებთან ბრძოლის ხერხი; იგი შეიგნებს, რომ ფეოდალთა წინააღმდეგ აუცილებელია ორგანიზებული პოლიტიკის წარმოება, აუცილებელია მისი სისტემატური, თანმიმდევრული წარმოება; ამგვარი უნდა ყოფილიყო ტაქტიკა, იმიტომ,

---

* ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარ., 329; ზ. ჭიჭინაძის გამ., 378.

** მარიამის ქართ. ცხ. 318; ზ. ჭიჭინაძის გამ., 370.

რომ თვითონ ფეოდალებიც ჯგუფდებოდნენ, ერთიანდებოდნენ და ურთიერთ შორის შეთანხმებით მოქმედებდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომაც მისი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ ფეოდალებისათვის არ მიეცა საშუალება გაერთიანებისა და შეთანხმებით წინააღმდეგობის გაწევისა. სწორედ ასეც იქცეოდა დავით აღმაშენებელი ყოველთვის*. დიდძალი მოქირავნე და მშვენივრად გაწვრთნილი ჯარით იგი თავს დაესხმოდა შეთქმულებს, სანამ ისინი მოასწრებდნენ გაერთიანებას, ანაზდეულად დაატყდებოდა თავს და გააცამტვერებდა ხოლმე.

გარნა თამარის მეფობა გვიჩვენებს, რამდენად ძლიერი იყო თანხმობა, სოლიდარობა საქართველოს ფეოდალთა წოდებაში. ამ მეფის ტახტზე ერთპიროვნულად აღსვლის პირველ წლებში მოხდა დიდგვაროვანთა წარმომადგენლების აჯანყება. ისინი შეითქვნენ ერთმანეთში, ფიცი დასდეს და განუცხადეს მთავრობას, რომ აღარა სურდათ „ძუელთა ჴელისუფალთა" მორჩილება და „განმგებელთა საქმისათა" ძალა-უფლების ქვეშ ყოფნა, „ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსასოდ გასულ ვართ უგუაროთა და უკამთავან"**. აჯანყებულებმა მოითხოვეს თანამდებობიდან იმ პირთა გადაყენება, ვინც გამოჩინებული გვარის შვილები არ იყვნენ და უმაღლეს თანამდებობებს მიაღწიეს თავისი პირადი ღირსებისა და დამსახურების წყალობით. საქმე იმდენად სერიოზული იყო, რომ მეფე იძულებული შეიქნა მათთვის დაეთმო და აჯანყებულ დიდებულთა მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა (იქვე). თამარის ისტორიკოსის ერთი შესანიშნავი ფორმულა, რომელსაც იგი ხმარობს ახალ თანამდებობის პირთა დანიშვნის მოხსენების დროს, მეტად სურათოვნად გვიხატავს დიდგვაროვანთა ამ გამარჯვებას მთავრობაზე, „თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა"-ო,*** ამბობს ხოლმე ჩვეულებრივად ისტორიკოსი, ესა და ეს იქმნა დანიშნული ამა და ამ თანამდებობაზეო. აშკარაა, ქართველმა დიდებულებმა იმის უფლება მოიპოვეს, რომ სამეფოში უმაღლეს საადმინისტრაციო ადგილებზე არავინ ყოფილიყო დანიშნული მათი საამისო თანხმობის გარეშე.

აი რამდენი მნიშვნელოვანი ამბავი და რეფორმა მოხდა საქართველოში თორმეტი საუკუნის მანძილზე. სახელმწიფო ცხოვრობდა ინტენსიური ცხოვრებით და სწორედ წოდებათა ბრძოლა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს წარსულის უამრავი მოვლენისა.

სიგელ-გუჯრებისა და ერთობ საისტორიო საბუთების გულისყურით წაკითხვისას არ შეიძლება კაცმა არ შენიშნოს, რომ მეთვრამეტე საუკუნეშიც კი, როდესაც მთელი საქართველო თითქოს ღონემიხდილი იყო მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ძლიერი მოძრაობა მიმდინარეობდა ქართველი საზოგადოების დაბალ ფენებში. გლეხთა მოძრაობა საგრძნობლად შეიმჩნეოდა.

სომხეთის ძველი ისტორიაც აგრეთვე საკმაო რაოდენობით გვაწვდის ფაქტებს იმის დასამტკიცებლად, რომ აღმოსავლეთში არსებობდა წოდებათა შორის ბრძოლა და ინტენსიური პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება. ძლიერი გვაროვნული დიდკაცობა, ნახარარები, მათი გამუდმებული მტრობა ურთიერთ შო-

---

* მარიამის ქართ. ცხ. 329, ზ. ჭიჭინაძის გამ., 378.

** ქართლის ცხოვრება, ზ. ჭ ჭინაძის გამ., 407.

*** ქართ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამ., გვ. 409, 426.

რის და მეფის ხელისუფლებისადმი, სანამ მას მოსპობდა სასანიანთა მთავრობა, ამ გვაროვნული დიდკაცობის მოსპობა და გაქრობა, საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი გვარების გამოსვლა, ქალაქებისა და მათთან ერთად ფულიანი არისტოკრატიის არაჩვეულებრივი აღზევება, სახელმწიფოებრივი ძალების კონცენტრაცია ქალაქში, მისი ავტონომია, ქალაქ-სახელმწიფოს ანისის გაჩენა, ფულიანი არისტოკრატიის მმართველ კლასად გარდაქმნა და ეკლესიის იერარქიის აღზევება, — აი როგორი რთული ფორმები გაიარა სომხეთის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, სანამ დადგებოდა მეთოთხმეტე საუკუნე.

მონასტრებისადმი ბოძებული წყალობის სიგელები და ეკლესიათა კედლებზე დაცული წარწერები, რომელნიც შეკრიბა სტეფანოს ორბელიანმა, საკმაოდ გვირკვევენ, მაგალითად, იმას, თუ სომხეთში როგორი ურთიერთობა არსებობდა ეპისკოპოსთა და დიდკაცობას შორის, ერთი მხრით, და გლეხებსა და ეპისკოპოსთა შორის, მეორე მხრით. საბუთები გვიჩვენებენ, რომ სივნიეთის სამღვდელმთავრო კათედრა წადიერებით ცდილობდა თავის სამფლობელოთა გაზრდა-გაფართოებას; ამას იგი აღწევდა ნაწილობრივად თავად-აზნაურობის სარწმუნოებრივ გრძნობებზე ზემოქმედებით: თავად-აზნაურობის წევრები თავიანთ სულის საოხად სწირავდნენ ნაწილობრივად კეთილშენაძენ მამულებიდან, ნაწილობრივად კი საეკლესიო სამფლობელო ფართოვდება, არცთუ ისე იშვიათად, სყიდვის საშუალებით. ჩანს, რომ ეპისკოპოსებს ფული ჰქონდათ. ის ფასები, რასაც აძლევდნენ ესენი მამულთა პატრონებს, გვიჩვენებენ, თუ რამდენად დიდი შეძლების პატრონი უნდა ყოფილიყო სივნიეთის საეპისკოპოსო. შეწირულობის წიგნების ზოგიერთი გამონათქვამის მიხედვით, აშკარად შეიმჩნევა, რომ ნათესავები ყოველთვის მტრული თვალით ეკიდებოდნენ ეკლესიისადმი მამულების შეწირვას.

ამ ნიადაგზე გამუდმებით ჩნდებოდა მტრული ურთიერთობა ეპისკოპოსებსა და გვარის წევრებს შორის. მათი მიზნები დიამეტრალურად საწინააღმდეგო იყო: შეწირული ადგილ-მამულის მემკვიდრეები, როცა კი მარჯვე შემთხვევა ჩაუვარდებოდათ ხოლმე, ცდილობდნენ ამა თუ იმ მიზეზით არ დაემტკიცებინათ შეწირულობის აქტები და ეკლესიისათვის ჩამოერთმიათ წინაპართაგან შეწირული ადგილ-მამული. მაგრამ დოკუმენტები იმასაც თვალნათლივ წარმოგვიდგენენ, თუ როგორი მოხერხებით იცოდნენ სასულიერო იერარქებმა მდგომარეობის გამოყენება, რათა წართმეული მამულები საეპისკოპოსოს კვლავ დაბრუნებოდა. იქ, სადაც პოლიტიკა და სულიერი ზეგავლენა უძლური აღმოჩნდებოდა, ფული გამოასწორებდა ხოლმე საქმეს.

სივნიეთის ეპისკოპოსთა სამეურნეო პოლიტიკა იწვევდა მათ შეხლა-შეტაკებას სოფლის საზოგადოებასთანაც. ხანდახან ბრძოლა მათ შორის ათეული წლობით გრძელდებოდა, არა ერთხელ საქმე სისხლისღვრამდეც კი მისულა ან კიდევ ხელჩართული ბრძოლა გამართულა; ხდებოდა საეპისკოპოსო სასახლეზე შეიარაღებული თავდასხმა, მისი აკლება-დარბევა და განადგურებაც კი; მაინც, ბოლოს და ბოლოს, სოფლელებს უნდა დაეთმოთ მღვდელმთავრებისათვის, რადგანაც ესენი მოიშველიებდნენ ხოლმე საერო ხელისუფლებას და ამით ახერხებდნენ თავიანთი გაეყვანათ, ხოლო სოფლელები, მიწის პატრონები; ჰკარგავდნენ თავიანთ ნაკვეთებს. ეპისკოპოსი სომხეთში ყველას ამარცხებდა — ზოგს პოლიტიკით და ზოგს კიდევ ძალით, მარტო ის ძლიერდებოდა, მას ეკუთვნოდა საერო ხელისუფლებაც და სასულიეროც.

მცდარია ან კიდევ გაზვიადებულია აგრეთვე აზრი აღმოსავლეთის სულიერი კულტურის უძრაობისა და კარჩაკეტილობისა. სხვადასხვა საკითხები — უფლებრივი, თეოლოგიური თუ ლიტერატურული — აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისევე აინტერესებდათ, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეებრივი კულტურა. მეტად მრავალი ისეთი მონაცემები მოგვეპოვება, საიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, საქართველოში ყოველი წოდება ან მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი მდგომარეობა ან მოთხოვნილება განემტკიცებინათ უფლებრივი საბუთებით, მათ ეს აუცილებლივ საჭიროდ მიაჩნდათ თავიანთი საქმის მართებულობის განმტკიცებისათვის.

სამღვდელოება კანონიკური გზით იცავდა თავისი ძალაუფლების უპირატესობის იდეას საერო და თუნდაც მთავრობის ხელისუფლებასთან შედარებით; იგი ამის ძალით მოითხოვდა საეკლესიო საქმეებში სამღვდელო დასის დამოუკიდებლობას, ამის საბუთს წარმოადგენს ზემოხსენებული მაგალითი, ამოღებული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან.

განა კანონიკური უფლებითა და სამართლით არ იცავდა სახელოვანი სწავლული ბერი გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას? ეკლესიის დამოუკიდებლობა ფაქტიურად უკვე მანამდეც არსებობდა, მაგრამ კიდევ საჭირო იყო დასაბუთება ავტოკეფალიის უფლებისა.

თავის მხრივ მეფის ხელისუფლებამაც საქართველოში იცოდა დაცვა თავისი სუვერენობის ღვთაებრივი წარმოშობისა. იგი მტკიცების ჩვეულებრივ ხერხს კი არ მიმართავდა, მას ჰქონდა საკუთარი თეორია, ტრადიცია იუდეველთა მეფის დავითისგან მათი გვარის წარმომავლობისა. დავითს მეფის ხელისუფლება ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული, მემკვიდრეობის უფლების ძალით საქართველოს დინასტიის მეფის ხელისუფლებაც ასევე ღვთაებრივი წარმოშობისა უნდა ყოფილიყო.

თეოლოგიური და ლიტერატურული საკითხების შესწავლა უფრო მეტად განამტკიცებს იმ დებულებას, რომელსაც ვიცავთ. ცნობილია, რომ მეშვიდე საუკუნის დასაწყისში საქართველოდან რომში იქმნა წარგზავნილი ერთი მღვდელი წერილით კათალიკოს-მთავარეპისკოპოსი კირიონისა და სხვა სამღვდელოთა სახელით იმისათვის, რომ შეეტყო რომის პაპის გრიგოლის აზრი საეკლესიო პრაქტიკის ზოგიერთ მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხის შესახებ. იმისათვის, რათა გრიგოლ ხანძთელს ახლად დაარსებული მონასტრისათვის დაეწერა ტიპიკონი, მან ორი პირი გაგზავნა პალესტინასა და კონსტანტინოპოლში, რათა შეესწავლათ მონასტერთა სანიმუშო კანონები და მათ შორის საუკეთესოთა ნუსხები ჩამოეტანათ სამშობლოში. რომსა და პალესტინაში მოგზაურობა ეხლაც, როცა მიმოსვლის საშუალებანი საკმაოდ განვითარებული და სრულყოფილია, ოდნავადაც არ წარმოადგენს ადვილ საქმეს, ხოლო მაშინ ამას სდევდა თან უამრავი უხერხულობა და რამდენიმე თვის შეწირვა. მაგრამ რწმენა იმისი, რომ მარტო საკუთარი არაა საკმარისი და აუცილებლივ საჭიროა იმის ცოდნაც, თუ როგორა აქვთ საქმე დაყენებული სხვებს, იმდენად ძლიერი იყო, რომ არაფრად აგდებდნენ და უგულებელჰყოფდნენ უცხო ქვეყნებში შორეული მოგზაურობის ყოველგვარ სიძნელესა და უხერხულობას.

მაშინდელი განათლებული საზოგადოება, მოწინავე ფენები ყოველ შემთხვევაში დაინტერესებულნი მაინც იყვნენ, რა იყო ახალი მათი დროის მწერლობის

ამა თუ იმ დარგში და ცდილობდნენ კიდეც სხვებს არ ჩამორჩენოდნენ. გიორგი მთაწმინდელი, მაგალითად, ჩქარობს ბერძნულიდან მშობლიურ ენაზე გადმოიღოს დიდი სვინაქსარი მისი გაჩენა-გამოქვეყნების უმალვე, როცა თვით ბიზანტიაში ის ჯერ კიდევ რამდენიმე ცალად მოიპოვებოდა. ასევე იქცევა XII საუკუნეში ეფრემ მცირეც. ერთი სიტყვით, არსებობდა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, თითქმის ყველა გამოჩენილი ნაწარმოები ითარგმნებოდა მშობლიურ ენაზე და ამ თარგმანებს გატაცებით კითხულობდნენ, იცოდნენ მათი გაგება და დაფასება.

იოანე ათონელი მოგვითხრობს, თუ როგორ იყო იგი დამწუხრებული, როცა ხედავდა, რომ ზოგიერთი წიგნი, მეტად გავრცელებული საბერძნეთისა და რომის ეკლესიებში, ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ იყო ნათარგმნი*.

რასაკვირველია, შეიძლება თქვან, რომ მსგავსი გაცვლა-გამოცვლა სრულიად გასაგებია, რადგან საქმე შეეხება ქრისტიან ხალხთა ურთიერთობას, სასულიერო მწერლობის ნაწარმოებებს, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ისტორიული ფაქტები გვარწმუნებენ, თუ რაოდენ ძლიერი იყო ქრისტიანული საქართველოს კულტურული კავშირი არაქრისტიან, მაჰმადიან ხალხებთანაც. უკვე მარტო ის, რაც ცნობილია არაბი ისტორიკოსის გადმოცემით, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა საოცრად ბევრი რამ იცოდა ისლამის შესახებ და ხშირად განჯის ყადის ეკამათებოდა კიდეც ყურანის წარმოშობის თაობაზე, აი მარტო ესეც კი გვიჩვენებს, თუ რამდენად ამგვარი თეოლოგიური საკითხები, რომელნიც არც კი შეეხებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას ან კიდევ პირდაპირ ისლამს შეეხებოდა, აინტერესებდა იმდროინდელ საზოგადოებას, და რამდენად სახალისოდ ითვლებოდა მისთვის ამგვარი კითხვები. ამას ამტკიცებს მეორე ფაქტიც, აბულჰასან-ბეიხაკის მიერ გადმოცემული: დავით აღმაშენებლის შვილმა დემეტრე მეფემ 1148 წ. ქრ. შ. სულტანს სინჯარს რამდენიმე კითხვა გაუგზავნა არაბულ და სირიულ ენებზე და მათი პასუხები თვით ამ ცნობის ავტორის მიერ იყო შედგენილი**. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ საერთოდ აზრთა მსგავსი გაზიარება თეოლოგიურ საკითხების შესახებ ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის შესაძლებელი და მიღებული იყო.

ასეთივე კულტურული ურთიერთობა წარმოებდა წმინდა ლიტერატურულ ნიადაგზეც. სპარსეთის საერო პოეზია, მისი ფორმითა და შინაარსით მრავალფეროვანი ნაწარმოებნი, როგორც ცნობილია***, იმის ბიძგს იძლეოდნენ, რომ ქართველებს საერო ლიტერატურა გაეჩინათ. მართალია, ქართულ სასულიერო პოეზიის წყალობით გამომუშავდა ქართული ენის სრულყოფილი ფორმები და აღზევებული სტილი, აგრეთვე პოეტური შედარებანი და ღრმა სარწმუნოებრივი ლირიზმი, სამაგიეროდ სპარსეთის საერო მუზის შემოქმედებამ გააფართოვა სასულიერო მწერლობის ვიწრო ჩარჩოები და საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში შეიტანა ახალი ელემენტები. სპარსეთის ან არაბული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებნი, როგორიცაა შაჰ-ნამე, ვისი და რამინი, ლეილა და მეჯნუნი, ქილილა და დამანა და სხვანი, ხელმისაწვდომი შეიქნა მაშინდელი ქართველი განათლებული საზოგადოებისათვის. ამის წყალობით მას შეეძლო გატაცებით ეკითხა მაჰმადიანური სამყაროს საუცხოო ქმნილებანი და ჯეროვნად დაეფასებინა მათი მშვენიერება.

---

* თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 240–1.

** Н. М а р р, Древнегруз. одописцы. 25.

*** Н. М а р р, Начало и расцвет древнегрузинской светской литературы.

XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველომ იწყო გაძლიერება და გამოჩენილი პოლიტიკური როლის თამაში აღმოსავლეთის სხვა ხალხთა შორის და თავის თავს თვლიდა განგებისაგან მოწოდებულად, რათა განეხორციელებინა დიდი ქრისტიანული მონარქიის იდეა, მაშინ ლიტერატურამაც უფრო და უფრო თავისთავადი ხასიათი მიიღო და იგი ასახავდა თავისი დროის საზოგადოების რელიგიურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და იდეალებს. ამგვარი მიმართულების მკაფიო მაგალითად შეიძლება დასახელდეს ჩვენამდე მოღწეული შავთელისა და ჩახრუხაძის ხოტბანი. რითი-ღა აიხსნება მაჰმადიანური პოეზიისა და მსოფლმხედველობის ქრისტიანულ საქართველოზე და მის მწერლობაზე ასეთი უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა? ეს აიხსნება სახელმწიფოებრივი კულტურის ერთობით. ქრისტიანობისა და ბიზანტიის მონარქიის უდიდესი გავლენის მიუხედავად, საქართველომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ აითვისა მაჰმადიანი ხალხების სახელმწიფოებრივი კულტურიდან, მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი იდეალები უცხო არ ყოფილა ქართული საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. სპარსეთის რომანტიკულ და ეპიკურ ნაწარმოებთა გმირების რაინდული სული და საქმე, გვაროვნული სიამაყის შეგნება და სუვერენულ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება-ურთიერთობა შეეხამებოდა საქართველოს ფეოდალური დიდკაცობის სულიერ განწყობილებას, ყოველივე ეს მისთვის სავსებით გასაგები იყო. მათ სთიშავდა რელიგია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურა კი ბევრ რამეში ერთნაირი იყო.

რა თქმა უნდა, ეს ერთობა უფრო თვალსაჩინო შეიქნება, როცა საკითხი ყოველმხრივ დაწვრილებით გამოიკვლევა, როცა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათი საკმაოდ იქნება შესწავლილ-დადგენილი. ხოლო ეს არ შეიძლება ჩვენი დისციპლინის ერთ-ერთი დარგის სპეციალისტის საქმედ იქნეს მიჩნეული. და აი, ყველა ორიენტალისტ-ისტორიკოსისათვის მეორე და საერთო ამოცანას ისიც შეადგენს, რომ შესწავლილი და დადგენილი იქნეს ის ძირითადი ფაქტორები, რომელნიც წარმოადგენენ აღმოსავლეთის ხალხთა სოციალური ცხოვრების შემაერთებელ რგოლებს, რომელთაც, მიუხედავად რასობრივი წარმოშობილობის სხვაობისა და პოლიტიკური განკერძოების დაბრკოლებისა, მაინც შექმნეს მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურის ეგოდენ მსგავსი ნიშნები. ეს ამოცანა ყველა ორიენტალისტ-ისტორიკოსისათვის საერთო, საზიარო ამოცანად აღიარებული მიტომ შეიძლება იქნეს, რომ იმ დრომდე, სანამ საკითხი არ გაშუქდება და არ გამოიკვლევა, არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება იქნეს აღმოსავლეთის საერთო, ზოგად ისტორიაზე იმ გაგებით, რა გაგებაც აქვს დასავლეთ ევროპის ზოგად ისტორიას, ვინაიდან იქ არსებობენ გამაერთიანებელი ფაქტორები, იქ არსებობდა საერთო კულტურული ცხოვრება. თუ ეს ამოცანა არ იქნა შესრულებულ-გადაწყვეტილი, ისე, უამისოდ აღმოსავლეთის ისტორიაც და ეგრეთწოდებული მსოფლიო, ანუ ზოგადი ისტორიაც იქნება მარტო ცალკეულ ხალხთა ან სახელმწიფოთა ისტორია, ხოლო თხრობაში ვერ იქნება გავლებული გამაერთიანებელი ლარი და ხაზი; მაშინ ვეღარ მოვუნახავთ საფუძველს, ერთი მხრით, ისტორიის ისეთ ტერიტორიულ დანაწილებას, როგორიცაა დასავლეთის ისტორია და აღმოსავლეთის ისტორია, ხოლო მეორე მხრით, ვერც იმას შევძლებთ, რომ კაცობრიობის წარსულის თხრობა სავსებით იქნეს გაერთიანებული, როგორც ამას ვხედავთ მსოფლიო ისტორიის დისციპლინაში.

მამულიშვილობა და მეცნიერება[32]

ჩვენში ხშირად იბეჭდება ხოლმე ისეთი წიგნები თუ წერილები, რომელთა შინაარსს განათლებული კაცი ვერ დაეთანხმება; მაგრამ, როცა თხზულება სუსტად არის დასაბუთებული და ავტორიც ისეთ მოღვაწეთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელთაც პირადად დიდი გავლენა აქვთ, მაშინ შეიძლება კაცმა წიგნს თუ სტატიას ყური არ ათხოვოს; ხოლო როცა რომელსამე გავლენიან და დამსახურებულ მწერალს თავის თხზულებაში შემცდარი და საზოგადოებისათვის მავნებელი აზრები აქვს გამოთქმული, თითოეული განათლებული ქართველი ზნეობრივად მოვალეა უყურადღებოდ არ დატოვოს წიგნი: ავტორის პირადი გავლენის წყალობით შემცდარი აზრიც კი ადვილად ვრცელდება საზოგადოებაში.

პატივცემულ იაკობ გოგებაშვილის თხზულება „ბურჯი ეროვნებისა" (II გამოც.) ასეთი წიგნი გახლავთ[33]. მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება: ბ-ნ გოგებაშვილს ჩვენში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იმის აზრს და შეხედულებას საზოგადოება ყურადღებით ისმენს ხოლმე. ამიტომ შესაძლებელია ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ ამ წიგნიდან ზოგიერთი შემცდარი აზრი შეითვისოს, რომელთა გავრცელება ჩვენი წარმატებისათვის ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს. ამ აზრების კრიტიკული განხილვა უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ ამგვარი შეხედულობის მომხრე, რამდენადაც მე ვიცი, მარტო ბ-ნი გოგებაშვილი არა ბრძანდება, — ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ამნაირსავე აზრებს აღიარებს.

რასაკვირველია, ბ-ნ გოგებაშვილის წიგნის დედააზრი, — რომ დედაენას ერისა და კერძო პირების განვითარებასა და წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დედაენა წარსული და თანამედროვე ეროვნების ცხოვრების სარკეა, — სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ამ საგანზე კი არა, სულ სხვა, ერთ ფრიად საყურადღებო საკითხზე სიტყვის ჩამოგდებას ვაპირებ. ამ საგანს თვით ბ-ნი გოგებაშვილი ეხება. მაგრამ, ვიდრე საქმეს შევუდგებოდე, ვიტყვი გაკვრით მხოლოდ, რომ ენის მნიშვნელობის შესახებ გერმანულად და ფრანგულად მრავალი საუცხოო თხზულება არსებობს, რომლებშიაც გაცილებით უფრო უკეთესად, საბუთიანად და ცხადად არის გამოთქმული ის საკითხი, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ეხება. ჯერჯერობით ჩემთვის საინტერესოა ბ-ნ გოგებაშვილის წიგნის ის ნაწილი, სადაც იგი ერთ დიდმნიშვნელოვან და არსებითს საკითხს ეხება. მოკლედ რომ ითქვას, ეს საკითხი მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობას შეეხება, ან, როგორც სათაურშია ნათქვამი, „მამულიშვილობასა და მეცნიერებას". ამ უმთავრეს საგნის განხილვის დროს ბ-ნი გოგებაშვილი ეხება აგრეთვე ბევრ ისეთ საყურადღებო და დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საზოგადო საქმის მიმდინარეობისათვის. მაგრამ სჯობია ჯერ თვით ბ-ნი გოგებაშვილი ვალაპარაკოთ, ბ-ნი გოგებაშვილი ბრძანებს:

ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში, ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოებთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისის ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისის წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა თავისებურობისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა — მამულის სიყვარული — და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა... ჩვენ შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა"...

ბ-ნ გოგებაშვილსა ჰგონია, როგორც ეტყობა, ვითომც მხოლოდ იმ ერსა ჰქონდეს კანონიერი უფლება შეირჩინოს თავისი დედაენა და კულტურა, რომელსაც ბრწყინვალე წარსულით თავი მოაქვს. აგრე რომ ყოფილიყო, მაშინ რა უნდა ექნათ ნორვეგიელებს, რომელთა ეროვნული აღორძინება დიდი ხანი არაა რაც დაიწყო; რა უნდა ექნათ ფინელებს, — მათაც ხომ კაცობრიობის წინაშე წარსულში არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით, ამ ერთი საუკუნის წინათ სამშობლო ენაზე არც სამეცნიერო, არც ხელოვნური მწერლობა თითქმის სრულებით არ მოეპოვებოდათ. საქმე რომ ეგრე დატრიალებულიყო და ყველგან დედამიწის ზურგზე მხოლოდ ამა თუ იმ ეროვნების წარსული ღვაწლის სიდიადის მიხედვით მიენიჭებინათ ნაციონალური განვითარების უფლება, არა მგონია, დიდი სარგებლობა მოეტანა დაჩაგრულ ერთათვის. ერთი ჰკითხოს კაცმა, ვინ უნდა გადაწყვიტოს, მართალი ბრძანდებიან თუ არა „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი" თხზულებების მწერალნი, მიუძღვის მართლა ამა თუ იმ ეროვნებას კაცობრიობის წინაშე საკმაო ღვაწლი თუ არა, საკმაო უნარი და ფხა გამოიჩინა, რომ ნება ჰქონდეს ცოტად არის მაინც ეროვნული თავისუფლება მოითხოვოს? — რასაკვირველია, მებატონე ერმა. — მერე, გამწვავებულ ეროვნულ ბრძოლის დროს განა მოსალოდნელი არ არის მძლავრმა, მებატონე ერმა თქვას, თქვენ საკმაო ნიჭი ვერ გამოიჩინეთ და ამიტომ უფლებების ღირსი არა ბრძანდებითო? ოღონდაც რომ შესაძლებელია. მოვიგონოთ, მაგ., რა საბუთი წამოაყენეს გერმანელებმა, როცა ისინი ავსტროუნგრეთის იმპერატორს სთხოვდნენ, ჩეხების ენას გერმანულის თანასწორ უფლებებს ნუ მიანიჭებთო? — სწორედ ის საბუთი, რომელიც ბ-ნ გოგებაშვილს გულით მოსწონს: ჩეხები იმდენად მაღალკულტურას მოკლებული ხალხია, რომ გერმანულ ენის შესუსტება კულტურის გაქარწყლებას მოასწავებსო.

მერე მართალია ესა? ჩეხებს, თქვენც მოგეხსენებათ, ერთ დროს ბრწყინვალე ხანა ჰქონდათ და კაცობრიობას იან ჰუსი შესძინეს. მაგრამ გამწვავებულ ეროვნულ ბრძოლის დროს მებატონე ხალხის წარმომადგენლებს ისინი არც კი მოჰგონებიათ... მკითხველს კი არ ეგონოს, რომ ეს ავსტრო-უნგრეთის იმპერატორისადმი მირთმეული გერმანელების მოხსენება ვიღაც ბიჭ-ბუჭების შედგენილი იყოს, — თვით სახელოვანი, აწ განსვენებული მეცნიერი, ისტორიკოსი თეოდორე მომზენი და ბევრი სხვა კიდევ გამოჩენილი მეცნიერნი აწერდნენ ხელს. მაგრამ გერმანელთა თხოვნამ ვერ გასჭრა და ვერც გასჭრიდა. რატომ? ვითომ იმიტომ, რომ ჩეხმა მეცნიერებმა გერმანელთა განათლებულ საზოგადოებას დაუმტკიცეს ბ-ნ გოგებაშვილის მიერ უებარ წამლად ცნობილ საშუალებით — „ადვოკატური გამოსარჩლებით", თავიანთ ეროვნულ ღირსებათა გაზვიადებით და ნაკლულევანებათა შემცირებით? რასაკვირველია, არა. ჩეხებმა თუ რაიმე უფლე-

ბა მიიღეს, მხოლოდ კულტურის აღორძინებით, ეკონომიური წარმატებისა და პარლამენტის ბრძოლის წყალობით. რამდენიც უნდა ეწერათ ჩვენელ მეცნიერთ ბ-ნ გოგებაშვილისებური „ადვოკატური" თხზულებები, ვერაფერს ვერ ეღირსებოდნენ ისინი, თუ კი საზოგადოების გამოფხიზლებით და პარლამენტში ბრძოლით გამარჯვებულნი არ გამოსულიყვნენ. ბ-ს გოგებაშვილს კი ამისთანა მიმართულების გავრცელება სწადიან ჩვენ საზოგადოებაში.

მაგრამ თუ ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულებით გამოუსადეგარი გახლავთ, იგი ჩვენი საზოგადოებრივი და ნაციონალური საქმისათვის, პირიქით, ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს, იმიტომ რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით" ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვენიჭებაო ყველა უფლებაო. ამნაირად საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს. ჩვენში ერთობ ძალიან არის გავრცელებული ეს „მოიღეთ მოწყალების" პოლიტიკა: თავადაზნაურობას ჰგონია, მაგ., რომ საკმარისია თავისი სურვილი და გულისნადები შეატყობინოს ვისაც ჯერ არს და თანაც მოაგონოს, რომ მათი წინაპარნი ჩოლოქის და დაღისტნის ომებში გულადად იბრძოდნენ, რომ მაშინვე ერობაც მიენიჭოთ, ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებაც და სახელმწიფო ბანკის („პრიკაზის") ვალებიც ეპატიოთ. რამდენი იყო ჩვენში ამ ვალების პატიების მოიმედე, იმის მაგივრად, რომ პირადი გამჭრიახობით და მუშაობით თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, იმის მაგივრად, რომ ვიდრე ერობას ეღირსებოდნენ, გზების შეკეთებასა და გაყვანაზე, საავადმყოფოების და სამრეწველო ამხანაგობათა დაარსებაზე ეზრუნათ.

როცა სამეგრელოს საეკლესიო სკოლებში ქართული ენა მოსპეს, მაშინაც მოწყალების სასოება გაგვიჩნდა. ბევრს ეგონა და ჰგონია კიდეც, ვითომც საკმარისია ბ-ნმა ჟარიანელმა «Петербур. Ведом.»-ში სტატია დაბეჭდოს[34] და უმაღლეს სასულიერო მთავრობას აუწყოს საქმის ვითარება, ჩვენი ერთგულება და ისტორიული ღვაწლი ქრისტიანობის წინაშე („მრავალტანჯული ჯვაროსანი ერი"), რომ მაშინვე ეთქვათ პეტერბურგში, ეს რა ჩაუდენიათ, შემოღებულ იქნას ქართული ენა სამეგრელოს სკოლებშიო, იმის მაგივრად, რომ ეცადნენ ყოვლის ღონისძიებით იმდენად აღორძინონ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულის ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასათვის ცხოვრებაშიც, აღებმიცემობაშიც, იმის მაგივრად, რომ სამეცნიერო თუ ხელოვნურ მწერლობის წარმატების ხელის შეწყობის წყალობით ჩვენ დედაენას მტკიცე, მკვიდრი ნიადაგი მოუპოონ.

როცა არჩევნების დრო მოახლოვდება ხოლმე ტფილისის საბჭოში, ჩვენი პუბლიცისტები ცეცხლს აფრქვევენ, მთავრობას ქართველების ერთგულებას აგონებენ და დახმარებასა სთხოვენ, ბ-ნი გოგებაშვილი სთხზავს «Правда о Тифлисе»-ს[35] იმის მაგივრად, რომ ბრძოლისათვის მოემზადნენ და ქართველი მეკენჭეები შეჰკრიბონ, და ბევრი სხვა ამნაირივე... რამდენად უნაყოფოა პოლიტიკაში ჩვენთვისაც ამგვარი „გამოსარჩლებითი მწერლობა", იქიდანა მტკიცდება ცხადად, რომ ყველა ზემოაღნიშნული და სხვა კიდევ ბევრი ამგვარივე საქმე სრულებით წაგებულია.

მაგრამ იმის გარდა, რომ ბ-ნ გოგებაშვილის მოწონებული „ადვოკატური“ მეცნიერება, როცა „ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან“, სრულებით უნაყოფო და უმნიშვნელოა ქართველობისათვის პოლიტიკაში, იგი, პირიქით, მავნებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენ ეროვნულ თვითცნობიერების გამოღვიძებისათვისაც იმიტომ, რომ ჩვენი მეცნიერნი, რომელნიც ბ-ნ გოგებაშვილის გემოვნებაზე სამეცნიერო ადვოკატურ გამოკვლევებს შეთხზავენ, მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შეცვლიან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, — ქართველი საზოგადოება კი ყოველთვის მოტყუებული იქნება და ვერც როდის ვერ გაიგებს, „მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს, თუ მხოლოდ იმიტომ არის ასე საუცხოოდ აღწერილი ჩვენი წარსული, რომ ქართველთა „ღირსებანი დიდდებოდნენ, ნაკლულევანებები კი მცირდებოდნენ“. ერთი სიტყვით, ბ-ნ გოგებაშვილის მოწონებულ ვითომდა სამეცნიერო გეგმას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვება, რომ ჩვენვე მოვატყუებთ ჩვენ თავს, საზოგადოებას, ჩვენვე ავუხვევთ თვალებს მას და დავაბრმავებთ. ხოლო ამგვარი მოქმედება ქართველი ერის თვითცნობიერების აღორძინებას შეაფერხებს და ბოლოს მოუღებს, ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს, დასასრულ ჩვენ წარსულს, აწმყოს იდეალად დაუხატავს... როცა ბ-ნი გოგებაშვილი „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ საისტორიო მეცნიერებზე წერდა თავის წიგნში, ალბათ, დავიწყებია პატივცემულ ავტორს, რა მიზანი აქვს თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას და რა ზნეობრივი მოვალეობა აწევს მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე ჩვენი წარსულის მკელევარს.

ოლონდაც, ბ-ნ გოგებაშვილის აზრით, ისტორიას აზრად უნდა ჰქონდეს დაუმტკიცოს (თუნდაც გაზვიადების, სიცრუის წყალობით!) უცხოელებსა და საზოგადოებას ამა თუ იმ ეროვნების ნიჭიერება და სიდიადე. ეს ახირებული აზრი ლომონოსოვის და მეტადრე ნეტარხსენებული ისტორიკოსის კარამზინის შეხედულებას მოგვაგონებს. ერთ დროს იმათაც ეგონათ, ვითომც ისტორიკოსი მოვალე ყოფილიყო დაემტკიცებინა, რომ განუსაზღვრელი თვითმპყრობელობა რუსეთის ცხოვრების დედაბოძი, უკვდავების წყარო გახლდათ. ბ-ნ გოგებაშვილს ვურჩევთ პრ. მილიუკოვის «Главнѣйшія теченія русской исторической мысли» წაიკითხოს და იქ დაინახავს, რა დღეც დაადგა კარამზინს[36]. ბ-ნ გოგებაშვილისებური ისტორია უფრო ნაციონალური ხოტბაა, ვიდრე მეცნიერება. ამნაირი მიმართულება ისტორიას პირველ ხანებში, დასაწყისში ჰქონდა და ახლა მე-20 საუკუნის დამდეგს ამ მიმართულების განახლება მგონი, რომ ძალიან დაგვიანებული უნდა იყოს. თანამედროვე მწერლობაში საისტორიო მეცნიერების მიზნის შესახებ მრავალი საუცხოო გამოკვლევა მოიპოვება. ამავე დროს (ბ-ნი გოგებაშვილი) ჩვენში საზოგადო მოღვაწე მკვლევრებს ჭკუას ასწავლის, ისტორია ნაციონალურ ხოტბა–შესხმადა სურს აქციოს, ხმამაღლა გმობს და თითქმის მამულის ღალატსა სწამებს ყველას, ვინც ჩვენი წარსულის ღირსებას არ აზვიადებს და ნაკლოვანებებს არ ამცირებს. განა ეს ჩვენი სამწუხარო ჩამორჩენის ნიშანი არ არის?..

ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ის, უეჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ

ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.

მაგრამ საქართველოს ისტორიის პირუთვნელი, მეცნიერული ცოდნა მარტო ქართველებისათვის კი არ არის საჭირო, სხვა ერთა წარმომადგენლებისთვისაც: რა ჩამომავლობისაც უნდა გახლდეთ მეცნიერი, გერმანელი იქნება იგი, თუ ფრანგი, რუსი, თუ ქართველი, ყველანი ერთნაირად, რასაკვირველია, თუ ისინი მართლა მეცნიერებას ემსახურებიან, დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოს წარსული საფუძვლიანადა და პირუთვნელად იყოს შესწავლილი, იმიტომ რომ თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაესს მიზანს.

ცხადია, „ადვოკატურ" ისტორიის დაწერა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, ვინც არავითარ ზნეობრივ მოვალეობას არა გრძნობს მეცნიერების წინაშე. მაგრამ იქნებ მამულიშვილური გრძნობა, მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი აიძულებდეს ქართველ მეცნიერს „გამოსარჩლებითი" გაზვიადებული ისტორია წეროს ხოლმე? ზემოთ ვსთქვით, რომ ამგვარი ისტორია უნაყოფოა ხოლმე პოლიტიკაში, გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბამავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად. თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლადაც. ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის: განა ეგვიპტელებსა და ასურელებზე კაცობრიობის წარმატების წინაშე მეტი ღვაწლი მიუძღვის კიდევ ვისმეს, განა სპარსელებს ნიჭი აკლდათ, განა იმათი ბრწყინვალე წარსული მსოფლიო ისტორიისათვის უმნიშვნელო იყო, რომ ახლა შესაბრალისს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი? აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...

მეორე მხრივ, თუნდაც რომ გამოკვლევამ ქართველ მეცნიერს დაანახოს, რომ იმის სამშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაინც იგი არ უნდა შეუშინდეს თავისი დასკვნის გამოქვეყნებას, რადგან მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ხალხს, რომელსაც წარსულში განვითარების უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, ყოველთვის შეუძლია შეითვისოს უმაღლესი კულტურა და განათლებულ ერთა შორის საპატიო ადგილი დაიჭიროს. აჰა მაგალითს ფინელები, იაპონელები, ნორვეგიელები და მრავალნი სხვანი გვიჩვენებენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ხომ კულტურის შეუწყვეტელი მსვლელობა და „ახალ" ხალხთა (გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, სლავები, არაბები

და სხვანი) საერთაშორისო საკულტურო ცხოვრებაში ჩარევა შეუძლებელი იქმნებოდა. ამნაირად, თუნდაც რომ ჩვენი წარსული მართლა არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენდეს, განა არ შეიძლება ჩვენც ბრწყინვალე საკულტურო მერმისის იმედი გვქონდეს, თუკი ყოველ ძალღონეს მოვიკრებთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლად? თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს. ცხადია, მაშასადამე, რომ ქართველ მეცნიერს მამულიშვილური გრძნობა სრულებითაც არ ავალებს ბ-ნ გოგებაშვილისებური „ადვოკატური" ისტორიები თხზას. არ ავალებს მაშინაც, თუნდაც რომ მისი სამშობლოს წარსული მართლა არაფრით იყოს საინტერესო და საყურადღებო.

მაგრამ სწორედ კრიტიკულად განხილული საქართველოს ისტორია, რომლისაც ასე ეშინია ბ-ნ გოგებაშვილს, გვიჩვენებს, რომ ჩვენი წარსული ყოველის მხრივ ძალიან საინტერესოა (უპირველესად, რასაკვირველია, ჩვენთვის და მეცნიერებისათვის). კრიტიკულ, სამეცნიერო და ჩვეულებრივ წარმოდგენათა შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენში ჰგონიათ, ვითომც აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულზე სწორე იყოს, ვითომც ამ შეხედულების შერყევა და დარღვევა თვით ჩვენი წარსულის ღვაწლისა და წარმატებულ ცხოვრების გაქარწყლებას მოასწავებდეს. პირველიდანვე ქართველთა მოდგმის ტომნი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენ, ფარნავაზმა დააარსა შეერთებული, ძლიერი ეროვნული სახელმწიფო, მწერლობა შექმნა და კანონიერი წესწყობილება შემოიღო. შემდეგ ქრისტიანობა გავრცელდა, რასაკვირველია, პირველიდანვე წმინდა, შეუმწიკვლავი მართლმადიდებლობა უნდა გავრცელებულიყო, იგი აქამდეც შეურყეველად არსებობს ჩვენში. ქვეყანა არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე, სადაც მწვალებლობას არ ეჩინა თავი, თვით საბერძნეთსა და იტალიაში დაუცხრომელი ქიშპობა და კამათი იყო ხოლმე სარწმუნოებრივ უთანხმოებათა გამო, მხოლოდ ჩვენში პირველიდანვე სრული მშვიდობიანობა სუფევდა, არავის აზრადაც არ მოსვლია ამა თუ იმ სარწმუნოებრივი საკითხის შესახებ ისე არ ეფიქრა, როგორც მართლმადიდებელნი ფიქრობდნენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მყუდროება სუფევდა. სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამა-შვილური" განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლა არც როდის არა ყოფილა. ცხადია აგრეთვე ჩვენი თავადაზნაურობის ქართველ მეფეებისადმი მხურვალე სიყვარული და ერთგულება და სხვადასხვა მრავალი ამგვარი აზრი ტრიალებს ჩვენ საზოგადოებაში საქართველოს წარსულის შესახებ. ამ წარმოდგენის კრიტიკული განხილვა და შერყევა ქართველთა ნიჭიერების უარყოფად მიაჩნიათ. რით აიხსნება ამგვარი ახირებული გრძნობის არსებობა? მარტოოდენ იმით, რომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ არაფერი არ იცის თავისი სამშობლოს ისტორიის შესახებ ჩვეულებრივი, მამა-პაპური გადმოცემის გარდა და ამის გამო შიშობს ეს ნიადაგიც არ გამოეცალოს.

დიახაც, ჩვენ იმდენად უვიცნი ვართ ჩვენი წარსულის თავგადასავალის შესახებ, იმდენად გვეშინიან კრიტიკული მსჯელობისა, რომ მე-17—18 საუკუნ. წარსულის შესახებ შეთხზული შეხედულება სასიქადულოდა და ჩვენი ნიჭიერების დამამტკიცებლად მიგვაჩნია და ისიც ვერ შეგვიმჩნევია, რომ ეს შეხედულება მხოლოდ ჩვენივე „testimonium paupertatis"-ი არის[3]. მართლაც, განა ძალიან საქებარია ჩვენთვის, როცა გავიძახით და ვარწმუნებთ ხოლმე ყველას, საქარ-

თველოში საზოგადო და საეკლესიო საქმეების შესახებ უთანხმოება და ბრძოლა არც როდის არა ყოფილაო, ვითომც ჩვენში ეგრეთ წოდებულ მწვალებლობას თავი არც როდის არ უჩენია?! ბერძნებს, რომაელებს, ასურელებს, ფრანგებს, გერმანელებს, რუსებს, სომხებსაც, ყველას ჩვენს გარდა ჰქონია სარწმუნოებრივი უთანხმოება, ყველგან ყოფილა ეგრეთ წოდებული მწვალებლობა, მხოლოდ ჩვენ მოგვაქვს თავი უცდომელობით... მაგრამ საქმე რომ მართლა ისე ყოფილიყო, როგორც ჩვენში ჰგონიათ, მაშინ მეცნიერს უნდა ეთქვა, რომ ან ქართველებმა მხოლოდ გარეგნობით, ზედაპირულად შეითვისეს ქრისტიანობა და იმის შინაარსსა, ამა თუ იმ დოგმატის სხვადასხვა ახსნაზე, რომელზედაც მთელი ქრისტიანობა კამათობდა ხოლმე, სრულებითაც არა ფიქრობდა, თავს არ იტკიებდა, ან არა და ქართველები იმდენად ნიჭმოკლებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ სარწმუნოებრივ ბრძოლასა და პაექრობაში მონაწილეობის მიღების თავი არა ჰქონდათ, არ შეეძლოთ, — გერმანელ პოეტის ბოდენშტეტისა არ იყოს, „უცდომელი მხოლოდ ის არის, ვინც არაფერს არ აკეთებს". ასეთი გახლავთ ჩვენი სასიქადულო შეხედულება! ნამდვილად კი სულ სხვანაირი იყო ჩვენი წარსული: სარწმუნოებრივი, საეკლესიო და სამონასტრო ბრძოლა, გაცხარებული კამათი ხშირად ყოფილა ხოლმე საქართველოში, სწორედ ამ ბრძოლას არაერთხელ გაუცოცხლებია და განუახლებია ჩვენი ეკლესია*. იგივე უნდა ითქვას „მამაშვილურ" განწყობილების შესახებ წოდებათა შორის. ბევრს ჰგონია, რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენი განსაკუთრებული სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვთ თავი: ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდო-ევროპიელთა მოდგმის ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივ ცხოვრების უნარი, რომ სოციალურ თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივ ბრძოლით ესარგებლათო. გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს, მაგ., თავის წიგნში „Geschichtsphilosopie," რომ აღმოსავლეთმა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იციან, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ატეხილი ბრძოლაო. აზიაში შეიძლება მხოლოდ აჯანყდნენ, ტაქტიკურ ბრძოლის უნარი კი არ მოეპოვებათო. როგორც ხედავთ, დიდად საქებური არ ყოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, „მამაშვილური" განწყობილება წოდებათა შორის. საბედნიეროდ, მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლია დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიახაც წოდებრივ ბრძოლის მაგალითებით არის სავსე...

ერთი სიტყვით, აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულის შესახებ სრულებით ვერ გვიხატავს საქართველოს მდგომარეობას, იმის წარმატებულ საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებას. იგი გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე თვით ჩვენი წარსული ცხოვრება იდგა; იგი მხოლოდ ამ ცხოვრების უფერულ, მკრთალ აჩრდილს წარმოადგენს; მკრთალს იმიტომ, რომ ეს წარმოდგენა თანამედროვე მეცნიერულ კვლევასა და შესწავლაზე კი არაა დამყარებული, არამედ იმ გადმოცემასა და ცნობებზე, რომელიც ჩვენ საზოგადოებას XVI—XVIII საუკ. ქართველმა მოღვაწეებმა უანდერძეს...

ამის გამო ახლა მეცნიერი ისტორიკოსები მოვალენი არიან უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენ-

* ამის შესახებ იხ. И. Джавахов — «Из истории церковных реформ в древней Грузии», журн. Мин. Нар. Просв., 1904 г., № 2.

ლებრივი წარმოდგენა წარსულ ცხოვრებაზე. ცხადია, ვიდრე ამგვარი პირველ დაწყებით მასალათა განხილვა გათავებული არ იქნება, მანამდისინ შეუძლებელია საქართველოს სამეცნიერო ისტორია დაიწეროს. საქართველოს მწერლობისა და ისტორიის შესწავლა დიდი ხანი არ არის დაიწყო, ამიტომ ჯერჯერობით მკვლევარნი უფრო წყაროების კრიტიკულ განხილვას ანდომებდნენ დროს, მაგრამ ვინც ამ მიმართულების მიმდევარ მეცნიერთა ნაწერებს თვალყურს ადევნებს, უნდა შეენიშნა, რომ ახლაც კი უკვე საკმაოდ შეიცვალა ძველი წარმოდგენა წარსულზე და ძველ ჩვეულებრივ დარღვეულ შეხედულების მაგიერ ახალი, მეცნიერულად დამტკიცებული, შეხედულება მყარდება თანდათან. რაც უფრო მეტი დრო გაივლის, უფრო უკეთესად შემუშავებული და განხილული იქნება ქართული მწერლობა და სამოქალაქო ისტორია; მაშინ კი, დარწმუნებული ვარ, ნათლად დაინახავს ბ-ნი გოგებაშვილი, ვინ იყო „უკულმართობის“ მომხრე, თვითონ იგი და მისი თანამოაზრენი, თუ კრიტიკული მიმართულების მიმდევარნი?

მარტო ისტორიაში კი არა, მეცნიერების ყველა დარგში საჭიროა კრიტიკულმა მიმართულებამ ჩვენში იჩინოს თავი. ჩვენი უძლურება ის არის სწორედ, რომ ჩვენ არც წარსულის, არც თანამედროვე ცხოვრების მდგომარეობის შესახებ ნამდვილი, ჭეშმარიტი ცნობები არ გვაბადია: მაღალ, რიხიან სიტყვებსა და წინადადებებს რომ თავი დავანებოთ, უმეტეს შემთხვევაში უფერულ და უვიც წერილების მეტი თითქმის არა დაგვრჩება რა. ბ-ნ გოგებაშვილს რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ ისტორიის წერის მაგიერ თავის დროზე საზოგადოებისათვის ჩაეგონებინა, თავისი წარსული და თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულად შესწავლას შესდგომოდნენ და თითონაც შეძლებისდაგვარად მაგალითი ეჩვენებინა, მაშინ ქართველ საზოგადოებას შეეძლო ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა. დიახაც, წარსულ საუკუნეში ისტორიის ცოდნას ქართველობისათვის მარტო თეორიული მნიშვნელობა არა ჰქონდა: ათასგვარი ცვლილება მოხდა ჩვენ საზოგადოებრივ წესწყობილებაში, ბევრი ცვლილება ხდება ახლაც. ჩვენ კი იმდენად უძლურნი ვართ ჩვენი ცხოვრების უცოდინარობის გამო, რომ გულხელდაკრებილი, შეშინებული შევყურებთ ცხოვრების ჩარხის ტრიალს: მაგალითად, როცა საქართველოში ბატონყმობა ისპობოდა, მაშინ რომ ჩვენ მოღვაწეებს ფიქრად მოსვლოდათ და ქართულ ბატონყმობის ისტორია შეესწავლათ, გამოერკვიათ, რა უფლებები ჰქონდათ ყმებს და განთავისუფლების დროს ვისთვისაც ჯერ არს აეხსნათ, რომ ჩვენებური გლეხის მდგომარეობა რუსის გლეხების მდგომარეობისაგან განსხვავდებოდა, უეჭველია, მებატონეებსა და ნაყმევებს შორის ტყისა და საძოვრის თაობაზე ისეთი გამწვავებული უთანხმოება არ იქნებოდა, როგორც ახლაა ატეხილი.

ამ რამდენსამე წლის წინათ სამინისტრომ წყლის მფლობელობის ახალი კანონი შეადგინა. ჩვენში, რასაკვირველია, ჩვეულებრივ გაჩუმებული იყვნენ იმის მაგივრად, რომ შეესწავლათ რაზეა ჩვენში დამყარებული წყლის მფლობელობის უფლება და ამისდა მიხედვით სამინისტროს კანონის პროექტი განეხილათ, რომ კანონში, — თუ ჩვენი ცხოვრებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდებოდა, — სასურველი ცვლილება შეეტანინებინათ. რა დარგიც გნებავთ, ყველაფერში ჩვენი ინტელიგენცია ცხოვრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებაზე ჩამორჩენილია. ავიღოთ თუნდ მართლმსაჯულება: ვინ არ იცის, რამდენი დავაა ატეხილი ჩვენში მამულების თაობაზე; ცხადია, სასამართლომ რომ სწორედ გადასწყვიტოს თვი-

თვეული დავა, აუცილებლად საჭიროა მსაჯულებმაც და ვექილებმაც ჩვენებური მიწათმფლობელობის უფლებების ისტორია და ქართული კანონმდებლობა ზედმიწევნით იცოდნენ; ჩვენში არც ერთი ვექილი, ერთი მოსამართლეც არ მოიპოვება თითქმის, რომელსაც ქართული კანონმდებლობა მეცნიერულად შესწავლილი ჰქონდეს; ბევრი იურისტია საქართველოში, რომელსაც ბ-ნ ურბნელის საუცხოეო თხზულებები ქართულ კანონმდებლობის ისტორიის შესახებ* თვალითაც არ უნახავს, არამცთუ წაუკითხავს.

ლალაც, ჩვენ „ადვოკატური, გამოსარჩლებითი" ისტორიების წერა კი არ ევიშველის, არამედ პირუთვნელი, ყოველმხრივი, კრიტიკული შესწავლა და გამოკვლევა ჩვენის წარსულისა და თანამედროვე ცხოვრებისა. ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმაგრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატივცემულ პრ. ე. პეტრიაშვილს მიბაძავს და გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა შექმნას, — რომ მწერლობას მართლა ძალა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს...

რაკი ბ-ნი გოგებაშვილი დარწმუნებულია, რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი" ისტორიის წერას ეროვნულ უფლებათა მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ იმასა ჰგონია, ვითომც ქართველი მეცნიერები „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი ხასიათის" საისტორიო თხზულებებს უნდა წერდნენ და ვინც ამ მოვალეობას არ ასრულებს, უკულმართობის გზას ადგეს. ბ-ნ გოგებაშვილს თავის წიგნში იმ მკვლევართა გუნდიდან, რომელთაც იმისი აზრით სურთ „ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დამალონ, უარჰყონ მისი ყოველივე თავისებურობა", მხოლოდ ორი მაგალითი მოჰყავს. პირველზე არას ვიტყვი, მე მხოლოდ მეორე მაგალითზე ვაპირებ საუბარს. თუმცა ბ-ნი გოგებაშვილი ამ მკვლევრის გვარს არ ასახელებს, მაგრამ იმის სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ იგი პროფესორ ნ. მარზე ლაპარაკობს.

ჩვენს საზოგადოებაში ბევრი უცნაური ჭორია გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდბუნებოვან მეცნიერზე; ბ-ნი გოგებაშვილი ამ ჭორების ხმას აჰყვა და თავის წიგნში ყველა ამგვარ ცილისწამებას თავი მოუყარა ერთად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველა ჭორი და ცილისწამება სრულს უვიცობასა და გაუგებრობაზეა დამყარებული. მე ხშირად შემხვედრია ისეთი მაბრალებელი პრ. მარისა, რომელიც რიხიანად ლაპარაკობდა მასზე, თუმცა ერთი მისი სამეცნიერო თხზულებაც კი წაკითხული არა ჰქონდა.

მაგრამ უკეთესია ბ-ნ გოგებაშვილის თითოეულ ბრალდების განხილვას შევუდგეთ. კვალდაკვალ ვეცდებით ვუჩვენოთ მკითხველს, რამდენად შემცდარნი ბრძანდებიან ისინი, რომელთაც ვერ გაუგიათ პრ. მარის თხზულების მნიშვნელობა და დედააზრი და თითოეულ მის ნაწერს მტრის თვალით უცქერიან. ყველგან, როცა კი ჩვენ ამა თუ იმ წყაროდან, ან წიგნიდან საბუთები მოყვანილი გვაქვს, შენიშვნებში ასლი, ნამდვილი ტექსტია ამოწერილი, რომ მკითხველს ყოველთვის შეეძლოს დაინახოს სწორეა თუ არა ჩვენი მოსაზრება.

ბ-ნი გოგებაშვილი ბრძანებს: პრ. მარი „მთელს ძველს ქართულს ლიტერატურას თარგმანს ეძახის, უმეტეს ნაწილად სომხური ენიდან" („ბურჯი ეროვ".

---

* „ძეგლის დება", „ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი".

გვ. 52). პრ. მარს ასე გადაჭრით მთელს ძველ მწერლობაზე არც როდის არ ულაპარაკნია; იგი ამტკიცებდა მხოლოდ, რომ დაბადება და ახალი აღთქმის სასულიერო წიგნები, რომელნიც ქართულ მწერლობის პირველ ხანას ეკუთვნიან, სომხურიდან არიან ნათარგმნი*. ამ აზრს იგი ქართულ დაბადების დედნის შესწავლასა და შედარებაზე ამყარებდა; ამიტომ ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვები, ვითომც პრ. მარი „მთელს ძველს ქართულს მწერლობას უმეტეს ნაწილად სომხურიდან ნათარგმნს ეძახის", — ან უნებლიეთი შეცდომა უნდა იყოს, ან განზრახ სიცრუე. „ვიდრე გამორკვეული არ იქნება, — ამბობს თვით პრ. მარი, — როგორ და რამდენადა ჰქონდა ქართულ ლიტერატურაზე სომხურ მწერლობას გავლენა, მანამდისინ შეუძლებელია ასურეთის, სომხეთისა და საქართველოს შორის სარწმუნოებრივ და სალიტერატურო ერთობის ხასიათის გამორკვევა"*.

ცხადია, რომ თვით ავტორს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნია; პირიქით, პრ. მარის აზრით, ჯერ კიდევ უნდა გამოირკვეს, თუ რამდენი და რომელი თხზულებები, სახელდობრ, გადმოთარგმნილია სომხურიდან ქართულად. იგი თვით კვალდაკვალ მისდევს ამ საკითხის გამორკვევას და მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რაც უკვე შესწავლილი აქვს. ჯერჯერობით პრ. მარმა განიხილა მხოლოდ სახარება (იხ. Изъ поездки на Афон, Ж. М. Н. Пр. 1893 წ. № 1, გვ. 14), წმიდათა ცხოვრებანი (ibid., გვ. 16—20), „იპოლიტეს ქება ქებათა" (იხ. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, вып. III. გვ. XV) და სახისმეტყველი (ibid., вып. VI), რომ პრ. მარი ვიდრე საკითხი სრულიად გამორკვეულად არ მიაჩნია, გადაჭრილ აზრს ქართულ მწერლობაზე არ გამოთქვამს ხოლმე, შეიძლება მის შემდეგი სიტყვებიდან დაინახოს მკითხველმა: ძველი აღთქმის „ნეშთის" („პარალიპომენონ") შესახებ იგი ფრთხილად წერს: „ნეშთის ქართულ თარგმანზე ჯერჯერობით ვდუმ, იმის გამო, რომ ამ წიგნის ძველი შესწორებული დედანი ხელთ არა მაქვსო" (Кавказский вестник, 1902, Новооткрытый армянский текст «Паралипоменон». გვ. 13, შენ. 1.).**

როდესაც პროფ. მარი ამბობს, რომ უძველესი ქართული საეკლესიო მწერლობა სომხურიდან უნდა იყოს ნათარგმნიო, იგი, რასაკვირველია, ქრისტიანობის პირველ ხანაზე ლაპარაკობს, რომელმაც დაახლოებით VII—VIII საუკ. გასტანა, ვიდრე ქართველები და სომხები ერთმანეთს სარწმუნოებრივ არ დაშორდნენ. ცხადია, აგრეთვე, რომ პრ. მარი განსაკუთრებით ისეთ თხზულებების თარგმანზე ლაპარაკობს, რომელნიც ყველგან (საბერძნეთის გარდა, ზოგჯერ იქაც კი) ნათარგმნი იყვნენ. ამით, რასაკვირველია, იგი არ უარჰყოფს იმისთანა ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებების არსებობას, რომელნიც შესაძლებელი იყო ადგილობრივ შეეთხზათ. მაგ., ქართველ წმიდათა ცხოვრებანი (ცხრა ძმა კოლაელ., რაჟდენისა, ევსტატე მცხეთელისა და უძველესი ჯერჯერობით დაკარგული ასურელ მამათა ცხოვრებანი) საპაექრო (საპოლემიკო) წერილები და სხვ. მაგრამ გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობა ჩვენს მამულიშვილებს ნებას არ აძლევს წარმოიდგი-

---

* «Без выяснения как качества, так и размеров армянского влияния на грузинскую письменность нет никакой возможности уяснить себе характер литературного и вообще христианско-культурного общения Сирии, Армении и Грузии». Из поездки на Афон. Журн. Мин. Нар. Просв. 1899 г., № 3.

** «О грузинском переводе пока я молчу, так как я не располагаю древним текстом Паралипоменона, не подвергшимся позднейшим исправлениям»...

ნონ, რომ ქართველებს ოდესმე შეეძლოთ რაიმე გადმოეთარგმნათ სომხურიდან. ამნაირი გრძნობა კი ავადმყოფური თავმოყვარეობის შედეგი გახლავთ: ვინ არ იცის, რომ ძველი და ახალი აღთქმის და ყველა საეკლესიო წიგნი სომხების შეთხზული არ არის; ქართველებს საიდანმე უნდა გადმოეთარგმნათ უეჭველია ეს წიგნები. როგორც თვით სომხებმა ასურულიდან გადმოთარგმნეს, ბერძნებმა ებრაულიდან, რომაელებმა ბერძნულიდან, რუსებმა ბულგარულიდან და სხვა და სხვა.

რა სათაკილოა მერე ჩვენთვის, რომ საღმრთო წერილი სომხურიდან იყოს ნათარგმნი? სომხებმა, როგორც ასურელებთან მოსაზღვრე ერმა, ჩვენზე უფრო ადრე მიიღეს ქრისტიანობა; სომხეთიდან ქრისტიანობა ჩვენშიაც გადმოვიდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში*; დასავლეთ საქართველოშიც, მაშინდელ ლაზიკაშიც ვრცელდებოდა ახალი სარწმუნოება, მაგრამ იქ ბერძნებმა ისეთი მტარვალური გავლენა იქონიეს, რომ არც ლაზიკაში, არც კოლხიდაში სამშობლო ენაზე მწერლობა არ აღორძინებულა; პირიქით საბერძნეთმა ლაზიკა თითქმის სრულიად მოაშორა და მოსწყვიტა ქართველობას; ხოლო კოლხიდაშიც რომ აღმოსავლეთიდან, ქართლიდან, თანამოძმენი სამშობლო ენაზე უკვე განვითარებული მწერლობითა და წირვა-ლოცვით არ მიშველებოდნენ, საქმე ცუდად დატრიალდებოდა. ვრცლად ლაპარაკი ამ საგანზე ახლა შეუძლებელია, რასაკვირველია, თავის დროზე ვეცდებით მკითხველს წარმოვუდგინოთ, თუ რა დიადი ღვაწლი მიუძღვის კოლხიდაში სამშობლოს წინაშე ქართველ სამღვდელოებას.

პირველი საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობას სრულებით არა ჰქონია ეროვნული მიდრეკილება: პირიქით, იგი ყოველგვარ ნაციონალურ განცალკევებას უარჰყოფდა. ამნაირივე საერთაშორისო, კოსმოპოლიტური ხასიათი უნდა ჰქონოდა იმ ქადაგებასაც, რომელიც გაისმა ასურეთიდან სომხეთში, სომხეთიდან საქართველოში. ამიტომ როცა პრ. მარი, ან სხვა რომელიმე მკვლევარი სომხური მწერლობის გავლენაზე წერს, ეს სომხურ ეროვნულ მწერლობის გავლენას კი არა ნიშნავს, არამედ კოსმოპოლიტურ, საქრისტიანო სომხურად დაწერილ, ნათარგმნ, ან ორიგინალურ მწერლობის გავლენასა. ამ აზრს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ვიდრე საქართველოსა და სომხეთში ეროვნული მიმართულება მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა, მანამდისინ დიდიხანია რაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილება უკვე მომხდარი იყო.

ახლა ვთქვათ ჩვენთვის, რითაა სათაკილო ქართველის ეროვნულ თავმოყვარეობისათვის, რომ უძველეს ხანაში ქრისტიანობა სომხეთის მხრიდანაც ვრცელდებოდა ჩვენ სამშობლოში? რად უნდა აუხვიოს გვერდი ქართველმა მეცნიერმა ამ საკითხს? აგრე რომ ყოფილიყო, გერმანელებს ხომ კრინტიც არ უნდა დაეძრათ იმის შესახებ, რომ მათ ქვეყანაში ქრისტიანობა საფრანგეთიდან გავრცელდა, მით უმეტეს, რომ ეს ორი ხალხიც ერთმანეთზე გადამტერებულია და მეტოქეობენ. მაშ რუს მეცნიერებსაც თავიანთ საეკლესიო ისტორიის უძველესი ხანის შესწავლაც ხომ ეროვნული თავმოყვარეობის დამამცირებლად უნდა ჩაეთვალათ, იმიტომ რომ რუსების უძველესი სასულიერო მწერლობა თითქმის მთლად ბულგარულიდანაა ნათარგმნი, და სხვა და სხვა. მაგრამ არც გერმანელებს, არც რუსებს არ ეთაკილებათ, იმიტომ რომ სათაკილოც არაფერია. ჩვენ კი იმდენად ავადმყოფური თავმოყვარეობა გვაქვს, რომ ყველას, ვინც კი ზემოაღნიშნულ საკითხს შეეხება და გამოკვლევას შეუდგება, სამშობლოს ღალატს დავწამებთ ხოლმე და ჩვენ ნებაზე რომ ყოფილიყო — ჯვარს ვაცვამდით... ხო-

ლო იმ საკითხის გამოკვლევა, თუ საიდან გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოში, აღმოსავლეთიდან, თუ დასავლეთიდან, რომელ მათგანს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ხანებში, აუცილებლადაა საჭირო იმიტომ, რომ ამ საკითხზე დამოკიდებულია ბევრი კულტურის მხრივ ფრიად საყურადღებო ცხოვრების მოვლენანი, რომელთა შესახებ საუბარი ახლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

„მკითხველი კარგად იცნობს, — ბრძანებს შემდეგ ბ-ნ გოგებაშვილი, — საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკების კრებულს, რომელსაც ჰქვიან მშვენიერი სახელი: „სიბრძნე სიცრუისა". დღემდის ამ თავისებურს თხზულებას ქართველის ნიჭის ნაწარმოებად სთვლიდნენ — უცხოელნიცა და ქართველებიცა, მისს სრულ თავისებურობაში არავის ეჭვი არ შეუტანია. ჩვენმა ურწმუნო თომა-პროფესორმა კი არც აცივა, არც აცხელა, და ერთს თავისს თხზულებაში გაატარა ის აზრი, რომ „სიბრძნე სიცრუისა" ნასესხი, თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობითაო, — რად უნდა იყოს, რა საბუთით, რა მოსაზრებით, ამაზე იგი კრინტსაც არა სძრავს" (ჴურჯი ეროვ. გვ. 51—52).

პრ. მარს არც ერთი თხზულება არა აქვს დაწერილი, სადაც „სიბრძნე სიცრუის" არაკებს ეხებოდეს სპეციალურად; მას 20 სტრიქონი აქვს შეტანილი თავის გამოკვლევაში «Сборник притч Вардана» (часть I, გვ. 516), სადაც იგი გაკვრით ლაპარაკობს ამ საგანზე იმიტომ, რომ „სიბრძნე სიცრუის" წიგნში ისეთი არაკები აღმოჩნდა, რომელნიც სხვა ერთა კრებულებშიაც მოიპოვება. ბ. გოგებაშვილს ეტყობა პრ. ა. ცაგარელის წიგნი «Книга мудрости и лжи» (перевод и объяснения, Петерб., 1878 г.) წაკითხული არა ჰქონია, თორემ როგორ იტყოდა „სიბრძნე სიცრუისა" არაკების სრულს თავისებურობაში არავის ეჭვი არ შეუტანიაო. თვით პრ. ცაგარელს თერთმეტი არაკის შესახებ ცნობები შეკრებილი და მოყვანილი აქვს, რომ ისინი ან ანვარი სოჰეილიში, ან პანჩატანტრაში, ან 1001 ღამის ზღაპრებში, ან ეზოპის იგავების კრებულში მოიპოვებიან*. არც პრ. ცაგარელს გადაუწყვეტია საბოლოოდ, თუ რომელი იგავი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ქართულად, რომელი უცხოეთის მწერლებიდან შემოტანილად; იგი წერდა: „იმ ფრიად საინტერესო და დიდმნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტა, ორიგინალური და ადგილობრივია თუ არა „სიბრძნე სიცრუის" წიგნში შეტანილი არაკები, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მათ სხვა ეროვნებათა ამგვარსავე პოეტურ ნაწარმოებებს შევადარებთ. ეს კი მსოფლიო მწერ-

* აი თვით პრ. ცაგარელის სიტყვები 7 არაკის შესახებ: «сравни со сказкой в «1001 ночи»... сходны не только в основном мотиве, но и в подробностях»; 22-ის შესახებ ср. «Pantschatantra (прим. № 25; 43 არაკის შესახებ — «нечто в этом роде повествуется в «1001 ночи» (прим, 53); 66 „არაკის შესახებ — «ср. Панчатантра» (прим. 61): 62 არაკის შესახებ—«Встречается у Эзопа в Панчатантре» (прим. 66); 71 არაკის შესახებ — «Эзоповская басня» (прим. 73); 111 არაკის შესახებ — «Этот рассказ имеет поразительное сходство, за исключением незначительных подробностей с одним рассказом Синдабадова цикла в «1001 ночи» (прим. 99); 120 არაკის შესახებ — «ср. Анвари—Сох... у Эзопа... в Панчатантре» (прим. 105); 132 არაკის შესახებ — «Весьма распространенная басня; сравн. «Кули», Индейские сказки и легенды, собр. И. П. Минаевым...» (прим. 111); 135 არაკის შესახებ — «ср. Индейские сказки и проч. И. П. Минаева» (прим.); 160 არაკის შესახებ —«нечто подобное и в Nitopades'i» (прим. 119).

ლობის ისტორიის მცოდნე პირთა საქმეა, ან უფრო რომ იმ მეცნიერთა საქმე, რომელნიც სპეციალურად ზღაპრებსა და იგავებს იკვლევენ*.

მართალია, თუმცა შემდეგ პრ. ცაგარელი ამბობს, რამდენადაც მე შევატყე საბას თხზულებაში უცხო ხალხთა იგავ-არაკების კრებულებიდან ცოტა რამ უნდა იყოს შეტანილიო და ამის გამო „სიბრძნე სიცრუის" წიგნი ზემოაღნიშნულ კრებულებიდან, მგონი, არც გადმოთარგმნილი, არც მინაბაძი, არც გადაკეთებული უნდა იყოს, რომ იგი ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოსო (ibid., გვ. XI), მაგრამ იქვე ფრთხილად უმატებს: „რასაკვირველია, შესაძლებელია იგი (ესე იგი სიბრძნე-სიცრუის წიგნი) ისეთ რომელიმე წყაროდან ყოფილიყოს ამოღებული, რომელიც ჯერ აღმოჩენილი არაა; იქნება მისი პროტოტიპი ოდესმე თვით ქართულ მწერლობაში აღმოჩნდეს".** როგორც მკითხველი დაინახავდა, პრ. ცაგარელი გადაჭრილს და საბოლოოს არას ამბობს; უფრო სამართლიანად მას შემდეგი მოსაზრება მიაჩნია: „მე მგონია, — ამბობს იგი—ჭკუასთან უფრო ახლოა (უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ) ვიფიქროთ, რომ (სიბრძნე-სიცრუის) წიგნის გეგმა თითონ ავტორს ეკუთვნის; იგავების, ზღაპრების და არაკების უმთავრესი (საპატიო, საკმაო) ნაწილი კი ხალხისგან არის შეთვისებული. საქართველოს ყველა კუთხეებში ხალხი ეხლაც მოგვითხრობს ამ ზღაპრებს, — უფრო შესაძლებელია საბას აელო ხალხიდან, ვიდრე „სიბრძნე-სიცრუის" ხელთნაწერ წიგნებიდან ხალხში გავრცელებულიყო. დასასრულ, ის იგავ-არაკები, რომელთაც თვალსაჩინო მსგავსება აქვთ სხვა ერთა მოთხრობებთან (უცხო ერებისაგან) შეიძლება შეთვისებული იყოს".*** მკითხველი დაინახავდა, რომ პრ. ცაგარელი საბა ორბელიანს მარტო „სიბრძნე სიცრუის" წიგნის გეგმას აკუთვნებს, იგავები ავტორს ხალხში გაგონილი ექნება და შეგროვილიო; ამ იგავ-არაკებს შორის პრ. ცაგარელის აზრისამებრ უცხო ხალხთა თქმულებებიც უნდა იყოს შერეული. მერე განა პრ. მარი ამტკიცებდა როდისმე, რომ გეგმა საბა ორბელიანს არ ეკუთვნისო? არც როდის!.. პრ. მარი წერდა მხოლოდ: „სასურველია უფრო მტკიცე აზრი დამყარდეს ზემოაღნიშნულ ქართული ძეგლის (Памятника) წყაროების შესახებაო".**** პრ. მარი მხოლოდ ერთ პრ. ცაგარლის შეხედულებას არ ეთანხმე-

---

* «Вопрос о том, насколько оригинальны и туземны рассказы, входящие в состав кн. Мудрости и лжи — вопрос столь интересный и важный, может быть разрешен посредством сравнения их с этого рода поэтическими произведениями других народов: это дело специалистов и истории Всеобщей Литературы, или даже специально занимающихся отделом сказок и басен этой науки» (Ал. Цагарели. Книга Мудрости и лжи; 1878 г. გვ. X).

** «Конечно, это не исключает возможности, что она заимствована из какого-нибудь другого источника, быть может еще неизвестного, а может быть ее прототип найдется со временем в самой грузинской литературе» (ibid., გვ. X).

*** «Мне кажется, скорее следует допустить, что план книги принадлежит самому автору; заключительная же часть басен, сказок, анекдотов заимствована из уст народа, который рассказывает их и теперь во всех закоулках Грузии, куда едва ли они перешли из рукописных экземпляров кн. Мудрости лжи, а скорее обратно. Наконец, те рассказы, которые представляют очевидную аналогию с рассказами других народов, могут быть заимствованы» (ibid., IX).

**** «Прежде чем пользоваться для сличения в научных целях баснями из книги Мирской Мудрости, желательно бы установить более прочный взгляд на источники названного Грузинского памятника» (Сборники притч Вардана, часть I, 516, прим. 2).

ბა: თუ ხალხი საქართველოს ყველა კუთხეში ახლა რომელიმე არაკს მოგვითხრობს, ეს გარემოება არ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, ვითომც საბა ორბელიანს უმეტესი ნაწილი თავის იგავ-არაკებისა ხალხიდან შეეთვისებინოს,* იმიტომ არ ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ხალხს საბა ორბელიანის დროს არც კი სცოდნოდა ეს იგავ-არაკები; ვისაც სურს დაამტკიცოს, რომ საბა ორბელიანის მოთხრობები და არაკები მართლა ხალხურია, ხალხისაგან გაგონილი, იმან უპირველესად უნდა დაამტკიცოს, რომ საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ დაწერამდე ხალხში უკვე გავრცელებული იყვნენ ზემოაღნიშნული იგავ-არაკები. ეს კი ჯერ არც გამორკვეულია, არც დამტკიცებული, ე. ი. საკითხი გადაწყვეტილი არ არის და პროფ. მარი ამბობდა მხოლოდ, სასურველია ეს საკითხი გამოირკვეს და საბოლოოდ გადაწყდესო. პრ. მარს არც როდის არ უთქვამს, ვითომც „სიბრძნე სიცრუისა“ ნასესხი, თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობითაო და თუ ბ-ნ გოგებაშვილი პრ. მარს ამ აზრს თავზე ახვევს, ამის მიზეზი ერთი და იგივე უნდა იყოს: ამ შემთხვევაში მას ან წაკითხული არ უნდა ჰქონდეს პრ. მარის ზემოაღნიშნული 20 სტრიქონი, ან არა და განზრახ დაუმახინჯებია პრ. მარის სიტყვები.

ყოველი პირუთვნელი მკვლევარი დაეთანხმება პრ. მარს, რომ თუ ახლა ხალხი მოგვითხრობს რომელსამე არაკს, ეს იმას არ ამტკიცებს, ვითომც ეს არაკი გავრცელებული ყოფილიყოს საბა ორბელიანის დროსაც[10].

მეორე მხრივ ცხადია, რომ ბევრი ისეთი თქმულება და არაკი არის გავრცელებული ჩვენ ხალხში, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილია და ნამდვილ ეროვნულ თქმულებათა ჯგუფს არ ეკუთვნის. მეცნიერებამ კაი ხანია გამოარკვია, რომ მრავალი სხვადასხვა ხალხთა თქმულებები, საგმირო ლექსები და არაკები, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ, ადგილობრივ ნაწარმოებად მიაჩნდათ, უცხოეთიდან ყოფილა შემოტანილნი. მოვიყვან ორიოდე თვალსაჩინო მაგალითს: ყველას კარგად მოეხსენება, რომ ვილჰელმ ტელის თქმულება შვეიცარიის განთავისუფლების შესახებ შვეიცარიელთა ეროვნულ თქმულებად ითვლებოდა; ამ თქმულებას შვეიცარიელნი იმდენად ნამდვილ, ჭეშმარიტ და ნაციონალურ და ისტორიულ გარდმოცემადა სთვლიდნენ, რომ ვილჰელმ ტელს თავის ქვეყანაში ძეგლიც აუგეს. მაგრამ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს თქმულება სრულებით ყალბია[11], ადგილობრივ შვეიცარიული კი არა, არამედ ირლანდიიდან შვეიცარიაში გადმოტანილი კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი თქმულებაა (იხ. Bernheim, Lehrbuch d. histor. Methoden, 1889 წ., გვ. 229—32. იქვეა აღნიშნული ყველა წყარო იმ საკითხის შესახებ).

მოვიყვან მეორე მაგალითს: ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის ბალავარის, ანუ ბალაჰვარის და იოდასაფის ამბავი, ყველას გაგონილი ექნება, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად გადათარგმნა. ბიზანტიის ეკლესიამ ეს ბალავარი წმინდანად ჩარიცხა; მეცნიერებამ კი, რომელსაც უნდოდა გაეგო, საიდან და როგორ გავრცელდა ეს მოთხრობა, დაამტკიცა, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ გადაკეთებული ბუდას ცხოვრებაა და ნამ-

---

* აი თვით პრ. მარის სიტყვები: «Существующее пока мнение, будто если не все, то значительная часть басен, сказок, анекдотов, вошедших в Мирскую Мудрость, «заимствована из уст Грузинского народа» (Ал. Цагарели, op. c., стр. XI) еще не может считаться окончательным: факт распространения их теперь «во всех закоулках Грузии» сам по себе ничего еще не доказывает» (Сборники притч Вардана, ч. I, 516, пр. 2).

დვილად ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არა ჰქონია, თუმცა ეს თქმულებაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ნამდვილ საეკლესიო გადმოცემად ითვლებოდა[11].

მესამე მაგალითი ინგლისს შეეხება: დიდი ხანია ბრიტანეთში საეკლესიო თქმულება გრალის შესახებ გავრცელებული იყო, რომ ბრიტანეთში იოსებ არიმათიელმა გაავრცელა ქრისტიანობა. ამ თქმულებას ერთ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ყველას ეჭვმიუტანელ გადმოცემად მიაჩნდა, მაგრამ ახლა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ეს თქმულება მესოპოტამიაშია შეთხზული, ირლანდიასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა[12] და ბრიტანიაში მხოლოდ XII საუკ. შემდეგ შეთვისებული იყო ეს თხზულება და გადაკეთებული*.

ასეთივე ბედი ეწია რუსულ თქმულებასაც ანდრია მოციქულის კიევში ქადაგების შესახებ: სასულიერო აკადემიის პროფ. გოლუბინსკიმ დაამტკიცა, რომ ეს თქმულება საეჭვოა და დასაჯერებელი არ არის.**

ზემომოყვანილ მაგალითებიდან მკითხველი ცხადად დაინახავდა, რამდენად ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ რომელი თქმულება და ამბავი ნამდვილადაა ეროვნული, ადგილობრივი, რომელი კიდევ უცხოეთიდან შემოტანილი, — რომ ამის გამორკვევა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. არც ერთი განათლებული ქვეყანა არ არსებობს დედამიწის ზურგზე, სადაც მეცნიერებს არ დაემტკიცებინოთ, რომ ბევრი ერთ დროს ეროვნულ და ადგილობრივ თქმულებებად აღიარებული არაკი და საგმირო ლექსი უცხოელებისაგან არის შეთვისებული. შესაძლებელია, აგრეთვე, რომ ზოგიერთ, ან იქნებ ბევრ იგავ-არაკს, რომელიც საბას თავის თხზულებაში შეუტანია, იგივე ბედი ეწიოს. მხოლოდ, ეწევა თუ არა, ეს ჯერ გამორკვეული არ არის და პრ. მარი წერდა, საჭიროა ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნასო. დიახაც რომ საჭიროა გამოირკვეს, რა არის ნამდვილი ქართული და რაა შემოტანილი უცხოეთიდან. ამგვარ გამოკვლევას რომ შესდგომოდნენ, აქამდისინ უკვე შესწავლილი იქნებოდა ისეთი ნამდვილი ეროვნული თქმულებები, როგორც ამირანის თქმულებაა, აგრეთვე მრავალი კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ზნე-ჩვეულება და საგმირო ლექსი.

შემდეგ ბ. გოგებაშვილმა გასაოცარი ცილისწამება იკადრა: „ჩვენს პროფესორს, ბრძანებს იგი, თითქმის პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა, როცა ქართველი მოღვაწეები კრიტიკულად ეხებოდნენ მის უკუღმართს აზრებსა და იცავდნენ ჩვენის წარსულის თავისებურობას, და დაურიდებლად ყრილობდა მათზე ჯავრსა. იგი

---

* «В основе первой части Grand saint Graal лежит какая-нибудь местная легенда о Иудейско-христианской диаспоре в северной Месопотамии; легенда сирийская... около 1135 г. у Вельгельма Мальмебергийского, и уже в его источнике показывается неясное известие об Иосифе, друге ат. Филиппа, но уже как о проповеднике христианства в Британии» (А. Веселовский, Известия отдел. Русского языка и слов. Импер. Академии наук, 1900 г., том V, стр. 448).

** «Древним временам древним людям извинительно было создавать легенды; но на нас в свою очередь лежит обязанность отличать легенды от настоящей исторической истины... Сказание об апостоле Андрее говорит, что он был в России потому, что хотел через нее пройти из Греции в Рим; ясно, что сказание есть вовсе неудачный вымысел, ибо оно заставляет апостола итти путем, который не только 50 раз длиннее обыкновенного, но который в его время просто был совершенно неизвестен... Нельзя и совершенно невероятно допустить, чтобы телесно посетил нашу страну один из апостолов» (Пр. Голубинский, История рус. церкви, том I, стр. 9—10, 1880 г.).

ერთს ოფიციალურს გამოცემაში, სახელდობრ, «Журнал Министерства Народного Просвещения»-ში თავის მოწინააღმდეგეებს იხსენიებდა, როგორც შოვინისტებს, მეომარ პატრიოტებს, რასაც შეეძლო სახიფათო ჩრდილი მიეყენებია მეტადრე მათთვის, რომელნიც ავტორსავით სახელმწიფო სამსახურში იყვნენ" („ბურჯი ეროვ". 52). საბუთიანი შენიშვნა და პასუხი პრ. მარს არც როდის არ მიუღია პირად შეურაცხყოფად, შეუცდომელი არავინაა ქვეყანაზე და მეცნიერებას, როგორც სპარსელმა პოეტმა საადიმ სთქვა, უკამათოდ არსებობა არ შეუძლიანო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხშირად საბუთიან პასუხის მაგიერ აბდაუბდა წერილები იბეჭდება ხოლმე. ბ-ნ გოგებაშვილი არ ასახელებს, სახელდობრ ჟურნალის რომელ ნომერში უძახოდა თავის მოწინააღმდეგეებს შოვინისტებს და მეომარ პატრიოტებს, მაგრამ, უეჭველია, პრ. მარის პასუხი ბ. მ. ჯანაშვილის მიმართ მას უნდა ჰქონდეს სახეში (1890 წ. № 10). პრ. მარმა 1895 წ. № 6, იმავ ჟურნალში ამირან-დარეჯანიანის შესახებ ერთი გამოკვლევა დაბეჭდა, სადაც ამ მოთხრობის მომქმედ პირთა სახელების და დედა აზრის მიხედვით ამტკიცებდა, რომ იგი ქართველის დაწერილი კი არა, სპარსულიდან უნდა იყოს ნათარგმნიო, ამ დასკვნის დარღვევას ბ. ჯანაშვილი ცდილობდა („მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი"), მაგრამ ისე, რომ მის ნაწერს სწორედ ის „ადვოკატური გამოსარჩლებითი ხასიათი" ჰქონდა, რომელიც ასე მოსწონს ბ-ნ გოგებაშვილს. ამ ადვოკატურ „სამეცნიერო" წერილის დარღვევის შემდეგ პრ. მარი ამბობდა: „ამგვარ შეცდომების მიზეზი უცოდინარობა კი არაა, არამედ ის გარემოება, რომ სამეცნიერო გამოკვლევათა წერის დროს პატრიოტულ გრძნობით ხელმძღვანელობენო. კავკასიაში, — წერდა იგი, — ყველას არა სცოდნია, ან უფრო რომ არა სდომნიათ ყური ათხოვონ იმ ჭეშმარიტებას, რომელიც Jonckbloet'-ის Etude sur le roman de Renard (1863, გვ. 48)-ის ერთს წინადადებითაა გამოთქმული: „მშვენიერი რამაა სამშობლოსადმი სიყვარული, მაგრამ მაინც კაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს"*. როგორც მკითხველი დაინახავდა, აქ არც მეომარ პატრიოტობაზეა ლაპარაკი, არც სამშობლოსადმი სიყვარულია დაგმობილი; პირიქით, პრ. მარი Jonckbloet'-ის პირით ამბობს: „მშვენიერი რამაა სიყვარული სამშობლოსადმი" საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ცხოვრებაში, მხოლოდ მეცნიერებაში კაცს სიფრთხილე სჭირია, რომ გადამეტებულმა პატრიოტულმა გრძნობამ, ჩვენ სამეცნიერო მსჯელობაზე მავნე გავლენა არ იქონიოს, ესე იგი რომ სამეცნიერო პირუთვნელობა არ დაირღვესო.

მხოლოდ ჩვენებურ მშიშარა და ლაჩარ მამულიშვილებს შეუძლიათ იფიქრონ, ვითომც ზემომოყვანილ წინადადებას შეეძლო სახიფათო ჩრდილი მიეყენებინა მეტადრე მათთვის, რომელნიც ავტორისავით სახელმწიფო სამსახურში იყვნენო.

---

* Виноват тут ни один недостаток специальных познаний; гораздо больше содействует появлению в печати таких «научных» трудов неуместный в научных вопросах патриотизм. На Кавказе далеко не все знакомы, или не желают считаться с той истиной, которая выражена в известной фразе Jonckbloe-ta в Etude sur le roman de Renard, 1863, стр. 48: «прекрасная вещь любовь к отечеству (в нашем случае — к родине), но следует остерегаться преувеличения, особенно если это преувеличение приводит к извращению нашего суждения» (Журн. Мин. Нар. Просв., 1895, № 10, стр. 328).

ხოლო რომ პრ. მარის ზემოაღნიშნული გამოკვლევა, სადაც იგი ამტკიცებდა „ამირან-დარეჯანიანი" ქართული ორიგინალური ნაწარმოები კი არაა, სპარსულიდან უნდა იყოს ნათარგმნიო, პირუთვნელად და მეცნიერულადაა დაწერილიო, ეს ცხადად დამტკიცდა შემდეგში: XVI საუკ. მწერლის ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვები გვიჩვენებენ, რამდენად სწორე და სამართლიანი იყო პრ. მარის ფილოლოგიური გამოკვლევა „ამირან-დარეჯანიანის" შესახებ. ბატონიშვილი ბაგრატ თავის „მოთხრობა სჯულთა ულმრთოთა ისმაიტელთაში" შემდეგ საყურადღებო და საბოლოო ცნობებს გვაძლევს „ამირან-დარეჯანიანის" შესახებ: „წიგნი იგი რომლსა ყისაი ჰამზად უწოდენ სარკინოზნი ამათ ისმაიტელთა ცხოვრებაჲ არს და მის წიგნსაჲ მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასა ზ~ა ჩვენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ რ~ლსა დარეჯანიანად უწოდენ და არა თუ ეგე ვითარითა სიმჴნით ახოვან იყვენეს ვ~ა გვითხრობს ჩვენი წიგნი იგი ა~დ მათ მიერითა ზღაპრობითა გავრცელებით აღუწერიეს მოთხრობაჲ იგი" (იხ. Известия Имп. Академии наук. Истор. Филол. Т. X, № 2. 1899 г. გვ. 244, ვისაც სურს შეუძლიან თვით ხელნაწერი ნახოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ." № 126, გვ. ბ, 8). ამგვარად, პრ. მარის ქართულ „ამირან-დარეჯანიანის" ტექსტის შესწავლაზე დამყარებულ აზრს XVI საუკ. ქართველ მწერლის მოწმობა სრულად ამართლებს". ჩვენ შევიტყვეთ აგრეთვე, რომ ჩვენი „ამირან-დარეჯანიანი" მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილია სპარსული დედნისა. XVI საუკუნეში ჯერ კიდევ სცოდნიათ ეს, XVII საუკუნეებშიაც (იაკობ შემოქმედელი), XVIII და XIX საუკუნეებში კი დავიწყებიათ; ეს უვიცობაა, სხვა არაფერი, რასაკვირველია; ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვებიდან კი გამოდის, ვითომც სამშობლოს ნამდვილ სამსა-

---

ბ-ნ ნ. ჯანაშვილი, რასაკვირველია, კმაყოფილი არ არის, იგი სწერს: «Н. Я. Марру достаточно этих неопределенных данных, чтобы прямо заключить, что этот-то «Дареджаниани» и есть «Амиран-Дареджаниани» Мосе Хонели» (Известия Груз. летописей Сбор. матер. для опис. местн. и плем. Кавк., გვ. 98). ნეტა ყოველთვის ასეთი გარკვეული და ცხადი საბუთები მოჰყავდეთ ხოლმე ყველა ჩვენ მკვლევრებს!.. ბაგრატი ამბობს, ისმაიტელთა ცხოვრებაა და შიგ გაზვიადებული მოთხრობაა მათ ახოვნებისაო — „ამირან დარეჯანიან"-შიაც მაჰმადიანთა ცხოვრება და ახოვნებაა სწორედ გაზვიადებით დახურათებული; შემდეგ ბაგრატი უმატებს, რომ ქართული თარგმანი დედნის ერთი ნაწილია მხოლოდ „ამირან დარეჯანიან"-საც ეტყობა, რომ მას თავი უნდა აკლდეს, მაგ., იქ დარეჯანიანის არც ჩამომავლობის, არც სიჭაბუკის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, ავტორი მის დავაჟკაცების და რაინდობის დროს გვიხატავს მხოლოდ. დასასრულ, იგი ამბობს, ქართველები მას „დარეჯანიანს" უწოდებენო, მოსე ხონელის ნაწარმოებსაც „ამირან დარეჯანიანი" ჰქვიან. მეტი მსგავსების მოყვანა საჭირო არ არის, რომ ამ ორ თხზულების იგივეობა დამტკიცებულად ჩაითვალოს. ბ. ჯანაშვილი განცვიფრებით კითხულობს: «мы недоумеваем, что мог взять Яков Шемокмедели (автор сочинения «Прение неверного Мухамеда и христиан»...) из «Амиран-Дареджаниани» для доказательства правильности догматов христианской религии и лживости учения Магомета» ibid., გვ. 98). გასაკვირველი არაფერია: იაკობ თითონ ამბობს ამირან დარეჯანის მოთხრობა მაჰმადიანთა ცხოვრების და ახოვნების შესახებ სიცრუეა. „ზღაპარს მტკიცედ დასაჯეროს გვეტყვის, ასე ენა მჭევრობს.

„მაგრამ ყველას ხელ ერთობით სჩმახავ', ცუდად სიტყვა-პრტყელობს.

,დ· ტყუილისა დიდვაჭარი სიცრუვისა ქულბაქს ტრელობს"... რომ „მაჰმადიანნი საზოგადოდ არიან:... „ღვთის მგმობელნი,

მესისხლე და მეშფოთენი, ცრუფიც-მპარავ-მტაცებელნი" ...(Марр, Из книги ц-ча Баграта, Изв. Акад. наук, т. X, № 2, 245).

ხურს ის უწევდეს, ვინც ჩვენ წარსულის შესახებ უვიცობას იცავს, ხოლო ვინც უვიცობას არღვევს და ჭეშმარიტ და სამეცნიერო ცნობებს ავრცელებს, იგი „უკუღმართი აზრების“ მომხრე იყოს და „ჩვენ წარსულის თავისებურობას უარჰყოფდეს!“.

• • •

დასასრულ, „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ. „ამ თორმეტი წლის წინათ, — ბრძანებს ბ-ნ გოგებაშვილი, - ნ. მარმა ლაღად გამოაცხადა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სპარსული პროზაული მოთხრობისაო, და მის დედანს მოკლე ხნის განმავლობაში აღმოვაჩენო. მთელი თორმეტი წელიწადი ეძება დიდი ძებნით და მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა ვერც ევროპაში და ვერც აზიაში; მაგრამ თქვენ გგონიათ გატყდა თავისს შეცდომაში... აბა რა საკადრისია. ეს ხომ ლაჩრობა იქნებოდა. ის ეხლაც გამალებული ეძებს „ვეფხის-ტყაოსნის“ დედანს და, მანამ ცოცხალი იქმნება, ამ ძებნას არ ამოიშლის“... („ბურჯი ეროვ“. გვ. 51).

ამ საგანზე ბევრი რამ თქმულა; ვინც არ გინდა ამაზე ჩამოაგდებს ხოლმე ლაპარაკს, თუმცა საკითხი იმდენად რთულია, რომ მხოლოდ მომზადებულს და აღმოსავლეთის მწერლობის განსაკუთრებულ ცოდნის პატრონს შეუძლია საფუძვლიანი რამ გამოსთქვას. მაგრამ რა ვუყოთ, რომ საკითხი რთული და ძნელია? ჩვენში, გოეთესი არ იყოს, ყველას, ვისაც კი ენა აბია, ჰგონია, რომ ენისა და მწერლობის შესახებ ლაპარაკი შეუძლიან...

ბ-ნ გოგებაშვილი ბრძანებს, „ლაღად გამოაცხადაო“, — პრ. მარმა იმიტომ „გამოაცხადა ლაღად“, „ვეფხის-ტყაოსანი“ გალექსილი და შემუშავებული სპარსული, — იგი შოთას წინადვე ნათარგმნი იყო — ამბავიაო, რომ ამას თვით რუსთაველი აცხადებს:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები
„ვპოვე და ლექსად გარდავთქმენ საქმე ვქმენ საჭოჭმანები“

თუ ეს გამოცხადება სილაღეა, ეს სილაღე შოთას მოსვლია!“ ამის გარდა თვით შინაარსიდან ცხადად სჩანს, რომ მოთხრობა სპარსულ-მაჰმადიანურია, რაც უფრო ამართლებს შოთას ცნობას. ამის გამო პრ. მარს და ყველას სხვას, ვისაც კი სურდა ეს საკითხი საბოლოოდ გამოერკვია, უნდა მოეძებნა ამ მოთხრობის სპარსული დედანი, ან ის ქართული თარგმანი, რომელიც რუსთაველს ხელთა ჰქონდა, — რომ გამოჩნდეს, თუ რამდენად შეუცვლია და შეუმუშავებია ჩვენს უკვდავ მგოსანს თავისი მასალა. ერთს ხელნაწერში, რომელიც ბრიტანიის მუზეუმის კატალოგშია აღწერილი, სათაურის მიხედვით შესაძლებელი იყო პრ. მარის აზრით ეს მოთხრობა აღმოჩენილიყო. ესა სთქვა კიდეც. მაგრამ ადამიანს იმედი ხშირად გაუცრუვდება ხოლმე; ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა, ხელნაწერში ეს მოთხრობა არ აღმოჩნდა. რა გასაკვირველია, მერე პრ. მარი რომ მაინც სპარსულ მოთხრობას ეძებს, ეს თვითეულ ქართულ მწერლობის მკვლევარის მოვალეობაა, მაგრამ სულ სხვა შეხედულება აქვს ამის შესახებ ბ-ნ გოგებაშვილს და ჩვენ საზოგადოების ერთს ნაწილს. რათა? — იმიტომ, რომ იმათ ჰგონიათ, ვითომც აღმოჩნდება თუ არა სპარსული მოთხრობა, მაშინვე შოთა რუსთაველის ნაწარმოებს უკვდავების სხივი მოაკლდებოდეს. ხოლო ეს შიში აღმოსავლეთის მწერლობის უცოდინარობისა გამო არის წარმომდგარი. ჩვენში ჰგო-

ნიათ, ვითომც პოეტმა თავის თხზულებისათვის უეჭველად თვით უნდა შეჰქმნას არაკი (ფაბულა), ვითომც შინაარსი აუცილებლად ორიგინალური უნდა იყოს. ეს აზრი კი დიდი შეცდომა გახლავთ, ახლა დიახაც ევრეა. წინათ, მეტადრე აღმოსავლეთს საშუალო საუკუნეებში, ამისთანა აზრი სრულებითაც არ არსებობდა, ფიქრადაც არავის მოსვლია ეს. ჩვენ არც როდის არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ აწინდელ და ძველ დროინდელ შეხედულებათა შორის დიდი განსხვავებაა, რომ ჩვენი თანამედროვე შეხედულება პოეტურ შემოქმედებით ნიჭზე სრულებით არ შეეფერება იმ ხანას, როცა შოთა რუსთაველი ცხოვრობდა. ამიტომ დიდი შეცდომა მოსდით იმათ, ვინც აწინდელი შეხედულებისა და კრიტიკულ მოთხოვნილებათა მიხედვით „ვეფხის-ტყაოსანსა" სჯის, ვინც ფიქრობს, რომ, რაკი შოთას თავის თხზულებისათვის შინაარსი სპარსულიდან აუღია, ვითომც ამით შესანიშნავ მგოსნის შემოქმედებით ნიჭს რაიმე წუნი ედებოდეს. სრულებითაც არა. სპარსულ მწერლობის ისტორიიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთის პოეტებს და მწერლებს საჭიროდ არ მიაჩნდათ თავიანთ თხზულებისათვის ახალი „სიუჟეტი" აეღოთ; იმათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ვისმეს შეეძლო რაიმე წუნი დაედო ამის გამო მათ ნაწარმოებისათვის; თითოეულ პოეტს თავისუფლად შეეძლო თავის თხზულებისათვის სხვა მწერლის ნაწარმოებით ესარგებლნა: ხელოვნება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, ვინ უფრო უკეთესად და უფრო ღრმად, თანაც ლამაზად გამოსთქვამდა და გალექსავდა მოთხრობას. მაგ. ფახრ, უდდინ ასად-ალასტარაბადი ალჯურჯანის თხზულება „ვისურამინ" (ვისრამიან)[43] კვალდაკვალ მისდევს და იმეორებს ერთს თხზულებას, რომელიც ფაჰლაურად (ძველი სპარსულია) იყო დაწერილი, ამნაირად მისი თხზულება ფაჰლაურიდან გადმოთარგმნილი გალექსილი მოთხრობაა.

ამგვარადვე უნსურის[44] თავის თხზულებისათვის „ვამიყ და აზრა" მასალად ერთი ძველადვე გალექსილი თქმულება ჰქონდა. ამისდა მიუხედავად, უნსურის თხზულების დაწერის შემდეგაც ექვსმა სხვა სპარსელმა პოეტმა კიდევ შესთხზა იმავე შინაარსის ნაწარმოებნი. ხოლო უფრო საყურადღებო ისაა, რომ ეს ექვსივე მგოსანი უნსურის ნაწარმოებით ხელმძღვანელობდნენ. ამ ექვსი პოეტის სახელი იყო: 1) ფაზისი ჯურჯანი, 2) ქამალ-უდდინ ჰუსაინ დამირი, 3) შუაიბ ჯუშყანელი, 4) მაულანა მუჰამმედ ალი ახტარაბადელი, 5) მირზა მუჰამმედ სადიყნამი ალმურავი და 6) ხაჯი მუჰამმედ ჰუსაინ შირაზი*.

შესანიშნავ სპარსელთ მგოსან ნიზამმა[45] თავის სამივე განთქმულ თხზულებისათვის ძველი მოთხრობები აიღო მასალად: „ხოსრაუ უშირინ"-ისა და „ჰაფთ ფაიქარ"-ისათვის ძველი სპარსული, ხოლო „ლაილა უ მაჯნუნი"-სათვის ძველი არაბული ლექსები; მაგრამ ამის შემდეგაც მრავალზე უმრავლესი მწერალი ცდილობდა იგივე მოთხრობები პოეტურად შეემუშავებინა; მერე როგორ, — უმეტესი ნაწილი მათგანი ნიზამის თხზულების შინაარსს კვალდაკვალ მისდევდა ხოლმე, ზოგჯერ მხოლოდ აქა-იქ ჩაუმატებდა ახალს რომელსამე არაკს, იშვიათად თუ შესცვლიდა შინაარსს არსებითად**. დასასრულ, ბევრი სპარსელი პოეტი სთარგმნიდა აგრეთვე ინდოურიდან და გადააკეთებდა ხოლმე გალექსილ თხზულებებს (H. Ethe, ibid., გვ 251)[46] და მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება კიდევ.

---

* H. Ethe, ibid., 240.

** H. Ethe, ibid., 248.

ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ სპარსელი პოეტები თავისუფლად სარგებლობდნენ წინანდელი მწერლების თხზულებებით; ხშირად სულ მცირედი, ჩვენი აზრით, უმნიშვნელო განსხვავება, ან არადა მხოლოდ ამბის გალექსვა საკმარისი იყო, რომ თავისუფალი ნაწარმოები ახალ თხზულებად ჩაეთვალათ; იმ სახელოვან პოეტებსაც, რომელთაც მრავალი მელექსე ჰბაძავდა ხოლმე, იმათაც კი თვითონ არ შეუთხზავთ „სიუჟეტი", ისინიც ძველ, ხშირად უკვე შემუშავებულ თქმულებებით სარგებლობდნენ ხოლმე. თვით სახელოვან აბულყასიმ ფირდოუსის „შაჰნამეს" წერის დროს ხელთა ჰქონდა ძველი ერანული ჩაწერილი თქმულებები, იგი კვალდაკვალ მისდევდა თავის დედანს, შეიმუშავა და გალექსა თქმულებები. თავის თხზულებაში ფირდოუსიმ მწერალ დაყყის 1000 ლექსიც კი შეიტანა ერანის ისტორიის უძველეს ხანის შესახებ (იხ. Nöldeke, Das iranische Nationalepos, ibid., s. 141 folg.).

ერთი სიტყვით, სპარსელმა პოეტებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ თითოეულ მწერალს თავისი საკუთარი „სიუჟეტი" უნდა ჰქონდეს.

უფრო საყურადღებოა, რომ არც ერთ სპარსელ მწერალს თავის თხზულებისათვის მასალა თანამედროვე ცხოვრებიდან არ აუღია, რასაკვირველია, მეხოტბეთა გარდა, ისიც იმიტომ, რომ „შესხმის" დაწერა და მირთმევა პოეტს მხოლოდ ცოცხლისათვის შეეძლო.

სხვები კი მასალას ყოველთვის წარსულში ეძებდნენ, თქმულებებში, უკვე შემუშავებულ და გალექსილ მოთხრობებში.

თუ რომანის დაწერას აპირებდნენ, ისინი მაშინვე „ვისი და რამინის", ან „ლეილა და მეჯნუნის", „ვამეყ და აზრას" და სხვა მოთხრობებს მოჰკიდებდნენ ხოლმე ხელს. და ფიქრადაც არ მოსდიოდათ თანამედროვე ცხოვრებაში მოეძებნათ მასალა... რით აიხსნება მერე ეს გარემოება? იმით, რომ მწერლებს დაკვირვების ნიჭი და საზოგადოებრივ ცხოვრების შესწავლის უნარი ჯერ საკმარისად განვითარებული არა ჰქონდათ, იმიტომ რომ ჯერ მწერლობაში რეალურ მიმართულების საჭიროება არა ჰქონდათ შეგნებული. ადამიანი იფიქრებს, რეალურ მიმართულების საჭიროების აზრზე ადვილი რაღა იქნებაო? დიახაც რომ ახლა ადვილი გვეჩვენება, მაგრამ ცოტაა განა ისეთი სამეცნიერო კანონი და ჭეშმარიტება, ისეთი აზრი, რომელიც ახლა სრულებით მარტივად და ადვილად მიგვაჩნია, მაგრამ მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობამ მათი არსებობისა არა იცოდა რა?..

დავუბრუნდეთ ისევ „ვეფხის-ტყაოსანს". შოთამ, როგორც თვითონ ამბობს, თავის თხზულებისათვის სპარსული ამბავი აიღო მასალად. ეს ამბავი უკვე „ქართულად ნათარგმანები ჰპოვა" და „ლექსად გადათქვა". ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ასე იქცეოდა ყველა სპარსელი პოეტიც დიდით პატარამდე. რუსთველმაც მასალად ისეთი სპარსული ამბავი აიღო, რომელიც მის მოთხოვნილებასა და განზრახვას უფრო შეეფერებოდა. მაშასადამე, შოთა ისე მოქცეულა, როგორც მოიქცეოდა თითოეული მაშინდელი პოეტი აღმოსავლეთში. ცხადია, რომ ისინი, ვისაც ჰგონია ვითომც ეს გარემოება შოთას უნდა წუნსა სდებდეს, დიდად შემცდარნი ბრძანდებიან: თუ სპარსეთის მწერლებს სახელს არ უფუჭებდა და არც ახლა უფუჭებს ეს გარემოება, შოთას რითღა უნდა უშლიდეს? არაფრით. ვინც სხვანაირადა სჯის, იმას ავიწყდება, რომ XII საუკ. მწერლის ღირსებათა და ღვაწლის დაფასება მხოლოდ XII საუკუნეშივე არსებულ პოეტურ მოთხოვნი-

ლებათა და შეხედულობის დაგვარად შეიძლება. შოთას ნიჭს, თუ უნიჭობას ის დაამტკიცებს, თუ როგორ აასრულა მან თავისი განზრახვა: ხელოვნურად, თუ არა, რა ცვლილება შეიტანა თავის მასალაში, როგორ შეიმუშავა. ხოლო ამისთვის, დიახაც, საჭირო იყო და საჭიროც არის სპარსული დედანის პოვნა. ახლა კი ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შოთამ თავისი განზრახვა ენისა და ლექსთაწყობისა და პოეტურ დასურათების მხრივ საუცხოოდ აასრულა — „ვეფხის-ტყაოსანი" — უკვდავია* ბ-ნ გოგებაშვილს რომ პრ. მარის თხზულებები გულდასმით წაეკითხა**, თვითონ დარწმუნდებოდა, რამდენად აფასებს და თაყვანსა სცემს პრ. მარი „ვეფხის-ტყაოსანს" და მის სახელოვან მგოსანს. მაგრამ შოთას ქმნილების შესავალი, წინასიტყვაობა ისე ღრმად და ხელოვნურად არის შეთხზული, რომ იმის მეტი არაფერი დარჩენოდა ავტორს, მაინც შესანიშნავ მგოსნის სახელს მოიხვეჭდა. „ვეფხის-ტყაოსანი" რომ საბოლოოდ და საფუძვლიანად შესწავლილი იყოს, ამისათვის საჭიროა გამოირკვეს, თუ რამდენად შესცვალა რუსთაველმა თავისი დედანი, ხოლო რაკი დედანი ჯერ ნაპოვნი არ არის, ამიტომ მკვლევარს ამ საკითხის გადასაწყვეტად შეუძლია ერთადერთ საშუალებას მიმართოს: გამოარკვიოს, რომელი აზრები შეეძლო მხოლოდ ქრისტიანს ეთქვა?***, როცა ამნაირად „ვეფხის-ტყაოსანი" შესწავლილი იქნება, მაშინ უკანასკნელი საკითხიც გადაწყდება, თუ რამდენად გადაუკეთებია თავისი დედანი სახელოვან მგოსანს. სწორედ ამნაირ გამოკვლევას ამზადებს, როგორც მე კერძოდ ვიცი, პრ. მარი".

მაგრამ შესაძლებელია მკითხველმა იკითხოს: ეს ყველა კარგი. მაგრამ რით აიხსნება, რომ რუსთაველმა სპარსული ამბავი აიღო პოემის მასალად, განა იმასაც არ შეეძლო ძველ ქართულ თქმულებებით ესარგებლა, როგორც ზოგჯერ იქცეოდნენ ხოლმე სპარსელი მწერლები? დიახაც, სწორედ რომ არ შეეძლო და აი რატომ: სპარსელი მწერლებიც პირველ ხანებში მარტოოდენ არაბული პოეტების ნაწარმოებებს ჰბაძავდნენ, არამცთუ ლექსთა წყობა, თვით პოეტურ თხზულებათა გარეგანი სახეც კი სპარსელებმა არაბებისაგან შეითვისეს.

ამ მხრივ ქართული მწერლობაც მიბაძვით და თარგმანებით დაიწყო; განსხვავება და ქართველების უპირატესობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პოეტურ თხზულებების ენა და ლექსთაწყობის ფორმები ჩვენმა მწერლობამ თვითვე შექმნა; იგი სასულიერო პოეზიამ უანდერძა საეროს (იხ. ამის შესახებ

---

* ...«Необыкновенные по совершенству стихи и слог Руставели непревзойдены пока в грузинской литературе и до сих пор остаются неподражаемыми образцами для каждого грузинского поэта» (Марр, Расцвет древнегруз. свет. литер., жур. М. Н. Пр. 1899 г., № 12, 235).

** შდრ., Древнегрузинские одописцы (Тексты и разыскания по Армяно-Грузинской филологии, книга IV, стр. 51—57).

*** ...«Болезненно-острое желание видеть в поэме целиком грузинское народно-национальное произведение затрудняет исследование, не позволяет заметить в ней и те любопытные, действительно национальные грузинские черты, которые не могут не быть признаны отголоском грузинской современной жизни, даже отражением, быть может и не невольным, обаятельной личности Тамары... Весьма возможно, что внимательное изучение Барсовой кожи откроет в ней, в этой стихотворной обработке переводного персидского романа, сознательную обрисовку знакомых грузину-автору типов и явлений в поэтических намеках, особенно ясных для современников. До известной степени эта поэзия намеков чувствуется и теперь»... (Марр, Древнегрузинские одописцы, Тексты и разыск., книга IV, стр. 57).

Марр, Расцвет древ. груз. свет. литературы, Ж. М. Н. Пр., 1899, № 12, გვ. 227—28 და Предварительный отчет о работах на Синае... Сообщение Импер. Прав. Палест. общ., т. XIV, ч. II, (1903 г.), стр. 39—40). მაგრამ ზოგიერთი სპარსელი მწერალი შემდეგში ძველი ერანულ მოთხრობების, ზოგჯერ უკვე გალექსილი თხზულებების შემუშავებას შეუდგა; ამნაირად: თუმცა სპარსული პოეტები თანამედროვე ცხოვრებაში არ ეძებდნენ მასალებს და „სიუჟეტს" თვითონ არ სთხზავდნენ, მაგრამ ძველ ერანულ თქმულებების წყალობით ცოტა არ იყოს მაინც მათ პოეზიას ეროვნული ელფერი მოეფინა, ხოლო სპარსელ პოეტებს იმიტომ შეეძლოთ ძველ ერანული მოთხრობების შემუშავებას შესდგომოდნენ, რომ სპარსელების მაჰმადიანობის წინადაც, სასანელთა მეფობის დროსვე, საერო სიტყვიერება და პოეზია ჰქონდათ, თქმულებები შეკრებული იყო და ფირდოუსისა და სხვა მწერლების დრომდეც კი მიაღწია, — ძველ ცეცხლთაყვანისმცემლობის დროინდელმა მწერლობამ და გადმოცემამ გამაჰმადიანებულ სპარსეთშიაც თავი ამოყო. საქართველოში კი სულ სხვა მდგომარეობა და პირობები იყო. აქ შეუძლებელი იყო წარმართობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის დროინდელ თქმულებებს თვალსაჩინო გავლენა ჰქონოდა ხელოვნურ მწერლობაზე, იმიტომ რომ საქართველოში მწერლობა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ აღორძინდა, იმიტომ რომ, რამდენადაც ვიცით, ქრისტიანობამდე: ცეცხლთაყვანისმცემლობის დროს ქართული ხელოვნური პოეზია არ არსებობდა. მაშასადამე, მხოლოდ სახალხო პოეზიაღა რჩება; მხოლოდ მას შეეძლო გავლენა ჰქონოდა ქართულ ნორჩს პოეზიაზე, რომელიც სპარსული სიტყვიერების წაბაძვით აღორძინდა". დიდაც, შესაძლებელი იქნებოდა, სახალხო სიტყვიერებისათვის რომ ჩვენში ეჭვის თვალით არ შეეხედათ. ქრისტიანობა წარმართობის და კერპთაყვანისმცემლობის ყოველგვარ ნაშთსა და კვალს სდევნიდა ხოლმე და სახალხო ლექსებისა და სიმღერების აღსრულებას უკრძალავდა თავის სამწყსოს. თეატრი იყო, თუ მუსიკა, ასპარეზობა, თუ სხვა რაიმე სავაჟკაცო გასართობი, ყველაფერს, რასაც კი წარმართობასთან ასე თუ ისე კავშირი ჰქონდა, ცოდვად და სულის წამწყმედად სთვლიდნენ. აკი სამღვდელოებამ გაიტანა კიდეც თავისი და საერო მწერლობა და პოეზია საბერძნეთში სამუდამოდ, რომში კიდევ დიდი ხნით მოსპო. ამნაირსავე პოლიტიკას ადგა სამღვდელოება ასურეთში (იხ. M. K. Duval. Notes sur la poésie syriaque. Journal Asiatique X, 1897 г.), სომხეთში და ჩვენშიაც. ასურეთსა და სომხეთში სამღვდელოებამ თავის მიზანს მიაღწია და საერო პოეზია სამუდამოდ აღმოფხვრა. სახალხო, საგმირო პოეზია საქართველოში იყო გავრცელებული: სომეხთა ისტორიკოსი XI საუკ. გრიგორ მაგისტროსი მოგვითხრობს, მაგალითად, რომ ქართველები ვაჰრამ ფაჰლავუნზე ლექსებსა სთხზავდნენ და თანაც ცეკვით და სიმღერით მას ღმერთსავით ადიდებდნენ (ალიშანი, შირაკი, გვ. 153: Марр. Грузин. извод сказки о трех остроумных братьях из «Русуданиани», გვ. 228, Сборник фак. восточн. яз.)[49], ქართლის ცხოვრებაშიაც მოხსენიებულია, რომ XI—XII სს. ჯარში „სიმღერები" და „სახიობანი" სცოდნიათ (იხ. ჯიჯინაძის გამოც., ქართ. ცხ., გვ. 372). მაგრამ რა თვალით უყურებდნენ მას? არამცთუ სამღვდელოება, თვით ღადბუნებოვანი, ნიჭიერი მეფე დავით აღმაშენებელიც კი უკრძალავდა ამ სიმღერებს. ისტორიკოსი ამბობს: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღვთისა განმარისხებელნი და ყოველი უწესოება მოსპობილიყო ლაშქართა შინა მისთა" (ქართ. ცხ. ibid., გვ. 372). როგორც ხედავთ, სიმღერები „საეშმაკოდ და ღვთის განმარისხე-

ბელად" ითვლებოდა. — რათა? იმიტომ, რომ ეს სიმღერები ძველი, ცეცხლთაყვანისმცემლობის დროინდელი იქნებოდა, როცა ქართველები წარმართები იყვნენ. ამგვარად, სახელოვანმა მეფემ ჯარშიც კი მოსპო საგმირო პოეზია; მდაბიო ხალხსღა უნდა შერჩენოდა იგი; ასეთი ვიწრო წრე შემოუფარგლა დავით აღმაშენებელმა. მერე თუ დავითისთანა განათლებული და დიდბუნებოვანი მეფე ასე სასტიკად სდევნიდა ჩვენს სახალხო სიტყვიერებას და სიმღერებს საეშმაკო გასართობადა სთვლიდა, უეჭველია, მაშინდელ ჩვენ განათლებულ საზოგადოებასაც იგი ათვალისწუნებული უნდა ჰქონოდა, როგორც მდაბიო და საწარმართო გასართობი.

სწორედ ამის გამო შეუძლებელი იყო შოთას სახალხო თქმულებით ესარგებლნა[50]. ერთად ერთი მწერლობა, საცა საპოეზიო მასალების შოვნა შეიძლებოდა, სპარსული სიტყვიერება იყო: იქ ხელოვნური პოეზია უკვე არსებობდა და კაიხანია პატივი დამსახურებული ჰქონდა.

შეიძლება უფრო ზოგადი დასკვნა გამოვიყვანოთ: სამღვდელოების წყალობით სახალხო სიტყვიერება იმდენად დამაბუნებული და ათვალისწუნებული იყო, რომ შეუძლებელია ქართული ხელოვნური საერო მწერლობა სახალხო პოეზიის ნიადაგზე აღმოცენებულიყო. ერთადერთი საშუალება მხოლოდ სპარსული მწერლობის მიბაძვა გახლდათ. ჩვენ საზოგადოებასა ჰგონია, ვითომც ეს მიბაძვა ქართველების ღირსებასა და ნიჭიერებას ამცირებდეს, და ამის გამო პრ. მარის ზემოდასახელებულ თხზულებებს მტრის თვალით უცქერის; მაგრამ დიდად შემცდარი ბრძანდება იგი: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მიბაძვით დაიწყეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თვით სპარსელებმა და სხვა ხალხებმაც; მაგრამ ყურადღების და დაკვირვების ღირსია შემდეგი გარემოება: არც ბიზანტიელებს, არც ასურელებს, არც სომხებს, ერთი სიტყვით არც ერთს აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხს, ქართველების გარდა, საერო, ხელოვნური პოეზია არა ჰქონია, თუმცა ბიზანტიელებიც არაბების და სპარსების მოსამზღვრენი იყვნენ, თუმცა ასურელებიცა და სომხებიც სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ; დიახ, ყველგან ქრისტიანობამა და სამღვდელოებამ საერო პოეზია და ესტეტიური გრძნობა დაახშო, მხოლოდ საქართველოში მოწინავე საზოგადოებამ სამღვდელოებისა და თეოკრატიულ აზრთა ბატონობას თავი დააღწია, და მაღალ ესტეტიურ გრძნობას და ხელოვნებისადმი სიყვარულს ფართო ადგილი დაუთმო. აი, რა არის საყურადღებო და შესწავლის ღირსი. ბევრი ამგვარი საინტერესო საკითხი იბადება ქართული მწერლობისა და ისტორიის შესწავლის დროს. ხოლო როცა ჩვენი წარსული უფრო უკეთესად იქნება შესწავლილი, მაშინ წარმოუდგება ქართველ მკითხველს სამშობლო ისტორიის საინტერესო და მომხიბლავი სურათი. ამისთვის კი, როგორც არაერთხელ იყო ნათქვამი, მასალების პირველდაწყებითი კრიტიკული შესწავლაა საჭირო. პრ. მარმა პირველმა დაიწყო მეცნიერული კრიტიკული მუშაობა. იგი კვალდაკვალ მისდევს წყაროების შესწავლას და თავის დროზე, იმედია, სამშობლოს ქართულ ლიტერატურის მეცნიერულად შემუშავებულ ისტორიას შესძენს. თუ პრ. მარის ნაწერებს ახლა მტრის თვალით უყურებენ, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში საზოგადოდ ძნელია მუშაობა, მეტადრე თუ მეცნიერი ახალ გზას იკვლევს და კრიტიკულ მიმართულებას ადგია: ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინიან და ყოველგან მტრები ელანდება. განა ამნაირმავე გარემოებამ არ ათქმევინა ჩვენს ნიჭიერს მგოსანს ი. ჭავჭავაძეს ეს საუცხოო ტაეპი:

„ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს,
„ჩვენს ცუდს არ ჰმალავს   ეგ ხომ ცხადი სიძულვილია.
„ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული-კი მაშინვე სცნობს
„ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!"

ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ეს ლექსი დაიწერა, მაგრამ გარემოება, სამწუხაროდ, ძალიან არ არის შეცვლილი; განა ეხლა კი არ შეუძლია საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, პრ. მარს მაგალითად, ზემომოყვანილი ტაეპი გაიმეოროს? ოღონდაც რომ შეუძლია!..

მაგრამ მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება თვითვე დაინახავს, ვინ იდგა „უკუღმართობის გზაზე" პრ. მარი, თუ მისი მოწინააღმდეგენი[1]...

К ИСТОРИИ ЦЕРКОВНЫХ РЕФОРМ В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

(ГЕОРГИЙ АФОНСКИЙ)[1]

Среди исследователей истории церковной и религиозной жизни христианских народов давно уже установилось мнение, будто с окончанием иконоборческого спора и восстановлением ортодоксии восточно-христианская церковная жизнь приняла стереотипные формы и замерла, тогда как на Западе постоянно шла борьба за религиозные идеалы, борьба за реформы церкви, усваивавшей средневековые, феодальные институты и становившейся аристократическим учреждением. Так, на Западе, монашество и общество выступало за свободу церкви, за чистоту нравов, боролось с симонией и аристократическим строем высшего духовенства, здесь, на Востоке, уже с начала X века монашество было индифферентно ко всему происходившему в жизни, оно перестало уже играть роль в истории. Подобный взгляд держится, мне кажется, только благодаря тому, что история восточных церквей, в особенности грузинской, армянской и сирийской, в частности история монашества и религиозно-общественных течений, еще очень мало изучена. Более близкое знакомство с историей всех восточных церквей, более внимательное изучение соответствующих памятников представят исследователю если не тождественную, то, по крайней мере, подобную ей картину борьбы за религиозно-нравственные идеалы, за реформы духовной иерархии, за демократизацию церкви.

Так было, по крайней мере, в Грузии, о д и н из моментов реформационного движения церкви которой и будет представлен ниже.

Грузинская церковь, как и армянская в древний период ее существования, своим строго выдержанным сословным строем и характером как высшего, так и низшего духовенства напоминает более римскую, чем византийскую церковь; начиная от священника, кончая епископами и католикосом, все принадлежали к аристократии, — только лица дворянского происхождения* могли мечтать о духовной деятельности: в «Картлис Цховреба» начало такой аристократизации высшего духовенства приурочено к VI веку, царствованию Фарсмана (542—557 гг.), с какого времени уже «перестали призывать католикоса из Греции, а сами грузины, (члены) передовых фамилий стали занимать (патриарший престол)» (редакция ц. Марии, изд. Такайшвили, 187: **Картлис Цховреба**, изд. З. Чичинадзе, стр. 215). Было ли это действительно так, получило ли привилегированное сословие исключительное право занимать высший духовный сан в стране именно с момента, указанного

* Г-н Д. К а р и ч а ш в и л и ошибается, когда утверждает, что священники и диаконы в Грузии были преимущественно из крестьянского сословия («Грузия в XII столетии», на грузинском языке, стр. 17).

летописью, или совершалось это позже, сказать точно, при современном состоянии изучения наших источников, невозможно.

Характерно, во всяком случае, то, что, начиная с VII века вплоть до XI века, все святые мученики и учителя грузинской церкви, за исключением одного Або, араба по происхождению, принадлежали к высшему сословию: жития Давида и Константина, царя Арчила, Константина правителя (эристава), Григория Хандзтийского*, Илариона Грузина, Гоброна, Иоанна и Евфимия Афонских ясно указывает на это. К девятому веку, во всяком случае, аристократический, сословный строй грузинского духовенства настолько установился и окреп, что им было проникнуто все мышление, все идеалы лучших представителей тогдашней церкви — духовных писателей. Это прекрасно видно из того факта, что в VII—IX веках, при редактировании жития св. Нины писателем даже просветительнице Грузии было приписано знатное происхождение, тогда как все древнейшие источники скорее указывают на обратное (И. Джавахишвили. Проповеди. деят. ап. Андрея и св. Нины. Журнал Министерства народного просвещения, 1901 г., № 1, стр. 88—91). Редактор жития был настолько проникнут аристократическим строем и происхождением современного ему духовенства, что отец и дядя Нины могли рисоваться ему только в образе высшего государственного сановника и иерарха церкви: современность заставляла его, очевидно, представлять аристократический строй даже в древней церкви.

В одиннадцатом веке мы уже застаем в церкви такие порядки, что даже в диаконы и в священники не могли быть посвящаемы вольноотпущенники и крепостные: нарушение этого принципа считалось неслыханным событием, делом необычайным (см. изд. церковн. музея грузин. экзархата **Житие Георгия Святогорца**, стр. 326).

Исключительно аристократическое происхождение грузинского духовенства, конечно, не могло не отразиться вредно на его характере и направление. Иерархи переносили свои сословные понятия и привычки в церковные отношения и среду. Симония давала возможность получить епископский сан наиболее богатым членам знатных родов. Как духовные иерархи, они владели большим церковным имуществом, крепостями, имели своих «людей», свою рать, которую в случае необходимости могли выставить против врагов. У них, одним словом, была не только духовная власть, но и светская. Они принимали активное участие в политических делах и находились то в рядах феодалов, сражавшихся с царем, то в рядах сторонников монарха.

Когда, например, феодалы изменили царю Баграту и перешли на сторону византийского императора Василия, сдав последнему все свои крепости, то «Савва, епископ тбетский, построил крепость близ церкви Тбети и назвал ее «Свети» (Столп). Он собрал тогда «народ» (эри = воинство или народ) свой и вошли в нее сам Савва, епископ Тбетский, Ездра, епископ анчийский, и шавшетские дворяне и укрепились в ней» (см. **Хронику Сумбата**, изд. Е. Такайшвили, стр. 76, сравни русский перевод его же в **Сборнике материалов для описания местностей и племен Кавказа**, XXVIII в., стр. 175). Соединенные силы греков и отпавших феодалов упорно осаждали епископов с их людьми, но «Бог,—

* Считавшееся утерянным житие Григория Хандзтийского открыто профессором Н. Я. Марром в Иерусалиме и сфотографировано. Благодаря любезности Н. Я. Марра я получил возможность ознакомиться с этим замечательным памятником до его напечатания.

говорит историк, — укрепил находившихся в той (крепости) «Свети», и они, как преданные и истинные мученики Божьи, готовы были идти на смерть и пожертвовать собой ради своих земных (собственно телесных) «владык» (там же, 77, сравн. там же, 175).

В царствование того же Баграта восстал неугомонный феодал Липарит и начал вести свою обычную опустошительную кампанию: вывел из города Ани правителей Баграта и захватил их всех в плен; царь поспешно направился на своего непокорного вассала. «Тогда,—говорит грузинский историк, — вывел месхов благодаря богатству анчурский (епископ) на помощь Баграту, который стоял (в оригинале наст. вр.) в Хртила. Липарит же собрал кахетинцев и подошел к Покта. Но (вдруг) анчурский (епископ) бежал от царя Баграта и соединился (соб. сговорился) с Липаритом» (**Картлис Цховреба**, изд. Чичинадзе, стр. 326).

Еще в первые годы вступления этого монарха на престол епископ Баны Иоанн, вместе с другими дворянами области Тао, отложились и перешли на сторону византийского императора (см. **Картлис Цховреба**, изд. Чичинадзе, 317 и **Хроника Сумбата**, 75). Таким образом, епископы не довольствовались духовной сферой влияния и с оружием в руках старались выразить свои симпатии и антипатии. Вполне понятно, что при таком положении дел духовенство не могло исполнять своих прямых обязанностей, оно не могло стоять выше местных, сословных или фамильных предрассудков, оно не в состоянии было являться примирителем враждующих и проводить в жизнь правила христианской морали. Церковь постепенно отдалялась от народа и переставала выполнять свое непосредственное назначение. Но была в Грузии личность, которая восстала против такого состояния церкви и требовала от духовенства осуществления в жизни заповедей Христа.

Это был известный ученый монах Георгий Афонский, или, как его чаще называют, Святогорец; до последнего времени исследователи касались исключительно его выдающихся литературных заслуг, между тем как совершенно упускалась из виду великая реформаторская деятельность этого выдающегося человека: и он также происходил из знатного рода: отец его, Иаков, был одним из самых приближенных сановников царя Георгия I, которым он был отправлен с дипломатической миссией в Персию. Выполнив успешно свою задачу, Иаков вернулся на родину и женился; от этого брака родился Георгий: когда мальчику исполнилось семь лет, родители, согласно данному обету, отослали его в женский монастырь Тадзриси, где воспитывалась и его старшая сестра; там пробыл мальчик три года и обучался священному писанию, после чего его взяли на воспитание в монастырь Хахули его двое дядей: посоветовавшись с передовыми людьми того времени, дяди решили отдать маленького Георгия на обучение известному тогда богослову Иллариону Твалели. Спустя немного времени один из дядей мальчика поехал вместе с феодалом Ферисом, сыном Джоджика, в Византию, и взял с собой своего племянника Георгия; там он пробыл, по словам биографа, двенадцать лет, овладел в совершенстве греческим языком и получил в Константинополе, под руководством «мудрецов и риторов», «несветских, богобоязненных монахов», философско-схоластическое образование. Когда Георгий вернулся на родину, то уже не застал в живых матери. Повидавшись с отцом, он отправился к своему второму дяде, в Хахульский монастырь, и двадцати пяти лет, по словам его ученика—биографа, постригся в монахи (Ж и т и е Георгия, стр. 291). Но тут Георгий пробыл недолго: тайно от всех бежал

он из монастыря и прибыл на Черную Гору; там он стал учеником известного монаха Георгия Молчальника; тот поместил своего ученика в монастыре св. Романа, где он и провел три года. Вскоре учитель постриг Георгия в схимники и отправил в Палестину поклониться святым местам. Объехав Святую землю, Георгий вернулся вновь к своему наставнику. Тогда Георгий Молчальник посоветовал своему ученику приняться за переводческую деятельность и закончить таким образом то, что не успел сделать св. Евфимий Афонский. Георгий долго не решался, но должен был уступить, наконец, настойчивым просьбам своего учителя и отправиться на Афонскую гору, в грузинский монастырь, где находились переводные и редакторские труды отца Евфимия. По приходе своем на Афон, он принялся за изучение всех памятников, относящихся к истории Иверского монастыря (там же, 299); взяв за образец Евфимия, он начал вести строгую, аскетическую и трудовую жизнь. На Афоне все обратили на него внимание; вскоре он был посвящен в священники, деканы и регенты хора. С этого времени Георгий принялся за переводческую деятельность; предварительное знакомство с трудами предшественников облегчило ему, конечно, выполнение намеченной задачи: он знал, в каком направлении была начата работа, знал, сколько было выполнено, и мог ясно представить, что ему еще оставалось сделать. Необходимые в этом вопросе указания и приблизительный список предстоящих переводов были, вероятно, сообщены Георгию его учителем, когда тот просил его продолжить начатое Евфимием дело переводов и исправлений грузинских литургических памятников. Писательская деятельность Георгия проявилась вследствие этого в трех видах: во-первых, он докончил переводы тех произведений, которые были начаты еще Евфимием, но — то по недостатку времени, то по причине смерти его — остались невыполненными; во-вторых, он перевел те из известных патристических сочинений, которые до того не имелись на грузинском языке или которые нуждались, по его мнению, в новом переводе; в-третьих, он сличил с греческими текстами, исправил разночтения или отступления, которые ему казались тенденциозными или же случайными искажениями, и проредактировал новозаветные памятники, переведенные в древности с армянского (там же, 310, 294—295)*. Политические гонения, которым подвергся Иверский монастырь за соучастие игумена в заговоре против им-

---

* Георгий Святогорец, несмотря на всю, присущую ему, по сообщению биографа, скромность, хорошо сознавал и высоко ставил достоинства своих переводов. Из одного, не без юмора и остроумия написанного, пояснения к своему переводу псалмов, ясно видно, как он ревниво относился к точности своего произведения: «...я умоляю всех.., которые будете списывать, чтобы вы переписали без изменения, все так же, как здесь [в оригинале] найдете, не прибавляйте и не выкидывайте ничего; мы сами все, что следовало, внесли, все, что нужно было [выбросить], выпустили, как этого требовали [особенности] нашего языка и приемы работы, ни «и», ни «ибо» (дон-ами, рамету) не выкидывайте. Разумному человеку нужно понять, что эти «и» и «ибо» и нам были известны, что и [мы знали], могло ли оно или другое слово попортить перевод [или нет], и что мы не выбросили бы и не уничтожили их [без нужды]. Если же кто-либо будет недоволен нашим с большим трудом и полной всякой истины выполненной работой и будет знать кэ (καί), или гар (γάρ), или (ὅτι), либо Бог и Господь, да к тому же будет ритором или философом, тогда пусть он над нашим трудом не мудрствует, а сам, как хочет, переведет вновь!..» (М. Джанашвили. Груз. литер., 108).

ператора, троекратное разграбление греками монастырского имущества и угрозы об изгнании их с Афона заставило грузин-монахов подумать о том, чтобы по крайней мере история основания Иверского монастыря и борьбы греков с грузинами и жизнеописание знаменитых ктиторов: Иоанна, Торникия и Евфимия, остались в назидание потомству. Братья и духовные отцы поручили взяться за изложение этой истории Георгию, и он согласился, начав, по словам его биографа, с того, что «расспросил и разузнал от учеников и друзей святого отца нашего, великого Евфимия, о бесплотной и сверхчеловеческой жизни и подвижничестве его отца, Иоанна, и других святых монахов, а также о построении этой великой лавры и об уставе (собственно—распоряжениях), который ввел святой отец Евфимий» (там же, 299); он перелистал все книги, написанные Иоанном и знаменитым сыном его, перечитал все записи, которые могли дать интересные сведения для составления их биографии и очерка литературной деятельности (Житие Иоанна и Евфимия, стр. 4, 18, 30) и только после этого начал он писать порученное сочинение: оно дошло до нас в рукописи, писанной восемь лет спустя после смерти автора. Этот памятник, как по своим историческим достоинствам и богатству собранного в нем материала о монашеской жизни на Афоне, так вследствие своих литературных качеств может сделать честь любой литературе.

Эта работа была как бы подготовкой для дальнейшей деятельности Георгия; его высокие духовные качества, необыкновенная эрудиция в области церковной литературы заставляли обращать взоры всех грузин-монахов на него: и, как лучший представитель, он был выбран единогласно в игумены Иверской лавры (Житие Георгия, там же, 298). По вступлении в отправление своих обязанностей, он прежде всего постарался восстановить устав, данный монастырю св. Евфимием, и «таким образом, — говорит биограф, — он ревностно пошел по стопам святого отца нашего Евфимия и все его правила и каноны и установления так возлюбил, как если бы они исходили из уст Бога и были утверждены святыми апостолами» (там же, 299). Этот устав не действовал уже со времен игумена Георгия, бывшего непосредственно после Евфимия игуменом Иверского монастыря и желавшего ввести свои правила (Житие Иоанна и Евфимия, стр. 59).

При составлении жизнеописания знаменитых ктиторов Иверского монастыря, Георгий Святогорец имел случай хорошо изучить устав Евфимия и оценить по достоинству его хорошие стороны. Главные черты этого устава заключались в проведении полного равенства всех монахов и христианско-общественных начал в жизни. Многие из людей знатных или состоятельных, которые приходили в монастырь постричься, принося с собой большое имущество, и тем не менее не оставляли своих прежних наклонностей и привычек, получали, после кратковременного испытания, отказ в пострижении и в пребывании в обители. «Простите, — говорил в таких случаях отец Евфимий, — мы вас не можем постричь; вы — люди именитые, а мы — люди бедные и странники (в духовном смысле): раз вы дадите деньги церкви, то вы захотите жить так, чтобы вас не тревожили (собственно — жить спокойно), а мы, быть может, не сможем не побеспокоить, и вам будет потом тяжело, да и всем братьям...» (Житие Иоанна и Евфимия, там же, 45, 46). Только те из знати, которые могли подчиниться требованиям монастырского устава, получали охотно разрешение остаться в монастыре (там же, 46, 47, 52). Людей же незнатного происхождения, но трудолюбивых, он принимал с удовольствием, говоря: «Лучше принимать

таких, чем того, который дал бы мне для монастыря тысячу драхм» (там же, 46).

Иметь частную собственность монахам было строго запрещено, ни покупать, ни продавать что бы то ни было без соизволения на то игумена не разрешалось; даже платье и облачение и то не должно было считаться собственностью одного лица, им могли пользоваться и другие братья в случае надобности. Однажды отец Евфимий предложил какому-то диакону одеть чужое облачение, висевшее в церкви: оно принадлежало одному архидиакону знатного происхождения, сделавшему большой вклад в монастырь. Это облачение было заказано им для себя только, и он не хотел, чтобы кто-либо другой пользовался им; первый диакон, которому все эти обстоятельства были хорошо известны, во избежание неприятностей отказался исполнять повеление игумена, причем он объяснил и причину своего неповиновения. Тогда отец Евфимий позвал к себе архидиакона и спросил, желает ли он, чтобы кто-нибудь из его духовной братии одел его облачение и совершил с ним вместе богослужение? Евфимий заметил по выражению лица его, что тому было это не особенно приятно. По окончании службы Евфимий спросил архидиакона: «Скажи правду, что же ты оставил в миру?» — «Не безызвестно, святой отец, твоему достоинству», — ответил архидиакон, — «что я оставил родителей, братьев и немало имущества и благоприобретенного, а сколько я передал в твои святые руки, тебе самому известно...» Евфамий заставил принести огонь, сжег облачение, сказав, что обыкновенно говорил он в подобных случаях: «Нам заповедано душу свою положить за братьев своих, а ты эту тленную вещь предпочитаешь брату своему!..» (там же, 43—44).

Вся братия, наконец, должна была принимать участие в различных полевых, садовых и других хозяйственных работах. Сам игумен первый подавал пример и всегда, когда ему позволяло время, принимал участие в полевых работах (там же, 45, 47—48, 50).

Вот основные черты устава отца Евфимия, который был восстановлен Георгием при вступлении его в игуменство.

Административная деятельность отнимала у него очень много времени: хождение в Константинополь для ходатайств по монастырским делам, об имущественных вопросах лавры и испрашивании хрисовулов (Житие Георгия, там же, 302, 304), участие в Протате* и, наконец, ежедневные заботы о духовной братии постоянно отвлекали Георгия от литературных занятий[13]. Он видел, что совмещение невозможно и после нескольких лет игуменства решил оставить свою должность, чтобы вновь приняться за писательскую деятельность (там же, 307). Свое решение, несмотря на усердные мольбы братии, привел в исполнение вскоре, — оставил игуменство, взял отпускную грамоту от императора и отправился на Черную Гору (там же, 308). Но до прибытия туда Георгию пришлось побывать в Палестине, чтобы исполнить поручение матери царя Баграта IV, раздать деньги монастырям на святой земле; вернувшись из поездки, Георгий прибыл на Черную Гору к своему учителю и предался литературной деятельности. Слава об его высоких подвигах, выдающейся эрудиции и переводных трудах быстро распространилась по всем грузинским монастырям, находившимся в Палестине, Антиохии и в самой Грузии. Его переводы во множестве списков распространялись по обителям, бывшим за пределами Кавказа (там же, 310, 316), хотя и из Грузии уже многие частные лица заказывали

* Протат находился в Карии.

для себя копии с его произведений (там же, 311, 316); ученики с различных мест Грузии стекались к нему, получали духовное образование и возвращались обратно на родину, где посвящали себя пастырскому служению (там же, 296, 320, 328, 330).

Еще в бытность свою в Константинополе царь Баграт IV предложил ему занять Чкондидскую кафедру, — лучшую из всех епархий в Грузии, — которая в то время оставалась вакантной; но тот наотрез отказался взять на себя церковно-административные обязанности (там же, 305). Когда же Георгий закончил свою переводческую деятельность, то царь опять послал к нему из Грузии приглашение приехать на родину и распространить в церквах свои новые переводы (там же, 316, 317). «Там, — писал царь Георгию, — на Черной Горе наших монастырей мало, так как страна чужая, — а мое царство обширно, велико и возвышенно (соб. высоко), в нем очень много прославленных епископских церквей и монастырей; так да убедит Бог вашу святость, чтобы вы изволили побеспокоиться и мы получили бы от вас благословение и просветились, а также дабы наши церкви наполнились реками ваших боговдохновенных книг, оживляющих души» (там же, 317).

Георгий согласился и сообщил об этом царю Баграту, который с радостью выслал одного посланца с деньгами и необходимыми письмами к антиохийскому патриарху и местному правителю, чтобы Георгию было дано позволение выехать на родину (там же, 317). Взяв благословение от своего учителя, Георгий вместе с одним своим учеником осенью 1060 года пустился в путь. После долгого и трудного путешествия они достигли города Поти, откуда верхом доехали до Кутаиса.

თანდათან ერისთავნი, რომელნიც ქართლსა, კახეთსა, შავშეთ-კლარჯეთსა; და აფხაზეთში ერსა პატრონობდნენ, ღონეს იკრებდნენ და ძლიერდებოდნენ; არაბთა ბატონობა კი თანდათან სუსტდებოდა და ქართველებისათვის ისე საშიში აღარ იყო. ეს გარემოება, რასაკვირველია, ერის მოსულიერებასა და მოღონიერებას ხელს უწყობდა. დიდი ხნის წინათ გაუქმებული ქართლის მეფის უფლება 888 წლის ახლო ხანებში აღადგინეს; ბაგრატიონთა გვარის მემატიანე ამ ფრიად საყურადღებო ამბავს ძალიან მოკლედ მოგვეითხრობს: „მოკლეს ნასრა, — წერს იგი, ხევსა მცხეთისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რმ და არა დაუშთა შვილი ნასრას და აღიხოცა სახსენებელი მისი. ადარნასე ძე დავით კურატპალატისა დასუეს ქართუელთა მეფედაო" (სამი ისტ. ქრ., 59). რასა ნიშნავს ეს უკანასკნელი წინადადება, ვინ დასვა ადარნასე მეფედ? ამის შესახებ ჩვენი მემატიანე სდუმს. ამიტომ მკვლევარი იძულებულია ამ საკითხს ჯერჯერობით გვერდი აუქციოს.

როგორც მემატიანე მოგვეითხრობს, „ადარნასე დასუეს ქართუელთა მეფედ", იგი მაშასადამე იქნებოდა „მეფე ქართუელთა". ამაზე უფრო ადრეც მეფობა აფხაზეთშიც დაფუძნდა და ადარნასეს დროს, რასაკვირველია, უკვე არსებობდა „მეფე აფხაზთა"; კახეთსაც თავისი საკუთარი მეფე ჰყავდა, იგი იწოდებოდა „მეფედ კახთა"*. ერთი სიტყვით, ამ დროს ქართველი ერი ჯერ კიდევ რამდენიმე ტომობრივ ჯგუფად იყო დაყოფილი, და ცალკე, თვითმმართველ, ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფო სხეულს შეადგენდა. თანდათან ეს განცალკევებული სამეფოები და საერისთავოები ერთი ერთმანეთს უერთდებოდნენ, ანუ უფრო სწორე იქნება რომ ვთქვათ, ერთი რომელიმე უფრო ძლიერი და მოხერხებული მეფე თავის საბრძანებელს სხვათა სამფლობელოებსაც შემოუერთებდა ხოლმე. ამ ხანას და თვით ამ მოღვაწეობას გაერთიანების ხანა და გაერთიანების პოლიტიკა უნდა დაერქვას; ვიდრე დავით აღმაშენებელი თბილისს არ აიღებდა და სამეფოს სატახტო ქალაქად არ აქცევდა, ყველა ჩვენი მეფე ამ გაერთიანების განხორციელებასა ცდილობდა. ცდით კი რამდენჯერმე უცდიათ სხვებსაც, მაგრამ ბედი, პირადი გამჭრიახობა და გარემოება ისე არავისა სწყალობდა, როგორც ტაო-კლარჯეთის მფლობელთ, აშოტ კურაპალატის ჩამომავლობას. პირველად ქართლისა და აფხაზეთის მეფობა შეუერთდა. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსი ასე მოგვეითხრობს ამ ამბავს: „გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართუელთა მეფე... და დაუტევა ძე თვისი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა მეფე... და ამას გურგენს ესვა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დისწული... ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზთა და ამისთვის გურგენს მეფეთ მეფობა ეწოდა" (მარიამ დედ. ვარიანტი, გვ. 351—2). როცა მეფე გურგენი გარდაიცვალა და 1008 წელს იმისმა შვილმა ბაგრატმა მამის ტახტიც დაიმკვიდრა, ამის შემდეგ იგი შეიქნა „მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა და ქართუელთა". ასე მოგვეითხრობს მემატიანე სუმბატ დავითის ძე, მაგრამ „ქართლის ცხოვრებიდანა" ჩანს, რომ ბაგრატის აფხაზეთში და ქართლში გამეფებაში აზნაურებსაც სდებიათ წილი, მეტადრე შესანიშნავ მამულიშვილს იოანე მარუშისძეს, რომელსაც ეტყობა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართლისა

---

* ჩვენ არ ვეხებით აქ იმ საკითხს, თუ როგორ დაარსდა თითოეულ ამ ქვეყანაში მეფის უფლება: ამას ჩვენ ცალკე განვიხილავთ. ახლა ჩვენ მხოლოდ შეერთებულ საქართველოს მეფის უფლების ისტორიის შესწავლა გვსურს.

და აფხაზეთის გაერთიანებაში. „ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია: „განირყუნა ქვეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი მისი და განგება პირველთა მეფეთა გან წესებული და იყუნეს ყოველნი წარჩინებულნი მის ქუეყანისანი მწუხარებასა შინა ლიდსა მაშინ... იოანე მარუშისძემან ინება რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მისთასა ყოველთა ღიდებულთა ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ" (ქართ. ცხ. ჭიჭინაძის გამოცემა, 301). ბაგრატი ქართლსა და აფხაზეთს არა დაკმაყოფილდა; იმავე წელს იგი თავისი შეერთებული სამეფოს ჯარით საქართველოს თიანეთში გადავიდა და იქიდან კახეთს რბევა დაუწყო; დავით კახთა მეფემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ბაგრატმა კახეთი და ჰერეთი დაიპყრო (ქართ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 305); ამის შემდეგ იგი გახდა „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, კახთა და რანთა". ახლად შემოერთებულ ქვეყანაში ბაგრატმა ერისთავად აბულალი დანიშნა, თვითონ კი თავის საქმეებს დაუბრუნდა (ქართ. ცხ., ibid, 305). თავის სამფლობელოს გასაფართოებლად და ქართველ მოდგმის ტომების შესაერთებლად იგი არაფერს არა ზოგავდა, არავის არ დაინდობდა ხოლმე. მაგალითად, ბაგრატმა თავის მამიდაშვილების, კლარჯეთის მფლობელთა საბრძანებელის ხელში ჩაგდების გულისათვის, მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობის წმინდა მოვალეობაც კი დაივიწყა და საზარელი ცბიერება და სივერაგე გამოიჩინა. „ბაგრატმა მოიყუანა, — მოგვითხრობს მემატიანე, — კლარჯნი ხელმწიფენი: სუმბატ და გურგენ, ძენი არტანუჯელისანი. თვისნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა და მუნშინა შეიპყრნა იგინი და აღიხუნა ქვეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყუნა ციხესა შიგა თმოგვისასა და მუნ ციხესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი და აგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა ძმა სუმბატისა... და მათნივე შვილნი კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამათ ქვეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა" (მარიამ დედ. ვარიანტი, 353). ასეთი ულმობელობითა და გულქვაობით იმსხვერპლა ამოდენა მახლობელ ნათესავების სიცოცხლე სახელმწიფოს გაფართოებისა და ერის გაერთიანების გულისათვის მეფე ბაგრატმა.

აკი თავისი გულისნადები აისრულა კიდეც: მეფე გაძლიერდა, დიდი საბრძანებლის ბატონად გახდა და მოსაზღვრე სახელმწიფოებზედაც ძლიერი გავლენა ჰქონდა. ბაგრატიონთა გვარის მემატიანე ამ მხნე და გაბედულ მეფეზე ცოტა არ იყოს გაზვიადებით ამბობს: „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმყრობელობით ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე, ხოლო ადარბაგანი და შირვანი მოხარკე იყო, სომხითის ხელმწიფებითა ნებიერად განაგებდა, მეფე სპარსთა თვის მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თვსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა"... (ibid., 352).

ასე შეაერთა სახელოვანმა ხელმწიფემ ერთ-დროს განცალკევებული და ზოგჯერ ურთიერთის მოწინააღმდეგე ქართველი მოდგმის ტომების სამეფოები. ასე შეითხზა და დამყარდა აგრეთვე ქართველ მეფეთა ჩვეულებრივი სახელწოდება „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა" და სხვა და სხვა. ამ სახელწოდებაში საუცხოოდ გამოიხატება საქართველოს თანდათანი გაერთიანების ისტორია და ის ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზედაც საქართველოს ხელმწიფის უფლება იყო დამყარებული. ეს ნიადაგი და საფუძველი ადგილობრივი და ტომობრივი განცალკევება და კერძოობა გახლავთ. საქართველოს სამეფო გვარი. მაშინაც კი, როცა მთელი კავკასია მას დაპყრობილი ჰქონდა, შეერთებულ,

ეროვნულ სახელმწიფოს მბრძანებლად ითვლებოდა და სამეფო საყდარი თბილისში იყო გადმოტანილი, მაშინაც კი მათ საზოგადოდ „აფხაზთა მეფეებს“ ეძახდნენ; ასე უძახიან მათ, სხვათა შორის, არაბებისა და სპარსელების ისტორიკოსებიც. ეტყობა, მაშინდელ საზოგადოებას კარგად ახსოვდა, რომ თავდაპირველად საქართველოს მეფეები მხოლოდ აფხაზთა მეფეები ბრძანდებოდნენ. წარმოიდგინეთ, მეთორმეტე საუკუნის უმაღლესმა სახელმწიფო ძლიერებამა და პოლიტიკურმა ხანგრძლივმა ერთობამაც კი ვერ გააქარწყლა სამუდამოდ სათემო განცალკევებისადმი მიდრეკილება, დრო გამოშვებით ამგვარი კერძოობის გრძნობა და პროვინციალური განცალკევების წადილი თავს ამოჰყოფდა და თავისს გესლიან ნაყოფს გამოიტანდა ხოლმე. ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში დიდი ძალღონე შეალია ამ განცალკევების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. დიახაც, უნაყოფოდ არ ჩაუვლია ამ სახელოვან მოღვაწეობას, ბევრ მამულიშვილს უმუშავნია თავგამოდებითა და ღრმა სიყვარულით გამსჭვალულს, რომ თანამოძმეების ეროვნული თვითშემეცნება გაეღვიძებინა და მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებინა. ამ საკითხის შესწავლა ჩვენი ახლანდელი კვლევის საგანს არ შეეხება პირდაპირ და ამის გამო აქ ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებთ, მით უმეტეს, რომ ამ საკითხის შესახებ ჩვენ ცალკე გამოკვლევა („ეროვნული თვითშემეცნების ისტორია საქართველოში“) გვაქვს დამზადებული.[95]

ახლა კი აღძრული თემისათვის სწორედ ამ პროვინციალურ განცალკევების მიდრეკილების შესწავლაა საჭირო. საკმარისია გავიხსენოთ რა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა კახელობა საქართველოს მეფეებს, მათი გაერთიანების წადილის განხორციელების დროს, რომ თვალწინ განკერძოების მიდრეკილების ძლიერება ნათლად წარმოგვიდგეს; გარდაიცვალა თუ არა 1012 წელს ბაგრატ მეფე და ტახტზე მისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი ავიდა, მაშინვე „განდგა ამას ქვეყანასა ჰერეთ-კახეთისა (მჭირავნი) და ღადრობითა აზნაურთა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი; მათ ქვეყნად კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“ (მარიამ დედ. ვარიანტი, 353—4). ჰერეთ-კახეთის აზნაურობამ ეტყობა ვერ შეიგნო, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნების ძლიერებისათვის საქართველოს გაერთიანებას, და თავისთვის განცალკევება ირჩია. მეფე ისე ილაჯგაწყვეტილი და შევიწროებული იყო ბიზანტიის კეისრისაგან, რომ ჰერეთ-კახეთის დაბრუნებისათვის არა სცალოდა. ეს ორივე ქვეყანა მეფე ბაგრატ IV-ის დროსაც ცალკე სამეფოს შეადგენდა; ბაგრატი იმისიც კმაყოფილი იყო, რომ თბილისის აღების შემდეგ „მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვიდობისა ძებნად“ (ქართ. ცხ., 326). სანამ დავით აღმაშენებელმა ჰერეთ-კახეთი არ შემოუერთა დანარჩენ საქართველოს, მანამდისინ ცალკე დამოუკიდებელ სამფლობელოს შეადგენდა, ამგვარად, ჩვენა ვხედავთ, რომ, თუმცა ქართველ ტომების სხვადასხვა პატარა სამეფოები თანდათან შეერთდნენ, მაგრამ ეს გაერთიანება მტკიცე და მკვიდრ ნიადაგზე ვერ იყო დამყარებული. როცა საქართველოს მეფე რომელიმე ახალ სამფლობელოს შემოუერთებდა ხოლმე თავის საბრძანებელს, იგი შეძენილ ქვეყანაში მართვა-გამგეობის წესს სრულებით არ ეხებოდა და უფრო ხშირად ყველაფერს წინანდებურად ტოვებდა ხოლმე; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივ მეფის მაგიერ საქართველოს ხელმწიფე ხდებოდა ქვეყნის ბატონად, ზოგჯერ კიდევ წი-

ნანდელ ერისთავთ-ერისთავის მაგიერ ახალ ხელისუფალსა ნიშნავდა ხოლმე საქართველოს მეფე. ასე მოიქცა, მაგალითად, ბაგრატ III, კახეთი რომ დაიჭირა და თავის საბრძანებელს შემოუერთა. ერთი სიტყვით, მაშინ გამგე პირებსა სცვლიდნენ ხოლმე და გამგეობის წყობილებას თითქმის არც როდის ხელს არ მიაკარებდნენ. იმ დროს ჯერ კიდევ კარგად შეგნებული არა ჰქონდათ, თუ რამდენად საჭიროა ერის გაერთიანებისათვის, რომ მთელ სამეფოში თანაბარი და ერთნაირი დაწესებულება სუფევდეს ხოლმე. ამას ცხადად შემდეგ მაგალითიდანაც დაინახავს ადამიანი; როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი და მისი მიდამოები თავის საბრძანებელს შემოუერთა, მან „თბილისისა და ქართლის ამირას" თანამდებობა არ გააუქმა, არც მის შემდგომად მყოფ მეფეებს მოუსპიათ ეს მოხელეობა, თუმცა ამ თანამდებობის არსებობას მაშინ, როცა დედაქალაქი საქართველოს კვლავინდებურად დაუბრუნდა, ალარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, იმიტომ რომ საქართველოში უძველესი დროიდანვე ქართლის ერისთავთ ერისთავის თანამდებობა არსებობდა და მეორე მოხელე იმავე ადგილის გამგედ, რასაკვირველია, სრულებით საჭირო არ იყო. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართლის ამირობაც, ქართლის ერისთავობაც, კვლავინდებურად არსებობდა და ისედაც რთულ სახელმწიფო მართვა-გამგეობას უფრო მეტად აძნელებდა.

თვით გაერთიანებულ სახელმწიფოს წესწყობილებასაც ცხადად ეტყობოდა სათემო განცალკევება. ადამიანს ეგონება პირველის შეხედვით საქართველო თითქოს გარეგნობით არის შეერთებულიო, იგი „სამეფოები"-საგან შედგებოდა; მაგ. დავით აღმაშენებელზე მემატიანე მოგვითხრობს: „აქვნდა ყოველით კერძო მშვიდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა"-ო (ქარ. ცხ., 379); ამავე ხელმწიფის პირუთვნელობას იგივე ავტორი ამნაირად ახასიათებს: „ვითარცა ღმერთი ჰრჯიდა სამეფოთა თვისათა"-ო (ibid., 371), მაგრამ „სლვასა შინა თჳსთა სამეფოთასა სიმრავლით სპათათა... ვერ ადვილად მიემთხვეოდიან მომჩივარნი"-ო (ibid., 373); თამარ მეფის მამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ მან „იპყრნა მეფობისა შარავანდედი შვიდ სამეფოდ განწესებული" (ibid., 385); თამარ მეფის მამის სიკვდილის შემდეგ მემატიანეს სიტყვისამებრ „შემოკრბა შვიდთავე სამეფოთა დიდებული" (ibid., 401) და სხვა და სხვა. ყველა ზემომოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ მაშინდელ შეხედულების თანახმად, სამეფოები ჯერ ისევ არსებობდნენ, თუმცა ისინი ყველა ერთ ხელმწიფეს ემორჩილებოდნენ; ყურადღების ღირსია, რომ ისტორიკოსი ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოობით რიცხვს კი არ ხმარობს, არამედ მრავლობითს, იგი ყოველთვის ამბობს ხოლმე სამეფონით, შვიდი სამეფოო, და არა სამეფო. ერთი სიტყვით, საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში ცალკე სამეფოები კვლავინდებურად ცოცხლობდნენ. რომ ეს მართალია და გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფო წყობილება ადგილობრივ და სათემო განცალკევების პრინციპზე იყო დამყარებული და მემატიანეს მიერ ნახმარი „სამეფონი" მაშინდელ ცხოვრების ვითარების ჭეშმარიტი გამომხატველია, ადვილად დავრწმუნდებით მაშინვე, როცა იმ დროის სახელმწიფო მართვა-გამგეობის წეს-რიგს გავითვალისწინებთ. დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული თამარის სიკვდილამდე, ე. ი. ჩვენი სამშობლოს ერთობისა და ძლიერების უმწვერვალეს ხანაში, საქართველოს თითოეულ „სამეფოში" ცალ-ცალკე განაგებდნენ ხოლმე საქმეებს და არა ერთად, ე. ი. მართვა-გამგეობა საუწყებო პრინციპზე კი არ იყო დამყარებული, არამედ სათემო პრინციპზე. მეფე ერთ „სამეფოდან" მეორე „სამეფოში", ანუ ახლო-მახლო ადგილას გადადიოდა ხოლმე და ყველა საქმეს ადგილობრივ ისმენდა და განაგებდა ხოლმე. მაგ., ბაგ-

რატ III-ის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „იყო... ღლივს და განაგებდა საქმეთა ტაოსსა და ქართლისასაო" (ქართ ცხ., 304); დავით აღმაშენებელზე ნათქვამია: „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნიო" (ibid., 361). შემდეგ მეფე სთველთა „გარდავიდა გეგუთს... განაგო მანდაური ყოველი" (ibid., 365). როცა დავით აღმაშენებელმა ახლად დაპყრობილ შირვანის საქმეების მოწესრიგებისაგან მოიცალა, იგი „მოვიდა ქართლად და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა" (ibid., 366). თამარის დროსაც კი ამ გვარივე წესი იყო მიღებული: „ჟამ გადვიდიან, მოგვითხრობს ისტორიკოსი, (იმერეთს) და განაგნიან საქმენი მანდაურნი... და მერე გადმოვიდიან ქართლს, სომხითს და მერმე დადგიან, მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღთამარ ქალაქელნი (ქართ. ცხ.-ში შეცდომით „ალმართქალაქნია"), გაზაფხულ აღმოვიდიან სომხითი, მოიღიან ხარაჯა ნახჭევნელთა, — და წარვიდიან კოლიას, თავსა არტანისასა და მუნით მოიღიან ხარაჯი კარნუქალაქით და ერზინკით და სხვათა გარემოთა ქალაქთაო" (ibid., 374). ერთი სიტყვით, ჩვენა ვხედავთ, რომ საქმეების მოსაწესრიგებლად მცხოვრებნი კი არ ჩადიოდნენ თვითონ სატახტო ქალაქში, ან არა და ხარაჯას სამეფო მოხელეები კი არა ჰკრებდნენ ადგილობრივ და მერე თვითონა გზავნიდნენ სახელმწიფო საჭურჭლეში, არამედ მეფე თვითონ მიდიოდა და ადგილობრივ არჩევდა ხოლმე საქმეებს, ხარაჯასაც მკვიდრნი იქვე ადგილობრივ მოართმევდნენ ხოლმე მეფეს, თითქოს სახელმწიფო ცალ-ცალკე სამეფოებისაგან იყოსო შემდგარი. ამგვარად, საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს მეფის სახელწოდება „მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, კახთა და რანთა" საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა.

თავი II

საქართველოს მეფეების სახელმწიფოს იდეალი: თვითმპყრობელობა, მეფობის ღვთისნიერება და ხელმწიფის გაღმერთება

წინა წერილში ვეცადეთ გამოგვერკვია, თუ როგორ განახლდა საქართველოს მეფის უფლება, რომელიც ერისთავობის ნიადაგზე აღმოცენდა, და როგორ შეერთდნენ განცალკევებული სხვადასხვა ქართული მოდგმის ტომთა სამეფოები. ამგვარად, გამოირკვა, როგორ შედგა ის მეფის სახელწოდება, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმაელობაში თითოეულ მეფის მიერ ნაბოძებ სიგელს ამშვენებდა ხოლმე. ჩვენ დავინახეთ, აგრეთვე, რომ ის პოლიტიკური პირობები, რომელთა წყალობითაც მეფის ზემოაღნიშნული სახელწოდება დაიბადა, შემდეგშიაც, სამეფოს უმაღლესი ძლიერების დროსაც კი, ცხოვრებამ ვერ მოსპო და ვერ გააქარწყლა; ამის გამო მეფის სახელწოდებას რეალური მნიშვნელობა არც როდის არ დაჰკარგვია. ცხადია, რაც უფრო მეტად გაიზრდებოდა და გაფართოვდებოდა ქართველ მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მათთვის მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ, იმიტომ რომ ქართველი მეფეები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავიანთი ძლიერებისა და უფლების დასამყარებლად აზნაურებს ებრძოდნენ ხოლმე. რაში მდგომარეობდა ეს ბრძოლა, როგორ მიმდინარეობდა იგი და ვის გაუღიმა ბედმა ამ მეტოქეობაში, ამაზე დაწვრილებით ქვემოთ იქნება ლაპარაკი. ახლა საჭიროა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ

ამ გამწვავებულ ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავ-ხმლის ძალა არა კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო ზნეობრივი ძალაც. რაში მდგომარეობდა მერე ეს ზნეობრივი ძალა? ბრძოლის გასაადვილებლად საჭირო იყო, რომ მეფობის უფლების არსებობის აუცილებლობა და სარწმუნოებრივი მნიშვნელობა დაესაბუთებინათ. ეს კი არც თუ ძალიან ძნელი საქმე იყო: ახალ აღთქმაში ამის შესახებ საუცხოო წინადადება მოიპოვება, პავლე მოციქულის ეპისტოლეში სახელდობრ.

ამ მოციქულის სიტყვების თანახმად, ბრძოლის დროს ბერმონაზვნები მეფეს მხარს უჭერდნენ ხოლმე და ეხმარებოდნენ ხან საქმით ხან კიდევ სულიერი გავლენით. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარის ერისთავობის დროსაც კი მთავრობის პატივისცემა ღვთისნიერ საქმედ იყო აღიარებული. აი რა სიტყვებით დალოცა კლარჯეთის მონასტრების დიდმა არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის შვილები: „გაკურთხნენ ყოველნი პირმას ქრისტესმან და ყოველთა წმიდათამან: რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყვა ესე: „სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმრთეებისაჲ", რამეთუ თქუენ ხელმწიფენი უფალ გყვნა ღმრთმან ქუეყანისა განგებისა" (ნ. მარის გამოცემა „ცხოვრება გრიგოლ ხანძთ." Тексты и Разыск. წიგნი VII). მაშასადამე, გრიგოლის აზრით, სადაც მთავრობას პატივსა სცემდნენ, იქ სუფევდა ღვთაების მსგავსება; თვით ზეციურმა მამამ გახადა ხელმწიფენი ქვეყნის გამგეებად; ამის გამო მეფეები უნდა ყოფილიყვნენ ხელმწიფენი „ნებითა ღვთისათა"; სწორედ ასეთ წინადადებას ხმარობდნენ ხოლმე ქართველი მეფეებიც, მაგალითად, გიორგი მეორე თავის შიო მღვიმესადმი ნაბოძებ სიგელს ასე იწყებს: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა" (1088 წ. სიგელი, შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 13); დავით აღმაშენებელი თავის წყალობის წიგნს ასეთივე წინადადებით იწყებს: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა" (ibid.).

მაგრამ ჩვენმა მეფეებმა ეს არ იკმარეს და თავიანთ უფლებას ღვთაებრივ ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს; საყურადღებოა ამ მხრივ ის, რას ამბობს დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში: „თვით იგი, ბრძანებს სახელოვანი მეფე, ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა, თვისითა რათამე განგებითა არა ულირსმჩენელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატოებისა ჩემისაჲსან აქათგანვე აღიღო ხელი სიტკბოებითა თვისითა განძლებად ჩემდა და თვით მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინაალმდგომთა ვამგეობისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად" (შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 15). ამ საყურადღებო წინადადებიდან ცხადად შეიძლება დაინახოს მკითხველმა, რამდენად დარწმუნებული იყო დავით აღმაშენებელი, რომ მეფის უფლება თვით ღმერთმა პირადად „არწმუნა" მას, რომ ეს მეფის უფლება „მის მიერ", ე. ი. ღვთის მიერ, განგებული და დაფუძნებული იყო, მაგრამ ამას კიდევ არა უჭირს რა; იგივე ამტკიცებდა, რომ საქართველოს მართვა-გამგეობაში მას თვითონ ღვთაება ეხმარება ხოლმე, რომ თვით მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად და მეფის გამგეობის წინაალმდგომთა ანუ იმის მტრებს მისცემდა ხოლმე მას „მოსასრველად", იმიტომ რომ თუმცა სამეფოს ხორციელად დავით აღმაშენებელი მართავდა, მაგრამ უხილავად იმ ძნელ საქმეში მას თვით ღმერთი უძღოდა ხოლმე წინ; მაშასადამე, საქართველოს გამგეობა ღმერთსვე ეკუთვნოდა; სწორედ ამის გამო ამბობდა კიდეც ჩვენი სახელოვანი ხელმწიფე „ცხადთა წინაალმდგომთა გამგეობისა თვისისათა"-ო, ე. ი. ღვთის გამგეობის წინაალმდგომ-

თაო. ამგვარად, ვინც მეფის გამგეობის წინაალმდგომი იყო, ის ღვთის წინაალმდეგ მიდიოდა, თვით ზეციერ მეუფის მტერი გახლდათ! ასე ფიქრობდა, ამას ამტკიცებდა დავით აღმაშენებელი. მაშასადამე, საქართველოს მეფის გამგეობა ღვთისმიერი გამგეობა იყო. ასეთი შეხედულების შემდეგ მოსალოდნელიც იყო, რომ საქართველოს მეფის პირადობა ღვთაებრივი ბუნების პატრონად, თვით ღვთაებად ეღიარებინათ. დავით აღმაშენებელის ზემომოყვანილი სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, მკითხველის ყურთასმენას ისე აღარ ეხამუშება და არც ძალიან გაოცდება, როცა მწიგნობართუხუცესისასა და ვაზირ ანტონ ჭყონდიდელის სიტყვებს წაიკითხავს „ღვთისა სწორსა" მეფეთ-მეფესა თამარს შევეხვეწეო (სიგელი 1202 წ., შიომღვ. ისტ. საბ, გვ. 27). საქართველოს მეფე „ღვთისა სწორი", „სამებისაგან ოთხად თანაალზავებული" იყო, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს (მარიამ დედ. ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 363), ე. ი. სამებასთან მეოთხე სახედ, მეოთხე ღვთაებად აღზევებული, „ერთი სამებისაგანი აქა კულა სამებისათანა იხილვების თამარ მოსწორებული და აღმატებული" (ibid. 398), როგორც იგივე მემატიანე ამბობს თავის თხზულებაში. შესანიშნავი მეხოტბე ჩახრუხაძე ამბობს: მინდა „დაუსაბამო თამარ ვსთქვა ნათლად და ძედა მისად.

მზეებრ სავანე, სულის სავანე, თანგამწყოდ ძისა; სწორად მამისად" (პროფ. ნ. მარის გამოც. Тексты и разыск. IV წიგნ. გვ. პვ.). ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძალიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს ხელმწიფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას დაადგნენ, ცხადია, ისინი თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭას მოინდომებდნენ. სწორედ ასეც გახლავთ კიდეც. უკვე 1082 წელს შიომღვიმისადმი ნაბოძებ წყალობის წიგნში, გიორგი II თავის თავს „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელად" აღიარებს (შიომღვ. ისტ. საბ.).

თავი III

„პატრონყმობა" საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დამახასიათებელია

ეს თვითმპყრობელობა და ღვთისნებითობა (უფრო) მეფეებისა და მთავრობის მომხრეთა დასის იდეალი და მისწრაფება იყო, ვიდრე სახელმწიფო ცხოვრების უტყუარი მოვლენა. ქვემოთ ვნახავთ ჩვენ, რომ საქართველოს მეფეები ხშირად ისე შევიწროებული იყვნენ ხოლმე დიდებული აზნაურებისაგან, რომ არც თვითმპყრობელის უფლება ჰქონდათ შერჩენილი, არც „ნებითა ღვთისათა" ბრძანდებოდნენ სახელმწიფოს ბატონად. ვიდრე ჩვენ საქართველოს მეფის უფლების გამორკვევას შევუდგებოდეთ, აუცილებლად საჭიროა გაკვრით მაინც ჩამოვაგდოთ სიტყვა იმ უმთავრეს საზოგადოებრივ დაწესებულებაზე, რომელზედაც საქართველოს წესწყობილება დამყარებული იყო. ეს დაწესებულება — პატრონყმობა გახლავთ, ის პატრონყმობა, რომელიც შემდეგ ბატონყმობად გადაიქცა. პატრონყმობა მთელ სახელმწიფო და კერძო ცხოვრებას თავისებურ მი-

მართულებასა და ელჟერს აძლევდა. სიტყვა „პატრონი“ ქართული არ არის და რომაელების ენისა და სამართლის საკუთრებას შეადგენს.

ჩვენი სიტყვა „პატრონი“ რომაელების patronus'-ი არის. იტალიაში პატრონის სახელს ისეთ გავლენიან და შეძლებულ ადამიანს დაარქმევდნენ ხოლმე, რომელსაც წვრილი ერი, მდაბიო ხალხი სასამართლოში მფარველობისა და გადასახადებისაგან თავის დაღწევის გულისათვის მიმართავდა და თავის მამულს გადასცემდა ხოლმე. ეს „პატრონი“ მამულის მფლობელებს ნებას აძლევდა თავიანთი მიწებით კლავინდებურად ესარგებლათ, მხოლოდ კანონიერად მამული უკვე იმ „პატრონის“ საკუთრებად ითვლებოდა, ამისთანა პატრონობას რომაელები fundorum patrocinia'-ს ეძახდნენ. სალვიანე მარსელიელი, V საუკ. მწერალი, ასე გვიხატავს მაშინდელ „პატრონობის“ სურათს. „წვრილი ერი მფარველობისა და დახმარების გულისათვის დიდებულებს მიანდობდნენ თავის თავს; ყველანი, რომელნიც მფარველობას ეძებენ. მთელ თავიანთ ქონებას ვიდრე მფარველობას მიიღებდნენ, თავიანთ „პატრონებს“ განუთვისებენ (გადასცემენ) ხოლმე; ამგვარად, იმის გულისათვის, რომ მამებმა მფარველობა ჰპოვონ, შვილები მემკვიდრეობასა კარგავენ... ასეთია დიდებულთა შველა და პატრონობაო“ (Migne, Patrologia Lat. LIII, 202), დასძენს სალვიანე. ეს რომაელების საზოგადოებრივი დაწესებულება ფრანკებმა და გერმანელებმაც შეითვისეს. უძველეს დროს, IX—X საუკუნემდე საქართველოში სიტყვას „პატრონი“ სრულებით არა ხმარობდნენ; არც ერთ ჩვენ მწერლობის ძეგლში იგი იმ ხანაზე ადრე არ მოიპოვება. ცხადია, მაშასადამე, რომ ეს სიტყვა დასავლეთიდან უნდა იყოს შემოტანილი; მხოლოდ საიდან სახელდობრ — ამ საკითხის გადაწყვეტა თითქმის შეუძლებელია. პირდაპირ რომიდან, ან ფრანგებისა და გერმანელებისაგან ხომ ვერ შეითვისებდნენ ქართველები ამ დაწესებულებას. მეტად დიდი ზღვარი ძევს ჩვენსა და იმ ქვეყნებს შორის. რასაკვირველია, დასავლეთით საქართველოსთვის ყველა ქვეყანაზე უფრო მახლობელი ბიზანტია იყო; მაგრამ იქ ეს საზოგადოებრივი დაწესებულება ისე გაბატონებული არ იყო, როგორც, მაგალითად, რომში, საფრანგეთში, გერმანიაში და თვით საქართველოშიაც. ბიზანტიაში მფარველობას მონასტრები ეძებდნენ ხოლმე განსაკუთრებით: შეეფარებოდნენ რომელიმე გავლენიან პირს და თავიანთ მამულების საკუთრების უფლებას მათ დაუთმობდნენ ხოლმე. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა საშინლად ძნელდება იმის გამო, რომ თვით ბიზანტიელები ამგვარ მონასტრის მფარველს „პატრონს“ კი არ ეძახდნენ, არამედ „ხარისტიკარს“; სიტყვას „პატრონი“, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბიზანტიაში არა ხმარობდნენ. რაკი ეს საქართველოს „პატრონყმობის“ დაწესებულების უმთავრესად გამომხატველი სიტყვა ბიზანტიაში გავრცელებული არ იყო, მკვლევარს ამის გამო არ შეუძლია იმ დასკვნას მიემხროს, ვითომც პატრონყმობა ბიზანტიის ზედგავლენის წყალობით გაჩენილიყოს საქართველოში. მართალია, პირადად რომაელებსაცა ჰქონდათ გავლენა საქართველოზე, ჩვენი სამშობლო ერთ დროს მათ მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა, მაგრამ ეს დიდი ხნის (I ს. ქრისტეს წინ და I ს. ქრისტეს შემდეგ) ამბავია. სიტყვა „პატრონი“, როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, მხოლოდ IX—X საუკუნეებში ვრცელდება ქართულ მწერლობაში. ამგვარად, საკითხი გამოურკვეველი გვრჩება; დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სიტყვა „პატრონი“ რომაელების ენასა და სამართალს ეკუთვნის და IX საუკუნემდე ქართულ მწერლობის ნაშთებში სრულებით არ მოიპოვება.

ვის ეძახდნენ მერე მაშინდელ საქართველოში „პატრონის“ სახელს? პატრონი ნიშნავდა კერძო მესაკუთრეს და მფლობელს; მაგ., მიქელ მეძლევიმე,

რომელმაც თავის მამულში ციხე ააშენა, თავის თავს ამ ციხის „პატრონადა“ სთვლის (შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 2). კერძო მფლობელისავე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შიომღვიმის 1250—60 წ. სიგელში, სადაც „მიწის პატრონია“ მოხსენიებული (შიომღვ. ისტ. საბ. 60). „ქართლის ცხოვრებაშიც“ აღნიშნულია „აბუსერი... ციხისჯვარისა და აწყვერისა ციხისა პატრონი... გვარამ გოდერძისძე ბეჭის ციხის პატრონი“ (ზ. ჭიჭინაძის გამოც., 326). თამარ მეფის მემატიანე სახელოვან დედოფლის შესახებ ამბობს — „პატრონმან ხმელთამან და ზღვისამან“-ო. სიტყვა „პატრონი“ ნიშნავდა აგრეთვე მფარველს, მზრუნველს, პირად პატრონს. მაგ. ატენის ტაძრის XI საუკ. წარწერაში ნათქვამია. „ძლიერმან მეფეთ მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებად... ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგჳწყალნა მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი მკჳდრად... გჳბოძნა მირიანს და ყმათა მისთა... და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა... სალოცველად... ჰგიანმცა უკუნისამდე ძლიერი მეფეთა მეფჱ ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳს“* (Brosset, Voyage VI, 22). ამ წარწერაში, რასაკვირველია, პირად პატრონობაზე, პირად დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი; ამას ამტკიცებს სიტყვები „გამზრდელისა პატრონისა ჩემისათვის“. ეს წარწერავე გვიჩვენებს, რომ მამულის შემწირველი მირიანის „ყმა“ ყოფილა; ამნაირივე ყმები მირიანს, როგორც ეტყობა, რამდენიმე კიდევ უნდა ჰყოლოდა, ამიტომ, იქნებ, წარწერაში ნათქვამი „ყმათა მისთაო“, მრავლობითი რიცხვია და არა მხოლოობითი. სიტყვა „ყმა“, რომელსაც ჩვენში ამგვარ პირად და უფლებრივ დამოკიდებულების აღსანიშნავად ხმარობდნენ ხოლმე, წარმომდგარია სიტყვისაგან „ყრმა“, რომელიც ნიშნავს ბავშვს, ჭაბუკს. ეს სახელწოდება გვიჩვენებს, რომ „ყმების“ პირადი უფლებები უნდა შეზღუდული ყოფილიყო. წარწერაში მოხსენიებულ მირიანსავით ყველა შეძლებულ აზნაურს ყმები ჰყავდათ ხოლმე. მემატიანეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ომის დროს ამ პატრონებს ყმები აჵალასავით თან ახლდნენ ხოლმე; იხარებდეს, ამბობს მაგალითად იგი, „ვითარ მპოვნელნი... პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა“ (ქართ. ცხ. 389), ან კიდევ „უსწრობდა პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა“ (ihid, 417). ერთი სიტყვით, მასალებიდან ცხადადა ჩანს, რომ პატრონყმობა მაშინდელ საქართველოს სოციალურ და ქონებრივი წესწყობილების გამომხატველია.

მაგრამ იმავე დროს „პატრონყმობას“ სახელმწიფო წესწყობილებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა, სახელმწიფო წესწყობილების გამომხატველიც იყო. ეს იქიდანა ჩანს, რომ სიტყვა „პატრონი“ მარტო კერძო მესაკუთრეს და მფარველს კი არა ნიშნავდა, ე. ი. მარტო ცხოვრების სოციალურ და უფლებრივ განწყობილებათა დამახასიათებელი კი არ იყო, არამედ მეფესაც, ხელმწიფესაც ნიშნავდა, მაგალ., როცა მემატიანეს სურს გვაცნობოს, რომ მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი მეფე დავით აღმაშენებელთან იყო ერთად აღზრდილი, იგი ამბობს: „თანაალზრდილი პატრონთანაო“ (ქართ. ცხ., 358), ან არადა თანა აუდგა აღზრდილი სიყრმითაგანთა პატრონის მსახურებათა.“ (ქართ. ცხ., 359). მეორე ისტორიკოსიც „პატრონს“ მეფის მაგიერ ხშირადა ხმარობს ხოლმე, მაგ. იგი მოგვითხრობს ძლევამოსილ თამარ მეფის ლაშქარი ბრძოლის ველიდან დაბრუნდა და „მოვიდეს წინაშე პატრონისა ღვთივ-განათლებულისა“-ო (ქართ. ცხ., 415). სხვა ადგილას იგივე მემატიანე ამტკიცებს, რომ „არცა ძველთა ჟამთა შინა და არცა

ახალთა სადამე სმენილ არს, უკეთუ სადამე ქმნილ იყოს ნებსით ანუ უნებლიეთი განდგომილება მეფეთა დაწყობითგან სოფლისათ არა სადავის უხილავს თუმცა წარმართებოდეს, ანუ გამარჯვებოდეს პატრონთა ზედაო" (ქართ. ცხ., 427). ყველა ზემომოყვანილ და სხვა კიდევ მრავალი მაგალითიდან, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ცხადადა ჩანს, რომ სიტყვა „პატრონი" მეფესაცა ნიშნავდა. მაგრამ, როგორც პატრონი ერთსა და იმავე დროს მესაკუთრეს, მფარველს და მეფეს, ანუ ხელმწიფესა ნიშნავდა, თავის მხრივ სიტყვა „ყმა", ანუ „მოყმე" ქვეშევრდომსა ნიშნავდა, თუნდა ეს ქვეშევრდომი დიდებული აზნაური და მოხელე ბრძანებულიყო. მაგალითად, თამარ მეფის მემატიანე თამარის მომხრე დიდებულების შესახებ ამბობს: „მიეცა ძლევა მოყმეთა თამარისათაო" (ქართ. ცხ., 429). სხვა ადგილას იგივე ავტორი მოგვითხრობს: „მოვიდეს მოეგებნეს წინა ფანასკერტელი ზაქარია და ძინიელი, კალმახელნი, ყმანი კარგი, პატრონთაგან შეწყალებულნი-ო" (ქართ. ცხ., 432). ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში ყმანი, ანუ მოყმენი ქვეშევრდომებსა ნიშნავენ, ე. ი. სახელმწიფო ცხოვრების მოვლენას ახასიათებენ. რომ სიტყვა „ყმას" „პატრონი"-სავით პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და სახელმწიფო ცხოვრების დამოკიდებულებათა გამომხატველი იყო, ნათლად შეიძლება დავინახოთ შემდეგ გარემოებიდან: ჩვენი მემატიანენი ათაბაგსა და შირვანშაჰს, რომელნიც საქართველოს მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, თამარ მეფის „ყმებს" ეძახიან (ქართ. ცხ., 448). ამ შემთხვევაში სიტყვა „ყმა" დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეების განმავლობაში ძალიან გავრცელებულ სახელწოდებას vassus, vassalus (ვასსუს, ვასსალუს) ეთანასწორება. ამგვარად, ყველა საისტორიო საბუთიდან ნათლადა მტკიცდება, რომ პატრონყმობა ერთსა და იმავე დროს სოციალურ ცხოვრების დამახასიათებელი იყო, სახელმწიფო ცხოვრების წესწყობილებისაც: პატრონი -- მეფესაც ნიშნავდა, მესაკუთრეს, მზრუნველსაც; — მოყმე, ანუ ყმა ქვეშევრდომსაც დაერქმეოდა ხოლმე და ყმასაც. ერთი სიტყვით, კერძო და სახელმწიფო ცხოვრების მოვლენანი და დაწესებულებანი ერთი ერთმანეთზე იყვნენ გადაბმული და შედუღებული, თითქოს სახელმწიფო წესწყობილება საქართველოში კერძო ცხოვრების განწყობილების „პატრონყმობი"-საგან ყოფილიყო წარმომდგარი. ერთ დროს მაინც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღერძს სწორედ ეს პატრონყმობა შეადგენდა. ამ მხრივ საყურადღებოა აშოტ კურაპალატის მოქმედება თავის ახალ სამფლობელოში — შავშეთ-კლარჯეთში; მემატიანე მოგვითხრობს, რომ „ხევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირეთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლობისასა აოხრდა... კვალად შემდგომად მისსა სლვამან სალმობისამან მოაოხრა შავშეთი და კლარჯეთი და მცირედღა დაშთნეს კაცნი ადგილ ადგილ, ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგივ სიხარულითა და სიყვარულითა და დაემკვიდრა მუნ და მისცა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ კლარჯეთსა ზედა და მან სოფელნი ზოგი იყიდა საფასით და ზოგი ოხერი აღაშენა და განამრავლა სოფლები კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა" (სამი ისტ. ქრონ., სუმბატის ქრონ., 52). ეს პატარა ნაწყვეტი მაშინდელი საზოგადოების ცხოვრების სურათს საუცხოოდ გვიხატავს; აშოტ კურაპალატი, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, აოხრებულ ქვეყანაში მისულა და სპარსეთის განადგურებისა და შავი ჭირის მუსრისაგან გადარჩენილ ადგილობრივ მცხოვრებთ იგი სიხარულით მიუღიათ, ხოლო მისი უფლება და მფარველობა ნებაყოფლობით შეუწყნარებიათ; აშოტი მათ მფარველობას გაუწევდა, დაიცავდა განსაცდელისაგან, მცხოვრებნი კი, თავის მხრივ, მის უფლებას დაჰყაბულდნენ და ამით,

რასაკვირველია, პირადი თავისუფლება შეეზღუდათ და დამოუკიდებელ მკვიდრთ ბატონი გაიჩინეს; ამას ლათინურად fundorum patrocinia ერქვა, ქართულად კი შეიძლება „შეწყნარებული პატრონობა" დავუძახოთ ამავე დროს, მემატიანეს სიტყვით, აშოტს ზოგი სოფლები ფასად გაუყიდია, ესე იგი პირად კერძო საკუთრებად განუთვისებია და ზოგი კიდევ ოხერი მიწები და ნასოფლარები, რომელნიც მის საპატრონო საკუთრებას შეადგენდნენ, აღუდგენია და გაუშენებია საქართველოს სხვა ადგილებიდან გადმოყვანილი ხალხით; ამგვარად, აშოტს თავისუფალი და ცარიელი მიწები მათთვის უწყალობებია; ასეთ საქციელს რომაელები beneficia'ს ეძახდნენ, ხოლო ქართულად შეიძლება „წყალობითი პატრონობა" დავარქვათ სახელად ამნაირად, ზემომოყვანილ მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ აშოტის სახელმწიფო უფლება fundorum patrocinia'-სა და beneficia-ზე იყო დამყარებული, ანუ, ქართულად რომ ვთქვათ „შეწყნარებულ და წყალობით პატრონობაზე", ერთი სიტყვით, აშოტის უფლებას კერძო უფლებრივი თვისება ჰქონდა. საქართველოს სამეფო მთლიანად პატრონყმობაზე იყო დაფუძნებული: როგორც მეფე თავის დიდებულ ქვეშევრდომ „მოყმეების" პატრონად ითვლებოდა, ისევე, თავიანთ მხრივ, ეს მეფის ყმები საკუთარ ხელქვეითების პატრონებად ითვლებოდნენ, ხოლო ხელქვეითნი, როგორც ჩვენ ზემოთ მოყვანილი ატენის წარწერიდან დავინახეთ, ყმებად იწოდებოდნენ: ამ ყმებსაც, თავიანთ მხრივ, საკუთარი ყმები ჰყავდათ ხოლმე, რასაკვირველია, ისინი მათ პატრონებად ითვლებოდნენ. ამნაირად, მთელი მაშინდელი საქართველო, მეფიდან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე, პატრონყმობის უღელში იყო შებმული და ცხოვრების ტვირთს ეწეოდა: რომ დიდებული მოხელეებიც მეფესავით პატრონებად იწოდებოდნენ, ცხადად ჩანს ჩვენი მემატიანეების თხზულებებიდან. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები, მაგალითად, შემდეგ პირებს ასახელებდნენ: გუზან „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა" (ქართ. ცხ., 426), ვარდან დადიანი „პატრონი ორბეთისა და კაენისა და ლიხთიქით ნიკოფსიამდის უცილობლად ქონებისა." (ქართ. ცხ., 426), მხარგრძელი „პატრონი ლორისა" (ქართ. ცხ., 431), აფრიდონ „თმოგვისა და სსვათა ციხეთა პატრონობითა აღზევებული" (ქართ. ცხ., 408), იოანე ვარდანისძე „პატრონი გაგისა" (ქარ. ცხ., 428) და მაყა „პატრონი კაიწონისა" (ქართ. ცხ., 428).

თავი IV

საქართველოს მეფის უფლება; რა საქმეები შეადგენენ მის „მართებასა" და „განსაგებელს"

რის უფლება ჰქონდა საქართველოს მეფეს და რა საქმეებს განაგებდა ხოლმე იგი? მეთორმეტე საუკუნეში ჩვენი მეცნიერები იტყოდნენ ამაზე — „რაოდენნი საქმენნი ეთხოებიან მეფობასა"-ო? რასაკვირველია, ამ საკითხის გადასაწყვეტად ყველას ის ემჯობინებოდა ამის პასუხი იმდროინდელ თხზულებებში ამოგვეკითხა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ დრომდე არც ერთ ისეთ ქართულ თხზულებას არ მოუღწევია, სადაც საქართველოს მაშინდელ სახელმწიფო წესწყობილებაზე იყოს ლაპარაკი.[37] მართალია, თუმცა ჩვენ არავითარი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, რომ ამგვარი თხზულებები ოდესმე ქართულად დაწერილიყოს, მაგრამ ერთი გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ასე უნდა

ყოფილიყო: მაშინდელ ჩვენ მეზობელ ერებს, სპარსელებსა და განსაკუთრებით არაბებს, დიდი მწერლობა ჰქონდათ თავიანთ სახელმწიფოთა წესწყობილებისა და მოხელეთა უფლების შესახებ; სპარსულად დაწერილ გამოკვლევას „სიასეტ ნამეს" ავტორი ნიზამ-ულ-მულკი ჩვენი სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვე იყო; ცოდნით და მწერლობით მაშინ ქართველები თავიანთ მეზობლებს თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩვენშიაც ყოფილიყო გავრცელებული სასჯულთმეცნიერო გამოკვლევათა წერა, — სხვადასხვა თხზულებები საქართველოს წესწყობილებისა და კანონმდებლობის შესახებ. ჩვენი ძველი მწერლობა ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი, ამიტომ შესაძლებელია ოდესმე ამგვარი თხზულებები აღმოჩნდეს კიდეც. მანამდისინ კი მკვლევარი იძულებულია მაშინდელ საისტორიო მასალებს და მთავრობის მიერ გამოცემულ სიგელებს მიმართოს: იქაც საკმაო და საყურადღებო ცნობების პოვნა შეიძლება. დავით აღმაშენებელის მემატიანე, მაგალითად, ერთ საუცხოო ცნობას შეიცავს მეფის უფლებათა შესახებ: „ვინ აღრაცხნეს, ამბობს ისტორიკოსი, რაოდენნი საქმენი ეთხოებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაგებელნი: კიდეთაპყრობანი, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართ ზაკვისა ცნობარი, მხედართა განწესებანი, საეროთა შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, მეძლვნეთა ჯეროანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წვრთნანი, მსახურებელთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, და რაოდენნი ვინ აღმოწყნეს სიტყუთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა" (ქართ. ცხ., 371). ეს შესანიშნავი ნაწყვეტი გვიჩვენებს, რომ მაშინდელ ქართველ განათლებულ საზოგადოებაში სჯაბაასი ჰქონიათ ხოლმე სამეფოს წესწყობილების სხვადასხვა ძირითადი საკითხების შესახებ, იმაზე თუ „რაოდენნი საქმენნი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაგებელნი". მაგრამ მემატიანეს სიტყვები აგრეთვე ცხადად ამტკიცებს, რომ საქართველოს მეფეების „მართებანი" და „სათხოვარნი საქმენი", ანუ მეფეთა უფლება და მოვალეობანი მაშინდელ ისეთ განათლებულ და ნასწავლ მწერლებს, როგორიც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მემატიანე იყო, ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეული არა ჰქონდათ. ეს გამოურკვევლობა ისტორიკოსის სიტყვებს ნათლად ეტყობა: „ვინ აღრაცხნის რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი ეთხოვებიან მეფობასა"-ო, გაოცებული კითხულობს ჩვენი მემატიანე და კაცი ამ კითხვის კილოზევე შეატყობს, რამდენად დარწმუნებულია იგი, რომ მეფობის ყველა განსაგებელ საქმის ჩამოთვლას ვერავინ ვერ შეძლებს. ისტორიკოსი თვითონაც ცდილობს, აღნუსხოს საქართველოს ხელმწიფის მართებანი და მოვალეობანი, მაგრამ ბოლოს თვითონ გრძნობს, რომ ამ საკითხის გამორკვევა სავსებით არ ძალუძს და ამის გამო ისევ კითხულობს — „რაოდენნი ვინ აღმოწყნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთა"-ო, მაშასადამე, ჩვენი მემატიანის სიტყვით, მეფის მოვალეობანი უფსკრულსა ჰგავდა, და ვინ უგუნური იქნებოდა, რომ ამ უფსკრულისა ძირი ეპოვნა და სიღრმე აღმოეწყო?.. ამგვარი მემატიანის უძლურება ამტკიცებს, რომ მაშინდელ მეცნიერებს ძალა არ შესწევდათ ცხოვრების მრავალმხრივი და ყოველდღიური შემთხვევანი რამდენიმე უმთავრესი ერთნაირი ცხოვრების მოვლენად ჩაეთვალათ: ისინი თითოეულ სახელმწიფო ცხოვრების შემთხვევას ცალ-ცალკე ასახელებდნენ და, ეტყობა, ფიქრადაც არ მოსდიოდათ რამდენიმე ერთგვარი მოვლენა ერთად დაესახელებინათ; მემატიანე,

მაგალითად, ზემომოყვანილ ნაწყვეტში სხვადასხვა სახელით ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობს: სამეფოსა წყნარობისა ღონენი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, საეროთა შიში, შემცოდეთა წყალობითნი, წვრთნანი და მსახურებელთა ნიჭმრავლობანი. ჩვენთვის ახლა, რასაკვირველია, ცხადი არის, რომ მთავართა ზაკვის გაგება და სამეფოს დაწყნარებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად ღონისძიების ხმარება ერთსა და იმავე საგანს, სახელდობრ სამეფოს გამგეობას შეეხება; როცა მეფე იმის ცდაში იყო, თავის სამფლობელოში მყუდროება როგორ ჩამოეგდო, უეჭველია იგი „შემცოდე" მეამბოხეებს დასჯიდა, ხოლო ერთგულ მოყმეებს წყალობას გაუმრავლებდა; ამგვარად, ესეც გამგეობას შეეხებოდა, ჩვენმა მემატიანემ კი თითქოს ეს არ იცის. იმავე ნაწყვეტში ისტორიკოსი სამ სხვადასხვა ალაგას სამხედრო, ანუ სალაშქრო საქმეებზე ლაპარაკობს: მაგალითად, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მხედართა განწესებანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი; ყველა ეს საზრუნავი სამხედრო საქმეებს შეეხება და ჩვენ ახლა, რასაკვირველია, თითოეულ კერძო სალაშქრო მეცადინეობისა და ვარჯიშობის ჩამოთვლას არ დავიწყებდით, არამედ აღვნიშნავდით მხოლოდ საზოგადოდ „სამხედრო საქმეებიო". იგივე უნდა ვთქვათ საერთაშორისო საქმეების შესახებაც: მემატიანე რამდენიმეჯერ ლაპარაკობს ერთსა და იმავე საგანზე, მაგალითად: მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, მეძღვნეთა ჯეროანნი მისაგებელნი და მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი. ერთი სიტყვით, ჩვენა ვხედავთ, რომ მაშინდელ მეცნიერთა წრეებში სინტეტიურ მსჯელობას ჯერ კიდევ საკმაოდ არა ჰქონდა ფეხი მოკიდებული, თვით სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესიც ვერ იყო ამ მხრივ საკმაოდ განვითარებული. მაშინდელ საქართველოში, როგორც ყველგან საშუალო საუკუნოების დროს, შრომისა და მოვალეობათა კანონიერი განაწილება და განსაზღვრა არ არსებობდა.

თუმცა ზემომოყვანილი მეფობის მართებანი და განსაგებელი საქმეები ხეირიანად და თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისად ვერ არის ჩამოთვლილი, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რადგან მაშინდელ პოლიტიკურ სიბრძნესა და მსჯელობას ახასიათებს. ამასთანავე იმ ნაწყვეტის საშუალებით მკვლევარს შეუძლია დაახლოებით მაინც გამოარკვიოს, რა და რა შეადგენდა საქართველოს მეფეების უფლებასა და მოვალეობას; სამ ზემოთ დასახელებულ საგამგეო, სამხედრო და საერთაშორისო საქმეების გარდა, ხელმწიფის განსაგებელ საქმეთა ჯგუფს ეკუთვნოდა აგრეთვე „საჭურჭლეთა შემოსავალნი", ანუ საფინანსო საქმეები, — „მომჩივართა მართალნი გამოძიებანი, ანუ მართმსაჯულება, — და „საკელოთა და საბჭოთა სჯანი", ანუ საკანონმდებლო (და საგამგეო, რა მხრივ?) მოღვაწეობა. იქ სრულებით მოხსენებული არ არის საეკლესიო საქმეები, მაგრამ ეს, რასაკვირველია, შემთხვევით იქნება გამოტოვებული მემატიანის ნუსხაში.

რასაკვირველია, მეფეს პირადად ყველა საქმის განგება არ შეეძლო. მართვა-გამგეობის ტვირთის გასაადვილებლად მას თანამშრომლები ჰყავდა. ჩვენში მაშინ მეფის თანამშრომლებს „დიდებულ მოკელებს" ეძახდნენ. საგამგეო საქმეები ეკითხებოდა ხოლმე ვაზირსა და მწიგნობართუხუცესს, იგი ყველა მოხელეზე უფრო დაწინაურებული იყო და სამეფო დარბაზის მწიგნობართა უფროსად ითვლებოდა; იგივე მოახსენებდა ხოლმე მეფეს ეკლესიის საქმეებისა და საჭიროებათა შესახებ. ვაზირი და მწიგნობართუხუცესი უეჭველად სამღვდელო პირი უნდა ყოფილიყო, სახელდობრ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი; ამგვარად იგი დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების სახელმწიფოების კანცლერს მოგვა-

გონებს. ლაშქრის გამგეობა, მოწყობა და ომიანობას დროს წინამძღოლობა ამირსპასალარის საქმეს შეადგენდა. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი მეჭურჭლეთუხუცესს ეკითხებოდა ხოლმე. ახლა ჩვენ არ შეგვიძლია საქართველოს სახელმწიფოს მოხელეთა უფლებანი და მართებანი უფრო ვრცლად განვიხილოთ, იმიტომ რომ ამ საგანს ჩვენს დღევანდელ გამოკვლევასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ თუმცა ზემომოყვანილ ისტორიკოსის სიტყვების თანახმად „მომჩივართა მართალნი გამოძიებანი", ანუ მართმსაჯულება მეფის განსაგებელ საქმეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, მაგრამ საბუთებიდანა ჩანს, რომ მუდმივ ასეთი წესი არა ყოფილა და ერთ დროს მართმსაჯულება მეფის პირდაპირ განსაგებელ საქმეთა ჯგუფს აღარ ეკუთვნოდა. რასაკვირველია, როცა მემატიანე ამბობს მეფეს „მომჩივართა მართალნი გამოძიებანი" ეკითხებოდაო, ის ამას ნიშნავს, რომ მეფე უმაღლესს მსაჯულად ითვლებოდა ხოლმე; მისი წამდაუწუმ, წვრილმან საჩივრებით შეწუხება არ იქნებოდა, ამისათვის განსაკუთრებული მოსამართლეები იყვნენ დაყენებული. მეფე, მაშასადამე, უზენაეს მსაჯულად ითვლებოდა; იგი პირადად ისმენდა გაჭირვებულის საჩივარსა და სათხოვარს და თვითონვე სდებდა ხოლმე განაჩენს. მაგრამ მუდამ ასე არა ყოფილა. ძველი წესი დავით აღმაშენებლის დრომდე მოქმედებდა, ხოლო ამ სახელოვანმა მეფემ მართლმსაჯულებას ახალი გზა გაუკვლია. დავით აღმაშენებლის მემატიანე ჩვენ სამართლის ამ თვალსაჩინო წარმატებისა და გაუმჯობესების ამბავს ამნაირად მოგვითხრობს: „სლვასა შინა თჳსთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა", —წერს ისტორიკოსი, — მეფეს „ვერ ადვილად მიემთხვეოდიან მომჩივარნი და დაჭირვებულნი, განაღა ვიეთგანმე რომელთა საჭიროდ უხდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუე და ვინმე აღვიდის ბორცვსა ზედა რასამე გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე, უკეთუ ოდენ ეპოვოს ესე ვითარი საქმე და მუნით საცნაურ ყვის ჭრტინვა თჳსი, ამისთჳს დაედგინნეს კაცნი მართლიად მცნობელნი და განმკითხვარნი მომჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა" (ქართ. ცხ., 373). როგორც ამ შესანიშნავი და ძვირფასი ცნობიდანა ჩანს, ვიდრე დავით აღმაშენებელი ამ ახალ წესს შემოიღებდა, თვითონ მეფე ყოფილა პირადად მსაჯულად, მაგრამ როცა სახელმწიფო გაფართოვდა და სახელმწიფოს საზღვრებმა შესამჩნევლად გაიწია, ცხოვრებაც, რასაკვირველია, გართულდა, სამეფოს მართვა-გამგეობა გაძნელდა. მეფე იძულებული იყო თავისი განთქმული მხნეობა და თავისუფალი დრო გაერთიანებულ საქართველოს პოლიტიკურ ძლიერების დამყარებისათვის მოეხმარებინა. ამისთვის კი სწრაფი ლაშქრობა და მუდმივი სამხედრო სამზადისი და მოქმედება იყო ხოლმე საჭირო. მეფეს, რასაკვირველია, დრო და მოცალება არ ექნებოდა და ამის გამო „მომჩივართა" საქმეების გარჩევას ველარ მოასწრებდა. მეფე რომ ერთ ალაგას არ ეგულებოდათ ხოლმე, მომჩივარნი და მთხოვნელები ცდილობდნენ სადმე გზაში მაინც დახვედროდნენ მას და თავიანთი ჭირ-ვარამი და დარდი შეეჩივლათ; ისინი, მემატიანეს სიტყვით, გზის პირას გორაკებზე, ან მაღალ კლდეებზე ავიდოდნენ ხოლმე, ან არა და ხის კენწეროზე მოექცეოდნენ, ოღონდ კი მეფემ როგორმე შეგვამჩნიოს და ჩვენი ამბავი იკითხოსო. ნიჭიერმა და შორსგამსჭვრეტავმა ხელმწიფემ მომჩივართა და მართლმსაჯულების ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია და საქმის მოწესრიგება დააპირა. რაკი თვითონ მეფეს მოცალეობა არა ჰქონდა, ამიტომ ყველა მეფესთან ნაჩივლ საქმეების გამოსაძიებლადა და გასარჩევად მან ახალი დაწესებულება დააარსა, სადაც „კაცნი მართლიად მცნობელნი" დაადგინა; ამიერიდან უზენაესი მართლმსაჯულე-

ბა საქართველოში ამათ ეკითხებოდა, ეს მეფის პირადი განსაგებელი საქმე აღარ იყო; შესაძლებელია მხოლოდ მისთვის უზენაეს მოსამართლეთა განაჩენი დასამტკიცებლად წარედგინათ ხოლმე.

ჩვენ არ შეგვიძლია ახლა უფრო ვრცლად განვიხილოთ ის საკითხი, თუ რა და რა საქმეები ეკითხებოდა ამა თუ იმ დიდებულ მოხელეს, იმიტომ რომ ამ საკითხისათვის ცალკე გამოკვლევა იქნებოდა საჭირო, თუკი ჩვენ მოვინდომებდით ჯეროვნად შეგვესწავლა იგი, — აგრეთვე იმის გამო, რომ ჩვენ აწინდელ კვლევის საგანთან მჭიდრო კავშირი არა აქვს. საქართველოს მეფეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავალი სხვადასხვა საქმე ეკითხებოდა ხოლმე, მაგრამ მეფის უფლების თვისება რომ უკეთესად გავითვალისწინოთ, უკეთესი იქნება, თუ მეფის თითოეულ განსაგებელ საქმეს ახლა თავს დავანებებთ და უმთავრესის საზოგადო საკითხის გამორკვევას შევუდგებით, სახელდობრ, — თუ რა უფლებები ჰქონდა საქართველოს მეფეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სრული, განუსაზღვრელი თვითმპყრობელი ბრძანდებოდა იგი, თუ მისი მოქმედება ცოტათი მაინც შეზღუდული იყო?

თავი V.

საქართველოს მეფე თვითმპყრობელი იყო თუ არა?

თვითონ მეფეებისათვის რომ გვეკითხა, უეჭველია, ისინი დაუყოვნებლივ გვიპასუხებდნენ, „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“ — სრულის უფლებითა ვართ აღჭურვილიო; აკი გიორგი II ერთ თავის სიგელში „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელის“ სახელი უწოდა თავისთავს. ჩვენთვის ამ მეფეთა შეხედულებას ახლა, როცა მათ უფლების ჭეშმარიტ თვისებისა და სივრცის გამორკვევას უნდა შევუდგეთ, არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს; მაშინდელ მეფეების ბრძანება-სიგელები და მემატიანეთა მიერ მოთხრობილი ამბები უფრო მიუდგომელ და პირუთვნელ საბუთებს შეგვქმნენ ამ საკითხის გამოსარკვევად. დიდი ხანია როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაშა, ისე განათლებულ საზოგადოებაში ერთი ახირებული და შემცდარი აზრია გავრცელებული, ვითომც საშუალო საუკუნეებში და ქრისტეს წინა დროს აზიის ყველა სახელმწიფოში განუსაზღვრელი, სრული თვითმპყრობელობა იყო გაბატონებული, ვითომც იქ მეფის სურვილსა და განზრახვას კანონის ძალა და გასავალი ჰქონდა და დაუყოვნებლივ, სიტყვის შეუბრუნებლივ უნდა აესრულებინათ ქვეშევრდომებს. ამისთანა სახელმწიფო წესწყობილებას, როგორც მოგეხსენებათ, აზიურ დესპოტიის, ანუ აზიურ მტარვალობის სახელიც კი დაარქვეს. რასაკვირველია, ყველა აღმოსავლეთის სახელმწიფოზე ლაპარაკის ჩამოგდებას ჩვენ ვერ გავბედავთ, მაგრამ საქართველოს ისტორიის შესწავლა და ქვემორე დაწერილიც, იმედია, საკმაოდ შეარყევს ამ ყალბ და უსაფუძვლო აზრს.

საქართველოს მეფის უფლებათა სივრცის გამორკვევას ჩვენ მისი ტახტზე აბრძანების პირველ მოქმედებიდანვე შევუდგებით. უძველესი ქართული იურიდიული საბუთები გვიჩვენებენ, რომ ხელმწიფე ტახტზე აბრძანდებოდა თუ არა, ყველა დაწესებულება და კერძო პირი, რომელსაც განსვენებულ მეფეთა მიერ წყალობის, ან კიდევ ბრძანების წიგნები ნაბოძები ჰქონდა, მოვალე იყონ ახალი ხელმწიფისათვის მიერთმია და საბუთების დამტკიცებას შევედრებოდა. როცა

მეფე თავის მოყმეს ისეთ წყალობის წიგნს აძლევდა ხოლმე, რომელიც „საუკუნოდ“ უშლელად უნდა დარჩენილიყო, იგი თავის ნაბოძებ ბრძანებაში უეჭველად ჩაუმატებდა ხოლმე: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა... დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უმალავთ ბრძანებულსა და გაგებოვილსა მას ჩუენსა“-ო (იხ. ბაგრატ. IV, 1058 წ. სიგელი, ჟორდანია, შიომღ. ისტ. საბ., 4) ასეთი თხოვნა ყველა უძველესს მეფეთა სიგელსა აქვს ჩართული (იხ. ibid, მეორე სიგელი ბაგრატ IV, გვ. 9; გიორგი II, გვ. 12; დავით აღმაშენებლისა, გვ. 19 და სხვა). ჩვენამდე სწორედ ერთმა ასეთმა საბუთმა მოაღწია, სადაც მეფე გიორგი II შიომღვიმისადმი წინანდელ მეფეთა ნაწყალობევ უფლებებს უმტკიცებს. მეფე ბრძანებს: „მოჴდეს მღვიმესა ჩუენ წინაშე წმიდა მამა მიქელ და ყოველნი მამანი, მჴდრნი მღვიმისანი და მოიხვნეს სიგელნი მამათა და პაპათა ჩუენთანი და დაწერილნი მთავართ ყოველთა და აზნაურთა... რათა იგი სიგელნი გაუახლენით და დაწერილნი დაუმტკიცენითო“ (ibid., გვ. 10). ამ დამტკიცების და უფლებათა განახლების საბუთის ბოლოს ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა პირველსა (ა)“ (ibid., გვ. 12). რასაკვირველია, შიომღვიმის მამებს გიორგი II-სათვის, იმის მეფობის პირველ წელს, ამიტომ წარუდგენიათ დასამტკიცებლად, რომ მათ საბუთებს ძალა და მნიშვნელობა არ დაეკარგოდათ. ჩავუკვირდეთ ახლა ამ მოვლენას და გამოვარკვიოთ, თუ რას მოასწავებს იგი. მეფეებს საჭიროდ მიაჩნდათ რომელიმე მოყმეს მამულს, ან სხვა უფლებას რომ უწყალობებდნენ, სიგელში აუცილებლად უნდა ჩაემატებინათ ხოლმე შემდგომად მომავალ მეფეების მიმართ თხოვნა, ჩემი ბრძანება და წყალობის წიგნი დაამტკიცეთ და ნუ გააუქმებთო. უეჭველია, ისინი დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ მათ მემკვიდრე მეფეებს შეეძლოთ წინაპართა ნაბრძანები და წყალობის წიგნი მოეშალათ. რამდენად დარწმუნებულნი იყვნენ საქართველოს ხელმწიფეები, რომ მათ მოადგილეებს მათის ბრძანების დარღვევა შეეძლოთ, იქიდანა ჩანს, თუ რა საშუალებასა ხმარობდნენ ხოლმე მეფენი, ოღონდ კი თავიანთ წყალობის წიგნისათვის საუკუნო უქცეველობა მიენიჭებინათ; თხოვნის გარდა ისინი სიგელში ყოველთვის ჩაურთავდნენ ხოლმე: „უკუეთუ ვინმე, რასაცა ჟამსა რაიცა გვარი კაცი, დიდი გინა მცირე აღგეს და ამა ნაქნარსა ჩუენსა აქცევდეს გამცაურისხდების მამაჲ, ძე და სული წმინდაჲ და ესემცა წმიდანი მოციქულნი არიან მსაჯულნი სულისა მათისანი დღესა მას განკითხვისასა“ (შიომღვ. ისტ. საბ. 9, ბაგრატ IV, 1058 წ. სიგელი). ამგვარივე წყევლა-კრულვა ყველა საბუთში მოიპოვება (იხ. შიომღვ. ისტ. საბ.). მაგრამ, მეფეების აზრით, არც ესა კმაროდა; რომ წყევლას გაეჭრა და მომავალში საბუთი ვინმეს არ დაერღვია, ამისათვის ისინი თითოეული თავიანთი სიგელის ბოლოს მიამატებინებდნენ ხოლმე: „თქვენ ქრისტეს მიერ... ქართლისა კათალიკოზმან და წმიდათა მღვდელთ მოძღუართა დაწერილი ესე ჩუენი დაამტკიცეთ, ვითა წესი არს წყევლანი და შეჩუენებანი დაწერენაცა ვინცა ოჴქციოს და შეჴცვალოს“-ო. (ბაგრატ IV-ის სიგელი. 1058 წ. ibid., 4). ასეთივე თხოვნა ჩართულია ბაგრატ IV მიერ. (სიგ. ibid., 9; გიორგი II 1072 წ. სიგელში ibid., 12; დავით აღმაშენებლის ანდერძში, ibid, 19). კათალიკოსებიც გულმოდგინედ ასრულებდნენ ხოლმე მეფეთა თხოვნას; აი, მაგალითად, როგორა წყევლის და შეაჩვენებს მეფის სიგელის უარისმყოფელთა და გამაუქმებელთ გიორგი კათალიკოსი: ვინც ბაგრატის სიგელს დაარღვევს, „ჰრისხვამცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, ღვთისმშობელი, კრულმცა არიან დაუსაბამოჲსა უფლისა სიტყუითა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა მადლითა, ექუსთა კრებათა

მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა, წმიდისა დედაქალაქისა და სუეტის ცხოველისა მადლითა, ჩემ ვლახაკის ჯუარითა გაუხსნელად სულით და ხორცით ამას ყოფასა და მას საუკუნესა არსმცა ნაწილი მისი იუდასთანა ისკარიოტელისა და ყოველთა მწვალებელთა და უფლის უარისმყოფელთა თანაშერაცხილი"-ო (შიომღვ., ისტ. საბ., 5; იხილე ასეთივე კრულვა სხვა სიგელებშიაც, ibid., გვ. 12, 22 და სხვა). ასეთი საშინელი და უზარმაზარი ცხრაკლიტური კრულვა-შეჩვენება იყო ხოლმე საჭირო, რომ მეფე დარწმუნებული ბრძანებულიყო, ჩემი მოადგილეები სიგელს არ გააუქმებენ და არ მოშლიანო. მაგრამ არც ეს უზარმაზარი წყევლა-კრულვა შველოდა ხოლმე რამეს. ეხლაც კი აუარებელი საბუთი მოიპოვება, საცა ნათქვამია, რომ განსვენებულ მეფეთა სიგელი არ დაამტკიცეს და მოშალესო. ამნაირად, ყველა ზემომოყვანილი მასალიდან ცხადადა ჩანს, რომ საქართველოს მეფეთ-მეფის ბრძანებას მნიშვნელობა და გასავალი მხოლოდ მისი სიცოცხლის დროსა ჰქონდა, ესე იგი თითოეულ მეფის ბრძანებისა და განკარგულების მოქმედებას საზღვარი ედო. ეს საზღვარი მეფის სიკვდილი იყო; თითოეული განსვენებული მეფის ბრძანებასა და წყალობის წიგნს მხოლოდ მაშინ შერჩებოდა ხოლმე ძალა და მნიშვნელობა, თუ სამეფო ტახტის მოადგილეები შეიწყნარებდნენ და უქცეველობას დაუმტკიცებდნენ.

ჩვენამდე ერთმა საყურადღებო საბუთმა მოაღწია, რომელიც საუცხოოდ გვიხატავს, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ ხოლმე ის პირები, რომელთაც თითოეულ ტახტზე ასლად აბრძანებულ ხელმწიფისათვის თავის მფლობელობის, ან წყალობის წიგნი დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ. ეს საბუთი ბაგრატ IV-ის სიგელი გახლავთ: „მოვიდეს ჩვენ წინაშე, ბრძანებს მეფე, ქუთათის, სახლსა სამკჳდრებელსა ჩუენსა, ესე მამანი მიჯნაძორიელნი და მამანი ოპიზარნი... და მოიხვნეს სიგელნი გურგენ ერისთავთ ერისთავისა, გურგენ მეფეთ მეფისა, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისა და მამისა ჩემისა გიორგი მეფისა, რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისთვის დაემტკიცნეს და კრულობით მოწმობანი კათალიკოზთა და მღდელთმოძღუართანი,—და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისა († 889), რომლითა მას ტყესა და ზღვარსა მიჯნაძოროელთა ერჩოდეს და ამათ მიჯნაძოროელთა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელ ოპიზართათვის დაუწერია არა ხსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არც გარდაგდებულად" (შიომღვ., ისტ. საბ. 8). ოპიზას მონასტრის ბერებს, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, გუარამ მამფლისაგან მამული საჩუქრად მიუღიათ, მაგრამ უთაურობისა და დაუდევრობის გამო, თუ სხვა რამე მიზეზით, გუარამ მამფლის († 882) სიკვდილის შემდეგ ოპიზელ ბერებს თავიანთ წყალობის წიგნი არ წარუდგენიათ ხელმწიფეებისათვის დასამტკიცებლად და ის მამული, რომელიც მათ გუარამ მამფლისაგან ჰქონდათ ნაბოძები, გურგენ ერისთავთა ერისთავს მიჯნაძოროელთათვის გადაუცია. მიჯნაძორის მამებს თავიანთი უფლება კანონიერად დაუცავთ. და ყველა შემდგომად მომავალ მეფეებისათვის სიმტკიცისა და მოუშლელობის ხელწერილი, ხოლო კათალიკოსებისათვის კრულობითი მოწმობანი უთხოვნიათ და მიუღიათ კიდეც. მაშასადამე, მიჯნაძორელნი ამ დავაში მართალნი იყვნენ, ოპიზელების საქმე კი წაგებული იყო. ასეთივე მსჯავრი დასდო ამ საჩივრის განხილვის შემდეგ უმაღლეს დარბაზის კართან მოწვეულმა საბჭომაც. მეფე ბრძანებს: „ხელნი ამათნი (ე. ი. მიჯნაძოროელთანი) მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო და სულსა მათ პირველთა მეფეთა ვერ დავიმძიმებდით"-ო (ibid., 8). მართალია, მამული

საჩუქრად თავდაპირველად ოპიზელებმა მიიღეს, მაგრამ რაკი წყალობის წიგნი შემდგომად მომავალ მეფეებს არ დაამტკიცებინეს, ამიტომ ნაჩუქარ მამულის მფლობელობის უფლებაც დაკარგეს. სასამართლომ მამული მიჯნაძოროელთ მიაკუთვნა, ხოლო ოპიზელნიც რომ გულნაკლულნი არ დარჩნენ და დავიდარაბა საბოლოოდ მოისპოს, ამიტომ იმათაც სხვა მამული ეუბოძეთო, — ბრძანებს ბაგრატ მეფე.

ეს საბუთი ცხადად გვიჩვენებს, რანაირად აირ-დაირეოდა და დაიხლართებოდა ხოლმე საქმე, თუ რომ წყალობის წიგნს, ან სხვა რაიმე მფლობელობის საბუთს, თითოეულ ტახტზე ახლად ასულ ხელმწიფეს არ წარუდგენდნენ დასამტკიცებლად. ამგვარად, იურიდიული საბუთები გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს მეფის უფლებას მხოლოდ მის სიცოცხლის დროს ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა, სიკვდილის შემდეგ კი — მარტო იმ შემთხვევაში, როცა მოადგილე დაამტკიცებდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ და არსებითად ავიწროვებდა და ზღუდავდა მეფის უფლებას; რამდენად შეზღუდული იყო ამ მხრივ საქართველოს ბატონობის უფლება, შემდეგი შედარება დაგვანახვებს: თანამედროვე სახელმწიფოებში თითოეულ მეფის ბრძანებას იმ დრომდე აქვს ძალა და მნიშვნელობა, მანამდისინ რომელიმე მომავალი მეფე არ გააუქმებს, მაშინდელ საქართველოში კი მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, თუ თითოეული მოსახლი ხელმწიფე დაამტკიცებდა მას.

თავი VI.

ბრძოლა აზნაურთა და საქართველოს მეფეებს შორის ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების გამო

რა უფლებითღა იყო აღჭურვილი საქართველოს მეფე სიცოცხლის დროს, სრული თვითმპყრობელი ბრძანდებოდა იგი, თუ მისი მოქმედების თავისუფლება როგორმე შეზღუდული იყო? მას შემდეგ, რაც სასანელთა გვარის სპარსეთის ხელმწიფეებმა მეფის უფლება საქართველოში მოსპეს „მით ჟამითაგან, როგორც ჩვენი მემატიანე მოგვითხრობს, ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე“-ო (მოქცევაჲ ქართლისაჲ, სამი ისტ. ქრ. 44), ე. ი. ბაგრატიონთა გვარის მეფეების გაბატონებამდეო. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლება, რამდენადაც მათ მებატონე სპარსეთის მთავრობა ნებას მისცემდა, აზნაურების ხელში ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ხანის შესახებ ჯერჯერობით ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება და ამის გამო მკვლევარს სათანადოდ არ შეუძლია მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების შესწავლა. მემატიანეს აქვს მხოლოდ ერთი გაკვრით ნათქვამი წინადადება, რომელიც საქართველოს ისტორიის აზნაურთა უფლების ხანას ახასიათებს. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს ეკუთვნის ეს წინადადება, რომელსაც ოდნავ პირადი სიძულვილისა და მედასეობის კვალი ატყვია; მემატიანე თავმობეზრებული გვაუწყებს: „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგანა“-ო (ibid., 44). ჩვენის თემისათვის ახლა საჭირო არ არის გამოვარკვიოთ, თუ რამდენად მართალია ისტორიკოსი: ჩვენთვის ისიც კმარა, რაკი დამტკიცდა, რომ ვიდრე საქართველოში მეფობა აღდგენილი იქნებოდა, ქვეყნის უმთავრესი უფლე-

ბა აზნაურებს ეკუთვნოდათ. „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ შემდეგშიაც, ვიდრე კონსტანტინე აფხაზთა მეფე ქართლს დაეპატრონებოდა, „დაიპყრობდეს ქართლსა აზნაურნი“ (გვ. 282). ქვეყნის გამგეობა აზნაურთა ხელში ყოფილა. ზემოთ მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეერთდნენ ქართველ მოდგმის ერთა გაცალკავებული პატარა სამეფოები; მატიანედანა ჩანს, რომ გაერთიანება ზოგჯერ ნებაყოფლობით იყო ხოლმე განხორციელებული, ხანდისხან კი ძალდატანებითაც. საბუთები გვიჩვენებენ მხოლოდ, რომ მეფის უფლების აღდგენა საქართველოში ერის სურვილისა და მეცადინეობის წყალობით განხორციელებულა. რასაკვირველია, მეფობის დაარსებისთანავე აზნაურობას თანდათან კვლავინდებური უფლება და მოთავეობა ხელიდან გამოეცლებოდა; ეს ამბავი კი, რა თქმა უნდა, ბატონობას მიჩვეულ უმაღლეს წოდებას არაფრად ეჭაშნიკებოდა. ამის გამო, უეჭველია, გავლენიანი აზნაურობა არც თუ ძალიან მოწადინებული იქნებოდა, რომ საქართველოს ბატონი მეტისმეტად გაძლიერებულიყო. საქმე სწორედ ასეც დატრიალდა. მემატიანე, მაგალითად, გვიამბობს: „გარდმოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ (III), რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თილვას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდმოსვლა მისი, რამეთუ თჳთეულად გააგებდეს საქმეთა ქართლისათა... იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რაჲ ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს, იოტნეს ქართველნი, რომელნიმე დაჴოცნეს, რომელნიმე შეიპყრეს და სხვანი კვალად მეოტნი გარდაიხვეწნეს და დაიფანტნეს; მოვიდა უფლის ციხესა... დაყვნა დღენი მცირედნი, განაგნა საქმენი ქართლისანი“ (ქართ. ცხ., 302), მარიამ დედ. ქართ. ცხ., ე. თაყაიშვილის გამოც., 239). მემატიანეს ეს ცნობა გვიჩვენებს, რომ თუმცა ქართლის აზნაურები მეფობის აღდგენის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მისი საქმეებში და ქვეყნის გამგეობაში ჩარევა არ მოსწონდათ, — ბრძანდებოდეთ მანდ აფხაზეთში და აქაურ საქმეებს ჩვენებურად მოვაწყობთო. ქართლის აზნაურებს, მაშასადამე, ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების დათმობა არა სურდათ და როცა მეფე ამათ ადგილებში გადმოვიდა, შეიარაღებულნი შეებრძოლნენ კიდეც. ამ დროიდან იწყება შეუწყვეტელი ბრძოლა ქვეყნის გამგეობის უფლების გამო მეფეებსა და აზნაურთა შორის. ხანგრძლივი, სასტიკი, ხშირად დაუნდობელი ბრძოლა იყო ეს მეტოქეობის ხანა; სწორედ ამ ბრძოლის ისტორიის გამორკვევასა და შესწავლას უნდა შევუდგეთ ჩვენ ახლა. საკვირველია, რომ ჩვენი ისტორიის მკვლევრებს აქამდისინ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ფრიად საინტერესო და საყურადღებო საკითხისათვის.

გარდაიცვალა თუ არა მეფე ბაგრატ III და ძე მისი გიორგი ტახტზე აბრძანდა, „ღადრობითა“ (ჰერეთ-კახეთის) აზნაურთა შეპყრობილ იქმნეს (ბაგრატის დაყენებული) ერისთავნი, მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა აქუნდა იგი“ (სუმბატის ქრონ., სამი ისტ. ქრ. 67). აზნაურნი წინააღუდგნენ საქართველოს მეფეთ მეფეს მისი უფლების გაძლიერების შესაფერხებლად და თავიანთი წინანდელი მმართველობა ირჩიეს. შეერთებულ სამეფოს ჰერეთ-კახეთი ჩამოეცალა, მაგრამ შერჩენილ სამფლობელოებშიაც აზნაურები გიორგის დიდ ერთგულებას არ უწევდნენ. იგივე მემატიანე მოგვითხრობს, ბერძნების კეისრის ბასილის შემოსევის დროს გიორგი მეფეს უნდოდა უთანხმოება მშვიდობიანად გაეთავებინა, „გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი აზნაურნი არა მოეშვნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშვიდობაჲ“-ო (ქარ. ცხ. 313, მარიამ

დედ. ქარ. ცხ., 356). მამაზე უარესი გაჭირვება აზნაურებისაგან იმისმა შვილმა ბაგრატ IV გამოიარა: „აზნაურნი ტაოელნიო“, — მოგვითხრობს მემატიანე სუმბატ დავითისძე, და ბანელი ეპისკოპოსი (იოანე) და ამათთან უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხეთა და რომელნიმე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა“ (სამი ისტ. ქრ., 75). ხოლო როცა ერთი წლის შემდეგ საქართველოს ბასილ კეისრის ჯარი შემოესია, და ქვეყნის აოხრება დაიწყო და კლდე-კარს გარს შემოერტყა, „სადა იგი იყუნეს, მემატიანეს სიტყვით, მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი და ბრძოლა ყვეს, გარნა არა დიდად, და განდგეს კუალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი, ჩანჩუხამან ერისთავმან მისცა ციხე ცეფთისა და თჳთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს“ (ibid., 76). აზნაურები იმდენად გატაცებულნი იყვნენ მეფის წინააღმდეგ ბრძოლით, რომ ღალატსაც კი არ ერიდებოდნენ ხოლმე, ამისთანა თავგანწირულ ერთგულებით საბა მტბევარ ეპისკოპოსს, ეზრა ანჩელ ეპისკოპოსსა და შავშეთის აზნაურებს რომ არ დაეხსნათ მეფე, მისი საქმე ცუდად დატრიალდებოდა. საზოგადოთ ბაგრატ IV-ს დიდებულ აზნაურთა წინააღმდეგობისა და ღალატისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორის სიტყვით, რომ „აბაზაძენი... კაცნი ძლიერნი და სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისა აღზავებულნი“, მეფეს მოსვენებას არ აძლევდნენ და, წარმოიდგინეთ, ისტორიკოსი ამბობს — „ყოველთა უწყით ჭეშმარიტებით, ვითარმედ შეწყნარებად მეფისა ეგულვებოდათ“-ო (საეკ. მუზ. გამოც., გიორგი მთაწმ. ცხოვრება, გვ. 319). აბაზაძეებმა ღალად მეფის შეპყრობაც კი განიზრახეს, განა ამაზე მეტიღა შეიძლებოდა? ვინ იყვნენ მერე ეს თავზე ხელაღებულნი აბაზაძენი? „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ერთი ამ ხუთ ძმათაგანი ქართლის ერისთავადა ყოფილა მაშინ (ქართ. ცხ., 323); მაშასადამე, დიდებულ მოხელეთა და აზნაურთა წრეს უნდა ეკუთვნოდნენ ისინი; ამიტომაც ამბობს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი — „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი“-ო; ხოლო როცა იგი ამტკიცებს, აბაზაძენი „სიმრავლესა ზედა ერისა აღზავებულნი“ იყვნენო. რასაკვირველია, ამ დიად აზნაურთა მრავალი მომხრე და საკუთარი ჯარი უნდა ვიგულისხმოთ. ბაგრატ მეფემ თვითონ შესჩივლა გიორგი მთაწმინდელს, „მრავალ გზის ხელმეყო და ვეროდეს განმემარჯვა“-ო (გიორგის ცხოვ. ibid., 319—20). როგორც იყო, ეს თავგასული აზნაურები მეფემ შეიპყრო და თავიდან მოიშორა (ibid., 319). მეორე დაუძინებელმა მეტოქემ და ძლიერმა მოწინააღმდეგემ ლიპარიტმა კი მეფეს აჯობა. ჯერ იყო და „მოიყვანა ლიპარიტ დემეტრე ძმა ბაგრატისი, სამეფოდ ბერძენთა მეფისა ლაშქრითა და მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი“ (ქართ., ცხ., 324). ლიპარიტი, ეტყობა, ბაგრატ მეფეს ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა და მის მაგიერ დემეტრეს გამეფება სურდა. ძლივძლივობით მეფე და ლიპარიტი შერიგდნენ; ბაგრატი იმდენად უძლური იყო, რომ ამ თავის მედგარ მოწინააღმდეგესა და მეამბოხეს ლიპარიტს „უბოძა ქართლის ერისთაობა“ (ქართ. ცხ., 325), იქნება ურჩი აზნაურის გული ამით მაინც მოეიგოო. მაგრამ არც ამ წყალობამ გაჭრა: ლიპარიტი რამდენიმეჯერ კიდევ აუშალა მეფე ბაგრატს და ასეთი დღე დააყენა, რომ საბერძნეთში გახიზვნის მეტი აღარა დარჩა რა. რაკი საქმე ასე დატრიალდა, ვიდრე იყო ბაგრატ საბერძნეთს, „ითხოვაო, მოგვითხრობს მემატიანე. ლიპარიტ ძე ბაგრატისა გიორგი მეფედ... მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა, მოიყვანეს რუისს, აკურთხეს მეფედ და მოიყვანეს საზრდელად მისსა ლიპარიტ“ (ქართ. ცხ., 329), ასე გაიმარჯვა ლიპარიტმა: ბაგრატი ხელცარიელი დარჩა; ხოლო

ახალგაზრდა მეფის აღმზრდელად თვითონ ბრძანდებოდა ამორჩეული და მეფის და სამეფოს გამგეობა, რასაკვირველია, ლიპარიტს ჩაუვარდებოდა ხელში. ყველა ზემომოყვანილი ცნობიდან ცხადადა ჩანს, რამდენად უღონო იყო მაშინ საქართველოს ბატონი და რამდენად ძლიერნი იყვნენ აზნაურები, რომელნიც თავგამოდებით და დაუზოგავად ებრძოდნენ ხოლმე მეფეს. რასაკვირველია, ასეთ მეფეებს, რომელთაც საქართველოს ბატონებსავით აზნაურთა წინააღმდეგობითა და ბრძოლით ილაჯი გაწყვეტილი ჰქონდათ, არ შეიძლება თვითმპყრობელის სახელი უწოდოს კაცმა, თუნდაც რომ თვით მეფეებს ჩვენ ხელმწიფეებსავით „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელებად" ელიარებინათ თავისი თავი. უეჭველია ამ მეფეების სურვილსა და სიტყვას მოყმენი კანონად არ ჩასთვლიდნენ და ადვილადაც დაარღვევდნენ. ხოლო რაკი აზნაურობა ასე ძლიერი იყო და თავის უფლებას თავგამოდებით იცავდა, მეფეს, რასაკვირველია, არ შეეძლო სამეფოს გაჭირვებასა, ან სხვა დიდმნიშენელოვანი საქმეების დროს აზნაურების დაუკითხავად რამე გაეკეთებინა; იგი ჯერ იმათთან ითათბირებდა ხოლმე, მერე საერთო სურვილის თანახმად მოიქცეოდა ხოლმე. როცა მაგალითად, გიორგი II სელჯუკთა შემოსევამ და ქვეყნის დაწიოკებამ თავი მოაბეზრა და საშინელ გაჭირვებაში ჩააგდო, მეფემ მემატიანეს თქმით „ჰყო განზრახვა დიდებულთა თვისთა თანა და დაამტკიცეს წასვლა სულტანსა მალიქშას წინაშე" (ქართ. ცხ., 346). ხელმწიფემ, როგორც ჩანს, თვითონ არ იცოდა რა ექნა და ამის გამო დიდებულ აზნაურებს დაეკითხა რჩევას.

მაგრამ თუ აზნაურები იბრძოდნენ თავიანთ უფლებათა დასაცავად, არც მეფეები შესცქეროდნენ გულხელდაკრეფილნი: ისინი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სულ იმის ცდაში იყვნენ, ზურგი როგორმე გაემაგრებინათ. თითოეული მეფეთაგანი სხვადასხვა ხერხსა ხმარობდა ხოლმე ამისათვის; ბაგრატ მესამე, მაგალითად, „ურჩნი თვისნი შესცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მისწრაფედ მორჩილნი ბრძანებასა მათსა" (ქართ. ცხ., 304). მეფემ ხუმრობა არ იცოდა და ლაღს აზნაურს მალე მოიშორებდა ხოლმე თავიდან, ეს იყო მისი საზოგადო და ჩვეულებრივი ხერხი; თუ შეამჩნევდა რამეს, ჯერ, მემატიანეს სიტყვით, „მცირედ ამხილის ყოველთა, ვინ უკუეპოვის ურჩი და მისსა ადგილსა განადიდნის ერთგული და მისანდობელი თვისი" (ქართ. ცხ., 302). გიორგი მეფე კი (II) უფრო სიფრთხილითა და გულკეთილობით ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგეების გული მოეგო: ისტორიკოსი ამბობს: „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა და დაიწყნარა მეფობა თვისი გიორგი მეფემან"-ო (ქართ. ცხ., 341). მეტი ღონე რომ არა ჰქონდა, სხვას რას იზამდა? ცხადია მხოლოდ, რომ მოღალატისა და ერთგულის თანაბარი წყალობა და დაჯილდოება სახელმწიფო ცხოვრებაში გამოუდეგარი საშუალებაა და მარტო უძლურ გამგეს თუ მიეტევება, თორემ სხვას არავის; ნაწყალობევი მეამბოხე აზნაური და ურჩი მოხელე თავისას არ დაიშლიდა და როცა იმისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, კვლავინდებურ გზას დაადგებოდა. აკი ასეც იყო ხოლმე. გიორგი მეფის სახელოვანმა შვილმა დავით აღმაშენებელმა ეს კარგად შეიგნო და როცა ლიპარიტმა მამაპაპეული ორგულობა გამოიჩინა, „ინება განწურთა მისი ამისთჳსცა პყრობილ ჰყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსწავლულად გონიერისა ვისისამე და... განუტევა იგი და მითვე დიდებითა ამყოფა და არა შეუცვალა" (ქართ. ცხ., 349). ჩვენა ვხედავთ, რომ უაზრო წყალობის მაგიერ დავით აღმაშენებელი მოღალატეებს საპყრობილეში ამოუკრავდა ხოლმე თავსა. მაგრამ პირველ დანაშაულისათვის მეფე მაინც თანამდებობას არ ართმევდა ხოლმე, მაგრამ

თუ მოხელე თავისას არ დაიშლიდა და ორგულობას შეამჩნევდა, მემატიანეს სიტყვით, „იხილა რა მშვიდმან და ღვთივ განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა ორწელ პყრობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნაო" (ქართ. ცხ., 349). მეფე, როგორც ჩანს, მოღალატეთა დასასჯელად საუკეთესო საშუალებად საპყრობილესა სთვლიდა. მაინცდამაინც ამისთანა შემთხვევებში დავით აღმაშენებელი ძალიან მკაცრად არ იქცეოდა და სიკვდილით არა სჯიდა დამნაშავეებს, მხოლოდ სამუდამოდ საქართველოდან განაძევებდა ხოლმე. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური სიბრძნე და შორს გამჭვრეტლობა, სახელმწიფოს შინაურ საქმეების მოწესრიგების მოღვაწეობა ჯერ შესაფერისად დაფასებული არ არის. მერე რა დიადი იყო ეს მეფის პოლიტიკა, რა ღრმა წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებასა და ცოდნაზე იყო იგი დამყარებული. ისტორიკოსი მოგვითხრობს: დავით აღმაშენებელი დაკვირვებამ დაარწმუნაო, რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგანვე თჳსთა უფალთა-რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება ჰყონ და განსვენება, იწყებნ განზრახვად ბოროტისა, ჳითარცა, — მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა, — და საქმენი აწ ხილულნი"-ო (ქართ. ცხ. 378). რასაკვირველია, აქ უმაღლეს წოდებაზე, აზნაურობაზეა ლაპარაკი. დიახ, შესანიშნავმა ხელმწიფემ დაინახა, რომ აზნაურთა აშლა მეფის წინაამდეგ და ორგულობა საზოგადო მოვლენა იყო და არა შემთხვევითი: საზოგადო მოვლენა იმიტომ იყო, რომ აზნაურები ცდილობდნენ წინანდელი გავლენა და უფლება შეერჩინათ კიდევ როგორმე და მეფისათვის კი არ დაეთმოთ. დავით აღმაშენებელი ხედავდა აგრეთვე, რომ აზნაურები ერთად იკრიბებოდნენ, ერთად მოქმედებდნენ საქართველოს ბატონის წინააღმდეგ: მეფეს კარგად მოეხსენებოდა, რომ აზნაურებს თავიანთი ჯარი — მოყმეები ჰყავდათ და შეერთებულ აზნაურთა ჯარის წინააღმდეგ მეფესაც კი გაუჭირდებოდა. აკი ამიტომაც მოსდიოდათ მარცხი მის წინაპრებს გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II. ცხადი იყო, რომ თუ მეფეს სურდა თავის მოწინააღმდეგეებისათვის ეჯობნა, ამისათვის საჭირო იყო მუდმივი ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყოლოდა დამზადებული; საკუთარი ლაშქარი კი აზნაურთა ჯარის დაუხმარებლივ სამყოფი არ მოეპოვებოდა მეფეს (ქართ. ცხ., 357). თავისი დიადი პოლიტიკური ნიჭი და შორსგამსჭვრეტლობა დავით აღმაშენებელმა სწორედ ამ ძნელ და გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოიჩინა. თავისი თავის გასაძლიერებლად მეფემ ყივჩაყთა 50.000 ჯარისკაცი დაიქირავა, გასწრთვნა და მუდმივ დამზადებული ჰყავდა საბრძოლველად (ქართ. ცხ., 357—8). უეჭველია, ნაქირავები ჯარი დავით აღმაშენებელმა იმიტომ გადმოიყვანა ყივჩაყთაგან, რომ მისი თანამეცხედრე ყივჩაყთა მთავრის ქალი ბრძანდებოდა და ნათესაობის გამო მეფეს იმედი ექნებოდა ერთგულობას გამიწევენ და აზნაურებს მხარს არ დაუჭერენო. ქონებრივად ყივჩაყნი მეფისგან იყვნენ დამოკიდებულნი და მის წყალობის შემაცქერალნი იყვნენ, ამიტომ ისინი ყოველთვის სულ იმის ცდაში იქნებოდნენ, ეგებ ბატონის ყურადღება დავიმსახუროთო. აზნაურთა ჯარს კი, თუნდაც ერთგულ აზნაურთა ჯარი ყოფილიყო, ხელმწიფე მუდმივ ვერ ენდობოდა. როცა დავითმა ასეთი დახელოვნებული და ერთგული მხედრობა გაიჩინა, მას შეეძლო მოწინააღმდეგე აზნაურთა ძალა დაემარცხებინა. რაკი დავით აღმაშენებელმა აზნაურთა ორგულობის ოინები იცოდა, „ამისთვისცა არა ოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსვენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესევითარისა" (ქართ. ცხ., 378); გაიგებდა თუ არა მეფე, რომ მისი მოწინააღმდეგენი შეკრე-

ბისა და შეთქმულობის მოწყობას აპირებდნენ, მაშინვე ჯარით თავს დაესხმოდა და საქმეს ჩაუფუშავდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „არცა სამეფოთა შინა მისთა, არც ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, და დიდთა და მცირეთა საქმეთა ქმნილნი, კეთილნი ვინა ბოროტი სიტყვა თქმული არა რა დაეფარეოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქვის ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსაო“ (ქართ. ცხ., 374). რასაკვირველია, ამგვარ გულთმისნობის გამოჩენა მეფეს მხოლოდ ჯაშუშთა დახმარებით შეეძლო; როგორც ეტყობა, დავით აღმაშენებელს ჯაშუშები ჰყოლია და ამ მხრივ იგი სელჯუკთა შაჰების ჩვეულებას აჰყოლია (სიასეთნამეში). ჯაშუშების დახმარებით მეფე სპობდა „ორგულობასა და ზაკვასა და ღალატსაო“ (ქართ. ცხ., 374), ამბობს მემატიანე: შეატყობინებდნენ თუ არა ისინი, დავითი უეცრად თავს დაესხმოდა ხოლმე შეთქმულთ და დააპატიმრებდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ორგულობისა და ღალატის განზრახვისათვის, მრავალნი განპატიჟებულნიცა იყვნენ“-ო (ქართ. ცხ., 375). ოღონდაც მთელი თავისი ძალღონე დავით აღმაშენებელმა ურჩ აზნაურებთან ბრძოლას შეალია. მეფეს სახელმწიფოს წინაშე იმის ღვაწლი მიუძღვის, რომ აზნაურთა შეერთებულ წინააღმდეგობის დასამხობად მან გარკვეულ, ტაქტიკურ ბრძოლას მიმართა და თავის წინაპრებისავით გზადაბნეული არ მოქმედებდა. გარკვეულმა მიზანმა მტკიცე მოქმედებაც შექმნა: მეფე ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა, რომ დიდებულ და თავგასულ მოხელეებისათვის თანამდებობა ჩამოერთმია და მათ ადგილას დაბალი წოდების წევრი, ანუ, როგორც აზნაურები ეძახოდნენ, „ვინმე უგვაროni“ დაენიშნა; თანდათან უმაღლესი მოხელეობა მეფის ერთგულ, „უგვაროების“ ხელში გადადიოდა (ქართ. ცხ., 378). მართალია, მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგე აზნაური მოხელეები მარტო ძალით არ ებრძოდნენ მეფეს და მას ქვეყნის კეთილდღეობის დამხობასაც აბრალებდნენ ხოლმე: საქართველო მეტისმეტი მოლაშქრეობითა და ომიანობით წელმოწყვეტილია. ყოველთვის ვერ აიტანს ამოდენა ჯარისა და სისხლის ღვრასა. ერთიც ვნახოთ უბედურება დატრიალდეს და სახელმწიფო დაუძლურდესო, გაიძახდნენ ისინი. ისტორიკოსის სიტყვიდანა ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგაც კი იყვნენ „მაბრალებელნი მეფისანი, ჯერეთცა ესეოდენ მჭირხედ დამოლაშქრებისათვის და მხედრობათა მისთა განუსვენებელისა მიმოსვლისათვის და ვითარმედ „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობისა, არცა ძალი ორლანოსა მარადის განსხიპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თვითოეული მათი უხმარ იპოვისო“ (ქართ. ცხ., 376—7). რასაკვირველია, მეტისმეტ ლაშქრობათა, ანუ მილიტარიზმის მოწინააღმდეგეთა შორის ისეთი პირებიც ერივნენ, რომელნიც გულწრფელად ემდუროდნენ დავით აღმაშენებელს, ქვეყანას ღუპავ შენის დაუსრულებელი ომიანობითაო, რომელთაც მარტოოდენ საქართველოს კეთილდღეობის უანგარო სურვილი ალაპარაკებდათ ასე. მაგრამ მემატიანეს სიტყვებიდან ცხადადა ჩანს, რომ ამ საბუთით მეფის მოწინააღმდეგე აზნაურებსაც უსარგებლიათ, მეფის გაძლიერება რომ შეეფერხებინათ და თავიანთი წოდებრივი უპირატესობა და უფლება შეენარჩუნებინათ, იმათ გოდება მოურთავთ ლაშქრობებისაგან ქვეყნის კეთილდღეობა იღუპებაო. ისტორიკოსმა იცის, რა მუცლისტკივილიცა ჰქონდათ იმ აზნაურებს და სახელოვან მეფის მოღვაწეობის გასამართლებლად შესაფერ პასუხს აძლევს კიდეც (ibid). დავით აღმაშენებლის დროს საქართველო გაძლიერებული და უზრუნველყოფილი იყო როგორც მეზობელთა შემოსევისაგან, ისე აზნაურთა განდგომილებათა და ღალატისაგან.

როგორ მიმდინარეობდა საქმე დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ გიორგი III-ის მეფობამდე, არა ვიცით რა, იმიტომ რომ დიმიტრი და დავით მეფეებს საკუთარი მემატიანენი არ ჰყოლიათ, ან თუ ჰყავდათ, მათ ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. თამარ მეფის ისტორიკოსი გაკვრით ამბობს მხოლოდ, რომ დიმიტრი პირველის შვილი დავით „ღალატს და განდგომილებასა შინა მამისა თვისისა" (ქართ. ცხ., 395, მარიამ დედ. ვარიანტი, 386) ედო დანაშაულობათ. მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ ამ ღალატში მხურვალე მონაწილეობა საქართველოს დიდებულ აზნაურებს მიუღიათ; იქნება მთელი ეს საქმე მათი განზრახული და განხორციელებული ყოფილიყო კიდეც. ისტორიკოსის სიტყვით, დავითის გულისათვის დაისაჯნენ „ამისა სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია ქმნით, რომელნიმე სიკვდილით და რომელნიმე განპატიჟებით" (ქართ. ცხ., 395—6, მარიამ დედ. ვარიანტი, 386). რასაკვირველია, ამ მეფის ძის განდგომის ამბავის შესწავლას ჩვენი თემისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ საკმაო მასალები მოიპოვებოდეს, იმიტომ რომ შესაძლებელია გამოგვერკვეია, თუ როგორ გამოიყენეს მეფის შვილის განდგომა დიდებულმა აზნაურებმა თავიანთი პოლიტიკური წადილის განსახორციელებლად. ასეთივე ამბოხება გიორგი III-ის დროსაც მოხდა, როცა მეფის ძმისწული დემნა ბიძას ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა. ეს ამბოხება მოაწყეს დემნას სიმამრმა ორბელმა, მისმა გვარმა „და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა, სამცხელთა, ჰერთა, კახთა და სადა ვინ ნათესავი და ნატამალი მოსმენარ მათდა იყო" (ქართ. ცხ., 396, მარიამ დედ. ვარიანტი, 386). გიორგი III ერთ ხანს დიდ განსაცდელში ჩავარდა და დემნასათვის რომ ზოგიერთებს არ ეღალატათ, იქნება გამარჯვება ძმისწულს დარჩენოდა. თუმცა ამ აზრის შესახებ ცოტა მეტი ცნობები მოიპოვება, სომეხთა ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანიც საგულისხმიერო მასალებს გვაძლევს ამის შესახებ, მაინც ამ ამბოხების განხილვასაც გვერდს ავუხვევთ, რადგან საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება და განდგომის ამბავი ბურუსით არის მოცული. შეიძლება მხოლოდ საზოგადოდ ვაღიაროთ, რომ გიორგი III დროს დიდებული აზნაურები ისე დაშინებული არ იყვნენ, როგორც დავით აღმაშენებლის დროს და უფრო თამამად იქცეოდნენ ხოლმე. მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე თავისდა უნებურად; რამდენჯერმე იძულებული იყო აზნაურთა სურვილს დამორჩილებოდა; მაგალითად, როცა გიორგი მზად იყო ხორასნისა და ერაყის სულთანს, რომელმაც საქართველოს ერთი მხარე აიკლო დიდი ლაშქრით უკან დადევნებოდა, რომ წარამარა ტანტალი მოემლევინებინა, „წინამდგომ და დამახწეველ იქმნნეს დიდებულთაგანნი ვინმე... და არღარა მიუშვეს, მეტყველთა ესრეთ: ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნურღარა აღზავავებული მკადრებლობ ღვთისაგან ესრეთ ამაღლებული". არამედ იყო სიტყუა მათი უსიტყველ, საქმე უსაქმო და მიზეზი უმიზეზო, გარნა ვინაითგან მეფე ცნობითა ბრძენი და მომსმენი იყო, დამორჩილდა..." (ქართ. ცხ., 391). თუმცა დიდებულთა სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს ისინი წამდაუწუმ სისხლის ღვრის წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ და მეფისათვის სულთანის დადევნება იმიტომ დაეშალათ, მაგრამ იგივე მემატიანე ერთ შემთხვევას გვიამბობს, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ დიდებულნი პირადად ომიანობის დიდი მოტრფიალენი ბრძანდებოდნენ. მემატიანე მოგვითხრობს, სახელდობრ, რომ გიორგი მეფე იძულებული იყო ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ომი აეტეხა, თუმცა მათ იმ დროს საქართველოსათვის არაფერი დაუშავებიათ, — ჩხუბი აუტეხეს იმიტომ, რომ დიდებულ აზნაურებს ლაშქრობის

საღერღელი აეშალათ. ისტორიკოსი ამბობს: „უღონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელთა მოახსენეს ესრე სახედ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა ოჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა". ხოლო ისმინა მეფემან... და ერთსა დღესა შინა დაასკვნეს პაემანი ლაშქრობისაო" (ქართ. ცხ., 393). მაშასადამე, დიდებულნი ლაშქრობის წინააღმდეგნი არ ყოფილან საზოგადოდ, მაგრამ ჩარხს როგორც უნდოდათ, ისე ატრიალებდნენ ხოლმე და მეფესაც თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ; ხოლო ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, მეფობის დაუძლურებას მოასწავებდა.

თავი VII

დიდებულ აზნაურთა პირველი პოლიტიკური გაფიცვა მთავრობის წინააღმდეგ

მრავალი საბუთი, მაშასადამე, ცხადად გვიჩვენებს, რა გამწვავებული ბრძოლა არსებობდა მთავრობასა და აზნაურთა შორის უფლების გამო და რამდენად შეზღუდული იყო ხოლმე მეფის მოქმედება აზნაურთა ძლიერებისა და წინააღმდეგობისაგან. მაგრამ თუ ამ ბრძოლის ვითარებას ჩაუკვირდებით, უეჭველია შევამჩნევთ, რომ გამარჯვება საბოლოოდ ჯერ არც ერთ მხარეს არ დარჩენოდა, მართალია, დავით აღმაშენებლის დროს მთავრობამ აზნაურებს აჯობა და ურჩი მოხელეები თავიანთ ქერქში ჩააყენა, მაგრამ დავითის მემკვიდრეები თანდათან უკან იხევდნენ და აზნაურებს ყველაფერს უთმობდნენ ხოლმე. ესეც უნდა თქვას კაცმა, რომ დიდებული აზნაურები ბრძოლის დროს თავიანთ წინანდელ უფლებათა შენარჩუნებასა ცდილობდნენ და რაიმე ახალი პოლიტიკური პროგრამა და საკითხი, რამდენადაც ეს საბუთებიდან ჩანს, არ წამოუყენებიათ. ასე გამოურკვეველი იყო ეს ხანგრძლივი ბრძოლა თამარ მეფის დრომდე, თამარის მეფობაში კი ბრძოლამ გარკვეული მიმართულება მიიღო და საქართველო ხელმწიფის უფლების შეზღუდვამდე მიიყვანა. ჯერ როცა თამარის ტახტზე აყვანას აპირებდა, მაშინვე უეჭველია გიორგი მეფე იძულებული იქნებოდა დიდებული აზნაურები თავის სურვილზე დაეყოლიებინა: წინათ ქალი სამეფო ტახტზე არასდროს არ მჯდარა და ახალი წესის შემოღებისათვის, რასაკვირველია, მარტო გიორგი მეფეს სურვილი არა კმაროდა. როცა თამარის მამა გარდაიცვალა, მაშინ კი ცხადად გამოაშკარავდა, რა გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო გვირგვინოსანი ქალწული თუმცა მამამ თავის სიცოცხლის დროსვე აიყვანა იგი ტახტზე და ერთგულება თვითონაც შეჰფიცა და ყველა მოყმეებსაც შეაფიცინა, მაგრამ გიორგი III სიკვდილის შემდეგ თამარმა მაინც უკან დაიხია და მართვა-გამგეობას თავი მიანება, მანამ არ „შემოკრბა შვიდთავე სამეფოთა დიდებულნი, რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გამორჩევად" (ქართ. ცხ., 401). და ბჭობის შემდეგ თამარის მამიდას რუსუდანს არ მოახსენეს: „აწ ჰკლჳყოს ჴელითა მეფობისა და კურთხევითა გვირგვინოსან ყოფად აღვიდეს და დაჯდეს საყდართა მამათა თჳსთასა"-ო (ქართ. ცხ., 402). თუმცა მემატიანე ცდილობს ეს უცნაური შემთხვევა გამოაკეთოს, მაგრამ მაინც ცხადია, გიორგის სიკვდილის შემდეგ რაღაც ამბავი მომხდარა, რომ ერთხელ ტახტზე ასული დედოფალი ხელმეორედ აუყვანიათ და გაუმეფებიათ. სამწუხაროდ, ისტორიკოსი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ამ

შემთხვევას და მკვლევარს არ შეუძლია ამის გამოისობით ამ მეტად საყურადღებო მოვლენას ჯეროვნად ჩაუკვირდეს. რაკი თამარი მამის დროსვე გამეფებული იყო, საქართველოში გიორგის სიკვდილის შემდეგ არავითარი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო; მემატიანე კი გვაუწყებს: სამეფოს დიდებული შეიკრიბნენ, „რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და ვამორჩევად"-ო და იმათ გადაწყვიტეს — თამარმა ხელმეორედ დაიდგას გვირგვინი და მამაპაპეულ ტახტზე აბრძანდესო. ყურადღება მიექცეოდეთ ამ პატარა, მაგრამ საგულისხმიერო წინადადებას: თურმე საქართველოში ზოგი დიდებული ღირსი ყოფილა, ან უფლება ჰქონია „განზრახვად და გამორჩევად". ამისთანა სიტყვებს მემატიანე პირველადა ხმარობს, ჩვენი დანარჩენი მემატიანეები არსად არ იხსენიებენ ასეთ პირებს. ეს დიდებულნი შეიკრიბნენ და თამარის ხელმეორედ ტახტზე აყვანა გადაწყვიტეს. მაგრამ თვით თამარის დაგვირგვინების წესი უფრო საგულისხმიერო სურათს წარმოადგენს; ჩვენ აქ მთელ დაგვირგვინების წესს არ შევეხებით და მხოლოდ ერთ წვრილმან, მაგრამ მაინც საყურადღებო, შემთხვევაზე ვაპირებთ სიტყვის ჩამოგდებას. მემატიანე ამბობს: „სრულ ყვეს რა კურთხევაჲ, დალოცეს მაშინ კახაბერი კვირიკეს ძე, ერისთავი რაჭისა და თაკვერისა და სრულ ჰყვეს მოჯელეთა სვიანთა და დიდებულთა: ვარდანის ძეთა, სადირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღებად და დადებად კრმლისა"-ო (ქართ. ცხ., 403). ამ აღწერილობაში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ისტორიკოსის სიტყვა „სრულ ჰყვეს"-ო; ეტყობა ამ დიდებულთა გვარის შვილებს უფლება ჰქონიათ (ან — იქნება მიუთვისებიათ) „დაელოცნათ" და „სრულ ეყოთ", ესე იგი ნება დაერთოთ, რომ ერთ-ერთ დიდებულს სამხედრო ძლიერებისა და ჯარის უფროსობის სიმბოლო სახელმწიფო კრმალი თამარ მეფისათვის გადაეცათ; თითქოს დიდებულნი თამარს სიმბოლურად ლაშქრის წინამძღოლობას ულოცავდნენო. რასაკვირველია, შეიძლება ეს ძველისძველად შემოღებული წესი იყოს (მაშინ უფრო მეტი ყურადღების ღირსი იქმნებოდა ეს ჩვეულება), მაგრამ მაინც თამარის დროს დიდებულთა „სრულყოფასა" და „დალოცვას" განსაკუთრებული და გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამარი ერთხელ უკვე დაგვირგვინებული იყო და სწორედ ამავე დიდებულთა გადაწყვეტილების გამო ხელმეორედ დაიდგა თავზე გვირგვინი: ყურადღების ღირსია აგრეთვე, რომ დაგვირგვინების წესი ასე დაწვრილებით აუსრულებიათ და ისტორიკოსიც ასე ვრცლად მოგვითხრობს ამ ამბავს. ნუთუ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა და რაიმე მიზეზი არ იყო? — შეუძლებელია; თამარ მეფის ხელმეორედ დაგვირგვინების დროს დიდებული აზნაურები უკვე გათამამებულნი იყვნენ. ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ დიდებულნი და გვარიანნი აზნაურები მთავრობას პირდაპირ შეებრძოლნენ კიდეც. როცა საეკლესიო კრება თამარის დამარცხებით გათავდა და კათალიკოსმა მიქელმა მეფეს აჯობა, „მაშინ იწყესო", — მოგვითხრობს მემატიანე, — დაუდგრომელობისა საქმე დიდებულთა ვიეთმე კელისუფალთა: ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ „აღარ ვეგებით ძველთა კელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, და გვარიანნი და თვთმსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსასოდ განსულნი ვართ უგვაროთა და უკამთაგან" (ქართ. ცხ., 407) * ამ ძეირფას ცნობიდან ჩანს, რომ

---

* როგორც ამ აზნაურთა გაფიცვისა ისე იმ პოლიტიკურ მოძრაობის შესახებ. რომელზედაც მე-8 თავში გვექნება ლაპარაკი, ბ-ნ. მ. ჯანაშვილსაც აქვს დაწერილი თავის თხზულებაში „Царица Тамара", მაგრამ ყველაფერი გადაურევია ავტორს, (იხ, ჩემი ბიბლიოგრაფიული წერილი „Визант. Врем."-ში, 1904, № 1 და 2).

გვარიან და დამსახურებულ აზნაურთა სახლები, რომელთაც რაიმე მოხელეობა ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონიათ, შეერთებულან და ერთმანეთისათვის პირი მიუციათ — მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოთ, რაკი საქართველოს ბატონები სულ იმის ცდაში არიან დიდებული აზნაურები უკან დააყენონ, „უგვარო" კაცები კი დააწინაურონო. ეს „უგვარონი", ანუ დაბალი წოდების წევრნი მეფეებს ერთგულად ემსახურებოდნენ და მათ ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ხოლმე. მემატიანეს ზემომოყვანილი სიტყვები გვიჩვენებენ, რომ თუმცა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები სახელოვან ხელმწიფეს ძლიერებით ვერ შეედრებოდნენ და ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ კიდეც დიდებულისათვის დაეთმოთ, მაგრამ მაინც მათაც წინანდებურად ყოველი ღონისძიება უხმარიათ, რომ უმაღლესი მოხელეობა გვარიან აზნაურებისათვის არ მიეცათ და დაბალ წოდების წევრებისათვის ეწყალობებინათ. ეტყობა, ჩვენ მეფეებს თავიანთი წადილი აუსრულებიათ კიდეც; ამას დიდებულ აზნაურთა სიტყვები ამტკიცებს: „აღარ ვეგებით ძველთა ხელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნიო", — გაიძახოდნენ ისინი; ცხადია მაშასადამე, რომ ძველ მოხელეთა შორის დაბალ წოდებიდან ბლომადა ყოფილან, დიდებულ აზნაურთა გვარის შვილები კი იმათ ბრძანების აღმასრულებელნი და ხელქვეითნი გამხდარან. თამარის გამეფებამდე გულნატკენ დიდგვარიან მოხელეებს თავიანთი დამცირება უთმენიათ, მაგრამ როცა უგრძნიათ, — ახლა კი მარჯვე დრო დაგვიდგაო, ყველანი ერთად გაფიცულან და მეფისათვის გამოუცხადებიათ — დაითხოვეთ ყველა ძველი „უგვარო" ხელისუფალი და მხოლოდ ჩვენ წრიდან დანიშნეთ მათი მოადგილეები, თორემ ჩვენ იმათ ამიერიდან აღარ დავემორჩილებითო. რამდენადაც საბუთებიდან ჩანს ეს, პირველი წოდებრივი გაფიცვა იყო საქართველოში პოლიტიკურ უფლებათა, ან უპირატესობის მოსაპოვებლად. დიდგვარიანი აზნაურები დარწმუნებული ყოფილან, რომ ერთობლივ გაფიცვით და სამსახურის მიწებებით თამარ მეფეს აიძულებდნენ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. გაფიცულებმა პირველად „ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი", „გაზრდილი პატრონთაგან", „ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი" ყუბასარი ამოიღეს ნიშანში; იგი ფილენჯის სენით იყო ავად (ქართ. ცხ., 407). აზნაურებმა ხელმწიფეს გამოუცხადეს ყუბასარი სამსახურიდან დაითხოვეო. ისტორიკოსი ამბობს: „აწვიეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა ნაქონებისა"-ო (ქართ. ცხ., 408). „გარნა უქმ იქმნა განზრახვა მათი, ვინათგან თამარ სახიერი იყო და მოწყალე. მოიხსენა სიყვარული და სამსახური და ზრდილობა მისი, თვნიერ კელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არა რაა დააკლო"-ო, —დასძენს მემატიანე (ქართ. ცხ.. 408). მაგრამ მეტი რაღა უნდა დაეკლო? მოხელეობა და სახელო ადგილი ლორე ხომ ჩამოართვა? მართალია, გაფიცულმა აზნაურებმა მოახსენეს ყოველი ნაქონები წაართვიო, მაგრამ იმათი უმთავრესი გულისწადილი ის იყო, უგვარო ყუბასარი დიდებული მოხელე, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, აღარა ყოფილიყო, თორემ დანარჩენს დიდებული აზნაურები ადვილად დაუთმობდნენ მთავრობას. ამგვარად, გაფიცულმა აზნაურებმა თამარი აიძულეს მათი მოთხოვნა აესრულებინა. მე ვიმეორებ და ვამტკიცებ, რომ თამარ მეფე იძულებული იყო გაფიცულთა გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა; ყუბასარი სამსახურიდან იმიტომ კი არ დაითხოვეს, რომ ფილენჯის სენით იყო ავად (იხ. ბ. დ. კარიჭაშვილის „საქართველო მეთორმეტე საუ-

კუნეში“, გვ. 103-4), არამედ მხოლოდ იმის გამოისობით, რომ გაფიცულმა აზნაურებმა ასე გადასწყვიტეს, ხოლო იმათ ის კი არ აწუხებდათ, ყუბასარი ავადმყოფია და საქმეებს ვერ გააკეთებსო, არამედ მარტო ის გარემოება, რომ ყუბასარი უგვაროთა ჯგუფს ეკუთვნოდა და რაკი „ერთგული“, „კარგი მოყმე“ და „პატრონთაგან იყო გაზრდილი“, დიდგვარიან აზნაურებზე უმაღლესი მოხელეობა ჰქონოდა ნაბოძები. მათ უფროსად ითვლებოდა, გაფიცულ აზნაურებს რომ ყუბასარის ავადმყოფობა ჰქონოდათ სახეში როცა მეფეს თავიანთი მოთხოვნილება გამოუცხადეს, მაშინ პირდაპირ იტყოდნენ—ყუბასარი სნეული კაცია და დაითხოვეთო და საზოგადო ლაპარაკს არ გაიბამდნენ — უგვარო დიდებული მოხელეები სამსახურიდან დაითხოვე და მათ ადგილას დიდგვარიანები დანიშნეო. რომ ბრძოლა და გაფიცვა წოდებრივ და პოლიტიკურ ნიადაგზე იყო დამყარებული და აზნაურებს დიახაც უნდოდათ წოდებრივი უპირატესობა მოეხვეჭათ, ამას ცხადად მეორე უგვარო მოხელის დამხობის გარემოება და მიზეზი ამტკიცებს. მემატიანე მოგვითხრობს: „კვალად აფრიდონ აზნაურობის ყმობისაგან ღვთის მობაძავის წყალობით ამაღლებული და განდიდებული ვიდრე მსახურთ-უხუცესობამდი და თმოგვისა და სხუათა ციხეთა პატრონობითა აღზავებული, მოიშალა და დაიმკო ნებითა და განზრახვითა ლაშქართათა“ (ქართ. ცხ., 408). აფრიდონი ხომ მოხუცებული, ან ავადმყოფი არა ყოფილა, მაგრამ ისიც „დაემხო ნებითა და განზრახვითა ლაშქართთა“, ე. ი. იმავე დიდგვარიან მოხელეების სურვილისამებრ. ამ შემთხვევაშიაც გაფიცულმა აზნაურებმა აჯობეს მეფეს. მერე ნიშანში აფრიდონი რალად ამოილეს? ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ მარტო იმის გამო რომ იგი ერთ დროს „აზნაურის ყმა“ იყო; ერთი სიტყვით, ისეთ კაცად ითვლებოდა, რომელიც წოდებრივად გაფიცულ აზნაურებს ექვემდებარებოდა, მეფეს კი აფრიდონი აუმაღლებია, მსახურთუხუცესობის მოხელეობა უბოძებია და სხვა დიდგვარიან მოხელეებისათვის თავზე დაუსვამს.

ერთი სიტყვით, დიდგვარიანი აზნაურები გაიფიცნენ და მეფეს გამოუცხადეს, არც წინანდელ წესს, არც წინანდელ უგვარო დიდებულ მოხელეებს ჩვენ აღარ დავემორჩილებითო, დაითხოვეთ ისინი ყველანიო, თამარ მეფე იძულებული იყო გაფიცულ დიდგვარიანი მოხელეების მოთხოვნილება აესრულებინა. ასე გაიმარჯვა დიდგვარიანმა აზნაურობამ. საქართველოს ბატონს უფლება შეუზღუდეს; მას თავისი სურვილისამებრ მოხელეთა ამორჩევა და დანიშვნა არ შეეძლო. ამიერიდან უმაღლესი მოხელეობა უეჭველად დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს უნდა რგებოდა. ამგვარად, საქართველოს მეფეების ასი წლის მეღვარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებინათ, ფუჭად და ამაოდ ჩაიარა. რასაკვირველია, აზნაურთა გაფიცვამ და გამარჯვებამ მხოლოდ უმაღლეს წოდების უპირატესობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი და წოდებათა თანასწორობასა და პირად ღირსების მნიშვნელობას ნიადაგი გამოაცალა. ამის გამო, თუმცა გაფიცულ აზნაურთა გამარჯვების შემდეგ საქართველოს მეფის უფლება შეზღუდვილი იყო, მაგრამ პოლიტიკურად მხოლოდ მაღალ წოდებას მიანიჭა ამან უპირატესობა, დაბალი წოდება კი პირიქით, დაიჩაგრა კიდეც. ერთი სიტყვით, ეს აზნაურ-მოხელეთა გაფიცვა უფრო წოდებრივ რეაქციის ნაყოფი იყო, ვიდრე სახელმწიფო წესწყობილების წარმატება.

თავი VIII

პოლიტიკური მოძრაობა და მეფის უფლების შეზღუდვა. პარლამენტის მსგავს დაწესებულების დაარსების მოთხოვნილება

საბედნიეროდ, საქმე აზნაურთა გაფიცვის შემდეგ არ შეჩერებულა. ცოტა ხანმა გაიარა და ახლა მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლან, მემატიანეს სიტყვით „მომღებ იქმნა წესსა რასამე სპარსთა გონება მაღლობისასა და სილაღით ქცევისასა, ითხოვა დადგმად კარავი ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელისასა“, „მუნ შიგან თავისუფლად მსხდომარენი, რათა მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხევდეთ, რომელთამე ვსწყალობდეთ; ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნღა სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენი“-ო (ქართ. ცხ., 408). როცა თამარ მეფემ ყუთლუ-არსლანისა და მისი მომხრეების განზრახვა შეიტყო, ისტორიკოსის სიტყვით, „ვითარცა შევენოდა მისსა კელმწიფობასა და სიბრძნესა და მეცნიერებასა, ეგრე ეწყინა და გაიკვირვა“-ო (ქართ. ცხ., 468); მოიწვია საჩქაროდ თავისი „ერთგულნი და საკუთარნი“ და მთავრობის მდგომარეობის შესახებ თათბირს შეუდგა. ბჭობის შემდეგ თამარ მეფემ „იძია ღონე შემსგავსებული სიბრძნისა მისისა, რათამცა კელთ იგდო მომქმედნი ამის საქმისანი... და შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ უხუცესი“ (ibid., 408). როცა მოთავე დაიჭირეს და „ცნეს ესე ლაშქართა მის თანაშემწეთა და თანაშეფიცულთა მისისა მის უკეთურებისა,... შეეყარნეს და უკუაგდეს თამარს სიხიერსა და ბრძენსა და ყვეს ახალი სიმტკიცე და ფიცი, რათა ყუთლუ-არსლან გააშვებინონ, და არა მიუშვან ენებად მისსა, და განემზადნეს ისანისაცა შემოდგომად და კელ ყვეს საქმესა შეუკადრებელსა და ბრძოლად უბრძოლელსა“-ო (ibid., 409). — მოგვითხრობს მემატიანე.

ვიდრე ამ შესანიშნავ შემთხვევის მოთხრობას განვაგრძობდეთ, საჭიროა მემატიანის სიტყვებს ჩავუკვირდეთ და განვმარტოთ. თავდაპირველად, რასაკვირველია, უნდა თანაშეფიცულთა დასის მეთაურს მივაქციოთ ყურადღება: იგი მეჭურჭლეთუხუცესი, ანუ ფინანსთა მინისტრი გახლდათ, უგვარო და დაბალი წოდების ჩამომავალი იყო, მაგრამ სიმდიდრეს იგი აუმაღლებია; მემატიანე უეჭველია სწორედ ამიტომ ამბობს ყუთლუ-არსლანზე: „გვართა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“-ო (ibid., 408); იქნება იგი დიდვაჭარი იყო, მაინცადამაინც იგი პლუტოკრატიის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ვინ იყვნენ ამ დასის თანაშეფიცულნი, რომელთა მეთაურადაც ყუთლუ-არსლანი ითვლებოდა? დიდგვარიანი აზნაურები გაფიცვისა და გამარჯვების შემდეგ უეჭველია ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობას არ მიიღებენ; განა იმათ შეეძლოთ ვიღაც „გვარითა უაზნო“ „სიმდიდრით ამაღლებული“ მოხელე ეწინამძღვრათ? მართალია, მემატიანეს სიტყვიდან ჩანს, რომ ამ დროის წევრებად „დიდებულნი“-ც ბრძანებულან, მაგრამ დიდებულის სახელი მარტო აზნაურს ხომ არ ერქვა, დიდებული — ხელისუფალიც იყო, დიდვაჭარიც*. დაბალი წოდების კაცის მეთაურობა და თვით თანაშეფიცულთა მოთხოვნილება და მოქმედება ხომ უფრო მეტს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიდგვარიან აზნაურებს ამ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ეს თანაშეფიცულნი განსაკუთრებით მაღალ წოდების მოწინაამდეგენი უნდა ყოფილიყვნენ[98]

---

* ეს ცხადათა ჩანს ყველა საბუთიდან; ამაზე ჩვენ ცალკე გამოკვლევაში გვექნება ლაპარაკი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რასაკვირველია, ამ თანამეფიცულთა წადილი და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცვლილების გეგმა. ისინი თხოულობდნენ, რომ კარავი უსათუოდ ისნის ველზე დადგმულიყო; ისანი იმიტომ იყო ამორჩეული იმ დაწესებულების ადგილად, სადაც „თავისუფლად მსხდომარეებს" სამეფოს საქმეები უნდა განეგოთ, რომ იქვე ისნის ველზე თამარ მეფის სასახლე დარბაზი იდგა. როგორც ეტყობა, მათ სურდათ, რომ ორი საგამგეო დაწესებულება ერთად, ერთი მეორის გვერდით ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, სამეფო პალატის გვერდით კარავში „თავისუფლად მსხდომარენი მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხევდეთ, რომელთამე ვწყალობდეთ"-ო,—ამბობდნენ თანამეფიცულნი. ყურადღება მივაქციოთ, დასი თავისუფლებას თხოულობდა; რასაკვირველია, მას მეფისაგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება ექნებოდა სახეში; თანამეფიცულთ სურდათ, რომ ბჭობის დროს მეფე არ ბრძანებულიყო და საქმეში არ ჩარეოდა.

რა უნდა გაეკეთებინათ მერე იმ კარავში? — „მივსცემდეთ და მოვიღებდეთო", მოკლედ არის მოჭრილი მათი სიტყვა, ესე იგი მივცემდეთ ბრძანებასა და მოვიღებდეთ მოხსენებასაო, ხოლო ამისდა მიხედვით „რომელთამე ერისხაედეთ, რომელთამე ვწყალობდეთო"; საქმის ერთგულსა და ბეჯითს წყალობას გაუმრავლებდნენ, ხოლო დაუდევარ და დამნაშავე მოხელეებს დასჯიდნენ; შესაძლებელია ამ შემთხვევაში თანამეფიცულთ უმაღლესი მართლმსაჯულების ხელში ჩაგდებაც სურდათ. დასს უნდოდა, ერთი სიტყვით, ქვეყნის უმაღლესი გამგეობა და სამართალი მისი განსაგებელი ყოფილიყო; ყველა ამ საქმეს მაშინდელ დროში „სახელოთა და საბჭოთა სჯა"-ს ეძახდნენ; ხოლო დავით აღმაშენებლის მემატიანის სიტყვებიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ „სახელოთა და საბჭოთა სჯა" მეფის პირად მოვალეობასა და უფლებას შეადგენდა. ამიერიდან საქართველოს ბატონს ეს უფლება უნდა ჩამორთმეოდა და ახალ საგამგეო დაწესებულებას გადასცემოდა. თანამეფიცულთა სურვილისამებრ, ხელმწიფეს მხოლოდ ამ საგამგეო დაწესებულების გადაწყვეტილების განხორციელების უფლება უნდა შერჩენოდა მხოლოდ. ეს ცხადადა ჩანს მათი სიტყვებიდან: „ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფეს და დედოფალსა და მუნღა სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენიო". მაშასადამე, საბჭო, ანუ „კარავში მსხდომარენი", საქმეებს განაგებდნენ, მეფე კი მხოლოდ მათ გადაწყვეტილებას ასრულებდა; ერთი სიტყვით, საქართველოს უმაღლესი მართვა-გამგეობა „კარავში მსხდომარეთა" ხელში უნდა გადასულიყო მეფე კი აღმასრულებელ ორგანოდ გახდებოდა. ამგვარად, თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება დაარსებულიყო.

მემატიანე ამბობს, თამარმა რომ ეს ამბავი შეიტყო, „ეწყინა და გაიკვირვაო". აბა რას არ ეწყინებოდა ასეთი უფლების შეკვეცა და შეზღუდვა. მაგრამ წყენით, რასაკვირველია, ვერაფერს გააწყობდა. ვერც მოთავის დაჭერამ ჩააქრო და გაანელა ეს საგულისხმიერო პოლიტიკური მოძრაობა, პირიქით უფრო გაამწვავა კიდეც მეფის უფლების შეზღუდვის მომხრეთა დასი, როგორც ჩანს, ძლიერი ყოფილა და საუცხოოდ შეთანხმებული. მემატიანის ნაამბობი გვიჩვენებს, რომ ახალ წესწყობილების მომხრეებს ერთმანეთისთვის შეუფიცნიათ — ჩვენი წადილის განსახორციელებლად ერთად ვიმოქმედებთ და ერთმანეთს დავეხმარებითო; ამის გამო ისტორიკოსი მათ „თანაშეფიცულებს" ეძახის; ეტყობა, ერთგულებისა და ერთსულობის ფიცის სიმტკიცის წიგნიც შეუდგენიათ; ეს იქიდანა ჩანს, რომ მემატიანე ამბობს, ყუთლუ-არსლანის დაჭერის შემდეგ მათ „ყვეს ახალი

სიმტკიცე და ფიციო". ეტყობა, წინათაც ჰქონიათ სიმტკიცის წიგნი, რაკი ახალსა ადგენდენ. თუ რამდენად თავგამოდებულები იყვნენ თანაშეფიცულნი ერთიერთმანეთის გულისათვის, მაშინ გამოაშკარავდა, როცა მთავრობამ მოთავე დააჭერინა; ისინი ფიცხლავ შეიყარნეს ერთად. თამარს გადუდგნენ და ფიცი დასდეს, რომ „ყუთლუ-არსლან გააშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისა". თავიანთ წადილის ასრულების გულისათვის ისინი უკიდურესს საშუალებასაც კი არ შეუშინდნენ. სამეფო პალატს გარშემოერტყნენ და „ხელყვეს საქმესა შეუკადრებელსა და ბრძოლად უბრძოლელსაო", — ამბობს მემატიანე. როგორც ეტყობა, სამეფო სასახლის აღებას და თამარის დატყვევებას აპირებდნენ. უეჭველია, თანაშეფიცულნი ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ, რაკი ასე გაბედულად და რიხიანად იქცეოდნენ, ხოლო თვითმპყრობელობისა და მთავრობის მომხრენი იმდენად უძლურნი აღმოჩნდნენ, რომ თამარ მეფემ ძალას ძალა ვერ დაუპირდაპირა და განსაცდელის თავიდან ასაცილებლად იძულებული იყო მოწინააღმდეგეებისათვის შუამავლად და შემარიგებლად მანდილოსნები გაეგზავნა. აშკარაა, მთავრობას რომ ბევრი მომხრეები ჰყოლოდა, მაშინ ისინი ალყაშემორტყმულ სასახლეს მიეშველებოდნენ და ხელმწიფეს სამარცხვინო ტყვეობიდან დაიხსნიდნენ, მაგრამ, ეტყობა, თამარმა დაინახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა და ისევ მოლაპარაკება ირჩია. „მშვიდობის მძიებელმან მან წარავლინა ორნი პატიოსანნი დიოფალნი, უბრძანა ფიცით მინდობა და სხვისი არავისი ბრალობა" (ქართ. ცხ., 409). გაგზავნილმა მოციქულებმა დედოფლის მინდობილობა საუცხოოდ აასრულეს: თანაშეფიცულნი „მოვიდნენ წინაშე თამარისა და დაერდომით თაყვანი სცეს და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს პირი ერთგულობისა და ნებისყოფისა მისისაო"-ო (ibid., 409), მოგვითხრობს მემატიანე.

განხეთქილება, ერთი სიტყვით, მშვიდობიანად დაბოლოებულა, იმიტომ რომ თამარ მეფემ ისევ მორიგება ირჩია. სამწუხაროდ, ისტორიკოსი არ ამბობს რის ფიცი აიღო ყუთლუ-არსლანის დასმა მეფისაგან; ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეებმა ჯერ მეფეს ჩამოართვეს ფიცი, მერე თვითონაც „მისცეს პირი ერთგულობისა". ასე გათავდა ეს ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების საგულისხმიერო და დიადი შემთხვევა.

რა შედეგი ჰქონდა ამ შესანიშნავ პოლიტიკურ მოძრაობას, ნაყოფიერი იყო იგი, გაიმარჯვა თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა დასმა და საქართველოს მეფე იძულებული იყო საგამგეო და საბჭო საქმეები ახალ დაწესებულებისათვის დაეთმო თუ მეფემ აჯობა თავის მოწინააღმდეგეებს და სახელმწიფო წესწყობილება ხელუხლებელი დარჩა? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართული იურიდიული საბუთები ძალიან ცოტაა გამოქვეყნებული და ამის გამო მკვლევარს არ შეუძლია თქვას, დასდეს თუ არა თანაშეფიცულებმა და თამარ მეფემ შეთანხმების ხელშეკრულება. ეხლა კი, რადგან საბუთები ჯეროვნად შესწავლილი არ არის, ჩვენ ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვა რაიმე საბუთებსა და მოსაზრებას უნდა მივმართოთ. ყურადღების ღირსია, მაგალითად, რომ მემატიანე სწორედ ამ პოლიტიკურ მოძრაობის თავგადასავალის მოთხრობის შემდეგ, როცა სიტყვას ახალ მოხელეთა დანიშვნაზე ჩამოაგდებს ხოლმე, ერთ ფრიად საგულისხმიერო წინადადებასა ხმარობს; მაგალითად, ახალ ამირსპასალარის დანიშვნის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „თანადგომითა და ერთნებაობითა შეიდთავე სამეფოთა დიდებულთა გააჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი" (ქართ. ცხ., 410). ვინ დანიშნა ახალი სარდალი? — თამარმა, მაგრამ საქართველოს დიდებულთა „ერთნებაობითა და თანადგომითა", მაშასადამე, ნება და სურვილი, ანუ განზრახ-

ეა, მოხელის მოადგილის დასახელების უფლება, ახლა დიდებულთა ხელშია, მეფე კი მხოლოდ ამ ერთნებაობას ასრულებს; ერთი სიტყვით, ამირსპასალარის დანიშვნა დიდებულთა განსაგებული საქმე იყო, ხოლო თამარ მეფეს სრულ უყვია დიდებულთა განგებული. აქედანა ჩანს, რომ თვითმპყრობელობის შეზღუდვის მომხრეთა დასის გაფიცვას სრულებით ამაოდ და უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამნაირი წინადადება არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ამაზე წინათ არასდროს არ უხმარია.

დიდებულთა თანადგომითა და განზრახვითა დანიშნეს აგრეთვე, კაი ხნის შემდეგ, ახალი მწიგნობართუხუცესი და ვაზირი ანტონი საღირისძე; ისტორიკოსი ამბობს: „ყოველთა ადგილთა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა განზრახვითა ესე დასვეს ვაზირად, მოსცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისხევი და მწიგნობართ უხუცესობა"-ო (ქართ. ცხ., 426). დიდებულნივე სწყვეტდნენ ხოლმე ომისა და მშვიდობიანობის საქმეს; მემატიანე მოგვითხრობს, მაგალითად, რომ „ვითარ ესმა ლაშქრად წვევა მხარ-გრძელთაგან პსთნდა ყოველთა თქმული მათი და დასკვნ:ს ლაშქრობა"-ო (ქართ. ცხ., 478). ერთი სიტყვით, ისტორიული მასალები ამტკიცებენ, რომ თანამეფიცულთა პოლიტიკურ მოძრაობას სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

დიახაც დიდი ყურადღების ღირსია ეს ჩვენი წარსული სახელმწიფო ცხოვრების მოვლენა; საყურადღებო და საგულისხმიერო იმიტომაა, რომ ყუთლუ-არსლანის დასი საქართველოს ბატონის თვითმპყრობელობითი უფლების შეზღუდვას იყო მოწადინებული და დიდგვარიან აზნაურთა დასივით წოდებრივ განსაკუთრებულ უპირატესობისა და უმაღლესი მოხელეობის მოხვეჭით არ იყო გატაცებული; მას სურდა ხელმწიფის უფლება შეეზღუდა და საქართველოში ახალი მმართველი დაწესებულება დაფუძნებულიყო, ერთი სიტყვით, ამ პოლიტიკურ მოძრაობას წოდებრივი ხას:ათი არა ჰქონდა და მარტოოდენ სახელმწიფოს წესწყობილების ცვლილების გულისათვის იყო ატეხილი.

ჩვენ არ ვიცით, რა წელს მოხდა ეს ისტორიული მოძრაობა. მკვლევარს მხოლოდ დაახლოებით შეუძლია გამოარკვიოს თარიღი: სახელდობრ, იგი 1200 წლამდე (ან 1195 წლამდე იხ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 282) უნდა მომხდარიყო; ამ დროს არის დაწერილი თამარ მეფის ისტორიის პირველი ნაწილი, სადაც სწორედ ეს ამბავია მოთხრობილი; მაშასადამე, იგი 1189 და 1200 (ან 1195) წლებს შორის უნდა მომხდარიყო. როგორ მოქმედებდნენ ამ პროგრესული დასის წარმომადგენელნი შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ჯერჯერობით ჩვენ ამას არ შევეხებით, ან კი რა უნდა ემოქმედნათ, როცა მონღოლთა შემოსევამ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება და წარმატება დიდი ხნით შეაფერხა და დააუძლურა, ხოლო ჩვენი ერი უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო.

პეტერბურგი,

30 მაისი, 1905 წ.

საქართველოს ეკონომიკური ისტორია[99]

თავი პირველი

მიწის მფლობელნი და მიწის მოქმედნი. — აზნაურები და გლეხები

უძველეს ხანაში ქართველებმა არ იცოდნენ, რა იყო წოდებრივი უთანასწორობა. ეს XI საუკ. ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმაც[100] იცის და ახსოვს, რომ ერთ დროს ქართველები თავისუფალი იყვნენ მდგომარეობისა და შეძლების განურჩევლად. წოდებრივ დამოკიდებულების პირველი კვალი პირველი საუკუნის დასაწყისს უკვე ემჩნევა, ეს ნათლადა ჩანს ბერძნების გამოჩენილი გეოგრაფის სტრაბონის აღწერილობიდან. მაგრამ ამ დროს მარტო მეფის, ანუ მამასახლისის საგვარეულოსა ჰყავდა ყმები, რომელნიც მიწაზედ ისხდნენ და მათ ჭირნახულით და ყოველგვარი შემოსავლით ემსახურებოდნენ (ამის შესახებ ცნობები იხ. ჩემს გამოკვლევაში: Государст. строй древн. Грузии и Армении, том I). სამწუხაროდ, არავითარი წყარო არ მოიპოვება შემდეგი დროის შესახებ, რომ მეცნიერს შეესწავლა, თუ როგორ მოხდა, რომ ყმობა საყოველთაო და საზოგადო მოვლენად და დაწესებულებად გადაიქცა, ანუ როგორ ღამყარდა საქართველოში წოდებრივი უთანასწორობა. ჩვენი საისტორიო მასალები მხოლოდ იმდროინდელ საქართველოს შესახებ გვაძლევენ ეჭვმიუტანელ ცნობებს, როცა ერი უკვე გარკვეულ წოდებებად იყო დაყოფილი. IX—XIII საუკუნეებში საქართველოს ერთი კუთხეც არ მოიძებნებოდა, მთიან ადგილების გარდა, სადაც აზნაურები არა ყოფილიყვნენ. ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებულნი არიან, მაგალითად, შემდეგი მაზრების აზნაურნი: ქართლისანი (ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 293, 294, 315, 427), პერეთ-კახეთისანი (ibid., 294, 310, 326, 351, 427, 429), ტაოელნი (ibid., 315, 317, 318), მესხნი (ibid., 295, 327, 343), აფხაზეთისანი (ibid., 426, 427), შავშნი (ibid., 301) და სომხითისანი (ibid., 427). ერთ ჩემს თხზულებაში (Государ. строй др. Грузии и др. Армении, том I) გამოვარკვიე, რომ აზნაურობა უძველეს ხანაში გვაროვნობით თვისებაზე იყო დამოკიდებული, განსაკუთრებით დიდგვარიანობაზე. ამ დიდგვარიან აზნაურებს ჩაუვარდათ ხელში ქვეყნის გამგეობის უფლება მას შემდეგ, როცა სპარსეთის სასანელთა გვარის მეფეებმა საქართველოში მეფობა მოსპეს. ეს პოლიტიკური ძალა აზნაურებს მეფობის აღდგენამდე ხელში ეპყრათ და შემდეგ ხანებშიც, ქართველ ხელმწიფეების დროსაც, ცდილობდნენ იგი კვლავინდებურად შეენარჩუნებინათ; მათ ცდას სრულებით უნაყოფოდ და ამაოდ არ ჩაუვლია. ეს აზნაურები გვარიან აზნაურებად იწოდებოდნენ და შესაძლებელია, რომ ისინი ძველ მამასახლისთა გვარების ჩამომავალნი ყოფილიყვნენ. როცა საქართველოში მეფობა განახლდა და გვარიანი აზნაურები თავიანთი უპირატესობის შერჩენისათვის ებრძოდნენ მეფეებს, მაშინ უკანასკნელებმა დააწინაურეს თავიანთი ერთგული მოხელეები, რომელთაც თავდაპირველად მცირედი თანამდებობა ეჭირათ, მაგრამ

მეფეების მიერ თანდათან ამაღლებულ და განდიდებულ იქმნენ, რომ ერთგულ და მორჩილ ხელისუფლებსა ჰქონოდათ სამეფოს გამგეობისა და მართვის საქმე და გვარიან აზნაურებს მეფის ღალატი ველარ მოეხერხებინათ. ასეთ უგვარო, მაგრამ ნამსახურებ მოხელეებს ქართველი მეფეები აზნაურობასაც უწყალობებდნენ ხოლმე და მამულებითაც უხვად აჯილდოებდნენ. ამნაირად შედგა აზნაურთა ახალი ჯგუფი, რომელთაც **მსახურეულ აზნაურებს** ეძახდნენ ხოლმე (იხ. ამის შესახებ ჩემი გამოკვლევა „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია"). რასაკვირველია, ამ მსახურ აზნაურებსა და გვარიან აზნაურებს შორის დიდი შური და მტრობა არსებობდა და უკანასკნელნი ახლად გააზნაურებულ გვარის შვილებს თავის ტოლად არასგზით არ ჩასთვლიდნენ, იმიტომ რომ თვითონ გვარიანი და დიდი აზნაურები ბრძანდებოდნენ, ისინი კი — უგვარო და მცირე აზნაურები. მაშასადამე, აზნაურობა და აზნაური იყო ხოლმე **დიდი და მცირე** (იხ. შიომღვ. ისტ. საბ. გვ. 28, 1202 წ. საბუთი), **გვარიანი და მსახურეული ანუ მსახური.** რასაკვირველია, როცა დიდგვარიანი აზნაური იმავე დროს მსახურეულიც იყო, მაშინ იგი უფრო ამაღლდებოდა და პატივი მოემატებოდა. **ასეთ დიდებულ აზნაურებს** თვითონაც **თავიანთი** ხელქვეითი ანუ **მსახური აზნაურები** ჰყავდათ; მაგალითად, ვაჰანის მონასტრის დამაარსებელი ერისთავთ ერისთავი მხარგრძელი იხსენიებს **„ჩვენისა სახლისა აზნაურნი და** თუნდა **მსახურნი... ნამსახური** იყოს **და საპატიოდ აზნაურის შვილიო"** (შიომღვ. ისტ. საბ., 41). ასეთი დიდებულ აზნაურის მსახური აზნაური, ცხადია, ღირსებითაც დაბლა იდგა და ვერც მეფის მსახურ აზნაურსა და ვერც გვარიანს ვერ შეედრებოდა. საბუთებიდან ჩანს, რომ გვარიან და მსახურეულ აზნაურებს გარდა ზოგი აზნაური **„მემამულედ"** ითვლებოდა, ზოგი კიდევ **„მოსაკარგავედ"**. მეფე გიორგი II თავის 1072 წელს შიომღვიმისადმი ნაწყალობევ სიგელში ამბობს: **„აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ** და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, ერისთავთა, **აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა** და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთო". (შიომღვ. ისტ. საბ., 12). უეჭველია, მემამულე აზნაურებად გვარიანი და დიდგვარიანი აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც საგვარეულო საკუთრება, მამაპაპეულად დამკვიდრებული ჰქონდათ. ქართულ საისტორიო წყაროებში, სახელდობრ სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, აღნიშნულნი არიან აგრეთვე „უმრავლესნი **აზნაურნი** ტაოსა, რომელნიმე **ციხითა** და რომელნიმე **უციხონი"** (ე. თაყაიშვილის გამოც. სამი ისტ. ქრონიკა). მაშასადამე, ზოგი აზნაური ციხიანი ყოფილა, ციხე-სიმაგრეები ჰქონია საკუთრებად, ზოგნი კიდევ უციხონი ბრძანებულან. უეჭველია, ციხიანი აზნაურები მემამულეები იქნებოდნენ. ჩვენამდე მოაღწია მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოს სამცხე-საათაბაგოს აზნაურთა ნუსხამ და იქ, მართლაც, თითოეული გვარის შესახებ ნათქვამია, მამულის გარდა საკუთარი ციხე აქვსო (იხ. Д. Бакрадзе. Археол. путеш. по Гурии и Аджаре, გვ. 79 და შემდეგი). მაგრამ ამ საბუთის ძალით მკვლევარს არ შეუძლია ის დაკვნა გამოიყვანოს, ვითომც თითოეულ მემამულე აზნაურს აუცილებლად ციხე უნდა ჰქონოდეს და ციხიანად ითვლებოდეს. **მხოლოდ დიდგვარიან აზნაურებს ექნებოდათ საკუთარი ციხეები,** მცირე და მსახურ აზნაურებს, თუ მათ მეფისაგან ციხისთავობის თანამდებობა, ან ციხის პატრონობა ნაწყალობევი არა ჰქონდათ, ციხეები არ ეჭირებოდათ. ზემოაღნიშნულ სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოსო სამწყსოს ნუსხაშიაც სწორედ მხოლოდ დიდგვარიანები არიან ჩამოთვლილნი და იმის გამოა აღნიშნული, რომ ციხეები აქვთო.

ვინ იყვნენ „მოსაკარგავე აზნაურნი", რომელნიც მემამულე აზნაურებთან ერთად არიან მოხსენიებულნი? **მოსაკარგავე აზნაურები,** რასაკვირველია, **მემამულისაგან განსხვავებული ყოფილან,** თორემ მეფე გიორგი II თავის სიგელში

მათ ცალკე რად დაასახელებდა. „მოსაკარგავე სხვის დაკარგული საქონელიაო", — ამბობს ბ-ნ. ურბნელი თავისს საინტერესო გამოკვლევაში — „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი" (გვ. 214) და ეტყობა ეს სიტყვა დაკარგვისაგან ჰგონია ნაწარმოები. მაგრამ, მგონი, რომ უნდა ცდებოდეს. ამ სიტყვის ახსნა ძალიან ძნელია და ჯერჯერობით მხოლოდ დაახლოებით შეიძლება მისი მნიშვნელობის გამორკვევა. საბა ორბელიანი საკარგავს განსაგებელადა ხსნის, ალბათ „განკარგვისაგან" აწარმოებს. ქართლის ცხოვრებაში, დავით აღმაშენებლის ისტორიაში, ერთი წინადადება მოიპოვება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ამ სიტყვის მნიშვნელობა დაახლოებით მაინც შევიტყოთ. ისტორიკოსი ამბობს: მეფემ განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ ლავრანი **მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან**, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოელისა **ჭირისა და ბეგრისაგან**, რათა თავისუფალთ სამღთო მსახურება მიუპყრან ღმერთსაო (გვ. 373). „მოსაკარგავის" მნიშვნელობის გამოსარკვევად საჭიროა, რომ ამ წინადადების აზრი ნათლად გავითვალისწინოთ. მწერალი მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელს მარტო მონასტრები კი არ გაუთავისუფლებია ბეგარა და გადასახადისაგან, არამედ მღვდლებიც, — რომ მარტო ღმერთზე ფიქრობდნენ და მას მხოლოსა ემსახურებოდნენო. ამიტომ წინადადების შინაარსიდან ჩანს, რომ წინადადების პირველ ნახევრის — გაათავისუფლა **„მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან"** — მეორე ნახევრის — გაათავისუფლა **„ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგანს"** უდრის. „ჭირი და ბეგარა" ერთი და იგივეა, ანუ გადასახადსა და ბეგარას ეთანასწორება: ახლა „მოსაკარგავე მაჭირვებელს" რომ დავაკვირდეთ, მაჭირვებელი, რასაკვირველია, „ჭირის" ამღებს ანუ ამკრეფს უნდა ნიშნავდეს; ამგვარად ეს სახელი **გადასახადების მომკრებ მოხელეს ერქმეოდა; მაშასადამე, „მოსაკარგავე" ბეგარის განმკარგველს ანუ მომწესრიგებელს უდრის**. ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი წინადადებიდან ჩანს, რომ საგადასახადო დაწესებულებათა მოხელე უნდა ყოფილიყო, ხოლო ამისდამიხედვით „აზნაური მოსაკარგავე" მოხელე აზნაურს, ანუ მეფის მსახურ აზნაურსა ნიშნავს. იგი, რასაკვირველია, არც თუ დიდი მამულის პატრონი იქნებოდა და მემამულე და გვარიან აზნაურების წრეს დაშორებული უნდა ყოფილიყო.

წოდებრივ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შეძლებით ყველაზე მაღლა, უეჭველია, ის დიდგვარიანი აზნაური იდგებოდა, რომელიც მსახურეული იყო და საპატიო სახელმწიფო ხელისუფლობა ჰქონდა ნაბოძები, იმიტომ რომ საქართველოს მეფეები უხვად აჯილდოვებდნენ ხოლმე მოხელეებს. მაგრამ არც უგვარო, მეფის ერთგული სამსახურით დაწინაურებული მოხელეები ჩამოუვარდებოდნენ შეძლებითა და პატივით გვარიან აზნაურებს, რომელნიც საპატიო სახელმწიფო სამსახურს მოკლებული იყვნენ. მეფენი არაფერს არა ზოგავდნენ, რომ მათი მომხრე მოხელეები ყველაფრით მჯობნი ყოფილიყვნენ თავიანთ მეტოქე დიდგვარიან აზნაურებზე და დიდძალ მამულებს უწყალობებდნენ ხოლმე (იხ. „ქართ. ცხ.", 407—8). მაშასადამე, შეძლებით უგვარო დიდებული ხელისუფლები დიდგვარიან აზნაურებს არ ჩამოუვარდებოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ საისტორიო და იურიდიულ წყაროებში თითქმის არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებდნენ მემამულენი თავიანთ საქმეებს, როგორ ამუშავებდნენ მიწას. „გრიგოლ ხანძთელის" ცხოვრებაში ორიოდე ალაგი მოიპოვება, სადაც დიდებულ აზნაურის მეურნეობაზეა სიტყვა ჩამოგდებული, მაგრამ ისიც მეტად ბუნდად, გაკვრით.

აზნაურს „**თავის კაცები**" ჰყავდა (გრიგოლ ხანძთელის ც̄ა, გვ. კ̄ე, პროფ. ნ. მარრის გამოცემა), რომელნიც მას საკუთარ „**ტაძარში ახლდენ**" **ხოლმე** (ibid., გვ. კ̄ე), და „**მსახურების**" სახელი ერქვათ (ibid., გვ. ი̄ვ). მამაკაცებს გარდა „**მსახური დედაკაცებიც**" ჰყავდათ ხოლმე აზნაურებს (ibid. გვ. ლ̄ე). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მთავრის ანუ ერისთავის სახლში მეურნეობის გამგეობას ქალს აბარებდნენ ხოლმე. მას „**მეჭურჭლე ქალს**" ეძახდნენ და ყველაფერი თვლით ჰქონდა მიცემული და თვლითვე უნდა ჩაებარებინა, როცა სამსახურს თავს დაანებებდა (ibid., გვ. ნ̄ზ). მეჭურჭლე ქალს ხელქვეითი „**მხევლები**" ჰყავდა (ibid., გვ. ნ̄ვ, ნ̄ზ). ზოგჯერ, როცა ქმარი შინ არ იყო ხოლმე, ცოლი განაგებდა მამულის საქმეს (ibid., ნ̄ა). სამწუხაროდ, როგორ უძღვებოდნენ აზნაურები ხვნა-თესვის საქმეს, ამის გამორკვევა მასალების უქონლობის გამო მეტად ძნელია. საბუთებიდან ჩანს მხოლოდ, რომ ზოგი მამულის პატრონი თავის მამულს თვითონ კი არ ამუშავებდა, არამედ გლეხებს აძლევდა ხოლმე მოსახვნელად გადაჭრილი პირობით. მიწის იჯარით გაცემას მაშინ „**ხაბეგროდ გაცემას**" ეძახდნენ (ნიკორწმინდის XI ს. სიგელი, ქრონ. II, 47, 48), ანუ კიდევ „**საკაბალოდ მიცემას**" (ibid., 48).* ერთს თამარ მეფის დროინდელ შიომღვიმის სიგელში აღნიშნულია „ღალა **ნაოთხალი**" (შიომღვ. ისტ. საბ.. 24). ყოველთვის, ყოველშემთხვევაში და ყველგან ასე იყო, თუ სხვაფრივ, საბუთებიდან არა ჩანს. ერთს 1265 წლის სიგელში აღნიშნულია, რომ ვენახებზე „პატრონს" **ხილისა ნახევარსა**" აძლევდნენ (ქრონიკ. II, 153). ასე იყო თუ არა ჩვეულებრივ, სხვა საბუთებიდან არა ჩანს. როცა მოსავალს გასალეწად აძლევდნენ, გამოსავლის მეათედი წილი მლეწავისა იყო. ერთ შიომღვიმის სიგელში ნათქვამია: „თუ (ი)** გრივი გამოვიდეს, **ცხრა** გრივი პატრონსა და **მეათე** ცხევერელთაო" (შიომღვ. ისტ. საბ. 2). სამწუხაროდ, სხვა წყაროები არაფითარ მასალებს არ გვაწვდიან, ჩვეულებრივ ამგვარი პირობა იყო, თუ არა? ამას გარდა მემამულე თავის სამეურნეო საქმეში „**მამითადი**"-თაც სარგებლობდა ხოლმე (რკონის 1259 წლის სიგ., ქრონიკ. II, 135 და შიომღვ. 1250—60 წ. სიგ., ქრონიკ. II, 151). ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს დიდებულ აზნაურებსა და მოხელეებს დიდი შეძლება უნდა ჰქონოდათ; მარტო სახელო და ნაბოძები მიწები, ზოგჯერ მთელი ქვეყნებიც-კი სრულებით საკმარისი იყო რომ აუარებელი ქონება შეეძინა ადამიანს, მაგრამ ამ საკითხს ჩვენი გამოკვლევის საგანთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. საჭიროა ვიცოდეთ, რამდენად შეძლებული იყო უბრალო, გვარიანი აზნაური, რომელსაც მოხელეობით ზურგი გამაგრებული არა ჰქონდა. პირდაპირი ცნობები ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში გამოთქმულია ერთი მოსაზრება, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რა შეძლება ჰქონოდა XI საუკ. ქართულ ოჯახს. ცხოვრების ავტორი ამბობს: „არა უმეცარ ხარო **შვილთა ზრდასა... რამეთუ უკეთუ ვის განუმრავლდენ შვილნი უფროს რიცხჳსა, ვითარ არს შჳდისა გინა რვისა, რაზომ მდიდარი იყოს, დიდსა ჭირსა და ურვასა მთავარდების, ხოლო უკეთუ გლახაკი იყოს, ყოვლითურთ მწარე არს ცხოვრებაჲ მისი და აღსავსე ვაებითა**" (საეკლესიო მუზ. გამოც. გვ. 326)[101]. ცხადია, დიდი შეძლების პატრონი არ უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც შვიდ შვილზე მეტის გაზრდა **ჭირსა და ურვაში ჩააგდებს**. IX საუკ.,

---

* კაბალა არაბული სიტყვაა და იჯარით გაცემასა ნიშნავს.

** აქ „ი" (10) შემთხვევითი იქნება გამოტოვებული და ჩვენ წინადადების შინაარსის მიხედვით ვუმატებთ.

როცა საქართველო ჯერ კიდევ გაძლიერებული არ იყო, როგორც ეტყობა დიდ **აზნაურსაც კი ქონება მოჭარბებული არა ჰქონია**, თორემ განა დიდის აბულასადის ცოლი ბერებს მეუყაითს მკას დაუშლიდა? „მართალია, ჩემი ქმარი ერთს დღიურს ნამკალს დაგპირდათ, მაგრამ თქვენ ისე მარდად მიადექით, რომ ლამის საღამომდის მთელი ყანა გაათავოთო" (გრიგოლ ხანძთელის ც˜ა, ibid., გვ. ნ˜ა).

აზნაურებს პირდაპირი დამოკიდებულება სოფლის გლეხებთანა ჰქონდათ. რომ უკეთესად გავითვალისწინოთ, რა ნაირად და რაზე იყო დამყარებული ეს დამოკიდებულება, საჭიროა თავდაპირველად გლეხების უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა შევისწავლოთ.

სიტყვა გლეხი ძველი ქართული სიტყვაა. განსვენებულმა მეცნიერმა მ. ბროსემ აღნიშნა უკვე, რომ სომხური სიტყვა *գրեհիկ* („გრეპიკ") ქართულ სიტყვას გლეხს მიეგვანება (Description Géogr. de la Géorgie, გვ. 9). გლეხებს, რაკი ისინი სოფლად და დაბებში სცხოვრობდნენ ხოლმე, **სოფლიონი** ერისკაცნი, (გრიგ. ხანძთ. ც˜ა, ი˜ა), ანუ კაცნი **„მდაბიონი"** (ibid., გვ. ნ˜ე) ერქვათ. თავისუფალი იყო ეს „მსოფლიო" და „მდაბიო" ხალხი, თუ არა? საერთო პასუხის მიცემა, რასაკვირველია, არ შეიძლება: ზოგი თავისუფალი იყო, ზოგი კიდევ ყმებად ითვლებოდა. თავდაპირველად ჩვენ იმის საბუთებს მოვიყვანთ, რომ საქართველოში IX—XIII სს. თავისუფალი გლეხები არსებობდნენ. როცა ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე აშოტ კურაპალატის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების ამბავს მოგვითხრობს, აღნიშნავს, რომ არაბების შემდეგ იქ მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულით და სიყვარულითაო (თაყაიშვილის სამი ისტ. ქრ., გვ. 52). ჩვენ ვხედავთ, რომ **შავშეთის ხალხი სრულებით თავისუფალია** და როგორც უნდა ისე წყვეტს თავის ბედილბალს. მაგრამ შეიძლება ეჭვი დაიბადოს, იქნებ ხალხი ამ ქვეყანაში იმიტომ არის თავისუფალი· რომ არაბებმა ნაცარტუტად აქციეს იგი, ერი დააწიოკეს და მემამულენი ამოწყვიტესო. ისტორიკოსი თვითონვე ამბობს „ქვეი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასაო" (ibid., გვ. 52 და გრიგოლ ხანძ. ც˜ა, გვ. ა).

ვთქვათ ზემომოყვანილი ცნობა მართლაც დიდი ნდობის ღირსი არ არის, თუმცა კი ძნელი საფიქრებელია, რომ ყველა მემამულე ერთბაშად ამოეწყვიტათ არაბებს. ჩვენ მოვიტანთ სხვა რამდენიმე საბუთს, რომლებიდანაც ჩანს, რომ გლეხი მიწის სრული მესაკუთრეა, მაშასადამე მებატონისაგან დამოუკიდებელი და თავისუფალია. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში, სახელდობრ, ნათქვამია: „ჯინჭარაის ძისა **გლეხისაგან ვიყიდე ნათხალი ვენახისაა**. ჩვეუნთანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაა... მუნვე მეტეხარას ჯინჯინობისაგან **ვიყიდე ვენაჴი, ჩვენსა გლეხსათანა ედვა და** მივეც ფური..." (ჟორდანია, ქრონიკები II, 45). „საწირესვე ღ˜თის მშობლისა **გლეხისაგან ვიყიდე** ვენაჴი და მივეც ფური"-ო (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 48)[102]. ყველა **ეს გლეხი მამულის სრული პატრონია**, თავის ქონებას თავისნებისამებრ ჰყიდის. შეიძლება მხოლოდ უკანასკნელი გლეხი იყო ეკლესიის ყმა იმიტომ, რომ მას მყიდველი ღ˜თის მშობლის გლეხს ეძახის, მაგრამ **ისიც მამულის მესაკუთრე ყოფილა**. ჩვენამდე მოაღწია ერთმა 1250-60 წ. სიგელმა კიდევ, სადაც მოხსენიებულია თავისუფლად მოსიარულე გლეხი, რომელიც სავენახე ადგილებს იღებს გასაშენებლად და თავისი ოფლითა ცხოვრობს. სიგელში წერია: „რუეთს საკურთხევლისა **საგლეხოსა ვენაჴსა ზედა კაცნი ვინმე სხდო-**

მილ, იყვნეს არა მემამულენი. მიწაჲ ვენაჴად აეშენა და იგინი კაცნი კიდე წავი-დეს". (შიომღ. ისტ. საბ., 59)[103]. ყურადღების ღირსია აქ ის ცნობა, რომ ვე-**ნახის გამშენებელნი არამემამულენი ყოფილან**, ე. ი. ის მიწა, რომელიც მონასტ-რისაგან გასაშენებლად აუღიათ, მათი საკუთრება არა ყოფილა, და როცა თავი-ანთი პირობა აუსრულებიათ და უეჭველია შრომის ფასი მიუღიათ, სხვა ადგი-ლას წასულან. ერთი სიტყვით, **ისინი თავისუფალი გლეხები არიან, ხან ერთგან იღებენ მიწას სავენახოდ, ხან მეორე ადგილას და თავიანთ შრომით თავს ირჩე-ნენ**. ამგვარივე **„გარეთ მოსული"** გლეხი თამარ მეფის შიომღვიმისადმი 1202 წ. ნაწყალობებ სიგელშიაც არის მოხსენიებული (ibid., გვ. 27). მაშასადამე ჩვენ დაერწმუნდით, რომ საქართველოში IX—XIII ს. თავისუფალი გლეხები იყვნენ.

მაგრამ ზემომოყვანილ საბუთებშივე შეგვხვდა ცნობები ყმების შესახებაც, მაგალითად, საეკლესიო გლეხების შესახებ. იქ, სადაც ნიკორწმინდის სიგელში ნათქვამია „მუნვე მეტესარას ჯინჯინობისაგან ვიყიდე **ვენაჴი ჩვენსა გლეხსათანა** ედვაო", მოხსენიებულია **„ღმთისმშობლის გლეხი"**. რაკი ეს უკანასკნელი ვენახსა ჰყიდის, ეტყობა იგი მისი საკუთრება იყო. მაშასადამე, **საეკლესიო ყმები მესა-კუთრეები, ანუ მემამულეებიც იყვნენ**. შიომღვიმისადმი 1202 წ. ნაბოძებ სიგელში მოხსენიებულია **სამეფო გლეხი**, რომელსაც **სახელმწიფოს ეძახდნენ** (შიომღვ. ისტ. საბ. 26) და იქიდანა ჩანს, რომ **სახელმწიფო გლეხებსაც საკუთრება ჰქონიათ**. იქ პირ-დაპირ არის ნათქვამი: **ესე მიწანი... ვენაჴი ჰქონდეს მათ გლეხთაო** (ibid., 27). რომ სასეფო და საეკლესიო ყმებს საკუთრება ჰქონდათ, იმითი მტკიცდება, რომ შეწირვის დროს მათ **„მათითა სახლითა მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა** სწი-რავდნენ (ibid., 22). იყვნენ აგრეთვე საბატონო, ანუ აზნაურების ყმებიც, მაგ-რამ მათ შესახებ იმ დროინდელი ცნობები ძალიან ცოტა მოიპოვება.

საბუთებიდან ჩანს, რომ **ყველა ყმა გლეხები არა ყოფილან მემამულეებად, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც პატრონები ჰყიდდნენ ცალ-ცალკე უმამულოდ**. უეჭველია, ამათ საკუთრება არ ექნებოდათ. მაგალითად, ნიკორწმინდის სიგელში წერია: „ვარაზვაჩემ **შემოსწირა ძისა მისისათჳს** ფუთს გლეხი: ბ:... წირქვალელისა ძემან შემოსწირა გლეხი: ზ: და მას თანა შემოატანეს ჯორი: ა: ძოლოჲ: ა: ხრმა-ლი: ა:" (ქრონიკები, II, 45)... „შქმერს ვიყიდე **შქჳლოისგან გლეხი**: ა:... ვიყიდე **ცხილათს გლეხი** აბულახტარისაგან: ა: და მივეც ცხენი ხუადი ორი: სტავრაჲ კაბაჲ ა: დრაჰკანი კონსტანტინატი: გ: და აეშარაჲ რკინისაი" (ibid., 48). ყველა ეს გლეხი **კერძო პირების ყმა არის, იქნებ მემამულე აზნაურებისაც ყოფილიყო** და, როგორც ჩანს, უფლებას ძალიან მოკლებული ყოფილა იმიტომ, რომ მას ისე ჰყიდიან, ვითარცა საგანს და როგორც რომაელები ეძახდნენ, „instrumentum vocale"-ს წარმოადგენდა. ზემომოყვანილ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ **„გლეხს სხვა-დასხვა ფასი ჰქონდა**, ზოგი ძვირად იყო ნაყიდი, ზოგი კიდევ ერთი ფურის ფასად. სამწუხაროდ, საბუთში აღნიშნული არ არის, რაზე იყო დამოკიდებული ამგვარი ფასების განსხვავება, პირად ღირსებაზე, თუ სხვა რაიმე მიზეზზე.

ყველა გლეხს, მდგომარეობისა და შეძლების განურჩევლად, **„მსოფლიონს"** ეძახდნენ. მაგრამ რას წარმოადგენდა **„სოფელი"**, ვინ განაგებდა მას? ყველა მსოფლიონი ერთ თვითმმართველ საზოგადოებას, ან საგამგეო ერთეულს შეად-გენდა თუ არა? იქნებ თვითმმართველობა თავისუფალ გლეხებსა ჰქონოდეთ, თორემ სასეფო, საეკლესიო და სააზნაურო გლეხებს, როგორც საბუთებიდან ჩანს, ამ დროს (IX—XIII) თვითმმართველობის ნიშანწყალიც არ ეტყობათ. სოფელში ვამგედ **„სოფლის მამასახლისი"** იყო. თუმცა ეს თანამდებობა პირველად გვხვდება

ბაგრატ IV-ის კანონების ერთ ნაწყვეტში, რომელიც ათაბაგ ბექა და აღბუღას სამართალშია შეტანილი და შიომღვიმის 1227—30 წ. სიგელში (შიომღ. ისტ. საბ., 53—54), მაგრამ იგი უძველეს დროიდანვე არსებობდა საქართველოში და საგვარეულო წესწყობილების ნაშთად უნდა ჩაითვალოს (იხ. ჩემი Государ. строй др. Грузии и др. Армении). მამასახლისს გარდა სოფლის გზირიც არის მოხსენიებული ზემოდასახელებულ შიომღვიმის სიგელში (შიომღ. ისტ. საბ., 54). სწორედ ამ საბუთიდან ჩანს, რომ **მამასახლისი მთელი სოფლის საქმეს არ განაგებდა და მას ყველა გლეხის საურავი არ ეკითხებოდა.** სამონასტრო და საეკლესიო ყმების საქმეებს მონასტრისა და სამღვდელოების მიერ დანიშნული გამგე, ანუ ხელისუფალი დაუურვებდა ხოლმე. თუ **ჩვენი კაცი და მღვმისა ჩამოეკიდნენო,** — ამბობს ქართლის ერისთავი გრიგოლ, **„ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს და მღუმისა კაცისა თჳთ მემღჳმისა ჴელისუფალმან აიღოს"-ო (შიომღვ. ისტ., საბ. 53).** რაკი ამ სიტყვებს ქართლის ერისთავი წერს, ამიტომ „ჩვენის კაცისაგან", ან იმის საკუთარ ყმა გლეხებს უნდა ნიშნავდეს, ან სააზნაურო და სასეფო ყმებს, რომელნიც მას, როგორც ქართლის უმთავრეს ხელისუფალს, ექვემდებარებოდნენ. **რაკი საეკლესიო გლეხები ერისთავის მამასახლისს არ ექვემდებარებოდნენ, მაშასადამე, არც შეიძლებოდა, რომ საეკლესიო ყმებს დანარჩენ სოფლელებთან საერთო სახოფლო დაწესებულება ჰქონოდათ.** საბუთებიდან ჩანს, რომ **„მემღვმის ხელისუფალი" თვით ხატის გლეხების არჩეული კი არა, არამედ მონასტრის (მამასახლისისა და ბერების) დაყენებული კაცი იყო** (იაპანის ძეგლი, თავი ე, შიომღვ. ისტ. საბ., 39). ამ გვარად, **ამ სოფლებში, სადაც გლეხები სხვადასხვა დაწესებულებათა ყმებად ითვლებოდნენ, საერთო თვითმმართველობა არ არსებობდა.** მაგრამ, იქნებ სასეფო და საბატონო ყმებსა ჰქონდათ თვითმმართველობა? ამ საკითხზე პასუხის მოცემა ძნელია. ერისთავის სიტყვები: „მამასახლისმან ჩუენმან" (ibid., 53), „მამასახლისი ჩ˜ნი" (ibid., 54) — მგონი, უნდა გვიჩვენებდეს, რომ **სოფლის მამასახლისი ერისთვის დანიშნული უნდა ყოფილიყო და არა გლეხების არჩეული.** მართლაც, სასეფო და საბატონო ყმების არჩეული რომ ყოფილიყო იგი, განა არჩევანში საეკლესიო ყმები კი არ მიიღებდნენ მონაწილეობას, ან არა და, განა მათი სასამართლო და დასაურვებელი საქმე მამასახლისს არ ეკითხვოდა? საბუთებს ეტყობა, რომ სოფლის წესწყობილებაში IX—X ს. გაცილებით უფრო ადრე ბევრი არსებითი ცვლილება უნდა მომხდარიყო. ამის გამო ერთ დროს უძველესს ხანაში, რასაკვირველია, სოფლელებს სამამასახლისო თვითმმართველობა ექნებოდათ, მაგრამ IX—XIII საუკუნეების შესახებ ამის დამამტკიცებელი საბუთები არ მოგვეპოვება. პირიქით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ **სოფლის გლეხების მართვა-გამგეობა რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი ყმების კუთვნილების დაგვარად:** სამონასტრო გლეხებს ცალკე მმართველი ჰყავდათ თავზე დაყენებული, სასეფო და სააზნაურო ყმებს ცალკე. ზემოთ გამორკვეული იყო, რომ **სასამართლო საქმეები სოფლად გლეხებს შორის, საეკლესიო ყმებს გარდა, სოფლის მამასახლისს ეკითხვოდა ხოლმე;** მაგრამ ყოველთვის ასე არა ყოფილა. ბაგრატ მეფის კანონების ერთი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ სამოსამართლო მოვალეობა მას მხოლოდ XI საუკუნეში ჩააბარეს. „ვინც მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი **სოფლის მამასახლისი** იყოს... ის **დასჯით ბჭედ**"-ო (ათაბ. ბექა და აღბუღას სამართალი, § რ˜ა)[104]. ბაგრატ მეფეს, ეტყობა, სასამართლოს წყობილება შეუცვლია და კერძოდ გლეხებს შორის უთანხმოებათა გასარჩევად მამასახლისი დაუნიშნავს. მაგრამ მეფის სიტყვა — „კარგი" მამასახლისი — გვაფიქრებინებს, რომ

იქნებ მოსამართლე თითოეულ სოფელში კი არ იჯდა, არამედ რამდენიმე სოფელში ერთი. ვინ იყო ხოლმე ჩვეულებრივ სოფლის მოსამართლედ, ვიდრე ბაგრატი ზემომოყვანილ წესს შემოიღებდა, საბუთებიდან არა ჩანს. **საეკლესიო ყმები საზოგადოდ კათალიკოსის სამართალს და მის მიერ დაყენებულ მოსამართლეს ექვემდებარებოდნენ.** ეს ცხადადა ჩანს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ნაბოძებ ანდერძიდან (იხ. შიომღვ. ისტ. საბ.); მაგრამ იქნებ ყოველთვის ასე არ ყოფილიყო. მხოლოდ **ზოგიერთ მონასტერს უპირატესობა მინიჭებული ჰქონდათ საკათალიკოსო სამართლის მაგიერ თავისი „ბჭეები" ჰყოლოდა.** შიომღვიმის მონასტერს ასეთი უფლება დავით აღმაშენებელმა უბოძა (idib.). **როცა უთანხმოება და დავა, ან სისხლი საეკლესიო და სასეფო, ან საამნაურო ყმებს შორის ჩამოვარდებოდა ხოლმე, მაშინ მამასახლისი და ხელისუფალი ერთად არჩევდნენ საქმეს და საერთო განაჩენს დაადგენდნენ ხოლმე.** XIII საუკუნეში სოფლის მოსამართლეებს — **მამასახლისს და ეკლესიის, ანუ მონასტრის ხელისუფალს თვითონვე მოჰყავდათ აღსრულებაში თავიანთი** განაჩენი, ამას მაშინ **სამართლის აღებას** ანუ **„სამართალითა დაურვებას"** ეძახდნენ (იხ. შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 53—54, 1227—30 წ. სიგელი). მხოლოდ, **როცა შეერთებულ სასამართლოს განაჩენი** იყო ასასრულებელი, ან **დასაურვებელი,** მაშინ ის **მოხელე** იღებდა **ხოლმე სამართალს, რომლის გლეხიც გამტყუნდებოდა** (ibid.).

ზემოთ ჩვენ საზოგადოდ გლეხის საკუთრებაზე გვქონდა ლაპარაკი. ახლა საჭიროა ამ საკუთრების რაოდენობის, ან გლეხების ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევას შევუდგეთ. **იმ მიწას, რომელიც გლეხს ჩვეულებრივ ეჭირა ხოლმე და რომელზედაც იგი იჯდა, „ფუძეს" ეძახდნენ.** შიომღვიმის მონასტრისათვის შეწირულ სიგელში ტოხაძე ასახელებს. **„ერთი ფუძე-გლეხი** დაოთს ვაკშამაისძე... (მწირ) ველოჲმით **ორითა ფუძითა.** ორი ესე მისა მიმდგომი **ორი ფუძე-გლეხი"** (შიომღვ. ისტ. საბ. გვ. 24). თამარ მეფის წყალობის წიგნში ნათქვამია: „მის წლისა... სათავესა ზედა **გლეხი** (სასეფო) ზის მიწად ერთი და **კუამლად ორი"-ო.** (შიომღვ. ისტ. საბ., 26). ცოტა ქვეით იმავ საბუთში წერია: **„გლეხნი ფუძედ ერთი** და კუმლად ორიო" (ibid., გვ. 28). მაშასადამე, ამ ორი წინადადებიდან ცხადად ჩანს, რომ **განსაზღვრული რაოდენობის მიწას, რომელზედაც გლეხი იჯდა ხოლმე, „ფუძეს" ეძახოდნენ.** რაკი ეს მასალები სასეფო გლეხებსაც შეეხება და საეკლესიოსაც, ეტყობა **„ფუძე"** და **„კომლი" გლეხების საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს.** რამოდენა იყო ეს ფუძე? ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ **ფუძის რაოდენობა კომლის რაოდენობაზე არ იყო დამოკიდებული, შეიძლება ერთ ფუძეზე ორი კომლი მჯდარიყო ერთის მაგიერ.** ფუძე არ იცვლებოდა, ოჯახი კი, შეიძლება, კომლობრივ გამრავლებულიყო. რამდენი დღიური იყო ფუძე, ამის გამორკვევა, რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოებით შეიძლება. მწიგნობართუხუცესი და ვაზირი ანტონი ზემოაღნიშნულ ორ კომლად მცხოვრებ **ერთ ფუძე** გლეხის შესახებ წერს: **„ამათ გლეხთა ორთავ სწორად მივხცენით მიწანი** მონასტრისაგან სხალტბას სახელდებით ბოტკოს და დიდეალს **დღისა ათისა** და წყაროისა თავსა **ორისა დღისა და ვენახი"-ო** (შიომღვ. ისტ. საბ. 28). მაშასადამე, **ფუძე თორმეტ დღიურ მიწას და ვენახს უდრის,** ანუ **თითო კომლს ექვსი დღიური მიწა და ნახევარი ვენახი ერგებოდა.** იქნებ მონასტერმა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივზე ცოტა მეტი მისცა, მაგრამ ამის კვალობაზე ფუძის რაოდენობის წარმოდგენა დაახლოებით მაინც შეიძლება. ამას **„სრულ ფუძეს"** ეძახდნენ ხოლმე (ქრონიკები, II, 34). ჩვენა ვნახეთ, რომ ზოგჯერ ერთ ფუძეზე უკვე ორი კომლი იჯდა. 1250—60 წ. სიგელში **„არა მემამულე გლეხები" არიან მოხსენებულნი,**

რომელთაც, ალბათ, თავიანთი მიწა არა ჰქონიათ, ან აღარა ჰყოფნიდათ და სხვის მიწებს სავენახედ იღებდნენ იჯარით. ეტყობა ფუძე ისე დაქუცმაცებული იყო, რომ დასამუშავებლად აღარა ღირდა და იძულებული იყვნენ სხვაგან წასულიყვნენ და იქ ეშოვათ ლუკმა პური. **მაშასადამე, XIII ს. საქართველოში უკვე უმიწაწყლო გლეხები ყოფილან, რომელნიც მუშაობით ირჩენდნენ თავსა.** საბუთებიდან ჩანს, რომ ისინი მიწებს იღებდნენ ვენახის გასაშენებლად, ან კორდსა სტეხავდნენ, ე. ი. ახალსახნავ მიწებს აკეთებდნენ. ეს შიო-მღვიმის სიგელიდან მტკიცდება: „რუეთს საკურთხევლისა საგლეხოსა **ვენახსა ზედა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არა მე-მამულენი. მიწაჲ ვენაჴად აეშენა** და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. (შიომღვ. ისტ. საბ. 59). **ვენახის გაშენებაში მემამულეს ან ნახევარი ვენახი უნდა მიეცა, ან ფულით დაეჯილდოებინა** (ilid, გვ. 59, 60).

რაკი ფუძე გლეხის განსაზღვრული მიწის რაოდენობას შეადგენდა, ამიტომ **ფუძეზევე იყო დადებული გადასახადიც.** ეს გიორგი II-ის შემდეგი სიგელიდან მტკიცდება. „მოგუახსენა... იოანე ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსმან... **ხოფლისა აგარისა საქმე... რომელი ჩუენისა ზროხისა შებმაჲ ედვა. ფუძესა ზედა**" (1082 წ. შიომღვ. ისტ. საბ. 13). მაშასადამე, **გადასახადი ფუძეს ედვა. უეჭველია,** მარტო ზროხის შებმა არ იქნებოდა ფუძეზე გაწერილი, **სხვა გადასახადებიც ფუძეზე იქნებოდა დადებული.** მაინცდამაინც ჩვენ ვიცით, რომ **ყველა უმთავრესი გადასახადი და ხარჯი მიწას, უძრავ საკუთრებას აწვა.** მართალია, ამის დასამტკიცებლად საბუთი სამღვდელო კაცს შეეხება, მაგრამ უეჭველია, იგი ჩვეულებრივ წესს გვიხატავს, — არა მგონია რომ ამ მხრივ განსაკუთრებული რამ რიგი სამღვდელოებისათვის შემოეღოთ. რომ გადასახადი მიწას ედვა, შიომღვიმის შემდეგი სიგელიდან ჩანს: „შენ ზოსიმეს **დედულსა,** ზითვად მოცემულსა ზედა სტეფანეს მამულისაგან, **რომელსა მსახური არაჲ ზედა** აც მისსა ნაცვალსა სტეფანე გარდაიხდის: **საეკლესიოსა და სამეფოსა სამსახურსა—კულუხსა, ღალასა და ყოველსავე გამოსაღებელსა, ჰაგრე მოცემულ არს ესე მიწაჲ ზითვად**" (შიომღვ. ისტ. საბ., 1250—60 წ.).

უძრავი ქონება **„მამულისა"** და **„დედულისაგან"** (შიომღ. 1250—60 წ. სიგელი, ქრონ. II, 15) შედგებოდა. მამულ-დედულს **„სახლ-კარის"** (ibid., II, 151) გარდა მიწა შეადგენდა. მიწა სხვადასხვანაირი იყო, ზოგი დაუმუშავებელი, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ ხოლმე **„კორდთა გაუტეხელი"** და **„უხმარი"** იყო (1250—60 წ. სიგ., შიო-მღ. ისტ. საბ. და ქრონიკები, II, 150), ან გაოხრებული, ამოვარდნილი **„პარტახტი"** (ნიკორწმინდის XI ს. სიგ., ქრონ. II, 45; 1245—50 წ. სიგ., ქრონ. II, 128); ზოგი კიდევ საუკეთესო მიწა, **„თავ მიწა"-დ** (XIII ს. წარწერა, ჯ. თაყაიშვილი, Археол. экскур. I, 58) **„ხოდაბუნად"** ითვლებოდა (რკონის 1259 წ. სიგ., ქრონ. II, 135, 136, 137). მიწები ორ უმთავრეს ჯგუფად განიყოფებოდა — **„ხარწყავ"** და **„ურწყავად"** (1265 წ. სიგ., ქრონ. II, 153). საბუთებში აღნიშნულია ზაფხულის ნახნავი, რომელსაც **„ანეული"** ერქვა (შიომღ. ისტ. საბ., და შავთელის აბდულ მესია. პრ. მარის გამოც. Два груз. олописца, 55, 3,1).

სამეურნეო საქმეში მიწისმოქმედნი ზოგჯერ ერთმანეთს მიუდგებოდნენ ხოლმე, ერთადა ხნავდნენ, ასეთი ნახნავი მიწა **„საზიარო ყანა"** იყო ხოლმე (XI ს. სიგ., ქრონ. II, 47). ამ დროს სთესავდნენ **„ხვარბალს"** (XI ს., ქრონ. II, 46, 47 და რკონის 1259 წ. სიგ.. ქრონ., II, 136),—ხვარბალი იყო **„წმიდა და საერო"** (ibid., ქრონ., II, 136), **„ფეტვს"** (XI ს. სიგ., ქრონ., II, 47), „საწუწეს", **„დიკას"** და **„სელს"** (იოანესი და ევფთიმის ცˉა, საეკლესიო მუზ. გამ. 48).

ნახნავის გარდა მეურნეობა „ვენახისა“, (ibid., გვ. 47), „ხილნარი“-სა (ibid. 50) და „ბოსტნისაგან“ (ibid. 50) შედგებოდა; ვენახი ვაზისათვის იყო და ახალ-გაშენებულს „ახალნერგი ვენახი“ ერქვა (ibid., 47). ვაზს დიდი მოვლა უნდოდა: ჯერ „ასხლვა“, მერე „აჯოჯვა“, რომ მომწიფდებოდა — „მოსთვლა“, „რთველი“, (ibid., 47) და სხვა.

თავი მეორე

ვაჭრები და ხელოსნები. მრეწველობა და ალებ-მიცემა

როგორც სოფელი მიწისმოქმედების კერად იყო და არის ახლაც, ისე ქალაქი განსაკუთრებით ალებ-მიცემისა და მრეწველობის ბუდეა. ვაჭრები და ხელოსნები უფრო ქალაქ ადგილებს ეტანებოდნენ. ვაჭრების გარდა იქ მხოლოდ მოხელეები ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი ხომ სხვა წოდებას ეკუთვნოდნენ. ქალაქის მუდმივი მკვიდრნი უძველეს დროსვე „მოქალაქეებად“ იწოდებოდნენ (იხ. აბო თბილელის ცხოვრება. საეკლ. მუზ. გამოც. გვ. 33, ქართ. ცხ., გვ. 375, 470 გამ. ჭიჭინაძისა). უკვე სტრაბონი აღნიშნავს, რომ პირველ საუკუნის დამდეგს ქართველებს კარგად მოწყობილი ქალაქები ჰქონდათ, სადაც შენობებს ხუროთმოძღვრების წესის მიხედვით აგებდნენ, კრამიტით ხურავდნენ, მოედნებს კი საზოგადო დაწესებულების სახლები ამშვენებდნენო (Geographica, lib. XI, cap. 3).

იმ დროს, რომელიც ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენს, რასაკვირველია, განსაკუთრებით ტფილისი და ქუთაისი იყო განთქმული. ამათ გარდა VIII—XIII საუკუნეების საისტორიო წყაროებში შემდეგი ქალაქებია მოხსენიებული: ოლთისი (ქართ. ცხ., 311), მცხეთა (ibid., 316), არტანუჯი (სუმბატის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ., 73), ახალქალაქი (ქართ. ცხ., 325), ოძრკე (ibid., 428), რუსთავი (ibid., 431), ატენი, XI საუკუნეში ბაგრატ მეფის მიერ აშენებული (იხ. ატენის წარწერა, თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 206), დმანისი (ქართ. ცხ., 395) და ჟინვანი (ქართ. ცხ., 432). უეჭველია ამ დროს სხვა ქალაქებიც იქნებოდა, მაგრამ რაკი წყაროებში პირდაპირ აღნიშნული არ არის, ამიტომ საბუთებიდან ჩვენ მათი სახელები არ გადმოგვიწერია. პირველი ადგილი სივრცითაცა და სიმდიდრითაც ამ ჩამოთვლილ ქალაქებს შორის ტფილისს ეჭირა, მეორე — ქუთაისს; უკანასკნელი განსაკუთრებით ქართული ქალაქი იყო და ამის გამო მისი სამოქალაქო წესწყობილებისა და ცხოვრების შესწავლა უფრო საინტერესო იქნებოდა. ტფილისი სწორედ ამ ხანის განმავლობაში, სახელდობრ VIII—XI საუკუნეებში, არაბების ხელში იყო. მხოლოდ დავით აღმაშენებელმა განდევნა ისინი და საქართველოს დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნა. ამის გამო ტფილისის სამოქალაქო ცხოვრებას არაბების წესრიგის გავლენა ეტყობა. სამწუხაროდ, იმდროინდელი ქუთაისი არც ერთ საისტორიო თხზულებაში არ არის აწერილი, ამიტომ პირდაპირ ტფილისის შესწავლას უნდა შევუდგეთ.

არაბი მწერლების სიტყვით ტფილისი დერბენდზე უფრო პატარა ყოფილა. ქალაქს გარშემო ორი ზღუდე ჰქონია შემოვლებული და სამი კარი ჰბმია (ალ-ისტაჰრი, Карауловъ. Сведенія арабск. писат. о Кавказе. Сборн. мат. для опис. местн. Кавказа. XXIX, გვ. 11—13). აბოს ცხოვრებიდან ჩანს, რომ ტფილისში ციხე მდგარა (საეკლ. მუზეუმის გამ., გვ. 32). ქალაქში მტკვარზე

ორი ხიდი ყოფილა გადებული სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა ავლაბრის ხიდებია. ხიდები ტფილისს ისანთან აერთებდნენ (ibid., 32, 56), ამ ორივე ხიდზე აღმართული იყო ჯვარი (ibid., გვ. 32). ხიდთან, მტკვრის იქითა ნაპირას, იმ კლდეზე, რომელიც მტკვარს დაჰყურებს, ერთი შენობა იდგა, რომელსაც VIII საუკუნეში „სადილეგოს“ ეძახდნენ (ibid., გვ. 32). დილეგი ქართული სიტყვა არ არის, იგი სპარსულად ტუსაღსა ნიშნავს. მაშასადამე, სადილეგო სატუსაღო ანუ საპყრობილე უნდა ყოფილიყო. მღებარეობის აღწერიდან მტკიცდება, რომ ეს სადილეგო იმ ადგილას მდგარა, საცა ახლა მეტეხის ციხეა. ქალაქის შუაგულში აპირას ტაძარი, ანუ დარბაზი იყო, ხოლო ზღუდის გარეთ, ვგონებ სადილეგოს მახლობლად, ქალაქის სასაფლაო ჰქონდათ. ამ ადგილს, იოანე საბანისძის სიტყვით, „საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“. თამარ მეფის დროს „ისანის ველზე, სანახებსა საგოდებლისასა“ (ქართ. ცხ., 408) სახელმწიფო სასახლე იდგა. ზღუდეს ორი კოშკი ჰქონდა: ერთს წყალყინის კოშკს ეძახდნენ, მეორეს თაბორისას, იქ ქალაქის მცველი ჯარი იდგა ხოლმე (ქართ. ცხ., 325). ქალაქის კარები კლიტეებით იკეტებოდა (გვ. 325). ალ-ისტახრის თქმით, ტფილისი ძალიან აყვავებული, — ხილითა და ბოსტნეულობით მდიდარი ქალაქი იყო. რასაკვირველია, ტფილისი სავაჭრო სახლებით, დუქნებით ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ ხოლმე, „**ქულბაქებითაც**“ იქნებოდა სავსე. ქალაქი უქულბაქოდ წარმოუდგენელია. როცა, მაგ., ბაგრატ მეფემ ატენი ქალაქად აქცია, თავდაპირველად **სასახლე ადგილნი** და **საქულბაქენი** დანიშნა და სახლები და **ქულბაქნი** ააგებინა (ატენის წარწერა XI ს. ჟორდანიას ქრონიკები, I, 206). **ქულბაგი**, ანუ ქულბაქი, ქართული სიტყვა არ არის და სპარსულ „ქულბეჰიდან“ არის წარმომდგარი. ქალაქში აგრეთვე ყოველთვის ცალკე ფართო ალაგი იყო ხოლმე, საცა მოქალაქენი თავს იყრიდნენ. ასეთ ალაგს „**მოედანს**“ ეძახდნენ (ქართ. ცხ., 325).

ტფილისი, როგორც აღნიშნული იყო, სარკინოზთა შემოსევის შემდეგ დავით აღმაშენებლამდე, არაბებისა და სპარსელების ხელში იყო. მართალია, იგი უკვე ბაგრატ IV-ესა ჰქონდა ერთს ხანს დაპყრობილი (ქართ. ცხ., 325), მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მისმა სახელოვანმა შვილიშვილმა შემოუერთა საქართველოს. თანამედროვე ისტორიკოსი ამბობს: „**მეორესა წელსა აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ**“. ქრონიკონი იყო ტმბ. (ქართ. ცხ., 364). ეს თარიღი — 342 — უდრის 1122 წელს ქრ. შემდეგ.

მეფემ რომ ტფილისი აიღო, გაჯავრებულ გულზე ქალაქი არ დაინდო და, არაბების ისტორიკოსის შემს-ედ-დინ-იუსუფ, ანუ სიბტ-იბნ-ალ-ჯაუზის სიტყვით, აიკლო და გადასწვაო. მაგრამ მერე მორბილებულა და ცდილობდა ქალაქის მკვიდრთა გული მოეგო. მეფემ მაჰმადიანებს უპირატესობა მიანიჭა, მან დააწესა, რომ ტფილისში ღორი არავის დაეკლა, პარასკეობით მაჰმადიანებს ნება ჰქონდათ მეჩეთში შესულიყვნენ და ელოცათ; ქართველები საზოგადო აბანოში იმ დროს, როდესაც იქ მაჰმადიანები იყვნენ, არ უნდა შესულიყვნენ. იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს, ვითომც დავით აღმაშენებელს მაჰმადიანებისათვის აღეთქვას დირჰემსა და დინარზე ღვთის, მის წინასწარმეტყველის (მუჰამმედის) და ხალიფების სახელები იქნება აღბეჭდილიო. (იხ. Defrémery. Fragm. geogr. et histor. Caucase et Russie. Journal Asiatique. 1849 წ. თიბათვე. ამის ქართული თარგმანი ი. მაჭავარიანის მიერ „მოამბეშიც“ დაბეჭდილი იყო 1897 წ. № XII, გვ. 6—7). ამ უკანასკნელ ცნობას დავითის მოჭრილი ფულები უარყოფენ; იქ არც

მუჰამედის, არც ხალიფას სახელები არ აწერია, პირიქით, არაბულად ფულის ზურგზე **ზედწერილი** აქვს: მეფეთ მეფე დავით გიორგის ძე, მესსიის ხმალიო. დიმიტრი I-ის ფულს კი მართლა მეფის სახელის გარდა აწერია „ალ-მოკტაფი ამირა-მუყმინინა (ხალიფა მოკტაფის სახელია). მისსავე სხვა ფულს ხალიფა მასუდის სახელიც აწერია. უეჭველია, არაბების ისტორიკოსის ცნობაც დიმიტრის ამგვარ ფულებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. მაგრამ დასკვნაში არაბ მწერალს, ეტყობა, შეცდომა მოსვლია, თორემ დავით აღმაშენებელს რომ მართლა ასეთი პირობა დაედო, მაშინ ხომ მის მოჭრილ ფულსაც უნდა ჰქონოდა ხალიფას სახელი, მის ფულებს კი, პირიქით, თითქოს განგებ მაჰმადიანების გულის გასახეთქად, ეწერა „ქრისტეს ხმალიო."

მხნე მეფე გულმოდგინედ შეუდგა ქალაქის განახლებას და აღებ-მიცემობას ყოველისფრით ხელს უწყობდა. მან მგზავრებისათის ქარვასლები და სასტუმროები ააგო (შემს-ედ-დინ იუსუფ, ibid.), ყველგან, საცა კი საჭირო იყო, „აღაშენა ჴიდნი მდინარეთა სასტიკთა და გზანნი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყვნაო", მოგვითხრობს მემატიანე (ქართ. ცხ., 373). გზები, მერე ქვაფენილი, ხომ პირველი საქმეა აღებმიცემობის აღორძინებისათვის და მსწრაფ მდინარეებზე გადებული ხიდები მიმოსვლას გააადვილებდა და ქარავნები შეუფერხებლივ ივლიდნენ. დიდებული მეფის ჩამომავალნიც ვაჭრებსა და მოგზაურებს თავის დახმარებას არ აკლებდნენ. მიმოსვლა რომ ზამთარშიაც საძნელო არა ყოფილიყო, თამარ მეფემ **„ფუნდუკი"**, ანუ სასტუმრო ააშენა გზის პირას (ვახუშტის გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც., 51). მაშვრალი ვაჭარი და მოგზაური ღამე და თოვლ-ნამქერის დროს თავს შეაფარებდა და ტაროსის გამოდარებას მოუცდიდა.

ქ. ტფილისის მთავარ გამგეს ქართველ მეფეების დროსაც წინანდებურად **ამირას** ეძახდნენ (ქართ. ცხ., 413), მაგრამ ახლა „ტფილისისა და ქართლის ამირას" **მეფე ჰნიშნავდა ქალაქის მცხოვრებთაგან.** თამარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს აბულასანს. იგი იყო **„ტფილისის მკვიდრთაგანი,** თავადი და **მეფეთ მეფისაგან წყალობა ჴელ-დასხმული ამირად** ქართლისა და ტფილისისა"-ო (ib. 313). იგი **„თავადი** "იყო ქალაქისა, უმთავრესი პირი. სხვა მომცრო ქალაქებში, როგორც მაგ. მცხეთასა და ატენში, ამირას მაგიერობას მგონი **ციხისთავი** სწევდა (იხ. ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, Рай Грузіи და ატენის წარწერა, ჟორდანიას ქრონიკები, I, 206). ქალაქის უმთავრესი ზედამხედველობა და უზრუნველყოფა ებარა ერთს, ამირას ხელქვეით მოხელეს, რომელსაც „შურტას" ეძახდნენ (შიომღვიმ. საბ., გვ. 11. 12). ეს სიტყვა არაბული „შურტაჰ"-აა; იგი **პოლიციის მცველების უფროსად ითვლებოდა და ქალაქში წესიერებას იცავდა ხოლმე** (იხ. A. von Kremer. Culturgeschichte d. Orients, I, 182, 190). გიორგი II-ის სიგელიდან ჩანს, რომ **შურტას ქალაქის ბაზრისა და ბაჟის ზედამხედველობა უნდა ჰბარებოდა** (შიომღვ. ისტ. საბ., 11, 12). ქალაქის ამირას გარდა, ტფილისში, როგორც ეტყობა, საბჭოს მაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს მაშინ **ქალაქის ბერებს** ეძახდნენ (ქართ. ცხ., 325). თვით სახელი „ბერი" გვიჩვენებს, რომ ისინი წლოვანებითა და გამოცდილებით მკვიდრთა მიერ პატივცემულნი იქნებოდნენ. მხოლოდ ამათ შეეძლოთ ქალაქის ბედ-იღბალი გადაეწყვიტათ. მაგალითად, როცა ამირა ჯაფარი გარდაიცვალა, ბაგრატ მეფესთან **„მოვიდეს ტფილელნი ბერნი, უქადეს ქალაქი** და უკმეს სასწრაფოდ" (ქართ. ცხ., 325). მეფე საქმით გართული იყო და ჯეროვანად ყური არ ათხოვა. როცა იგი ქართლს ჩამოვიდა, „მოვიდეს სხვანი მკმობელნი **ბერნი ტფილელნი**. წარემართა ტფილისად და **მოვგებნეს ქალაქის ბერნი**, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დილმის ველსა და ყოველი

ერი ქვეითი დაკაზმული, დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანსა... შეიყვანეს, მოავლეს ქალაქი" (ქართ. ცხ., 325). ერთი სიტყვით, მემატიანის აღწერილობიდან ჩანს, რომ ბაგრატისათვის ტფილისის გადაცემა ქალაქის ბერებს გადაუწყვეტიათ, რამდენიმე თავიანთი ამხანაგი მეფისთვის წარმომადგენლად გაუგზავნიათ და ქალაქის გადაცემას დაპირებიან, — „უქადდენო". რაკი „ბერებს" შეეძლოთ დაჰპირებოდნენ ტფილისს გადმოგცემთო, — ეტყობა, მათ ქალაქის მკვიდრთაგან ამის უფლება და მონდობილება ჰქონიათ და ისინი ქალაქის ბედ-იღბლის მოურნე მზრუნველნი და გადამწყვეტნი ყოფილან. უეჭველია, ქალაქის ბერები მცხოვრებთა მიერ უნდა ყოფილიყვნენ ამორჩეულნი; ისინი ქალაქის წარმომადგენლები იყვნენ და ამირას დარბაზის მოხელეებზე, ანუ დარბაზის ყმებზე მაღლა იდგნენ. როცა, მაგალითად, ბაგრატ მეფე ტფილისს მოუახლოვდა, ყველაზე წინ სწორედ „ქალაქის ბერები" მიეგებნენ და წარუდგნენ, ხოლო მერე დარბაზის ყმანი, იმათვე შეაბრძანეს მეფე ტფილისში და ქალაქსა გარს შემოატარეს. მაშასადამე, **ქალაქის ნამდვილი პატრონები „ქალაქის ბერები" ყოფილან**, ამირა კიდევ „ბატონი" იყო. „ქალაქის ბერები" საქალაქო თვითმმართველობის წევრები ყოფილან. რიცხვად რამდენი იყვნენ, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ თუ მათ ქართველ მეფისათვის დესპანებად „ბერები" **ორ სხვადასხვა** ყრად შეეძლოთ გაეგზავნათ, „მოვიდეს **სხვანი** მემობელნი ბერნი ტფილელნიო" (ქართ. ცხ., 325), — უეჭველია, ბლომად უნდა ყოფილიყვნენ: ათ კაცზე მაინც მეტი იქნებოდნენ.

ყველა მოქალაქე ერთ საზოგადოებრივ წრეს შეადგენდა; ჭირში თუ ლხინში ისინი ერთად მოქმედებდნენ. რუკნ-ედ-დინზე რომ გაიმარჯვეს ქართველებმა, მეფისა და ძლევამოსილ ჯარის დასახვედრად და პატივსაცემად „**შეეკაზმა მოქალაქენი თბილისისო**", — გვიამბობს თანამედროვე ისტორიკოსი (ქართ. ცხ., 470). აქ მოქალაქენი ტფილისის პატრონებად არიან გამოყვანილი და ერთობლივ რთავენ ქალაქს სადღესასწაულოდ, რომ გამარჯვებულ ლაშქრისათვის თავიანთი სიხარული ეჩვენებინათ.

მოქალაქეებს მოსამართლეცა ჰყავდათ. ეს ცხადად ჩანს ბაგრატ მეფის კანონების იმ ნაწყვეტიდან, რომელიც ათაბაგ ბექა და აღბუღას სამართალშია შეტანილი. მეფე ურჩევს, მოსამართლედ „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან **კარგი დიდვაჭარი**, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, ის დასვით ბჭედ. კარგი დიდი ვაჭარი „ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის"-ო (§ რ̃ა). — განმარტავს მეფე. ამ გამოკვლევის პირველ თავში ახსნილია, რომ სოფლის მამასახლისი მოსამართლედ ინიშნებოდა. „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი" აზნაურებისათვის უნდა ყოფილიყო. ვინც იცის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ძველად საქართველოში წოდებრივ განსხვავებასა და პატივს, ის, რასაკვირველია, მიხვდება, რომ „დიდვაჭარი" შეიძლებოდა მხოლოდ ვაჭრებისა და საზოგადოდ მოქალაქეების მოსამართლედ, ანუ ბჭედ ყოფილიყო. ვაჭრის მოსამართლეობას რომელი დიდებული აზნაური, ან მოხელე დაემორჩილებოდა? ამის გამო უეჭველია, დიდვაჭარი მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა. ზემომოყვანილ ნაწყვეტიდანა ჩანს, რომ **ამ მოსამართლეს** მოქალაქენი კი არ ირჩევდნენ, არამედ **საქართველოს მეფე ნიშნავდა**, და ბაგრატ მეფის განკარგულების თანახმად, მხოლოდ მოქალაქეთა უმაღლეს წრეებიდან, ერთ-ერთ დიდვაჭართაგანს. არაბების ისტორიკოსის იბნ-ალ-ასირის თხზულებიდან ჩანს, რომ ტფილისში მაჰმადიანთა ბატონობის

დროს ქალაქის მოსამართლე ყადი (ყოფილა Defrémèry. Fragm. géogr. et histor. Caucase... ibid.). თუმცა ჩვენ მატიანეებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ დავით აღმაშენებლისა და მის მემკვიდრე ქართველ მეფეების მოღვაწეობის მიმართულების მიხედვით შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ „ყადის“ თანამდებობას არ გააუქმებდნენ, მაგრამ იგი მხოლოდ მაჰმადიან მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა.

ზემოჩამოთვლილ მოხელეებს გარდა, ქალაქში იყვნენ ბაჟის ამკრეფი და სასწორთან დაყენებული დაბალი მოხელეები. ბაჟი გიორგი II მეფის სიგელსა და დავით აღმაშენებლის ანდერძშია მოხსენიებული (შიომღვ. ისტ. საბ., 11, 17). რასაკვირველია, ბაჟის ასაკრეფად ცალკე მოხელე უნდა ყოფილიყო დაყენებული. რომ ქალაქში მესასწორეც იქნებოდა, ისედაც ცხადია, მაგრამ ეს საკმაო საბუთი არ არის. ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელში სხვათა შორის „საკოშრის“ გადასახადიც არის დასახელებული (შიომღვ. ისტ. საბ., 4). როგორც საბალახე ბალახზე დადებული გადასახადი იყო, ისე, „საკოშრე“, რასაკვირველია, კოშრის გადასახადი იქნება. ხოლო ეს სიტყვა ქართული არაა, იგი სომხური կշիռ — კშირისაგან არის წარმომდგარი და სასწორსა ნიშნავს. მაშასადამე, საკოშრე უნდა სასწორზე დადებული გადასახადი ყოფილიყო. რაკი სწორედ იმ სიგელში, სადაც პირველად ბაჟია მოხსენიებული, მოხელეთა შორის შურტაც არის დასახელებული (შიომღვ. ისტ. საბ., 11, 12) და რაკი იგი მოედნის ზედამხედველი იყო, შეიძლება მებაჟე და მეკოშრე მისი ხელქვეითი მოსამსახურეები ყოფილიყვნენ.

ამგვარად გამოირკვა: ქალაქის ბატონად ამირა ითვლებოდა; მას მისდევდა შურტა — ქალაქის მცველთა უფროსი, წესიერების დამამყარებელი და მოედნების ზედამხედველი. მგონი მასვე ექვემდებარებოდნენ მებაჟე და მესასწორე. ქალაქის პატრონებად და გამგეებად მკვიდრთა მიერ ამორჩეული „ბერები“ იყვნენ, ხოლო მსაჯულად — დიდვაჭართაგან მეფის მიერ დანიშნული „ბჭე“.

მოქალაქენი ორი უმთავრესი ჯგუფისაგან შედგებოდნენ: ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან. ვაჭრები სხვადასხვანაირი იყვნენ, ზოგი დიდვაჭრებად ითვლებოდნენ და იწოდებოდნენ, როგორც, მაგალითად, თამარის დროს ზანქან ზორაბაბელი „კაცი მკვიდრთაგან ტფილისისათა დიდი ვაჭარი“ (ქართ. ცხ., 413). ზოგნი კიდევ მცირე ვაჭრებად. რასაკვირველია, დიდვაჭრად ის ჩაითვლებოდა, ვინც მდიდარი სოვდაგარი იყო, ფართოდ აწარმოებდა თავის საქმეს და შეძლებული კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სულ სხვა აზრისაა ამ საგანზე ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი განსვენებული ნ. ურბნელი. იგი ამბობს: ცხადია, რომ ვაჭრების განსხვავებაც სამსახურისაგან წარმოდგა და არა ნივთიერის შეძლებისაგან, თუმცა სხვაფრივ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ვაჭრობის დედაძარღვს ქონება და სიმდიდრე შეადგენს. მაგრამ რაკი საათაბაგოში წოდებრივი ღირსების მოსაპოვებლად, „საპატიო ხელი“ აღიარეს, ვერც ვაჭრობა ასცდა საზოგადო მისწრაფებასა და მიმართულებას (ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, გვ 102). ბ-ნ ურბნელი თავის დასკვნას კანონმდებლის შემდეგ განმარტებაზე ამყარებს: დიდი ვაჭარია, რომელიც „პატრონთა კარგად და საპატიოდ ჰყვეს და საქმის მქნელად“ (ibid., 101). მაგრამ დასკვნა სწორი არ არის იმიტომ, რომ საქმეც ისაა, თუ რომელი ვაჭარი ეყოლებოდა საპატიოდ. უეჭველია, მეფეს ის ვაჭარი ეყოლებოდა კარგად, საპატიოდ და დიდად, რომელიც ვითარცა ვაჭარი კარგი იყო, თავის საქმის კარგი მქნელი და მაწარმოებელი იყო და რომელსაც თავის ტოლების წრეში პატივი დამსახურებული და

სახელი მოხვეჭილი ჰქონდა. ასეთ დიდვაჭარს, რასაკვირველია, მეფეც მიანდობდა თუ საჭიროება მოითხოვდა თავის საქმეს. სხვაფრივ შეუძლებელია მიმხდარიყო, რომ „დიდი ვაჭარი" უფრო წინათ არსებობდა, ვიდრე მას მეფე რაიმე საზოგადოებრივ, ან სახელმწიფო თანამდებობის ჩაბარებას დააწესებდა, ეს თუნდ ზემომოყვანილ ბაგრატის სამართლის ნაწყვეტიდანაც ჩანს. მეფე მას უკვე დიდვაჭრის სახელსა სდებს იმიტომ. რომ იგი მაშინ უკვე არსებობდა. მერე თვით ბაგრატი თავის აზრს ასე ამტკიცებს, დიდ ვაჭრის მოსამართლედ დანიშვნა იმიტომ არის სასურველიო, რომ კარგი დიდი ვაჭარი **„ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის"**-ო (§ რა). ცხადია, მეფე დიდვაჭარს, როგორც ალებ-მიცემობის საქმის მცოდნეს და გამოცდილ კაცს ჭკვიანადა სთვლის. ბაგრატს რომ დიდვაჭრად ის სოვდაგარი ჩაეთვალა, რომელიც მეფესთან დაახლოვებული იყო, მაშინ იგი დიდვაჭრებზეც ისევე იტყოდა, როგორც აზნაურთა ბჭეზე სთქვა: ვინც „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს", ის დანიშნეთო. რაკი იგი ამას არ ამბობს, ცხადია დიდვაჭრობა მეფის სურვილსა და წყალობაზე არ ყოფილა დამოკიდებული.

დიდვაჭრებს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიდი პატივი ჰქონდათ დამსახურებული. ისინი, როგორც თამარ მეფის ისტორიიდან ჩანს, სამეფოს ზოგიერთ საქმეებში მონაწილეობას იღებდნენ და სხვა სახელმწიფოებში დესპანად გზავნიდნენ ხოლმე (ქართ. ცხ., 413).

ტფილისელ სოვდაგრებს დიდი ვაჭრობა ჰქონდათ და, რასაკვირველია, შეძლებაც ბლომად ექნებოდათ. დიდძალი საქონლით სავსე ქარავნები შემოდიოდა ხოლმე ტფილისს და ბრუნდებოდა უკან. ქარავანი განჯას, დმანისსა და ტფილისს შორის დადიოდა ხოლმე (ქართ. ცხ., 362, 369). ასზე მეტი მარტო კაცი იღებდა მონაწილეობას ასეთ დიდ ქარავნებში. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, ტფილელი ვაჭრები მეტადრე დიდი სოვდაგრები, პირველ ხანებში მაინც, განსაკუთრებით მაჰმადიანები ყოფილან. როცა სახელოვან მეფეს ჯერ ტფილისი დაპყრობილი არა ჰქონდა და მის მიდამოებს აოხრებდა და ქალაქის მკვიდრთ სიცოცხლეს უმწარებდა ხოლმე, მაშინ **ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა... და მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი მოწევნულნი მათზედა,** რომელთა აღძრეს წყალობად თვისად (ქართ. ცხ., 362). ცხადია, რაკი ის ტფილელი ვაჭრები ქართველ მეფეზე საჩივლელად სპარსეთში წასულან, ისინი მაჰმადიანები იქნებოდნენ, ზოგი სპარსელი იქნებოდა, ზოგი არაბი, ზოგი კიდევ თურქი (შეად. აგრეთვე ქართ. ცხ., 369). რომ მოქალაქეთა შორის მაჰმადიანნი ჭარბობდნენ, ეს იმ სპარსულ და არაბულ სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების აღმნიშვნელ სიტყვებიდანაც მტკიცდება, რომელნიც ქართულ ენას შეუთვისებია. რასაკვირველია, მაჰმადიანების გარდა, ტფილისში ქართველი, სომეხი და ებრაელი ვაჭრებიც იქნებოდნენ. მაინც, რაც უნდა იყოს, XI საუკუნეში ტფილისის მკვიდრნი ქართველი მეფისაკენ იწევდნენ; ეს თუნდ იმ შემთხვევითაც ნათლადა მტკიცდება, როცა ტფილისის ბერებმა თვითონ მოიწვიეს მეფე ქალაქის დასაპყრობლად. როცა დავით აღმაშენებელმა ტფილისი საბოლოოდ საქართველოს შემოუერთა, მაშინ იგი ისე ბრძნულად და ლმობიერად მოეპყრო მოქალაქეებს, ისე გაუადვილა ცხოვრების პირობები და ალებმიცემობას ხელი შეუწყო, რომ მაჰმადიანებმა სრული თავისუფლება იგრძნეს. არაბების ისტორიკოსი აღტაცებით ამბობს: **„ერთი სიტყვით მაჰმადიანებს ის უფრო პატივსა სცემდა, ვიდრე თვით მაჰმადიანთა მეფენიო"** (Defrémery, op. cit., ibid.). ასეთმა ღრმა და შორს გამჭვრეტმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი მოი-

ტანა და ერთი საუკუნის შემდეგ იმ მოქალაქეთა შვილები და შვილიშვილები საქართველოს ძლიერებისა და ბედნიერებისათვის იმნაირადვე ზრუნავდნენ, როგორც ჩვენი ერის ღვიძლი შვილები. როცა დავით აღმაშენებელმა ტფილისი კვლავინდებურად სატახტო ქალაქად გახადა და ყველა უმაღლესი დაწესებულება, მეტადრე სახელმწიფო საჭურჭლე გადმოიტანა, ქართველობა და ქართველი ვაჭრებიც აქ უფრო ზურგს გაიმაგრებდნენ და რიცხვითაც შესამჩნევად იმატებდნენ.

საქართველოს, როგორცა ჩანს, სხვა ქვეყნებთან დიდი ეკონომიური დამოკიდებულება ჰქონია. გაჩაღებული ვაჭრობა იყო მეტადრე არაბეთსა, სპარსეთსა და საბერძნეთთან. **ბაღდადიდან და სხვა არაბებისა და სპარსელების ქალაქებიდან შემოჰქონდათ:** აფი ბაღდადური. (ნიკორწმიდ. XI საუკ. სიგ., ქრონიკ. II, 45). ჯუბაჩა (XIII საუკ., ქრონიკ. II, 102, 134), მატყლი (XII საუკ., ქართ. ცხ., 453), ლარი (XIII საუკ., ibid., II, 134), სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილები, რომელთაც „ტურფას“ ეძახდნენ (XII—XIII საუკ., შავთელი, პრ. ნ. მარის გამოცემა, Два груз. оломисца, 26,2 და 105,1; ჩახრუხაძე, ibid., VI, 17,2 და VI-a, 3, 15,1) და ოქროქსოვილები, რომელსაც **ზარქაშს** ეძახდნენ (XIII საუკ., ქრონიკ. II, 134), სურნელება და ნელსაცხებელი — ბალასანი (бальзамъ, XII საუკ., შავთელი, ibid., 51, 2,3), მუშკი (XII საუკ., შავთელი, ibid. 58, 1,3) და ქაფური (XII საუკ., ჩახრუხაძე, ibid., XII, 2, 3), თათრული აღვირები სადაფით შემკული (XIII საუკ., ქრონიკ., II, 102), პატარა ყუთები ზარდახჩად წოდებული (შავთელი, ibid., 43, 4,$_1$), ზოდებით ოქრო, რომელსაც **„ზარქანი“** ერქვა. (XII საუკ., შავთელი, ibid. 18, 3,$_4$), ფოლადი (XII საუკ., შავთელი, ibid. 16,3$_4$), შაქარი (შავთელი, ibid. 58, 2,$_1$), ძვირფასი თვალ-მარგალიტი (ქრონიკ. II, 134) ბადახშანური ლალი (XII საუკ., შავთელი, 39, $_{1, 3}$), იაგუნდი (XII საუკ. შავთელი, ibid. 44, $_1$), ლალი (XII საუკ., შავთელი, ibid. 44, 1,$_4$), ფირუზი (XII საუკ., შავთელი, ibid. 44, 1,$_4$), სადაფი (XII საუკ., შავთელი, ibid. 58, $_{2,1}$) და ბროლი (XII საუკ. ჩახრუხაძე, ibid., V, 41; XII-a, 1).

საბერძნეთიდან, ანუ ბიზანტიიდან შემოჰქონდათ: ქსოვილები — კუბასტი ბერძნული (XI საუკ., ქრონიკ., II, 45), სტავრაა ბერძნული (XI საუკ., ქრონიკ. II, 44), ოქროქსოვილი **„ხავრამანგი“**, ანუ როგორც ბერძნულად ერქვა სკარანანგიონ (XI—XII საუკ., ქრონიკ., II, 34 და ქართ. ცხ., 426) და სხვა ყოველგვარი ბერძნული ოქროქსოვილები (XII—XIII საუკ., ქართ. ცხ., 471); ყოველგვარი სამღვდელმსახურო და საეკლესიო ნივთები: ხატები ბერძნული (XI—XIII საუკ., ქრონიკ., II, 32, 128), სურათები („ხატნი და კამარანი“, ქრონ. I, 21, X საუკ.), კვერცხის გული მაკანი ბერძნული ოქროთი (XI საუკ., ქრონიკ., II, 33), ბერძნული ტაშტი (XI საუკ., ქრონიკ., II, 32).

სომხეთიდან წითელი ძვირფასი ფარჩეული მოჰქონდათ, რომელიც იწოდებოდა **„ტაბასტაი სომხური“** (XI საუკ., ქრონ., II, 45).

შიგ საქართველოშიაც ამ დროს, რასაკვირველია, აღებ-მიცემა გაჩაღებული უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ ერთი ახირებული აზრი არსებობს, ვითომც მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველოში „საოჯახო მეურნეობა“ ყოფილიყო, ვითომც ყველაფერს, რაც კი ადამიანისთვის საჭირო იყო თვითოეულ ოჯახში თავიანთვის ეკეთებინოთ. ეს აზრი დიდი შეცდომაა. საქართველოში თუნდაც იმ ხანას, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ, არ მოიძებნებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არა ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც კი არ გაყიდულიყოს. X—XIII საუკუნეებში, მაგალითად, შემდეგ ნივთებს ჰყიდდენ და ყიდულობდნენ ხოლმე: ცხენს, უნაგირს, ლაგამს (X საუკ. შიომღვ. ისტ. საბ., 2; ქრონ. II, 102), უნა-

გირს ოქროითა და ზარხითა მოჭედილს (XIII საუკ., ქრონ., II, 102), ჯორს პალანკურდნითა (XIII საუკ. ქრონ., II, 102), სამოსელს, ჯუბაჩას (შიომღ. ისტ. საბ., 61 და ქრონ., II, 102), წარმოიდგინეთ სახნისს, ქუაბს, **ხარის ტყავს და ქალამანსაც** კი (XI საუკ., ქრონიკ. II, 46); მერე სახლს (ქრონიკ. II, 46), მამულს — ყანას, ვენახს (XI საუკ. ქრონ., II, 46), მიწებს პატარა-პატარა ნაჭრობლივ (XIII ს. შიომღ. ისტ. საბ., 61), სოფლებს მთლად (XI საუკ., ქრონ., II, 38; XIII საუკ., ibid, II, 133, 162), ტყეს (XI საუკ., ქრონ., II, 46), ნაკალოევსაცკი (XIII საუკ., შიომღ. ისტ. საბ., 60). ეს კიდევ რაა, ქვას, ქვიშას, კირს, ერთი სიტყვით, ყოველგვარ სამშენებლო მასალას ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ IX საუკუნეშივე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს, რომ **„ქვაი და კირი ფრიად შორით მიაქუნდა... და ყოველი სასწორით იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს „მაშენებელნი“-ო** (ც˝ა გრიგ. ხანძთ., პრ. მარის გამოც. გვ. ლ˝გ). ერთი სიტყვით, ალებ-მიცემა, და სყიდვა-გაყიდვა ძალიან გავრცელებული იყო.

ვაჭრობა ზოგჯერ ფულად, ზოგჯერ ნაუფულად, ან როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე „განძად და პირუტყვად“ (ნიკორწ. სიგ., ქრონ., II, 45), ზოგჯერ კიდევ ორივეთი წარმოებდა. უმეტეს შემთხვევაში, მეტადრე IX—XI და XIII საუკუნეებში, ფულის მაგიერ ნივთეულად აძლევდნენ ხოლმე, იმიტომ რომ ფული იმ დროს ცოტა და ძნელი საშოვნელი იყო („შენ **ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი მიწა“-ო** (XIII ს.. შიომღ. ისტ. საბ., 61; შეად. ქრონ., II, 133).

როცა მსყიდველნი და გამსყიდველი ფასზე შეთანხმდებოდნენ, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, როცა **„ფასით შეჯერდებოდა“** (ქრონიკ., II, 152, დავით ნარინის სიგელი) და ფასს სრულად ჩააბარებდა საქონლის პატრონს, მაშინ უეჭველად მოწამედ კაცები უნდა დაესწროთ და თუ ნაყიდი, ან გაყიდული საგანი ბევრი ღირდა, მაშინ ნასყიდობის წიგნსაც ადგენდნენ ხოლმე, სადაც აღნიშნული იყო **„მივიღე ფასი სრული“** და **„მოწამე არიან კაცნიო“** (ქრონ.. II., 45-8, ნიკორ. სიგ. გვ. 159, დავით ნარინის სიგ.).

ამ დროსაც ქართველებმა კარგად იცოდნენ ნივთის ნამდვილი ღირებულებისა („მოფასებული ჩემთჳს“, ქრონ. II, 102) და ბაზრულ ფასს შორის განსხვავება (იხ. რკონის სიგელი, ქრონ. II, 134), ბაზრულ ფასს მაშინ **„ვაჭრულად დაფასებას“**, ეძახდნენ (შიომღ. ისტ. საბ., 61).

რასაკვირველია, ზოგჯერ ფასში ვერ მორიგდებოდნენ, **„საფასე ემცირებოდა“**, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე (შიომღ. ისტ. საბ., 2) და მსყიდველ-გამსყიდველი ფასზე **„შეიშლებოდნენ“** (ibid. გვ. 2). რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერიდან ჩანს, რომ XI—XII საუკუნეებში ბაზრობა სცოდნიათ. ბაზრობა, როგორც ეტყობა, დღეობების დროს ჰქონიათ ხოლმე. მონასტრებსა და ეკლესიებთან ბაზრობას მაშინ **„სავაჭრო ერის კრებას“** ეძახდნენ (იხ. ძეგლის წერა, ქრონიკები, II, 65)[105]. სამღვდელოება ამის წინააღმდეგი იყო და ბაზრობის გამართვას უშლიდა. (ibid).

მე მგონია, რომ ის საბუთები, რომლებიც აქამდე იყო მოყვანილი, მკითხველს დაარწმუნებდა, რომ საქართველოში მართლა იყო ალებ-მიცემობა განვითარებული. მაგრამ რამდენად უნდა ყოფილიყო XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, განვითარებული საქართველოში ალებმიცემობა უფრო იქიდან შეიძლება დავინახოთ, რომ საუკეთესო მატყლი ვაჭრებს საქართველოში ისეთი შორეული ქვეყნიდან შემოჰქონდათ, როგორც ქ. ალექსანდრია იყო. ისტორიკოსი მოგვითხრობს. რომ თამარ მეფემ **„იწყო ალექსანდრიით ვაჭართაგან მოღებულისა მატყლისაგან** სთევად და ქმნად შესამოსლისაო“ (ქართ. ცხ., 453). ცხადია, რომ ასეთ

შორეულ ქვეყნიდან საქონლის მომტანელს ვაჭარს დიდი შეძლება უნდა ჰქონოდა და თვით მოთხოვნილებაც დიდი ყოფილა, თუკი მოტანილი საქონელი თავის ხარჯს ჰფარავდა და სარგებელსაც აძლევდა სოვდაგარს. რაკი აღებმიცემობა მაშინდელ საქართველოში ასე წარმატებული და განვითარებული ყოფილა, გასაკვირველიც არაფერია, რომ შეძლებული და მარტოხელა ვაჭრების გარდა ჩვენს ქვეყანაში ამ დროს უფრო რთულ საალებმიცემო და საფინანსო დაწესებულებები ყოფილიყო. იყო კიდეც, მეცამეტე საუკუნეში და იქნებ უფრო ადრეც. სავაჭრო ამხანაგობის წევრებს, ანუ მონაწილეებს მაშინ „ორტაღს" ეძახდნენ. ორტაღი თათრული სიტყვაა اورتاق. اورتاغ اورتاقی تجارت და ამხანაგს, სავაჭრო ამხანაგობის მონაწილესა (Handelskompagnon) ნიშნავდა (იხ. Zenker, Lexic. turc.—arab — pers)*. „ორტაღი", რამდენადაც მახსოვს, პირველად XIII საუკუნის შესანიშნავ რკონის სიგელში გვხვდება (ქრონიკები, II, 133, 134) და იქაც მართლა ვაჭართა ამხანაგობას ნიშნავს. იგი სამი მონაწილესაგან შედგებოდა: ერთი იყო ხოჯა სალამის მემკვიდრენი — ცოლი და შვილები — მაჰმადიანები, მეორე ყოფილა სომეხი ჰასან სუმბატის-ძე, ხოლო მესამე — ურია იოსებ ბულბაფაის-ძე (ibid., II, 134). სამივე მონაწილე, ანუ „ორტაღი", მაშასადამე ჩამომავლობით უცხო თესლი ყოფილა. სამწუხაროდ მეტი ცნობები არ მოიპოვება, რომ გამოგვერკვია ყველა სავაჭრო ამხანაგობებში ასე იყო, თუ ქართველი ორტაღებიც იყვნენ.

სავაჭრო ამხანაგობა, ანუ ორტაღნი, როგორცა ჩანს, საქმეს ფართოდ აწარმოებდნენ, ზოგი დიდ მამულებსა ყიდულობდა და ჰყიდდა ხოლმე, ისეთ მამულებს, რომელიც ფულის საშინელი სიძვირის დროსაც კი 65000 თეთრად ღირდა (რკონის სიგელი 1259 წ., ქრონიკები, II, 133, 134); ზოგს კიდევ ვაჭრობის გარდა, როგორც ეტყობა, ფულადაც სესხი უძლევია, რასაკვირველია, სარგებელში. როცა მაგალითად, კახა ერისთავთ ერისთავს უნდოდა ბაღდადურის ალაფისაგან რაიმე გამორჩენა ჰქონოდა და ალაფის სასყიდლად საჭირო ფული არ მოეძებნებოდა („მე არა მქონდა სასყიდელი"-ო), მაშინ მეო, გვიამბობს იგი, „წავედი, ორტაღთაგან ლარი და თეთრი ავილე, ვიარებოდი და ვიყიდდი თვალსა, მარგალიტსა და ზარქაშსა"-ო (ibid., ქრონ., II, 134). ნასესხი ფულით იმდენი მოუგია, რომ „ორტაღთა მათი ხელთავე მივსცი"-ო, სავაჭრო ამხანაგობის ვალი ჯეროვანის სარგებლით გაუსტუმრებია და კიდევ 60,000 თეთრის ღირებული ფული და ქონება დარჩენია (ibid., ქრონ. II, 134). ამგვარად ორტაღებს, მაშასადამე, რაღაც საკრედიტო დაწესებულების მაგვარი ამხანაგობა ჰქონიათ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ საინტერესო დაწესებულების შესახებ მეტი, უფრო ვრცელი ცნობები არ მოიპოვება. უეჭველია, არც კერძო პირი, არც სავაჭრო ამხანაგობა საწინდარის გარეშე სესხად ფულს არავის მისცემდა. მეტადრე როცა ასეთ დიდ ფულს იღებდნენ ვალად, როგორც მაგალითად ზემოდასახელებულმა კახა ერისთავმა აიღო. იქნებ ამისთანა შემთხვევებში წინდად მამული მიჰქონდათ. თუ, ვინიცობაა, მოვალემ ვალი ვერ გადაიხადა, მაშინ მსესხებელი თავის ფულში მამულს დაინარჩუნებდა. რომ ვალში მამულებს უყიდდნენ ხოლმე, ეს რკონის სიგლიდანაც ცხადად ჩანს. ამისთანა შემთხვევა, როგორც ეტყობა, ისე ხშირი ყოფილა, რომ კახა ერისთავი სოფელ ხოველის მონასტრისათვის შეწირულობის წიგნის შედგენის დროს თავის მოვალეობად სთვლის, **„რა გინდა ვალი ანუ დაჭირება დაემართოს ჩემსა გუარის**

---

* შეადარე აგრეთვე M. Brosset, Histoire de la Géorgie, II, 2, გვ. 452, შენიშვნა.

კაცსა ვითა ვიშელთა და ფანასკერტელთა მამულსა თანაი არაი საქმე უც"-სო (ქრონ. II, 135); რაც უნდა ვალი დაატყდეს თავზე, ამ მამულს ხელი არ უნდა ახლოსო.

ფულის აღების დროს ვალის წიგნს, ანუ ხელწერილს აძლევდნენ ხოლმე ფულის პატრონს. ჩვენამდე მოაღწია ერთმა ეგონებ XIII საუკუნის ასეთმა თამასუქმა; აი იმის პირი: „ქ: სახელითა ღვთისათა და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისაითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ბურჯულთა კავთულამა და თევდორამა და ჩუენთა შვილთა ბასილამა და მშუიდამა: **დავუჯჭირუა პავისა ყამისაგან და ხარაჯობისაკან** და ავილეთ თქუენ **მოძღურისაგან** დემეტრესაგან **ტუხუაის ძისაგან სამოცი თეთრი** დეკენბერსა ათსა და **გამიჩინეთ ოცი კოკაი ტკბილი** წელიწადსა **შიგა მზაი** რომ **უსიტყუელად** კელთა მოგაკსენებდეთ ვირემდისცალდა ამა თეთრსა შენსა კელთა მოგაკსენებდეთ; ამისნი **მოწამენი** არიან: კარაის ძე ებაი და წამალაისძე იაი" (შიომღვ. ისტ. საბ., 62).

მღვდელს მაშასადამე 60 თეთრ ფულში წლიურად 20 კოკა ტკბილი გადუკვეთნია თავის მოვალისთვის. სარგებლის რაოდენობა რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ, ეს ოცი კოკა ტკბილი უნდა თეთრადვე ვაქციოთ. ერთი კოკა ტკბილი, როგორც 1259 წ. რკონის სიგლიდანა ჩანს, დაახლოვებით 1⅓ თეთრი უნდა ღირებულიყო. კახა ერისთავი ამბობს, წინათ თითო მიწაზე 12 კოკა კულუხი იყო დაწესებულიო, ეხლა მე ექვს-ექვსი ვამიშეია კულუხად, დანარჩენ ექვსში **„თითო მიწაი რვა რვასა თეთრსა გამოიღებდესო"** (ქრონ., II, 136). მაშასადამე, 6 კოკა რვა თეთრი ღირებულა, მეტი და არა ნაკლები, იმიტომ რომ კახა გლეხებს საზოგადოდ შეღავათს აძლევდა, ძალიან ზრუნავდა მათზე; ამისდაგვარად ერთი კოკა ტკბილი სულ ცოტა 1⅓ თეთრი ღირებულა, ჩვეულებრივ გაცილებით უფრო მეტიც. მაშასადამე 60 თეთრში 26⅔ თეთრი უნდა მიეცა სარგებელი. თუ ამ კვალობაზე ვიანგარიშეთ, მაშინ გამოვა. რომ მღვდელს ყოველწლივ სარგებელი $44^4/_9\%$ უღია. ჩვეულებრივ ერისკაცები ხომ უფრო მეტს სარგებელს გამოართმევდნენ ხოლმე მოვალეს. მღვდელს საეკლესიო კანონები სარგებლის აღებას სასტიკად უკრძალავდა. ამასთანავე ჩვენ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ XIII საუკუნეში ფული ძალიან ძვირი იყო. რა მიზეზის გამო გაძვირდა ფული ამაზე მეოთხე თავში გვექნება ლაპარაკი. მეფე გიორგი ბრწყინვალე (XIV ს.) და ათაბაგნი ბექა და აღბუღა (XIV—XV სს.) თავიანთ სამართალში მხოლოდ 20% სარგებლის აღებას აკანონებენ (ნ. ურბნელი. ძეგლის დება, 130 და მისივე, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 200).

საზოგადოდ კანონმდებლები სარგებლის აღების წინააღმდეგნი იყვნენ ხოლმე, მეტადრე საეკლესიო მწერლები, უფრო იმიტომ, რადგან სარგებელი იმდენად მძიმე იყო ხოლმე, რომ ხშირად მოვალე ვალის მოშორებას ვერ ახდიოდა და იძულებული ხდებოდა ვალის პატრონისათვის აღებულ ფულში თავისი თავი ყმად მიეცა. ვალში გაყიდვა შემდეგ დროს ხშირი შემთხვევა იყო. როგორც ერთ მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერში შენახული ქადაგებიდან ჩანს, ეს წესი X—XIII საუკუნეებშიაც სცოდნიათ. ვილაც უცნობი ავტორი ამბობს: „ვიხილე ოდესმე ხალვაჲ საწყალობელი: **ყრმათა თავისუფალთა თანანადებთათჳს მამულთა მიიყვანებდეს განსყიდად!** არა გაქუს სიმდიდრე რათამცა დაუტევე შვილთა შენთა, ნუ მიუღებ მათგან აზნაურებასა (—თავისუფლებასა); **ეს ოდენ** დაუმარხე მათ ბონაგები იგი თავისუფლებისაჲ ნამარხევი ეგე, რომელი მშობელთაგან მიიღე"-ო, -ყვედრის აღშფოთებული მოძღვარი (მ. ჯანაშვილი. ქართ. მწერლობა I, 227).

მართალია, ჯერ გამორკვეული არ არის, ქართველია აშ ქადაგების ავტორი, თუ ეს თხზულება ნათარგმნია, მაგრამ თუნდაც იგი ნათარგმნი აღმოჩნდეს, მაინც ალბათ XI საუკუნეშიც ასეთი წესი ყოფილა, თორემ ამისთანა ქადაგებას უცხო ენიდან რად გადმოთარგმნიდენ.

ეს მოძღვარი გულწრფელად ურჩევს ხალხს ვალს ნუ ისესხებო. **„უკეთუ გაქვს რვალი, გინა სამოსელი, გინა კარაული, გინა სხუაჲ რაჲმე ყოველივე წარაგე, ინებე ყოვლისავე განსყიდვაჲ თჳინიერ თავისუფლებისაჲ შენისა"** (ibid, გვ. 210), იმიტომ რომ თუმც მართალია ეხლა **„გლახაკ ხარ, არამედ თავისუფალ ხარ; უკეთუ კულა ისესხო,** გავედარმდიდრდე და **თავისუფლებაჲ მოგელოს შენგან,** რამეთუ **მოვალე მონაჲ არს მოსესხისაჲ და მონაჲ ხყიდული; რომლისა მსახურებაჲ თანაწარუვალ არს"**-ო (ibid., გვ. 213). „მოცემულ არიან შენდა ხელნი და ხელოვნებანი, შურებოდე: სასყიდელთა ჰმსახურებდე"-ო, ურჩევს ნიჭიერი მქადაგებელი, „არიან მრავალნი ღონენი, ამბობს იგი, მაგრამ თუ არც ერთი არ შეგიძლიან იღონო, „ითხოვდი უკეჱ სხვაგანა", ანʹ შენა გგონია „სირცხვილ არს თხოვნაჲ"? „განა უსირცხჳლეს არა არს ნესხებაჲ და მერე ჭირვებაჲ მოსესხისა მიერა"-ო?, — ეკითხება ავტორი. ბევრი იყო ამ აზრების მქადაგებელი, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისის გზით და წესით მიმდინარეობდა და მოძღვრებას უკან მობრუნება არ შეეძლო.

ქალაქებში ვაჭრების გარდა ხელოსნებიცა ცხოვრობდნენ. ევსტათე მცხეთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ VI საუკუნეში მცხეთაში სპარსელები ყოფილან მეკადაგებად და მეხამლეებადა (Рай Грузiи საბინინისა). ასეთ სახელს ეძახდნენ ხოლმე ძველად მეჩექმეებს. უეჭველია სპარსელი ხელოსნები ტფილისშიც იქნებოდნენ. მაშასადამე, საქართველოს ზოგიერთ ქალაქში სხვადასხვა უცხოელი ხელოსნების ახალშენები ყოფილა. ასე იყო საშუალო საუკუნეებში ევროპაშიაც. ხელოსნობას წინათ ხელს ეძახდნენ, მაგალითად წʹა ევსტატე რომ მცხეთაში ჩამოვიდა, იქ სწავლობდა „ხელსა მეხამლობისა"-ო, ნათქვამია მის ცხოვრებაში. ხელოსნების შესახებ, რასაკვირველია, ბევრი ცნობა არ მოიპოვება. მკვლევარი იძულებულია აქა-იქ, სხვადასხვა თხზულებაში გაფანტული ცნობები შეკრიბოს, რომ გამოირკვეს, რა და რა ხელობა იყო ამ დროს გავრცელებული. წარწერებსა, სიგელებსა და აღაპებში შემდეგი ხელოსნები არიან მოხსენიებულნი:

1. მაშენებელნი (X საუკ., Brosset, Voyage, II, 168):

ა) კირითხურო (გრიგოლ ხანძთელის ცʹა, გვ. იდ), ქვითხურო, რომელსაც უცხო ენიდან შემოტანილ სახელს „გალატოზსაც" (წʹდა ექვთიმის ცʹა, საეკლ. მუზეუმ. გამოც. 13—14) ეძახდნენ ხოლმე, რაც ეხლანდელ კალატოზს უდრის. ყველა ხუროების უფროსს, ანუ მთავარ აღმაშენებელს „ხუროთმოძღვარი" ერქვა, ქვის ხუროების უფროსს კი „გალატოზთა უხუცესი" (Brosset, Voyage, VII, 91)[106]. IX—XI საუკუნეში შემდეგი სხვადასხვანაირი შენობის აგება სცოდნიათ: **ქვითკირისას** აშენებდნენ — ეკლესიებს (გრიგოლ ხანძთ. ცʹა, გვ. იʹდ), სახლებს (ნიკორწმინდის სიგელი, ქრონიკ., II, 46), მარნებს (ნიკორწ. ს. ibid. II, 46), ბოსლებს (ნიკორწ. ს., ibid., II, 46), ფარეხებს (ibid., II, 46) და საწნეხლებს (ნიკორწ. ს. ibid., II, 46); **ხისას** აკეთებდნენ — ეკლესიებს, „ძელის ეკლესიებს" ეძახდნენ ხოლმე (გრიგოლ ხან. ცʹა, გვ. იʹა), სახლებს მუხისას, ცილოფისას (sic), ნაძვისას (ნიკორწ. ს. ქრონ., II, 46), სამზარეულო და სამეხრეო სახლებს (ნიკორწ. ს. ibid, II, 46), ოდა-საწნეხლებს „შეშის საწნეხლებს" ეძახდნენ ხოლმე (ნიკორწ. ს. ibid., II, 46). ამ დროს **ორსართულიანი შენობებიც სცოდნიათ:** „სახლი ქვითკირი და ზედა სახლი მუხისაჲ" (ნიკორწ. ს. ibid., II, 46), სახლი

მუხისაჲ და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი (ibid., II, 46), ბოსელი ქვითკირი და ზედ სახლი მუხისაჲ (ibid., II, 46), ქვითკირი ბოსელი და ზედ ხერხული ბეღელი (ibid., II, 46), ქვითკირი ფარეხი და ზედა ქორეთი სახლი (ibid., II, 46). ვისაც ერთხელ მაინც ძველი ნაშენი ქართული ეკლესია ნანახი აქვს, ის ადვილად მიხვდება, რომ საქართველოში ხუროთმოძღვრება ძალიან განვითარებული და დაწინაურებული იქნებოდა ეკლესიები ნაშენობის ნაწილების ზომიერებით და საკვირველის შეთანხმებითა და სიმეტრიით არის აგებული, ისეთ მიუვალ და მაღალ ადგილებზე, ისეთი რთულ თაღებითა და გუმბათებით შემკული, რომ უეჭველია ხუროთმოძღვრები ნასწავლი კაცები უნდა ყოფილიყვნენ.

რაკი სწორე ადგილი საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნება, ამიტომ მანამ შენობის აგებას შეუდგებოდნენ, თავდაპირველად ნიადაგს გაასწორებდნენ ხოლმე. ამას მაშინ „ქვეყნის დავაკებას“ ეძახდნენ (იხ. გრიგოლ ხანძთელის ც҃ა, გვ. ი҃ა; ე҃დ — ი҃ა). ხოლო როცა მაღლობ და კლდიან ადგილას აშენებდნენ ხოლმე ეკლესიას, ჯერ „მწვერვალს ქვითა და კირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკებდნენ“ და ამგვარად ხელოვნურ ნიადაგს შექმნიდნენ ხოლმე. ამას „ადგილის შემზადებას“ ეძახდნენ. ხშირად ამისთანა სამუშაოსათვის რამდენიმე წელიწადი იყო ხოლმე საჭირო (ibid., გვ. ლ҃გ). თაღების გადაყვანას რომ შეუდგებოდნენ, ჯერ „კალაპოტს“ შეუდგამდნენ, ხოლო თაღი რომ გამაგრდებოდა, „კალაპოტს გამოუყრიდნენ“ და მერე „მოლესავდნენ“ კიდეც (დავით ალმაშ. ანდერძი, შიომღვ. ისტ. საბ., 16). ერთ წარწერაში მუშებიც არიან მოხსენიებულნი, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ „მუშაკნი“ (Brosset, Voyage, II, 168) მოლესვის შემდეგ „მოხატავდნენ“ (ibid., 16), „მოჭიქავდნენ“ და „დააჭრელებდნენ“ ხოლმე (ათონის მოხასტ. ალაპები, საეკლესიო მუზ. გამოც., 254). ამისათვის განსაკუთრებული ხელოვანი-მხატვრები იყვნენ (Brosset, Voyage, IX, 17) და, როგორც ზარზმის ტაძრის მხატვრობიდან ჩანს, ძალიან კარგი და დახელოვნებულიც ყოფილან.

მოხსენიებულნი არიან აგრეთვე ხატის გამკეთებლები (1040 -. ქრონ. I, 42) და „ოქრომჭედლები“ (XI საუკ. იხ. Такайшвили. Археолог. Экскур. I, 72), რომელნიც ოქროს, ვერცხლისა და „ოქროცურვებულ“ (იოანეს და ეფთვიმეს ც҃ა, გვ. 17) ნივთებს აკეთებდნენ. პრ. ნ. კონდაკოვის აზრით, ქართველ XI—XIII საუკუნეების ოქრომჭედლების ხელოვნური ნაწარმოებნი საუკეთესო ბიზანტიის ხელოვნების ნივთებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა (იხ. Опись памятниковъ древности въ некот. храмахъ и монаст. Грузіи, გვ. 23). მკერვალი (ათონის ალაპები, საეკლესიო მუზ. გამოც., 233); უეჭველია, ცალკე ხელოსნები იქნებოდნენ, ისინი, ვინც „ოქრონემსულ“ (ibid., იე҃ს და ექვთიმის ც҃ა, საეკლ. მუზ. გამ., 17) ანუ ოქრომკედს აკეთებდნენ ხოლმე. მეხამლე (ევსტათე მცხეთ. ც҃ა, Рай Грузіи) და ხარაზი (ათონის ალაპ., 256); მემშვილდე (ქრონ., II, 129) და მჭედელი (ათონის ალაპ., 247).

ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებდნენ ხელოსნები თავიანთ საქმეს. ათონის ალაპებიდან ჩანს მხოლოდ, რომ **ზოგიერთ ხელოსანს**, როგორც, მაგალითად, მკერვალ თეოფილაქტეს (ათონ. ალაპ. 233), გიორგი **მჭედელს** (ibid., 247) და ოქრომპირ **ხარაზს**, რომელნიც ათონის ივერთა მონასტერში შესულან, **იმდენ ქონების შეწირვა შეძლებიათ**, რომ მათი ხსენება იმნაირადვე იყო განწესებული, როგორც ლავრის დამაარსებლისა (ibid., 256). ეს გვიჩვენებს, რომ **ზოგიერთ ხელოსანს თავისი საქმე ფართოდ დაუყენებია და დიდი მოგებაც უნახავს.**

იყო თუ არა ამ დროს საქართველოში ამქრობის წესი და წყობილება, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ მაინც მკვლევარს შეუძლია სთქვას, რომ **ამქრობა ამ დროს ეცოდინებოდათ**, იმიტომ რომ არაბეთის სახალიფოში ამქრები უკვე VIII საუკუნეში არსებობდნენ (A. Kremer. Kulturgeschichte d. Orients, II, 187), ხოლო ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს საქალაქო წეს-წყობილებაზე არაბებს გავლენა ჰქონდათ. ამის გამო საფიქრებელია, რომ ამქრები ტფილისში მაინც უნდა ყოფილიყვნენ.

ამ ხნის ვაჭრებისა და ხელოსნების წოდებრივ მდგომარეობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. რა პატივი ჰქონდათ საზოგადოებასა და ცხოვრებაში დიდვაჭრებს, ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. ვაჭრების წოდებრივ უფლებათა გამორკვევა შეუძლებელია; ვიცით მხოლოდ, რომ ზოგიერთი ვაჭრები ყმებადაც ითვლებოდნენ, მაგალითად სამონასტრო ყმებად (შიომღვ. ისტ. საბ., 16 და 22), მაგრამ რა დამოკიდებულება სუფევდა მათსა და მებატონეს შორის, საბუთებიდან არა ჩანს.

განსაკუთრებულ და მეტად შემოსავლიან ხელობას წიგნების გადაწერა და შემზადება შეადგენდა. ეს ხელობა უფრო მონაზონებს შორის იყო გავრცელებული; ისინი რასაკვირველია მარტო სასულიერო და სამეცნიერო-საფილოსოფიო თხზულებების წიგნებს ამზადებდნენ ხოლმე, საერო მწერლობის და თავისუფალ მეცნიერებათა ნაწარმოების წიგნების გავრცელება კი ერისკაცების ხელობა იქნებოდა უეჭველია, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ამის შესახებ ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა სასულიერო თხზულებების გადაწერა ბერების ხელობად იყო ვადაქცეული, მაგრამ არც ისინი ამბობდნენ უარს სასყიდელზე, თუმცა კანონით მათ ვაჭრობა აკრძალული ჰქონდათ. **უფასოდ წიგნს არავინ არ დაწერდა.** ერთი გადამწერი შენდობას ითხოვს მკითხველებისაგან, რომ ჩემი წიგნი ესე ცუდად არის გადაწერილიო, მაგრამ რა მექნა, „სხვა ღონე არა მაქვნდა: **საფასისაგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა**"-ო (ქრონიკ. I, 209), ჩივის საწყალი ბერი.

წიგნს ბევრი ხარჯი უნდებოდა: ჯერ ეტრატი უნდა ეყიდა ადამიანს (ქართული მწერლობა, I, 202, მ. ჯანაშვილისა), მერე გადასაწერად მიეცა ვისთვისმე, მერე შეეკერინებინა და დაეკაზმინებინა. ის ბერები, რომელთაც გადაწერა ხელობადა ჰქონდათ აღებული, თავიანთ თავს „მწერალს", ან ხშირად, თავდაბლობისა გამო, „მჩხრეკელს" ეძახდნენ. წერა, მეტადრე ისე საუცხოოდ და ლამაზად, როგორც IX—XIII საუკუნეებში იცოდნენ ხოლმე, ძნელი საქმე იყო: დიდი ვარჯიშობა და ბეჯითობა იყო საჭირო. უეჭველია ახალგაზრდა ბერებს განთქმულ მწერლებთან უნდა შეესწავლათ ეს მაღალი ხელოვნება. კარგი გადამწერი ქართული გრამატიკისა და მართლწერის მცოდნე იყო; ეს ახლაც ეტყობა ხელნაწერებს და ეფრემ მცირეს თხზულებიდანაც ჩანს (ქრონიკ., I, 218). რამდენად დახელოვნებული და ერთნაირად გაწვრთნილნი იყვნენ ერთ მასწავლებლისაგან გამოსული გადამწერლები, იქიდან შეიძლება დავინახოთ, რომ როცა ზოგჯერ სიდიდის გამო სამუშაო რამდენიმე კაცსა ჰქონდა ხოლმე განაწილებული (იხ. პრ. ა. ცაგარელის Свед. о памятн. Груз. письм. I, 78, 86 და 91—2) ისეთნაირად არის ხოლმე დაწერილი, თითქოს ერთ ადამიანს გადაუწერიაო. ხელნაწერის ბოლოს რომ ნათქვამი არა ყოფილიყო — ორმა კაცმა დავწერეთო, იქნება მკითხველი ვერც კი მიხვედრილიყო. ასეთის ხელოვნებით არის, მაგალითად, გადაწერილი სინას მთის 864 წლის შესანიშნავი კრებული.

წიგნის გადაწერას რომ მორჩებოდნენ, „შემოსვას" შეუდგებოდნენ ხოლმე. „შემოსვა" მგონი რვეულებად აკინძვასა ნიშნავს. ასე უნდა გვესმოდეს ალბათ იოანე ოქროპირის თხზულების ხელნაწერში შენახული ანდერძი: „წ˜ისა სახარებისა მათეს თავისაჲ ოღენ თარგმანი **სამ წიგნად შეიმოსა**: ესე პირველი წიგნი არს ა (1) თავიდან იც (18) თავამდე, სწერია ამა წიგნსა, მეორე წიგნსა ით (19) თავიდმან მე (45) თ˜დე, მესამესა წიგნსა მვ (46)-მან ჟ (90), ამას შინა დასრულდების... მე ცოდვილმან თ˜ე შევკაზმე წიგნი ესე"-ო (ა. ცაგარელი. Свед. о памят. Груз. письм. I, 92). წიგნებად ამკინძველს **„შემმოსველი"** (ibid., I, 73), ანუ **„მმოსველი"** (ibid., II, 86) ერქვა; ეს ხელობა დიდი თავის სახეთქი საქმე არ იყო და ადამიანი ადვილად შეისწავლიდა; ამიტომ ზოგჯერ „მწერალი" და „შემმოსველი" ერთი და იგივე პირი იყო ხოლმე; მაგალითად, 977 წელს მწერალი და შემმოსველი სტეფანე დეკანოზი (ibid., I, 90—1), 1002 წელს მწერალი და შემმოსველი აკვილა მტბევარი (ibid., I, 83). ერთს 1081 წ. ხელნაწერში მოხსენებულია „მნუსხველიც" (ibid., I, 80), მაგრამ რას აკეთებდა იგი, არა ჩანს.

„შემოსილ" წიგნს ყდის გასაკეთებლად აძლევდნენ ხოლმე **„მკაზმავებს"**, ანუ **„მკაზმელებს"** (1008 წ., ibid., I, 86, 91—2). ვისაც ძველი ტყავის საუცხოო ჩაჭდეულ სურათებით შემკული ყდები უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, რამდენად განვითარებული უნდა ყოფილიყო ძველ საქართველოში ეს ხელობა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის შესახებ მეტი არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

ბევრი შეძლებული ხელოვნების მოყვარე ქართველი თავის წიგნს სურათებით, ან როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, ხატებით ამკობინებდა. სათაურებსა და პირველ ფურცელზე „კამარას" (заставка) ახატვინებდნენ ხოლმე. პირველი ფურცლის დამსურათებელს **„კამარათა მწერალი"** ერქვა (940 წ., Brosset Voyage, XII, 83). როცა წიგნის დასურათება სურდათ, მწერალს შეუკვეთავდნენ ესა და ეს ფურცელი ცარიელი დასტოვეო. რაკი მწერალი თავის საქმეს მორჩებოდა, მაშინ წიგნს **„მხატვარს"** და **„კამარათა მწერალს"** გადასცემდნენ და იმ ცარიელ ფურცლებზე სურათებს დაახატვინებდნენ ხოლმე. ზოგჯერ სურათებს ხელნაწერის მომზადების ბევრი ხნის შემდეგ ჩაურთავდნენ ხოლმე შიგ, ზოგჯერ უსახსრობისა გამო ფურცლები ისე ცარიელი რჩებოდათ. **ვინც შეძლებული კაცი იყო, ის სურათებსა და „კამარებს" საბერძნეთიდან იწერდა, ან მოაქონდა.** აი, მაგალითად, რასა სწერს ტბეთის 995 წლის სახარებაში სამოელ ეპისკოპოსი: „მე გლახაკმან სამოელ... (ვიხილე) წიგნი ესე, ოთხთავი სახარება და ვპოვე **აღწერილი** და შემკული ყოვლითა განგებულებითა, ხოლო **ნაკლულევან იყო ხატთა და კამარათაგან და** გულს ვიდგინე დიდითა ხარჯებითა და **გამოვიხვენ ესე ხატნი და კამარანი საბერძნეთით, ქალაქით დიდით სამეუფოით და ჩაურთენ ამას წმიდასა სახარებასა**"-ო (ibid., I, 21). როცა საგალობელი იწერებოდა ხოლმე, მაშინ „მწერალი" რომ გაათავებდა, წიგნს **„მნიშვნელს"** (1076 წ., Н. Марр, Агиогр. пам. Афона, 87) გადასცემდნენ ხოლმე, რომ საგალობო ნიშნები დაესხა.

ვისაც წიგნის შეძენა სურდა, მწერალს შეუკვეთავდა, ასეთი და ასეთი თხზულება მომიმზადეო. წიგნის შემძენელს **„მომგებელს"** ეძახდნენ (იხ. სინას მთის ხელნაწერები, 984 წ., 976 წ., 981 წ.). ხშირად „მომგებელი" მასალას თვითონ მიუტანდა ხოლმე მწერალს, მაგ., XI საუკუნის ათონის ხელნაწერში მწერალი მიქაელ დაღალისონელი აცხადებს, რომ ამ წიგნისათვის, რომელიც იაკობ მღვდლის განზრახვით არის დაწერილი, **„ეტრატი იაკობ დეკანოზმან მომცა"**-ო (А. Цагарели. Свд. о пам. Груз. письм. I, 46). თუ განთქმული მწერალი ეგულებოდათ სადმე, წიგნის მომგებელნი მანძილს არ შეუშინდებოდნენ და წიგნს

იქ შეუკვეთავდნენ ხოლმე. ჩვენამდე მოაღწია ერთმა წერილმა, რომელიც 984 წელს განთქმულ მწერალ იოანეს წიგნის მომგებელის მიქელისათვის სინას მთით მიუწერია, როცა შეკვეთილი წიგნი გაუგზავნია პატრონისათვის. აი ეს წერილი: „ქრისტემან მომიბოძენ ჯვარი და წმიდაჲ ლოცვაჲ თქუენი ძმაო და ოჳფალო. ჩემო მიქელ! **რომელი გებრძანა, დამიწერია**; მარიამ მეგჳპტელისაჲ არა ვპოვე; სხუაჲ ვერაჲ ვიცოდე, რაჲმცა დავწერე; რვეულნი, რომელ დარჩის, საკითხავე-ბად დავწერე; შემინდვე, არაჲ მქონდა. ყოველთა ძმათა თაყვანისცემასა და ლოც-ვასა მოვახსენებ: **ესე მე ადრე დავწერე, განა არავინ ვპოვე, — ვისმცა მივხცე**: აწ კჳრილესდა (კე˜სდა) წამომიცემიან. **თუ რას მაწერიებდე, მიხარიან ეტრატი გიზლო**"-ო (სინას მთის ხელნაწერი 984 წ.). როგორც ჩანს, მიქელს სხვათა შო-რის მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების გადაწერაც შეუკვეთნია, მაგრამ იოანეს ვერ უშოვნია იგი სინას მთაზე და მის მაგიერ საკითხავები გადაუწერია. თუ ამაზე არ დამყაბულდები, რაც გინდა დამაწერინე, სიხარულით გიზლავ იმ ეტრატსაო. თანაც მწერალი დაგვიანებისათვის ბოდიშს იხდის, მგზავრი ვერ ვიშოვნე, რომ გამომეტანებინაო.

როგორც ეტყობა, წიგნები კაი ფასში იყიდებოდა და მწერლებისათვის დიდი შემოსავალიც უნდა მიეცა. ნიკორწმინდის XI საუკ. სიგელში, მაგალითად, ნათქ-ვამია: „**ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი**: ა: (1) **და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი**"-ო (ქრონიკ., II, 49). იმავე საბუთში წერია: „მე დამხუდა იადგარი **ნახევარწერილი**: ა: (1) და **გავასრულე** ყ˜ითავე სისრულითა, **შევმოსე და მოვუცუარე და შევბეჭდე და მისისა დაწერისა და შეკაზმისათვის მივეც დრაჰკანი დუკატი** იე: (15)"-ო (ibid. II, 49). ვთქვათ შეკაზმაში 3—5 დრაჰკანი დუკატი მისცა, მაშინ ნახევარი წიგნის დაწერა 10—12 დუკატი დრაჰკანი, ხოლო მთელი წიგნისა 20, ან 24 **დრაჰკანი დუკატი ღირებულა**. ეფთჳმე მთაწმინდელის სიტყვით, თეოფანე ხუ-ცესს, რომელიც იყო „**სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღ-მრთოთაჲ, უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკანისა უწერიან წიგნნი** მონასტრისა შინა და გარე" (საეკლესიო მუზ. გამოც., იოანეს და ეფთვიმის ც˜ა, 57). ამ წინა-დადებიდან ჩანს, რომ 1500 **დრაჰკანზე მეტი მხოლოდ დახელოვნებულ მწე-რალს შეეძლო მოეგო. ჩვეულებრივ, მაშასადამე, ამაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონიათ**. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ, თუ რამ-დენს ფულს იღებდნენ ძველ საქართველოში მწერალი ბერები.

თავი მესამე

საქართველოს სამეფოს საფინანსო წესწყობილება

პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა წყაროებისაგან შედგე-ბოდა IX—XIII სს. საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი, არც საისტორიო თხზულებებში, არც სხვა რომელსამე საბუთებში არ მოიპოვება. ამის გამო მკვლევარმა უნდა მატიანეებში აქა-იქ გაფანტული და გაკვრით ნათქვამი ცნობე-ბით ისარგებლოს და თავისი მიზნისათვის გამოიყენოს. საქართველოს სახელმწი-ფოს შემოსავალი შედგებოდა, როგორც ეტყობა: I. **სახელმწიფო გადასახადები-საგან, II. სამხედრო ალაფისაგან და III. დაპყრობილ ქვეყნებზე დადებულ ხარა-ჯისაგან**. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფე თავის უხვს ქველმოქმედებას „არა თუ **ჰელოხანთაგან მორთმეულსა** იქმოდის, ანუ სა-

ჭურჭლით, არამედ **ჭელითა თჳსითა ნადირებულითა**"-ო (ქართ. ცხ., 373). მაშასადამე, მეფეს ფული ან „ჭელოსანთაგან მორთმეული" ექნებოდა, ან „საჭურჭლით".

I. **სახელმწიფო გადასახადი.** — სახელმწიფო გადასახადის ამკრები მოხელეები **„ჭელოსნებად"** იწოდებოდნენ. ერთ შიომღვიმის მონასტრის საბუთში, მაგ., ნათქვამია: „მითავისუფლებიან **ყოველთავე ჭელოსანთაგან:** მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, **ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჭელოსანთაგან**"-ო (X ს., შიომღვ. ისტ. საბ., 3). ამ წინადადებიდან ცხადად ჩანს, რომ ჭელოსანი გადასახადის ამკრები მოხელე იყო, რომ იგი სამეფო დარბაზს ექვემდებარებოდა და საქმეზე იქიდან იგზავნებოდა ხოლმე. ამგვარად, **„ჭელოსანთაგან მორთმეული" მუდმივი სახელმწიფო გადასახადი იქნებოდა.** „საჭურჭლით", როგორც ქვემოთ დავინახავთ, „ალაფს" უდრის.

„ჭელოსნები", ან სხვა მოხელეები, რომ ხარჯის ასაკრებად შეეიდოდნენ რომელსამე მემამულის სახლში, ამ უფლებას **„შესავალს"** (შიომღვ. ისტ. საბ., 3, 5, 22 და სხვ.) ეძახდნენ, რომ ამ სიტყვას სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს, ეს ბაგრატ მეფის 1050 წლის სიგელიდან მტკიცდება: თუ რომელიმე მოხელემ ეს შიომღვიმისადმი შეწირული მამული გადასახადისაგან გათავისუფლებული **„შესავლად და საჭელისუფლოდ გახადოს,** ანუ ბეგარა და გამოსავალი რაი დასდვას", ის წყეულ-შეჩვენებული იყოსო. მამული „შესავალად", ე. ი. „ჭელოსანთა" და ხელისუფალთა შესავალად გახადოსო. ასეთივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას „საჭელისუფლოდ", ვინც „ჭელისუფლის შესავალად" გახდის მამულსო. ერთს XIII ს. სიგელში პირდაპირ ნათქვამია კიდეც: **„ჭელისუფალთა შესულაჲ"** (ibid., 67). იმ მამულს, ან ქონებას, რომელიც გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო, **„შეუვალი"** ერქვა (ibid., გვ. 5, 11, 17, 22 და სხვ.), იმის გამო რომ გადასახადის ამკრებ მოხელეებს მამულში შესვლის უფლება არა ჰქონდათ — **„შეუვალად** ყოვლისა **შესავალისაგან"** (ibid., 22). იმ გადასახადს, რაც მამულს, ან ქონებას ედო, **„გამოსავალს"** ეძახდნენ (ibid., 4, 5, 16 და სხვ.). სიტყვა **„გამოსავალი" შემოსავალსა ნიშნავდა წინათ.** ეს ცხადად ჩანს იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრების შემდეგ წინადადებიდან: „დიდსა უკვე ლავრასა მისცეს... კუნძული, რომელსა ნეოს ეწოდების... რომლისაგან **გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა იდ** (14) ლიტრაჲ"-ო (საექლ. მუზ. გამოც., გვ. 17). აქ სიტყვები **„გამოსავალი ყოველთა წელთა" ყოველწლიურ შემოსავალს ნიშნავს.**

„გამოსავალი", ანუ გადასახადი ბევრნაირი იყო. ბაგრატ მეფის 1058 წლის სიგელში ჩამოთვლილია გადასახადები: საჭელმწიფო, საერისთვო, სააზნაურო, საციხისთავო, საჭევისუფლო, საბანჯრო და საკომრე (შიომღვ. ისტ. საბ., 4); გიორგი II-ის 1072 წ. სიგელში კი აღნიშნულია — საჭელმწიფო, საერისთვო, საციხისთავო, საჭევისუფლო, საშურტო და სხვა (ibid., 11). საერისთავო და დანარჩენი გადასახადები მოხელეთა სარგოს შეადგენდა და ამის გამო ჯერჯერობით მათ არ შეეხებით. ახლა მხოლოდ **„საჭელმწიფო გამოსავალზე"** გვექნება ლაპარაკი. სახელმწიფო გადასახადს აგრეთვე **„სახემწიფო გამოსავალიც"** ერქვა (ibid., 16, დავით ალმაშ. ანდერძი); XII ს. ზოგჯერ **ხარაჯასაც** ეძახდნენ (ქართ. ცხ., 411 და შიომღვ. ისტ. საბ., 26). შიომღვიმის ერთ XIII საუკ. საბუთში სამეფო გადასახადად **„კულუხი"** და **„ღალაჲ"** (შიომღვ. ისტ. საბ., 60) დასახელებული. კულუხი ღვინის გადასახადია, ხოლო ღალა პურისა; მაშასადამე, შემოსავლის გადაკვეთილი წილი აუღიათ (შიომღვ. ისტ. საბ., 3). **სამწუხაროდ საბუთებიდან არა ჩანს, რამდენი წილი იყო დაწესებული.** უეჭველია, ჭირნახულის გარდა სა-

ქონელზეც იქნებოდა გადასახადი, მაგრამ ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. „გამოსავალს" გარდა სახელმწიფო **„ბეგარა"** ანუ **„დაჭირებითი სამსახური"**-ც იყო დაწესებული (შიომღ. ისტ. საბ., 11, 14, 16). **ბეგარას, სავალდებულო სამსახურს, „სამუშაო", ანუ „სუხრა"** (ibid., 11, 16) ერქვა. **სუხრა არაბული სიტყვაა** سخرة „სუხრაჰ" და ნიშნავს უფასოდ მუშაობას, იძულებითს სამუშაოს (Zenker. Lexicon). ამგვარად, **იგი ქართულ „დაჭირებითს სამსახურს" და „ბეგარას"** ეთანასწორება და მხოლოდ არაბების ბატონობის წყალობით შემოხიზნულა ქართულში. ასეთ ბეგარად უნდა ჩაითვალოს, მაგ., **„ზროხის შებმა"**, რომელიც სოფელ აგარის მცხოვრებლებს ედო (ibid., 13). როგორც ჩანს, ეს ბეგარა ფუძის კვალობაზე იყო გადაკვეთილი: ფუძეზე ერთი ძროხა უნდა შეებათ. ამნაირადვე სამუდამოდ და უცვლელად გადაკვეთილი იქნებოდა სხვაგვარი ბეგარა, ანუ „დაჭირებითი სამსახური", მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ამ გამოკვლევის პირველ თავში ნაჩვენები იყო, რომ გადასახადი **მამულს აწვა** (იხ. კიდევ შიომღვ. საბ., 60), ასე იყო **ბეგარაც**. ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ ძროხის შებმა **„ფუძეს ედო"**. **მხოლოდ ნასყიდი მიწა იყო ბეგარისაგან განთავისუფლებული**; ეს ცხადად ჩანს შიომღვიმის XIII საუკუნის ერთი სიგელიდან, სადაც ნათქვამია: ზოსიმეს და მის გამზრდელის შეძენილ მიწებს „არცა სამეფოდ სამსახური ზედა აც... არცა გამოსაღებელი... **ყოვლითურთ უბეგროდ არს მით რომელ ნასყიდი არს"**-ო (შიომღვ. ისტ. საბ., 60—61).

აქამდისინ პირდაპირ გადასახადებზე იყო ლაპარაკი. მაშინდელ საქართველოში არაპირდაპირი გადასახადებიც არსებობდა: 1) **ბაჟი** (შიომღვ. ისტ. საბ., 11, 16, 17). როგორც საბუთებიდან ჩანს, **ბაჟი მარტო უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს კი არ ხდებია, არამედ შინაურსაც**. მეტი ცნობები, სამწუხაროდ, არ მოიპოვება. სიტყვა **ბაჟი სპარსულს** باج **„ბაჟ"-ისაგან არის წარმომდგარი** და უეჭველია არაბებზე წინათ იქნებოდა ქართულში შემოხიზნული. თვით არაბები ხომ თავიანთ სახელმწიფო მოღვაწეობის **პირველი საუკუნეების განმავლობაში** ბაჟის არსებობის წინააღმდეგნი იყვნენ და ყველგან, სადაც კი ისინი ბატონობდნენ, ამოჰკვეთეს კიდეც (იხ. A. Kremer. Culturgeschichte d. Orients II, 173—4).

2) **„ხიდის"** გადასახადი (შიომღვ. ისტ. საბ., 4). როდის ან რაზე ართმევდნენ ხოლმე ხიდის ფულს, საბუთებიდან არა ჩანს და 3) **„საკომრე"** (ibid., 4)— გადასახადი სასწორზე, არც ამის შესახებ მოიძებნება მეტი ცნობები.

II. **სამხედრო ალაფი**. ალაფის აღება, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დაეწყოთ საქართველოში, როცა დავით აღმაშენებლის შესანიშნავ სამხედრო წესწყობილების შემოღების წყალობით ჩვენმა ხალხმა ზურგი გაიმაგრა, თავისი ქვეყნები დაიბრუნა და მერე მეზობელ სამეფოების დაპყრობას შეუდგა. რაც უფრო მდიდარი და ძლიერი იყო დამარცხებული მოპირდაპირე, მით უფრო მეტი ნატყვევნავი ქონება ჩაუვარდებოდა ხოლმე ხელში ჯარსა. ერთი დიდი ომი ისე არ გათავდებოდა, რომ აუარებელი ალაფი არა რგებოდათ ქართველებს. როცა, მაგ., გიორგი III მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობა დაამარცხა, ქართველებს დარჩათ „სიმრავლე კარავთა და სრაჟარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა ურიცხუთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა ყოველთა განძთა, სოფლის სიმდიდრეთა და მონაგებთაო" (ქართ. ცხ., 389). ასეთივე უხვი ღალა რჩებოდათ ხოლმე ქართველებს თამარ მეფის დროსაც (ibid., 395, 449—450, 471). ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ გიორგი მეფემ აუარე-

ბელ ალაფიდან აიღო „ბევრის ბევრეულთაგან ნიჭთა მცირედ მცირედისაო" (ibid., 389). იმ ალაფის წილს, რომელსაც ხელმწიფე იღებდა ხოლმე, **„საპატრონო"** ერქვა (ibid., 451). თამარ მეფის მემატიანეს სიტყვიდანა ჩანს, რომ ეს **„საპატრონო" წილი ალაფის ერთ მეხუთედს შეადგენდა.** ისტორიკოსი ამბობს: **„აღიღეს ფანჯიაქი სამეფოდ"-ო** (ibid., 449). **„ფანჯიაქი" სპარსული სიტყვაა და სწორედ ერთ მეხუთედსა ნიშნავს.** თუმცა არაბების საომარ წესის ძალითაც ნატყვენავ ქონებისა და სამხედრო ალაფის ერთი მეხუთედი ხალიფას ეკუთვნოდა (იხ. A. Kremer. Culturgeschichte d. Orients II, 147), მაგრამ რაკი „საპატრონო" წილის სახელი „ფანჯიაქი" სპარსული სიტყვაა, ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი, **რომლის ძალითაც მეფე დავლის 1/5-ს იღებდა, სპარსეთიდან უნდა ყოფილიყოს საქართველოში შემოსული.** „საპატრონო" ალაფის წილი მაინც დიდძალ ქონებას სძენდა ხელმწიფეს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ გიორგი III თავის „გამარჯვებასა და გაზეებას" წყალობით განამრავლნა საჭურჭლენიცა და დადვა **თჳთ მისით მონაგებით და მისთა ნატყუენავთაგან მოგებული ციხესა შინა უჯარმოსასა"-ო** (ქართ. ცხ., 395); ძველ საჭურჭლეებში ალბათ ველარ დატეულა და ახალის აგება დასჭირებია. თამარ მეფის ისტორიკოსიც ამბობს: „აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა ოქროსათაო" (ibid., 471)· ერთი სიტყვით **ალაფი სახელმწიფო შემოსავლის ხსპატიო ნაწილს შეადგენდა.**

III. **ხარაჯა.** დამარცხებულ და ნებაყოფლობით დამორჩილებულ მტერს ყოველწლიურ გადასახადს ადებდნენ ხოლმე, რომელსაც **„ხარაჯას"** ეძახდნენ (ქართ. ცხ., 306). დაპყრობილ ერთა ხარკს არაბულადაც იგივე სახელი ჰქონდა (A. Kremer. Culturgeschichte d. Orients I, 59) და მიწის გადასახადად ითვლებოდა (ibid., I, 59 და 62). ქართულადაც თამარ მეფის დროს სიტყვა „ხარაჯა" ღალის ან „გამოსავალის" მაგიერ იხმარებოდა. იმის მაგიერად, რომ, მაგ., მემატიანეს ეთქვა: თამარმა ეკლესიები „გამოსავლისა" (ღალა, კულუხი) და ბეგარისაგან გაათავისუფლაო, იგი წერს: „თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგანო" (ქართ. ცხ., 411. შეადარე აგრეთვე თამარის სიგელს, შიომღვ. ისტ. საბ., 26). მაშასადამე, ქართულადაც ხარაჯას მიწის გადასახადის მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვეულებრივ ქართულად „ხარაჯა" დაპყრობილ ხალხებზე დადებულს ხარკსა ნიშნავდა. რაც უფრო მეტად მაგრდებოდა საქართველოს ძლევამოსილება და ქართველების საბრძანებელი ფართოვდებოდა, მით უფრო მეტი ხარაჯა შემოუვიდოდა საქართველოს ხელმწიფეს; ამიტომ მხოლოდ დავით აღმაშენებლის შემდეგ დაიწყო ხარაჯის შემოსავალმა წლითი წლობით ზრდა. თამარ მეფის დროს მრავალი ქვეყანა იყო საქართველოს მოხარკედ: ქვეყნები ერაყამდისა და მარაღამდის ბაღდადის მხრივ (ქართ. ცხ., 422), გაგი, ქურდვაჭარი, განძამდის (ibid., 430), კაენი, კაიწონი, გელაქუნი (ibid., 431), თავრეჟი (თავრიზი), მანა (=მიანე), ზანგანი (=ზანჯანი), ერთი სიტყვით, **ადარბაიჯანი, გილანი, ხორასანი, გურგანი** (ibid., 480—482), **კარნუქალაქი ეზინკითურთ** (ibid., 470—75) და სხვანი. რასაკვირველია, საქართველოს ამ მოხარკე ქვეყნებიდან დიდძალი შემოსავალი ექნებოდა. სამწუხაროდ, ქართულ საბუთებში არსად მოიპოვება იმის ცნობები, თუ რამოდენა ხარაჯა ედო თითოეულ დაპყრობილ ქვეყანას. მაგრამ **მთელ დაპყრობილ ქვეყნების ხარაჯის ჯამის გამოანგარიშება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ხაზინას უნდა შემოსვლოდა, დაახლოებით მაინც შეიძლება და აი** რა საშუალებით: ჩვენამდე მოაღწია ბაღდადის **სახალიფოს** სახელმწიფო შემოსავლის სამმა ხარჯთაღრიცხვამ, ერთი VIII საუკუნისაა, ორი კი IX საუკუნისა. იქ

აღნიშნულია იმ ქვეყნების გადასახადის ჯამი, რომელნიც მერე საქართველოს ბატონობის ქვეშ იყვნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დაპყრობილ ქვეყანას ხარკი გაცილებით უფრო მეტი ედებოდა ხოლმე, ვიდრე გადასახადი, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დაახლოებით თუ რამდენი ხარაჯა შემოსდიოდა საქართველოს, მაგალითად, XII ს., თამარ მეფის დროს. მაშინდელი მოხარკე ქვეყნების ნუსხა ზევით იყო მოყვანილი· აი რამდენ გადასახადს აძლევდნენ ისინი IX საუკუნეში:

გურგანი	4000000 დირჰემს	(A. Kremer. Culturgeschich. I. 332)
ყაზვინი (ზანჯანი).	1628000 —	(ibid., I. 335).
ადარბაიჯანი (მარაღა, არდაველი).	4500000 —	(ibid., I, 341).
გილანი	5000000 —	(ibid., I, 342).
სომხეთი (კარნუ-ქალაქი, არზრუმი, გელაქუნი)	9100000 —	(ibid., I, 343).
ერაყი	13000000 —	(ibid., 364, შენიშვნა).
ხორასანი	38000000 —	(ibid., I, 331).
ჯამი	75228000 დირჰემი.	

მაშასადამე, **მარტო ფულად*** **ის ქვეყნები, რომელნიც XII საუკუნეში საქართველოს მოხარკედ გახდნენ, IX საუკუნეში ყოველწლივ 75228000 დირჰემს იხდიდნენ** და გზავნიდნენ ბაღდადში. **უეჭველია, XII საუკუნეში ქართველები გაცილებით უფრო მეტს გამოართმევდნენ ხარაჯად.** მაშასადამე, ჩვენ თამამად შეგვიძლია **საქართველოს მარტო ხარაჯის ჯამი 75228000 დირჰემი ჩავთვალოთ.** ცხადია, ხარაჯა ერთიორად მეტი იქნებოდა და არა ნაკლები, მაგრამ თუნდაც რომ მარტო ეს ფული ჩავთვალოთ მაინც დიდძალი შემოსავალი დგება[107].

თუ როგორა ჰკრებდნენ ხოლმე ხარაჯას, ამაზე ჩემს წინანდელ გამოკვლევაში „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ (გვ. 17) არის ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებ. დავუმატებ მხოლოდ, **რომ ხარაჯის აკრების საქმე თვითონ დაპყრობილ ხალხს ჰქონდა მინდობილი და მეფეს მარტო უკვე შეგროვილ გადასახადს აბარებდნენ ხოლმე.**

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოს შემოსავალი, ანუ როგორც XII საუკუნეში ამბობდნენ ხოლმე, **„ყოვლისა სამეფოსა შემოსავალნი“** (ქართ. ცხ., 490), როგორც ზემოთ იყო გამორკვეული, სახელმწიფო გადასახადისა, ულუფისა და ხარაჯისაგან შედგებოდა. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და რას წარმოადგენდა, ან ერთი ან მეორე, ან მესამე, ამაზე უკვე ლაპარაკი იყო. მაგრამ საქართველოს სამეფოს ავლადიდებაზე და მის ეკონომიურ ვითარებაზე რომ სწორი და ჭეშმარიტი წარმოდგენა გვქონდეს, აუცილებლად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ **საქართველოს ხაზინაში ნამდვილად გაცილებით უფრო ნაკლები შედიოდა, ვიდრე ვარაუდით უნდა შესულიყო;** ნაკლები იმიტომ შედიოდა, რომ სახელმწიფოს გადასახადს და ხარაჯას ზიანი ჰქონდა.

ჯერ კიდევ **ბაგრატ III-ემ ყველა საკათალიკოსო მამული სახელმწიფო გამოსავალისაგან გაათავისუფლა** და შეუვალობის წიგნი უბოძა. თვით მელქისედეკ კათალიკოსი თავის 1020 სიგელში ამბობს:

---

* მხოლოდ ხორასნის ფულში ნივთეულობის ღირებულებაც არის ზედ მითვლილი.

„ყოველნი სოფელნი, რომელი მომიგია და რომელნი სოფელი ძუელად ჰქონდეს ამას წმინდასა ღედაქალაქსა, შესავალნი იყუნენ და მე მოავსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურატპალატსა და **შეუვალად გამიკადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა"-ო** (ქრონიკები, II, 33; შეადარე ქართ. ცხ., 322). სახელმწიფო საჭურჭლეს, ანუ ხაზინას ერთბამად ბლომა შემოსავალი მოაკლდებოდა. მაგრამ დავით აღმაშენებლის დროს უფრო მეტი ზიანი მოუვიდა საქართველოს ხაზინას იმიტომ, რომ ისტორიკოსის სიტყვით, მეფემ **„განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა-მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან"-ო** (ქართ. ცხ., 373). ვინც იცის, თუ რა დიდძალი მამული და ქონება ეჭირათ წინათ საქართველოში ლავრებს, მონასტრებს და ეკლესიებს, ის ადვილად წარმოიდგენს, თუ რამოდენა შემოსავალი მოაკლდებოდა ერთბამად სახელმწიფო ხაზინას, როცა ეკლესიას „შეუვალობის" უპირატესობა მიენიჭა. **მაგრამ დავით აღმაშენებლის ბრძნულ და ძლევამოსილ მეფობის დროს სახელმწიფო ხაზინას ეტყობა ასეთ დიდ დანაკლისის ატანაც შეეძლო;** უეჭველია, ახლად დაპყრობილ ქვეყნებიდან მომავალი ხარაჯა ადვილად შეავსებდა ამ ზიანს.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ, ან დიმიტრი I-ს, ან იქნება თვით გიორგი III-ეს,—არა სჩანს კი რა მიზეზით, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეკლესიის შეუვალობა სამძიმო იყო სახელმწიფო ხაზინისათვის, — **ეს უპირატესობა გაუუქმებია** კვლავინდებურად **გადასახადის რთმევა დაუწყიათ.** ეს იქიდან ჩანს, რომ, გიორგი მეფის სიტყვით, როცა მე ის იყო დემნას განდგომას ვსძლიეო, მაშინ **„მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფოასა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოისა და დაჭირებულისაგან, ჴსნაჲ და განთავისუფლებაჲ და ამისა მიზეზისათჳს შეკრბეს ყოველნი სამეფოისა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი** იმერნი და ამერნი, კათალიკოსი მოძღუარი და ყოველნი მეუდაბნოენი და **მათცა გვიბრძანეს და მოგუაჴსენეს დაჭირებულობაჲ ეკლესიათაჲ...** ამისთჳს... განვაგეთ გულს-მოდგინედ შეკაზმვაჲ და **განთავისუფლებაჲ წმიდათა ღვთისა ეკლესიათაჲ"-ო** (ქრონიკები, I, 265). ეს დიპლომატიური სიგელი იმასა ნიშნავს, რომ გიორგი III-ს თავის მეფობის პირველ წლებში, როცა მას ყველა კერძო პირები და დაწესებულებანი თავიანთ წყალობის წიგნებს დასამტკიცებლად წარმოუდგენდნენ, ეკლესიისათვის შეუვალობის წიგნი არ დაუმტკიცებია და წინანდებურად გადასახადი მოუთხოვია. სამღვდელოებას უთმენია, მაგრამ მერე, როცა დემნას განდგომა მომხდარა, უდროვნია, შეურილა და, მობრუნებულა თუ არა მეფე ბრძოლის ველიდან, მოუხსენებია — ეკლესიები გადასახადებისაგან გაათავისუფლეო. მეფეც, — მეტი რა ძალა ჰქონდა, — უნდა დათანხმებულიყო; ის-ის იყო, რის ვაივაგლახით სძლია აჯანყებულ ძმისწულს, ამისთანა დროს ხომ მთელ სამღვდელოებას ვერ გადაიკიდებდა? ასე უნდა გვესმოდეს გიორგი III-ის მოქნილ ენით დაწერილი სიგელი, თორემ რა დასაჯერებელია, რომ მას ასეთი საქმე, როგორც ეკლესიის შეუვალობაა, დაეიწყებოდეს.

თამარ მეფესაც ეს ეკლესიის უპირატესობა, როგორც ეტყობა, დაუმტკიცებია (ქართ. ცხ., 411) და სახელმწიფო ხაზინას ისევ ისე ბლომა შემოსავალი დააკლდებოდა.

შემდეგ, როგორც ნათქვამი იყო, **დიდი დანაკლისი აგრეთვე ხარაჯასაც მოსდიოდა.** მთელ იმ ფულს და ქონებას, რომელსაც ხარაჯად იხდიდნენ საქართველოს ქვეშევრდომი ერები, უკლებლივ სახელმწიფო ხაზინა არ იღებდა ხოლმე, იმიტომ რომ **ქართველ მეფეებს ჩვეულებად ჰქონდათ ძლიერ და ქედფიცხელ**

მოყმე დიდებულების მამულებით დასაჩუქრება, ეგებ მათი გული ამით მაინც მოეიგოთო. ასე იქცეოდა, მაგ., ბაგრატ IV (ქართ. ცხ., 330—1). ამნაირსავე გზას ადგა მისი შვილიც გიორგი II (ibid., 341). დავით აღმაშენებელი დიდებულ და ურჩ მოხელეებს მაგრე რიგად არა სწყალობდა, არამც თუ მამულს არ აძლევდა, პირიქით საპყრობილეში ამოაყოფინებდა ხოლმე თავსა; იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ ურჩების მოფერებასა და ალერსს საჭიროდ არა სთვლიდა (იხ. ჩემი „საქართველოს მეფე...“, გვ. 16—66). დიდებულ მოხელეების დაჯილდოება მეტისმეტად თამარ მეფის დროს იყო გავრცელებული. თამარი თავის ერთგულ მოყმების სამსახურს აჯილდოებდა და თითქმის განსაკუთრებით დაპყრობილ და სახარაჯო ქვეყნებს უწყალობებდა ხოლმე. როცა მაგ., თამარის ერთგულმა მოხელეებმა რუსი და მისი მომხრენი დაამარცხეს, მაშინ „მწყალობელ ერთგულთა და საკუთართა თჳსთა“ მეფემ შეიწყალა ზაქარია ვარდანის ძე და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა ხანაზევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა შეიწყალა და უბოძა სარგისისძესა იოვანეს... საპატიო კაენი და კაიწონი, გელაქუნითა და სხვითა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა, ციხითა და ქვეყანითა და შეიწყალეს და დალოცნეს სხუანიცა მრავალნი დიდებულნიო (ibid., 431). მაშასადამე, ის ხარაჯა, რომელიც წინათ მთლად სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, ახლა ან მთლად დიდებულების „საკუთრება“, ან „ხანაზევროდ“ უნდა გამხდარიყო, ე. ი. მხოლოდ ნახევარიღა ერგებოდა სახელმწიფო საჭურჭლეს. ამნაირადვე მოიქცა თამარი, როცა ქ. შანქორი და მისი მიდამოები აიღო: „ითაყვანა ამირმირმან და უბოძა მას შანქორი და ყოველი მისი შემოსავალი“-ო (ქართ. ცხ., 447, იხილე აგრეთვე გვ. 475, 478). რაკი საქმე ამნაირად იყო დაყენებული, რასაკვირველია, სახელმწიფო ხაზინაში გაცილებით უფრო ნაკლები შემოვიდოდა ხარაჯა, ვიდრე ნამდვილად უნდა შემოსულიყო, ეს დიდებულების დასაჩუქრების წესი რომ არა ყოფილიყო.

სახელმწიფო ქონება გიორგი II-ის დროს ქუთაისის საჭურჭლეში ინახებოდა (ქართ. ცხ., 341), ხოლო როცა დავით აღმაშენებელმა 1122 წელს ქ. ტფილისი აიღო, მაშინ „ტფილისი, დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ“ (ibid., 364); გიორგი III-ემ უჯარმაშიც ააშენა საჭურჭლე, რადგან ტფილისისა აღარა კმაროდა (ibid., 395). რაკი მემატიანე „ხელოსანთაგან მორთმეულს“ და „საჭურჭლით“ აღებულს ფულს ცალცალკე იხსენიებს (ibid., 373), ეტყობა, „ხელოსანთაგან მორთმეული“, ანუ სახელმწიფო გადასახადის ფული, საჭურჭლეში არ ინახებოდა, არამედ ცალკე იყო; საჭურჭლეში, როგორც ჩანს, „მონაგები და ნატყვენავი“ ინახებოდა (ibid., 395), და სამხედრო ალაფი.

როგორ, ან რაზე იხარჯებოდა სახელმწიფო ქონება? არსებობდა ხოლმე თუ არა სახელმწიფოს მთელი შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა? ამის შესახებ პირდაპირი ცნობები საისტორიო და იურიდიულ საბუთებში არ მოიპოვება, მაგრამ მაინც ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ საქართველოში სახელმწიფო შემოსავლის ხარჯთაღრიცხვას მუდმივ ადგენდნენ ხოლმე. ეს ცხადადა მტკიცდება თამარ მეფის ისტორიკოსის შემდეგი ცნობიდან: თამარის დროს „ყოველსა სამეფოსა მისსა შემოსავალნი, რაცა იყო შინად და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად, ერთისა ქრთილისა მარცვალამდეცა“-ო (ibid., 490). თუ მთელ სამეფოს შემოსავლის ერთ მეათედ წილს ანდომებდნენ ხოლმე გლახაკთა უზრუნველყოფის საქმეს, მაშასადამე, უეჭველია, თავდაპირველად ყოველწლივ სახელმწიფო შემოსავლის მთელი ჯამი უნდა ჰქონოდათ გამოანგარიშებული, თორემ საიდან გაიგებდნენ „ნაათალი“ რამდენს შეადგენდა. ცხადია, რომ საქარ-

თველოში ამ დროს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა ყოველწლივ უდგენიათ. ყურადღების ღირსია, რომ **„ყოვლისა სამეფოსა შემოსავალნი, რაცა იყო შინად და გარეთ“ უანგარიშნიათ, ე. ი. სახელმწიფო შემოსავალი და ბაჟი — შინად, ხარაჯა** კიდევ — **გარეთ.** ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველი მეჭურჭლეთუხუცესნი, ანუ ფინანსთა მინისტრები, საქმეში ღრმად ჩახედულები ყოფილან და არაბების გამოჩენილ ფინანსთა მინისტრებს არ ჩამოუვარდებოდნენ (იმათ შესახებ იხ. A. Kremer. Culturgeschichte d. Orients, I, 263—273). „ნაათალი“ ამტკიცებს აგრეთვე, რომ იმ დროს **სახელმწიფო გასავლის სავარაუდო ანგარიშიც უდგენიათ.** სამწუხაროდ, ჩვენამდე ჯერჯერობით არც ერთს სახელმწიფო შემოსავლის ხარჯთაღრიცხვას, არც სავარაუდო გასავლის ანგარიშს არ მოუღწევია.

რამდენადაც საისტორიო მასალებიდანა ჩანს, სახელმწიფო შემოსავალი ამნაირად იხარჯებოდა:

1. **მთელი შემოსავლის ერთი მეათედი, როგორც აღნიშნული იყო, ღლახაკების უზრუნველყოფასა და სხვა საზოგადო საქველმოქმედო საქმეებზე იხარჯებოდა.** როდის და ვინ დააწესა ეს, ამაზე ლაპარაკი მქონდა ჩემს გამოკვლევაში „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ (იხ. „ივერია“, 1906 წ.) და აქ აღარ გავიმეორებ.

2. შემოსავლის ნაწილი **მეფეს და მის სახლობასა ეძლეოდა.** სამწუხაროდ, ცნობები არ მოიპოვება, თუ რამდენი უნდებოდა, ან რამდენი ეძლეოდა თვით მეფეს; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ **ამ დროს, როგორც ეტყობა, მეფის საკუთარ და სახელმწიფო ქონების განსხვავება და გარჩევა კარგად იცოდნენ** (ქართ. ცხ., 373, 453). **სამეფო ტახტს თავისი გადაკვეთილი შემოსავალი ჰქონდა;** ეს ცხადადა სჩანს მემატიანეს შემდეგ სიტყვიდან: იგი ამბობს, რომ ქალაქი ანი გიორგი III **„დაიჭირა სიმტკიცედ ტახტისა თჳსისა შესანახავად და განსამაგრებლად“**-ო (ქართ. ცხ., 386); ასე რომ სამეფო ტახტს თავისი საკუთარი შემოსავალი ჰქონდა და მით უფრო საინტერესოა გვცოდნოდა, რამდენი ეძლეოდა იმის გარდა სახელმწიფო ხაზინიდან. უეჭველია ცოტა ფული და ქონება არ დასჭირდებოდა საქართველოს ხელმწიფის ტახტს, მეტადრე XII—XIII საუკუნეებში, როცა საქართველომ აღმოსავლეთში მოწინავე ადგილი დაიჭირა. საკმარისია ადამიანმა მაშინდელი ბრწყინვალე დარბაზობის აღწერა გადიკითხოს (იხ. ქართ. ცხ., 416—420, 433, 439, 441, 448); რომ ცხადად წარმოიდგინოს, თუ რა დიდძალი ქონება და სანოვაგე დასჭირდებოდა სამეფო ტახტს.

3. **სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე.** საბუთებიდანა ჩანს, რომ **გამგეობის ხელისუფლებს,** როგორც, მაგალითად, ერისთავთ-ერისთავებს, ერისთავებს, ციხისთავებს, მოსაკარგავე აზნაურებს, ხევისუფლებს და სხვ. **თავიანთი სარგო ჰქონდათ გადაკვეთილი,** რომელსაც საერისთავო, საციხისთავო, სახევისუფლო ერქვა. რაკი ეს ყველა გადასახადი ყველა სიგელში სახელმწიფო „გამოსავალ“-ის ცალკეა დასახელებული, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ **მათი „სარგო“ სახელმწიფო ხაზინაში კი არ შეჰქონდათ გადასახადის ამკრებლებს და იქიდან ეძლეოდათ, არამედ აკრებისთანავე დანიშნულებისა და კუთვნილებისამებრ აბარებდნენ ხოლმე მოხელეებს.** ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ **დიდებულ ხელისუფლებს, როგორც მაგალითად ამირსპასალარს, მსახურთ-უხუცესს, მანდატურთუხუცესს „საპატიო სახარაჯო“ მიწები ჰქონდათ და იქიდან იღებდნენ გადაკვეთილ ფულსა და ჯორნახულს, ასე რომ ვგონებ სახელმწიფო ხაზინიდან არც მათ ეძლეოდათ რამე: მაგრამ დარბაზის მრავალრიცხოვანი მოხელეები:** მწიგნობრები, მწერლები, კელოსნები და მმართ-

ველობის დანარჩენი მოსამსახურეები, მალემსრბოლნი და სხვანი, უეჭველია ხაზინიდან მიიღებდნენ თავიანთ ხარჯოს. ამას გარდა, საზოგადო გზების, ხიდებისა და თავშესაფრების და საავადმყოფოების გაკეთება და შენახვა ცოტა ფულს არ მოითხოვდა.

4. დასასრულ, შემოსავლის ნაწილი ხმარდებოდა დიდძალ, მუდმივი ჯარის შენახვას, რომელიც საჭირო იყო „ციხეთა და ქალაქთა შინა მდგომად და დამჭირველად და გარეშე მტერთან საბრძოლველად" (ქართ. ცხ., 357). მარტო დავით აღმაშენებლის დროს ქართველთა ჯარის გარდა 50,000 ნაქირავები ჯარი იყო; თამარ მეფის დროს ხომ უფრო მეტი იყო საჭირო (ibid., 438). ამ დროს ძველი და ახალი ყივჩაყების გარდა ოსებიც მრავლად ერივნენ მუდმივ ნაქირავებ ჯარში (ibid., 439). ამათი შენახვა მშვიდობიანობის დროს, მერე ნადირობის მოწყობა, რომელშიაც ყოველთვის ჯარი იღებდა ხოლმე მონაწილეობას, იმიტომ რომ წინათ ნადირობა ლაშქრისათვის ალლუმის მაგიერი იყო. ეს ხუმრობა საქმე არ არის და ცოტა ფული არ დაიხარჯებოდა. უმიზეზოდ კი არ უსაყვედურებდნენ, ერთი მხრით, დავით აღმაშენებელს მისი მოწინააღმდეგენი—საქართველოს „ესოდენ მჭირხედ დამოლაშქრებისათვის" (ibid., 376), მაგრამ მაშინ სხვაფრივ არ შეიძლებოდა.

თავი მეოთხე

საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

თუმცა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მხოლოდ შემთხვევით და გაკვრით ნათქვამი ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ისინიც საკმაოდ ცხოვლად გვიხატავენ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. ჯერ კიდევ არაბები საქართველოს არ შემოსეოდნენ, რომ იქაურობა, განსაკუთრებით დასავლეთი მხარე, სრულებით აოხრებული იყო. VI საუკუნეში ამ ადგილებში, რომელსაც მაშინ ლაზიკას ეძახოდნენ ხოლმე, სპარსელებსა და ბიზანტიელების შორის საშინელი გამწვავებული ბრძოლა იყო ატეხილი, შუაში კი მკვიდრი მცხოვრებნი იჭყლიტებოდნენ: მთელი ეს მხარე ამ ომების გამო აკლებული იყო (იხ. პროკოპი კესარიელის ისტორია, პროფ. დესტუნისის თარგ., წიგნი I, 12 და II, 15, 17, 28, 29, 30)[108]. მერე ზედ დაერთო შავი ჭირი, რომელმაც ამ დროს ჯერ ეგვიპტეში იჩინა თავი, მერე კი მთელ ქვეყნიერებას მოედო. ქვეყანა არ გადარჩა, რომ მუსრი არ გაევლო (იხ. პროკოპი კესარიელის ისტორია, ibid., წიგნი II, თავი 32). რასაკვირველია, არც საქართველოს ასცდებოდა. მერე არაბები შემოესივნენ და მურვანყრუმ გაიოხრა საქართველო. რაც არაბებმა დააკლეს, ის მოარულმა მუცლის სენმა დაასრულა და ქვეყანა დაღუპა. ყველა ამ გარემოებამ დასავლეთი საქართველო ისე გაანადგურა, რომ VIII საუკუნეშიც კი წელში ვერ გაიმართა, საშინელი უკაცურობა იყო. ჩვენი მემატიანე სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს: „ჴევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა ხჳარსთა უფლებისასა აოჴრდა, ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ლადონი, და კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლობისამან* მოაოჴრა კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ად-

* „სატალი — სენია, მუცელა, მომსვრელი" (საბა ორბელიანი, ლექსიკონი).

გილ ადგილო" (ე. თაყაიშვილის გამოცემა, „სამი ისტ. ქრონ.," გვ. 53). ამ ქვეყნების აოხრებასა და ამოვარდნას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დამწერიც მოგვითხრობს: „კლარჯეთს და ტაოსა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა მცირედნი იპოვებოდეს (ერის კაცნი) დაშრტნებულ ტყეთა შინა ადგილ ადგილ" (იხ. პრ. ნ. მარის გამოც., გვ. ია).

არაბები მთელ საქართველოს დაეპატრონენ. თუმცა მემატიანე სუმბატ დავითის ძე ამბობს: „იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ქვეყანი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი"-ო (ibid., გვ. 55), მაგრამ მარტოკა ეს მხარე კი არა, აღმოსავლეთი საქართველოც არაბების ბატონობის მძიმე ტვირთს ეწეოდა; ეს ცხადადა ჩანს აბო თბილელის ცხოვრებიდან. განსვენებული მეცნიერი ალფრედ კრემერი ამტკიცებდა, რომ არაბების ბატონობა თბილისს არც როდის არ უნახავსო, იმიტომ რომ ხარკის შემოსავალის ხარჯთაღრიცხვის სიაში იგი მოხსენიებული არ არის, ხოლო ეს იმას ამტკიცებს, რომ იქიდან ხარკს ბაღდადში არა გზავნიდენო (A. Kremer. Kulturgeschichte d. Orients, I, 341). მართალია, სიაში საქართველო ცალკე დასახელებული არ არის, მაგრამ ბ. კრემერი მაინც სცდებოდა და აი რატომ: არაბები თავდაპირველად, მანამ კავკასიას ხეირიანად არ გაიცნობდნენ, საქართველოსა და სომხეთს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ. საკმარისია ადამიანმა არაბების გეოგრაფიული თხზულებები გადაათვალიეროს, რომ დარწმუნდეს ამაზე: იქ სომხეთად ისეთ ქალაქებსა და ქვეყნებსა სთვლიან, რომელნიც უცილობლად საქართველოს ეკუთვნოდნენ. ცხადია, რომ რაკი არაბებს კავკასია საკმაოდ შესწავლილი არა ჰქონდათ, ყველაფერს სომხეთის სახელს ეძახდნენ, რადგან სომხეთი არაბების პირველი დაპყრობილი ქვეყანა იყო, როცა კავკასიაში შემოვიდნენ. ამიტომ შესაძლებელია საქართველოდან გამომავალი ფული პირველ ხანებში სომხეთის ხარკის სიაში ერთად მოქცეული ყოფილიყო, მერე კი ადგილობრივი თბილისის ამირა იქნებ იმდენად გათამამდა, რომ ხალიფას ფულს უჭერდა; ასეთი მაგალითებიც ბევრი ყოფილა ბაღდადის სახალიფოში. რომ აღმოსავლეთი საქართველოც, არაბების ბატონობის დროს, მძიმე ხარკს იხდიდა, ამას ამტკიცებს აბო ტფილელის ცხოვრების შესანიშნავი ავტორი იოანე საბანისძე, რომელიც ამბობს: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსაო" (საეკლ. მუზ. გამოც., გვ. 8). ხარკის ძლევა და სხვის მონობა არც თუ ძალიან საქებურია, რომ ავტორს ეს ცნობა სიცრუედ ჩამოვართვათ. ხარკი ძალიან დიდი იყო და მძიმე, კომლზე ოქროს დინარს ახდევინებდნენ და ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. მერე, როცა არაბების ძლიერებამ შესამჩნევად იკლო და შესუსტდა, საქართველომ გამოკეთება დაიწყო; მაგრამ სწორედ იმ დროს, X—XI საუკუნეებში გამწვავებული ბრძოლა ატყდა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის და ამ ბრძოლამ დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს სამშობლოს, დიდი ცოდვა და უბედურება დაატრიალა ჩვენს ქვეყანაში. როცა გიორგი მეფის (1014—27) ჯარმა ომის დროს სულმოკლეობა გამოიჩინა, ბოლომდე ვერ მოითმინა და უკან დაიხია, მაშინ ბიზანტიის კეისარი „ბასილი უკანა წარუდგა და მოვიდა არტანს და დაწუა იგი და რომელი პოვა ტყვე ყო, ხოლო გიორგი წარმოვიდა ნიგალითა კერძო სამცხედ და მიუდგა მას უკანა ბასილი ჯავახეთითა კერძო და მოაოხრა ყოველივე, გარდავიდა გიორგი თრიალეთად და მოადგა ბასილი თრიალეთად"-ვე, მაგრამ როცა დაინახა, რომ გიორგის მეშველი ჯარი მოუვიდა, „შეიქცა თრიალეთით და უკუ-მოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთ-

რისათა და კუალად უბოროტეს აღრე მოაოჴრა“-ო (სუმბატის ქრონიკა, „სამი ისტ. ქრ.,“ გვ. 68—69).

ჩვენი მემატიანის ამ ცნობებს ამართლებს და კვერს უკრავს არაბების ერთი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი, რომელიც გვიამბობს, რომ ბასილი მეფემ ქართველ მეფის ქვეყნები და სოფლები ჯერ გაძარცვა მერე კიდევ გადაბუგა, ხოლო ტყვედ წაიყვანა, დახოცა და თვალები დასთხარა 200000 კაცზე მეტსაო (В. Розен. Император Василий Болгаробойца, извлеч. из летоп. Яхьи. Антиох., გვ. 62). თუნდაც რომ არაბი მემატიანე რიცხვში სცდებოდეს, მაინც როგორც ქართულ, ისე არაბულ ცნობებიდან ცხადადა ჩანს, რომ ბიზანტიის კეისარს ქვეყანა გაუნადგურებია და ხალხისათვისაც დიდი ზიანი მიუცია. ცოტა ხნის შემდეგ, 1023—1024 წწ., გულზე მოსული ბასილი კეისარი — გიორგი მეფემ და ქართველებმა ჩემი მოტყუება რად განიზრახესო, ქართველ ჯარს დაეცა და „მოისრნეს ურიცხვნი პირითა მახვილისათა და რომელნიმე მეოტ იქმნეს; წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეფო ყოველი სრულიად, რომელი აქუნდა“-ო,—გვიამბობს სუმბატ დავითის ძე (სამი ისტ. ქრ., 73). ამ შემთხვევაშიც არაბი მემატიანე ჩვენი ისტორიკოსის ცნობას საუცხოოდ ამტკიცებს და უფრო მეტ მასალასაც გვაწვდის; იმის სიტყვით, კეისარს გიორგი მეფის ფულისა, განძისა და სურსათის გარდა ლაშქრის მთელი ქონებაც და დიდძალი საქონელი, ცხენები და ხარები ჩაუვარდაო ხელში (В. Р. Розен. Импер. Василий Болгаробойца, извлеч. из летоп. Яхьи. Антиох., 65). დიდი ხანი არ გასულა, რომ ბასილი კეისრის ძმამ კონსტანტი კეისარმა „მოაოჴრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოჴრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა და უმეტესცა, რამეთუ მოიწია ესე თრიალეთს, ციხესა ქუეშე კლდე-კართასა... და მისცნეს ციხენი“ (სუმბატის ქრონიკა, „სამი ისტ. ქრ.,“ გვ. 76).

იაჰია ანტიოქელი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიელებმა ქვეყანა გააოხრეს და გადასწვეს, ხოლო მცხოვრებნი ზოგი დახოცეს, დიდძალი კიდევ ტყვედ წაასხეს, ვინც მიუვალ მთებში გახიზნა მოასწრო და იქ შეეფარა, მხოლოდ ის გადაურჩა სიკვდილსაო (В. Розен. Импер. Василий Болгаробойца, извлеч. из летоп. Яхьи Антиох., 70).

ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოს, რომელიც VIII საუკუნეში იმდენად აოხრებული იყო, რომ „მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ ადგილ“. ბიზანტიელ კეისრების თავდასხმა და ნავარდობა XI საუკუნეში, ისევ ისე საშინელ განსაცდელში ჩააგდებდა, ქვეყანას ამოაგდებდა და მოსახლეობას ამოსწყვეტავდა; იქნებ VIII საუკუნესავით ეს მხარე „გარეშე მცირედთა სოფელთასა უშენებელ“ არა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ხალხი მეტის მეტად უნდა შემცირებულიყო; სამჯერ ზედიზედ აკლებისა და განადგურების ატანა ხომ ხუმრობა საქმე არ არის.

ათას მესამოცე წლებში დასავლეთ ბიზანტიელებისაგან აოხრებულ საქართველოში საშინელი შიმშილობა იყო; გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს, რომ შიმშილით ბევრი დახოცილა, ხოლო ვინც სიკვდილს გადურჩა, ისიც „მრავლითა ჭირითა ცხოვნდებოდეს და შორის სიკვდილისა და ცხოვრებისა მყოფი იყო“; ხალხი უწმინდურ საჭმლით ირჩენდა თავსა, მშობლები თავიანთ შვილებსა სტოვებდნენ სხვებთან და თვითონ გარბოდნენ (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, საეკლ. მუზ. გამოც., გვ. 325-6). ჯერ შიმშილობა ხეირიანად არ მიყუჩებულიყო, რომ ჯავახეთს 1064 წ. თურქები ეწვივნენ და „არა

თუ ახალქალაქისა მკჳდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი მჟრ-მჟრად მოისრნეს და წარწყმდეს“ (ibid., 329).

ეს გახლდათ საქართველოს ახალი მტრის სულთან ალფარსლანის საქმე, რომელიც „უვრმნეულად მოვიდეს, შემუსრა კანგარი და თრიალეთი და დღესა ერთს მარბიელმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღევის კევს და თჳთ დადგა თრიალეთს სამ დღე“, მერე ქართველ მეფეს დაედევნა, „მოუჴდა ლაშქარი სულტნისა, წარვიდეს და წამოუდგეს ქედსა ზედა, ხოლო იგინი ჩამოესწრნეს ქართლს, წავიდა ჯავახეთს და მოადგა ახალქალაქს... და იბრძოდეს სამ დღე, (და) რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულიყო ახალქალაქი, ვერღარა დაუდგეს ბრძოლითა: აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განუხუნეს კარნი და შეიბნეს ძლიერად, მოსრეს პირითა მახვილისათა; შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყუეს ურიცხვი ერი ქრისტიანეთა, აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი; **შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა**“-ო (მარიამ დედოფლის ქართ. ცხ., გვ. 268—269, ე. თაყაიშვილის გამოც. და ქართ. ცხ., 331—332). ასეთი საშინელი სისხლის ღვრა მოხდა ამ ადგილას. მაგრამ ალფარსლანმა ეს არ იკმარა: 1068 წელს („ქრონიკონი იყო სპც“) იგი წარემართა აფხაზთა (ე. ი. ქართველ) მეფისა ზედა და მიერთნეს სომეხთ-მეფე კჳრიკე და ტფილელი ამირა და აღსართან, შემოჰყვეს ქართლსა თანა; ჯაჭვით გაუშვეს მარბიელი ცისკრად და სამწუხროდ აღივსო ყოველი ქართლი თუესა დეკემბერსა ათსა დღესა ორშაბათსა“ (მარიამ დედოფლის ქართ. ცხ., ibid., 271 და ქართ. ცხ., 334). მემატიანეს სიტყვით „იყო ქართლსა შინა პური და ღჳნო ფრიადი“; სულთანი იქ ექვსი კვირა დარჩა და იწყო ოჴრებად და კოცად კაცისა და გარდავიდა მარბიელი მისი არგვეთს; მიუწიეს დაარბიეს ვიდრე რუის (ან სვირის ციხემდე“. სულთნის ჯარმა საშინელი დღე დააყენა ქართველებს: „მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა სამაგელ ქვეყანა ქართლისა სახილველად კაცთა, მოოჴრდეს ყოველნი ეკლესიანი, სიმრავლითა მძორისათა არა დაედგმოდეს ქვეყანასა თუალნი“,— მოგვითხრობს ისტორიკოსი (მარიამ დედოფ. ქართ. ცხ., ibid., 261 და ქართ. ცხ., 335). რაც მტრის ხელმა დააკლო, ის ბუნებამ დაასრულა. საუბედუროდ სწორედ მაშინ უნდა ყოფილიყო „ზამთარი სასტიკი“; იმიტომ „რომელი გარდაეხუეწა და მიმართა მთათა, მოსწყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა“ (ibid., 271 და ibid., 335). კიდევ საშინელ სიცივესა და ქარბუქს რომ არ შეეწუხებინა, ალფარსლანი საქართველოდან ფეხს არ მოიცვლიდა. დაბრუნებისას მან თბილისი და რუსთავი ქართველებს წაართვა და განძის მფლობელს ფადლონს უბოძა. ზამთარს ჩიოდნენ, მაგრამ არც გაზაფხულმა დააყარა ხეირი ისედაც განადგურებულ ქვეყანას...

დიდი თოვლი რომ გადნა, „შეიქმნა სიმდიდრე წყალთა ძლიერი და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინობასა თჳსსა, მოეფინა ველთა და წაიღო მრავალი სული, რომელი დარჩომილ იყო სულტნისაგან“-ო, — გვიამბობს ისტორიკოსი (ibid., 272 და ibid., 336); საშინელმა წყალდიდობამ წალეკა ბედკრული ქართლი და საშინელი ცოდვა დაატრიალა. ამავე დროს ფადლონი კიდევ ქართლს არბევდა (ibid., 273 და ibid., 336). ასეთ მდგომარეობაში და გარემოებაში მყოფ ბაგრატ მეფესთან „არონიებდა სულტანი მოციქულთა და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა“, მაგრამ საქართველოს ბატონიც ისეთისავე თავაზიანობით, ხერხით და ტკბილის სიტყვით ხვდებოდა ხოლმე თავის

მოპირდაპირის მოციქულებს, ყმობას კი არა კადრულობდა. მემატიანე ამბობს: „არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა და იყო მათ შორის სიტყვა-სიყვარული"-ო (ibid., 276 და ibid., 339).

გიორგი II (1072—1089) მეფობის დროს საქართველოს მელიქ-შაჰი არ აძლევდა მოსვენებას: შემოესია, „დაიჭირა სამშვილდე სულტანმან და მუნ დგომასა მოარბია ქართლი, წაიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი" (ibid., 279 და ibid., 342). მაგრამ რაც 1080 წელს („ქრონიკონი იყო ტ") თურქებმა საქართველოს დღე დააყენეს, იმისთანას ჩვენი ქვეყანა იშვიათად თუ მოსწრებია. როცა თურქები გამლიერდნენ ბიზანტიის მოხელეებმა თავიანთ ციხე-ქალაქებს, რომელიც აღმოსავლეთში, საქართველოს მეზობლადა ჰქონდათ, თავი მიანებეს; თურქები დაეპატრონენ დატოვებულ ქვეყნებს და ფეხი მაგრად მოიკიდეს; მიჰყვეს ხელი საქართველოს და იწყეს „მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოჴრებად, წვად, სრვად და ტყუენვად ქრისტიანეთა" (ibid., 282 და ibid., 343). ერთხელ თვით გიორგი მეფეს უცბად თავს დაესხნენ კიდეც და უკუაქციეს იგი თავის მრავალრიცხოვან ჯარითურთ, „ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი ოქროსა და ვერცხლისანი ბაგრატეულნი და სასმურნი, სამწდეონნი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი, ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად"-ო, — მოგვითხრობს ისტორიკოსი (ibid., 282 და ibid., 344). როცა სხვა თურქებმაც შეიტყვეს, რომ საქართველო უპატრონოდ არის დარჩენილი და გაცარცვა ადვილი იყო, მაშინვე შემოიჭრნენ და „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქვეყანასასა, ვითარცა მკალნი და დღესა ივანობასა ასისფორი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო, ჭყონდიდი აღივსო თურქითა; მოისრა, ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი; მასვე დღესა დაწუეს ქუთაისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი" (ibid., 282 და ibid., 344). მანამ თოვლი არ მოვიდა, თურქებს საქართველოდან ფეხი არ მოუცვლიათ; „მოჭამეს ქვეყანა და მოსწყჳდეს თუ სადმე ვინ დარჩომილიყვნეს ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა"-ო, — მოგვითხრობს ისტორიკოსი (ibid., 283 და ibid., 344—345). ვინც გადარჩა, თავზარდაცემული მთიულეთს გარბოდა, მაგრამ ვაი ამ გახიზვნას!... თითქოს განგებ სწორედ ამ წელსაც საშინელი სუსხიანი და ფიცხელი ზამთარი დაიჭირა; დიდძალი ხალხი ყინვითა, უსახლობითა და შიმშილობით გამოესალმა მაშინ წუთისოფელს (ibid., 283 და ibid., 345). გაუტკბათ თურქებს საქართველოში თარეშობა და ცარცვა-გლეჯა: გაზაფხულდებოდა თუ არა, მაშინვე საქართველოს მოედებოდნენ ხოლმე. მოსვენება არ იყო მათგან. მემატიანე მოგვითხრობს, „**არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა-მკა**"-ო; ან კი ხვნა თესვისთვისა ვისა სცხელოდა, სიცოცხლე ვისა ჰქონდა მობეზრებული, რომ მთებიდან ბარად ჩამოსულიყო. გაოხრდა და აოვარდა ქვეყანა; ნაცვლად კაცთა მჴეცნი ველისანი დაემკჳდრნეს მათ შინა" (ibid., 283 და ibid., 345). ქართლის ჴალაკები და ნაჭარმაგევი „აღსავსე იყო ირმითა და ჯმუთა მიერ" (ibid., 288 და ibid., 349). ამ მტრის ნავარდობასა და ცარცვა-ყვლეფას ბუნების რისხვაც ზედ დაერთო: 1089 წელს (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, 233) ისეთი საშინელი მიწის ძვრა ატყდა, რომ, „შეიძრა საფუძველითურთ ესე ოდენ სასტიკად, ვითარმედ მთანი მაღალნი და კლდენი სასტიკნი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქნეს და დაირღუნეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა, რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ" (ibid., 286—7

და ibid., 347—8). საშინელება რამ იყო ეს მიწის ძვრა: ერთი წლის განმავლობაში რყევა არ შეწყვეტილა და დიდძალი სული იმსხვერპლა კიდეც (ibid.). ისედაც შეშინებული ხალხი თავზარდაცემული იქით-აქეთ გარბოდა; „თჳნიერ ციხეთა სადამე არასადა იყო სოფელსა შინა კაცი არცა შენებულებაო", ამბობს თანამედროვე მემატიანე (ibid., 288 და ibid., 348). საკვირველი ის არის, რომ მაშინდელი ქართველები სულით იმდენად ძლიერნი და გულგაუტეხელი იყვნენ, რომ ასეთ პოლიტიკური პირობების მიუხედავად, მწერლობასა და ხელოვნებას თავს არ ანებებდნენ... გასაოცარია სწორედ!.. ამ ხანაშია დაწერილი მრავალი საუკეთესო ხელნაწერი, სხვადასხვა თხზულებები, როგორც ნათარგმნი, ისე ადგილობრივი, აშენებულია ბევრი საუცხოვო ჩუქურთმიანი, შიგნით მოხატული ეკლესია-მონასტრები, გაკეთებულია ხელოვნური ნივთები. მაშინ ბრძოლაც იცოდნენ, ცხოვრებაც და სასოწარკვეთილებაში არას დროს არ ჩავარდებოდნენ ხოლმე. ასეთ საზარელ მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავიდა; აოხრებული და აწიოკებული ქვეყნის მართვა-გამგეობა ხვდა წილად. სამეფო იმდენად დაპატარავებული იყო, რომ მემატიანეს სიტყვით: „იყო მაშინ საზღუარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წალულის თავსა" (ibid., 288 და ibid., 349).

თავი და თავი საქმე მცხოვრებთა დამშვიდება და გამხნევება იყო, თორემ ტყე-მთიან ადგილებში გადაკარგული დაშინებული ხალხი ადვილად არ დაბრუნდებოდა ბარად. დავით აღმშენებელმა თავისი ერთგული პირები მოიხმო, „სხუანიცა აზნაურნი მცირედ მცირედ შემოკრიბნა სადამე დაშთომილნი და სოფლებთაცა იწყეს შთამოსლვად და დასხდომად" (ibid., 288 და ibid., 348). საქართველოს საბედნიეროდ მალე, 1092 წელს მოკვდა დაუძინებელი მტერი სულთანი მელიქ შაჰი (ibid.). რაკი დავით აღმაშენებელმა დაინახა, რომ უცხო მტრის შიში ცოტადაც არის მიყუჩდაო, მაშინვე სამეფოს აშენებას შეუდგა. ტყუილად კი არ ჰქვიან მას „აღმაშენებელი" მეტსახელად: ყველაფერი მირეგვმორეგვილი იყო და მხოლოდ ისეთი დიდბუნებოვანი და ნიჭიერი პოლიტიკოსი თუ შეძლებდა დაცემულ სახელმწიფოს აღდგენის ხელის შეწყობას, როგორიც დავით მეფე იყო, თორემ სხვა ვერავინ. იმთავითვე მას გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რა ასუსტებდა საქართველოს. დავითი ხედავდა, რომ გარეშე მტრის მოკვერიება იმიტომ ძნელდებოდა, რაკი შინაური ბრძოლა მთავრობისა და დიდებულ აზნაურებს შორის სახელმწიფო ძალას და ერთობას ძირს უთხრიდა; რომელს ერთს ასვლოდა მეფე, გარეშე მტერს, თუ ურჩ დიდგვარიან მოხელეს, რომელსაც მედიდურობისა და ქედფიცხელობისაგან გული ყელში ეჩარა, რომელიც გაბრაზებული არ დაინდობს და თავის ეროვნების მტერს მიემხრობა და ბრძოლაში დაეხმარება? დავით აღმაშენებელმა დაინახა, რომ დაყვავებითა და ალერსით ვერას ხდებოდა და ისევ ძალით დამორჩილება არჩია და თავისი გაიყვანა კიდეც (იხ. ამის შესახებ ჩემი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია"). მაგრამ ყველაფერი ამაო იქნებოდა, თუ რომ მეფე გარეშე მტერს ვერ მოიგერიებდა და საქართველოს მუდმივ თავდასხმასა და დაწიოკებას თავიდან არ ააშორებდა. ამისათვის კი ძალა იყო საჭირო, კარგი ლაშქარი, რომელიც ყოველთვის გამოსადეგი ყოფილიყო და ხელმწიფის ბრძანებას დაუყოვნებლივ აასრულებდა; ადგილობრივ, აზნაურთა ყმების ჯარი ამ მიზნისათვის ზოგჯერ, როცა ყმების რომელიმე პატრონი მეფეს ეურჩებოდა ხოლმე, სანდო არ იყო იმიტომ, რომ გულმოსულს აზნაურს ყოველთვის შეეძლო ხელმწიფის მტრობით ან დროზე არ გამოცხადებულიყო, ან ეღალატნა კიდეც. ამის გამო დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა საქართველოში

მუდმივი, ნაქირავები ჯარიც შემოიღო, რომელიც ურჩ აზნაურთაგან დამოუკიდებელი და მეფის თვალწარბში შემაყურებელი იქნებოდა. თავის გადაწყვეტილება განახორციელა კიდეც· ახლა მას 50000 მზამზარეული, საუკეთესოდ გაწვრთნილი და მუდამ მომზადებული ცხენოსანი ჯარი ჰყავდა: საითკენაც კი მტერი გამოჩნდებოდა, მეფე მაშინვე იქითკენ სწრაფად გაეშურებოდა თავისი ერთგული გამოცდილი ლაშქრით და მოპირდაპირეს უგრძნეულად თავს დაესხმოდა ხოლმე; იშვიათად თუ ეს ხერხი არ გასჭრიდა: მოულოდნელი დაცემისაგან თავზარდაცემული მტერი საუცხოოდ გაწვრთნილი ჯარის იერიშს ვერ უძლებდა და გარბოდა ხოლმე. დავით აღმაშენებლის შორსგამსჭვრეტელობამ გასჭრა და საქართველო გარეშე მტრისაგანაც უზრუნველყო და თუ ვინმე გაკადნიერდებოდა· შესაფერისს პასუხსაც მიიღებდა; ახლა მეზობლებიც პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ საქართველოს. ნაქირავებ ჯარის შესახებ ისტორიკოსი სამართლიანად ამბობს, „არცა ცუდად დაშვრა, არცა უსაქმოდ მათი გამოყვანება, არამედ მათითა კელითა მოსრა სრულიად სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანაყოლითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი“-ო (მარიამ დედ. ქართ. ცხ., 301 და ქართ. ცხ., 358—9). რასაკვირველია, 50000 ნაქირავები მუდმივ ჯარის შენახვა, ადგილობრივის გარდა, ხუმრობა საქმე არ იყო, დიდძალი ფული დაიხარჯებოდა. აკი საქართველოს ზოგიერთი მაშინდელი მოღვაწე მეფეს ბრალსა სდებდა „ჯერეთცა ესეოდენ მჭირსედ მოლაშქრობისათვის და დაჭირვებისა“ (ibid., 327 და ibid., 376—7); ქვეყანა ვერ აიტანს ამდენს ხარჯსა და ლაშქრობას და უბედურება დატრიალდებაო. თუმცა ზოგიერთი მათგანი გულწრფელად არ ამბობდა ამას და სხვა მუცლის ტკივილი ჰქონდა (იხ. ამის შესახებ „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“), მაგრამ ზოგს კი, უეჭველია, მართლა დიდ განსაცდელად მიაჩნდა. დავით აღმაშენებელმა საქართველო ასეთ საშინელ მდგომარეობიდან გამოიყვანა და მტრისაგან იხსნა, ქვეყანა ისე აამაღლა და მშვიდობიანობის უზრუნველყოფით ხალხის წარმატებულ ცხოვრებას ხელი შეუწყო, რომ ზემოაღნიშნული ბრალდება უსამართლოა, სხვაფრივ ამ დროს შეუძლებელი იყო მოქცეულიყო: ულაშქროდ საქართველო წინანდებურად მტრის ლუკმად გადიქცეოდა და **განა ქვეყნის მუდმივი დაწიოკება და განადგურება ათასწილად უფრო მეტად არ უჯდებოდა ქართველებს?** ეს მოსაზრება ავიწყდებოდათ გენიოსი მეფის მოწინააღმდეგეებს.

საკვირველი ის არის, რომ შემდეგ თვით დიდებულ მოხელეებს დაავიწყდათ თავიანთი ქვეყნისათვის გულმტკივნეულობა და მოლაშქრეობის პირველი ამტეხნი სწორედ ისინი იყვნენ ხოლმე. მართლაც, რამდენადაც უსაფუძვლო, ანუ გადაჭარბებული იყო დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ ჩივილი, მით უფრო სამართლიანი იქნებოდა ამგვარი საყვედური დიდბუნებოვანი მეფის მემკვიდრეების დროს, როცა ტყუილუბრალოდ, ხშირად სრულებით უმიზეზოდ ომების დაწყება იცოდნენ· მაგრამ მაშინ საყვედურს ვიღა იტყოდა, როცა სწორედ დიდებულ მოხელეების სურვილის გამო ატყდებოდა ხოლმე ომი. თითქმის მუდმივმა გამარჯვებამ და დიდძალმა დავლამ, რომელიც რჩებოდა ხოლმე ქართველ ლაშქარს, იმდენად წაახალისა, გაიტაცა და გაათამამა ქართველი მეომრები, რომ სულ ომიანობის ნატვრაში იყვნენ ხოლმე. მემატიანე მოგვითხრობს, რომ გიორგი III-ის დროს, რაკი დიდხანს ომი არ იყო, დიდებულებმა და ჯარმა ველარ მოითმინა, „ულონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი“-ო და მეფეს მოახსენეს: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“-ო (მარიამ დედოფ. ქართ. ცხ., 382—3 და ქართ. ცხ., 393—4). ქვეყანა დამშვიდე-

ბული იყო; განა საქართველოს უნდა დავიწყებოდა თავისი მდგომარეობა, როცა მას სრულებით უმიზეზოდ თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ, განა ქართველებს არ უნდა სცოდნოდათ რამდენად საშინელი იყო ასეთი ნავარდობა? ან კი რა საჭირო იყო ომიანობა, როცა შინ იმდენი საქმე ჰქონდათ გასარიგებელი. მაგრამ რაკი ლაშქარს ერთხელ გაუტკბება გამარჯვება და ნატყვენავის შოვნა, თავს ველარ შეიკავებს. თამარ მეფის მამა გიორგი იძულებული იყო ყველა მეზობლისათვის ომი აეტეხა, რომ მთელ ლაშქარს ტყვენვის და ნავარდის დაწყება შეძლებოდა. „უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა, შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა, კარისა და აშორნისა, ამირსპასალარისა და სომხითართა—მტკვარს აქეთ ვიდრე განძამდის, თჳთ ხასციანთა, ლიხთიმერთა და ქართველთა — განძისა დამართებით მტკვრის პირი იმიერ და ამიერ ხლათამდის, ჰერთა და კახთა ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის"; ისტორიკოსი დასძენს: „იქმნა ესე ვითარი უცხო ლაშქრობა, რომელ არა ოდეს ვის ეხილა"-ო (ibid., 392—3 და ibid., 393—4). ოღონდაც ასეთ უგუნურ ლაშქრობის ნახვა სწორედ რომ უცხო რამ არის: ადამიანი სწორედ თავისი თავის მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობელი ტყუილ-უბრალოდ გადიკიდოს და თავისადმი სიძულეილი ჩანერგოს. განა ასე არ იქცეოდნენ ქართველი დიდებულები და ლაშქარი? ქართველები ისეთ თავდაეიწყებამდე მივიდნენ, რომ ომიანობა სასიამოვნო ხელობად და გასართობად გაიხადეს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ გიორგი III „ოდესმე გაგზავნიდის სპათა თჳსთა და სპასალართა და მიუწევდის ნახჭევანის კართამდის და ოდესმე მასისამდის და ღაღუამდის, ოდესმე ბარდავამდის და ბელაყნამდის" (ibid., 385 და ibid., 395), ასე დასეირნობდნენ თავისუფლად. როცა თამარ მეფის დროს ერთხელ ცოტა ხნით მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ქართველები არავის ეომებოდნენ, მაშინ მხარგრძელი ზაქარია სპასალარი, მსახურთუხუცესი იოანე და ვარამ გაგელი წარუდგნენ ხელმწიფეს და მოახსენეს: შენი სამეფო ვრცელი და შენი წინააღმდეგი არავინ მოიპოვებაო, „აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანი თქუენი და დავიწყებასა მიეცნეს სიმჴნე მათი, არამედ აღვამჴედროთ ერაყს, რომგურსა* ზედა, რომელ არს ხვარასანი, რათა ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმჴნე ჩუენი... დალათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს მუნ ხვარასანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდის აღიჭურნენ და მზად იყვნენ საომრად" (ibid., 515—516 და ibid., 478). თამარმა დიდებულები შეყარა და დაეკითხა; აბა რასაკვირველია, „ჰსთნდა ყოველთა თქმული მათი და დაასკვნეს ლაშქრობა". მარტო იმის გულისათვის, რომ ჯარი უსაქმოდ არა ყოფილიყო და არ მოეწყინა, დიდსა და მეტად გაბედულ ომს იწყებდნენ, მთელ სამეფოსა სძრავდნენ, მეზობლებს უმიზეზოდ იკიდებდნენ!.. საქართველოს გარეშე პოლიტიკა სამხედრო დასის, ჯარის ხელში იყო ჩავარდნილი. ამას, როგორც ეტყობა, კარგადა ხედავდნენ მეზობლები და მემატიანეს სიტყვით „ყოველნი გარემოს მყოფნი ქალაქნი და ამირანი ძღვნითა და ჴარკის მოღებითა მოამშვიდებდეს პირსა მჴნეთა სპათა მისთასა"-ო (ibid., 495 და ibid., 462). დიახ, საქმე იქამდე იყო მისული, რომ ჯარის პირის მომშვიდება იყო საჭირო, თორემ მაშინვე დაიძახებდნენ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა"-ო და მათ ქვეყანას სულ მთლად დააწიოკებდნენ!.. მართალია, მარტო საქართველოში არ იყო ასეთი მდგომარეობა; სხვაგა-

---

* მაზრის სახელია. იხ. Бартольд. Историко-геогр. обзор Ирана, 36.

ნაც, სპარსეთშიაც და დასავლეთ ევროპაშიაც სულ ომიანობაზე ეჭირათ თვალი, ეგებ სადმე ჩვენი ვაჟკაცობა და ძალა გამოვიჩინოთ და თანაც დავლა ვიშოვნოთო, მაგრამ ქართველებს, რომელნიც ცოტა ხნის წინათ თვითონ კინაღამ მტრების ლუკმად არ გახდნენ, უნდა თავდაჭერით ემოქმედნათ და შინაურ მდგომარეობაზე მეტი ეზრუნათ.

მაშინდელ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მთავრობას კი, როგორც ეტყობა, საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა საუკეთესოდ მიაჩნდათ: სამეფო გაფართოებული იყო, გარეშე მტრები ხმა ჩაწყვეტილები ისხდნენ თავიანთვის და, თუ ვინმე გაბრიყვდებოდა და საქართველოს ომს გამოუცხადებდა, შესაფერის პასუხს გასცემდნენ ხოლმე. დასასრულ, მთელი ქვეყანა სიმდიდრით იყო ავსებული. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გარემოება ყველას, დიდით პატარამდის, ქვეყნის მეტისმეტი წარმატების ნიშნად მიაჩნდათ. მართლაც, თამარ მეფის დროს სწორედ გასაოცარი სიმდიდრე იყო საქართველოში: თვალ-მარგალიტი იმდენი ტრიალებდა სამეფოში, რომ „წყვით დასდებდეს", როგორც ხორბალს; სამეფო საგანძურნი ოქროთი გავსებული იყო: მემატიანე მოგვითხრობს, რომ „ვეცხლისა ჭურჭელთა არღარა აქუნდა პატივი პალატსა შინა მეფისასა, რამეთუ ყოველი ოქროსა და ბროლისა წინაგებულ იყო ინდოურთა ქვათაგან შემკობილი"-ო (ibid., 506 და ibid., 471). სახელმწიფო ხაზინას, როგორც ზემოთ გამორკვეული იყო, მარტო ხარაჯა 75000000 ვერცხლის დირჰემზე მეტი შემოსდიოდა; დავლა კიდევ სხვა იყო; ხოლო დავლის წილი ლაშქარსაც ერგებოდა (ქართ. ცხ., 483) და ამნაირად ომიანობა ქართველი ხალხის შეძლებას ადიდებდა. მემატიანე წერს, რომ შამქორის ომის შემდეგ „მოიღეს ნიჭი არმაღანი და განძი აურაცხელი, კაცი — ჯელმწიფე, აზნაურთა მონამდის — თორმეტი ათასი, ავაზა — ორმოცი, ცხენი — ოცი ათასი, ჯორი — შვიდი ათასი, აქლემი — თხუთმეტი ათასი, ყოველი კიდებული სიმრავლეთა სიმდიდრეთა და საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა"-ო (ibid., 471 და ibid., 449). ასეთი უხვი ავლა უვარდებოდათ ხელში სხვა ომების შემდეგაც"* (იხ. ქართ. ცხ., 395, 450, 470, 471).

მერე, რაკი მაშინ ქართველობა აღმოსავლეთში ბატონობდა, ხალხი მტრის შემოსევისა და დაწიოკებისაგან უზრუნველყოფილი იყო, და მშვიდობიანად შეეძლო თავის საქმეს შესდგომოდა. ეს ისეთი ბედნიერება იყო ქართველი ერისათვის, რომელსაც ვერაფერი ვერ შეედრებოდა. ხალხი გამრავლდა გასაოცარი სისწრაფით. მცხოვრებთა რაოდენობის რიცხვი, რომლის დაახლოებით გამოანგარიშებაზე ქვემოთ იქნება ლაპარაკი, ცხადადა გვიჩვენებს, რამდენად იმატა ხალხმა ასი წლის განმავლობაში და რა მჭიდროდ იყო XII საუკუნეში საქართველო დასახლებული. 1254 წელს მონღოლებმა საქართველოში ხალხი და მისი ქონება აღწერეს. „იწყენ აღწერად კაცთაგან და პირუტყვთამდე, ყანით ვენაკამდე, და წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან და გამოვიდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მჴედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი"-ო, — მოგვითხრობს მემატიანე (ibid., 664—665 და ibid., 564). ბევრი 10000-სა ნიშნავდა ძველად; მაშასადამე, ცხრა ბევრი 90000-ს უდრის, ამოდენა მხედარი უნდა გამოსულიყო საქართველოდან. ხოლო რომ ამის კვალობაზე მცხოვრებთა რიცხვი გამოვიანგარიშოთ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ „ცხრასა გლეხსა

---

* შეიძლება, რასაკვირველია, რიცხვები გადამეტებული იყოს.

სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შააგდიან. ამ გამოკვლევის პირველ თავში ახსნილი იყო, რომ იმ განსაზღვრულ რაოდენობის მიწას, რომელიც გლეხს ჩვეულებრივ ეჭირა ხოლმე, ფუძეს, ან მიწას ეძახდნენ. ამიტომ მემატიანეს სიტყვა „სრულისა მიწისა მქონებელი" **სრულისა ფუძისა მქონებელსა** ნიშნავს. ჩვენ ვნახავთ, რომ სრული ფუძე დაახლოებით თორმეტ დღიურ მიწას და ერთს ვენახს უდრიდა, რომ ზოგჯერ ერთ ფუძეზე ერთი კომლის მაგიერ უკვე XII ს. ორი კომლი გლეხი იჯდა ხოლმე· უეჭველია, ამნაირად, მემატიანის „გლეხი სრულისა მიწისა მქონებელი" მარტოხელა კაცს კი არა ნიშნავს, არამედ ერთ სრულს ოჯახს, რომელსაც შეეძლო ორ კომლადაც ეცხოვრა. ამიტომ ისტორიკოსის ცნობიდანა ჩანს, რომ მონღოლებს მხოლოდ სრული ფუძის მქონებელი გლეხის ოჯახებიდან მხედარი გაუყვანიათ ლაშქრად, ვისაც ნახევარი, ან მეოთხედი ფუძე ეკუთვნოდა ის, ეტყობა, სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული ყოფილა. რასაკვირველია, თითო ფუძეზე ზოგჯერ ორი და სამი კომლიც იჯდებოდა, მაგრამ რაკი ახლა შეუძლებელია გამოვარკვიოთ, თუ რამდენ ფუძეზე ისხდა ერთ კომლზე მეტი, სავარაუდო, დაახლოებით ანგარიშის დროს სრული მიწის მქონებელ გლეხს ერთ კომლ სრული ფუძის მქონებელ გლეხად ჩავთვლით. რაკი ცხრა სრულმიწის პატრონ გლეხის ოჯახიდან ერთი მხედარი უნდა გასულიყო ლაშქრად და ჯარში წასავალი საქართველოდან 90,000 მხედარი აღმოჩენილა, მაშასადამე, **მაშინ ჩვენს საქართველოში მარტო სრული ფუძის, ან მიწის მქონებელი 810,000 ოჯახი ყოფილა.** თითო ოჯახში რომ ხუთი სული ვიანგარიშოთ, ამ დროს, უეჭველია, მეტიც იქნებოდა, — **საქართველოში 4050000 ისეთი გლეხი ყოფილა, რომელნიც სრულ ფუძეზე იჯდნენ**[109], იმათ გარდა ხომ ისეთი გლეხებიც იქნებოდნენ, რომელნიც სრული მიწის პატრონები არ იყვნენ; არც ბოგანოებია აქ სათვალავში მიღებული, არც უმიწაწყლო გლეხი; ამათ გარდა საქართველოში აზნაურები, მოხელეები, ვაჭრები და სამღვდელოება იყო; სათვალავში ისინი არ არიან შეტანილნი. მთელი ეს მრავალ გვარი და სხვადასხვა ნაირი ჯგუფი სულ ცოტა 500000-ად უნდა ჩავთვალოთ. ამგვარად, **საქართველოში მე XIII საუკუნის პირველ ნახევარში 5000000 კაცზე მეტი მცხოვრები უნდა ყოფილიყო**[110], ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ აღრიცხვა დავითის სამეფოს შეეხებაო. რამოდენა ადგილი ეჭირა დავითის სამეფოს, ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ამისდაგვარად მცხოვრებთა სიხშირე და ქართველების რაოდენობა თვალსაჩინოდ შეიცვლება. ბროსეს ჰგონია, რომ მემატიანეს ცნობა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთს, შეეხებაო და არა სჯერა, რომ ოდესმე შესაძლებელი ყოფილიყოს ასეთ პატარა მიწა-წყალზე ამოდენა აუარებელი ხალხი მოთავსებულიყოს (იხ. M. Brosset. Histoire de la Géorgie, trad. I-re partie, p. 551, შენ. 2). მართლაც, მემატიანე ორიოდე ფურცლით წინ თვითვე გვიამბობს, რომ საქართველოს გამგეობა ორი კაცის ხელში იყო, „შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავროდ" (მარიამ დედ· ქართ. ცხ., 656 და ქართ. ცხ.. 559). ორივეს დავითი ერქვა სახელად, ლიხთიმერი ერთს ეკუთვნოდა, ლიხთამერი მეორესა თუმცა მემატიანეს სიტყვები ხალხის აღწერის შესახებ ბუნდოვანია და შესაძლებელია მერმინდელ დროის გადამწერებისაგან იყოს ეს ადგილი დამახინჯებული, მაგრამ მაინც ახლაც უეჭველი უნდა იყოს, რომ მემატიანეს მთელ საქართველოს აღწერაზე აქვს ლაპარაკი, ანუ „დავითის სამეფო" სრულიად საქართველოდ მიაჩნია და არა ერთ ნაწილად, ერთ სამთავროდ; ეს თვით ისტორიკოსის სიტყვებიდანაც ჩანს, იმიტომ რომ იგი ამბობს, არღუნ ყაენმა' „წარაელინა **საქართველოს**, მეფეს დავითს წინაშე... და ვითარცა მოიწია **საქართ-**

ველოსა, დიდსა ჭირსა მიეცნეს **ყოველნი მკვიდრნი ამის სამეფოსანიო**" (ქართ. ცხ., 564). აქ საქართველოზე როგორც ერთს განუყოფელს სამეფოზეა ლაპარაკი; არღუნი საქართველოშია გამოგზავნილი და არა მის ერთს რომელიმე ნაწილში; ამიტომ **ცნობები ხალხის აღწერის თაობაზე მთელ საქართველოს უნდა შეეხებოდეს**. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის თხზულებიდანაცა ჩანს, რომ ხალხის აღწერა მთელ სამეფოს, მთელ საქართველოს შეეხებოდა. ქართველი დიდებულები შეიკრიბნენ თბილისს არღუნთან, რომელიც დიდმა ყაენმა ეზირადა და ზედამხედველად დააყენა მთელ ამ ქვეყანაზე, ე. ი. ყველა მბრძანებლად და სამეფო ხარკისა და დიდ მდივანის უფლად *(իշխեցող)*, რომელმაც ქრონიკონსა 703 **მთელი ეს ქვეყანა აღწერაო**" (*Պատմութիւն նահանգին Սիսական* პარიზის გამოც. II წ., გვ. 159), გვიამბობს სტეფანოზი. **ერთი სიტყვით, ქართველი ისტორიკოსის ცნობები ხალხის აღწერის შესახებ მთელ საქართველოს შეეხება**. ხოლო მაშინ საქართველოდ ყველა ის მიწა ითვლებოდა, რომელიც თამარ მეფის დროს და შემდეგაც ქართველებს ეკუთვნოდა (იხ., მაგ., ქართ. ცხ., 530, 531, 534, 541, 545), ე. ი. თითქმის მთელი ამიერკავკასია; შესაძლებელია, მხოლოდ შარვანი და სხვა ზოგიერთი მაჰმადიანთა სამფლობელო ჩამოსცლოდა. მაშასადამე, მონღოლების ბატონობის პირველ ხანებში საქართველოს სამეფოს საზღვრები კვლავინდებურად ხელუხლებელი დარჩომილა. ამის გამო 5000000 ორივე სქესის კაცი მთელ საქართველოს სამეფოს მცხოვრებთა რიცხვად უნდა ჩაითვალოს.

ხოლო საქართველოში მაშინ შედიოდა ჰერეთ-კახეთი, კამბეჩიანი, ტფილისიდგან აღმართ ვიდრე მთამდე შამახისა, ანისი, მთელი სომხითი, ქართლი, ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ ქალაქამდე და მთელი იმერი საქართველო (იხ. ქართ. ცხ., 541). მთელი ეს ქვეყანა ახლა ამიერკავკასიის უმეტესს ნაწილს შეადგენს, სახელდობრ: თბილისის, ქუთაისის, განჯის, ერევნის, ყარსის გუბერნიებს, ნოვოროსიის და ზაქათალის ოლქებს და 159. 606, 13 ოთხკუთხ ვერსტს უდრის. მაშასადამე 5000000 მცხოვრები იყო საქართველოს სამეფოში XIII საუკუნეში, საშინელ ომებისა და მონღოლების აოხრების დროს, თამარის მეფობაში კი, რასაკვირველია, 5000000-ზე გაცილებით უფრო მეტი მცხოვრები იქნებოდა, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ, თუ რა ხშირად ყოფილა მაშინ საქართველო დასახლებული, საჭიროა ამიერკავკასიის მცხოვრებთა რიცხვი გავიხსენოთ. 1897 წლის ხალხის აღწერის ცნობების თანახმად, მთელ ამიერკავკასიაში სულ ორივე სქესის 5565547 მცხოვრები იყო, ხოლო ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის ოლქის მცხოვრებთა რიცხვი რომ გამოვაკლოთ და მხოლოდ იმ გუბერნიებისა და ოლქების მცხოვრებთა ჯამი გამოვიანგარიშოთ, რომელნიც XIII საუკუნეში საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდნენ, დაგვრჩება 4167360 ორივე სქესის მცხოვრები. მაშასადამე, **იმავე ადგილზე XIII საუკუნეში 832640 სულით მეტი მცხოვრები ბინადრობდა, ვიდრე 1897 წელს; ერთ ოთხკუთხ ვერსტზე XIII საუკუნეში დაახლოვებით 32 კაცი მოსახლეობდა, 1897 წელს კი ამიერკავკასიაში მხოლოდ 21,6**. ახლა ყველგან მიწის სიმცირის ჩივილი გაისმის; XIII საუკუნეში **უფრო მჭიდროდ ყოფილა საქართველო დასახლებული, მაშასადამე, მიწის სიცოტავე უფრო მეტი იქნებოდა**, აკი იყვნენ კიდეც ამ დროს უმიწაწყლო გლეხები, რომელნიც მუშაობით ირჩენდნენ თავსა; მხოლოდ რაკი მაშინ აღებმიცემობა, ხელოსნობა და მრეწველობა განვითარებული იყო, უმიწობა ისე საგრძნობელი არ იქნებოდა, როგორც ახლა. თუმცა ჩვენ პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ რამ-

ლენი მცხოვრები იყო საქართველოში, როცა დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავიდა, არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის იმ აღწერილობის მიხედვით, რომელიც ზემოთ მატიანიდან ამოღებული და მოყვანილი იყო, მცხოვრებთა რაოდენობის დაახლოებით მაინც გამოანგარიშება შეიძლება.

თუ რამდენად იმატა მცხოვრებთა რიცხვმა დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლის შემდეგ, მეცამეტე საუკუნის ნახევრამდე, რასაკვირველია, ეს შეიძლება მხოლოდ დაახლოებით გამოვიანგარიშოთ. ზემოთ მოყვანილი იყო მემატიანის აღწერილობა, რომ დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლის პირველ წლებში საქართველო ისე აოხრებული და მოსახლეობა იმდენად ამოვარდნილი იყო, „რომელ ყოვლადვე აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ". საქართველო რამდენჯერმე მოსწრებია ასეთ აოხრებას; მეტადრე XVII—XVIII საუკუნეებში ამოგდებული იყო ქვეყანა; ვახუშტი მოგვეითხრობს, რომ ალექსანდრეს დროს რაკი კახეთი მშვიდობიანად იყო, „ესრეთ შენ იყო, ვითარ ძნიად სადამე იპოებოდა სანადირონი, რამეთუ იტყოდაცა: „ახ, ნეტარ ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქენდეს სანადირონი მრავლადი"; შემდეგ ვახუშტი დასძენს: „რომელი ექმნა ძისა ძესა მისსა თეიმურაზს (XVII ს. პირვ. ნახევ.), არამედ ვერცა-და თუ იგი მოცალეობდა ნადირად"-ო (ქართლის ცხოვ., ბროსეს გამოც., II, 110). მაშასადამე, კახეთი XVII ს. დაახლოებით იმდენადვე აოხრებული უნდა ყოფილიყო, რამდენადაც XI საუკუნის დასასრულს საქართველო ამოგდებული ყოფილა: ორივე შემთხვევაში ქვეყანას უკაცურობის გამო ნადირი დაპატრონებია. რაკი XVII—XVIII სს. განმავლობაში საქართველო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე შედარებით უკეთეს პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო, მცხოვრებთა რიცხვსაც შესამჩნევად უნდა ემატნა; მართლაც, ვახტანგ მეფის დასტურლამალიდან, რომელიც 1704 წლის შემდეგ არის შედგენილი, ჩანს, რომ მთლად ქართლში, არაგვის ხეობის გარდა, მცხოვრებთა ჯამი, თავადებისა და ბოგანოების გარდა, შეადგენდა მხოლოდ 3387 კომლს (იხ. პ. უმიკაშვილის გამოც., დასტურლამალი, გვ. 44, 60, 74 და 84), ანუ 16935 ორივე სქესის მცხოვრებს; თავადებისა და ბოგანოების რიცხვიც რომ მივუმატოთ, სულ ბევრი-ბევრი 20000 მცხოვრებზე მეტის ანგარიში არ შეიძლება; 1770 წელს კი, როგორც იმდროინდელი ხალხის აღწერის დავთრებიდან ამოკრებილ ცნობებიდანა ჩანს, ქართლში 13840 კომლი ცხოვრობდა (იხ. ამ საბუთის შესახებ: ა. ცაგარელის წერილი, «Журн. Минист. Н. Просв.», 1883 წ., იანვარი, და ა. ხახანაშვილის — „კვალში", 1898 წ., № 11, გვ. 194—5) ანუ 69220 ორივე სქესის მკვიდრი; მაშასადამე, **მცხოვრებთა რიცხვს ერთი ხამად**, — მეტად და არანაკლებად, — უმატნია. ამის გამო, თუ ჩვენ შემდეგში სავარაუდო ანგარიშის დროს 1770 წ. დროინდელ ხალხის აღწერის დავთრების ცნობებით ვიხელმძღვანელებთ, რიცხვი შემცირებული კი არა, პირიქით, გადამეტებულად უნდა ჩაითვალოს. 1770 წელს ქართლსა და კახეთის სამეფოში, ყაზახისა და შამშადილის გარდა, სულ 50490 მცხოვრები კომლი ყოფილა (იხ. ibid.), ანუ 252450 ორივე სქესის ადამიანი; დაახლოებით ამდენივე და მეტიც შეიძლება ვიანგარიშოთ დასავლეთ საქართველოსათვის 300000; ხოლო სრულიად საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი, თავადაზნაურნიც რომ ზედ მივათვალოთ (1770 წლის ცნობებში მემატიანეთა წოდება ნაანგარიშევი არ არის), დაახლოებით 600000-მდე აუწევს. ამოდენა მცხოვრები იყო იმ დროს, როცა საქართველომ მოღონიერება დაიწყო. ამაზე ერთიორად ნაკლები მკვიდრი იქნებოდა მაშინ, როცა უკაცურობით მთა და ბარი მხეცსა ჰქონდა დარჩენილი. მაგრამ თუნდაც რომ XI საუკუნის დასასრულს, — მაშინაც ხომ ქვეყანა „აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ", — 600000

მცხოვრები ვიანგარიშოთ, მაშინაც, 150 წლის განმავლობაში საქართველოს უმწვერვალეს კეთილდღეობის დროს, მცხოვრებთა რიცხვს **ერთი ოთხად უმატნია**; 5000000 მთელი საქართველოს **სამეფოს** მცხოვრებთა რიცხვია და საკუთრად საქართველოზე რომ 2500000 მცხოვრები ვიანგარიშოთ მაშინაც საქართველოს მკვიდრთა რიცხვს ოთხჯერ, მეტად და არა ნაკლებად, უმატნია; ხოლო ეს გარემოება მართლაც მცხოვრებთა გასაოცარ ზრდასა და გამრავლებას ამტკიცებს. რომ ჩვენ მსხვილი შეცდომა არ უნდა მოგვედიოდეს, როცა 1770 წლის საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი სავარაუდოთ XI საუკუნის საქართველოს მცხოვრებთა რიცხვად მივიღეთ, მაშინვე დავრწმუნდებით, როცა მეათე საუკუნის დროინდელ მცხოვრებთა რიცხვს ქართლს 1770 წლისას შევადარებთ; ხოლო რამდენი მცხოვრები იყო X საუკ. ქართლში შეიძლება შემდეგი საშუალებით გამოვიანგარიშოთ: არაბი მწერალი იბნხალიკანი მოგვითხრობს, რომ იმ დროს ქართლი ხარკად 200000 დრამას იხდიდა (იხ. M. Ghazarian. Armenien unter der arabischen Herrschaft. Marburg, 1903, გვ. 67); ხოლო ბელაძორისაგან ჩვენ ვიცით, რომ ხარკი საქართველოში თითო კომლზე ერთი დინარი იყო გადაკვეთილი (იხ. ibid., გვ. 23, 24, 26); მაშასადამე, 200000 დრამა რომ დინარად ვაქციოთ, მაშინ რამდენი დინარიც გამოვა, იმდენი კომლი მცხოვრები იქნებოდა მეათე საუკუნის ნახევარში ქართლში; ამ დროს 15—13 დრამა 1 დინარს უდრიდა; ამისდაგვარად 200000 დრამა 14285 დინარს შეადგენდა, ამდენივე მცხოვრები კომლი ყოფილა, ანუ 71425 ორივე სქესის მკვიდრი (14285X5), ე. ი. დაახლოებით იმდენივე (ქართლში იყო 69220), რამდენიც ცხოვრობდა ქართლში 1770 წელს. მაშასადამე, ჩვენი სავარაუდო ანგარიში სიმართლესთან ძალიან ახლო ყოფილა.

ერთი სიტყვით, მეთორმეტე საუკუნეში საქართველო ბრწყინვალე ეკონომიურ მდგომარეობაში იყო: გარეშე მტრებისაგან სრულებით უზრუნველყოფილი ხალხი გასაოცრად მრავლდებოდა, სახელმწიფო ხაზინას დიდძალი შემოსავალი ჰქონდა, ალებ-მიცემობა და მრეწველობა ფართოვდებოდა და მატულობდა, ხალხი გამდიდრდა, გასაოცარი, აუარებელი ფული ტრიალებდა საქართველოში. განა გასაკვირველია, რომ მაშინ ქართველი ერი და მოღვაწეები თავიანთი მდგომარეობის კმაყოფილი ყოფილიყვნენ, რომ იგი ყოველმხრივ სრულად და უნაკლულოდ სჩვენებოდათ? ოღონდაც, რომ ასი წლის განმავლობაში ქართველმა ერმა უკიდურეს განსაცდელიდან და განადგურებიდან თავი დაიღწია და იმოდენა ძალა გამოიჩინა, რომ აღმოსავლეთში პირველი ადგილი დაიკავა, თავისი სახელმწიფო საზღვრები გააფართოვა და უთვალავი სიმდიდრე შეიძინა. მაშინ არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ საქართველოს, შესაძლებელია, რაიმე უბედურება დასტყდომოდა თავზე. ახლა კი, როცა მკვლევარი იმდროინდელ ეკონომიურ მდგომარეობას ღრმად ჩაუკვირდება, უეჭველია შეამჩნევს, რომ **საქართველოს უზომო, განმაცვიფრებელი სიმდიდრე ნამდვილს ბუნებრივს და საღს საფუძველზე არ იყო დამყარებული, რომ ამის გამო საქართველოს ქონებრივ შეძლებას მტკიცე ნიადაგი არა ჰქონდა**. თუმცა მეთორმეტე საუკუნეში აუწერელი სიმდიდრე და ფული ტრიალებდა საქართველოში, მაგრამ **იგი მარტო შინაურ მრეწველობისა და ალებ-მიცემობის შედეგი არ ყოფილა**, არამედ განსაკუთრებით ომებისა, სამხედრო დავლის, აგრეთვე ხარაჯის წყალობით მოგროვდა აუარებელი სიმდიდრე; ამან აავსო ფულით და განძით საქართველო; **ხოლო ეს ქვეყნის ნამდვილი, ჭეშმარიტი და მტკიცე ბუნებრივი სიმდიდრე არ არის**; ამ გზით შეძენილი ქონება ადვილად ქრება; ფულიც ხომ, როცა მას ალებმიცემობა და მრეწველობა არ იკავებს, უეჭველად

უჭტყუნებს ხოლმე თავის პატრონს. რომ საქართველოს სიმდიდრე და ეკონომიური კეთილდღეობა მართლა მტკიცე ნიადაგზე არ იყო მეთორმეტე საუკუნეში, ეს ცხადადა ჩანს იქიდან, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ქვეყანა მონღოლების დროს.

როცა მონღოლებმა 1236 წელს საქართველო დაიპყრეს და დაიმორჩილეს, ასი წლის მეტზე ბატონობას და თავისუფლებას მიჩვეულ ქართველებს საშინელი სარკი დაადეს; მათ აღწერეს „კაცთამდე და პირუტყვთამდე, ყანით ვენახთამდე, წალკოტით ბოსტნამდე" (მარიამ დედ. ქართ. ცხ., 664 და ქართ. ცხ., 564), რომ არაფერი არ გამოპარვოდათ სარკგაუწერელი, „და განაწესეს ძლევნი სოფლისაგან —ათასის მჴედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი ორი და მზიდი ცხენისა თეთრი სამი" (ibid., 665 და ibid., 565); მაგრამ არც ეს იკმარეს: არღუნმა დააწესა, რომ „რაცა განისყიდებოდეს ტფილისს ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდებოდეს"-ო (ibid., 670 და ibid., 568), ანუ **თითოეულ გაყიდულ საგნის ფასიდან 3% ბაჟი იყო შემოღებული**, და ამ ბაჟის ასაკრებად ერთი სპარსი ხოჯა აზიზი დანიშნა და ტფილისში დასტოვა; ეს მოხელე იქამდე გაკადნიერდა და გათამამდა, რომ „თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედაცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა იგი ტამღალ უწოდეს"-ო. — მოგვითხრობს ჩვენი მემატიანე (ibid., 670 და ibid., 568). თითოეულ სოფელს, მაშასადამე, სამი დრაჰკანი (ოქროს ფული იყო) ფულად და ერთი ცხვარი; ერთი კრავი კიდევ სხვა იყო, ეს მარტო სამხედრო მოხელეებს, ამას გარდა ცხენის გადასახადი სამი თეთრი (ვერცხლის ფული იყო) დღიურად და ბაჟი 3% თითოეულ გაყიდულ ნივთზე; ეს ამოდენა ხარკი—ჩვეულებრივ გარდასახადის გარდა — საშინელ ტვირთად დააწვა ქართველ ხალხს. მეფიდან დაწყებული, გლეხკაცამდე—ყველა შეწუხებული იყო (ibid., 670 და ibid., 568). დიდებული ერისთავთერისთავი კახა ამბობს. **„ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობაჲ და ალარ იყოს ხარაჯობაჲ აწინდელისა დებისაჲ"-ო** (რკონის სიგელი, თ. ჟორდანიას ქრონიკები II, 138). **ამ საშინელ ხარაჯობას, როცა თითოეულ სოფელს 3 ოქროს დრაჰკანი უნდა გამოელო ვერცხლის ფულისა, ცხვრისა და სხვა გადასახადის გარდა, შედეგად ის მოჰყვა, რომ ის დიდძალი, აუარებელი ფული, რომელიც XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში ტრიალებდა, სულ ცოტა ხანში გაჰქრა,** მონღოლების ხელში გადავიდა, სულ ხარაჯაში და ბაჟში წავიდა. ეს **მოხდა ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში;** მეცამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში ფული გადამეტებული იყო და იაფად ფასობდა, 1259 წელს კი კახა ერისთავთერისთავი თავის შესანიშნავ რკონის სიგელში ჩიოდა: **„ხარკობისაგან ოქროჲ ძვირად იყვის და სოფელი იეფადა"-ო** (თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, 133). ან კი რა გასაკვირველია: წინანდელ სიმდიდრის უმთავრესი წყარო — ძლევამოსილი ომიანობა, დავლა და ხარაჯა — შეწყდა, შეძენილი ფული და სიმდიდრე მონღოლების მიერ დადებულ გადასახადებში მიდიოდა და ადგილობრივ ძალიან ცოტაღა რჩებოდა. ამიტომ ფული, უეჭველია უნდა გაძვირებულიყო. მაგრამ რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა საშინელ ქონებრივ გაჭირვებაში ჩააგდო საქართველო მონღოლების ბატონობამ, ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ, რამდენად გაძვირებული იყო მაშინ ფული. საბედნიეროდ, საბუთები ნებას გვაძლევენ ეს საკითხი სავსებით გამოვარკვიოთ. კახა ერისთავთერისთავი თავის სიგელში ჩივის. მამულის სყიდვის დროს ფასში ერთი წილი განძად მივეცი და მეტად გამიჭირდაო, იმიტომ რომ „ზოგი მათ მომსყიდ-

ველთა წამილიან იეფად: **რაიც ხუთიათას თეთრად ღირდის ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი**, და ზოგი სხუაგან დიდებულთა ზედა გავყიდი: **რაიც ათი ათას თეთრად ღირდის ხუთი ათასად ძლივ გავყიდი**"-ო (თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, 134). მაშასადამე, რამიაც წინათ, როცა ფული ძვირად არ იყო, 10, 000 თეთრს აძლევდნენ ხოლმე, 1259 წელს მხოლოდ 5000 თეთრი, ანუ ერთი ორად ნაკლები უძლევიათ, ხოლო რაც წინათ 5000 თეთრად ღირებულა, მხოლოდ 2000 თეთრად, ისიც რის ვაივაგლახით, გაუსაღებია, ანუ $2^{1}/_{3}$ იაფად; ხოლო ეს იმას **ნიშნავს, რომ ფული ერთი ორად, $2^{1}/_{2}$ გაძვირებულა**. მაშასადამე, მაშინ ისეთი მდგომარეობა ყოფილა, რომ ახლანდელ კვალობაზე მანეთიან ნივთში მხოლოდ ათი შაური, ან ორი აბაზიღა შეაძლიონ. ამის გამო ყველაფერს ფასი დაეკარგა და თავდაპირველად, რასაკვირველია, მამულს; მიწას; აკი კახა ერისთავთერისთავი რკონის სიგელში ამბობს კიდეც: „ოქრო ძვირად იყვის და **სოფელი იეფადო**" (ibid., 133). სხვა საქონელიც მეტად იაფად იყო; იგივე კახა წერს: „**ბაღდადური ალაფი ყუელაჲ იეფად იყო**"-ო (ibid., 134). საშინელი ეკონომიური გაჭირვება არსებობდა საქართველოში: რაკი მამულს დიდი გადასახადი აწვა, ხოლო ფული მეტად ძვირად იყო, მამული გადასახადს ძლივს ძლიერობით ასდიოდა, სასოფლო მეურნეობა და მიწის მოქმედება ხელსაყრელი აღარ იყო; **ამის გამო ფულის გაძვირებას და მიწის ფასის დაცემას შედეგად მამულის ამოძრავება მოჰყვა**, დიდძალი სოფლის მამულები გაიყიდა, მეტადრე მსხვილი მამულები: კახა პირდაპირ ამბობს: „**მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაიყიდნეს ხარკობისაგან: ოქროჲ ძვირად იყვის და სოფელი იეფადო**"-ო (ibih., 133). რომ ეს მართალია, სხვა იმდროინდელ საბუთებიდანაც ჩანს. ზოგიერთი მამული ცოტა ხნის განმავლობაში ორჯერ, სამჯერ გაყიდულა (იხ. ibid., 159, 162). ბევრ მებატონეს გამოეცალა და წაუვიდა ხელიდან მამული, საშინელი ეკონომიური გაჭირვება დაატყდათ თავზე. ამ ძლიერმა და სწრაფმა ეკონომიურმა განსაცდელმა დიდი გავლენა იქონია, ღრმა კვალი დააჩნია საქართველოს საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას, რომლის შესახებ დაწვრილებით ჩვენი გამოკვლევის მეორე წიგნში იქნება ლაპარაკი. ახლა, ამ წიგნში საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ფულების შემოლევამ და გაძვირებამ, ერთი სიტყვით, საზოგადო ეკონომიურმა უბედურებამ **ყველა წოდება** საქართველოში საშინელ განსაცდელში ჩააგდო, **სამღვდელოების გარდა**. იმიტომ რომ არღუნმა „ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიო განწესებათა არა შეაგდო საზღავი, და არცა ყალანი, აგრეთვე შეხთა და დარვეშთა და ყოვლისა რჯულისა კაცნი სამღთოთა განჩენილნი ათაკისუფლნაო" (მარიამ დედოფ. ქართ. ცხ., 665 და ქართ. ცხ., 565), მონღოლების მძიმე გადასახადებს მხოლოდ მთელი სამღვდელოება, რჯულის განურჩევლად, და მათი დაწესებულებანი გადურჩა. მაგრამ თუ მონღოლებმა თავის მხრივ მათ მფარველობა გაუწიეს, საზოგადო გაჭირვებულ მდგომარეობის სუსხი არც მათ ასცდენიათ თავიდან. **გაღატაკებული მემამულენი, რომელთა წინაპრებსაც სხვადასხვა საყდრებისა და მონასტრებისათვის ოდესმე მიწები შეეწირათ, დაეხივნენ და ნაჩუქებს ისევ დაესაკუთრნენ**: რა ვქნათ, „ჟამისა ძნელბედობასა და საჭიროებასა" გამო იძულებული ვართ მიმტაცებლობა ვიკადროთო (იხ. ამდროინდელი საეკლესიო კრების ძეგლი, თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, 164), ასე იმართლებდნენ ხოლმე თავს ილაჯგაწყვეტილი აზნაურები. მონღოლების დადებულმა ხარკმა, მაშასადამე, საქართველოს წინანდელი ეკონომიური მდგომარეობის წყალობით, ხალხი საშინელ ქონებრივ განსაცდელში ჩააგდო და ერის კეთილდღეობა ძირიანად შეარყია; ოღონდაც, ეს საშინელი ეკონომიური უბედურება მტრისგან დამარცხებაზე უფრო უარესი უნდა ყოფილიყო.

თავი მეხუთე

საფასე და საზომი[1]

I. საფასე

ჩვეულებრივ იმ მადნეულ ნიშანს, რომელსაც ალებმიცემობის დროს ხმარობდნენ და ნასყიდ ნივთის ფასს პატრონს აბარებდნენ, ძველ საქართველოში „საფასეს“ ეძახდნენ ხოლმე. იოანესა და ექვთვიმის ცხოვრებაში, მაგალითად, თორნიკეს შესახებ ნათქვამია: სკლიაროსის ძლევის შემდეგ „კუალად აქავე (ესე იგი მონასტერში) მოიქცა ურიცხჳთა საფასითა და განძითა, რამეთუ უფროჲს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი ოდენ სხუათა ტურფათაგან კიდე“-ო (საეკლ. მუზ. გამოც., გვ. 14). საფასეს მაშინ ფულის მაგიერ ხმარობდნენ; ფული ქართულში შემდეგ შემოიხიზნა, სპარსულიდან (پول ფულ), რომელიც თავის მხრივ ბერძნულ ὀβολός ისაგან არის წარმომდგარი. ჩვეულებრივ ფულს ორივ მხრივ — შუბლზედაცა და ზურგზედ სურათები და წარწერები აქვს ხოლმე ამობეჭდილი; ფულის ასეთ წარწერებს ქართულად „ზედწერილი“ ერქვა (მათე, XXII, 20). ხოლო სურათს „ხატი“ (მათე, XXII, 20).

საქართველოში მიწიდან სხვადასხვა დროინდელი ფულებია ამოღებული; ამ ფულების შესწავლამ გამოარკვია, რომელი ხალხის ფული უნდა ყოფილიყო გავრცელებული საქართველოში. უძველესს დროს, ქრ. წინათ როგორც ჩანს, დრახმა, ათინური ძველი ტეტრადრახმა, ალექსანდრე მაკედონელისა და ეგრეთ წოდებული კოლხური ფული ტრიალებდა ჩვენში (იხ. V. Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquité jusqu's nos jours, Paris, გვ. 12)*. ჩვენამდე მოაღწია კოლხიდის მეფის არისტარქის ფულმაც, რომელიც პირველ საუკუნეს (ქრ. წ.) ცხოვრობდა; ამ ფულს ბერძნული ზედწერილი აქვს „Βασιλέως Ἀριστάρχου Κολχίδος“ (V. Langlois, ibid., გვ. 13). ხოლო II საუკუნიდან მოყოლებული ქრ. წ. უფრო მეტად სპარსეთის არშაკუნიანთა ფულები, განსაკუთრებით კი არშაკ IV, მითრიდატისა და მისი მემკვიდრეების ფულები დატრიალებდა თურმე საქართველოში. შემოდგეს თუ არა ფეხი რომაელებმა კავკასიაში, თან რომაული დინარიც შემოჰყვათ; უეჭველია, რომაელების ჯარის შემოტანილი და გავრცელებული უნდა იყოს ეს ფული; შემდეგ ვგონებ ქართველებსაც დაუწყიათ რომაული დინარების მსგავსი ფულების მოჭრა (ibid., 14, 15, 16). სპარსელმა სამეფო გვარმა სასანელებმა III საუკუნეში წმინდა ვერცხლის დრახმის ჭრა დაიწყეს; ეს ფულიც გავრცელებული ყოფილა საქართველოში და იმოდენა გავლენაცა ჰქონია, რომ თვით უძველესი ქართული ფულები სასანელთა ფულების ყალიბზეა მოჭრილი.

უძველესი ქართული ფულები იმავე სასანელთა ფულს წარმოადგენენ: შუბლზე მეფე ორმუზდის სახეა გამოხატული და პაჰლაური წარწერაცა აქვს გარშემო, ზურგზე ცეცხლის ბომონია და ორივე მხრივ ქურუმები ხატია; პაჰლაურივე წარწერა აღნიშნავს, რომ ფული ორმუზდ მეფის მეშვიდე წელს არის მოჭრილი

---

[1] პირველი გამოკვლევა ქართული ფულების შესახებ ეკუთვნის თ. მიხეილ ბარათაშვილს. Нумизматические факты Грузинского царства. 1846 წ.; შემდეგ: Brosset. Revue de numismatique georgienne; Bartholomaei, Lettres numismatiques archéologiques.

(ibid., 20), ესე იგი 586 წ. ქრ. შ.; ერთი სიტყვით, ნამდვილი პაჰლავური ფულის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ შუბლზე ზევით ასომთავრულად აღბეჭდილი ჰქონდა „გნ", „ვნგ", „ჯ˜ო", ანუ გურგენ, ვახტანგ, ჯუანშერ (?) (ibid., 20—26); შემდეგ სტეფანოსმა თავის ფულებზე მხოლოდ ორმუზდის სახე დასტოვა, მაგრამ გარშემო პაჰლაური წარწერა გააუქმა და მის მაგიერ თავისი სახელი „ს˜ფნს" — „სტეფანოს" ასომთავრულად აღნიშნა, ზურგზე კი, ცეცხლის ბომონის ზემოთ, ჯვარი გამოასახვინა (ibid, 29, 30).

არაბების შემოსევამ და ბატონობამ ქართულ ფულების მოჭრა შეაჩერა. პირველ ხანებში თვითონ არაბები ოქროს ფულს (ბიზანტიურს) ხმარობდნენ, ხოლო ვერცხლისას სასანელი მეფეების ფულების მსგავსსა სჭრიდნენ, მერე პაჰლაურ ფულს არაბულ ზედწერილებიც მიუმატეს (Бар. Тизенгаузен. Монеты Багдадскаго халифата, VIII). არაბული საკუთარი ფული ხალიფა აბდალ-მალიქმა შემოიღო 696 წელს. მალე არაბებმა საქართველოშიაც დაიწყეს საკუთარი ფულების ჭრა; პირველი, ტფილისში მოჭრილი არაბების ფული 704 წელს ეკუთვნის, მერე კიდევ უჭრიათ 825 წელს, 862—3 წელს, 864—5 წ., 864—5 წ., 906—7 წ.,909—10 წ., 919—20 წ., 923—4 წ., 924—5 წ. და 926—7 წელს (V. Langlois, Essai, 32 და Тизенгаузен. Монеты восточнаго халифата, 327).

როცა IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მეფობა განახლდა და საქართველოს სამეფო მოსულიერდა, თანდათან საკუთარი ფულების მოჭრაც დაიწყეს. მაგრამ თუ უძველესი ქართული ზედწერილიანი ვერცხლის ფულები სასანელი მეფეების ფულების მიბაძვით იჭრებოდა, ახლა ბიზანტიის ზეგავლენა ეტყობოდა ქართულ ფულებს; პირველი ამგვარი ფული დავით კურაპალატს (+1001 წ.) ეკუთვნის და შემდეგი ზედწერილი აქვს: შუბლზე — ქ˜ე შ˜ე დ˜თ. „ქრისტე შეიწყალე დავით"; ზურგზე — ჯვარის გარშემო — „კპტი=კურაპალატი; დავითის ფულებიც ვერცხლისა იყო; ამგვარად, კლავინდებურად საფასედ ვერცხლი იყო მიღებული და არა ოქრო, როგორც ბიზანტიაში. გარეგნობით ბიზანტიურ ფულს უფრო მეტად ბაგრატ IV (1028—72) და გიორგი II (1072—89) მოჭრილი ფულები მიაგავს; მათ ბერძნული ზედწერილიც აქვთ, ხოლო ქართულად აწერია; ქ˜ე ა˜დე ბ˜გტ აფხაზთა მ˜ფე და ნობელისიმოს = „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნობელისიმოს", ან „ქ˜ე ა˜დე და ბ˜გტ აფხ˜ზთა და ქრთ˜ლთა მ˜ფე და სევასტოსი = „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა და ქართუელთა მეფე და სევასტოსი" (V. Langlois, Essai, 39—42); ამ მეფეების ფულებიც ვერცხლისაა.

მაგრამ დავით აღმაშენებელმა ვერცხლის ფულის მაგიერ სპილენძისა, ანუ ვერცხლწყლებული შავი ფული შემოიღო; ამის გარდა, მეფემ თვით ფულების გარეგანი სახეც სრულებით შესცვალა. ფულის შუბლზე ცხენოსანი მეფე ხატია, აქეთ-იქით „დ" და „თ" ზის, რაც „დავით"-სა ნიშნავს, ხოლო ზურგზე არაბული ზედწერილია: „მეფეთ მეფე დავით გიორგის ძე მესიის მახვილი". დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებიც სპილენძის ფულებსა ჭრიდნენ და ზურგზე ცოტაერთვის არაბულ ზედწერილს ასხმევინებდნენ. გიორგი მეფემ, თამარის მამამ, ქართულ ფულების მოჭრის დროს ერთი ახალი წესი შემოიღო: იგი ფულებზე მოჭრის ქრონიკონს ასხმევინებდა, მაგალითად: „ქ˜ტჟდ", ესე იგი ქრონიკონსა სამას ოთხმოცდა თოთხმეტსა, რაც 1174 წელს უდრის; ამგვარ ქრონიკონების საშუალებით გამოირკვა, რომ თამარს 1187 წელს (ქ˜კსა 407) და 1200 წელს (ქ˜კსა 420), ხოლო ლაშა გიორგის 1210 წელს, რუსუდანს კი 1227 წელსა (ქ˜კს 447) და 1230 წელს (ქ˜კსა 450) მოუჭრიათ ფული; ამ დროს ფულის შუბლზე, სახელდობრ

ქობაზე, გარშემო ეწერა ხოლმე: „ქკ უკ (ან სხვა თარიღი) სხლთ ღთსთ იქნა ჭედაი ვცხლსი ამს“, რაც უქარაგმოთ ნიშნავდა: „ქრონიკონსა 430 (ან სხვა) სახელითა ღთისათა იქმნა ჭედაი ვეცხლისაი ამის“ (ibid., 55—73). სიტყვა „ჭედაი“ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ამზადებდნენ საქართველოში ფულსა. რუსუდანი ისევ ბიზანტიური ფულების მაგვარი ფულების ჭედვას შეუდგა და 1230 წელს ისევ ვერცხლის ფული შემოიღო (ibid., 73). ყურადღების ღირსია, რომ თამარ მეფისა, ლაშა-გიორგისა და დავით სოსლანის დროს ჩვეულებრივ ფულების გარდა დიდ, უზარმაზარ, უსწორმასწორო სხვადასხვანაირ სპილენძის ფულების „ჭედა“ დაუწყიათ, რომლებზედაც ორივე მხრივ რამდენიმე ზედწერილი იყო ხოლმე ერთად აღბეჭდილი; ზოგ ფულს სამი, ოთხი და ხუთი ზედწერილი აქვს ხოლმე (ibid., 61).

ამგვარად, უძველეს დროს საქართველოში უცხოეთის ოქროს ფული ტრიალებდა, მანამ III—IV საუკ. ქრ. შემ. სასანელთა მეფეებმა სპარსეთში ვერცხლის ფული არ შემოიღეს; ამის შემდეგ საქართველოშიც გავრცელდა ვერცხლის საფასე; თვით ქართველებიც საკუთარ საფასეს სპარსელების მიბაძვით ვერცხლისას ჭრიდნენ VI—VII საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე დავით აღმაშენებლამდე, ხოლო იმ დროის განმავლობაში, როცა საქართველოში არაბები ბატონობდნენ, ჩვენში არაბული ვერცხლისავე დირჰემი ტრიალებდა. მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შემოიღო სპილენძის ფული, და ვერცხლის საფასე ამის შემდეგ მთელი XII და XIII საუკუნის დასაწყისის განმავლობაში არც გიორგი III, არც თამარ მეფის, არც ლაშა გიორგის დროს საქართველოში არ მოჭრილა. რასაკვირველია, ამგვარი მოვლენა, საფასის მადანის გამოცვლა, რაიმე ღრმა ეკონომიურ მიზეზს უნდა გამოეწვია; ყურადღების ღირსია, რომ აღმოსავლეთის ყველა სხვა ქვეყანაშიაც ამავე დროის განმავლობაში ვერცხლის საფასე ქრება და მის მაგიერ სპილენძის ფულები იჭრება; ამიტომ, უეჭველია, რომ საზოგადო მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ერთ საზოგადო მიზეზს უნდა გამოეწვია; სამწუხაროდ ჯერ გამორკვეული არ არის საბოლოოდ ეს საკითხი. ცხადია, რომ საფასის მადნის გამოცვლას ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

საინტერესოა, რომ აღმოსავლეთის მაშინდელი მმართველები და მთავრობა ამგვარ სპილენძის ფულს წინანდელი ვერცხლის ფულის ფასსა სდებდნენ; თვით სპილენძის ფულს ზედწერილი ჰქონდა — „ეს დირჰემია“-ო, ხოლო რაკი დირჰემი ანუ დრამა ჩვეულებრივ ვერცხლის ფულის სახელი იყო, ეს ზედწერილი იმას ნიშნავდა, ვითომც ამ სპილენძის ფულს ვერცხლის დრამის ფასი აქვსო. ამნაირადვე მოქცეულა, როგორც ჩანს, მთავრობა საქართველოშიაც; ეს თვით მაშინდელი ფულების ქართული ზედწერილითა მტკიცდება; თამარის 1187 წელს მოჭრილ ფულსა და ლაშა გიორგის 1210 წლისას აწერია: ქრონიკონსა ამა და ამას. სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაჲ ვეცხლისა ამის (V. Langlois, Essai, გვ. 60, 67, 69). რაკი სპილენძის ფულს საქართველოს მთავრობა „ვეცხლად“ აცხადებდა, ამით მას უნდოდა აღენიშნა, რომ მის მოჭრილ სპილენძის ფულს ვერცხლის, ანუ დრამის ფასი აქვს. მაშასადამე, სპილენძის ფულისათვის მთავრობას სავალდებულო გადაკვეთილი ფასი დაუწესებია. ასეთი საშუალება აღმოსავლეთში ახალი საქმე არ იყო. სამარყანდში მოჭრილ სპილენძის დირჰემებზე მაგალითად, ასეთი ზედწერილი იყო: შუბლზე — „სამარყანდსა და ამ ქალაქის მაზრაში“, ხოლო ზურგზე — „ვინც (ამ ფულს) არ მიიღებს, ბოროტმოქმედად ჩაითვლება“-ო (В. Бартольд. Изъ мюнц-кабинета при. С. Петербург. университете Запис. Вост. от. Археол. общ. I. XIV, стр. 36). ამგვარად, სამარყანდში

მთავრობას კანონით სავალდებულო გაუხდია სპილენძის ფული: ვინც მთავრობის მოჭრილ ფულს არ მიიღებდა, იმას მთავრობა, ვითარცა ბოროტმოქმედს, ისე დასჯიდა. ერთი სპარსელი ისტორიკოსი მუჰამედ ნერშასი მოგვითხრობს, რომ სპილენძის ფულის მოჭრა ღიტრიფმა მოიგონაო, რომელიც ჰარუნ-ალ-რაშიდის მოადგილე იყო ხორასანში; ამის გამო ამ ფულს ღიტრიფს ეძახდნენ; თავდაპირველად 1 ვერცხლის დირჰემში 6 ღიტრიფს აძლევდნენ; 522 წელს ჰიჯრ., იმავე ისტორიკოსის სიტყვით, 100 ვერცხლის დირჰემი 70 ღიტრიფი ღირდა, ხოლო 1 მისხალი 7½ ღიტრიფს ეთანასწორებაო (М. Нершахи. История Бухары. пер. с перс. Лыкошина, г. Ташкент. 1897 г., 49, 50).

საქართველოში საკუთარი ოქროს ფული, რამდენადაც ჩანს, სრულებით არა ყოფილა, თუმცა კი ამას ერთი XIII—XIV საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი ყაზვინი ამტკიცებს; მაგრამ, ჩვენამდე არც ერთ ქართულ ოქროს ფულს არ მოუღწევია. ყაზვინის ცნობა ქვემოთ იქნება მოყვანილი; ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში უცხოეთის ოქროს ფულსა ხმარობდნენ, განსაკუთრებით ბიზანტიურს; ეს ცხადადა ჩანს იმ ფულების სახელების ნუსხიდან, რომლებიც X—XII საუკუნეებში ტრიალებდნენ საქართველოში; რამდენადაც ქართულ საისტორიო თხზულებებიდან და სხვადასხვა სიგლებიდანა ჩანს, ჩვენში შემდეგი ფულები მოიპოვებოდა: თეთრი (შიომღვ. ისტ., საბ., 2, ქრონიკები, II, 102, 129, 134, 161), კონსტანტინატი და პერპერაჲ (შიომღვ. ისტ. საბ., 16), პერპერა (შიომღვ. ისტ. საბ., 2), დრაჰკანი კონსტანტინატი (ქრონ., II, 47. 48, 49), დუკატი (შიომღვ. ისტ. საბ., 34, ქრონიკები, II, 102), დრაჰკანი დუკატი (ქრონიკები, II, 49), ბოტინატი (შიომღვ. ისტ. საბ., 34 და საფარის მონასტ. წარწერა, Такайшвили. Археолог. Экскурсіи, I, 84), დრაჰკანი ვოტანიატი (ათონის ალაპები, საეკლ. მუზ. გამოც., გვ. 222), დრაჰკანი (ი͠ეს და ეფთჳმეს ც͠ა, საეკლ. მუზ. გამოც., 17, 19, 47; ქართ. ცხ., 325, 338 და 378; ქრონ., II, 150; შიომღვ. საბ., 61), დრამა (IX ს. გრიგოლ ხანძთ. ც͠ა, კ͠მ; შიომღვ. საბ., 16; ქართ. ცხ., 325; ქრონ., II, 45, 47, 48 და 130) და დანგი (სახარება).

ამ ფულების სხვადასხვა სახელებს შორის თავდაპირველად დრაჰკანისა და დრამის მნიშვნელობის გამორკვევას უნდა შევუდგეთ. **„დრაჰკანი"** ქართული სიტყვა არ არის, იგი სპარსულს „დაჰგან", „დაჰგანი"-სა და სომხურს „დაჰკანს" ეთანასწორება და **ოქროს ფულსა ნიშნავს** (N. Nübschmann, Armenische Grammatik. I, 133); როგორც მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, დრაჰკანი დავით აღმაშენებელის დროს ჩვეულებრივი ფული ყოფილა (ქართ. ცხ., 373).

„დრამა" კიდევ ფაჰლაურ-სპარსულს „დრამსა", სომხურს „დრამს" ეთანასწორება და **ვერცხლის ფულს** დირჰემსა ნიშნავს. **დანგი** სპარსული სიტყვაა (Hübschmann, Armen. gram. I, 134), სომხურშიაც არის და 6 დანგი 1 **დრამას უდრიდა** (მხითარ გოშის *Դատաստանագիրք*. 372).

კონსტანტინატი, დუკატი და ბოტინატი, აგრეთვე პერპერა ბერძნული ფულების სახელებია; მათ შორის პერპერა ბერძნულ „ჰჳპერპჳრონისაგან" არის წარმომდგარი და ოქროს ფულსა ნიშნავდა; იგი დინარს უდრიდა. დანარჩენი სახელები ბიზანტიის კეისრების სახელებისაგან არის წარმომდგარი და კონსტანტინეს (X, 1059—67 წ.), მიხეილ დუკისა (VII, 1071—78 წ.) და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078—81) ფულებს ერქვა; რაკი დრაჰკანი ოქროს ფულსა ნიშნავდა, ამიტომ ყველა შემთხვევაში, სადაც ნათქვამია: დრაჰკანი კონსტანტინატი, დრაჰ-

კანი დუკატი, დრაჰკანი ბოტინატი, ამ კეისრების ოქროს ფული უნდა ვიგულისხმოთ; ხოლო იმ შემთხვევებში, როცა საბუთებში ცარიელი სიტყვა „დრაჰკანია“ ნახმარი, შესაძლებელია, ზოგჯერ არაბულ ოქროს ფულსა ნიშნავდეს.

ვერცხლის ფულს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დრამა ერქვა და უფრო არაბულ ფულსა ნიშნავდა. ნამდვილ ქართულ ვერცხლის ფულს ქართულად „თეთრი“ ერქვა (შიომღვ. საბ., 2, ქრონ., II, 102, 129, 134, 161); ამის გარდა, ჩვეულებრივ, როგორც ეტყობა, „ვერცხლს“ ეძახდნენ ხოლმე; ეს ქართულ ფულების ზედწერილებით მტკიცდება: „ქრონიკონსა 430 სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვეცხლისა ამის“.

საქართველოში ვერცხლის ფულის მოჭრა, როგორც აღნიშნული იყო, სპარსულ ფულების მიბაძვით დაიწყეს; ამნაირადვე მოიქცნენ არაბებიც. ამის გამო ქართული ვერცხლის ფული იმდენსავე იწონიდა, რამდენსაც პაჰლაური და არაბული დირჰემები იწონიდნენ; მაგალითად, სტეფანოსის ფულები — 47 გრანს, 46, 47 გრანს (кн. Баратаев. Нумизмат. Факты груз. царства, I, 17—23), გურგენის ფულები — $46\frac{1}{2}$, 45 გრანს (ibid., I, 29, 34, 37, 38); ხოლო დავით კურაპალატის ფული — 42 გრანს (ibid., II, 5), გიორგი I-ისა — 26 გრანს (ibid., II, 8), გიორგი II-ისა — $19\frac{1}{2}$ გრანს (ibid., II, 9), დავით აღმაშენებლისა — 13 და 8 გრანს (ibid., II, 12, 15), გიორგი III-ისა — 20 გრანს (ibid); დასასრულ, რუსუდანის ვერცხლის ფულებიც ზოგი იწონის 42 გრანს (ibid., 115), ზოგი $41\frac{1}{2}$ გრანს (ibid., 121), ზოგიერთი — 41 გრანს (ibid., 111 და 114), ან $40\frac{1}{2}$ (ibid., 116) და $40\frac{1}{3}$ (ibid., 117), ერთი პატარა კიდევ 14 გრანს (ibid., 120). არაბული ვერცხლის დირჰემებიც ჩვეულებრივ 45—46 გრანს იწონიდნენ ხოლმე, მაგრამ ნაკლებიც მოიპოვებოდა; მაგალითად, კუფაში 132 წ. (ჰიჯრ.) მოჭრილი დირჰემები ზოგი $46\frac{1}{2}$ გრანს იწონიდა, ზოგი კიდევ $41\frac{1}{2}$ გრანს. მედინეტ-ესსელამში 160 წ. (ჰიჯრ.) მოჭრილთაგანი. ზოგი 47, 46, ზოგი კიდევ 38 და 33 გრანს იწონიდა (Бар. Тизенгаузен. Монеты Восточнаго халифата, XIII); უეჭველია, ფასითაც განსხვავება ექნებოდათ სხვადასხვა (მაგ. 45 და 20,14 გრანიანს) ვერცხლის ფულებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სპარსელი ისტორიკოსი ყაზვინი ამტკიცებს, ვითომც ქართველებს ოქროს ფული ჰქონოდეთ. იგი მოგვითხრობს: თბილისში მოიპოვება ოქროს დინარი, რომელსაც პერპერას ეძახიან; იგი კარგი თვისების მრგვალი ფულია, და ასურული ზედწერილი და კერპების (ე. ი. წმინდანების) სახეებია გამოსახული. თითო დინარი ერთ მისხალ წმინდა ოქროს იწონის. ამ ფულის მიუღებლობა არ შეიძლება, იმიტომ რომ იგი აფხაზთა მეფის ფულიაო (H. Sauvaire, Matériaux pour l'histoire de la numismatique et de la métrologie musulmanes, Journal asiatique, 1880, mai-juin), თუმცა პერპერა მართლა საქართველოში ტრიალებდა, როგორც ზემომოყვანილი ნუსხიდანა მტკიცდება, მაგრამ იგი ბიზანტიური ფული იყო და არა ქართული; ამასთანავე, ყურადღების ღირსია, რომ ჯერჯერობით არც ერთი ქართული ოქროს ფული არ არის აღმოჩენილი; ხოლო ბიზანტიური ოქროს დრაჰკანები ბლომად ამოუღიათ საქართველოს დედამიწის გულიდან.

ერთი სიტყვით, ქართულ საფასის მაღნად VI—VII საუკუნეებიდან მოკიდებული XI საუკუნის დასასრულამდე განსაკუთრებით ვერცხლი იყო; არც ოქროს, არც სპილენძს ამ დროს არა ხმარობდნენ; მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შემო-

ილო სპილენძის საფასე, ვერცხლისა კი თითქმის სრულებით ქრება და მარტო მეცამეტე საუკუნეში რუსუდანმა საქართველოში ისევ ვერცხლის საფასე შემოილო.

რასაკვირველია, ვერცხლისა და ოქროს ფულის ფასი სხვადასხვა დროს იცვლებოდა ხოლმე; ამიტომ საჭიროა გამოირკვეს დრაჰკანისა და დინარისა, დრამისა და თეთრის ფასების ცვლილება, აწევ-დაწევა. ჩვეულებრივ, დრაჰკანიცა და დინარიც, როგორც არაბული, ისე ბიზანტიური წონით, ერთ მისხალ წმინდა ოქროსაგან კეთდებოდა (Бар. Тизенгаузен. Монеты восточнаго халифата, XI. Bergman. Die nominale der Münzreform, 6—9); ბიზანტიური უფრო ცოტა მეტს იწონიდა 16/15 მისხლისას (Илл. Кауфман. Рус. вес, его развитіе и происхожденіе в связи с историей рус. денежн. систем с др. времени, «Записки нумизм. отд. Археол. общ.», I., 164). საზოგადოდ ერთი ოქროს დინარი ათს დირჰემს უდრიდა ხოლმე, ასე იყო პირველ ხანებში (იხ. M. N. Sauvaire. Matériaux, Journal asiatique, 1882 février-mars, p. 111); X საუკუნეში (300 წ. ჰიჯ.) კოდამას დროს თურმე ერთ დინარში 15 დირჰემს აძლევდნენ (M. N. Sauvaire Matériaux, ibid., 114); არაბების ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ 330 წ. ჰ. (941—942 წ. ქრ. შ.) ნასერედ-დოულაჰ იბნ ჰამადის მოჭრილი დინარი „ებრიზი" ადიდრიანი (проба) 13 დირჰემი ღირდაო, ძველი კი მხოლოდ აი 10 (ibid., 115). ელ-მუკადდასი ამბობს, რომ ერაყის ფულებს წონით იღებენო; მაინც, რაც უნდა იყოს მათ ფულის წონა („სანჯ") ხორასნულსას სჯარბობსო (ibid., 116—117); იმავე ავტორის სიტყვით, ისპაჰანში აწონილი 10000 დირჰემს ტოსტარში 25 აკლდება, ხოლო ტოსტარის 100 დირჰემი აჰვაზისას 6 დირჰემი რჩება, ხოლო 100 დინარი, ყაზვინში აწონილი, ტოსტარში 4 დინარი და 5 დანეკი ანუ დანგი რჩებაო. ხორასანში აწონილ 100 დირჰემს ხუზისტანში 2 დირჰემი აკლდება (ibid., 117). 632 წელს ჰიჯრ. (1234—35 წ.) ბაღდადში მოსტანსირის ახალ დირჰემების ღირებულობა გადაჰკვეთეს: 1 დინარში 10 დირჰემიო (ibid., 127). ხოლო პერპერა 1157 წელს კონსტანტინეპოლში 6 სუ და 4 დ. ღირდა (idid., 121). ასე ფასობდა დრაჰკანი და დრამა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში.

ორიოდე ცნობა იმის შესახებაც მოგვეპოვება, თუ როგორ იცვლებოდა ოქროს დრაჰკანისა და ვერცხლის დრამის შედარებითი „ზომა" (=„კურსი", იხ. ჟურულის სიგელი, ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენში", გვ. 7) თვით კავკასიაში, საქართველოში. ერთი ცნობა მოიპოვება სომხურ კანონების კრებულში, რომელიც მხითარ გოშის მიერ „ძლევამოსილ მეფე გიორგი III-ის სიკვდილის წელს არის შედგენილი (*Բաստամեանց, Մխիթարայ Գօշ դատաստանագիրք Հայոց*, 73). მაშასადამე, 1184 წელს. მხითარი თავისი წიგნის ერთ ადგილას ამბობს, „თანამედროვე ფასობის კვალობაზე ოქროს დრაჰკანი ცამეტ ვერცხლის დრამას ეთანასწორებაო" („*ոսկի դահեկան, որ լինի հինգտասան դրամ արծաթ ըստ ժամանակի վարման*" *Մխիթար Գօշ, Դատաստանագիրք*, 309). რამდენსა ფასობდა დრაჰკანი და დრამა შემდეგ დროში, შეიძლება ერთი, ოდიშში შენახული, XIII საუკუნის პირველ ნახევარს ხელმეორედ მოჭედილი ხატის წარწერიდან შევიტყოთ. ამ ხატის „სურვილით შამკობელი კახაბერის ძეთა ასული თეონელა, დედა ზვიადისა... და ძე მათი ვნ (sic) დადიანი და მანდატურთ-ოჳხოჳცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი ბეგაისა ქართლისა ერისთჳს ასული ხოჳაშაქი და ძენი მათნი ერანშაჰრი, გიორგი და ივანე" აცხადებს, რომ „ამა ხატსა ზედა იყო ორას ოცი ვერ-

ცხლი, აწ მინდა (მოუნდა?) რვა ასი ვერცხლი ოთხმოცდა ათი ოქრო დრამის წონა“ (Brosset, Voyage archéologique en Transcaucasie,VII, 43). ამგვარად, **800 ვერცხლის ფული 90 დრამის წონა ოქროს ეთანასწორებოდა;** ერთი და სამი მეშვიდედი დრამისა ერთ მისხალს შეადგენს, როგორც ნათქვამია „შაჰრ ელ-ჯევაჰირში“ (Sauvaire. Matériaux pour servir à l'histoire de la numismatique et de la métrologie musulmanes, journal asiatique, 1879, octobre-novembre-décembre, p. 492); მაშასადამე, $1^3/_7$ დრამისა = 1 მისხალს; 90 დრამის წონა ოქრო = $90:^{10}/_7$ = 63 მისხალს ოქროს; ამგვარად, 800 ვერცხლის ფული (დრამა) ეთანასწორება 63 მისხალს ოქროს; ჩვენ ვიცით, რომ ერთი მისხალი ოქრო ერთ დინარს შეადგენდა; მაშასადამე, 800 ვერცხლის ფული (დრამა) = 63 ოქროს დინარს, ხოლო 1 ოქროს დინარი = $\frac{800}{63} = 12^2/_3$ ვერცხლის ფულს; ესე იგი, XIII საუკუნის პირველ ნახევარში **ოქროს დინარი საქართველოში $12^2/_3$ ვერცხლის დრამადა ფასობდა.** დასასრულ, ადვილად შეიძლება გამოვარკვიოთ, რამდენად ფასობდა ოქროს დინარი კავკასიაში XIII საუკუნის დასასრულს, 1294 წლის ახლო ხანებში; სტეფანოს ორბელიანი თავის ისტორიაში ამბობს: „ხუთასი დრაჰკანი, რაც ხუთასს დრამას შეადგენსო“ (*«Հինգ հարիւր դահեկան որ լինի 500 դրամ»*, მოსკოვის გამოცემის გვ. 357); თუ 500 დრაჰკანი = 500 დრამას, მაშასადამე, **1 დრაჰკანი = 1 დრამას.** ზემოთ მოყვანილი იყო ერთი არაბი ისტორიკოსის ცნობა, რომ ბაღდადში 1235 წელს მოსტანსირის ახალი ფულის ფასობა გადაუკვეთნიათ და 1 ოქროს დინარში 10 ვერცხლის დირჰემი დაუწესებიათ. ამავე დროს საქართველოში, როგორც ვნახეთ, 1 ოქროს დრაჰკანი $12^2/_3$ ვერცხლის დრამადა ფასობდა, ხოლო XIII საუკუნის დასასრულს კავკასიაშიც დრაჰკანი და დრამა ბაღდადური ფასობის კვალობაზე ყოფილა[112].

II. საზომი[113]

სივრცისა და სიმძიმის რაოდენობის შესატყობად მიღებულ ყველა ერთეულს, საზოგადოდ, ძველ საქართველოში **„საზომი“** ერქვა (რკონის 1259 წ. სიგელი, ქრონიკები II, 137).

სხვათა შორის, მიწის საზომად მაშინაც **„დღიური“** ითვლებოდა, — ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ ხოლმე **„დღისა“**; თამარ მეფის 1202 წლის სიგელში, მაგ., ნათქვამია: „ამათ გლეხთა სწორად მივსცენით მიწანი... დიდეალს **დღისა** ათისა და წყაროისა თავსა ორისა **დღისა**“ (შიომღვ. ისტ. საბ., 28); შიომღვიმის 1250—60 წლის სიგელში აგრეთვე სწერია: „კჳრიკაული მიწაჲ აელო საშენებლად... **დღისა ერთისაჲ**... კულა მასვე ზედა მოკიდებით ზჳადის ძისაგან **დღისა ერთისაჲ** და ზედავე მოკიდებით **დღისა** ერთისაჲ სტეფანეს ძისაგან; ესე **სამისა დღისაჲ** შენ ზოსიმეს გეყიდნა... ზედავე მოკიდებით **სამისა დღისაჲ** მიწაჲ იყო... კულა... **ორისა დღისა მიწაჲ** შენ ზოსიმეს გეყიდა“... (შიომღ. ისტ. ს. 60). ყურადღების ღირსია, რომ XI საუკუნის საბუთებში — მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგელსა და ნიკორწმინდის სიგელში სულ სხვა სიტყვა იხმარება, — **„მიწა“** და **„ყანა“**; მაგ. „თეძს გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა და ვენახი ა, მიწა ა, წისქჳლი ა — და ჭალა და ოტათლოანს გლეხი ა, ციხედიდს გლეხი ა, ორნივე ფუძითა სრულითა... ბოსელი ერთი, ყანა ა“... (მელქისედეკის სიგელი, ქრონიკები II,

34); ნიკორწმინდის სიგელშიაც ყოველთვის ამნაირივე სიტყვები იხმარება და არა დღიური, მაგ.: „ვიყიდე სახლეულს მიწაჲ: ა:. შუბავთაგან ვიყიდე კანჩაეთს ყანაჲ: ა: და კევკმელას: ა:"... (ibid., II, 46); ამ ორივე საბუთში **დღიური არც ერთხელ არ არის მოხსენიებული**; სამ ზემო დასახელებულ საზომის სახელის გარდა სიგელებში ერთი სიტყვა კიდევა გვხვდება, სახელდობრ **„გუთანი"**; შიომღვიმის 1250—60 წ. სიგელში მაგ. ნათქვამია: „შენ ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც **ორი გუთანი მიწა**" (შიომღვ. ისტ. საბ., 61); იგივე სიტყვა 1260 წლის სიგელში გვხვდება: „მიუყენენით მიწანი ერთი **გუთანი** ვენაჴის ბოლოსა თრიალური, ორი ნავენაჴები თევდორული თხოთის აგარას და ორი **გუთანი** სარბიელთა" (შიომღვ. ისტ. საბ., 67). შეიძლება ერთი გუთანი მიწა ერთი დღის მიწას უდრიდეს. მაგრამ ჯერჯერობით თვით საბუთებში ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება. არც „მიწისა" და „ყანის" რაოდენობის გამორკვევა შეიძლება ჯერჯერობით; იქნებ ეს ოთხივე სიტყვა ერთ და იგივე რაოდენობის საზომსა ნიშნავდეს. ნიკორწმინდის სიგელიდანა ჩანს მხოლოდ, რომ „ყანა" სხვადასხვა სივრცისა ყოფილა, ზოგი პატარა, ზოგი კიდევ უფრო მოზრდილი: ზოგი იყო „გრივისა ერთისა სათესავი" (ქრონიკები, II, 48), ზოგი კი „ექუსისა კაბიწისა სათესავი" (ibid., 48).

როგორც დღიური, ისე **„ყანა"** შეიძლებოდა უფრო პატარა ნაჭრადაც დაყოფილიყო; მაგალითად, ნიკორწმინდის სიგელში ნათქვამია: „ვიყიდე კაჩაეთს **ყანისა ნახევარი**"-ო (ibid., 47), „ფარსმანის ძეთაგან ვიყიდე **ორი ნაკვეთი ყანაჲ**" (ibid., 48); შიომღვიმის 1250—60 წ. სიგელში აღნიშნულია: **„ეჟუდა დღისა და ნახევარისაჲ მიწაჲ"** (შიომღვ. ისტ. საბ., 60); „მიწაც" შეიძლება „ნაკვეთი" ყოფილიყო (ქრონიკები, II, 46).

საწყავ საზომებად ამ დროს საქართველოში **„გრივი"**, **„მოდი"**, **„კაბიწი"**, **„დრამა"** და **„ლიტრა"** ითვლებოდა; ნიკორწმინდის XI ს. სიგელში, მაგ., ნათქვამია: „ხუარბალი **გრივი**: გ": (ქრონიკები, II, 46, 47), „ყანაჲ **გრივისა** ერთისა სათესავი"-ო (ibid., 48); რკონის 1259 წ. სიგელშიც წერია: „მწირველსა თხუთმეტი **გრივი** ხუარბალი ხოდაბუნთაგან მიეცემოდეს"-ო (ქრონიკები, II, 136), იგივე საწყავი ვაჰანის მონასტრის ძეგლშიაც არის მოხსენიებული (შიომღვ. ისტ. საბ., 34), ამ საზომის სახელი მთელ აღმოსავლეთშია გავრცელებული: სომხურად *գրիւ* (გრივ), ასურულად „გრიბა", სპარსულად „გირიბ" და არაბულად „ჯარიბ" (Hübschmann. Armenische Grammatik, I, 131).

„მოდი" 1246—50 წ. სიგელში გვხვდება: „ტყისაგან **მოდი** რაიცლა მოვალს—იფქლი, ფეტვი და ღომი" (ქრონიკები., II, 129); ამ საზომის სახელიც ბევრგან არის გავრცელებული, მაგალითად: ასურულად „მუდაო", ლათინურად modius, ბერძნულად ὁ μόδιος (მოდიოს).

„კაბიწი" პირველად XI ს. ნიკორწმინდის სიგელშია მოხსენიებული: „ხაჭოჲ **კაბიწი** :ბ: ფეტჳ **კაბიწი** :ე: (ქრონ., II, 47), „ყანაჲ ექუსისა **კაბიწისა** სათესავი" (ibid., II, 48); კაბიწი რკონის სიგელშიც არის აღნიშნული (ibid., 137); ამ საზომის სახელიც მთელ აღმოსავლეთში გავრცელებულია: ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ იმის დროს, IV ს. ქრ. წ. ἡ καπίϑη-ს (კაპითე) სპარსეთში საწყავად ხმარობდნენო (Anabasis, I, 5, 6). იგი ებრაელებსაც ჰქონიათ „კაბოს" სახელით (A Böckh. Metrologische Untersuchungen über Gewichte, Münzfüsse und Maasse des Alterthums, გვ. 260, 262). ასურულ მემატიანის იესუა მესვეტის 551 წ. ქრ. შ. დაწერილ თხზულებიდანა ჩანს, რომ ეს საზომი „კაბოს" სახელით ასურელებსაცა სცოდნიათ (Chronique de Josué Stylite, პ. მარტე-

ნის გამოც. ასურული დედნისა, გვ. 31, თავი XL, ფრანგული თარგმ., გვ. XXXV, 40). კაბიწი არაბებსაც ჰქონდათ საზომად მიღებული და „კაფიზს" უძახდნენ (A. von Kremer. Culturgeschichte des Orients, I, 62, 63, 200), სომხურად *կապիճ* „კაბიჯი" ერქვა.

„დრამა" დავით აღმაშენებლის ანდერძშია მოხსენიებული: „პური (ც)ხ*ილი* ფურნისაჲ ხუთასისა დრამისა წონის ნუმცა ოდეს მოაკლდების"-ო (შიომღ. ისტ. საბ., 16—17); დრამა სხვა ქვეყნებშიაც იყო გავრცელებული, სომხურად *դրամ* (დრამ) ერქვა, პაჰლაურადაც „დრამ" (Hübschmann. Armen. Gram. I, 145), ბერძნულად δραχμή (დრახმე). ა. ბიოკს თვით ეს სახელი ბერძნულ სიტყვად მიაჩნია (A. Böckh. Metrologische Untersuchungen, 34).

„ლიტრა" XI ს. ნიკორწმინდის სიგელშია მოხსენიებული: „რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ" (ქრონიკები, II, 46), „ცჳლი ლიტრა :იდ:" (14) (ქრონიკები, II, 48); შემდეგ თამარ მეფის 1190 წ. სიგელში: „მიიღებდენ ყოველთა წელიწადთა შინა ცჳლსა თხუთმეტსა „ლიტრასა" (შიომღვ. ისტ. საბ., 22); 1246—50 წ. სიგელში: „ოცდა ოთხი ლიტრა ცვილი გამოვალს" (ქრონიკები, II, 129); აგრეთვე დავით ნარინის სიგელში (ქრონიკები, II, 159, 160); „თხუთმეტი ლიტრა აბრეშუმი კარგი" (შიომღვიმის 1227—30 წ. სიგელშია მოხსენიებული, ქრონიკები, II, 102), ხოლო „თხუთმეტი ლიტრა ზეთი" 1246—50 წ. სიგელში (ქრონიკები, II, 128). ამ საზომის სახელიც გავრცელებული იყო: სომხურად ეძახდნენ *լիտր* (ლიტრ), ასურულად „ლიტრა", ბერძნულად λίτρα (ლიტრა), ლათინურად libra (ლიბრა); ა. ბიოკის აზრით, ეს სახელი სწორედ იტალიური უნდა იყოს და ბერძნებს რომაელებისაგან შეუთვისებიათ (A. Böckh. Metrologische Untersuchungen, 293).

რამდენს იწონიდა თითოეული ზემოთდასახელებული საზომი ანუ რა სიმძიმეს აღნიშნავდა საქართველოში თითოეული მათგანი, ამის გამორკვევა მეტად ძნელია: საბუთებში საკმაო ცნობები არ მოიპოვება. ცხადია მხოლოდ, რომ „კაბიწი" „გრივიზე" უფრო მომცრო საზომი ყოფილა, მისი შემადგენელი ნაწილი, ეს ნათლადა ჩანს რკონის 1259 წ. სიგელიდან; იქ ნათქვამია: „ჩემსა მწირველსა ხუთხუთი გრივი ხუარბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთაგანვე სეფითა კაბიწითაო". (ქრონიკები, II, 136); საბა-სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონში ამბობს: „ეზეკიას თარგმანში ეწერა — „ოცდა ორი ქსესტი ერთი გრივია"; ხრონოგრაფში ეწერა — „ოცდა ათი მოდი ერთი გრივია"; საწყაო თემითი-თემად უდიდესიც არის და უმეტესიცა, მაგრამ ოცდა-ორი ქსესტი უფრო სწორსა ჰგავსო" (გვ. 61). სომეხი მწერალი ანანია შირაქელიც ამტკიცებს, ერთი გრივი 22 ქსესტიაო, სომხურ ერემიის თარგმანშიც წერია იგივე (იხ. ავგერიანის *բացատրութիւն չափուց և կշռոց նախնեաց*. გვ. 67). მაგრამ საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ამტკიცებს: „მოდი საწყავი არს 22 ქსესტიანიო" (გვ. 192) და ისე გამოდის, ვითომც გრივი და მოდი წონით ერთი და იგივე იყოს; ხოლო ამას არღვევს ზემომოყვანილი ხრონოგრაფის ცნობა, რომ ერთი გრივი 30 მოდს უდრის, არღვევს აგრეთვე არაბული ცნობები მოდისა და გრივის (=ჯარიბის)

* ბ-ნ ჟორდანიას „ხილი" აქვს დაბეჭდილი; წინადადების აზრის მიხედვით აქ „ცხილი" უნდა ყოფილიყო, რაც უქარაგმოდ „ცხობილის" უდრის.

წონის შესახებ. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ყველა ცნობას, რომლის შეკრებაც კი მოვახერხეთ საწყაოების წონის შესახებ, ახლა კი სიტყვა კაბიწზე უნდა ჩამოვაგდოთ.

„კაბიწი“, როგორც ეტყობა, სხვადასხვანაირი იყო, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა; რკონის 1259 წლის სიგელში, მაგალითად, მოხსენიებულია „სეფე კაბიწი“ (ქრონიკები, II, 136). უეჭველია ეს სეფე კაბიწი ჩვეულებრივი კაბიწი არ უნდა ყოფილიყო. ძველს, X—XIII სს. დროინდელ საბუთებში არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რა სიმძიმის საზომის აღმნიშვნელი იყო კაბიწი; საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ამბობს: „კაბიწი სამი კოდი, გინა სამი გრივი, სადამე ათს კოდს კაბიწად იტყჳანო“ (გვ. 138), მაგრამ შეუძლებელია კაბიწი 3 გრივს უდრიდეს. სასანელ გვარის მეფის ხოსრო ანოშირვანის დროს კაბიწი 8 როტლს ანუ ლიტრას უდრიდაო, ამტკიცებს ა. კრემერი (A. Kremer. Culturgechichte des Orients, I, 260).

ლიტრის შესახებ საბა ორბელიანს ვრცელი ცნობები აქვს შეგროვილი. საბა ამტკიცებს, რომ „პირველ ჟამთა ლიტრა უმცირეს იყუნეს, ვიდრე აწინდელი; ვითარცა აწ არს ჩვეულება ჰრომაელთა, ეგრეცე იყო პირველთაგან, რამეთუ ესრეთ იყო პირველთა ლიტრათა წონანი:... თორმეტი უნკი ერთი ლიტრაა“-ო (გვ. 162).

თანამედროვე ლიტრა ჩვეულებრივ 10 გირვანქას იწონის ხოლმე. ძველი ლიტრა, მაშასადამე, ათ გირვანქაზე ნაკლები ყოფილა; რამდენად ნაკლები იქნებოდა? თუ საბას დავუჯერეთ 1 ლიტრა 12 უნკიას იწონიდა, ე. ი. მაშინდელი ლიტრა ყოფილა მართლაც რომაული libra, რომელიც = 12 unciae (იხ. H. Nissen. Griechische und römische Metrologie, Handbuch d. klas. Alterthumswissenschaft, I, გვ. 678). ანანია შირაქელიც ლიტრის წონის თაობაზე ასეთსავე ცნობებს გვაწვდის (*Աբրահամյան*. op. cit., 89, 90), მაგრამ მხითარი გოში (XII ს.) ამტკიცებს, რომ „ერთი ლიტრა 100 დრამა ზეთს იწონის“-ო (*Դատաստանագիրք*, გვ. 315), საბა ორბელიანი კი ამტკიცებს „ათი დრამა ერთი უნკიაა“-ო (ლექსიკონი, 62), ხოლო რაკი მისივე სიტყვით ლიტრაში 12 უნკიაა, გამოდის, რომ 1 ლიტრაში 120 დრამა ყოფილა, ე. ი. 20 დრამით მეტი, ვიდრე მხითარ გოშსა აქვს ნაჩვენები.

X საუკუნის არაბი მეცნიერი აბუ აბდალალაჰ მუჰამმედ იბნ აჰმედ იბნ იუსუფ ალ-კატიბ ალ-ხვარეზმი კი თავის თხზულებაში „მაფატიჰ ალ-ოლუმ“ ამბობს: „რიტლ მისსლად (ნაანგარიშევი) 180 მისხალია, უკიად (ე. ი. უნკიად ნაანგარიშევი) 24 უკიაა... ხოლო უკია 10 დრამი (დირჰემი)*. (G. Van. Uloten'ის გამოც. Liber Mafâtih al-olûm, გვ. 14)**. ამგვარად, არაბულ რიტლსა, ანუ ლიტრაში ერთი ორად უფრო მეტი უნკია ყოფილა, ვიდრე რომაულში; მაგრამ შეიძლება არაბული უკია, ანუ უნკია რომაულ უნკიაზე ერთიორად პატარა ყოფილიყო და რომაულს samuncia-ს ანუ ნახევარ უნკიას ეთანასწორებოდეს (Nissen, op. cit., გვ. 678), რომელიც მართლა ლიტრის $^1/_{24}$ უწევს. პრ. კაუფმანის სიტყვით, რომელიც კუეიპოს შესანიშნავ გამოკვლევაზე ამყარებს თავის ცნობებს, ერაყის რიტლი, ანუ როტლი 96 მისხალს, ე. ი. თანამედროვე რუსულ

---

* როგორც ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებიდანა ჩანს, ამ უკანასკნელ ცნობას საბა ორბელიანიც ეთანხმება.

** ამ მწერლის ცნობები გადმომცა პრ. ნ. მარმა, რისთვისაც გულითად მადლობას ვუძღვნი.

ვირეანქას ეთანასწორება, რომელიც ნამდვილ ერაყის რიტლისაგან არის წარმომდგარი; ხოლო არაბებს ცალკე რიტლი ჰქონდათ, რომელიც 64 მისხალს იწონიდა (И. Кауфманъ, op. cit., 174). თუ 64 მისხალი = 24 უკიას, მაშ 1 უკია = 64/24 = 4 მისხალს; ხოლო თუ ერაყის ლიტრა ავიღეთ, მაშინ 1 უკია = 96/24 = 4 მისხალს.

სამწუხაროდ, ქართულ საბუთებიდან არა ჩანს, რამდენად სწორეა საბა ორბელიანის ცნობა, რომ ქართული ძველი ლიტრა რომაული ლიტრა იყო, და არა ერაყული, ან სხვაგვარი, არც ისა ჩანს, თუ რა გარემოებამ გამოიწვია ახალ ლიტრის შემოღება ძველი პატარა ლიტრის მაგიერ. მოვიყვან აქ მხოლოდ ერთი არაბი მწერლის ბილაძორის ცნობას, რომ სომხეთის ამირას ალ-ჯარრაჰ აბდალლაჰ (VIII ს. ქრ. შ.) ბარდავის მოქალაქეებმა შესჩივლეს ქალაქში წონისა და საწყაოს საზომები მრავალი და სხვადასხვანაირი ტრიალებსო; ამის გამო ამირამ სწორი, ერთგვარი და სამართლიანი საზომები შემოიღოო (Sauvaire, Matériaux ect. III. mesures, journal asiatique, 1886 წ., févr.-mars-avril, გვ. 155—6). არაბ ამირას საქართველოშიც შეეძლო საზომები შეეცვალა. რასაკვირველია, თვით საქართველოს მთავრობასაც შეეძლო ასეთი ცვლილება მოეხდინა. ხელნაწერებში იმედია ჯერ კიდევ ბევრი მასალა აღმოჩნდება საზომების შესახებ და მაშინ ამ რთული და საეკონომიო ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამორკვევა უფრო ადვილი იქნება. არაბული სხვა საზომების შესახებ ბევრი ცნობა მოიპოვება*, მაგრამ სხვადასხვანაირი და ხშირად ერთმანეთის დამარღვეველი; სამწუხაროდ, ეს ცნობები ჯეროვანად შესწავლილი არ არის. აქ მოვიყვან მხოლოდ იმავე აბუ აბდალლაჰ მუჰამედ იბნ აჰმედ იბნ იუსუფის ცნობებს, რაც ერაყს შეეხება: „კაბიწი 25 რიტლია... ხოლო გრივი (ჯარიბ) სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია და 10 კაბიწისაგან შედგება; ამნაირადვე იცვლება კაბიწის წონაცა“-ო (Liber Mafatih al-olum).

ღვინის საზომად ჩვეულებრივ „კოკა“ იხმარებოდა ხოლმე (იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრება, საეკლ. მუზ. გამოც., გვ. 46; შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 59, 1250—60 წ. სიგელი; ქრონიკები, II. 137, 150, 153). ერთი 1246—50 წ. სიგელიდანა ჩანს, რომ ჩვეულებრივი კოკის გარდა მოზრდილ კოკებსაცა ხმარობდნენ, მაგ., გელათსა ჰქონია საკუთარი „მონასტრული დიდი კოკა“ (ქრონიკები, II, 129). რკონის 1259 წლის სიგელში მოხსენიებულია: „კულუხი ძუელი იყო თორმეტი კოკაჲ ოცდაოთხლიტრიანითა კოკითა თითოსა მიწასაზედა“-ო (ქრონიკები, II, 136); რაკი ამ საბუთში ნიშანდობლივ აღნიშნულია, რამდენლიტრიანი კოკა უხმარიათ, უეჭველია იმიტომ, რომ ამაზე ნაკლებლიტრიანი კოკებიც ყოფილა; ვახტანგი თავის სამართალში ამბობს: „ადგილი არის კოკა 8 ლიტრა არის, ადგილია 10-ლიტრიანიანია, ადგილია 12, ადგილი 16, ადგილია 24-ლიტრიანია“-ო (კარი ვალისა, მუხლი 120). IX—XIII საუკუნეებშიც 24-ლიტრიანის გარდა სწორედ 8, 10, 12 და 16-ლიტრიანი კოკებიც იყო, თუ სხვანაირი, საბუთებიდან არა ჩანს. საბა ორბელიანი ამტკიცებს, რომ „საწყავი კოკისა არს ათი ახალი ლიტრა“-ო (ლექსიკონი, 149). რასაკვირველია IX—XIII სს. კოკა 24-ლიტრიანიც და მომცროებიც ძველ მაშინდელ ლიტრის კვალობაზე იქნებოდა ნაანგარიშევი. რაკი, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ჯერჯერობით ძველი ლიტრის წონა გამორკვეული არ არის, ამიტომ ჯერ არც ძველი კოკის რაოდენობის შეტყობა შეიძლება.

* იხ. Sauvaire-ის ზემოაღნიშნული თხზულება; Nöldeké-ეს წიგნში Geschichte der Perser und Araber, გვ. 246, შენ., კრემერის თხზულებაში Culturg. Streifzüge კაბიწის შესახებ არსებითი და ახალი რამე ცნობები არ მოიპოვება.

კოკის გარდა კიდევ შემდეგი საზომებია საბუთებში მოხსენიებული: „ურემი ღჳნო" (1246—50 წ. სიგელი, ქრონიკები, II, 129), „საპალნე ღჳნოჲ" და „ღჳნოჲ თჳთოჲ ცალი" (1212—27 წ. ვაჰანის მონასტრის ძეგლი, შიომღვ. ისტ. საბ., 34, 35); საპალნე ახლაც იხმარება კახეთში; საბა ორბელიანი საპალნეს „ულაყის სატვირთოაჲ"-ადა სთვლის (ლექსიკონი, 263), ხოლო იმის წონის შესახებ არას ამბობს. საპალნე „პალანისაგან" არის ნაწარმოები, რაც აქლემის კურტანსა ნიშნავს (დაბადება. შესაქმე 31, 34), როგორც სამართლიანად ამბობს საბა ორბელიანი; მაშასადამე, საპალნე თავდაპირველად აქლემის ტვირთსა ნიშნავდა და არა ულაყისას; რა წონის საზომად ითვლებოდა ძველად საპალნე საბუთებიდან არა ჩანს. საპალნე, რასაკვირველია, საქონლის ორივე გვერდით იყო გადაკიდებული, თითოეულ მათგანს „ცალი" ერქვა; ამ ცალის წონა, რასაკვირველია, მაშინ გამოირკვევა, როცა საპალნის წონას შევიტყობთ.

მომცრო საზომებად „კოჭობასა" (იოანეს და ეფთვიმეს ც᾽ა, გვ. 46) და „კარასჳულსა" (1123 წ. დავით აღმაშენებელის ანდერძი, შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 18 და იოანეს და ეფთჳმეს ც᾽ა, გვ. 46) ხმარობდნენ; საბა ორბელიანი ამბობს — კოჭობა „მცირე ქოთანიაო" (ლექსიკონი, 152); კარასჳულის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება; სომხურ წყაროებში არის საზომი *կարաս* „კარას" (*Աղերեան*, op. cit., 110), მაგრამ იქაც მეტად გამოურკვეველი მასალებია. დასასრულ, „კვანჩხი" (1250—60 წ. სიგელი, შიომღვ. ისტ. საბ., გვ. 59—60), რომლის შესახებ საბა ორბელიანს ნათქვამი აქვს მხოლოდ — „მცირე სასმისი ყისა"-ო, ე. ი. არაყისა, მაგრამ ძველად ღვინისათვისაც უხმარიათ („კვანჩხითა ღჳნოჲ"), და ჭიქა (1259 წ. რკონის სიგელი, ქრონიკები, II, 157)[114].

• •

რაკი ყველა ის ცნობა, რომელიც კი IX—XIII სს. დროინდელ საბუთებში მოიპოვება საფასისა და საზომის შესახებ, შეკრებილი და შესწავლილი გვაქვს, ახლა იმდროინდელ სავაჭრო ფასების გამორკვევას უნდა შევუდგეთ და, თუ რომ შესაძლებელი იქნება, აწინდელ ფულის კვალობაზეც გამოვიანგარიშოთ.

ნიკორწმინდის სიგელში საკმაო ცნობები მოიპოვება XI საუკუნის შესახებ. პირველად ისეთ ცნობებს მოვიყვანთ, საცა ფასი ფულად კი არა, ნივთად არის აღნიშნული, — შემდეგ სადაც ფულადაა.

„მეტეხარას ღებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი :ა: და ამისთჳს მივეც: ძუ-ლოჲ ახალი ერთი და შედეგი ძულოჲ :ა: ტაბასტაჲ სომხური :ა: ჯაჭვი :ა: და ჴარი კარგი :ა: სასთაული ხირაჲთა კარგი :ა: და ქაფი ჯაჭვსაჲ: ა" (ქრონიკები, II, 45).

„შქმერს ვიყიდე შქჳლოჲსგან გლეხი :ა: და სასეფონი ყანანი და ფასად მივეც: ჯორი :ა: დრაჰკანი კონსტანტინატი: გ: ჴარი: ბ: ფურია: ა:" (ibid. II, 48).

„ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან: ა: და მივეც: ცხენი ხუადი ორი, სტავრაჲ კაბაჲ: დრაჰკანი კონსტანტინატი: გ: ავშარა რკინისაჲ: ა:" (ibid., II, 48).

„ვიყიდე აჩეჩლისაგან გლეხი: ა: ბობოთს და მივეც: ცხენი: ა: ჴარი: ა: დრაჰკანი კოსტანტინატი: გ: ცჳლი ლიტრა: იდ: და ბოესლი: ა:" (ibid. II, 48).

„ოკრიბას ჯუარისას ვიყიდე ნასრაჲსა ასულისაგან გლეხი... და მისთჳს მივეც ფასად: ცხენი: ა: დრაჰკანი დუკატი: ზ: და ფური: ბ:" (ibid., II, 49).

„მეტეხარას ყასალის ძისაგან ვიყიდე ვენაჭი: ა: და მივეც: კარი: ა: და საკ-ნისი: ბ:" (ibid., II, 45).

„ვეინჭარაის ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნათიხალი ვენაჭისაი... და მივეც ზროხაი: ა: და ორმოცისა დრამისა კმელადი" (ibid., II, 45).

„მეტეხარას ჯინჯინოძისაგან ვიყიდე ვენაჭი... და მივეც: ფური: ა: და კმელადი სამოცდა თხუთმეტისა დრამისაი" (ibid., II, 45).

„ზნაკუას ვიყიდე აგარასთანა აბულათაის ძისაგან ვენაჭი: და ყანაი: ა: და მისთჳს მივეც: ცხენი კარგი: ა:" (ibid., II, 46).

„მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანაი: ა: და მივეც: ხუარ-ბალი ჯრივი: გ:" (ibid., II, 46).

„მუნვე ზნაკუას კეპოის ძისაგან ვიყიდე ყანაი: ა: და მივეც: კარი ერთი, რკი-ნაჲ ლიტრაი რვაი და ქალამანი ორი" (ibid., II, 46).

„მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხსა მივეც ხაშლი: ა: და მისგან ავიღეთ ყანაი: ა:" (ibid., 46).

„მუნვე ზნაკუას... იყიდა მიწაი ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაჭვი: ბ:" (ibid., II, 46) და სხვა კიდევ მრავალი ამგვარი ცნობებია ნიკორწმინდის სიგელში.

ახლა ამავე საბუთიდან ისეთ ცნობებს მოვიყვანთ, სადაც ფასი ფულად არის აღნიშნული:

„ვიყიდე... იალმაგისაგან ყანაი და მივეც მას: დრაჰკანი კონსტანტინატი: ბ:" (ibid., II, 47); როგორც ზემოთ აღნიშნული იყო ბიზანტიური ოქროს ფული $^{14}/_{15}$ მისხალ ოქროს შეიცავდა: ერთი მისხალი ბაჯაღლო ანუ წმინდა ოქრო ახლა 5 მანეთად და 50,96 კაპიკად ფასობს (იხ. პროფ. კაუფმანის Русский Вес, его развитие и происхождение в связи с историей рус. ден. систем. с древ. времени. Записки нумизм. отд. рус. Археолог. общ. I, 175, 1906 წ.): მისხლის $^{1}/_{15}$ ნაწილი, მაშასადამე, ეღირება $36\,^{2}/_{3}$ კაპ., ანუ ბიზანტიური ერთი ოქროს დრაჰკანი 5 მან. და 86 კაპ. უდრის. ყანაში 2 დრაჰკანი მიუციათ და ეხ-ლანდელ ფულის კვალობაზე ეს ყანა 11 მან. 72 კაპ. (2×5 მან. 86 კაპ.) ღირე-ბულა;

„ვიყიდე ცხილათს გლეხნი: ბ:... და მივეც ფასად დრაჰკანი დუკატი: ლვ:" (ibid., ქრონიკები, II, 49); 2 გლეხი 36 დრაჰკანი ღირებულა, ანუ 210 მან. 96 კაპ. (5 მ. 86 კ.×36), ერთი გლეხი, მაშასადამე, 105 მან. 48 კაპ.

„ვიყიდე სგოჯაის-ძისაგან ყანაი: ა: მივეც რკინაი და მატყლი დრამისა: ლ: საი" (ibid., II, 47); 1 ყანა 30 დრამა ღირებულა; X საუკ. 15, ან 13 დრამა 1 ოქროს დინარს უდრიდა; მაშასადამე, ყანა დაახლოებით $2^{1}/_{7}$ დინარი ღირებულა, ხოლო დინარი, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, 1 მისხალ წმინდა ოქროს შეიცავდა, $2^{1}/_{7}$ დინარი = 11 მან. 78 კაპ. ($^{15}/_{7}$×5 მან. 50 კაპ.).

„პერნეულისა თავსა ვიყიდე თავბრტყელისაგან ყანაი და მივეც ფასად ოცისა დრამისაი" (ibid., II, 47); 20 დრამა = $1^{3}/_{7}$ დინარს = 7 მან. 85 კაპ. ($^{10}/_{7}$×5 მ. 50 კ.).

„ჩაყრიესაგან ვიყიდე მიწაი და მივეც ოთხმოცისა დრამისა" (ibid., II, 47), 80 დრამა = $5^{5}/_{7}$ დინარს = 31 მ. 42 კ. ($5^{5}/_{7}$×5 მ. 50 კ.). მაშასადამე, 1 ყანა 11 მან. 78 კ. გაყიდულა, მეორე ყანა 7 მ. 85 კაპ., მესამე 31 მან. 42 კაპ., უეჭ-ველია, ფასის სხვადასხვაობა თვით მიწის ღირსებასა და ნაყოფიერებაზე იქნე-ბოდა დამოკიდებული.

ნიკორწმინდის სიგელში შენახულია ერთი ცნობა, რომელიც წიგნის ფასს შეეხება: „მე დამხუდა იადგარი ნახევარი წერილი: ა: და გავასრულე ყოთავე

სისრულითა, შევმოსე და შევცვარე და შევბეჭდე და მისისა დაწერისა და შეკაზმისათჳს მივეც დრაჰკანი დუკატი: იე: და ვიყიდე პარაკლიტონი და მივეც ცხენისა ნახევარი“-ო (ibid., II, 49); ნახევარი წიგნის დაწერისა და შეკაზმისათვის 15 დრაჰკანი დუკატი = 87 მან. 90 კაპ. (= 5 მ. 86 კ.×15), ვთქვათ შებეჭდვა, შეცვარება და შეკაზმა 27 მან. 90 კაპ. დასჯდომოდა, ნახევარი წიგნის დაწერა ღირებულა 60 მან., ხოლო **მთელი წიგნი** 120 **მანეთი, შეკაზმული** კი 147 მან. და 90 კაპ.

მემატიანე მოგვითხრობს, ბაგრატმა (1027—72) რომ თბილისს ალყა შემოარტყა, ისეთი შიმშილობა იყო, „**ლიტრა ვირის ხორცი ხუთასს დრამად იყიდდეს**“-ო (ქართ. ცხ., 324); 560 დრამა დაახლოვებით 206 მანეთს უდრის.

შემდეგ საბუთებში შენახულია ცნობები ფასების შესახებ **მეცამეტე საუკუნის ნახევარს**: შიომღვიმის 1250—60 წ. სიგელში ნათქვამია: „აგარას თორმეტისა დრაჰკნისა ვენაჴი ვიყიდეთ“-ო (შიომღვ. ისტ. საბ., 59); 12 დრაჰკანი = 12 ×5 მ. და 50 კ. = 66 მან.

იმავე სიგელში წერია: „საგლეხოსა ვენაჴსა ზედა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არა მემამულენი, მიწაჲ ვენაჴად აეშენა და იგინი კაცნი კიდე წაეიღეს, ნაშენებისა მათისა ნაცვლად იოანეს გამზრდელსა გარისელაჲს ძესა **თექუსმეტი დრაჰკანი** მიეცა მათ კაცთაჲთჳს“ (შიომღვ. ისტ. საბ., 59); ჩვენ ვიცით, რომ გაშენებაში გამშენებელს ნახევარი ვენახი ერგებოდა ხოლმე; ეს 16 დრაჰკანი სწორედ ამ ნახევარ ვენახის ფასია; მაშასადამე, **მთელი ვენახი** 32 **დრაჰკანი ღირებულა**, ანუ 5 მ. და 50 კ.×32 = 176 მან; უეჭველია, ეს ვენახი სიერცით პირველზე $2^1/_2$-ად მეტი უნდა ყოფილიყო ან არა და თვისებით სჯობნიდა. იმავე დროის საბუთში ნათქვამია: „ესე სამოსელი **რვა დრაჰკნად** ვაჭრულად დააფასეს, შენ ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც, **ორი გუთანი მიწა**“-ო (ibid., 61); ალბათ 2 **გუთანი მიწა 8 დრაჰკანი ღირებულა**, ანუ 8×5 მ. და 50 კ. = 44 მან; მაშასადამე, 1 **გუთანი 22 მანეთი**; 44 მანეთივე ღირებულა ის სამოსელიც.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისს, 1227—30 წ. შემდეგი ფასები ყოფილა: „ცხენი ერთი სამას ორმოცდაათ თეთრად ნაყიდი“ (ქრონიკები, II, 102); ამ დროს $12^2/_3$ თეთრი ანუ ვერცხლის ფული 1 ოქროს დინარს უდრიდა: 350 თეთრი = $27^{12}/_{16}$ დინარს, ხოლო 27 დინარი = 148 მან. და 50 კ. ამდენი ღირებულა ეს ცხენი; უეჭველია კარგი ცხენი იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ XII საუკუნეში თამარ მეფის ქმარმა, დავითმა ერთს „**სახელგანთქმულ ზერდაგ**“ (ყვითელ) ცხენში ფასად უბოძა „**ციხე და სოფელი**“ (ქართლ. ცხ., ჯიჯინაძეს გამ., გვ. 444). 1227—30 წ.-სვე ცხენისათვის „**უნაგირი** ოქროჲთა და ზარხოჲთა მოჭედილი ექუსას თეთრად დაფასებული“ (ქრონიკები. II, 102) იყო; 600 თეთრი = $47^7/_{19}$ დინარს, ხოლო 47 დინარი = 258 მ. და 50 კ. ამავე დროს „ერთი პალანკურდნითა შეკაზმული დიდად კარგი **ჯორი** ოთხას თეთრად დაფასებული“ ყოფილა (ibid., II, 102). 400 თეთრი = $31^{11}/_{16}$ დინარს, ხოლო 31 დინ. = 170 მან. და 50 კ.

ამაზე მეტი ცნობები, თუ არა ვცდებით, საბუთებში არ შეგვხვედრია; თუ შემდეგში ამგვარი ცნობები ბლომად აღმოჩნდება და შეგროვდება, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლება ამ ფასების აწევ-დაწევას ჩაუკვირდეს მეცნიერი და რაიმე დასკვნას დაადგეს, ხოლო ჯერჯერობით მხოლოდ მასალების შეგროვებითა და შესწავლით უნდა დავკმაყოფილდეთ[115].

ИСТОРИЯ ЦЕРКОВНОГО РАЗРЫВА МЕЖДУ ГРУЗИЕЙ И АРМЕНИЕЙ В НАЧАЛЕ VII ВЕКА[16]

I—II

(Представлено на заседании Историко-филологического отделения 13 февраля 1908 г.)

Задачей нижеследующей монографии была критическая оценка имеющихся по вопросу о церковном разрыве между армянами и грузинами документальных данных и устных преданий, выяснение общего положения до момента событий, течения и характера полемики между армянскими и грузинскими иерархами и тех причин, которые привели Грузию и Армению к разрыву. Автор подходил к вопросу с точки зрения историка и вопросов догматических не имел намерения затрагивать. Источниками для избранной темы могли быть: «Книга писем», История Ухтанеса и трактат грузинского католикоса Арсения «О разделении Грузии и Армении» („განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა")*. Из них последнее произведение интересно главным образом для последующей эпохи, а по интересующему нас вопросу автор трактата не самостоятелен, фактов в этой части у него мало, и он любопытен только тем, что совершенно основательно выдвигает значение политики персидского правительства в ходе событий. Ввиду этого, в данной монографии трактат католикоса Арсения не привлекался. История Ухтанеса использована только в части, где он сообщает устные предания, в остальном это произведение изучено только методологически. Основным и почти единственным источником, таким образом, являются те документы, которые сохранены в сборнике «Книга писем».

1. Свое сочинение *«Պատմութիւն բաժանման Վրաց ՚ի Հայոց»* («История отделения грузин от армян», Вагаршапат, 1871 г.) Ухтанес писал не по собственному почину, а по поручению своего духовного вождя, которому принадлежит и идея и план работы, по крайней мере, указание на то, из каких источников должен был Ухтанес черпать сведения для своей истории; об этом говорит сам автор в следующем обращении к своему вдохновителю:

«Теперь я пишу тебе о том, что удалось выяснить о первопричине отделения грузин. Ввиду того, что в «Книге писем» мы не нашли [сведе-	*«Գրեմ քեզ այժմ որ ինչ մերոցս եղեւ հաստատութիւն որ յաղագս առնել պատճառի բաժանման Վրաց. Վասն զի ՚ի գիրս թղթոցն ոչ այլ ինչ գտաք աւելի պատճառ*

---

* თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, დამატება 1.

ний] ни о чем ином, а только о том хужике-несторианине, о котором блаженный архипастырь Моисей писал Кириону, что уже мной упомянуто, то я мимоходом, несколькими словами, скажу и об основной первой причине, о которой выше я дерзнул упомянуть... Так как на основании рассказов, [слышанных мной] не от одного, или двух, либо трех только лиц, но от многих, много раз, мне удалось достоверно установить [первопричину], то теперь, следуя данному первоначально согласию, я изложу об этом, о духовный вождь, вашей любознательности. Ведь я с самого начала получил от вас повеление постараться всячески изложить в этой истории все достоверное, как на основании слухов, так и на основании письменных документов».

զրոյ, բայց միայն զխուժիկն զայն նեստորական, զորմէ գրեաց տէր Կիւրոն երանելոյն հայրապետն Մովսէս որ յիշի մինչև ցայժմ. Արդ անցից սակաւ ինչ բանիւք յիշատակել վասն առաջին պատճառին յաղագս որոյ վերագոյն խրախուսացար ասել... Քանզի մեր ՚ի վերայ համբաւոյ ստուգի ՚ի կարգի զրուցաց ոչ ՚ի միոյ միայն կամ յերկուց և կամ յերից, այլ բազմաց բազում անգամ, և այժմ ասացից քոյին հարցասիրութեանդ ըստ հրամանի առաջին յանձնառութեանն ով հոգևոր հեղինակ վասն զի պատուէր ընկալայ յառաջագոյն ՚ի քէն ամենայնի հոգ տանելոյ և զհաւաստին կարգել մեզ ՚ի պատմութեանս աստ որ ՚ի լրոյ և ի գրոյ»[*].

Из приведенного отрывка видно, что духовный вождь дал историку довольно ясную программу для назначенной темы. Очевидно, в это время была потребность в историческом произведении, которое трактовало бы о том, как произошло разделение церквей или, вернее, «как грузинская церковь отпала или отделилась от армянской», существовала необходимость в историко-апологетическом произведении. Как это видно из сочинения Ухтанеса,[**] в это время в кругах духовенства и любознательных лиц нередко велись разговоры о причинах и истории разделения церквей, в армянском образованном обществе циркулировали слухи и предания о данном событии.[***] Это объясняется практической потребностью: полемика по этому острому в то время вопросу, все еще продолжавшаяся между грузинами и армянами, требовала от духовенства быть всегда наготове для диспута.

Предлагая Ухтанесу взяться за указанную тему, инициатор дал и общие методологические указания: «изложить все достоверное, как на основании слухов, так и на основании письменных документов». Очевидно, духовный вождь считал недостаточным, если бы автор трактата пользовался одними лишь письменными источниками: нужно было прив-

* L. c., стр. 114.

** L. c., стр. 14.

*** Там же, стр. 114.

лечь и устные предания. И это показывает, что пастырю было известно, что на основании одних письменных документов выводы получались недостаточными и апологетическим целям не отвечали: он знал, очевидно, что устные предания значительно помогают в этом отношении. Таким образом, выводы и тенденция исторического трактата Ухтанеса были уже при предложении ему взяться за работу в значительной степени предопределены и в существенном методологическом недостатке — использовании слухов и устных преданий X века для выяснения событий конца VI и начала VII веков — виноват в значительной степени сам инициатор и духовный вождь.

Согласно данной инструкции, Ухтанес действительно утилизирует двоякого рода источники — письменные памятники и устное предание.

Из письменных памятников цитирует он, главным образом, «Книгу писем» *«Գիրք Թղթոց»* (Тифлис, 1901 г.). Ухтанес несколько раз ссылается на нее, так, напр., на стр. 6 («как рассказывается в «Книге писем»), на стр. 23 («как учит нас Книга писем»), на стр. 54 («как свидетельствует Книга писем»); этот же памятник подразумевается всюду, где автор ссылается на письма*. Из слов Ухтанеса видно, что в его время «Книга писем» существовала в нескольких редакциях, отличных друг от друга по составу входящих в нее документов; на стр. 92 историк, напр., пишет следующее:

«письма Гирканского марзпана Смбата я не нашел на своем месте в той «Книге писем», которая была у меня под рукой... но, так как смысл хода дела дал мне [основание] предполагать, что после первого послания Авраама [должно] существовать письмо, которое было адресовано к Кириону, то, произведя розыски в другом экземпляре [«Книги писем»], я, действительно, нашел, как то предполагал».

«զԹուղթն Սմբատայ Վրկան մարզպանի ոչ գտայ 'ի կարգի գրեալ 'ի գիրս Թղթոցն յորում հանդիպեցայ... բանզի կարծիս տայր մեզ խորհուրդ բանին, եթէ զկնի առաջնոյն Թղթի Աբրահամու էր որ առ Կիւրոն Թուղթս այս. բանզի խնդրեալ յայլ օրինակի գտաք այնպէս որպէս կարծէաք».

Кроме «Книги писем», Ухтанес пользовался и трудами историков. Приступая к выяснению причин разделения церквей, автор пишет: «это мы говорим, следуя руководству других историков» *(«զայլոց պատմագրաց հետեւողութենէ»)*:** несколько ниже Ухтанес по вопросу о том, что сюнийцы получали рукоположение и миро у албанцев, цитирует историка *(«առեալ պատմագրիցն»)*;*** излагая далее историю обращения Албании в христианство, Ухтанес указывает, что он пишет об этом по трудам албанских историков *(«յուսով գայս մեզ [ի] պատմագրացն Աղուանից... հաւաստի ձեզ պատմեալ»)*.****

---

* См. стр. 17, 36, 37, 39 и др.

** См. стр. 119.

*** См. стр. 120.

**** См. стр. 122.

Устными источниками Ухтанес пользуется в известной последовательности, так, напр., на стр. 24 своего произведения он говорит:

«Я хотел [тут же] сказать и о другой причине, о которой я слыхал от многих и много раз; хотя нигде в летописи я не находил упоминания о ней, она не из области сказок или пустословия, а из преданий старцев и некоторых начитанных лиц, достойных доверия: о ней-то и хотел поговорить в настоящей истории в изложении этой главы. Но раз не [уместно] было рассказать о ней [здесь], чтобы течение мыслей, излагаемых в «Книге писем», не прерывалось, сообщу о ней после, в другом месте».

*«Կամէի ասել և այլ իմն պատճառ. զոր ՚ի բազմաց լուեալ մեր բազում անգամ թէպէտ և գրով ոչ գտեալ ուրեք ՚ի մատենի, նաև ոչ ՚ի զրուցաց և խմէ ընդվայրաբանութեանն, այլ յաւանդութենէ ծերոց և ընթերցասիրաց ոմանց հաւատարիմ արանց. զոր կամէի ասել յայսմ պատմութեանս ՚ի կարգն առաջիս: Բայց բանզի ոչ եղև ասել զի մի խորհուրդս ընդմիջեսցի որ ՚ի կարգին, զոր պատմի ՚ի գիրս թղթոցն. ասացից յետոյ յայլում տեղւոջ.»**

Свое обещание Ухтанес исполняет в 62 главе, где он и приводит устное предание старцев о действительной, будто бы, подоплеке разделения церквей,** но и по другим вопросам Ухтанес пользовался устными источниками. Кроме армянских, он упоминает и об одном грузинском предании о том, что «жители Грузии даже хвастаются следующими, передающимися от отца к сыну, словами: вашего волка — Петра, убили наши князья на горе, называемой Канганк»: но при этом историк добавляет: «однако мы не знаем, так ли было это на самом деле, как они говорят» и после нескольких доводов Ухтанес разрешает вопрос отрицательно. По отношению к армянским устным преданиям Ухтанес не проявляет критицизма; им он, как это будет выяснено ниже, вполне доверяет, что, несомненно, умаляет достоинство его труда. Зато он обладает одним качеством, в значительной степени искупающим указанный методологический промах: всегда, когда он пользуется устными преданиями, он добросовестно указывает на их нелитературное происхождение.

Основным источником Ухтанеса является, конечно, «Книга писем», которая теперь имеется и в печатном издании. Прием, к которому обыкновенно прибегает Ухтанес, когда он пользуется «Книгой писем», весьма прост: предпосылая каждый раз маленькое введение, он приводит письма, а затем их поясняет; но цитирует он их не полностью, а эксцерпирует то, что ему необходимо; в 61 главе Ухтанес сам говорит об этом:

«избрав из многих слов [«Книги писем»] все, насколько было возможно, достовер-

«Ջհաւաստին որչափ կարացեալ ՚ի բազմաց ընտրեալ բանից կարգեցաք ՚ի թուղթս յայսոսիկ. Բայց

---

* См. стр. 24.

** См. стр. 114—116.

нос, мы внесли его в наши письма; но в конце и в середине каждого письма имелись и другие повествовательные слова, которых мы не считали ни важными, ни нужными: все же доказательное и интересное для нас мы выписали многое по одному разу, а часть дважды для того, чтобы точно обследовать вопрос и вам, духовный отец, представить в ясном виде».

էր բազում եւ այլ ինչ զկնի միոյ միոյ թղթոցս եւ 'ի միջոցի իւրաքանչիւրոց որ պատմիչք բանք. զոր ոչ հարկաւոր համարեցաք մեր եւ ոչ հարկաւոր, այլ զհաւաստին եւ պիտանին մեզ գրեցաք զյոլովս մեկին եւ զկէսս կրկին սակս ստուգելոյ զբանն եւ քեզ 'ի յայտ բերելոյ ով Հայր Հոգեւորդ».*

В большинстве случаев Ухтанес выписывает из своего источника точно; есть, конечно, разночтения, но часто именно у Ухтанеса бывает сохранено более древнее чтение; нередко, впрочем, предпочтение приходится давать «Книге писем». Так как в первоначальном виде текст переписки до нас не дошел, то для восстановления его необходимо пользоваться обоими памятниками. Не касаясь тех купюр, которые объясняются тем, что Ухтанес выкидывал из писем неважные и неинтересные, по его мнению, места, нужно перейти к тем случаям, когда отличия Ухтанеса от текста «Книги писем» не могут быть объяснены простыми сокращениями. Из них два случая заслуживают особенного внимания. Именно, ответ Вртанеса на третье письмо цуртавского епископа Моисея, в «Книге писем»** представляющий из себя одно целое, у Ухтанеса разделен на два отдельных друг от друга письма;*** причем, первый ответ у Ухтанеса****прерывается на 17 строчке ответа «Книги писем,***** с добавлением коротенького прощального приветствия (*«Ողջ լեր Տէր իմ»*)******, второй ответ у того же автора начинается с той же 17-й строчки, с припиской в начале: «Владыко, письмо твое я получил» *(Գիր քո ընկալայ Տէրիմ)* ******* и идет до 3-й строчки 144 страницы «Книги писем» с двумя значительными сокращениями. Естественно, возникает вопрос о первенстве одной из этих редакций и, конечно, предпочтение приходится дать «Книге писем» ввиду того, что фраза, поставленная у Ухтанеса в начале второго письма Вртанеса, в котором он вторично говорит о получении письма от Моисея, звучит странно, так как о получении письма уже говорилось в первом ответе Вртанеса на третье письмо Моисея,******** и повторение было совершенно излишне, раз и автором и адресатом оставались все те же лица. Было ли однако подобное деление в том экземпляре «Книги писем», которым пользовался Ухтанес, или оно принадлежит самому историку, сказать трудно.

* См. стр. 103.
** См. стр. 141—145.
*** См. стр. 49 и 50—53.
**** См. стр. 50.
***** См. стр. 141.
****** Ухтанес, 49.
******* Там же. 50.
******** Там же, 49.

Еще более существенные отклонения замечаются во втором и третьем ответных посланиях католикоса Кириона; так, например, конец второго ответа Кириона Аврааму по «Книге писем»* от слов

«если хочешь сохранить единение и любовь и жить с нами в мире»...	«Արդ թէ միաբանութիւն և սէր կամիս պահել կեալ ընդ մեզ խաղաղութեամբ...»**.

до последних слов отнесен у Ухтанеса к третьему ответному посланию Кириона к Аврааму,*** причем само это третье письмо грузинского католикоса настолько сокращено, что в сравнении с «Книгой писем» вместо 4 страниц мелкого шрифта**** у Ухтанеса всего полстраницы.***** И в данном случае трудно категорически высказаться, но возможно, что вышеупомянутая путаница произошла по вине Ухтанеса, а не того экземпляра «Книги писем», который мог быть под рукой у историка: перепутать было нетрудно в то время, когда он сокращал письма и вносил их в различные места своего произведения. У Ухтанеса одна часть документа приводится в самом изложении, другая часть — как отдельный памятник; причем он не всегда упоминает, что им сделаны сокращения или же что некоторые части данного документа приведены в другом месте его сочинения.******

Конечно, ожидать от Ухтанеса объективного отношения к противной стороне невозможно, как нельзя этого ожидать и от Арсения католикоса, автора грузинского трактата о разделении церквей; и это нужно иметь в виду. Ухтанес говорит, когда дело идет о грузинском католикосе, нередко значительно больше, чем имеющиеся документы. Если не все, то большинство сведений Ухтанеса, которых нет в переписке, основано в лучшем случае на предании, историческая ценность которого будет выяснена ниже, нередко на произвольной, тенденциозной интерпретации документальных данных. Ввиду этого, исследователь истории церковного разрыва между Арменией и Грузией должен опираться исключительно на сохранившуюся переписку грузинского и армянского духовенства.

II. «Книга писем» представляет из себя обширный сборник, и переписка по интересующему нас вопросу начинается письмом цуртавского епископа Моисея******* и заканчивается окружным посланием армянского католикоса Авраама.******** Вполне понятно, что переписка, имеющаяся в «Книге писем», не могла сохранить всех материалов, относящихся к данному вопросу. «Книга писем» представляет из себя как бы оправдательный документ для армянской церкви; вследствие этого, письма в ней должны были быть подобраны с определенной тенденцией; все материалы, которые так или иначе могли служить не в пользу армянской церкви, очевидно, не были бы помещены в сборнике. И действительно,

---

* См. стр. 178—9.

** См. стр. 179.

*** Ухтанес, стр. 88.

**** «Книга писем», стр. 185—188.

***** См. стр. 87—88.

****** Сравни купюры Ухтанеса 95-6 с «Кн. пис.», 170—1; Ухтанеса, 81—2 с «Кн. пис.» 178—9; но срав. и Ухтанеса 88—9 с «Кн. пис.» 179, где автор говорит о том, что он выкинул из второго письма Кириона к Аврааму.

******* См. стр. 110.

******** См. стр. 195.

в «Книге писем» имеются далеко не все письма грузин, так, напр., там пропущены ответы католикоса Кириона и грузинских вельмож заместителю армянского католикоса Вртанесу* (на это обстоятельство своевременно обратил внимание и Ухтанес**); отсутствует там и ответ грузинского духовенства на окружное послание армянского католикоса Авраама, которым запрещается верующим армянам находиться в общении с грузинами; но не может быть, чтобы такое распоряжение армянского архипастыря осталось без ответа с противной стороны. Таким образом, в «Книге писем» мы имеем односторонний подбор материалов, и только благодаря тому, что основные материалы по истории спора сохранены все же в этом памятнике, остается возможность выяснить причины церковного разрыва и ту обстановку, в которой протекал спор между духовенством и знатью Армении и Грузии.

თეიმურაზ მეფესა და ქართველობას თავი მობეზრებული ჰქონდათ რუს დესპან-სამღვდელო პირთა მედიდურობით, მაგრამ პოლიტიკური გაჭირვება და ზრდილობა მათ მოთმინებას უკარნახებდა. თეიმურაზი ცდილობდა რუსთა მეფისათვის გაეგებინებინა, რომ ამ საკითხებისათვის მაშინ საქართველოს არ სცალოდა და ამავე საუბარ-კამათისათვის მშვიდობიანი დრო და პოლიტიკური მყუდროება იყო საჭირო. ჩვენც კარგად ვიცით, რომ ზოგი რამე უწესო შემოერია ჩვენ მღვდელმსახურებას, მაგრამ რა ვუყოთ, ამისათვის ჩვენ ეხლა არ გვცალია: ოცდაათი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენს სამეფოში საქმეები აიწეწა:: ომი, შული და უწესრიგობა სუფევს დღე და ღამ. იმისიც მადლობელი ვართ, რომ აქამდის გავუძლეთ[2]. ყოველგვარი უწესრიგობის წინააღმდეგ ვიბრძვი და მხოლოდ იმასა ვცდილობ, რომ ქრისტიანობას ზიანი არ მოუვიდეს და მართლმადიდებლობა არ შემცირდეს. თუ მაინც ცოტა რამე უწესოება შეგვეპარა, რა ვუყოთ. უწმინდურ აგარიანთა აოხრებისა, დიდი ომებისა და შულლისაგან მოხდა: ქვეყანაც დაზარალდა და ხალხიც შემცირდა. ამ დროს, მართალია, საეკლესიო წესებს ბევრი ნაკლი შემოეპარა, მაგრამ ჩვენს სარწმუნოებას არავითარი ცთომილება და მწვალებლობა არ შემორევია და წინანდებურად მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო. აქ უკვე თეიმურაზ მეფეს ეტყობა, რომ მისი ქართველური თავმოყვარეობა შელახული იყო, და ის რუსთა მეფეს აგონებს, რომ ქართველებმა ქრისტიანობა თავიდანვე ბიზანტიის კეისართაგან მიიღეს და ეხლაც არა ერთი მღვდელმთავარი სწვევია საქართველოს დახმარებისათვის, როგორც მაგ., კონსტანტინეპოლის პატრიარქი თეოლიპტოსი, ანტიოქიის პატრიარქი ნეოფიტე და იერუსალემის პატრიარქი თეოფანე, რამდენი მიტროპოლიტი, მონასტრების მამასახლისები და პატრიარქთა არქიმანდრიტები, და არც ერთს მათგანს

---

[1] Переписка... გვ. 6—7.

[2] იქვე, გვ. 8—9.

ჩვენ მართლმადიდებლობაში არავითარი ცთომილება არ აღმოუჩენიაო[1]. აზრი ზრდილობიანობისა და მორიდებულების გამო ბოლომდე არ არის გამოთქმული, მაგრამ მისი დასასრული ადვილი მისახვედრია: რაღა თქვენი გამოგზავნილი სამღვდელო პირნი აღმოჩნდნენ ნასწავლი და უქრისტიანესი მართლმადიდებელნი, რომ მათ არაფერი ჩვენებური არ აკმაყოფილებთ და სარწმუნოებაშიც ცთომილება დაგვწამესო. ხოლო ბევრია თუ ცოტაა უწესოება ჩვენ საეკლესიო წესრიგში შემოპარული, ამასაც ყველაფერს კარგად გამოვარკვევთ და, როცა ჩვენი ქვეყანა მოღონიერდება და მშვიდობიანობა და სიყვარული გამეფდება, მაშინ ქრისტეს სარწმუნოებაცა, საეკლესიო წესებიც და სხვაც ყველაფერი მოგვარდებაო[2].

1639 წ. 25 აპრილს თეიმურაზ მეფის სახელით რუსთა მეფის მიხეილ თევდორეს-ძისთვის გაგზავნილი და ბერძნულად დაწერილი სიგელი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს: შინაარსითაც და კილოთიც ყველა სხვა დანარჩენი ამგვარი საბუთებისაგან განირჩევა იმ მხრივ, რომ იქ საბუთის დამწერზე და დესპანზე ბევრი ლაპარაკია. ამ სიგელში მიტროპოლიტ ნიკიფორეს ისეთი გაზვიადებული ქება-დიდებაა და ამავე დროს თეიმურაზ მეფის დანარჩენ ხელისუფლებისათვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ცნობებია მოყვანილი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველა ეს თეიმურაზის ნათქვამი იყოს.

შემდეგ თეიმურაზ მეფეს ნათქვამი აქვს, რომ ნიკიფორე მას კირილე პატრიარქისაგან გამოუთხოვია და ის ქართულ ეკლესიაში შემოპარულ უწესრიგობას ასწორებს და გვარიგებსო. ოთხი წელიწადია, რაც მიტროპოლიტად დავნიშნეთ და ჩვენი საიდუმლო სამსახურისათვის დესპანადაც გამოვიყენეთო[3].

ამ სიგელში თეიმურაზ მეფე რუსთა მეფესეუბნება: ყველაფერი, რაც ნიკიფორე მიტროპოლიტს თქვენთვის უთქვამს, მართალია და ჩემგან დავალებული ჰქონდაო. განა მე სხვა მღვდელმთავრები და ბერები, ან დიდებული თავადნი არა მყავანან, რომ თქვენთან დესპანად წარმომეგზავნა? ოღონდაც რომ ბევრნი მყავანან და მეხვეწებიან კიდეც, რომ ისინი გამოვგზავნო, მაგრამ იმათ მე არ ვგზავნი იმიტომ, რომ არც საუბარი იციან, არც სიტყვის მიტანა შეუძლიათ და არც პასუხის მოტანა. სწორედ ამიტომაა, რომ მათ მაგიერ ნიკიფორე მიტროპოლიტს ვგზავნიო[4].

თავისი თავის ასეთი უცნაური გაწბილებითაც არ კმაყოფილდება ვითომ თეიმურაზი და თავის სიგელში ქვევით ამ საკითხს კვლავ უბრუნდება და აქ ნიკიფორეს პიროვნული ღირსება ზემონათქვამზე უფრო მეტი ძლიერებით არის შექებული და იმავე დროს დანარჩენნი წინანდელზე მეტადვე დამცირებული არიან. ნიკიფორეზე ნიჭიერი და რჩეული მოხელე არა მყავს: ის ჩემი ერთგული და ერთსულია, ღვთის წინაშე წრფელის გულით მემსახურებაო. დიდო მეფეო, გონიერი თანამშრომლების შერჩევა მიძნელდება და მირჩიე, როგორ მოვიქცეო. ჩემ მღვდელმთავართა და თავადთაგან ისეთი გონიერი და ღირსეული არავინ იყო, რომ შენი მეფური დიდებულებისათვის პასუხი მოეხსენებინაო. სადაც კი ისინი არ გამიგზავნია, არაფერი გაუკეთებიათ და მარტო თავიანთ თავზე ზრუნავენ; რომელ სახელმწიფოშიც კი არ წარმიელენია, არსაიდან არავითარი პასუ-

---

[1] Переписка გვ 7.
[2] იქვე. გვ. 9.
[3] იქვე. გვ. 9.
[4] იქვე. გვ. 6.

ხი არ მოუტანიათ. 15 თუ 16 წელიწადია, რაც ნიკიფორე ჩვენ სადესპანო საქმებზე დადისო[1].

დაუჯერებელია, რომ ყველა ზემომოყვანილი თვით თეიმურაზ მეფეს დაეწერინებინოს. არც ერთ გონიერ პოლიტიკოსს და მეფეს თავისა და ხელისუფლების ასე დამცირება არ შეეძლო, რადგან ეს მისი მიზნების მიღწევას შეაფერხებდა და სახელსაც გაუტეხდა. ყველა ეს სინამდვილესაც არ შეეფერებოდა, რადგან ალექსანდრე მეფის [1574—1605] დროს ნიკიფორე არ ყოფილა, მაგრამ მოსკოვსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა იყო, ქართველი დესპანებიც არსებობდნენ, სიტყვა-პასუხიც მოჰქონდათ. ნიკიფორე მიტროპოლიტის გადაჭარბებული ქება-დიდება და ამ ბერძნულად დაწერილი სიგელის ნიკიფორესგანვე დაწერილობა გვაფიქრებინებს, რომ აქ იმდენად თეიმურაზ მეფის სიტყვებთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რამდენადაც თვით ნიკიფორეს შენათხზთან. რაკი ამ დროს საქართველოში მმართველ წრეში ბერძნულის მცოდნე არავინ იქნებოდა, ნიკიფორეს დაწერილი შინაარსი თეიმურაზისა და მისი უახლოესი თანამშრომლებისათვის მხოლოდ იმდენად იქნებოდა გასაგები, რამდენადაც თვით ნიკიფორე მათ აუწყებდა. ამიტომ ნიკიფორეს ამ თავის დანაწერში ყველაფრის შეტანა შეეძლო, რასაც კი მოისურვებდა.

ამ სიგელის შინაარსი ცხადყოფს, რომ ნიკიფორეს რუსთა მეფის თვალში თავისი პიროვნების განსადიდებლად არაფერი დაუზოგავს და სიგელში ისეთი ცნობებიც კი შეუტანია, რომელთა გამომჟღავნება საიდუმლოების გაცემას უდრიდა. ჯერ გულუბრყვილო თავმომწონეობითა და ტრაბახით მოთხრობილია, რომ 15—16 წლის განმავლობაში თეიმურაზის დესპანობა ნიკიფორეს მოსწყინდა და როცა მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებულს ქვეყანა სპარსთაგან აოხრებული და აფორიაქებული დახვდა, ქართლი შაჰის ხელში იყო, ნიკიფორემ საქართველოდან წასვლა განიზრახა[2]. მართალია, ეს ნიკიფორეს იმ თავგანწირულ ერთგულებას, როგორადაც თეიმურაზ მეფეს ჰყავს დახასიათებული, სრულებით არ უდგება. მაგრამ სამაგიეროდ ამას მოსდევს ცნობა, რომ თვით თეიმურაზიც თავისი ოჯახითურთ და ქართველი დიდებულებიც ერთხმივ შეეხვეწნენ საქართველოში დარჩენილიყო და თეიმურაზის დესპანად ისევ რუსეთში გამგზავრებულიყო საქართველოსთვის რუსთა მეფის მფარველობისა და დახმარების მოსაპოვებლად. ამ უცნაურ დესპანს თავის დაწერილ სიგელში თეიმურაზ მეფის მაგიერ შეტანილი აქვს ცნობა, რომ ნიკიფორემ ამაზე გვიპასუხა: 15 თუ 16 წელიწადია შენ ელჩად დავდივარ და ჩემი საკუთარი 1500 თეთრიც კი დამიხარჯავს, მე ეხლა აღარ შემიძლია და სამღვდელო თუ საერისკაცო სადესპანო პირი ბევრი გვყავს. სხვა ვინმე გაგზავნე, რომ რუსთა მეფემ არ იფიქროს, თეიმურაზს ამის მეტი არავინა ჰყავსო[3].

ცხადია, ასეთი უცნაური ცნობების შეტანას ვერავინ დაავალებდა, მით უმეტეს თეიმურაზი, რომელიც ამ ცნობებში ნიკიფორეს წყალობით ყოვლად უმწეო და უბადრუკ პიროვნებად მოჩანს. ისე გამოდიოდა, რომ ვიღაც ოსმალოელი ბერძენი ბერი კახთა მეფის დიპლომატიურ მოღვაწეობას არამცთუ სრულებით უანგაროდ, პირიქით, საკუთარი სახსრითაც კი აწარმოებდა.

---

[1] Переписка გვ. 9—10.

[2] იქვე, გვ. 10.

[3] Переписка... გვ. 11—12.

იგივე ნიკიფორე მიტროპოლიტი თავის დაწერილ სიგელში თეიმურაზ მეფეს ათქმევინებს: ჩვენ ყველამ ნიკიფორეს ვუთხარით, ჩვენ გვინდა, რომ რუსთა მეფესთან სწორედ შენ გაემგზავრო, რომელმაც ეს კარგი და მნიშვნელოვანი, ივერიელთათვის ამდენი ხნის განმავლობაში შეკრული გზა, რომლის აღმოჩენა ვერც ერთმა ივერიელმა ვერ შესძლო, შენ იპოვე, წახვედი და დიდი მეფისაგან საიმედო პასუხი მოგვიტანეო[1]. ვითომც ასე უნდა ემუდარათ და ელაპარაკათ კახთა დიდებულებსა და მმართველ წრეებს. მაგრამ აქ ხომ ცხადი ტყუილია და ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ ეთქვათ, თითქოს ჩრდილოეთის გზა და რუსეთთან დიპლომატიური დამოკიდებულების ბილიკი პირველად საქართველოსთვის სწორედ ნიკიფორეს აღმოეჩინოს. ეს რომ მართალი არ იყო, თვით ამავე სიგელში მოყვანილი ცნობებითაც მტკიცდება, რადგან ჯერ ერთი იქ ხარიტონი და თეოდოსი არქიეპისკოპოზი არიან ნიკიფორეს წინამორბედ დესპანებად რუსეთში დასახელებულნი და, ამას გარდა, ამავე საბუთში კახეთის დიდებულთა სიტყვაც კია მოყვანილი ალექსანდრე კახთა მეფის დროინდელი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ[2]. მაშ, რა დასაჯერებელია, რომ ამავე კახთა დიდებულებს ნიკიფორე რუსეთის გზის პირველ აღმომჩენად გამოეცხადებინათ.

ცხადია, აქ თვით ნიკიფორესავე საკუთარ შენათხზთანა გვაქვს საქმე. მას ამით უნდოდა რუსეთის მთავრობისათვის თავისი მნიშვნელობა და ღვაწლი გაედიდებინა და ისეთი აზრი ჩაენერგა, თითქოს უმისოდ საქართველოში რუსეთს არაფრის გაკეთება არ შეეძლო. თავიდან ბოლომდის ნიკიფორეს მიერ დაწერილი სიგელი მისი დამწერის განდიდების წადილით არის გამსჭვალული და ამ საბუთსაც მატყუარობის ცხადი ელფერი გადაჰკრავს.

მართალი იყო თუ არა თეიმურაზ მეფის ჩივილი თავის წინანდელ დესპანებზე, არ ვიცით, მაგრამ ნიკიფორე მიტროპოლიტი კი რომ თავის ბატონს ურცხვად ატყუებდა და თავისი საკუთარი გამორჩენისათვის უფრო იბრძოდა, ვიდრე თეიმურაზისა და საქართველოსთვის, ეს სრულებით ნათლადა ჩანს. ამიტომ არის, რომ ის თეიმურაზს და კახთა დიდებულებს თავის დაწერილ სიგელში ყოვლად უმწეო ადამიანებად და თავის თავს საქართველოს ერთადერთ მხსნელად უხატავდა რუსთა მეფეს. ამ საბუთში მას შეუტანია ისეთი საიდუმლო ცნობაც კი, როგორიც რუსეთთან კახთა სამეფოსაგან ყმადნაფიცობის საკითხის გამო ბრძოლა იყო, რომ არც თეიმურაზ მეფესა და არც დიდებულებს ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნზე ხელის მოწერა არ სურდათ და მხოლოდ მან, ნიკიფორემ, აიძულა ამაზე დათანხმებულიყვნენ. ამით მას უეჭველია უნდოდა თავისი დამსახურება რუსთა ხელმწიფის წინაშე ცხადეყო, რომ ასეთი ღვაწლისათვის რუსეთის მთავრობისაგან შესაფერისი ჯილდო მიეღო. ასეთი საქმეების ჩადენა მხოლოდ შანტაჟისტსა და მოღალატეს შეეძლო და ამიტომ არის, რომ ნიკიფორეს დაწერილი ამგვარ საბუთებს არ მიაგავს და ასეთი არაჩვეულებრივი აგებულებისაა და თავისი კილოთი და შინაარსითაც ასეთ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ნიკიფორე მიტროპოლიტის სიტყვები ცხად-ყოფენ, რომ 1639 წ., სანამ რუსთა მეფესთან თეიმურაზი დესპანს გაგზავნიდა, მმართველ წრეში დიდი ბრძოლა ყოფილა. დიდებულებსაცა და თვით თეიმურაზსაც სურდათ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმოყვარეობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულება ყო-

---

[1] Переписка... გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 13 და 14.

ფილიყო დადებული. ყმადნაფიცობაზე უარს ამბობდნენ. რუსეთიდან უკან დაბრუნებული თეიმურაზის დესპანი ბერძენი ნიკიფორე კი სწორედ ამას ურჩევდა მეფესა და დიდებულებს. დიდებულები ამის წინააღმდეგი იყვნენ და თეიმურაზსაც მათი მხარე ეჭირა: ალექსანდრე მეფის დროს მოსკოვის მეფესთან მეგობრობა და სიყვარული გვქონდა, ჩვენი დესპანები მოდიოდნენ ხოლმე და ბრუნდებოდნენ ჩვენთან, მოსკოვის მეფეც გვეხმარებოდა, ჯარიც მოგვაშველა, ციხეც აგვიგო, ყმადნაფიცობის ფიცის წიგნი კი არ მიგვეცია არც იმისთვის და არც სხვა რომელიმე ხელმწიფისათვის, არამედ ჩვენ შორის მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა იყო[1].

ნიკიფორე ბერძენმა იცოდა, რომ რუსთა მეფეს სიყვარული და მეგობრობა კი არა, ყმადნაფიცობა სურდა და ძეირფას ლითონებს ეძებდა, ამიტომ გადაჭრით ურჩევდა და მოითხოვდა კიდეც, რომ რუსთა მეფის ეს წადილი აესრულებინათ და ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნზე ხელი მოეწერათ. ის თეიმურაზ მეფეს ეუბნებოდა: საფიცრის წიგნზე ხელი მოაწერეთ და აღთქმა დასდეთ, რომ დიდი ხელმწიფის დიდსა და მაღალ ხელს დაემორჩილებით. მაშინ ის ნამდვილად დაიჯერებს და თქვენზედაც იზრუნავს, რომ ყველა მტრებისაგან დაგიფაროთო.[2] დიდებულები კი ამბობდნენ: თუ რუსთა მეფე ყველა თხოვნას აგვისრულებს და ლეკების წინააღმდეგ დაგვეხმარება, მაშინ ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნსაც მივცემთო[3]. ნიკიფორემ ამგვარი პირობა უგუნურებად ჩასთვალა და რუსეთში წასვლაზე გადაჭრით უარი თქვა. ის იმდენად გაკადნიერებულა, რომ თეიმურაზისათვის უთქვამს, რომელმა შენმა მოსისხლე მტერმა ჩაგაგონა და მოგაფიქრებინა ასეთი რამეო?[4]. ალექსანდრე მეფის დროს თქვენი ქვეყანა ხელუხლებელიც იყო და კეთილდღეობაც სუფევდა, ეხლა კი ხომ ხედავთ რანაირად აოხრებულა. ამიტომ დაიჯერეთ ჩემი ნათქვამი და აასრულეთ, რასაც გეუბნებით: რომ აღდგეს თქვენი ქვეყანა, ივერია და ქრისტიანობა, რომ არ გაქრეს ქრისტეს სარწმუნოება და სამეფო საგვარეულო, მოიქეცით ისე, როგორც გირჩევთ და აასრულეთ ჩემი სამი მოთხოვნა[5].

ნიკიფორე ბერძენსა და თეიმურაზ მეფე-დიდებულებს შორის ამ ზემომოყვანილი ამტყდარი კამათიდანა და ბრძოლიდან ცხადად ჩანს, რომ თეიმურაზ მეფესა და ქართველ დიდებულებს ყმადნაფიცობის უღლის დადება არ სურდათ და თავისუფალი საერთაშორისო მოქმედების უფლების დაკარგვა არ უნდოდათ. თანაც მათ გამოცდილებით ეჭვი ჰქონიათ გულში შეპარული, რომ რუსთა მეფე ქართველებს ყმადნაფიცობაზე კი ხელს მოაწერინებდა, დახმარებით კი არ დაეხმარებოდა. საქმე რომ ასე დატრიალებულიყო, იმას გარდა, რომ უცხო ხელმწიფის ყმადნაფიცობა და საკუთარი თავისუფლების ნებაყოფლობით დამონავება საქართველოსთვის სრულებით უაზრო და უსარგებლო გამოდიოდა, არამედ, პირიქით, მეზობელ მაჰმადიან სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გამწვავებასა და მტრობის ჩამოვარდნას და გაძლიერებას უქადდა. ასეთ პირობებში საქართველოს რუსეთთან დახლოვება და მის ყმადნაფიცად გადაქცევა ქართველი ერისათვის საზიანო იქნებოდა. სწორედ ამის შიში და პოლიტიკური დამოუკიდებ-

---

[1] Переписка გვ. 14.
[2] იქვე. გვ. 15.
[3] იქვე. გვ. 13.
[4] Переписка... გვ. 13.
[5] იქვე. გვ. 14.

ლოშის დაკარგვის ატანის სიძნელე აიძულებდა ქართველ მმართველ წრეებს რუსეთთან ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას ასეთი სიფრთხილით მოპყრობოდნენ. ნიკიფორე ბერძენს მაინც მოსკოვის მეფისათვის საფიცარის წიგნზე თანხმობა არ განუცხადეს, სანამ მან თავისი მხრით ამ საქმის კეთილად მოგვარებისა და დამთავრების ხელწერილი არ მისცა[1].

მაგრამ ნიკიფორე მიტროპოლიტის ამგვარ ხელწერას ან რა ძალა ჰქონდა, ან რა ფასი? რუსთა მეფისათვის ის სავალდებულო არ იქნებოდა, ნიკიფორეს მისი აუსრულებლობა რომ სდომებოდა კიდეც, ანაზღაურება რით-ღა შეეძლო? განა ეს გარემოება თეიმურაზ მეფესა და ქართველ პოლიტიკურ წრეებს გამოეპარებოდათ? ძნელი დასაჯერებელია, თუ, ამისდა მიუხედავად, ისინი საფიცრის წიგნზე ხელისმოწერას ნიკიფორეს მაინც შეჰპირდნენ. ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ნიკიფორესავე სიტყვით უამისოდ ის რუსეთში არ მიდიოდა. ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნზე ხელი ხომ მაშინ უნდა მოეწერათ, როცა საქართველოში უკან დაბრუნებულ ნიკიფორეს რუსთა მეფის დესპანები მოჰყვებოდნენ და თან ხელმოსაწერ საფიცრის წიგნს ჩამოიტანდნენ. მაშინ მოუვიდოდა თუ არა თეიმურაზ მეფესა და საქართველოს მოსკოვის მთავრობის სამხედრო დახმარება, ლეკებისა და სპარსთა მეფის წინააღმდეგ, გამოირკვეოდა და ამისდა მიხედვით მოიქცეოდნენ კიდეც და ყმადნაფიცობაზე ან ხელს მოაწერდნენ, ან უარს ეტყოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეფე რუსთა მეფეს თავის სიგელში სთხოვდა, რომ ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნის ამბავი საიდუმლოდ დარჩენილიყო[2].

კახთა სამეფოში ალექსანდრე მეფის დროს დარწმუნებული იყვნენ, რომ თუშეთისა და დიდოეთის მთებში ვერცხლის და ოქროს მადანი იყო. მეზობელი დიდი სახელმწიფოების შიშით ამ ამბავს მალავდნენ და მისი გამჟღავნება სახიფათოდ იყო მიჩნეული. ამავე მიზეზით ამ მადნების ამოღება და დამუშავებაც არ სურდათ[3].

თეიმურაზ მეფემ გადასწყვიტა, რომ თუშეთისა და დიდოეთის მთებში მყოფი ვერცხლისა და ოქროს მადნის დამუშავება დაეწყო. საქართველოში მემადნე ხელოსნები ან არ ყოფილან, ან სათანადოდ დახელოვნებულნი არ იყვნენ, რომ ახლად ნაპოვნი მადაროებიდან მადნის ამოღება ეკისრათ. ამიტომ, როდესაც თეიმურაზ მეფე ნიკიფორე ბერძენ მიტროპოლიტს სტამბოლში დესპანად ისტუმრებდა, მას რამდენჯერმე უბრძანა, რომ იქიდან მემადნე ხელოსნები თან წამოეყვანა, მაგრამ ნიკიფორეს თეიმურაზ მეფის ეს დავალება არ აუსრულებია და თან მემადნე ხელოსნები არ ჩამოუყვანია[4].

საცილობელ საკითხად ნიკიფორესა და თეიმურაზ მეფესა და ქართველ დიდებულთა შორის კახეთის სამეფოში მადნის არსებობის რუსთა მეფისათვის გამჟღავნება ყოფილა. ალექსანდრე მეფიდან მოყოლებული მაინც თუშეთისა და დიდოეთის მთებში ოქროსა და ვერცხლის მადნის არსებობა, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. ალექსანდრე მეფე), უცილობელ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, მაგრამ არამცთუ ამ მადნის ამოღება-დამუშავებისა, არამედ თვით ამ ამბავის ხმაურებისაც კი ეშინოდათ, რადგან სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ სპარსეთი-

---

[1] Переписка..., გვ. 15—16.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] იქვე, გვ. 16—17.

[4] იქვე, გვ. 16—17.

სა და ოსმალეთის მბრძანებელთა ხარბი თვალისათვის ისედაც სანუკვარ საქართველოს მოსვენებას აღარ მისცემდნენ, სანამ ხელში არ ჩაიგდებდნენ. თეიმურაზ მეფეს ამ მადნების დამუშავება სურდა და ამისთვის კონსტანტინეპოლიდან მემადნე ხელოსნების მოყვანას აპირებდა, მაგრამ ნიკიფორე ბერძენმა მისვე სიტყვით ოსმალთა შიშით თეიმურაზს ეს ნატვრა ვერ აუსრულა. ეხლა იგივე ნიკიფორე საქართველოს მმართველ წრეებს ძალას ატანდა, რუსთა მეფეს ეს საიდუმლოება გავუმჟღავნოთ და ხელოსნების გამოგზავნა ვთხოვოთო. თეიმურაზ მეფე და დიდებულები ამის წინააღმდეგიც იყვნენ: არც ალექსანდრე მეფის დროს და არც შემდეგ ეს საიდუმლოება არავისთვის გაგვიმჟღავნებია და ეხლაც საშიშიაო. მაგრამ ნიკიფორე აქაც თავისას არ იშლიდა და თხოულობდა, რომ ოქრო-ვერცხლის მადნის არსებობა კახთა სამეფოში რუსთა ხელმწიფისათვის აუცილებლად ეცნობებინათ. რაკი მას ყმადნაფიცობას შევფიცავთ, მან ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა საქართველოში, უნდა იცოდესო: თუ ის საჭიროდ სცნობს ამ მადნების დამუშავებას, დავიწყოთ, თუ ის ამას დაგვიშლის, საიდუმლოდ შევინახოთო. თუ ამაზე უარს იტყვით, მე რუსეთში წამსვლელი არა ვარო[1].

ნიკიფორე ბერძენს რუსეთისადმი უფრო მეტი გულმოდგინეობა გამოუჩენია, ვიდრე საქართველოსადმი, რომლის ელჩადაც მიემგზავრებოდა. რუსთა ხელმწიფის წინაშე გულუბრყვილო აღტაცებით მოსდიოდა ეს, თუ აქ უფრო ანგარება ალაპარაკებდა, მაგრამ ასეთი გულახდილობა დესპანის მხრით და ყველა საიდუმლოების გამომჟღავნება უცნაური იყო მაინც სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რით ასაბუთებდა ნიკიფორე თავის ასეთ საქციელს, მხოლოდ შესაძლებელია ის თითონაც ფიქრობდა და ქართველ პოლიტიკურ წრეებსაც არწმუნებდა, რომ ამით რუსთა მთავრობას უფრო ადვილად მოჰხიბლავდა და საქართველოსათვის მოშველიებაზე დაიყოლიებდა.

ნიკიფორეს ამ საკითხშიც თავისი გაუტანია და თეიმურაზ მეფე დიდებულებითურთ კახეთში მადნების არსებობის შესახებ რუსთა ხელმწიფისათვის ცნობებაზე დაუთანხმებია. ეს გამჟღავნებული საიდუმლოება თეიმურაზ მეფის თხოვნით მაინც მხოლოდ სამ პირს უნდა სცოდნოდა: რუსთა მეფეს, „მის ვაზირს“ და თვით ნიკიფორეს[2].

მადნების დამუშავების პირობა თეიმურაზ მეფეს ასე განუსაზღვრავს: რუსთა მეფეს უნდა კახეთში მემადნე ხელოსნები და საწარმოო თანხა გამოეგზავნა; რაც აღმოჩნდებოდა და ამოღებული იქნებოდა, იმის ნახევარი რუსთა მეფეს მიეცემოდა, მეორე ნახევარი კიდევ თეიმურაზ მეფისა და საქართველოსი უნდა ყოფილიყო[3].

თეიმურაზ მეფისა და საქართველოს მმართველი წრის მთავარი სათხოვარი და ნატვრა თეიმურაზ მეფის სახელით ნიკიფორეს მიერ დაწერილი სიგელის მეორე ნაწილშია მოქცეული. ჩვენი პირველი და უდიდესი სათხოვარია, რომ, თუ შენ, დიდო მეფევ, ჩვენთვის, მეფე თეიმურაზისა, სრულიად საქართველოს და ქრისტეს სარწმუნოებისათვის შველა გსურს, უწმინდურ ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად ერთი დიდი მთავართაგანი ჯარითურთ გამოგვიგზავნე. ამ ლეკებმა ჩვენი ქვეყანა კახეთი ააოხრეს, ეკლესიები დაგვინგრიეს და

---

[1] Переписка ,... გვ. 16—17

[2] იქვე. გვ. 17.

[3] იქვე.

შაჰზე და დანარჩენ ჩვენ მტრებზე უარესად გაცარცვეს. ამიტომაა, რომ გვევედრები ლეკების წინააღმდეგ დაგვეხმარო განსაკუთრებით და, თუ შესაძლებელია, სწორედ იმ ადგილას, სადაც ალექსანდრე მეფის დროს ციხე იყო აგებული, ციხე კვლავ ააშენო, თუ არა და იქ, ჩვენი ქვეყნის მახლობლად იყოს აგებული, ჩვენი მთების იმ ალაგას, სადაც საუკეთესოდ გამაგრებული ადგილი გვეგულება. ეს ციხე იმდენად იყოს ჩვენგან დაშორებული, რამდენადაც თერგი ჩერქეზეთზეა დაშორებული. ამ ციხეში დამცველი ხალხი ჩასხი. მაშინ ლეკებიც თავიანთს მოიშლიან და დაწყნარდებიან, თუ არა და მაშინ ერთი მხრით თქვენ თქვენი ჯარით, მეორე მხრით მე მოვადგები და წინანდებურად დავიპყრობ და დავიმორჩილებო.

თეიმურაზ მეფეს ეს რუსთაგან აგებული ციხე საქართველოს ძლიერ მტრებთან, სპარსეთსა და ოსმალეთთან, ბრძოლის დროს შესაძლებელ უკიდურეს განსაცდელის ჟამს თავისი და მოწინავე წრის სახლობათათვის და თავისთვისაც იმ სანდო თავშესაფარად ეხატებოდა, რომელიც მას მტრებთან ბრძოლისათვის საჭირო თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემდა და მარცხის შემდგომაც ბრძოლის განახლების შესაძლებლობას გაუადვილებდა. სწორედ ეს ორი საკითხი, ლეკების წინააღმდეგ სამხედრო დახმარება და საქართველოს მახლობლად ციხის აგება და შიგ მეციხოვნეთა ჩაყენება იყო თეიმურაზ მეფისა და დიდებულთა მთავარი სათხოვარი, რომლის გულისათვისაც ისინი უკიდურეს შემთხვევაში ყმადნაფიცობაზედაც კი დათანხმდებოდნენ.[1].

როგორც გამოირკვა, საქართველოს რუსეთის სამეფოსა და რუსთ ხელმწიფის შესახებ მაშინ ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონია. ამ ქვეყნისა და მისი მბრძანებლის შესახებ საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ცნობის მიმწოდებლები თავიდან შემთხვევითი პირები იყვნენ, რომელთაც სხვათაგან გაგონილის მოთხრობა შეეძლოთ მხოლოდ. ამ ზეპირი, ზერელე ნაამბობით საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებმა მაშინდელი რუსეთი საქართველოსთან ტერიტორიულად უკვე მოახლოვებულ ქვეყნად და მისი ხელმწიფე უძლეველ და უქრისტიანეს მეფედ წარმოიდგინეს, რომელსაც მარტო მაჰმადიანთა დამარცხება და აღმოსავლეთის დაჯაბნულ ქრისტიანების დახმარებით უღვიოდა გული.

შემთხვევით მოციქულად ქცეულ ვაჭრებისა და საეჭვო პიროვნების ბერძენ ბერისაგან მოტანილს ამგვარ ცნობებს დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოში დახმარებისა და ხსნის იმედი გაუღვიძებია და ჩვენი წინაპრების აღფრთოვანებულ ოცნებას ეს ისედაც უსწორო ცნობები უფრო გაუზვიადებია და დაუმახინჯებია. რუსული ენისა და ამ ქვეყნისა და ხალხის ზნე-ჩვეულებათა და პოლიტიკური წესწყობილებისა და მისწრაფებათა სრული უცოდინარობა ამ საეჭვო ცნობების შემოწმებისა და ნამდვილი ვითარებისა და რუსთა საგარეო პოლიტიკური მიზნების გაგების საშუალებას უსპობდა. რუსული ენის უცოდინარობის გამო ქართველი დესპანები რუს თარჯიმანების ხელში იყვნენ და სასაუბრო ენად თურქული იყო. ასეთ პირობებში მათ იმის გარდა, რასაც რუსეთის მთავრობის მოხელეები ეტყოდნენ, არაფრის გაგება არ შეეძლოთ.

---

[1] Переписка გვ. 20—21.

1643 წ. ენკენისთვის შემდგომ დღეებში თეიმურაზ მეფეს რუს დესპანისათვის უცნობებია, რომ ალონიდან ალავერდის მონასტერში მიემგზავრებოდა სპარსეთის შაჰის აბაზ II-ის დესპანის სანახავად. გამგზავრების წინ თეიმურაზსაცა და მის შვილს დავითს ისევე, როგორც ყველა მათ მხლებელ ხელისუფლებს ქართული თავსაბურავ-ტანისამოსის მაგიერ თავზე დოლბანდები შემოუხვევიათ და სპარსული ტანისამოსი ჩაუცვამთ. ამ გარემოებას რუსების ყურადღება მიუქცევია და მათ მეთაურს ერთ თავის მხლებლისათვის საიდუმლოდ ცნობების შეკრება დაუვალებია. როდესაც ალავერდიდან უკან დაბრუნებულან, რუს ელჩს რევაზისათვის (Реваз-бей) უკითხავს, რა მიზეზია, რომ მეფეცა და უფლისწულიცა და თქვენც ყველანი სპარსეთის შაჰის ელჩს დოლბანდებითა და ყიზილბაშურად გამოწყობილი დახვდითო? რევაზს უპასუხნია: ხომ თქვენ თითონვე ხედავთ, რომ ჩვენ სპარსთა მონობაში ვიმყოფებით, ასე რომ არ მოვიქცეთ, ყიზილბაშთაგან ერთს საათსაც არ დაგვედგომება[1].

თეიმურაზის თხოვნა, რომ რუსეთის მეფეს მისთვის სამხედრო დახმარება გაეწია ჯარის გამოგზავნით ან პირდაპირ საქართველოში, ან იმიერ-კავკასიაში დაღესტნელების წინააღმდეგ, რომ მათ საქართველოზე თავდასხმა ველარ გაებედათ და ამით თეიმურაზს სპარსეთთან ბრძოლის დროს ზურგი უზრუნველყოფილი ჰქონოდა, უარყოფილ იქმნა. რუსთა მეფე და მისი დესპანები უნდა გამომტყდარიყვნენ, რომ სამხედრო დახმარების აღმოჩენა არც შეეძლოთ. მიშეცკიმ თეიმურაზ მეფეს თავისი მთავრობის სახელით 1643 წ. მოახსენა: ჩემმა ხელმწიფემ ჯარის გამოგზავნა არ ინება, რადგან თქვენი ქვეყანა მის საბრძანებელს დაშორებულია. შუაში სპარსეთის შაჰისა და მრავალი სხვა წვრილი მფლობელების მიწაწყალია, გზაც თქვენამდე დიდი და მეტად საძნელოა, ვიწრო მთებში მდებარეობს. ამის გამო იმაზე არც დიდი ჯარის, არც საკმაო სურსათისა და საომარი იარაღის მარაგის გამოტარებაა შესაძლებელი. ჯარისკაცები გზაშივე შიმშილით დაიხოცებიანო. თქვენ სამეფოშიც ამ ჯარის გამოკვებას ვერ შესძლებთ, რადგან თქვენი ქვეყანა მთლად განადგურებული და დაცარიელებულიაო. სამხედრო დახმარების მაგიერ ამის გამო რუსთა მეფემ თქვენი ჯარის შესანახად ფული გამოგიგზავნათო და თქვენი ქვეყანა თქვენი საკუთარი ძალით უნდა დაიცვათო[2].

რუსთა მეფის ფულადი დახმარება დიდს არაფერს წარმოადგენდა: სულ 20000 ეფიმკა... ამით თეიმურაზ მეფეს მხოლოდ ვალების გასტუმრება მოუხერხებია, თავისი ოჯახის წევრების ჩაცმა-დახურვაზე და ჯარისათვის საჩუქრის დასარიგებლად დაუხარჯავს, დასასრულ, ნაწილი იერუსალემში რუსთა მეფის დღეგრძელობისათვის გაუგზავნიაო. მთელი ფული ასე შემოჰლევია კიდევაც და სამხედრო ძალის შესანახად მას კვლავ სახსარი ესაჭიროებოდა.

[«И Теймураз царь Ефиму говорил: великий государь меня холопа своего пожаловал, прислал ко мне с тобою свое государево жалованье. И тем де я государевым жалованьем долги свои заплатил и себя, и жену свою, и сына своего одел, и ратных своих людишек пожаловал; а иное

---

[1] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию; издал. М. Полиевктов, Тб., 1928, стр. 144, 146—147.

[2] მიშეცკის ელჩობა, 149—150.

послал в Еросалим по святым местам и велел за в. г. ц. и в. к. М. Ф. в. Р. и за государя царевича князя Олексея Михайловича всеа Русии, за их великих государей многолетнее здоровье бога молити. И та де у меня казна вся изошла... и я де посла пошлю весною через горы и велю великому государю бити челом обо всех нужах»][1].

1643 წ. თვით თეიმურაზ მეფეს რუს ელჩ მიშეცკისათვის ეს ამბავი უამბნია და უთქვამს: განსვენებული შაჰ-სეფი მწერდა, რომ მას ქართლისა და თბილისის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად თბილისიდან წაყვანა სურდა [როსტომ მეფისა] და თბილისისა და ქართლის ჩემთვის მოცემა უნდოდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ შაჰ-სეფი გარდაიცვალაო [«А покойной де шах Сефии ко мне писал, что он по челобитью тефлиских и карталельских людей Рустом-хана из Тефлису хотел свесть, Тефлиз и Карталею во владенье хотел отдати мне. И грехом моим того шах Сефия не стало»][2].

1643 წ. 15 ოქტომბრის შემდგომ თეიმურაზ მეფის სახელით რუს დესპანისათვის უცნობებიათ: «писали к Теймуразу царю ис Карталеи всяких чинов люди, чтоб к ним прислать Теймуразу царю для совету духовного чину и ближних своих людей. И Теймураз де царь по их писму посылает к ним в Карталею для совету сего же числа... Того же дни архиепископ Алавердей и епископ Захарей Самопельской и стольники Юрья Черкас и Юрья Сафрачей от Теймураза царя поехали в Карталею»[3].

რუსთა მეფის ელჩისათვის, მ ი შ ე ც კ ი ს ა თ ვ ი ს, თეიმურაზ მეფეს 1643 წ. 24 ნოემბერს უთქვამს: ქართლიდან და თბილისიდან ყველა წრის მცხოვრებთაგან დაწერილი მომართვა მომივიდა, რომ როსტომ-ხანი თბილისელი ბევრ ძალადობას სჩადის, მათ სცარცვავს და შვილებს ძალით ართმევს. შაჰისათვის მათ საჩივარი და ვედრება მიურთმევიათ, მაგრამ სპარსეთის მბრძანებლისაგან პასუხი არ მოსვლიათ. ამიტომ ისინი თეიმურაზს სთხოვდნენ ქართლში მათთან სათათბიროდ ჩასულიყო. ამ თათბირში თურმე არაგვის ერისთავს (Аристоп князь), სომხეთის მელიქის ორ ძმას და სხვებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ალექსანდრე იმერთა მეფეს და გურიელსაც მათთვის დახმარება აღუთქვამთ ქრისტიანობის დასაცავად და როსტომის თბილისიდან განსადევნად. ქართლში თურმე ფიქრობდნენ, თუ როსტომი მის წინააღმდეგ შეთქმულების ამბავს შეიტყობდა, ის თითონვე გაიქცეოდა, მაგრამ სპარსეთის შაჰთან კი არა, არამედ ოსმალეთის სულთანთან. ქართლიდან მოსულ მომართვაში ამასთანავე აღნიშნული ყოფილა, რომ, რა წამს როსტომს თბილისიდან განდევნიდნენ, ქართლსაც მაშინვე თეიმურაზ მეფეს მისცემდნენ და მისი ერთგული იქნებოდნენ[4].

ქართლის გავლენიანი წრეების საიდუმლო მზადება და თეიმურაზ მეფესთან კავშირი როსტომ მეფეს არ გამოჰპარვია. ამიტომ 1643 წ. იმავე დროს, როდესაც მას ქართლიდან მოწოდება მიუღია, მას თეიმურაზისათვის თავისი დესპანი გაუგზავნია წერილითურთ, რომელშიც როსტომი თეიმურაზს სთხოვდა მასთან

---

[1] მიშეცკის ელჩობა, გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 151.
[3] იქვე, გვ. 148.
[4] იქვე, გვ. 151.

შუღლი არ ჩამოეგდო და თბილისელებისა და ქართველთა აჯანყებას არ მიემხრობოდა[1].

თეიმურაზ მეფეს გადაუწყვეტია, რომ ჯერ ქართლში გამგზავრებულიყო საქმის ვითარების შესატყობად, შემდეგ კი როსტომისათვის პასუხი მიეცა[2].

1649 წ. 13 აგვისტოს რუსთა მეფისადმი მიწერილ ეპისტოლეში თეიმურაზ მეფე ატყობინებდა იმ ამბავს, რომელიც რუსეთთან პოლიტიკური კავშირის შედეგად მოჰყვა. გაიგეს თუ არა ყიზილბაშებმა, რომ რუსთა მეფეს ჩემ შვილიშვილს ვუგზავნი და მის ყმადნაფიცად ვიქცევი, მაშინვე შაჰმა ქართლი სხვას მისცა და ჩემ წინააღმდეგაც ლაშქარი შეყარაო. [«И кой час проведали кизылбашеня, что посылаю к тебе государю внука своего и рабом вашим учинитца и Карталею ему отдал, и войско собрал»][3]

შაჰის ბრძანებით შემახიდან და განჯიდან (от Кепчи) კახეთში სპარსელებისა და სხვათა დიდძალი ლაშქარი შემოვიდა და ორი-სამი მხრიდან შეუდგნენ საომედრო მოქმედებას, სწერდა თეიმურაზი რუსთა მეფეს. ქვემო მხრის ჩვენ ჯარს ჩემი შვილი დავითი მეთაურობდა, ზემო მხრის ჯარში მე თითონ ვიყავიო. ძალიან ცხარე ბრძოლა გვქონდა, ხალხი ბევრი დაიხოცა. მაგრამ მტერი მრავალრიცხოვანი იყო, ჩვენ კი ცოტანი ვიყავით. ქვემო მხარეს ბრძოლა ბოდბეში ყოფილა და იქ 15 მარტს სპარსელებმა დავითი ჩემი შვილი აწამეს და მოკლესო. მეც გამოვედი და ჩემ სიძესთან, ალექსანდრე იმერთა მეფესთან ქუთაისში მოვედიო[4].

---

[1] მიშეცკის ელჩობა, გვ. 151.

[2] იქვე, გვ. 151—152.

[3] Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию. Издал М. Полиевктов, Т., 1926, ст. 1.

[4] იქვე, გვ. 1—2.

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში

აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადო მდგომარეობა XVIII საუკუნის დამდეგს

საქართველოს და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრეს გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად XVII ს. უნდა ჩაითვალოს. მას შემდგომ, რაც ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა 1634 წ. როსტომი დაამტკიცა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავ გავლენის ასპარეზად იქცა. თვით სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და სპარსულ-მაჰმადიანურ ზნეჩვეულებებისა და დაწესებულებათა თაყვანისმცემელი როსტომ მეფე ამ გავლენის გავრცელებას საქართველოში შეგნებულად უწყობდა ხელს. ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინების მაგიერ მან სპარსულ-თურქული შემოიღო. თვით სახელმწიფო წესწყობილებაშიაც მან ზოგიერთი იმგვარი ცვლილება შეიტანა, რომელიც სპარსულს უახლოვდება. სპარსული ენა და მაჰმადიანობა მეფის წაბაძულობით ქართველთა უმაღლეს წრეებში თანდათან უფრო-და-უფრო ვრცელდებოდა. ეს და ბევრი სხვაც ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებას და არსებობასაც კი დიდს საფრთხეს უმზადებდა.

1636 წ. რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად საქართველო ორად გაჰყვეს და აღმოსავლეთი ნაწილი ოსმალთა მიერ სპარსთა უცილობელ გავლენის სფეროდ იყო ცნობილი, დასავლეთი საქართველო კი სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო, დასავლეთ საქართველოშიც ოსმალეთის გავლენამ ისე ძლიერად იჩინა თავი, რომ ქართული ეროვნული საქმისთვის საშიში შეიქმნა.

პირადად როსტომ მეფე ქვეყნის ურიგო მმართველი არა ყოფილა: ქვეყნის კეთილდღეობაზე და ქონებრივ მოღონიერებაზე ზრუნავდა, მაჰმადიანობისდა მიუხედავად განსაკუთრებით თავისი სახელოვანი თანამეცხედრის მარიამ დედოფლის გავლენით ქართული ეკლესიების განახლებასაც კი მისდევდა. მაგრამ თვით ის სპარსული გავლენა, რომელსაც იგი აღმოსავლეთს საქართველოში აძლიერებდა, მთელს მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკუღმართობის დაღს ასვამდა და ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველად ხდიდა.

ამას ერთი უფრო ახირებული გარემოება დაერთო ზედ. რაკი სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხლობა კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე. ამის წყალობით ისეთს ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგორიც, მაგ., მეფე გიორგი XI იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ჩე-

ლურისტანში, ხან სხვაგან, სადაც კი ამბოხება იფეთქებდა. ამიტომ ისე მოხდა, რომ ქართველ მეფეებს თავიანთ საბრძანებელში წასვლისა და მართვა-გამგეობის საშუალება არ ჰქონდათ და თავიანთი ძალა და ნიჭი სპარსეთის შაჰების ტახტის გამაგრებისათვის უნდა შეელიათ. ამის გამო ისინი იძულებული იყვნენ თავიანთ მაგიერ მახლობელი ბატონიშვილები მეფის მოადგილედ დაენიშნათ ხოლმე საქართველოში და მათთვის მიენდოთ ქვეყნის მზრუნველობა. სპარსეთის სამეფო კარი მაშინ დაუსრულებელი ვერაგობისა და ქიშპობის ბუდედ იყო ქცეული. ცვალებადი იყო ხოლმე იქ გავლენა და ამასთანავე ცვალებადი იყო ხოლმე სპარსეთის შაჰების პოლიტიკაც ქართველი მეფეების მიმართ. ეს გარემოება შხამავდა ჰაერს და სრულ გამოურკვევლობის გრძნობას ჰქმნიდა საქართველოში. ქართველი ერი ამ დროს მართლაც უაღრეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერს ძალას არ მოიკრებდა და ეროვნული განსაცდელის თავიდან აცილებას არ ეცდებოდა.

საბედნიეროდ, ქართველობამ ეს შესძლო. ამ საშინელ გასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინააღუდგა. ქართული ენა რომ სპარსული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისაგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი. გიორგი XI-ის წინადადებით ამგვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ საბა-სულხან ორბელიანმა შეადგინა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოანდომა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას. უცხო ენის ზეგავლენით რომ ქართული ენის ბუნება და კანონები არ შებღალულიყო, ქართული გრამატიკა იქმნა შედგენილი ჯერ მოკლე შანშოვანის მიერ, ხოლო უფრო გვიან ვრცელი — ანტონი კათალიკოსის მიერ.

ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს. ეს კარგად ესმოდა საქართველოს მეფეს ვახტანგ VI-ეს (1703—1714 წ. წ., 1719—1724 წ. წ.), რომლის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართული ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს. ყოველს განათლებულ ქართველს რომ საშუალება ჰქონოდა თავისი ერისა და ქვეყნის თავგადასავალი სცოდნოდა, მან ქართველ ისტორიკოსთა კომისია მოიწვია, რომელსაც ამის შესაფერისი შრომა უნდა გაეწია. ქრონოლოგიურად დალაგებული ქართული სხვადასხვა საისტორიო დროის თხზულებები ძველ დროსვე ერთ კრებულად იყო შედგენილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების" სახელით არის ცნობილი. ეს კრებული მხოლოდ XIV საუკ. დამდეგამდის იყო მოყვანილი. ამ სახითაც ხელთნაწერები იშვიათად საშოვარი შეიქმნა იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი მტრების შემოსევის დროს დაიღუპა. ვახტანგ მეფემ შეაგროვა ყველა საუკეთესო ხელთნაწერები, აგრეთვე ყველა ის საისტორიო წყაროები, რომელნიც ჯერ იმ კრებულში შეტანილი არ იყვნენ, და სიგელ-გუჯრებიც, მოგროვილ საისტორიო მასალებისდა მიხედვით მან ამ კრებულის გაგრძელების შედგენა დაავალა, რომ XIV საუკუნიდან

მოყოლებული საქართველოს ისტორია XVIII საუკუნის დამდეგამდის ყოფილიყო მიყვანილი. შემდეგ ამ ნაშრომის გავრცელება უკვე ადვილი საქმე იყო.

ეს დავალება ისტორიკოსთა კომისიამ შეძლებისდა გვარად აასრულა კიდეც. რადგან ქართული წყაროების ძიებასა და შესწავლას შეუდგნენ, ამ გარემოებამ ქართული საისტორიო მწერლობა კვლავ გამოაღვიძა და გააცხოველა. იმავე მიზანს, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეულს კომისიასა ჰქონდა დასახული, ისტორიკოსი ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს ფრიად საგულისხმიერო და შინაარსიანი ნაწარმოებიც ემსახურებოდა. ვახტანგ მეფისავე თანამედროვე იყო ისტორიკოსი ს. ჩ ხ ე ი ძ ე. მაგრამ ამ ხანის ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო სამკაულად ბატონიშვილ ვ ა ხ უ შ ტ ი ს განთქმული საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებები უნდა ჩაითვალოს. პირველი—წყაროების შესანიშნავი კრიტიკული განხილვითა, ხოლო მეორე — საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა, ზნეჩვეულებისა და ტანისამოს-თავსაბურავის მოკლე, მაგრამ საუცხოო მკაფიო ისტორიული მიმოხილვით არის შემკული. ორივე თხზულებას, განსაკუთრებით საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას, მეცნიერებისათვის ეხლაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ქართული მოწინავე წრეები საისტორიო თავგადასავალთა და თემებით იყვნენ გატაცებულნი. სხვათა შორის ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ხანაში პოეტებმა განსაკუთრებით საისტორიო პოემების წერას მიჰყვეს ხელი. ქართული მხატვრული მწერლობის სხვა დარგებსაც ეროვნული სიმთა ჟღერა დაეტყოთ. ეს გარემოება საზოგადოებრივ პანგებზე ამღერებულს ქართულს ამდროინდელს პოეზიას სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობის გამო ჩუმი მწუხარების ელფერს სდებდა.

თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ვახტანგ მეფემ სახელმწიფო საქმეებშიც გამოიჩინა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ წესიერი და კარგად მოწყობილი სახელმწიფოსთვის თავი და თავი სამართალია. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება რომ მკვიდრ საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული, უნდა მტკიცედ გარკვეული ყოფილიყო ყველა დაწესებულებათა და მოხელეების უფლება-მოვალეობანი. როგორც უკვე წინათაც და XIV საუკუნეშიც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებულ იქნა, ვახტანგ მეფემ ისევ შეაგროვა წინანდელ ქართველ მეფეთა ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი როგორც სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა, ისევე სხვადასხვა მოხელეების უფლება-მოვალეობათა შესახებ, დაალაგა შინაარსისდა მიხედვით, მოაწესრიგა და სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნად აქცია. ამ ძეგლით, რომელსაც ვახტანგ VI-მ „დასტურლამალი" უწოდა, ქართული სახელმწიფო სამართლის განვითარებასა და შესწავლას მკვიდრი საფუძველი დაუდვა.

საქართველოში მართლმსაჯულების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად ვახტანგ VI-მ ამგვარადვე ჯერ ქართული სამართლის ყველა ძეგლები შეაგროვა, რომელიც კი ძველი დროიდან შერჩენილი იყო, შემდეგ სხვა ერთა კანონმდებლობიდახაც გამოარჩია სამართლის წიგნები და სამართლის ყველა ამ ძეგლების განსაკუთრებული კრებული შეადგინა, რომელსაც მისგანვე მოწვეულ საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილი ქართული სამართლის წიგნი დაურთო. უკანასკნელი ნაწარმოები მაშინდელი ცხოვრების უფლებრივი ვითარების უფრო შესაფერისი გამომხატველი იყო. დიდი ხანია უკვე რაც სპეციალისტებს აღნიშნული აქვთ

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ლმობიერებისა და ჰუმანური მისწრაფების უტყუარი თვისებები.

დაუფასებელია ის დიადი ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეფეს, მის უფროსს, თანადროულსა და უმცროს თანამშრომლებს მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. მათი წყალობით ხალხის თვითშემეცნება ფხიზელი გახდა და გაღრმავდა. ყველაფერს კულტურული აღორძინების იერი დაეტყო. პოლიტიკური ცხოვრების პირობები-ღა იყო მხოლოდ საჭირო, რომ ეს აღორძინება განმტკიცებულიყო და თანდათან აყვავებისა და ძლიერების ხანად ქცეულიყო. ვახტანგ მეფეს ჩრდილოეთიდან მოსულმა ერთმა ამბავმა იმედი მისცა, რომ საქართველო მალე ცხოვრების ამ ხელშემწყობ პირობებსაც ეღირსებოდა.

ეს ამბავი რუსეთიდან მოვიდა.

რუსეთის პოლიტიკური დახმარების მოიმედეობა ვახტანგ VI-ის დროს საქართველოში და მისი შედეგი

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებით ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმი სპარსეთიდან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი. სპარსეთის ეკონომიურად ხელში ჩაჭერა რომ უფრო გაადვილებულიყო და შემდეგ უფრო ერცელი პოლიტიკური ზრახვის განხორციელება შესძლებოდა, პეტრე I გადაწყვიტა, კასპიის ზღვის მიდამოები ამიერკავკასიაში ჯერ თავისი მფარველობის ქვეშ მოექცია, შემდეგ ქვეყანა დაეპყრა და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა. ავღანელთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შიშმა თითქოს დააჩქარა ამ წადილის განხორციელება[1]. ამ იდუმალი გეგმის ასასრულებლად რუსეთისათვის საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება იყო საჭირო. ამიტომ პეტრე დიდმა გადაწყვიტა საქართველო და მეფე ვახტანგიც ჩაერია ამ საქმეში და რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პეტრე დიდმა სწორედ ამგვარი საიდუმლო დავალებით 22 მარტს 1720 წ. ვოლინსკი აშტრახანში გუბერნატორად გაისტუმრა. მას ვახტანგ VI უნდა დაერწმუნებინა, რომ პეტრე დიდი ქრისტიანებისა და მისადმი უაღრესად კეთილი განწყობილებით არის გამსჭვალული, და თანაც დაეიმედებინა, რომ რუსეთის ხელმწიფე მას მაჰმადიან ძლიერ სახელმწიფოებისაგან მფარველობას გაუწევდა[2].

რუსეთის ხელმწიფის ელჩმა ისე ოსტატურად მოაწყო და მოაჩვენა საქმე ქართველებს, თითქოს პეტრე I-ს შეეტყოს ვახტანგ VI-ის გაჭირვებული მდგომარეობა, მისი შველა და დახსნა სდომნოდეს სპარს-ოსმალოთა კლანჭებისაგან და სწორედ იმიტომ აპირებდეს იგი სპარსეთის წინაამდეგ ამხედრებას. მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხრიკები სინამდვილედ მიიჩნიეს. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რაიმე იდუმალი ზრახვა ექმნებოდა და ვახტანგ VI დარწმუნებუ-

---

[1] П. Г. Бутков, Материалы для первой истории Кавказа с 1722 по 1803 год, СПБ, 1869, I, 4—6.

[2] Бутков, Материалы I, 6. «Волынский... получил указ делать тайно приготовления к персидскому походу... и склонять карталинского царя Вахтанга и прочих христиан к пользам России, уверяя их в благорасположении Петра I и обнадеживая их в государском покровительстве».

ლი იყო კიდეც, რომ რა წამს იგი პეტრე I-ს და რუსთა ჯარს მიემხრობოდა, პეტრეც თავის მხრივ მისი მეთაურობით საქართველოს მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებდა[1].

როდესაც ეს საკითხი სახელმწიფო დარბაზში ირჩეოდა, ყველა დარბაისელნი არ იყვნენ ამ სამხედრო გეგმის მომხრენი. პირიქით, ზოგი სალი შორსგამჭვრეტელობით ამტკიცებდა კიდეც, რომ ამ ომში ჩარევა საქართველოსთვის ფრიად სახიფათო და სწორედ დამღუპველი ნაბიჯი იქმნებოდა, რომლითაც ქართველთა მრავალრიცხოვანი გარეშე მტრები ისარგებლებდნენ და რუსთა ჯარის ამიერკავკასიაში მოსვლამდის ჩვენს ქვეყანას ააოხრებდნენ[2].

მაგრამ მეფე ვახტანგი ისე გატაცებული იყო რუსთა ხელმწიფის წინადადებით, რომ არავითარი ეჭვიც არ ებადებოდა და ღრმად დარწმუნებული იყო, რომ პეტრე I-თან თანხმობრივი სამხედრო მოქმედება საქართველოს ბედნიერებას მოანიჭებდა. ამიტომ ის და მისი თანამოაზრე დარბაისელნი დაუყოვნებლივ გალაშქრების მომხრენი იყვნენ.

რაკი მეფე თავისას არ იშლიდა, მოწინააღმდეგე წინდახედულმა ჯგუფმა ურჩია მეფეს რუსთა ხელმწიფისათვის მხოლოდ ფარული დახმარება გაეწია და მარტო პატარა ლაშქრით და საიდუმლოდ წასულიყო პეტრე I მისაშველებლად[3]. მაგრამ ვახტანგ მეფემ არც ეს ისურვა: პეტრე I-ს მისივე მოციქულის პირით თანხმობა შეუთვალა და მზადებას შეუდგა[4].

2 ივლისს, 1722 წ. პეტრე I-მა მეფე ვახტანგს ბორის თურქისტანოვის პირით შემოუთვალა, რომ ის მალე სპარსეთის საზღვრებს მიადგება და ამიტომ მეფე საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა, ამასთანავე თავისი დაწყობილი ლაშქრითურთ სპარსეთს შეჰსეოდა და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს მოსვლის შესახებ ცნობები მოუვიდოდა, თუ სად შეყრილიყვნენ ერთად[5].

ვახტანგ მეფემ სიხარულით 30.000—40.000 ჯარისკაცი შეჰყარა, სწრაფად განჯისაკენ გაილაშქრა და შანქორში დაიბანაკა რუსთა ხელმწიფისა და ძლიერი ლაშქრის მოუთმენლივ მომლოდინემ. 6 ენკენისთვეს 1723 წ-სა პეტრეს ეს ამბავი დარუბანდში მიუვიდა, 7 ენკენისთვეს კი ის დაიძრა და წავიდა, მაგრამ საქართველოს ჯართან შესაერთებლად კი არა, არამედ შინ, აშტრახანისაკენ[6].

იმ დროს რუსეთი სპარსეთისადმი მხოლოდ იმ ეკონომიური გამორჩენის თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, რომელიც პეტრე I-ს მხოლოდ თეორიულად, გეგმის მიხედვით ეხატებოდა. მაშინ რუსეთს იმდენად მოჭარბებული ეკონომიური ძალღონე არ ჰქონდა, რომ მისთვის სპარსეთის ბაზარი საალებ-მიცემო ასპარეზად აუცილებლად საჭირო ყოფილიყო. სპარსეთში იგი თავისი მრეწველობის

---

[1] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი ზ. ჭიჭ. გამ. 33. პეტრე I „საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შეელა ენება: ზღვა გავლო, დაჰკრა აელანთა. სოლაღს დაუწყო შენება, დაღისტანს მოხვდა ღვთის რისხვა"..

„ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი მიგიჩნევ მამადო... გიჯობს მე ზურგი მომყუდო, გულზედ გული მამადო, მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე...".

[2] ი ქ ვ ე. 35. „მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების, ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების"

[3] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი 35.

[4] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, 36 და Б у т к о в, Материалы, I, 16.

[5] Б у т к о в, I, 19.

[6] ს. ჩ ხ ე ი ძ ე, ჭიჭ. 34, ჩუბ., 330; Б у т к о в, Материалы, I, 30—31.

ნაწარმოების გასაღებისათვის კი არ შედიოდა, არამედ რუსეთის სავაჭრო მოქმედების გეგმა მხოლოდ უბრალო შუამავლობაზე იყო აგებული.

ამგვარი პირობების გამო პეტრე I-ისათვის და რუსეთისათვის სპარსეთთან ომი პირველხარისხოვანი, აუცილებელი მოვლენა არ ყოფილა. ამიტომაც არის, რომ პირველივე დაბრკოლების შემდგომ, რომელიც რუსთა ხელმწიფის გეგმის განხორციელებას გადაეღობა, მან ამ საქმეს უყოყმანოდ თავი დაანება და შინ დაბრუნდა.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო საქართველო: მისთვის რუსების მიმხრობა და ომში მონაწილეობა სპარსეთის წინააღმდეგ იმდენად საბედისწერო და თავგანწირული ნაბიჯი იყო, რომ, თუ რუსეთის ხელმწიფე ამ ომს წააგებდა, საქართველოს პოლიტიკური არსებობა უუკიდურეს განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, — მას უკან დასახევი გზა აღარ ექნებოდა და ხსნა არსაიდან არ იყო მოსალოდნელი.

პეტრე I ამ გარემოებას ოდნავადაც არ შეუფიქრიანებია: მას ამის გამო თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. მეფე ვახტანგი 40.000 ქართველი ჯარითურთ იდგა და უცდიდა რუსეთის ხელმწიფეს და ვერ გაეგო, თუ რატომ „შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა"[1]. დაპირებული თანხმობრივი სამხედრო მოქმედების ნაგიერ სპარსეთის წინააღმდეგ პეტრე I-მა ვახტანგ მეფეს თავისი დესპანი გაუგზავნა, რომლის პირითაც მეფეს ურჩევდა საქმე განეგრძო: თუ გაიმარჯვებ, მაშინ დიდად მოიგებ იმიტომ, რომ ურწმუნოთა ბატონობისაგან განთავისუფლდები და ჩვენგანაც იქაურ ქრისტიანებზე უფლება მოგეცემაო. რუსთა ხელმწიფე მეფე ვახტანგს თითქმის იმ ცნობით ანუგეშებდა, რომ იგი ამ საქმეს სრულებით თავს არ ანებებდა და მომავალში ამ ომისათვის კვლავ მზადებას შეუდგებოდა[2].

მხოლოდ ამ ამბავის გაგებისთანავე შეიტყო მეფემ დაყოვნების ნამდვილი მიზეზი, რომ „თურმე ხელმწიფე აშტრახანიდან დაბრუნებულიყო" თავის ქვეყანაში[3]. მაშინ კი დარწმუნდა ვახტანგ მეფე, რომ ლაშქრობის მოწინააღმდეგე დარბაისელნი მართალნი იყვნენ. „შეექმნა მეფეს ჭმუნვა დიდი", მაგრამ რაღა დროს[4].

საქმე გაცილებით უფრო ცუდად დატრიალდა, ვიდრე ომის მოწინააღმდეგე დარბაისელებს გათვალისწინებული ჰქონდათ. მათაც კი ფიქრად არ მოსვლიათ, რომ რუსთა ხელმწიფე თავის სიტყვას არ ასრულებდა და საქართველოს განრისხებულს მტრებს უმწეოდ მიუტოვებდა. სანამ პეტრე I ვახტანგ მეფეს საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმევინებდა, ოსმალეთი არზრუმის ფაშის პირით ვახტანგ VI მფარველობას ჰპირდებოდა[5]. მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მიმხრობოდა, ოსმალეთისაგან მაინც საქართველოს განსაცდელი არ მოელოდა. მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ ერევნიდან თავრიზამდის

---

[1] ს. ჩხეიძე, ჯიჯ. 34, ჩუბ. 330.
[2] Бутков. Материали, I, 31—32.
[3] ს. ჩხეიძე, ჯიჯ. 34, ჩუბ. 330.
[4] იქვე.
[5] Бутков. Материалы, I, 32.

მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგაც[1].

მეორე მხრით, განა სპარსეთს კი შეეძლო საქართველოსთვის მისი მოქმედება ეპატიებინა? სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: ის იმდენად „არის მტერი შენი", რომ „ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა" და „ამოსწყვეიტა რჯულისა შენისა მოსავნიო"[2]. საქართველო გადიდებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ გახდა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ცარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის დაუღალავი შრომა ჰქონდა გაწეული და ქვეყნის აღმაშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, პეტრე I-ისაგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ.

მაგრამ საქმე მარტო ამით არ დამთავრებულა. როდესაც პეტრე I-მა დაინახა, რომ ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებდა, 12 ივნ. 1724 წ. სწრაფად ოსმალეთთან ზავი შეჰკრა, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა[3]. ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობა. ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისთვის გაცემით. პეტრე დიდმა ისეთი უმადურობაც კი გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისათვის შესაფერისი თავშესაფარისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ნებავდა. როდესაც ვახტანგ VI-ემ თავისი ოჯახობით აშტრახანში დასახლების ნებართვა ითხოვა, პეტრე I გარისხებული იყო: დახედეთ, უბედურების დროსაც მეფე მაინც ამპარტავნობას არ იშლისო[4]. რუსეთის მეფის აზრით ვახტანგ VI უნდა სადმე საქართველოს საზღვრის მახლობლად დასახლებულიყო და სწორედ ასეც მოხდებოდა, აშტრახანის გუბერნატორს რომ გულუბრყვილობა არ გამოეჩინა და ხელმწიფის დაუკითხავად პეტრეს სახელით ვახტანგისათვის მისი სურვილის აღსრულება არ აღეთქვა[5].

აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II და ერეკლე II ღვაწლი საქართველოს წინაშე

საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, მტრების სათარეშოდ იქცა. ჯერ ოსმალეთი, შემდეგ ნადირშაჰის დროს სპარსელები სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა მთლად მოშა-

---

[1] Б у т к о в. Материалы, I, 31.

[2] ს. ჩხეიძე, ჟურ. 35. ჩუბ. 330.

[3] Б у т к о в. Материалы I, 57 гл. 11, 58—59, 62—63 და მისიონ. კრუზინსკის Tragica vertentis belli Persici historia sub 11. ზ. ავალიშვილი, Присоединение Грузии к России, მეორე გამოც. 69.

[4] «Хотя царь и в бедстве, но гордости не оставляет».

[5] Б у т к о в. Материалы, I, 63.

ლეს, ყოველგვარი ადგილობრივი დაწესებულება მოსპეს და ჯერ ოსმალთა ფაშები, შემდეგ სპარსეთის ვექილები განაგებდნენ საქმეს. მხოლოდ ფრთხილი შორსგამჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის წყალობით მეფე თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და მათმა ღირსეულმა თანამშრომლებმა აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ განსაცდელს გადაარჩინეს, რომელშიაც იგი პეტრე I-ის დროს ჩავარდნილი იყო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით კი არ ამოიწურება, თვით იმდროინდელი ქართველობის ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლოდ გარეგანი წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარებით კი არ განისაზღვრება, არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმაშენებლობაც წარმოებდა, სახელმწიფოებრივს წესწყობილებაშიაც, ეკონომიურს სფეროშიაც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიაც საგულისხმიერო და ცხოველმყოფელი შემოქმედება იყო.

სპარსთა და ოსმალთა გამანადგურებელი ბატონობის წყალობით გახრწნილი სახელმწიფო წესწყობილება მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს წყალობით განახლებულ იქმნა: ჯერ საგანგებო გამოკვლევების საშუალებით ქართული სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა სფეროები იყო შესწავლილი, ხოლო შემდეგ წყდებოდა ხოლმე საკითხი იმის შესახებ, თუ რა ცვლილება იყო საჭირო ამა თუ იმ დაწესებულებაში, რომ იმდროინდელი ცხოვრების შესაფერისი ყოფილიყო. ამგვარად გადასინჯული და შესწორებულ-შევსებული იყო ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხი (ქიზიყისა და კახეთის გარიგება), საქალაქო მმართველობისა და თვითმმართველობის ძირითადი დებულებანი (ქალაქის მოურავის სარგო და გარიგება), კვლავ განახლებული იყო საქართველოს მკვიდრთა დროგამოშვებითი აღწერა და შემოსავლის დავთრების შედგენა. ერეკლე მეფემ მორიგე ჯარის დაწესება შემოიღო და მუდმივი ჯარის არსებობას საქართველოში საძირკველი ჩაუყარა. ამავე დროს მოხდა ქართული სამართლის ძეგლების შესწავლა შინაარსის მხრივ და საკოდიფიკაციო მუშაობის პირველი საფეხური განვლილი იყო.

საქართველოს ეკონომიური და საფინანსო ძალის გამოსაცოცხლებლად და გასაღონიერებლად ერეკლე მეფემ საქართველოს მდიდარი მადნების დამუშავება განაახლებინა, უცხოეთიდან დახელოვნებული მემადნენი დაიბარა და წინანდებურად ქართული ლითონის ფულის მოჭრა დაიწყო.

საქართველოში სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად უცხო ენებიდან საუკეთესო თხზულებები ითარგმნებოდა, თანაც მეცნიერების ყოველი დარგისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები მზადდებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი ანტონ კათალიკოსს მიუძღვის, რომლის ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო ცოდნა იმდენადვე გასაოცარია, როგორადაც მისი დაუღალავი ენერგია და ნაყოფიერება. ბატონიშვილის ვ ა ხ უ შ ტ ი ს შესანიშნავი კრიტიკული მიმართულების წყალობით ქართულმა საისტორიო მწერლობამაც თვალსაჩინო წარმატება გამოიჩინა. საქართველოს ისტორიის ძველი შრომა გადასინჯული იყო და წყაროების ფაქიზი სარგებლობის მხრივ ფრიად შინაარსიანი ახალი მატიანე დაიწერა. მშვენიერია თავისი ღრმა აზროვნებითა და შორსგამჭვრეტელობით პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ორიგინალური საისტორიო თხზულება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესახებ, რომელშიაც

ასე საუცხოოდ სჩქეფს ავტორის მამულიშვილური გრძნობა და გამოსჭვივის ისტორიკოსის მიუდგომელი, ბრძენი გონება.

თვით მხატვრულს მწერლობასაც თვალსაჩინო წარმატება ემჩნევა: ძველი, უკვე დრომოჭმული ენისა და იერის მაგიერ უკვე ახალი, ხალხური პოეზიის სალაროდან მომდინარე მიმართულებისა და ენის ნიშან-წყალი ეტყობა. ამ მხრივ იგი ახალი ქართული მწერლობის წინამორბედი იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულით იყო მონაბერი და მომავალ თვალსაჩინო აღორძინების მომასწავებელი იყო. ცხადია, რომ ამისთვის მხოლოდ ხელშემწყობი, მყუდრო ცხოვრება იყო საჭირო და თეიმურაზ II-ისა და ერეკლე 2-ეის მუდმივი საზრუნავიც სწორედ ეს იყო.

დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულებამდე

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომი ეკატერინე II დროს, საქართველოს ჩათრევა ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და მისი შედეგი

თეიმურაზ მეფეს უნდოდა, რომ თავისი პოლიტიკური გამარჯვების შედეგი სამუდამოდ უზრუნველ ეყო. ამიტომ მან იფიქრა, რომ ორ ძლიერ მაჰმადიან სახელმწიფოს, ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ პატარა ქართველ ერს და საქართველოს ძლიერი ერთგული მფარველი მოკავშირე ესაჭიროებოდა. მას ეგონა, რომ ასეთ მფარველად სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი და მათი ხელმწიფეები გამოდგებოდნენ, ამიტომ 1752 წ. თეიმურაზ მეფემ რუსთა ხელმწიფეს ელისაბედ პეტრეს ასულს სვიმონ მაყაშვილი და ათანასე თბილელი ელჩად გაუგზავნა და მაჰმადიან ძლიერ მეზობლებისაგან მფარველობა და შველა სთხოვა. მაგრამ რუსეთიდან მფარველობაზე უარი მოუვიდა: რუსეთს არავითარი სურვილი არა ჰქონდა, რომ საქართველოს გულისათვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა. მშვიდობიანობა იყო და საქართველო მაშინ რუსეთს არ ესაჭიროებოდა[1].

მაგრამ თექვსმეტი წლის შემდგომ, 1768 წ., როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიედ უნდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო, რასაკვირველია, ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა. რუსეთის სამხედრო გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ ოსმალეთთან ომში ბერძნები და სლავები და საქართველოს სამეფოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩათრეულნი[2].

ამ გეგმის განსახორციელებლად რუსეთის დედოფალ ეკატერინე II-ის მინისტრთა უპირველესმა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს საგანგებო მოციქულის თ-დ ხვაბულობის (ქობულიშვილის) ხელით მოსწერა, რომ რუსეთი ოსმალეთს ეომება და ეს ომი მას სწორედ ეხლა საუკეთესო საშუალებას აძლევს დააღწიოს თავი ოსმალთა ბატონობას. ამისთვის მას ჯარი უნდა შეეყარა და თანაც ცდი-

---

[1] Бутков, Материалы I, 240; პ. ორბელიანი, ჭიჭ. 217, ჩუმ. 458. ...«Не принять, чтобы не ссориться с Турками и Персами» (Бутков, იქვე). შდ. პ. ორბელიანისა და იმდროინდელ ქართველთა ამ უარის გულუბრყვილო და მართლი განმარტება (პ. ორბელიანი იქვე).

[2] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты I, გვ. 11 და Бутков, Материалы I.274, 275.

ლიყო, რომ ამავე ომში ერეკლე მეფეც გაერია და მათ ორივეს საქართველოს შეერთებული ლაშქრობით რუსების დახმარებით ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლათ[1]. რუსეთის მინისტრთა უპირველესი დედოფლის მაგიერ ატყობინებდა, რომ ზავის შეკვრის დროს საქართველოს თავისუფლების შესახებაც ხელშეკრულებაში პირობა იქნებოდა შეტანილი[2]. სოლომონსაცა და ერეკლე მეფესაც ეგონათ, რომ ეხლა კი ნამდვილად ღირსებოდნენ იმ სამხედრო დახმარებას, რომელსაც საქართველო ასე დაჟინებით სთხოვდა რუსეთს. ორივემ სიხარულით ომში ჩარევის თანხმობა განაცხადეს იმ პირობით კი, რომ რუსეთიც თავის მხრივ საქართველოში საკმაო ჯარს გამოგზავნიდა[3].

იმავე დროს, როდესაც ერეკლე მეფესთან რუსეთის ხელმწიფის ელჩი თბილისში ჩამოვიდა და ცდილობდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ომში საქართველოსაც, ვითარცა რუსეთის მოკავშირეს, მონაწილეობა მიეღო, თბილისშივე ერეკლე მეფესთან ოსმალეთის დესპანები იმყოფებოდნენ, რომელნიც თავისი მთავრობის პირით მხოლოდ იმას სთხოვდნენ, რომ ამ ომში საქართველო არ ჩარეულიყო. ერეკლე მეფემ ოსმალეთის ელჩები უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ რუსეთს მიემხრო[4].

რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისათვის გენ. გრაფი ტოტლებენი გამოგზავნა ერთი ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსანი კარაბინერებით, 2 ასეული ცხ. გუსარებით, 200 დონის ყაზახით, 300 ყალმუხით და 1 საველე ზარბაზნით[5].

1770 წ. ერეკლე მეფე საქართველოს ჯარითურთ და ტოტლებენი რუსის ჯარითურთ ახალციხის საფაშოს შეესივნენ და აწყურის ციხეს მიადგნენ. სამი დღის ბრძოლის შემდგომ რუსეთის ჯარის უფროსმა მოულოდნელად ბრძოლის ველს და ალმ. საქართველოს ჯარს თავი მიანება და მთელი თავისი ლაშქრითურთ უკან გაბრუნდა[6].

თავზარდამცემი იყო რუსეთის მხედრობის უფროსის ეს ღალატის მსგავსი საქციელი და ამიტომ „მეფე ირაკლი მრავალს ეხვეწნა“ ტოტლებენს, მაგრამ „მან არა უსმინა“[7]. ამგვარად, რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისთვის ოსმალეთთან ომში ჩათრეული ალმოს. საქართველო რუსეთის ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდ მარტოდ იყო დატოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრესი განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელი განადგურებისაგან: მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო[8].

---

[1] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты I, 21,25.

[2] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты I, 24 და Бутков. Материалы I, 277.

[3] Бутков. Материалы, I, 277—278.

[4] იქვე, I, 278.

[5] ომან ხერხეულიძე, ჯიჯ. 264, რუბ. 491 და Бутков, Материалы I, 280—281.

[6] ხერხეულიძე, ჯიჯ. 264, რუბ. 491 და Бутков, I, 281—282.

[7] ხერხეულიძე, ჯიჯ. 264, რუბ. 491.

[8] ხერხეულიძე, ჯიჯ. 264—266, რუბ. 491—492 და Бутков, Материалы, I, 282.

რუსთა ჯარის მიერ ვერაგულად მიტოვებულსაც მოსვენებას არ აძლევდა და ერეკლე მეფეს რუსეთის „მინისტრად წარმოვლენილი" ლვოვი და ოსმალეთის წინააღმდეგ სხვადასხვა საბუთებით საომრად აქეზებდა. სწორედ „ამის რჩევით" მეფე ერეკლე 1771 წ. კვლავ ახალციხის საფაშოს შევსია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო. მაგრამ, როდესაც ციხეში თავისი მეციხოვნენი შეაყენა, რუსეთის წარმომადგენელმა ამას წინააღმდეგობა გაუწია იმიტომ, რაკი ოსმალთა დიდი ჯარის მოსვლისა ეშინოდა, რომ მოვიდნენ და „ძალად აგართვან სირცხვილი არის"[1].

მეორედაც 1772 წ. ლვოვმა კიდევ იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე მეფეს ჩააგონა „ერთხელ კვალად დაჰკარ ხვანთქრის მამულსაო" და მანაც სოლომონ მეფეც მოიმხრო შეერთებულის ლაშქრით ჯერ ჯავახეთის ახალქალაქს გარსშემოერტყნენ და, სოლომონ მეფე საოფლით რომ არ გამხდარიყო ავად, აიღებდნენ კიდეც. შემდეგ როდესაც ამ მოარულის გამო აქედან აიყარნენ, მოარბიეს ახალციხის, არტაანის და ჯავახეთის ოლქები[2].

ორივე შემთხვევა სრულებით ცხადჰყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავისი მთავრობის გეგმისაებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწაწყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა ამის გამო იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა.

როდესაც ტოტლებენი რუსის ჯარითურთ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, იქ იგი სოლომონ მეფეს, ქართულ ლაშქარს შეუერთდა. შეერთებული ძალით ოსმალები შორაპნისა, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეებიდან განდევნილ იქმნენ[3]. შემდეგ ფოთის ციხე უნდა წაერთმიათ თურქებისათვის, მაგრამ ვერც ტოტლებენმა და ვერც მის მაგიერ დანიშნულმა გენ. სუხოტინმა ჯარის სიმცირის გამო ფოთის აღება ვერ მოახერხეს.

1771 წ. რუსეთის ჯარმა ჯერ ფოთს თავი მიანება, მერმე დასავლეთი საქართველოც სრულებით მიატოვა და აღმ. საქართველოში გადავიდა სადგომად, ხოლო 1772 წ. რუსეთის დედოფალმა „წარასხნა მხედრობა თვისი მიზეზითა ამით, რომელ ზავ-ჰყო ხონთქრისა თანა"[4].

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო რუსეთის წყალობით ოსმალეთთან ომში ჩაბმული საქართველო, როდესაც ეკატერინე II-ის ბრძანებით რუსეთის მცირერიცხოვანმა ჯარმაც კი საქართველო მიატოვა! თვით ხონთქარი ხომ, რასაკვირველია, საქართველოზე განრისხებული იყო და რაკი „განძვინდა მეფის ირაკლის ზედა", მას არც ფული, არც ჯარები დაუზოგავს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ომში ჩარევისათვის სამაგიერო გადაეხადა. ოსმალებმა ფულით ლეკებიც საქართველოზე აამხედრეს და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაღესტნელნი, სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალები ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ და აოხრებდნენ[5].

---

1 ხერხეულიძე, ჭიჭ. 266, ჩუბ. 492—493.
2 ხერხეულიძე, ჭიჭ. 267, ჩუბ. 493.
3 Бутков, Материалы I, 282—284.
4 Бутков, Материалы I, 285—6 და იხ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 267, ჩუბ. 493
5 ხერხეულიძე, ჭიჭ. 267—268, ჩუბ. 494; Бутков, Материалы I, 289.

მეორე მხრით არც სპარსეთს მოსწონებია საქართველოსაგან რუსეთის ცხადი მომხრეობა და სამხედრო მოკავშირეობა. რუსეთის სწრაფს გაძლიერებას და გადიდებას იგი შიშის თვალით შეჰყურებდა და, რასაკვირველია, როდესაც სპარსეთის შაჰის მოადგილემ ქერიმხანმა „სცნა მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიასა მფარველსა ქვეშე შესვლა, განძვინდა ამისთვის" და საქართველოს წინააღმდეგ ჯარითურთ წამოვიდა[1].

აი რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავის სამხედრო გამარჯვების გულისათვის.

ადვილი არ იყო ამგვარი, ორპირ მოვლენილი, განსაცდელისაგან თავის დაღწევა, როდესაც ერეკლე მეფემ ქერიმხანის გამოლაშქრების ამბავი შეიტყო, „არა მცირედ მწუხარე იქმნა, ვინადგან იმედეულმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ხვანთქრისა და არცა-ღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა და ამჟამად დაშორებული იყო მფარველობა რუსეთისა"[2].

რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირები მფარველობის გაწევა თითქოს დაავიწყდა კიდეც. სხვა საშუალება აღარ იყო, საქართველოს ისევ თავისი საკუთარი ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო ძლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებლივ გაფუჭებული დამოკიდებულება.

§ 2. აღმ. საქართველოს მდგომარეობა 1773—1783 წწ. ერეკლე II დამოუკიდებელი პოლიტიკის წყალობით

თავისი დიდი დიპლომატიური ნიჭის წყალობით ერეკლე მეფემ დესპანების პირით როგორც იყო დააშვიდა ქერიმხანი და სპარსეთის მხრით განსაცდელი საქართველოს თავიდან ააცდინა[3].

ოსმალეთის წინააღმდეგ ერეკლე მეფეცა და სოლომონიც სამხედრო ძალით იბრძოდნენ და სწრაფი, ყოველთვის საუცხოოდ მოფიქრებული სამხედრო მოქმედების წყალობით ერეკლემ ისე შეაწუხა ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოები, რომ სულტანი იძულებული იყო სპარსეთის მბრძანებელისათვის დახმარება ეთხოვა, რომ მას ოსმალეთი საქართველოს მეფის თავდასხმისაგან განეთავისუფლებინა. ქერიმხანის თხოვნით ერეკლე II-მ ზავი ჩამოაგდო ოსმალეთის სულტანთან, რომლისგანაც ძვირფასი საჩუქრები და ტყვეობიდან განთავისუფლებული ქართველები მოუვიდნენ[4].

ერეკლე მეფე კვლავ მარტო თავისი ქვეყნის ძალით შეუდგა საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას და ზოგან მოხერხებული დიპლომატიური მოლაპარაკებითა და ჩაგონებით, ზოგან თავისი პირადი სამხედრო ნიჭითა და ქართველი ჯარის მამაცობით, მან არამც თუ მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩამოაგდო მეზობლებთან, არამედ ზოგი მათგანი ისევ ყმად ნაფიცად გაიხადა. ერეკლესაგან განჯის ხანად დადგენილი შუშის ხანი მისი უერთგულესი მოხარკე იყო ისე, რომ ყოველწლიური გადასახადის გარდა თვით განჯაში საქარ-

---

1 ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ჭიჭ. 268, ჩუბ. 494.

2 ი ქ ვ ე.

3 ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ჭიჭ. 268—370, ჩუბ. 494—495.

4 ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ჭიჭ. 270, ჩუბ. 495—495 და Б у т к о в, Материалы I, 288, 289.

თველოს მეფეც თავის წარმომადგენელს ნიშნავდა[1], ისე რომ „ერთი ამის (შუშის ხანის) კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდნენ ქალაქსა განჯისასა"[2]. თუმცა 1780 წ. ერევნის ხანმა ასან ალიხანმა ურჩობა გაბედა და ხარკის მოცემა აღარ ჰსურდა, მაგრამ მეფე ერეკლემ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და იგი დაემორჩილა: „ევედრა ერევნის ხანი და დაიდვა ვიდრე ოთხიათას თუმნამდე გარდასვეტით" ყოველწლიურ ხარკად[3]. ამას გარდა საქართველოს მეფემ ერევნის ხანს „განუწესა მოურავიცა თვისი მუხრანის ბატონი". ამის შემდგომ არც ასან ალიხანს, არც მის შვილს საქართველოსთვის აღარ უღალატიათ, მოცემულს ფიცს და პირობას ერთგულად ასრულებდნენ[4]. ამას გარდა რომ „დამორჩილებულ იყვნენ ირაკლისადმი განჯა, ყარაბაღი" და ერევნის ხანი, მან ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ „ყოველი ადრიბეჟანის (sic) ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლის და მოართვეს ელჩნი და ფეშქაშნი ძვირფასნი თავრიზის ხანისაგან, ხოის ხანისა, ურუმის ხანის, შაყაყის ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისაგან". დასასრულ, „მრავალთა ქურთთა შეპატრონემ" შამადინალამ „მისცა თავი თვისი ყმად" საქართველოს და „შორაგალის სულტანიც ერეკლე მეფეს „მოერთვა ყმად"[5].

1783 წ. ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის

§ 1. მისი წარმოშობის ისტორია

ამ თვალსაჩინო პოლიტიკური გამარჯვებისდა მიუხედავად ერეკლე მეფეს საქართველოს ბედი და თავისი თავი მთლად უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. მას განსაკუთრებით ოსმალეთის გავლენა აფიქრებდა დაღესტანზე და ის ტახტის მაძიებელიც, რომელიც რუსეთიდან ჩამოვიდა და სახელმწიფოს მყუდროების დარღვევას და გამეფებას ცდილობდა. თუმცა ამ ტახტის მაძიებლის წადილი უნაყოფო გამოდგა, მაგრამ რაკი ოსმალეთის მთავრობა თავისი მიზნებისათვის დაღესტანს ფულის საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდა ხოლმე და არც სპარსეთის შაჰი შეჰყურებდა ერეკლე მეფეს მოწყალე თვალით, ამის გამო მას მომავალი საკმაოდ უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. ერეკლე მეფე გრძნობდა, რომ მტრებისაგან თავდაცვისთვის საქართველოსათვის მუდმივი ჯარია აუცილებლად საჭირო. ამის შესანახად კი ფული მას საკმაო არ ჰქონდა. ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ამ გაწეულ ხარჯს აინაზღაურებდა და მხოლოდ დროებითი დახმარება ესაჭიროებოდა.

ამ თავისი გეგმის განსახორციელებლად მან ჯერ დასავლეთ ევროპას მიჰმართა თხოვნით. 1781 წელს ერეკლე მეფემ რომის იმპერატორს იოსებ II-ს წერილი მისწერა, რომელშიც სესხსა სთხოვდა საქართველოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად მტრებისაგან. მაგრამ მეფის ელჩი გზაში მოკვდა. ამის გამო 1782 წ. ამგვარივე თხოვნა ხელმეორედ გაგზავნა და თანაც თავის მხრივ ჰპირდებოდა რომ,

---

1 Бурнашев, Картина 13.

2 ხერხეულიძე, ქრ. 274, ჩუბ. 498.

3 ხერხეულიძე, ქრ. 273, ჩუბ. 497—498 და Бутков, Материалы II, 75.

4 ხერხეულიძე, ქრ. 273, ჩუბ. 498; Бутков, Материалы II, 75 და Бурнашев, Картина 14.

5 ხერხეულიძე, ქრ. 272, ჩუბ. 496—497; Бурнашев, Материалы 14.

თუ იმპერატორი სესხს მისცემდა, ოსმალეთის ომის დროს იმპერატორსა და გერმანიასთან საქართველო მთელი თავისი ძალღონით თურქების წინააღმდეგ იმოქმედებდა. გამოურკვეველი მიზეზების გამო მეფე ერეკლეს არც ამის პასუხი მოსვლია[1].

რუსეთს კი უკვე 1778 წლიდან მოყოლებული საიდუმლო გეგმა ჰქონდა სპარსეთის შესახებ და ამის სამზადისში იყო[2]. ამ გეგმის ფარული მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა კასპის ზღვაში ასტარაბადის ყურის პირდაპირ მდებარე კუნძული დაეჭირა და რუსთა ახალშენი, წინასწარ „მელიტონისად", ე. ი. ფუტკართ კუნძულად წოდებული, დაეარსებინა აქედან რუსეთის ვაჭრობის გასავრცელებლად თვით აღმოსავლეთ ინდოეთამდის[3]. მწარე გამოცდილებამ რუსეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ სპარსეთში მარტო კასპიის ზღვიდან მტკიცედ ფეხის მოკიდება შეუძლებელი იყო. ამისთვის სხვა გზაც იყო საჭირო.

ერეკლე მეფესთან საქართველოში გერმანელი მოგზაური დოქტორი რაინეგსი, ცხოვრობდა, რომელმაც ვითარცა აღმოსავლეთში ნამყოფმა კაცმა, ადგილობრივი ენებიც კარგად იცოდა. სხვათა შორის ქართულიც შეისწავლა და ერეკლე მეფესთან დაახლოებული იყო. რუსეთის სახელმწიფოს მხედართმთავარმა, ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა ეს რაინეგსი საქართველოდან თავისთან დაიბარა და 1782 წ. შემოდგომას ისევ საქართველოშივე გამოისტუმრა, მაგრამ ეხლა უკვე ვითარცა რუსეთის წარმომადგენელი ერეკლე მეფისა და სოლომონ მეფის წინაშე. მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა, ერეკლე მეფისათვის ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის თვითმპყრობელისაგან მფარველობა ეთხოვა ფორმალურად[4].

ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე, განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველ მხრივ მოწყვეტილი იყო. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ამაო იყო ყოველივე მისი ცდა ევროპის სახელმწიფოებამდის ხმის მისაწვდენად, რომ მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ იქიდან დახმარების მოლოდინი ტყუილი ოცნება იქნებოდა. ასეთს გარემოებაში ერეკლე მეფე და საქართველოს მთავრობა რაინეგსის რჩევას, რომელიც, როგორც ეხლა ირკვევა, თვით რუსეთის მთავრობის მიერ დავალებული საიდუმლო მინდობილობით ყოფილა, რასაკვირველია სიამოვნებით შეიწყნარებდა. რუსეთის მეტი მომშველებელი მაშინ მათ აღარავინ ეგულებოდათ და ისევ ამ ძლიერს ჩრდილოეთის სახელმწიფოს მიმართეს.

ოფიციალური თხოვნა გაიგზავნა რუსეთში.

რუსეთის მთავრობას ძალიან ეამა ეს ამბავი. ეკატერინე II-ეც ამ საქმისგან რუსეთისათვის დიდს სარგებლობას მოელოდა[5]. 24 ივლისს 1783 წ. ალმ. საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

---

[1] Бутков, Материалы II, 120.

იქვე, 70.

[3] იქვე II, 71—72.

[4] Бурнашев, Материалы 118; «В Грузии пребывал... доктор Рейнегс, который... знаком был с состоянием дел сего края... Князь Потемкин вызвал его к себе и обратно отправил в Грузию осенью 1782 г. в качестве комиссионера своего при царях Ираклие и Соломоне. Рейнегсу поручено было подвигнуть Ираклия искать формально покровительства самодержицы Российской, на что последовало высочайшее соизволение».

1783 წ. წერილი იხ. Дубровин, История войны, т. II, 11.

§ 2. 1783 წ. ხელშეკრულების შინაარსი და მის მიერ დამყარებული უფლებრივი დამოკიდებულება

ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უფლებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. მეექვსე მუხლში, სახელდობრ, ნათქვამია, რომ „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა **ქართლისა, კახეთისა (ქართლ-კახეთისა) და საქართველოის სამეფოებზე უზენაესის ხელმწიფეობისა** (верховная власть) **და მფარველობის** კეთილმოსურნეობით მიმღები თავისი და თავის შთამომავლობის სახელით აღთქმასა სდებს: 1) რომ **ამ სამეფოთა** ერნი **მის** სახელმწიფოსთან **მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში ჩასთვალოს** და, მაშასადამე, მისი მტრები თავის მტრებად **მიიჩნიოს**".

ამისდა მიხედვით რუსეთის ხელმწიფე თავის და თავისი შთამომავლობის სახელით „უზაკველის აღთქმით" აღთქმასა სდებს, რომ „მოწყალება და მფარველობა მათი ქართლისა და კახეთის (ქართლ-კახეთის) მეფეებს არას დროს არ ჩამოშორდებათ" (§ 2). საქართველოს მეფეთა უფლება მემკვიდრეობით გადადიოდა და რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა, რომ ერეკლე მეფე და მისი შთამომავლობა მუდამ, განუწყვეტლივ სამეფო უფლებით მოსილი იქმნებიან (§ 6ე). საქართველოს სამეფო ტახტზე მისი მეფეები მემკვიდრეობის ძალით ადიან. დამოკიდებულება რუსეთის ხელმწიფესა და საქართველოს მეფეს შორის ამ მხრივ იმით გამოიხატებოდა, რომ მემკვიდრეობის უფლებით საქართველოს ტახტზე ახლად ასულს მეფეს უმალ ეს ამბავი უნდა რუსეთის ხელმწიფისათვის ეცნობებინა და თავისი დესპანის პირით საინვესტიტურო სიგელით და სამეფო ნიშნების გამოგზავნით დამტკიცება ეთხოვა. ამის მიღებისთანავე მეფეს უნდა რუსეთის მინისტრის თანდასწრებით რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებისა და გულმოდგინებისა, ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფეების **უზენაესი ხელმწიფეობისა** (верховной власти) **და მფარველობის** ცნობის აღთქმა დაედვა (§ 3).

სამეფოს შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და უზენაეს მართლმსაჯულებაში, გადასახადების დაწესებასა და აკრეფაში საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო (§ 6ა).

თვით რუსეთის ხელმწიფის კარზე საქართველოს მეფეს თავისი მინისტრი, ანუ რეზიდენტი ჰყავდა და რუსეთის ხელმწიფესაც თავის მხრივ საქართველოს სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენელი მინისტრი, ანუ რეზიდენტი იმყოფებოდა (§ 5). საქართველოს მეფეს საერთაშორისო დამოკიდებულების უფლებაც ჰქონდა, მხოლოდ იმ მხრივ შეზღუდული, რომ ამ ურთიერთობისათვის რუსეთის მინისტრ-რეზიდენტსა და მონაპირეთა მთავართან წინასწარი შეთანხმება იყო საჭირო. სხვა სახელმწიფოების დესპანებისათვის, ან მიღებული წერილების გასაცემ პასუხის შესახებაც რუსეთის იმავე წარმომადგენლებთან თათბირი უნდა ჰქონოდა (§ 4).

ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწაწყლისა, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვა-დახმარებას კისრულობდა. ამისთვის მას ქართული ლაშქრისათვის მისაშველებლად აღმოსავლეთ საქართველოში 2 სრული ბატალიონი ქვეითობა, ოთხი ზარბაზნითურთ უნდა ჰყოლოდა (ცალკე არტიკ. § 2). ეს მუხლი აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ მაშინდელი საზღვრების ხელშეუხებლობას ეხებოდა.

მაგრამ ერეკლე მეფეს მარტო ამისთვის არ დაუდვია ეს ხელშეკრულება: მას უფრო ფართო და შორსგამჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული: ქართველობის

გაერთიანებასა და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა. ამიტომ ამ ხელშეკრულებაში მან განსაკუთრებულ მე-4-ე არტიკულად შეატანინა, რომ რუსეთის ხელმწიფე აღთქმას სდებდა ომის დროს იარაღის საშუალებით, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავგამოდებით ყოველგვარად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნდნენ და მის სამფლობელოდ დარჩნენ ყველა ის ადგილები, რომელნიც მას ძველიდანვე ეკუთვნოდნენ. ამასთანავე რუსეთის ხელმწიფეები აღთქმას სდებდნენ, რომ საქართველოს ამ ახლად დაბრუნებული და შემოერთებული ქვეყნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას თავდებობასაც კისრულობდნენ (არტიკ. 2).

თავის მხრივ საქართველოს მოვალეობად ჰქონდა, რუსეთის სახელმწიფოს მიხმარებოდა და რუსეთის ქვეშევრდომებისადმი საქართველოში განსაკუთრებული მფარველობა გამოეჩინა (არტიკ. 7). მაგრამ, ცხადია, ამით არ განისაზღვრებოდა ის სარგებლობა, რომელიც ამ ხელშეკრულებას რუსეთისთვის უნდა მოეტანა. რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით იმ იდუმალ დიდ სარგებლობაზე ოცნებობდა, რომელსაც ასეთი წინასწარი სიამოვნებით მოელოდა ეკატერინე II.

თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ 1783 წ. ხელშეკრულება უნდა მთელ, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი: ყველგან იქ ერეკლე მეფის სახელის გვერდით და ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენების დროს დამატებულია „იმერეთის მეფე სოლომონ", ან „იმერეთის სამეფო"[1]. თვით სოლომონ მეფეც მოწადინებული იყო, რომ ეს ხელშეკრულება მასთანაც ყოფილიყო დადებული. მაგრამ რუსეთის მთავრობას ოსმალეთისა ეშინოდა, რომლისგანაც რუსეთის თანხმობით დასავლეთი საქართველო ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებისდა მიხედვით ერთგვარს დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სოლომონ მეფესთან და დასავლეთ საქართველოსთან ამგვარივე ხელშეკრულების დადება გადაწყვეტილი იყო მაშინვე, როცა კი ამისათვის ხელშემწყობი გარემოება იქნებოდა[2].

რა თვისების საერთაშორისო დამოკიდებულება მყარდებოდა 1783 წ. ხელშეკრულებით აღმ. საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის? ამის შესახებ მკვლევართა შორის სრული თანხმობა არ არის.

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ცნობილი პროფესორი ერნესტ ნიუსი (Ernest Nys) იმ აზრისაა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება იყო დადებული. იგი ამბობს: „C'était un traité d'amitié et d'alliance où se trouvaient les formules les plus expressives du respect que le gouvernement russe prétendait manifester pour les droits des Géorgiens"

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფონ ლისცტის სიტყვით კი ეს ხელშეკრულება რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც შინაურ მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და საეკლესიო სფეროში თუმც სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც მის ვასალურ სახელმწიფოდ ხდებოდა. თითქმის იგივე აზრი გამოთქმული აქვს ზ. ავალიშვი-

---

[1] პროფ. ა. ცაგარელის გამოც., Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. II, გვ. 32—37 შენიშვნები.

[2] Бутков, Материалы, II, 135.

ლ ს ა ც თავის წიგნში «Присоединение Грузии к России». მას აღნიშნული აქვს, რომ ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს, მფარველობას, არამედ ერთსადაიმავე დროს მფარველობაც, პროტექტორატიც იყო და ვასალური დამოკიდებულებაც[1].

მ. ხელთუფლიშვილის აზრით 1783 წ. რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა[2].

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ ხელშეკრულება ყოველმხრივ სრულს იურიდიულს ნაწარმოებს არ წარმოადგენს და იქიდან თანამედროვე საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით თითოეული ზემომოყვანილი შეხედულების გასამართლებლად საბუთის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ წარსულის საკითხების დაფასება, თუნდაც ეს საკითხი სამართლის მეცნიერების სფეროს ეხებოდეს, თანამედროვე სამეცნიერო ნორმების მიხედვით კი არ შეიძლება, არამედ ამისთანა შემთხვევებში ისტორიული თვალთსაზრისი აუცილებელი და ერთადერთი უტყუარი გზა არის. თუ გამორკვეული იქმნება რა თვისების დამოკიდებულების დამყარება სურდათ საქართველოს და რუსეთის მთავრობებს, როდესაც 1783 წ. ხელშეკრულებას სდებდნენ, და თანაც გვეცოდინება, თუ რა სახელს უწოდებდნენ იმდროინდელი ქართველები და რუსები ამ დამყარებულ საერთაშორისო დამოკიდებულებას, მაშინ თვით საკითხიც არსებითად გამორკვეული იქნება.

ზემოთქმულიდან უკვე ცხადია, რომ საქართველო რუსეთისაგან დახმარებას და „მფარველობას" ითხოვდა. იმ სრულრწმუნებულების ქაღალდში, რომლითაც მეფე ერეკლემ თავის დესპანებს ხელშეკრულების დადება მიანდო, ნათქვამია, რომ ისინი უნდა ცდილიყვნენ ალმოს. საქართველოს მეფეების „მიღებისათვის... მფარველობასა და ქვეშე იმისის იმპერატორებითის დიდებულებისასა"[3]. თვით რაინეგსსაც რუსეთის მთავრობისაგან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სწორედ ისეთი მინდობილობა ჰქონდა, რომ ერეკლე მეფისათვის რუსეთისაგან მფარველობის თხოვნა ერჩია. რუსეთის იმდროინდელი ელჩი საქართველოში იმ დამოკიდებულებას, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების ძალით დამყარდა, „მფარველობას" „მფარველობით უფლებას"? («покровительство» «покровительствующая власть России») უწოდებს[4]. მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს მეფეები „ყოველთვის ერთმორწმუნეობის გამო **დახმარებას და მფარველობას**" ეძებდნენ სრულიად რუსეთის ხელმწიფეებისაგან[5]...

---

[1] იხ. მეორე გამ. გვ. 141 და 143. «Была ли Грузия (от 1783—1801 г.) в вассальной зависимости от России, или находилась под ее протекторатом? Ни то, ни другое, или, лучше сказать, одновременно и то и другое» (გვ. 141). «Итак, разбираемый случай не подходит ни под понятие вассальности, ни под понятие протектората — в строгом смысле, и подходит одинаково и под одно, и под другое, если разуметь их более обще», გვ. 143.

[2] Вступление Грузии в состав Российской империи, 1901 წ. გვ. 88—89.

[3] პროფ. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, Грамоты II, 99.

[4] Б у р н а ш е в. Картина 11—12, 15, 18.

[5] «Всегда искали по единоверию помощи и покровительства Всероссийских Великих Государей», იქვე, 18.

უფრო დიდმნიშვნელოვანია ის საბუთი, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების შედგენის დროს ოფიციალურად თვით რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის ბრძანებით სახელმძღვანელოდ იყო დაწერილი. ამ საბუთებს სათაურად აქვს «Высочайшие указанные основания для заключения Русско-Грузинского Трактата».

იქ სრულებით გარკვევით ნათქვამია, თუ რა თვისების ხელშეკრულება უნდა დადებულიყო და რაგვარი უფლებრივი დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო ამ ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობის სურვილისაებრ საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ საბუთში სწერია: «Мнение Ее величества было... заключить с Грузинскими Царями **союзный трактат**, не именуя их подданными, но союзниками от Империи Всероссийской покровительствуемыми»[1] — „მისი უდიდებულესობის აზრი იყო, რომ **ქართველ მეფეებთან** (ე. ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან) **დადებულიყო მოკავშირეობის ხელშეკრულება ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, არამედ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე მყოფ მოკავშირეებად ყოფილიყვნენ წოდებულნი**".

ამაზე მკაფიოდ წადილისა და აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

საკმარისია 1783 წ. ხელშეკრულება გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ როგორის სისწორით აუსრულებიათ რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის ზემომოყვანილი დავალება: არსად მართლაც საქართველოს მეფის და ქართველ მოქალაქეთა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომობის ხსენებაც არ არის. სამაგიეროდ ისევე, როგორც თვით რუსეთის ხელმწიფესაც სურდა, იქ ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე პირადადაც და თავის შთამომავლობის მაგიერადაც აღთქმასა სდებს საქართველო-რუსეთის სახელმწიფოსთან „**მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში მყოფად ჩასთვალოს**" და მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს.

მეორე მხრით, ისიც ფრიად საყურადღებოა, თუ როგორ უყურებდა ერეკლე მეფე ამ ხელშეკრულებას და რანაირ დამოკიდებულებად სთვლიდა იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიქმნა? როგორც ქვევით თავის ადგილას აღნიშნული იქნება, ერეკლე II-მ ვითარცა სრულიად საქართველოს უზენაესმა მეფემ დასავლეთ საქართველოს მეფისა და მთავართა თხოვნით ითხოვა მათთვისაც ისეთი უფლებრივი დამოკიდებულება მოეპოვა რუსეთთან, როგორიც თვით მას ჰქონდა 1783 წ. ხელშეკრულების ძალით. ამის შესახებ ერეკლე მეფის წერილობითი განცხადებაა შენახული და სწორედ ამ საბუთიდან ნათლად ჩანს მისი აზრი რუსეთ-საქართველოს შორის მყოფ უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს: ვკისრულობ „შუამდგომლობითა ჩემითა მოგიპოვოთ **მფარველობა და კავშირი** უზენაესი საიმპერატორო მთავრობისა"-ო[2]. ხოლო იქ, სადაც იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავის მხრითაც აღთქმას უდებენ რომ, ამ ფარგლებში რასაც კი ერეკლე მეფე გაარიგებდა, უთუოდ შეიწყნარებდნენ, მათ ნათქვამი აქვთ: „უზენაესი საიმპერატორო მთავრობის **მფარველობა და კავშირი** თქვენის უმაღლესობით ჩვენდა

---

[1] პროფ. ა. ცაგარელი. Грам. II, в. II, 30.

[2] ა. ცაგარელი, Грамоты II, в. II, 69. «Доставить Вам покровительство и союз верховныя Императорския власти через посредство ходатайства моего».

სასარგებლოდ მოპოვებული მოვალე ვარ მივიღო"-ო[1]. ამგვარად, სრულებით ცხადია, რომ ერეკლე მეფეც სოლომონ მეფეც და მთავრებიც ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა მხოლოდ „მფარველობა და კავშირი".

მაშასადამე, 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის" ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ.

§ 3. 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი

1783 წ. ხელშეკრულების შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოუჩინა. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსის ჯარი მოვიდა. სამაგიეროდ შეექმნათ „შიშნეულობა მხედრობის გამო რუსეთისა" აზერბაიჯანის ხანებს, რომელთაც წინათ, როგორც აღნიშნული იყო, მეფე ერეკლესთან კარგი განწყობილება ჰქონდა. მათ სალი ალღოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა". ამ მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე აზერბაიჯანის ხანებმა ერთიერთმანეთის მტრობა დაივიწყეს და შეექმნათ ერთიერთმანეთისადმი „დაფარვით დინ-თასლიბისა თანხმობა"[2].

არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალებს და ახალციხის ფაშას სულეიმანსაც. წინათ მასაც ერეკლე მეფესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, 1783 წ. ხელშეკრულებამ ისიც დააფრთხო და საქართველოს მეფის მტრად აქცია[3]. ოსმალეთმა თავის ჩვეულებრივ ხერხს მიმართა და ფულით დაღესტანიც აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ[4]. „სულეიმან ფაშამ მოუწოდა დაღესტნის ომარ-ხანს, ხუნძახის ბატონს", და ისიც 30000 ჯარით კახეთს შემოესია[5].

თვით ერეკლე მეფის უერთგულესი ყმად-ნაფიცი და მეგობარი შუშის ხანიც კი რუსების შიშით საქართველოს მეფეს გადუდგა და გადაემტერა. მისი ჩაგონებით განჯელებმა ერეკლე მეფის მიერ დანიშნული განჯის გამგე გამოაძევეს[6] ყაზახისა, შამშადილისა და შამქორის ელებიც, რომელთაგან საქართველოს 6000-

---

[1] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты II, в. II, 69. «Покровительство и союз верховныя Императорския власти, снискиваемые В. В. к нашему благу, обязан принять».

[2] ხერხეულიძე, ჰიჯ. 274, ჩუბ. 498; Бутков, Материалы II, 132; Бурнашев, Картина 15—16.

[3] ხერხეულიძე, ჰიჯ. 274, ჩუბ. 498.

[4] Бурнашев, Картина 16.

[5] ხერხეულიძე, იქვე.

[6] იქვე.

მდე საუკეთესო ცხენოსანი მებრძოლი ემატებოდა ხოლმე, ამავე პოლიტიკური მიზეზის გამო შუშის ხანს მიემხრნენ და მტრობა დაიწყეს[1].

დაღესტნელების შემოსევა რომ უკუექცია, ერეკლე მეფემ სექტ. 1787 წ. ქართული და რუსული მხედრობითურთ განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა. სრული გამარჯვება იყო მოსალოდნელი, რომელსაც ერეკლე მეფის წინანდელი სახელი უნდა აღედგინა, მაგრამ სრულებით მოულოდნელად რუსის ჯარის უფროსს მინისტრ-რეზიდენტს ბურნაშევს პოტიომკინისაგან საქართველოდან დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა. მან განუცხადა მეფეს, რომ „დღესვე უნდა გავბრუნდეო“ და რამდენი არ სთხოვა ერეკლემ, რომ ლაშქრობის დამთავრებამდის მაინც მოეცადა, არ დარჩა; საჩქაროდ აიყარა და გამობრუნდა თბილისისაკენ, ხოლო იქიდან რუსეთში გაემგზავრა მთელი ჯარით[2].

1783 წლის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ. თვით ერეკლე მეფეც და მმართველი წრეები ხედავდნენ, რომ ამ პოლიტიკური ნაბიჯის გამოისობით საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსში შაჰ-აბაზის შემდგომ არ ყოფილა[3].

ოსმალეთმა ახალციხის ფაშის პირით ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ოღონდ ის რუსეთს ჩამოშორებოდა და რუსის ჯარი საქართველოდან გაესტუმრებინა, და არამც თუ წინანდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან აღდგენილი იქნებოდა, არამედ გაცილებით უფრო მეტს სარგებლობასაც პირდებოდა. ერეკლე მეფემ უარი შეუთვალა. ამის გამო 1786 წ. თურქები ფოთისა და ბათუმის გამაგრებას შეუდგნენ. 12000 დაღესტნელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მათ მიერ ნაქირავები.

ერეკლე მეფე რწმუნდებოდა, რომ რუსეთის დახმარება და მფარველობა იმდენად მცირედი (სულ 1800 ჯარის კაცი) იყო, რომ ის ვერაფერს უშველიდა. ამიტომ, რომ ქვეყანა მოსალოდნელი შემოსევისაგან და ოსმალეთის გულისწყრომისაგან ეხსნა, იძულებული იყო ახალციხის ფაშისათვის დაზავების პირობად აღეთქვა, რომ ის მეტს რუსის ჯარს საქართველოში აღარ შემოიყვანდა. მაგრამ ოსმალეთმა ეს საკმარისად არ დაინახა და ამ დაპირების ასრულების საწინდრად 12 საუკეთესო თავადთა საგვარეულოდან ორ-ორი წარმომადგენელი ამანათად მოითხოვა. ერეკლე მეფე იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ იძულებული გახდა 1787 წ. ივნისში ეს მძიმე და დამამცირებელი მოთხოვნილება აესრულებინა[4].

რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოდან იმიტომ გაიყვანა, რომ იძულებული იყო ოსმალეთთან ომში ჩაბმულიყო. ერთ-ერთ მიზეზად, რომელმაც ოსმალეთი რუსეთის მტრად აქცია და ომი გამოიწვია, რუსეთის საქართველოში მფარველის სახით შემოსვლა იყო. 15 ივლისს 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთის დესპანს გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას საქართველოსთვის თავი დაენებებინა და ამ ქვე-

---

[1] Бурнашев, Картина 16.

[2] ხერხეულიძე, გვ. 275–276, ჩუბ. 499 და Бутков, Материалы, II, 194–197.

[3] Бутков, Материалы, II, 188.

[4] Бутков, Материалы, II, 191–193.

ყნისა და სახელმწიფოს საქმეებში აღარ გარეულიყო. მალე ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო კიდეც, ხოლო 7 ენკ. 1787 წ., რუსეთმაც ოსმალეთს ომი გამოუცხადა[1].

ასეთ პირობებში იმ მცირედი ჯარის გაყვანის მაგიერ, რუსეთისგან, ვითარცა მფარველის მხრივ, სრულებით ბუნებრივი იყო საქართველოსთვის უფრო მეტი ჯარის მოშველება იმიტომ, რომ რაკი უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად საქართველო ითვლებოდა, ოსმალეთის მხრით ამ ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მოქმედება თავისთავად მოსალოდნელი იყო, მაგრამ რუსეთის სამხედრო შტაბმა სამოქმედო გეგმა ისე შეადგინა, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა ამ მხრიდან განზრახული არ იყო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ საქართველო მიატოვა და გადასწყვიტა, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა თავისი ძალით და წინანდელი მშვიდობიანი კავშირის აღდგენით თავისი თავი ამ ომის დროს ოსმალეთისაგან უზრუნველეყო[2]. ასე უცნაურად, სხვა არა იყოს რა, მსჯელობდა რუსეთის სახელმწიფოს მთავრობა, რომლის თაოსნობითაც, როგორც ვიცით, დადებული იყო 1783 წლის ხელშეკრულება.

რუსეთის მთავარსარდალმა და ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა კიდევ იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ 1788 წელს ასე უმწეოდ მიტოვებულს საქართველოს მეფეს ერეკლე II-ს აქეზებდა, რომ მას სოლომონ მეფესთან შეთანხმებით ოსმალთა წინააღმდეგ ემოქმედა. მაგრამ მეფის გული მწუხარებისა და წყრომის ცეცხლით იყო მოცული და მწარე გამოცდილებამ მას უკვე საკმაოდ თვალი აუხილა, რომ ასეთი უცნაური რჩევისათვის ყური ეთხოვებინა[3].

რუსეთის მიერ მიტოვებულ საქართველოს მდგომარეობა

საქართველო ისევ მარტოდ-მარტო დარჩა. ერეკლე მეფემ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმდენი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, რომ აბობოქრებული მტრები დააშოშმინა და მეზობლებთან შედარებით მყუდროება ჩამოაგდო[4]. ამასთანავე მან ძლევამოსილი სამხედრო მოქმედებით 1788 წ. განჯაც დაიმორჩილა[5]. განჯაში გაქცეული შამშადილისა და ყაზახის ელნიც ისევ საქართველოში დაბრუნდნენ[6].

1790 წელს საქართველოს მეფე-მთავრების სრული შეთანხმება მოხდა და მათ შორის ერთობის კავშირი იყო შეკრული. „ვინაითგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვთ ერთმორ-

---

[1] Бутков, Материалы, II, 198.

[2] Бутков, Материалы II, 169 «Причины, побудившие к выводу из Грузии российских войск заключались во многих статьях: I-я, что в плане войны, вновь открывшейся с турками, не было предположено действовать противу их в сей стороне; 2-я, что царю Ираклию удобнее будет в течение сей войны обезопасить себя чрез возобновление прежних своих союзов, разрушившихся единственно пребыванием в земле его российских войск»... (იქვე).

[3] Бутков, Материалы, II, 197.

[4] Бутков, Материалы, II, 197, 277—278, 282, 293.

[5] იქვე II, 278, 283.

[6] იქვე, II, 278.

წმუნება, არიან ძენი ერისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ჯნისა მქონებელნი, აქვსთ... სიყვარულივითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი, საუკუნოისა პირობისა... აღვსთქვამთ მტკიცესა ამასა ერთობასა"[1].

ამ ხელშეკრულებით საქართველოს განცალკევებული ნაწილების პოლიტიკური ერთობა მყარდებოდა კავშირის სახით. ამ კავშირს ერთი უზენაესი თავი ჰყავდა, რომელიც უაღრესი ხელმწიფეობით იყო მოსილი. საქართველოს სამეფო-სამთავროთა კავშირის ასეთ თავად ქართლ-კახეთის მეფე იყო ცნობილი. იგი კავშირის დანარჩენი ნაწილების წარმომადგენლებს შემდეგს პირობას უდებდა: ჩვენ „მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე... გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა... სოლომონსა და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს და მთავარსა გურიისასა სვიმონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა" დასავლეთ საქართველოისათა, რომ „ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად ძეთა იმერეთისათა (ე. ი. ლიხთ იმერ.) ვითარცა მამა საზოგადო მათი" და „უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა... მზა ვიყო შემწედ თქვენდა"[2].

მაშასადამე, კავშირის თავი მოვალე იყო მთელი საქართველოს დაცვასა და კეთილდღეობაზე ეზრუნა და მთელი თავისი სამხედრო, თუ დიპლომატიური, ან სხვაგვარი ძალა შეეწირა ამ მიზნის მიღწევისათვის. თავის მხრით დასავლეთ საქართველოს ყველა მეფე-მთავრები ამ კავშირის თავის, ქართლ-კახეთის მეფის, უზენაეს უფლებასა და ხელმწიფეობას აღიარებდნენ: ეს გარემოება კავშირის ყველა წევრებს იმერეთის მეფეს სოლომონ II-სა, სამეგრელოს მთავარს გრიგოლს და სვიმონ გურიის მთავარს სათითოოდ საკუთრივ აღნიშნული აქვთ: „თქვენი უმაღლესობის უზენაეს ხელმწიფებას მამებრ-საგონებლობით აღვიარებ"-ო[3].

რუსეთმა რომ ოსმალეთთან ომი გაათავა, 1792 წ. თვალი კვლავ სპარსეთისკენ იბრუნა. სპარსეთში თანდათანობით ალა-მაჰმედ ხანი ძლიერდებოდა. 1786 წ. ალა-მაჰმედ ხანმა, როცა ჯერ კიდევ თავის მეტოქეებთან ბრძოლა ჰქონდა, ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ის მისი მეგობარია და მასთან კავშირის შეკვრა სწადია, მთელ აზერბაიჯანსაც კი მის სრულუფლებიან მართვა-გამგეობაში გადმოსცემდა, ოღონდ მისთვის რუსეთის ხელმწიფის კეთილგანწყობილების მოპოვებაში დახმარებოდა[4]. პირველ ხანებში რუსეთი მას დიდის ყურადღებით ეპყრობოდა კიდეც[5]. მაგრამ იმავე დროს რუსეთის მთავრობა მის მოქიშპეს გილანის მმართველს მურთუზა-ალი ხანსაც მფარველობას უწევდა და ეხმარებოდა იმიტომ, რომ ის თავისი თავის გასაძლიერებლად რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების

---

[1] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты II, 1. გვ. 183—184.

[2] იქვე, II, გვ. 184.

[3] იქვე, Грамоты II, в. II, 6 «Признаю верховную власть вашего высочества отцепочитательную».

[4] Бутков, Материалы II, 301.

[5] Бутков, Материалы II, 304—305.

სურვილის გამომჟღავნებასაც კი არ დაერიდა[1]. ეს, რასაკვირველია, არაფრად მოეწონა ალა-მაჰმედ ხანს. მან ბრძანება გასცა, რომ გილანი აეღოთ, მურთუზა-ალი ხანი მოეკლათ, რუსთა ახალშენი ენზელში მოესპოთ და რუსის ქვეშევრდომები აეკლოთ.[2] მრავალგზისი ბრძოლის შემდგომ მურთუზა-ალი-ხანი იძულებული იყო სპარსეთიდან გაქცეულიყო და რაკი ამაში მას რუსები ეხმარებოდნენ, ალა-მაჰმედ ხანსა და რუსებს შორის მტრული განწყობილება ჩამოვარდა[3].

1791 წ. ალა-მაჰმედ ხანმა აზერბაიჯანში გაილაშქრა იქაური ხანების დასამორჩილებლად და იმათაც შიშით მძევლები მისცეს და ყოველწლიური ხარკი დაიდეს; ჯერი შემდეგ ყარაბაღისა და ერევნის ხანებზე მიდგა. ორივემ ალა-მაჰმედ ხანის მოთხოვნილება უარჰყვეს. ერევნის ხანმა იბრაჰიმ-ხანმა თანაც შეუთვალა, რომ ის საქართველოს მეფის ერეკლე II-ის სრულს მორჩილებაშია და სწორედ ამიტომაც არ შეუძლია ალა-მაჰმედ ხანის მოთხოვნილება აასრულოს. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი ჰქონდა ორივე ხანი ძალით დაემორჩილებინა. ასეთ გარემოებაში სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ერეკლე მეფეს ალა-მაჰმედ ხანის შემოსევის მოლოდინი ჰქონოდა[4]. რუსეთის მთავრობამ ყველა ეს ამბები მშვენივრად იცოდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ საფრთხეს, რომელიც მის ერთგულს მოკავშირეს, პატარა საქართველოს სპარსეთისაგან მოელოდა. მაშინ, 1792 წ. თვით ერეკლე მეფემ რუსეთის მთავრობას 1783 წ. ხელშეკრულების არსებობა მოაგონა და ამის ძალით საქართველოში მეშველი ჯარის გამოგზავნა მოითხოვა. რუსეთის ხელმწიფემ ეკატერინემ 8 მაისს იმავე წელს საქართველოს მეფეს მოკლედ და ცივად შემოუთვალა, რომ საქართველოში ჯარის გამოგზავნა ეხლა საჭიროდ არ არის ცნობილი[5] და, სანამ საამისოდ ხელსაყრელი შემთხვევა და ხელშემწყობი პირობები არ შეიქმნება, ჩვენი ჯარების მანდ ყოფნის საკითხი გადადებულიაო[6]. ისე გამოდიოდა, რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა, და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა.

საბედნიეროდ, სპარსეთში ატეხილმა არეულობამ ალა-მაჰმედ ხანს 1792 წ. საშუალება არ მისცა, რომ თავისი ზრახვა განეხორციელებინა: ის იძულებული იყო შინ გაბრუნებულიყო.

ალა-მაჰმედ ხანის შემოსევა საქართველოში

1794 წელს ალა-მაჰმედ ხანმა სძლია თავის უკანასკნელს მოწინააღმდეგეს ლოტფ-ალი-ხანს, რომელსაც თვალები დაათხრევინა. ამის შემდგომ ალა-მაჰმედ ხანმა თავისი თავი სპარსეთის ერთადერთ ბატონ-პატრონად იგრძნო და თავი სპარსეთის შაჰის ჯიღით შეამკო. მაშინვე ის სპარსეთის საზღვრების გაფართოებას შეუდგა და პირი კვლავ აზერბაიჯანისა და საქართველოსაკენ იბრუნა[7]. იმავე 1794 წ. მეფე ერეკლემ რუსეთში თავის დესპანად გენერალი გარსევან ჭავჭავაძე

---

[1] Бутков, Материалы, II, 304.

[2] იქვე, II, 309.

[3] იქვე, II, 323—326.

[4] იქვე, II, 319—320.

[5] «Ныне отправлять в Грузию войска за благо не приемлется».

[6] Бутков, Материалы, II, 334.

[7] Бутков, Материалы, II, 327—328.

გაგზავნა[1], რომელსაც, ვითარცა რუსეთში წინათაც ნამყოფს, პეტერბურგის მთავრობაზე გავლენა შეეძლო მოეხდინა, რომ ხელშეკრულება რუსეთის მხრით ასრულებული ყოფილიყო.

1795 წ. მაისში აღა-მაჰმედ ხანმა არდაველში 100.000 კაცამდე ჯარის შეგროვება დაიწყო იმ მიზნით, რომ ჯერ აზერბაიჯანის ყველა ხანები ძალით დაემორჩილებინა, ხოლო შემდეგ საქართველოს დასაპყრობად წამოსულიყო, რომ ამ უკანასკნელისათვის ძალა დაეტანებინა და სპარსეთის უზენაესი უფლება ეცნობებინა[2].

ერეკლე მეფემ მოსალოდნელი უბედურების ამბავი იმავე 1795 წ. მაისში რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს აცნობა და ხელშეკრულების ძალით 3000 ჯარისკაცის მოშველება სთხოვა[3]. ერეკლე მეფეს რუსეთის მხრით დახმარების სრული იმედი ჰქონდა და ეჭვიც არ ებადებოდა, რომ მეშველი ჯარი მოუვიდოდა. იგი თავის ერთგულს ყმადნაფიცს შუშის ხანს ქართველი ჯარით ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით მიეშველა. ამის წყალობით სპარსეთის შაჰის ლაშქარი დამარცხებულ იქმნა[4].

აღა-მაჰმედ ხანმა თავისი ელჩის პირით ერეკლე მეფეს მოსთხოვა, რომ რუსეთის ხელმწიფის მფარველობა ერთხელ და სამუდამოდ უარეყო და სპარსეთისა აღიარებინა. რუსეთიდან მეშველი ჯარის მომლოდინემ ერეკლემ შაჰს ცივი უარი შეუთვალა[5].

რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსმა 1792 წ. უარყოფითი განკარგულების გამო თავისით მეშველი ჯარის საქართველოში გამოგზავნა ვერ გაბედა და 7 მაისს 1795 წ. ერეკლე მეფის თხოვნა თავის მთავრობას აცნობა. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ ჩქარობდა: პასუხი არ მოდიოდა.

ერეკლე მეფე გრძნობდა აუცილებელ განსაცდელს და რუსეთს შველას ემუდარებოდა. 2 აგვისტოს მონაპირე ჯარის უფროსმა თავის მთავრობას საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა და ერეკლე მეფის თხოვნა ხელმეორედ აცნობა[6]. ამასობაში აღა-მაჰმედ ხანი დაიძრა, 10 ენკენისთ. 1795 წ. ცხენოსანი ჯარით სწრაფად საქართველოს დედაქალაქს მოადგა და ორი დღის შემდგომ აიღო: ჯერ მთლად გაცარცვა და წაიღო, რის წაღებაც კი სამეფო სასახლიდან შეიძლებოდა, შემდეგ ეს მშვენიერი სასახლე მთლად დაანგრია და ქალაქი ცეცხლით გადასწვა.

შაჰის ჯარმა საშინელი სიმხეცე გამოიჩინა. თბილისის მიდამოებიც მოკლული მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვების გვამებით იყო მოფენილი. სატახტო ქალაქს რომ მორჩნენ, მერმე შიდა და ქვემო ქართლის აოხრებას შეუდგნენ. განძვინებულნი იჭერდნენ ხალხს და ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა ხოცავდნენ. დანარჩენი ტყვედ მიჰყავდათ. აღა-მაჰმედ ხანის შემოსევამ ისე გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, რომ იმ 61000 კომლიდან, რომელიც შემოსევამდე, მაგალითად, თუნდ 1783 წელს იყო, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35000 კომლი ძლივსღა იქნებოდა შერჩენილი[7].

---

[1] Бутков. Материалы. 335.
[2] იქვე, II, 331—332.
[3] იქვე, II, 335.
[4] იქვე, II, 333.
[5] იქვე, II, 337.
[6] იქვე, 335.
[7] იქვე, II, 339—340.

ამ პირველი თავზე დამტყდარი უბედურებით გულგატეხილი, ოთხმოცი წლის მოხუცი მეფე იძულებული იყო მწუხარებითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო. მაგრამ სპარსეთის შაჰმა არც აქ მოასვენა: აღა-მაჰმედ ხანმა ერეკლე მეფეს კვლავ შემოუთვალა, რომ თუ ის მის უზენაეს უფლებას სცნობდა და ერთ-ერთ ბატონიშვილს მას მძევლად გამოუგზავნიდა, მაშინ შაჰი თავის მხრივ ყველა ტყვეებს განუთავისუფლებდა, ყველაფერს, რაც თბილისში ომისგან დაზიანებული იყო, შეაკეთებინებდა და თანაც მოკავშირეობის ხელშეკრულებასაც დასდებდა. ამ აუწერელ უბედურებაში მყოფმა მეფე ერეკლემ თავის დამცირება მაინც არ ინდომა და მოსისხლე მტერს არავითარი პასუხი არ აღირსა[1].

რვა დღის განმავლობაში ქართლის აოხრებისა და დაწიოკების შემდეგომ, აღა-მაჰმედ ხანი უკვე კახეთში აპირებდა გალაშქრებას, რომ ერთბაშად საქართველოდან გასვლა ამჯობინა, რადგან ყარაბაღის ხანი და ზოგი სხვაც დამორჩილებული არა ჰყავდა და ამის გამო ზურგი უზრუნველყოფილი არა ჰქონდა. საქართველოს სრული განადგურება მან შემდეგი, უფრო მარჯვე დროისთვის გადასდვა[2].

თბილისის აღებისა და განადგურების მხოლოდ 18 დღის შემდეგომ, 1 ოქტომბერს, მოუვიდა რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს თავისი მთავრობისაგან ბრძანება, რომ ხელშეკრულების ძალით და ჩვენი ღირსებისა და ინტერესების თანახმად საქართველოს მეფეს ორი სრული ბატალიონი ჯარით მიეშველეთო. მას ამასთანავე უფლება ეძლეოდა საჭიროებისამებრ კიდევ ორი ბატალიონი მიემატებინა დამხმარე რუსთა ლაშქრისათვის[3]. ეს მეშველი ორი ბატალიონი ალმ. საქართველოში მხოლოდ 1795 წ. დეკემბრის დამდეგს მოვიდა.

ერეკლე მეფე ქვეყნის აოხრების გამო რუსეთის მთავრობას 1.00.000 მ. სთხოვდა სესხად და საწინდრად თავისი და თავის სახლობის მამულებს იძლეოდა. მაგრამ ამის პასუხი არ მოდიოდა. ამავე დროს ოსმალეთის მთავრობა ამ სესხს აძლევდა, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ საქართველოს გული თავიანთვის მოეგოთ და რუსეთისაგან აეყრევინებინათ. რაკი რუსეთის სამხედრო დახმარებაც მაშინდელ პირობებში მეტად მცირედი იყო და სესხის შესახებაც რუსეთის მთავრობისაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა, ერეკლე მეფეს გამოცდილების გამო ეჭვი შეეპარა, რომ რუსეთისაგან შეპირებულ ძლიერს სამხედრო დახმარებას ოდესმე მართლაც ეღირსებოდა. ამიტომ ერეკლე მეფე ყოყმანში იყო, უარეყო თუ არა ოსმალეთის წინადადება[4].

რუსეთის გალაშქრება აღა-მაჰმედ ხანისა და სპარსეთის წინააღმდეგ 1796 წ. მისი მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზები და დასასრული

1796 წ. მარტში რუსეთის მთავრობამ სპარსეთს ომი გამოუცხადა. ეკატერინე II-ის მანიფესტში, რომელიც ომის დაწყებისთანავე გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რომ რაკი სპარსეთის მთავრობის ზოგიერთი მოხელეები რუს ქვეშევრდომ ვაჭრებს ავიწროებდნენ, ხოლო თვით აღა-მაჰმედ ხანმა რუსეთის წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენა. დასასრულ, რადგან სპარსეთის შაჰი საქართველოს შევსია და მოსაზღვრე ხანებს მოსვენებას არ აძლევს, ამიტომ საქართველოს მეფის თხოვნა

---

[1] Бутков, Материалы, II, 341
[2] იქვე. II, 41.
[3] იქვე. II, 344.
[4] იქვე. II, 345.

მფარველობისა და დაცვის შესახებ შევისმინეთ და ჩვენს ჯარს სპარსეთის საზღვრების გადალახვა ვუბრძანეთო[1].

რუსეთის მთავრობამ ეს საჯარო განცხადება ომის მიზეზების შესახებ სპარსულად, ქართულად და სომხურად დაბეჭდა და ამ ხალხთა შორის გაავრცელა ერეკლე მეფეს, შუშის ხანს იბრაჰიმ-ხანსა და ყარაბაღის მელიქებს და დაღესტან-შირვანის მფლობელთ ამას გარდა საგანგებოდაც აცნობეს, რომ რუსეთი თავისი მხედრობით მათ განსათავისუფლებლად მოდის და ამიტომ მათგან მადლობასა და დახმარებას ელის[2].

მაშასადამე, რუსეთის მთავრობას საქმე ისე ჰქონდა საქვეყნოდ მოჩვენებული, ვითომც ის საქართველოს აოხრების გამო შურის მაძიებლად გამოდიოდა და შუშისა, შირვანისა და დაღესტნის ხანებისა და ყარაბაღის მელიქების მყუდროებას იცავდა. მაგრამ ეს მხოლოდ თვალების ასახვევად და შესაცდენად იყო გამოცხადებული. ომის ნამდვილი მიზეზი და მიზანი კი სულ სხვა ყოფილა.

1795—1796 წ.-ის ზამთარში აღა-მაჰმედ ხანის ბრძანებით ენზელში რუსთა ყველა ხომალდები და ვაჭრები დაიჭირეს[3]. რუსეთის მაშინდელი მთავრობა მეტად ფხიზლად ადევნებდა თვალყურს თავისი ქვეშევრდომების სავაჭრო ინტერესებს, მეტადრე სპარსეთში ცდილობდა ამ მხრივ მტკიცედ ფეხის მოკიდებას, რადგან აქედან მას ფართო და უაღრესად მიმზიდველი სამოქმედო ასპარეზი ეხატებოდა. ამიტომ რუსეთის მთავრობამ ზემოაღნიშნულ შემთხვევას დიდი ყურადღება მიაქცია[4].

რუსეთის მთავრობა ხედავდა, რომ სპარსეთში მომხდარი ამბები იმ ინტერესებისათვის და მიზნისათვის, რომელიც მას დასახული ჰქონდა, მეტად სახიფათო იყო. მას კი ჰსურდა, რომ რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში ისე გაძლიერებულიყო, რომ მარტო კასპის ზღვის პირას კი არა, არამედ ქვეყნის თვით შუაგულშიც ყოფილიყო გავრცელებული. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ადგილებიდან ინდოეთისაკენ გზის გახსნა უფრო მარჯვედ მოხერხდებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამნაირად რუსეთი ინდოეთის მდიდარს ვაჭრობას ევროპულ ხალხებზე გაცილებით უფრო მოკლე გზით ჩაიგდებდა ხელში, რადგან ისინი ამისთვის „კეთილი იმედის კონცხს“ უვლიდნენ ხოლმე. ამის გამო რუსეთის მთავრობას ამ გეგმის განხორციელების წყალობით აურაცხელი სიმდიდრე და სარგებლობა ეხატებოდა[5].

რუსეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ სპარსეთში ერთი მხრით მშვიდობიანობა და წესიერება ყოფილიყო, იმიტომ რომ უამისოდ მისი საკომერციო ფართო გეგმის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ამისთვის კი ძლიერი გაერთიანებული მთავრობა უნდა ყოფილიყო სპარსეთში. მაგრამ მეორე

---

[1] Бутков. Материалы, II, 371.

[2] იქვე, II, 372.

[3] იქვე, II, 354.

[4] იქვე.

Бутков, Материалы II, 355: «Спокойствие... в Персии откроет России богатый торг не только при берегах моря Каспийского, но и внутри пределов персидских областей; посредством сих последних удобовозможно будет открыть путь в Индию и привлечь к нам богатейший торг сей кратчайшими путями, чем тот, коему следуют все народы европейские, обходя мыс Доброй Надежды».

მხრით რუსები ფიქრობდნენ, რომ სპარსეთის გაერთიანება და გაძლიერება რუსეთისათვის სასარგებლო კი არა, სახიფათოც იყო[1]. ეს ალა-მაჰმედ ხანის მოქმედებამაც ცხადჰყო. ამიტომ რუსეთმა გადასწყვიტა, რომ ალა-მაჰმედ ხანის გაძლიერება და მისი საბრძანებლის საზღვრების გაფართოება რუსეთის მთავრობის ფართო ეკონომიურსა და პოლიტიკურ გეგმას ეწინააღმდეგებოდა და სავაჭრო ინტერესებისათვის ფრიად სახიფათო იყო. ალა-მაჰმედ ხანი უნდა დაუძლურებულიყო, სპარსეთშიაც რუსეთისათვის კარი ფართოდ უნდა გაღებულიყო.

ასეთ პირობებში რუსეთს საქართველოს გამოყენებაც მშვენივრად შეეძლო. ის, ჯერ ეს ერთი, გამოდგებოდა პოლიტიკურად მით, რომ ოსმალეთთან და სპარსეთთან ომის დროს რუსთა საქმისთვის სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ მისი გაძლიერებაცა და გაფართოებაც ამჟამად ურიგო არ იქნებოდა. მეორეც ისა, რომ რუსეთს საქართველოს გამოყენება შეეძლო ეკონომიურადაც, რადგან მის საშუალებით უფრო განმტკიცდებოდა და უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში[2].

ამ სარგებლობის აზრმა ისე გაიტაცა რუსეთის მთავრობა, რომ განჯის და ერევნის სახანოს შემოერთებაც კი უნდოდა საქართველოსთვის[3].

ამგვარად, სრულებით ცხადია, რომ რუსეთის დედოფლის მანიფესტში მოხსენებული ცნობა, ვითომც სპარსეთისათვის ომი იმიტომ გამოეცხადებინოს, რომ ალა-მაჰმედ ხანმა საქართველო ააოხრა და საქართველომ მის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მხოლოდ ლამაზი, მაგრამ ყალბი სიტყვები იყო. თვით ამ სპარსეთის ლაშქრობის მონაწილე და რუსთა ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტი ბუტკოვი პირდაპირ ამბობს: „ეკატერინე დიდის სურვილი იყო, რომ რუსეთს საქართველოს აოხრებისათვის ალა-მაჰმედ ხანის დასჯის მომიზეზებით ესარგებლა და სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთრებით განემტკიცებინა“-ო[4], რადგან ამ ომის „უმთავრესი მიზანი ვაჭრობის გავრცელება“ იყო[5].

რუსეთის მთავრობას ეშინოდა, რომ თუ ვინცობაა მისი ნამდვილი ზრახვა და იდუმალი გეგმა გამოაშკარავდებოდა, მას არავინ, არც საქართველოში, არც შირვანისა და შაქის სახანოებში, მხარს არ დაუჭერდა. ამიტომ არავის ენდობოდა. თვით მეფე ერეკლესაც კი ის ეჭვის თვალით უყურებდა და რომ თავის თავი სა-

---

[1] Б у т к о в, Материалы II, 355. «Польза империи российской взыскует предостерегать и не допускать до соединения и утверждения всех сил народа сего воедино» (Б у т к о в, Материалы II, 336).

[2] Б у т к о в. Материалы II, 366. «Сие... даст способ царству сему без нашей помощи не только противостоять врагам христианской веры, но и удачные производить над ними поиски, весьма для нас полезные при случае войны с Турками. Через посредство распространенной таким образом Грузии более утвердится и обеспечится наша торговля с Персией» (II, 368).

«Для сего Грузия должна быть... распространена и увеличена в силах своих. Но все для распространения в Азии российской торговли» (II, 368).

[3] იქვე, II, 365.

[4] Материалы II, 367—8, «Предметом введения в Персию войск Великой Екатерины было не суетное желание побед, ни распространение пределов и без этого обширнейшей в свете империи, но чтоб под предлогом наказания Ага-Магомет-Хана за Грузию, главнейше основать твердым образом с Персиею нашу торговлю».

[5] იქვე, II, 367. «Главнейший же предмет?—распространение торговли».

ქართველოსაგან უზრუნველეყო, მან ერთს, თუმცა უკადრისს, მაგრამ მეტად მოხერხებულს საშუალებას მიჰმართა. მან გადასწყვიტა, რომ საქართველოს მეფისაგან სხვათა შორის ერთი რჩეული ათას კაცამდის ქართული სამხედრო ნაწილის შედგენა მოეთხოვა, რომელიც რუსთა ჯარისათვის უნდა მიემატებინა და მასთან ერთად წაეყვანათ ომში. ამ ნაწილში თვით ბატონიშვილებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩარიცხულნი, განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც მშობლებისათვის უფრო ძვირფასნი იყვნენ, როგორც, მაგ., ბატონიშვილები იულონი და დავითი. ამგვარადვე მოწინავე ქართველობის საუკეთესო წარმომადგენელნი უნდა ამ რაზმში შესულიყვნენ. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ რჩეულ ქართულ სამხედრო ნაწილს საიდუმლოდ საქართველოს მეფისა, დედოფლისა და ერის ერთგულების მძევლად ჩასთვლიდა[1].

სამხედრო მოქმედება უკვე თავისი ბუნებრივი გზით მიმდინარეობდა და თავიანთი მომავალი გამარჯვების გამოსაყენებლად რუსებს მრავალი ერთი მეორეზე უფრო საოცნებო გეგმები ეხატებოდათ, რომ 1796 წ. ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა. 6 დეკემბერს იმავე წელს რუსების ჯარების მთავარსარდალს თავისი მთავრობისაგან გადაჭრილი ბრძანება მოუვიდა ყოველგვარი სამხედრო მოქმედების შეჩერებისა და მთელი ჯარითურთ რუსეთში დაბრუნების შესახებ[2]. მართლაც, სამხედრო მოქმედება შეწყდა და რუსის ჯარი შინისაკენ მიმავალი საქართველოში დაბრუნდა, რომ იქიდან რიგრიგობით რუსეთში წასულიყო. ჯარის ერთი ნაწილი იმავე ზამთარში წავიდა საქართველოდან[3].

ძნელი წარმოსადგენელი არ უნდა იყოს, თუ რანაირად უნდა თავზარდაცემული ყოფილიყო საქართველო და ერეკლე მეფე, სხვა ხანებიც, რომელნიც სპარსეთის ამ ლაშქრობაში რუსებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ, როდესაც რუსეთის მთავრობის უპირობამ ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინა. აღა-მაჰმედ ხანი კი სიხარულით ცას ეწეოდა, ყველგან ფირმანებს გზავნიდა, რომ რუსთა ჯარი მას შეუშინდა და უკან გაბრუნდაო. მრისხანე ბრძანება ბრძანებაზე მოსდიოდათ ყველას, ვინც კი მის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობის მიღება გაბედა.

1797 წ. გაზაფხულსვე აღა-მაჰმედ შაჰი შუშის ხანის დასასჯელად დაიძრა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ აქედან პირდაპირ საქართველოს ასაკლებად წამოვიდოდა, მცხოვრებლებს აჰყრიდა და შაჰ-აბაზის მსგავსად სპარსეთში გადაასახლებდა[4]. საქართველოს სრული განადგურება აუცილებელი იყო, რომ 4 ივნისს მისი სიმკაცრით გაბოროტებულ მსახურთ მძინარე აღა-მაჰმედ შაჰისთვის თავი არ მოეჭრათ[5].

ასე სრულებით შემთხვევით გადაურჩა საქართველო აოხრებას და დაღუპვას. თუმცა რუსებმა ეს თავის თვალით ნახეს და კარგად გრძნობდნენ რა განსაცდელშიც იყო საქართველო, მაგრამ მაინც გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ და

---

[1] Бутков, Материалы, II, 368—369. «Дабы иметь в руках своих заложников в верности царя грузинского, жены, детей его и лучших людей народа сего, нужно будет присоединить и взять к войскам нашим... хотя до 1 т. человек отборных грузин и при них тех из сыновей царицы, к которым она наиболее привязана, т. е. ц-ча. Юлона, тоже и ц-ча Давида».

[2] იქვე, II, 419.

[3] იქვე, II, 423.

[4] იქვე, II, 427.

[5] იქვე, II, 430.

1797 წ. ენკენისთვეში თავიანთი ჯარის უკანასკნელი ნაწილიც ჩვენი ქვეყნიდან გაიყვანეს[1]. სპარსეთთან ომის გაგრძელება მათ საჭიროდ არ მიაჩნდათ. ხოლო რუსეთის მთავრობა რომ თავისი მოქმედებით საქართველოს უსაშინელეს მდგომარეობაში აგდებდა და ჯარის გაყვანა მის მხრივ 1783 წ. ხელშეკრულების დარღვევა იყო, ამგვარ გარემოებას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი

უნებლიეთ საკითხი იბადება. თუ რა მიზეზი იყო. რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდგომაც მაინც „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?

პირველი საკითხის გადაწყვეტა ყველა ზემოთხრობილის შემდგომ ძნელი არ არის.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებებიდან და მიწერ-მოწერიდან, აგრეთვე სხვა ყველა იმდროინდელი საბუთებიდან და თვით მოქმედებიდანაც, სრულის სიცხადით ირკვევა, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსული პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

მაშინ რუსეთს ამიერკავკასიაში და სპარსეთში იმდენად პოლიტიკური ინტერესები არა ჰქონდა, რამდენადაც ეკონომიური. ის განსაკუთრებით რუსული აღებმიცემობის სპარსეთში გავრცელებაზე ზრუნავდა, რითაც მას ინდოეთის მდიდარი ვაჭრობის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ უკვე საკომერციო ინტერესები რეალურ გეგმას წარმოშობდნენ, რომელიც ინდოეთის დაპყრობის გამამართლებელ საბუთად გამოდგებოდა. მაგრამ რუსებს ეს მხოლოდ შორეულ, მომხიბლავ მომავალად ეხატებოდათ.

რუსეთის მთავრობის გულის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენიერად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს სრული გულახდილობით გამოთქმული გრაფ. ნ. პანინის პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ. თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური (ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართული[2]. მაშასადამე, რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართვე-

---

[1] Бутков. Материалы, II, 423.

[2] «Главнейшая нужда, чтоб Грузины нам в войне помогали таким образом, чтоб... мнили исполнять повеления своих владетелей, а сии равным образом оказываемую

ლეში უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად.

მაშინდელი ქართველობა კარგა ხანს ამ გარემოებას ვერ ამჩნევდა და გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკიოდა და მისი მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.

ქართველებს შორიდან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინეობა სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუს ხალხისადმი“-ო[1], ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, — და ამ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც ქართველების იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

გარეგნულად რუსეთის მთავრობა ვითომც სწუხდა, რომ საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული სახელმწიფო იყო და თითქოს ცდილობდა, რომ მისი სამხედრო ძლიერება გაზრდილიყო და საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცებულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგ., თავის წარმომადგენელს საქართველოში კოვალენსკის სწერდა, რომ მას საქართველოს მეფისათვის ერჩია მუდმივი ლაშქარი დაეარსებინა და ხეირიანი არტილერია შეექმნა, რომ ამგვარად მეფეს საშუალება ჰქონოდა საჭიროებისამებრ პატარა სამხედრო ძალითაც სპარსთა მრავალრიცხოვანი, თავზეხელაღებული ბრბოებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ საქმის განსახორციელებლად რუსეთის ხელმწიფე საქართველოს მეფეს ნებას აძლევდა საქართველოში დანიშნული იეგერთა პოლკის უფროსი და ოფიცრები ხელმძღვანელად გამოეყენებინა (Инструк. Иностр. Коллегии Ковален-

---

нам услугу своему усердию собственному побуждению причитать, но в самом деле все то производилось здешним руководством и просвещением, —коротко сказать: была бы душа здешняя, а тело грузинское» (პროფ. ა. ცაგარელის Грамоты etc. I, 155—156).

[1] «Теплота веры в Грузинцах великая» გვ. 7, «одинаковое исповедание веры с господствующей здесь, происходящее от того в них ко всероссийскому Императорскому двору усердие и доброжелательство к Российскому народу, надежда... лутчие получить успехи» (Рассуждение о способах, какими Грузинцы преклонены быть могут к восприятию участия... с Портою Оттом войне. (პროფ. ალ. ცაგარელი Грамоты I, გვ. 7.)

(КОМУ: АКАГК, I. გვ. 95. გ 11). მაგრამ ეს 1799 წელს იწერებოდა, როდესაც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი თვით რუსთავე წყალობით გადაწყვეტილი იყო, ისე რომ ამ რჩევას მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

განსაკუთრებით საყურადღებო კი სწორედ ის გარემოებაა, რომ თვით საქართველოს მთავრობა მუდამ ცდილობდა დაწინაურებული სამხედრო ტექნიკა და მეტადრე ზარბაზნების ჩამოსხმა-მოხმარება შეესწავლა, ხოლო რუსეთის მთავრობა იდუმალად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ საქართველოს თავის ეს წადილი ვერ განეხორციელებინა. ისე რომ თუ საქართველოს XVIII ს.-ის დასასრულს, როდესაც რუსეთის მთავრობის ზემომოყვანილი რჩევა იყო შედგენილი, შესაფერისი არტილერია არ ებადა, ამაში უმთავრესად თვით რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს უძევთ ბრალი.

საქართველოში ძალიან კარგად ესმოდათ კარგი არტილერიის უაღრესი მნიშვნელობა ქვეყნის გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფისათვის და სწორედ ამიტომაც არის, რომ ერეკლე მეფე სულ იმის ცდაში იყო, რომ ვისკანმე ზარბაზნების გაკეთება და ხმარება შეესწავლა.

მან ისარგებლა კიდეც შემთხვევით, რომ რუსთა ჯარში, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მაშინ საქართველოში იყო გამოგზავნილი, არტილერიის საქმის მცოდნე პირები ქართველები იყვნენ და მათ მიჰმართა, რომ თავისი დიდის ხნის ნატვრა აესრულებინა. არტილერიის პოდპოლკოვნიკს ჩოლოყაშვილს და თავად თარხან-მოურავს სიხარულით უკისრიათ ეს საქმე. ისინი თურმე ერეკლე მეფეს ზარბაზნების, მორტირების და ჰაუბიცების გაკეთებასა და დადგმას ასწავლიდნენ.

მოულოდნელად ამის გამო მთელი აურზაური ატყდა. თუმცა მაშინ ეს ქართველებს ეუცნაურათ, მაგრამ რუსეთის ჯარის უფროსმა ტოტლებენმა რომ ეს გარემოება შეიტყო, მაშინვე ჩოლოყაშვილსაცა და თარხან-მოურავსაც სასტიკად აუკრძალა, რომ მათ მეფე ერეკლესთვის საარტილერიო ხელოვნება ესწავლებინათ.

ამ ორს ქართველს არტილერისტს, როგორც ჩანს, ტოტლებენის ამგვარი ბრძანება უკანონოდ მიაჩნდათ და ეტყობა გულწრფელად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთისათვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, თუკი საქართველოს მეფეს, ვითარცა რუსეთის ერთგულს მოკავშირეს და მის მფარველობის ქვეშე მყოფს, სამხედრო საქმე კარგად შესწავლილი ექნებოდა, ამიტომ ორივენი ისევ თბილისში დარჩნენ და წინანდებურად ერეკლე მეფეს ასწავლიდნენ. მაშინ ტოტლებენმა [illegible] თებერვალს 1770 წელს რუსეთის მთავრობას ფრანგულად დაწერილი საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებდა, რომ ჩოლოყაშვილი და თარხან-მოურავი ერეკლე მეფეს ზარბაზნების ჩამოსხმასა და დადგმას ასწავლიანო. თუმცა საქართველოს მეფე, სწერდა ტოტლებენი მთავრობას, რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოსო. ამიტომ ტოტლებენი მთავრობას სთხოვდა, რომ ყველა ქართველი ოფიცრები და თავადი თარხან-მოურავი საქართველოდან ისევ რუსეთში წაეყვანათ.

ქართველი ოფიცრები თავისი მამულიშვილური გრძნობისა და პოლიტიკური სიბეცისათვის სასტიკად დაისაჯნენ: იძულებით რუსეთში წაყვანილნი და დაპატიმ-

რებულნი საქმის გამოძიებას უცდიდნენ, სანამ მათი უდანაშაულობა ყველასათვის ცხადი არ შეიქმნა.

ამ საიდუმლო მოხსენებიდან ცხადად ჩანს, რომ რუსეთის მთავრობისათვის, საზოგადოდ, საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო[1].

ასეთი ვითარება ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაში არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა. ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს,რომელნიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ. ეს შინაური უთანხმოება და ქიშპობა ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულს სახელმწიფოს.

ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარი ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეპყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მისი მამის თეიმურაზ II-ისა და მისი პირადი დაუღალავი შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.

ერეკლე მეფეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია... 11 იანვარს 1798 წ. ქ. თელავში გარდაიცვალა 78 წლის მოხუცი გმირი პატარა-კახი.

საქართველოს შეერთება რუსეთთან

სამეფო ტახტზე ასულს გიორგი მეფეს არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საიმისო გავლენა მოეპოვებოდა ხალხში, რომ ესოდენ გართულებული პოლიტიკური მდგომარეობიდან ბრძნულის შორსგამჭვრეტელობითა და სიფრთხილით საქართველო სამშვიდობოს გამოეყვანა; პირიქით, შინაური უწესოება გაძლიერდა, გარეშე მტრები უფრო გათამამდნენ. გულწრფელი მეგობრული გრძნობითა და უანგარო კეთილმოსურნეობით გამსჭვალული ძლიერი მოკავშირის მფარველობა და დახმარება კი არა ჩანდა.

ასეთ გარემოებაში მყოფს გიორგი მეფეს რუსეთის მხრივ შველის იმედი აღარა ჰქონდა და ამის გამო მან გადასწყვიტა დარიალის კარი ჩაეკეტა და სამხრეთისაკენ გზა რუსებისათვის სამუდამოდ დაეხშა. მას ეგონა, რომ ისევ ოსმალეთთან პოლიტიკური შეთანხმება და მისი მოკავშირეობა მიანიჭებდა ლონემიხდილს საქართველოს მშვიდობიანობას. მეფემ უკვე დესპანიც კი გაგზავნა ახალ-

---

[1] 1783 წ. ხელშეკრულების დადების შემდგომ რუსეთის მთავრობამ ზარბაზნები დაამზადა საქართველოსათვის, მაგრამ აქედან მხოლოდ 2 ზარბაზანი გამოუგზავნა, იმათაც ძლივსძლიობით მხოლოდ 1788 წ. მოაღწიეს საქართველომდის, დანარჩენი რუსეთში ჩარჩა.

ციხის ფაშასთან, რომ იქიდან სტამბოლში წასულიყო ამ საქმის მოსაწყობად. მაგრამ დესპანი ჯერ ახალციხეს არ გასცილებოდა, რომ რუსეთიდან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი ჩამოვიდა, რომელმაც რუსეთის ხელმწიფის პავლეს საქართველოსადმი კეთილგანწყობილების ამბავი ჩამოიტანა. მაშინვე კვლავ „ქრისტეს მოყვარე" რუსეთის მხრით უანგარო დახმარების იმედი დაიბადა და საქართველოს ელჩი ახალციხიდან სწრაფად უკან დაბრუნებულ იქმნა[1].

როდესაც გიორგი მეფემ რუსეთის ხელმწიფეს პავლეს თავის სამეფო ტახტზე ასვლა აცნობა, პავლემ მილოცვასთან ერთად მოსწერა, რომ 1783 წ. ხელშეკრულების ძალით იგი მოვალეა რუსეთის იმპერატორს დამტკიცება სთხოვოს[2]. თვითონ მას კი ავიწყდებოდა, რომ ამ ხელშეკრულებამ მარტო საქართველოს არ დააკისრა მოვალეობა, არამედ რუსეთის სახელმწიფოსაც, და რომ თვით რუსეთს არც ერთი ეს მოვალეობათაგანი ჯერ ასრულებული არ ჰქონდა.

16 აპრ. 1799 წ. საქართველოში რუსეთის ელჩი დაინიშნა და 2 ბატალიონი ჯარიც გამოიგზავნა ვითომც საქართველოს დასაცავად[3]. ერთმაცა და მეორემაც საქართველოს მხოლოდ ამავე წლის დასასრულს მოაღწიეს[4]. რუსეთის მთავრობამ თავის ელჩს დაავალა, რომ მას მეფისათვის საიდუმლოდ თვალყური ედევნებინა. მაშასადამე, თვით მეფეც კი საეჭვოდ მიაჩნდათ და მის ერთგულებას არ ენდობოდნენ, თუმცა საქართველოს მთავრობამ რუსეთისადმი განუსაზღვრელი და გადამეტებული ნდობა არა ერთხელ დაამტკიცა და ამის წყალობით ძალიანაც იზარალა.

ყველაფერი მოწმობდა, რომ რუსეთი ეხლა კი თითქოს მართლაც დაინტერესებული იყო საქართველოს მდგომარეობით და ჩვენ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის დაჭერას ცდილობდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც რუსეთს საქართველოსთვის არ შეუწუხებია თავი, არამედ მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობდა იგი და თავისი საიდუმლო გეგმის განხორციელებაზე ზრუნავდა.

კამერპერმა გრაფმა მუსინ-პუშკინმა იმპერატორ პავლეს წინაშე იშუამდგომლა, რომ მას ნება და საშუალება მისცემოდა საქართველოში გასამგზავრებლად და იქაური მთების მდიდარი მადნეულობის გამოსაკვლევად. 17 ოქტ. 1799 წ. მან ნებართვა მიიღო და გამოემგზავრა კიდეც. როდესაც საქართველოს ადგილობრივი სიმდიდრის შესწავლამ მას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და „სამოთხის მსგავსი ჰავა", მან 1800 წ. თავის ხელმწიფეს მოხსენებაში საქართველოს ყველა ზემოაღნიშნული ღირსებანი აუწერა და ის მნიშვნელობაც გაუთვალისწინა, რომელიც ჩვენს სამშობლოს რუსეთისათვის ექმნებოდა, საქართველო რომ რუსეთს შეეერთებინა, მაშინ რუსეთი მდიდარს ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქმნებოდაო იმიტომ, რომ ორივე მხრივ ჩაჭერილნი ისინი ვეღარას გაბედავდნენ, ოსმალეთთან, ან სპარსეთთან ომის დროსაც რუსეთს დიდი

---

[1] Бутков, Материалы II, 446.
[2] იქვე. II, 448.
[3] იქვე. II, 449.
[4] იქვე. II, 451.

სამხედრო უპირატესობა ექნებოდა. მაგრამ ამას გარდა რუსეთს სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობის ფართო ასპარეზიც გაეხსნებოდაო[1]. მაშასადამე, ჩვეულებრივ ეკონომიკურს ინტერესებს გარდა, ზღაპრულ ინდოეთზე ოცნებასთან ერთად, აქ უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაცაა გათვალისწინებული.

ეს აზრი პეტერბურგში მოწონებულ იქნა. 18 დეკემბ. 1800 წ. პავლე იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და შემდეგ კი გიორგი მეფეს წინდაწინვე დამზადებული ქაღალდი გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომელშიაც ვითომ თვით მეფე სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ მას საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ მთელი ეს გეგმა ჩაიფუშა: გიორგი მეფე გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ. ისე, რომ ხელმოსაწერი ქაღალდი მას თვალითაც არ უნახავს, რადგან მისი მომტანნი ამ დროს ჯერ საქართველოში ჩამოსული არც კი იყვნენ[2].

ასეთი შესაძლებლობა რუსეთის მთავრობას წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა და ამისთანა შემთხვევისათვისაც მას უკვე 15 ნოემბერს თავის წარმომადგენლისათვის საქართველოში ნაბრძანები ჰქონდა, რომ რა წამს გიორგი მეფე გარდაიცვლებოდა, საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცათ. ეს გარემოება გენ. კნორინგმა გიორგი მეფის გარდაცვალებისთანავე აცნობა საქართველოს მცხოვრებთ და თანაც იმ ოთხი ბატალიონი ჯარის გარდა, რომელიც რუსებს ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში მოეპოვებოდათ, სასწრაფოდ კიდევ ერთი ბატალიონი დაიბარა[3].

1783 წ. დადებული ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში ნათქვამია, რომ ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან შევსება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით შეიძლებოდა[4]. რადგან 1783 წ. შემდგომ არავითარი სხვა ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის არ დადებულა და არც რაიმე ცვლილება ყოფილა შეტანილი ორივე მხარის თანხმობით, ამიტომ რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ მას რაიმე საბუთი ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, ვითომც თვით საქართველოს სურდა თავისი სახელმწიფოს მოსპობა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა. რაკი გიორგი მეფის სიკვდილის გამო ეს მათი გეგმა ფიზიკურადაც განუხორციელებელი იყო, ამიტომ რუსეთის მთავრობა ხელშეკრულების ცხადს დარღვევას აღარც მოერიდა და, რაწამს მან გიორგი მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე 18 იანვ. 1801 წ. პავლე პირველის მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა[5].

პავლე I-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველო ერთბაშად რუსეთის გუბერნიად ექცია და სენატისა და სინოდისათვის დაემორჩილებინა[6]. 12 მარტს 1801 წ. პავლე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა იგრძნო საქა-

---

[1] Бутков, Материалы II, 463—464. «Откроется обширное поле к торговле персидской и индийской».

[2] Бутков, Материалы II, 465.

[3] Бутков, Материалы II, 465—466.

[4] «Сей договор делается на вечные времена; но ежели что либо усмотрено будет нужным переменить или прибавить для взаимной пользы, оное да возъимеет место по обостороннему соглашению».

[5] Бутков, Материалы, II, 466—467.

[6] იქვე, II, 469.

რთველოს შეერთების მთელი უკანონობა და ამიტომ გადაწყვიტა გამოერკვია, რამდენად მართალია, რომ მთელ საქართველოს თავისი ნებით მოესურვოს რუსეთთან განუყოფლად შეერთება და რომ მას თავისი თავის დაცვა გარეშე და შინაური მტრებისაგან არ ძალუძს. ამ საკითხების გამორკვევა მან გენ. კნორინგს მიანდო, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე გააუქმა ყველაფერი, რაც ტახტის მემკვიდრის ბატონიშვილი დავითის ბრძანებით იყო შემოღებული, და თბილისში საქართველოს უზენაესი მთავრობა დააარსა[1]. უკვე ეს მისი ნაბიჯი ცხად-ყოფს, თუ როგორი მიუდგომლობით გამოარკვევდა და სინამდვილით აუწერდა იგი ჩვენი ხალხის გულის ნადებს და მისწრაფებას. ხოლო, რომ საქართველოს გარეშე მტრების წინაალმდეგ დახმარება ესაჭიროებოდა, ეს გარემოება თვით საქართველოსაც არ დაუმალავს, 1783 წ. ხელშეკრულება ხომ სწორედ ამ მიზნით იყო რუსეთთან დადებული.

როგორც რუსეთის მთავრობას საქართველოს შეერთება თავის სახელმწიფოსთან სასურველად და სასარგებლოდაც მიაჩნდა[2], გენ. კნორინგმაც ისე წარუდგინა ალექსანდრე I-ს, თუმცა არ შეეძლო დაემალა, რომ საქართველოს უმაღლესი წრეების ყველა წარმომადგენელნი ამ შეერთების მომხრენი ყოფილიყვნენ. მისი სიტყვითაც ნახევარ თავადაზნაურობისას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება სურდა[3], გრაფ. მუსინ-პუშკინმა, რომელმაც პავლე I-ს ჩააგონა საქართველოს რუსეთთან შეერთების უაღრესი სარგებლობა, ეხლაც ამგვარივე შინაარსის მოხსენება მიართვა ალექსანდრე I-ს[4].

რამდენად გულწრფელი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის სურვილი, ვითომც მას საქართველოს პოლიტიკური ზრახვის უტყუარი ხმის გაგონება ნდომებოდეს, იქიდანაც ჩანს, რომ მთელ ამ ამბავს საქართველოს სრულუფლებიან დესპანს უმალავდნენ და მთელ ამ საქმეს საქართველოს შეერთების შესახებ ფარულად აწარმოებდნენ[5] იმიტომ, რომ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს დესპანები მათთვის სასიამოვნოს არას იტყოდნენ და ცხადჰყოფდნენ, რომ საქართველოს რუსეთის მხოლოდ კავშირი და მფარველობა სურდა და სხვა არაფერი[6].

საქართველოში რომ არც ხალხი და არც თვით გიორგი მეფე თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის მოსპობაზე სრულებითაც არა ფიქრობდა, ამას ის გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, რომ მაშინ ჩვენს სამშობლოში მოწინავე წრეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებდა და მტკიცე სამზადისი იყო როგორც სახელმწიფო წესწყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპულის მსგავსად გარდასაქმნელად, ისევე ევროპული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად. საუკეთესო თხზულებები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ფილოსოფიაში, ფიზიკაში და სამათემატიკო მეცნიერებაში და ბუნების მეტყველებაში, აგრეთვე სამხედრო ხელოვნებაში ევროპაში

---

[1] Б у т к о в, Материалы, II, 473—475.

[2] იქვე, II, 473—474.

[3] იქვე, II, 475—484, განსაკ. 482.

[4] იქვე, II, 484, შენ. 1.

[5] იქვე, II, 485.

[6] Акты Кавк. Археогр. Ком., II. 304.

გამოდიოდა, ქართულადაც იყო ნათარგმნი. სასწავლებლებში სახმარებლად და წასაკითხავი წიგნები მზადდებოდა. იოანე ბატონიშვილმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გიორგი მეფეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება, რომელშიაც სხვათა შორის სამი ლიცეუმის მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა იყო გათვალისწინებული.მეფე გიორგიმ 1799 წ. დაამტკიცა ეს პროექტი და მისი განხორციელება უნდა დაეწყოთ.

ასეთ სამზადისში მყოფ საქართველოს მოწინავე წრეებისათვის ცხადი იყო, რომ ძლიერი მოკავშირის, რ უ ს ე თ ი ს, მფარველობითა და დახმარებით, ჩვენი ქვეყანა მოღონიერდებოდა, გარეშე მტრებს მოიგერიებდა და მყუდრო ცხოვრების შემდგომ მტკიცე და ჩქარი ნაბიჯით წარმატების გზას დაადგებოდა

ПОЛИТИЧЕСКОЕ И СОЦИАЛЬНОЕ ДВИЖЕНИЕ В ГРУЗИИ В XIX В.*

ПРЕДИСЛОВИЕ

Уже несколько лет, как могучее социальное и политическое движение в Грузии привлекает к себе общественное внимание России. Большинству, если не всем, оно кажется выросшим неожиданно, сразу, — и непонятно, как могло выработаться то единодушие, которое проявляет грузинский народ в социальном движении, откуда взялась та образцовая дисциплина и организационная деятельность, которые так выгодно отличают культурностью грузинское движение от современного движения в других частях России? Это и не удивительно, так как до последнего времени на русск. языке не существовало даже коротенького обзора по истории движений в Грузии в XIX в. Задачей данного очерка было восполнить этот пробел и уяснить читателю: 1) каковы были причины того, что авторитет русского правительства и коронного суда, пользовавшихся в эпоху присоединения Грузии к России большим обаянием, был совершенно дискредитирован в глазах грузинского народа: 2) что социальное и политическое движение в Грузии даже в XIX веке, не касаясь более древнего периода, имело свою историю, что груз. народ уже давно закалился и дисциплинировался в этом и 3) что современное движение имеет глубокие корни в народной психике и жизни; не революционные партии дискредитировали правительство в глазах народа, а само правительство своим управлением и режимом в продолжение ста лет дискредитировало себя: сам суд расшатал основы своего авторитета; само правительственное разрешение крестьянского вопроса в Грузии сделало неизбежным возникновение аграрного движения. Автор данного очерка всегда основывался на официальных документах и предпочитал заставлять говорить самих должностных лиц, так как гораздо более сильное и убедительное впечатление производит, когда они сами бичуют систему управления, когда они сами раскрывают действия своих коллег.

Аграрное движение в Грузии имеет свою длинную историю. Документы свидетельствуют, что, несмотря на тяжелые политические условия, в продолжение всего XVIII века аграрное движение в Грузии не прекращалось: то там, то сям, через известные промежутки времени оно вспыхивало вновь и давало о себе знать. Благодаря тому, что церковь всегда лучше хранила свои документы, чем частные лица, данные об аграрном движении, дошедшие до нас, касаются преимущественно церковных крестьян. Еще в 1712 году царь Давид Имамкулихан повелел вазиру крестьян церкви в Кварели привесть в повиновение

---

* Впервые опубликован автором в 1906 году под заглавием: Прив.-доц. Джавахов. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПб. 1906. Книгоиздательство «Сакартвело».

ей и обязать их платить ей установленные подати*. Когда ц. Бакар в 1719 году сел. Карцахи пожертвовал монастырю на тех же основаниях, на каких находились дер. Узнариани и Карукумарти, то крестьяне оказали сопротивление властям, не подчинились монастырю, волновались и царь принужден был их привести в покорность**. В 1749 году крестьяне Болнисской церкви перестали отбывать узаконенные подати Болнисскому архиепископу, и католикосу Антонию*** пришлось вмешаться в это дело. Точно так же и крестьяне сел. Урбниси отказались платить епископу установленный оброк и перестали повиноваться ему в 1776 году****. А в 1794 году крепостные Манглисской и Руисской церквей разбежались и покинули своих господ*****. Четыре года спустя то же самое проделали и крестьяне Никозской церкви******. Имеются сведения об аграрных недоразумениях и между крестьянами и помещиками,******* но политические условия, постоянная опасность со стороны внешних врагов не давали возможности этому брожению принять нормальное течение. Повидимому, и грузинские правительствующие сферы замечали необходимость облегчения выхода в некоторых по крайней мере, случаях из крепостничества: к таковым нужно отнести постановление царя Ираклия, католикоса, епископов, придворных и вельмож от 1765 года о том, что «с этого времени на крестьян, которые получат свободу из плена, прежние владельцы не могут уже простирать своих владельческих прав»,******** что крепостной, которого не выкупит из плена его господин, освобождается от зависимости,*********, что владельцы, не поддерживающие во время голодовок своих крепостных, теряют на них свое право и т. д. Но, конечно, в XVIII веке, когда для защиты от вражеских нашествий приходилось искать протектората России, было грузинам не до социальных реформ. Правящие сферы Грузии думали, что с помощью своей могущественной покровительницы им удастся заняться мирным культурным развитием своей страны. После долгих, неприятных переговоров ц. Ираклию удалось, наконец, в 1783 году заключить трактат с импер. Екатериной, по которому «Е. В. дает Императорское свое ручательство на сохранение целости настоящих владений Е. С. царя Ираклия Теймуразовича, предполагая распространить таковое ручательство и на такие владения, кои в течение времени и по обстоятельствам приобретены и прочным образом за ним утверждены будут (арт. 2). Ее Импер. Величество, приемля с благоволением признание верховной власти и покровительства над царствами Карталинским и Грузинским (sic!), обещает именем своим и преемников своих: 1) народы тех царств почитать пребывающими в тесном союзе и совершенном согласии с империей ее и следственно, неприятелей их признавать за своих неприятелей, 2) светл. царя Ираклия Теймуразовича и его дому наследников и потомков сохранять беспременно на царстве Карталинском и Кахетинском, 3) власть,

* Пурцеладзе, Церковные грамоты, стр. 36.

** Там же, стр. 81.

*** Там же, стр. 35.

**** Там же, стр. 27.

***** Там же, стр. 12—13, 45.

****** Там же, стр. 92.

******* Там же, стр. 53, дек. 1791 года, стр. 27 дек. 1776 года.

******** Там же, стр. 17.

********* Там же, стр. 17, дек. 1764 года.

со внутренним управлением сопряженную, суд и расправу и сбор податей предоставить его свет. царю в полную его пользу, запрещая своему военному и гражданскому начальству вступаться в какие-либо распоряжения (арт. 6), за это его свет. царь обещает за себя и потомков своих: 1) быть всегда готовым на службу ее Величества с войсками своими, 2) с начальниками российскими обращаться во всегдашнем сношении по всем делам до службы ее императ. Величества касающимся, удовлетворять их требованиям и подданных ее Величества охранять от всяких обид и притеснений» (арт. 7) и кроме того «обещает его светлость без предварительного соглашения с главн. пограничным начальником и министром ее импер. Величества, при нем аккредитуемых, не иметь сношения с окрестными Владетелями» (арт. 4). Однако и этот трактат не помог Грузии. Русское правительство мало думало об исполнении своих клятвенных обещаний.

В 1787 году совершенно неожиданно для грузин был отозван и тот маленький отряд русск. войска, который должен был якобы охранять грузинскую территорию. Представления и просьбы царя Ираклия о присылке обещанной по трактату военной охраны отклонялись с кратким, но многозначительным объяснением, что «отправлять в Грузию войска за благо не приемляется»; Грузия, таким образом, была вопреки торжественным обещаниям и императорскому слову брошена на произвол судьбы и предана в 1795 году 12 сент. на разорение мстящему ей именно за заключенный с Россией трактат персидскому шаху Ага-Магомет-хану, и только 1 октября того же года русск. правительство сообщило ген. Гудовичу «подкрепить Ираклия, яко вассала Российского, против неприязненных на него покушений, положенными по трактату с ними двумя полными батальонами пехоты». Помощь России являлась и поздно и настолько мизерной, что в 1797 году грузинский посол кн. Гарсеван Чавчавадзе принужден был просить императора дать категорический и ясный ответ: «угодно ли тебе, самодержавный и великий государь, соблюдать трактат в его первоначальной силе, и угодно ли, согласно вытекающим из трактата обязательствам, оказать царю моему, находящемуся в стесненном положении, обещанную помощь»?* Преемник ц. Ираклия II Георгий XIII думал, что обещанная Грузии защита от врагов станет реальной только тогда, если она откажется от многих своих политических прав и доведет свои желания до минимума.

Царь Георгий не успел довести переговоры с русским правительством до конца, хотя его представителям приходилось неоднократно напоминать о необходимости скорее разрешить вопрос. Но Георгий XIII так и умер в ожиданиях. Наследник престола царевич Давид еще до кончины царя начал подготовлять народ к ожидаемому вступлению своему на царство, так как он основательно боялся интриг другого претендента. Ген. Лазарев «неоднократно ему докладывал весьма учтиво, что спешить не к чему». (Акты кавказ. археол. ком. I, 188), как бы намекая ему, что царское достоинство все равно его не минует, хотя в душе уже был уверен в окончательном присоединении Грузии к русск. владениям. Чтобы быть вполне ориентированным и предпринимать заранее меры предосторожности, ген. Лазарев просил ген. Кнорринга не пропускать ни одного письма к наследнику престола иначе, как чрез него, чтобы, ознакомившись с содержанием, он предварительно

---

* Цагарели, Грамоты II, № 126, Авалов, Присоединение Грузии к России, 169.

приготовлялся бы к необходимым действиям, так как царевич Давид уже не скрывал своего неудовольствия и беспокойства и открыто говорил о нарушениях договоров и желаний последнего царя. Разубеждая и успокаивая наследника, ген. Лазарев в то же время перехватывал все письма к нему и установил самый тщательный надзор (там же, I, 304). 12 сент. 1801 года было уже объявлено открыто о присоединении Грузии к России и уничтожении царства. Это вызвало большое неудовольствие в Грузии. Только 8 мая 1802 года было об этом объявлено в Тифлисе. Ген. Кнорринг был настолько не уверен, чтобы грузины после объявления об уничтожении царства могли добровольно принять присягу императору Александру I, что счел необходимым с помощью обмана и угроз вынудить ее у них. Он пригласил к себе дворянство, духовенство и горожан и, когда общество собралось, ген. Кнорринг велел оцепить дом кругом войсками, а приглашенным приказал принять присягу. Кто только осмелился заявить, что уничтожение царства противоречит трактатам и воле грузин и на этом основании отказался принять присягу, был арестован (Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 г., стр. 33). Грузины увидели, что дело приняло неожиданное направление. Многие из влиятельных лиц однако думали еще, что царство уничтожено было только потому, что императору было неправильно доложено о домогательствах народа, и стоило только возбудить вопрос о восстановлении независимости Грузии, как дело должно было решиться само собой; так напр., грузин. уполномоченный при русск. дворе кн. Гарсеван Чавчавадзе писал в Грузию: «Какие имел от царя Георгия к Государю поручения в рассуждении Грузии, ни одно из них не исполнилось: царство уничтожено... никакой род так не унижен, как Грузия. Посылаю копии с манифеста и приказов — из них увидите справедливость моего письма; вы еще имеете время, чтоб общество написало сюда одно письмо, дабы—я предстал здесь и опять о нашем состоянии просил иметь царя и быть под покровительством: знайте, если будете просить царя — дадут, вы можете не принять повелений, отсюда к вам привезенных» (Акты II, 304). Но надежды были тщетны: в Петербурге вопрос решили бесповоротно, руководствуясь, конечно, совершенно не теми соображениями, какие театрально были выставлены в манифесте о присоединении. Не принимать повелений, привезенных из Петербурга, было не так уж легко. Русск. войска были стянуты вокруг Тифлиса и всякий, пытавшийся протестовать, арестовывался. Всеобщий дружный протест быть может и имел бы свое действие, но дело как раз было в том, что в это время в Грузии были три партии и действия их были не только не солидарны, но даже большей частью враждебны друг другу. Одну партию образовали сторонники царевича Давида, наследника груз. престола, другую — сторонники претендента царевича Юлона; третью партию составляли сторонники русск. правительства: они стояли за уничтожение независимости Грузии и полное присоединение ее к России. Правда, эта партия была немногочисленна, но зато в виду присутствия русск. войск весьма опасна для двух первых партий, стоявших на требовании точного исполнения заключенного трактата со стороны русск. правительства. Партия сторонников русск. правительства состояла из двух категорий: одни были личными врагами царевича Давида, другая группа была искренно убеждена, что Россия принесет Грузии мир и благоденствие, защитит от вражеских нашествий и внесет порядок (П. Иоселиани, Жизнь ца-

ря Георгия XIII, на груз. яз., стр. 191, 259, 265-6, 273). Партии царевича Давида и цар. Юлона одинаково стояли за сохранение целости грузинского царства, но, в то время как сторонники первого стояли на точке зрения желаний последнего царя Георгия XIII и довольствовались даже удержанием царского титула и его наследственности в роде груз. Багратидов, а во всем остальном согласны были следовать велениям из Петербурга, — сторонники Юлона требовали выполнения трактата, заключенного ц. Ираклием II с императрицей Екатериной II, и Грузию считали только под протекторатом России, во внутренних же делах независимой. Уничтожение самостоятельности Грузии и все действия представителей русской власти заставили обе партии стать во враждебные отношения к русским. Но скоро и русофильская партия, конечно, в лице бескорыстно ожидавших от русского правительства блага для своей родины, отшатнулась от русск. правителей Грузии; осталась только маленькая кучка, из личных выгод и корысти старавшаяся использовать положение вещей.

Бесцеремонность водворившихся тогда в Грузии русск. правителей, главнокомандующих и чиновников не имела границ — все было дозволено: уже 12 сент. 1801 г. одним росчерком пера было учреждено верховное грузинское правительство с 4 экспедициями, в которых грузины сразу же были оттеснены на задний план, и всюду главенствовали русск. чиновники, не знавшие грузинского языка и попадавшие в Грузию только потому, что их в России уже не хотели держать.* Во всех учреждениях, даже судебных, сразу же был изгнан родной, единственно известный населению, язык; во всех делах как уголовных так и по гражданским процессам было предписано руководствоваться во всех инстанциях общими русск. законами, только по гражданским делам решения выносились по законам ц. Вахтанга, но уголовные преступления карались по общеимперским законам. Даже школьные учителя и те позволяли себе в учебных заведениях пользоваться «пословицами и обидными выражениями для новоприобретенной земли»**. Не прошло и трех лет, как те же лица, которые благословляли Провидение за то, что русские появились на территории Грузии, проклинали теперь свою судьбу. Сам вновь назначенный главнокомандующим Грузии кн. Цицианов смещенному в 1803 г. правителю Грузии Коваленскому говорил: «Вы оскорбляли их (грузин) своим поведением и тем заставили возненавидеть правление до такой степени, что я нашел страшное колебание умов против Российского правления... по 5 дней вас не видали и... нередко дожидавшимся вашего лицезрения царевичам отказывали под тем предлогом, что у вас времени нет их принять»*** Бывший грузин. посол Гарсеван Чавчавадзе таким образом описывает тогдашнее настроение русофильской части грузинского общества: «Народ, стеная под игом царей и их многочисленной фамилии, не могши сего уже переносить, прибегнул к высокому покровительству Г. И., надеясь избавиться от сего ига, и, что желали, то и исполнилось; но ныне они еще больше под оным стенают... Теперь становится для них несносным... Из сего заключаю, что мысль всех сих князей есть та, чтобы

---

* Акты, II, стр. 57.

** Акты II, стр. 199.

*** Акты, II, стр. 20.

восстановить попрежнему царя и царство»[*] Следовательно, даже те из дворянства, которые в присоединении Грузии к России видели счастье для своей страны, перешли в оппозицию к правительству и желали восстановления независимости груз. царства. Теперь уже все партии были согласны в своих домогательствах и идеалах. Только грузин. крестьянство было в выжидательном положении, так как оно в глубине души еще надеялось на улучшение своего положения благодаря русским; так напр., одна крестьянка кн. И. Цицианова секретно сообщила русск. чиновнику, «что она, как и все мужики, русским преданы, а князья и дворяне их ненавидят»[**]. Но прошло не много времени и грузинские крестьяне потеряли надежду и симпатию к русскому правлению: когда тяжелое бремя русского владычества начало обрушиваться и на них, тогда только они поняли, что их ожидало впереди. Раньше всех пришлось разочароваться горцам-грузинам, живущим по той местности, где проходит Военно-Грузинская дорога. Несмотря на то, что русское правительство обещало в продолжение 7 лет не брать податей, в первый же год начали с них взыскивать и притом непременно деньгами, серебром и за два года, а когда население не в состоянии было уплатить требуемой суммы, русские чиновники заставляли их брать серебро из церквей. Сверх того, было объявлено, что казаки и стражники будут покупать у населения провиант и фураж за деньги, но на самом деле все брали даром: безвозмездно пользовались и лошадьми. Войско издевалось над населением: впрягало в арбу женщин и понукало их нагайками везти нагруженный воз: были неоднократные случаи изнасилования женщин[***] Чаша терпения горцев-грузин переполнилась: ожидавшиеся избавители-единоверцы оказались не лучше заклятых врагов и, когда в 1804 г. правительство вздумало производить набор ополченцев для посылки подкреплений на театр военных действий с персианами, то все горцы-грузины отказались и восстали: они вошли в соглашение с остальными грузинскими племенами, а также с осетинами и вели переговоры с находившимися при дворе имеретинского царя Соломона в Западной Грузии, царевичами Юлоном и Парнаозом. На требование начальника смирительной экспедиции, кн. Шанше Эристова, подчиниться русской власти, повстанцы ответили, что владычество русских довело их до крайности, что они отягчены поборами и требованиями натуральной повинности и потому решили не пропускать больше ни одного русского в Грузию.[****] Повстанцы принялись заграждать и портить Военно-Грузинскую дорогу, разрушили все мосты и в различных местах устроили сильные заграждения. Сообщения с Тифлисом и Владикавказом было прервано, все курьеры захватывались восставшими и донесения попадали в их руки. Отряд повстанцев напал на казачий пост в Кайшаури и истребил всех: спаслись только двое, сообщившие о случившемся нападении ближайшему начальству.[*****] Вскоре отряд осадил все пункты, где только были расквартированы русские войска, вплоть до г. Душети. Положение стало критическим. Тогда правитель Грузии кн. Волконский объявил, что все жалобы населения будут расследованы и требования удовлетворены. Для того, чтобы мирным путем уладить

---

[*] Акты II, стр. 362—3.

[**] Акты II, стр. 303.

[***] Акты II, 311.

[****] Акты II, 306—7

[*****] Акты II, 308—9.

дело и успокоить восставших, он послал почетных лиц с письмом от католикоса Грузии, которые должны были убедить повстанцев, что все основательные жалобы будут удовлетворены. Почетные лица привезли депутатов от повстанцев для переговоров, и им кн. Волконский повторил то же самое. Наступило маленькое затишье. Когда возобновились военные действия, то вначале счастье улыбалось повстанцам, но восстание было все же подавлено: действовать долго плохо вооруженным отрядам против регулярного войска, обладавшего к тому же и пушками, было невозможно. 4 апреля 1805 г. царевичи Юлон и Парнаоз были высланы в Россию, остальные главари в числе 70 арестованы и преданы суду.

слух, что участковые пристава и старшины тайно уже составляют списки подлежащих призыву, причем за 15—20 руб. взятки они, подобному тому, как и во время подводной повинности, вычеркивали фамилии одних и вносили других. Тогда крестьяне решили выступить активно и заявить правительству, что и им невмоготу милиционный набор и поэтому отказываются подчиниться правительственному распоряжению. Население начало вооружаться; женщины начали агитировать о необходимости пойти походом на местную администрацию. 4 июня, в воскресный день, когда должны были кинуть жребий, в одной большой деревне сельчане избили старшину. Присланный уездным начальником по этому делу прап. Шаншиев вначале было успокоил толпу, но потом, разозлившись на одного парня за его заявление об отказе в повиновении правительству, приказал сельскому рассыльному арестовать парня. Народ не позволил схватить парня и избил рассыльного, а прап. Шаншиеву предложил по добру по здорову убраться домой. В этот день происходила соединенная сходка многих деревень. Получив обо всем этом донесение, уездный начальник понял, что дело принимает серьезный оборот, и решил вызвать войска. Для этого нужно было доложить о положении дел ген. Орбелиани, начальнику квартировавших в этом районе войск. Отправившийся в экипаже к генералу уездный начальник был настигнут по дороге огромной толпой, бушевавшей и грозно потребовавшей от него, чтобы он сошел с экипажа. Ему кричали, что он разорил и погубил их прежде подводной повинностью, а теперь набором. Уездный начальник через грузинского переводчика объяснил, что все это он делает по распоряжению государя и он может только хлопотать об облегчении их положения; он проверит все списки, и всех виновных в подлоге строго накажет. Уездный начальник спросил, почему до сих пор они не обратились к нему с жалобой на подлог в призывных списках. При этих словах какая-то женщина напомнила ему, что одно лицо обратилось к нему с подобной жалобой, а он выгнал его. Народ приходил все больше и больше в возбуждение; послышались призывы избить начальника, но в это время один из старшин кинулся между начальником и толпой; тогда разозленная толпа принялась бить старшину; воспользовавшись этим, начальник приказал кучеру во весь карьер погнать экипаж. Народ бросился в догонку и на перерез, но настичь все же не смог. Граф Тизенгаузен прискакал к ген. Орбелиани, которому и доложил обо всем происшедшем. Только генерал отправил приказание ближайшей войсковой части поспешно прибыть, как разъяренная толпа начала подступать к дому с криками и бранью. Генералу заявили, что они умрут, но не дадут солдат. Генерал объяснил, что это распоряжение государя, и он с уездным начальником могут только хлопотать об облегчении, что они им и обещают исполнить. Начинавшаяся было успокаиваться толпа была вновь взвинчена насмешкой одной женщины, что де достаточно двух приятных слов, чтобы их одурачить и успокоить. Толпа кинулась за генералом и уездным начальником и избила их. Когда один из стражников хотел кинжалом защитить генерала, то он запретил ему кого-либо трогать. Этот рыцарский поступок генерала сразу расположил к нему бушевавшую толпу, она прекратила избиение и внесла его даже в комнату. Избитого уездного начальника посадили в экипаж и повезли окруженного со всех сторон в уездный город, чтобы заставить его порвать составленные призывные списки. Однако по дороге толпа раздумала и разошлась по домам; народ начал успокаиваться; тем временем туда

были стянуты войска. Виновные были арестованы и из 17 обвиняемых 9 мужчин и 2 женщины были приговорены судом к каторге на 45 лет*.

С 80-ых годов, в царствование Александра III, по отношению Грузии применялись исключительно полицейско-репрессивные меры: школа стала прямым орудием самой бесцеремонной руссификаторской политики и учреждением, где «верноподданные» учителя должны были внедрять в питомцев «беспредельную веру» и «благонадежность». Своей основной задачей г. г. попечители кавказского учебного округа считали изгнание из сельских школ родного языка населения и введение преподавания всех предметов при помощи бессмысленного «немого» метода, т. е. без посредства родного языка. Суд хотя и подвергся благодетельному влиянию либерального духа эпохи Александра II, но лишь отчасти, и самые важные институты, как суд присяжных заседателей, выборные, несменяемые судьи, вопреки многократным ходатайствам груз. общества, не введены еще и до сих пор. Кроме того, суд по прежнему ведется на непонятном населению русск. языке. Из политических соображений отклонялись многочисленные ходатайства грузинского общества и о введении земства. Даже церковь продолжала являться в руках правительства орудием политической и обрусительной пропаганды; высшие русск. иерархи грузин. церкви находились в открытых связях с полицией, явной и тайной; даже в церковно-приходских школах с крайней настойчивостью и упорством начали изгонять грузин. язык. И в это же самое время русск. экзархи и их апостолы выказывали фарисейскую заботливость о грузинских племенах и проливали крокодиловы слезы о том, что те не могут слушать слова божья на родном наречии!.. в трогательном единении с попечителем учебного округа они в умилении создавали мингрельцам, грузинскому племени столетиями не знавшему и не желавшему знать иной письменности кроме родной ему грузинской, духовной и светской литературы, якобы новую собственную грамоту, в основу которой был положен русский алфавит; новоявленные мудрые семидесяти-толковники полицейского духовенства занимались переводом св. писания на мингрельский яз. Но тщетно! Народ не хотел слушать слова божья, оскверненного ядом предателей родины, и всюду с брезгливостью и отвращением встречали «просветителей» мингрельцев... При все более и более прогрессирующем малоземельи, когда в Кутаисской губернии в среднем на дым приходится всей удобной земли только 3,28 десят., а пахотной только 1,92 дес., в Тифлисской же губернии при значительно менее плодородной почве всей удобной земли на дым приходится 6,84 дес., а пахотной только 4,92 д.; когда плотность населения дает, за исключением пустынных и каменистых горных мест, весьма почтенную цифру: 36,2 на 1 кв. версту в Тифлисск. уезде (с пустын. караязск. степью с 3,5 жит. на 1 кв.в.), 42,5 в Меджвриехев. участке Горийского уезда, 45,4 в Мачхаанском уч. Сигнахск. уезда, 114,8 в Самтредском и 93,5 Хонском участках Кутаисск. уезда, 110,1 в Абашском уч. Сенакского уезда, 113,4 в Квирильском уч. Шорапанского уезда; словом, когда безземелье доходит до крайних пределов, в это само время все свободные казенные земли в Грузии предоставлялись для колонизации русским крестьянам, богатейшее же черноморское побережье было поделено между гг. министрами и другими баловнями судьбы, а местному грузинскому крестьянству правительство ни под каким видом не разрешало селиться на

---

* Протокол и корреспонденции об этом напечатаны в газ. «Обзор», 1878 г., №№ июнь, ноябрь, декабрь.

свободных казенн. землях: грузинское крестьянство ясно видело исключительное покровительство русским «колонизаторам» и явное игнорирование и пренебрежение к их положению и нуждам. Все было подготовлено для того, чтобы в случае возникновения движения оно охватило все слои грузинского общества и разрослось до грандиозных размеров. И это движение, как то бывало и раньше, началось на аграрной почве и прежде всего среди крестьян. В Восточной Грузии еще с начала девятидесятых годов недоразумения на почве нарушенных прав крестьян пользования пастбищами и лесными угодьями стали возникать все чаще и чаще. Стесненные нуждой, они шли и на потраву и самовольные порубки, причем крестьяне в таких случаях всегда ссылались на обычное право: им не было известно, что это право закреплено за ними и законами ц. Вахтанга. Отношения между помещиками и крестьянами сильно обострились; осмысленная часть дворянства возбуждала вопрос о необходимости урегулировать этот больной вопрос законодательным путем; но правительство хранило упорное молчание, хотя положение вещей было очень серьезно. В Западной Грузии ввиду острого малоземелья арендная плата за землю достигла колоссальных размеров; так как правительство не позволяло грузинск. крестьянам селиться на свободных казенных землях по черноморскому побережью, то искусственное повышение арендной платы на землю должно было по-прежнему прогрессировать. Временные вспышки и отдельные проявления брожения начали принимать всеобщий характер с 1901—2 г. В это время в Западной Грузии в Гурии (Озургетск. уезде) был неурожай; и без того тяжелые арендные условия стали тогда совершенно невыносимыми; было глухое недовольство: в 1902 году в г. Батуми на фабриках, на которых большинство рабочих — из безземельных и малоземельных крестьян Озургетского уезда, началась забастовка. Многие из забастовщиков были высланы администрацией на родину. Вернувшиеся домой рабочие застали у себя глухое брожение: в тот момент недоставало только организационной деятельности и инициативы, чтобы оно приняло реальную форму; высланные рабочие и внесли этот организаторский дух, идеи о необходимости бороться за свои права соединенными усилиями; все это было им хорошо знакомо по своим рабочим организациям. Уже в 1902 г. одновременно в четырех больших селениях началось аграрное движение. В сел. Нигоити произошло столкновение между управляющим одного крупного помещика и местными крестьянами из-за пастбищ; призванная полиция, конечно, прежде всего арестовала «бунтовщиков». Но это только ухудшило отношения, так как возбужденное крестьянство усмотрело в этом пристрастие и покровительство полиции помещикам. Тогда крестьяне собрались вместе и выработали общие требования, которые были предъявлены всем помещикам, на что администрация ответила вторичными арестами. В район аграрного движения выехал и губернатор, и местным населением ему были перечислены следующие неотложные нужды, удовлетворение которых только и могло успокоить взволнованное крестьянство: 1) необходимо понизить арендную плату на землю, 2) уничтожить плату за пользование выгонами и пастбищными местами, 3) отмена акциза за выкуривание водки, одного из главных источников доходов местного населения, 4) обязательность общественных работ и несение повинностей всеми без различия сословиями и 5) уничтожение натуральной повинности в пользу духовенства. Ответом на эти требования были экзекуция и репрессии. Раздраженные таким поведением администрации, крестьяне объявили помещикам полный бойкот и ни одна помещичья земля не была взята в аренду, не была вспахана; это, конечно, должно

было вызвать страшный экономический кризис в стране. Тогда, кроме обычных своих приемов, администрация прибегла, как ей наивно казалось, к радикальному искоренению «крамолы»: она закрыла все сельские библиотеки, считая эти маленькие культурные учреждения за очаги «смуты».

Но и это не помогло делу: наоборот, народ потерял всякое уважение к администрации: правительство и суд, уже с давних пор не пользовавшиеся особенным доверием грузинского народа, теперь, под влиянием политических процессов, пали совершенно в глазах населения: оно перенесло свой бойкот на администрацию и суд, и организовало свою собственную выборную администрацию, свой выборный народный суд. Конечно, эти учреждения не были безупречны, но зато были вполне демократичны и понятны, так как все велось на груз. языке, и подлежало контролю; в этом проявилась организационная способность и многовековая культура грузинского народа. Одинаковые во всей Грузии условия способствовали быстрому распространению движения по всей территории расселения грузинского народа и чем дальше, тем все более и более это движение из аграрного стало переходить в политическое. Уже высшая администрация не была в силах найти какого-либо выхода из созданного движением положения: ни правительственные должностные лица, ни суд нигде больше не действовали, всюду была своя администрация, свой суд. Вековой гнет и нарушение всех элементарнейших прав грузинского народа, систематическое игнорирование и попирание кровных интересов грузинского народа со стороны царского правительства привели последнее к полному моральному банкротству и потере всякого доверия и престижа!.. Нет сословия в Грузии, у которого бы оно пользовалось уважением и симпатиями... Назначенный в 1905 году наместником Кавказа граф Воронцов-Дашков еще до своего приезда в Тифлис объявил народу, что он посылает своего помощника Султан-Крым-Гирея для ознакомления с нуждами и желаниями населения и все, что будет в его власти разрешить, он не замедлит исполнить, обо всем, что превышает его полномочия, будет доложено Государю. 18 февраля Султан-Крым-Гирей прибыл в Озургетский уезд и, объезжая деревни, ознакомился с требованиями населения. Если оставить частности, то главные требования выражались в следующих пунктах: 1) право собираться для обсуждения местных общественных дел и избирать администрацию и суд (самоуправление), 2) суд и школа на грузинском языке, 3) земля должна принадлежать земледельцу; 4) отмена акциза и косвенных налогов, 5) гарантия свободного выражения мнения — устного и печатного (свобода слова и печати) и т. д. Были посланы правительственные чиновники и в другие районы Грузии; требования были выставлены такие же, указывалось лишь особенно настойчиво на необходимость самоуправления для грузинского народа.

Наместник признал некоторые требования справедливыми и подлежащими удовлетворению. Между тем, пока почти ничего не сделано в этом направлении. Наоборот, под влиянием реакции, в эпоху «подавления революции» Грузия подверглась такому разгрому, как если бы она перенесла вражеское нашествие.

საქართველოს საზღვრები

ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული

შესავალი

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს არა ერთხელ გასცილებია და ძლიერების ხანაში XI—XIII საუკუნემდე, განსაკუთრებით XII საუკუნეში დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის დროს საქართველოს, მთელი ამიერი კავკასიაც-კი ეკუთვნოდა. ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით-კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდენ.

წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქართველოს სამზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, — თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში, — და თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისდა მიხედვით, — თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამ ჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას.

საზღვრების მიმოხილვა ჯერ დასავლეთ-ჩრდილოეთითგან იწყება, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიდის, მერმე აღმოსავლეთის სანაპირო ხაზს და სულ ბოლოს სამხრეთის საზღვარს ეხება აღმოსავლეთითგან მოყოლებული დასავლეთის ხაზის უკიდურეს წერტილამდე.

I თავი

ჩრდილოეთის საზღვარი.

§ 1. ჩრდილო-დასავლეთის ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი.

სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს საზღვარზე აბხაზეთი იყო და ეხლაც იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. ისტორიულის ცნობების მიხედვით XI საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყებოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა (ლ. მროველი იხ. ქართველი ერის ისტ. II, 311 და 266). ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო საზღვარი წაწეული. რომ მაშინ ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა. თუ ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას, ალანთა შესახებ ამის თქმა არ შეიძლება.

მაინცადამაინც ცხადია, რომ დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ჰნიშნავს. მაგრამ საკუთრივ აბხაზების ჩრდილოეთის საზღვარი ბიჭვინტის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობდა. (იხ. ქართველი ერის ისტ. II, 315), ხოლო ამის შემდგომ უკვე აბხაზთა ტომის ჯიქების მიწა-წყალი იწყებოდა.

ვახუშტის სიტყვით მის დროინდელს, XVIII საუკუნის, აბხაზეთსა და ჯიქეთს შორის სამზღვრად ზღვა და კაპოეტის წყალი იყო (გეოგრაფია 406 და 408), ჯიქეთის ჩრდილოეთის საზღვარი-კი წინანდებურად კავკასიონის ქედი ყოფილა. დასავლეთ საქართველოს 1732 წ. რუკაზეც ჯერ სწერია „კაპოეტის წყალი“, შემდეგ ხაზია გასმული და ნათქვამია „აქეთ ჯიქეთიო“ (იხ. რუკა), ე. ი. ჯიქეთი კაპოეტის წყლის იქით, ანუ ჩრდილოეთით მდებარეობსო. თანამედროვე რუკებზე კაპოეტის წყალი არ არის აღნიშნული, მაგრამ 1732 წ. ალექსანდრე მეფის ბრძანებით შედგენილს დასავლეთ საქართველოს რუკაზე და სრულიად საქართველოს მოსკოეში 1743 წ. გადახატულ რუკაზე ეს მდინარე ბიჭვინტის ჩრდილოეთით არის აღნიშნული. მაშასადამე კაპოეტი ეხლანდელი მდ. ბზიბის ძველი სახელი უნდა იყოს.

თუ 1743 რუკას დავხედავთ, იქითგან სჩანს, რომ საზღვარი მდ. კაპოეტის წყალზე ანუ ბზიბზე-კი არა ყოფილა, არამედ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედ-ქედ. ბურნაშევის მიერ შედგენილს რუკაზედაც საზღვარი კაპოეტის წყლის ანუ ბზიბის საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მიმდინარეობს. ყველა ამ საბუთების გამო უნდა დავასკვნათ, რომ მდ. ბზიბი მთლად თავის შემდინარეებით აფხაზეთის საზღვრებში იყო, ამიტომ მოსამზღვრე ხაზი უეჭველია ამ მდინარის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდებარე გამყოფელი ქედის-ქედ უნდა ყოფილიყო გავლებული.

ამ ადგილითგან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი საზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედ-ქედ მიდიოდა და ეხლაც მიდის სვანეთამდის.

ტომობრივ მოსახლეობის მხრივ XVIII ს-ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იყოფებოდა: ერთი იყო ბზიბის ხეობა, რომელიც შეიცავდა მდ. ბზიბის ქვემო ნაწილისა და აღმოსავლეთით გუდაუთამდე, მეორე გუდაუთსა და მდ. კოდორს შუა საკუთრივ აფხაზთა სათემო იყო, მესამე, აფშილეთი, მდ. კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარეობდა. მეოთხე სამურზაყანო, რომელშიაც მოსახლეობა მეგრული იყო და ეხლაც არის, მხოლოდ აბხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული აქვთ, მოთავსებული იყო ღალიძგასა და ენგურს შორის შავი ზღვის ნაპირას და მეხუთეს, წიბელდას მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილი ეკავა.

ცნობილია, რომ აღმ. საქართველოს 1783 წ. რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულობამ და შემდეგ 1801 წ. შეერთებამ მთელი საქართველოს ბედ-იღბალიც გადასწყვიტა და სრულიად საქართველოს რუსეთის მიერ შეერთება მხოლოდ-დამხოლოდ ხელსაყრელ დროზე იყო დამოკიდებული. ვერც აფხაზეთი გადურჩა ამ ბედს.

თუმცა 17 თებერ. 1810 წ. აფხაზეთის მთავარმა სეფერბეი შარვაშიძემაც რუსეთის მფარველობა მიიღო, მაგრამ კარგა ხანს XIX საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდე აბხაზეთში მაინც რუსებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს და მხოლოდ 1 მაისს 1864 წელს აბხაზეთი რუსეთთან საბოლოოდ შეერთებული იყო, თვით აბსაზეთის მთავარს-კი მთელის შთამომავლობით მთავრის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვა.

აბხაზები უბრძოლველად არ შეპრიგებიან დამოუკიდებლობის მოსპობას და 1866 წელს აბხაზეთში აჯანყება დაიწყო, რომელიც რუსთა ძლიერ ჯარის მოსვლისთანავე ჩაქრა. მაგრამ 1877—8 წ. ომის დროს აბხაზეთში კვლავ აჯანყება მოხდა.

ყველაზე ძლიერსა და მედგარს წინააღმდეგობას რუსეთის გაბატონებას აბხაზეთში წიბელდა უწევდა. XIX საუკუნის 30 წლებითგან მოყოლებული რუსეთის მთავრობა არა ერთხელ ამ კუთხეში დამსჯელ რაზმებსა გზავნიდა ხოლმე და ბოლოს მკვიდრი მცხოვრებნი იქითგან აყრილ და განდევნილ იქმნენ (В. Т. Маевскій. Кутаисская губернія. Военно-статистическое описаніе. ტფილისი 1896 წ. დამატ. № 1 გვ. 54).

1840 წ. ატეხილ ამბოხების გამო ამ კუთხის მაღლობი ადგილებითგან, დალითგანაც, რუსებმა ყველა მეკომურნი აჰყარეს (იქვე 56). ხოლო 1867 წლის აბხაზეთის აჯანყების შემდგომ, წიბელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედაბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო (იქვე 57). ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა, 1867 წელს-კი მთელს ამ კუთხეში რუსთა წყალობით 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო (Иваненко. Гражд. упр. 430). ამ დროითგან მოყოლებული კოდორის და მის შემდინარეების ხეობანი სრულებით გაუკაცარიელდა. ამის შემდგომ რუსეთის მთავრობამ მთელს თავის პოლიტიკას შავიზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით-კი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავ ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ. რუსებს-კი, განსაკუთრებით მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდნენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და

ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც.

რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად სამურზაყანო-აბხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერისდა თანახმად 141.000 მცხოვრებთა შორის 71.000 ქართველი და 43.000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21.000 სულ სხვადასხვა ეროვნებისა.

§ 2. ჩრდილოეთის ხაზი. დვალეთი.

საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარ ეულტეხილის მარადთოვლიანს ქედს რაჭის სამზღვრამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი სამზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე ეულტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.

დვალეთის შესახებ სავანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის ეულტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარად-თოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული ისე-კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე. ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა სრულიად გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ სამზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII ს.-ითგან მიექცია და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა (ცხოვრება მეფისა დავითისი გვ. 301, ქართველ ერის ისტ. II. 515). შემდეგშიაც, თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურების დროსაც, XVIII ს.-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით **„მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა"** (გეოგრაფია 460). ვახტანგ VI იყო ის მეფე, რომელმაც საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის ეს მონაპირე კუთხე 1711 წელს ჯარითურთ შემოიარა, შევიდა შიგ, „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ყლელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული", სწორედ მან კვლავინდებულად მტკიცედ **„დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი"** (ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება 118).

აღმოსავლეთით მას ჰსაზღვრავს „თრუსოს და ხევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამხრიდან ჩრდილოდ და დასწყდების ხევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე ვიდრე ხეთაძე ჩერქეზის მთამდე. სამხრით მზღვრის კავკასი, ხევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც. საბძელამდე და ზეკარ-კედელა და რაჭა-დიგორ.. ბასიან შორისი კავკასნი. ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი... და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ყლელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი" (იქვე 428—430). ეხლანდელს რუსულს საგეოგრაფიო რუკებზე მიღებული სახელები რომ ვიხმაროთ, მაშინ დვალეთის სამზღვარი ასე გვეხატება. ჩრდილოეთით ადაი-ხოხითგან (= ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (= ქართულს ახოტს), ხოლო დასავლეთით ამა-

კე ადაი-ხოხის მწვერვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის საზღვარი იწყობა ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის: საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის.

დვალეთი ძველადაც და ეხლაც რამდენიმე ხეობად იყოფებოდა: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად (ვახუშტი. გეოგრაფია 428).

ამ დვალეთზე „გარდავლენან... გზანი დიგორსა... და... გზანი ვალაგირსა და ფაიქომსა" (ვახუშტი. გეოგრაფია 444). იქ, სადაც კასრის ხეობა „მოეიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა", გაკეთებული ყოფილა „კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა". ეს კარი-ბჭე თურმე საქართველოს „მეფეთაგან ქმნული" ყოფილა იმ მიზნით, რომ „არა ვიდოდენ თვინიერ მათსა ოვსნი". ამგვარად ბუნებრივადაც და ხელოვნურადაც „არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი" (იქვე 444).

ძველად ამ კუთხეს საქართველოსთან პოლიტიკურს გარდა სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირიც ჰქონდა: ქრისტიანობა აქ ქართველი მქადაგებლების მიერ იყო გავრცელებული და თვით ეკლესიის ნანგრევებს, მაგ. როქის ხეობაში ეხლაც, ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები. ვახუშტის სიტყვით ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ „სამწყსონი ნიქოზლისანი" (გეოგრაფია 434). XVIII ს.-ის დამდეგს ბლომად ყოფილა „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი", რომელნიც საქართველოს „მეფეთაგან ნაშენნი" ყოფილან. თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და ვახუშტის ცნობით „უმეტეს იტყვიან.. თამარ მეფისაგან" აგებულადო (იქვე 438).

XVIII ს-ში ეს კუთხე ეკონომიურადაც საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული: მარილს, ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რაც-კი თავიანთ ცივს ქვეყანაში ვერ შოულობდნენ, თურმე ქართლითგან და რაჭითგან ზიდავდენ (ვახუშტი. გეოგრაფია 438).

ბუნებამ დვალეთი მადნით უხვად დააჯილდოვა და იქ ვახუშტის სიტყვით „გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა" (იქვე 438), ამასთანავე „ლითონი ბრპენისა მრავალი" ყოფილა. ხოლო „გოგირდი ფრიად კარგი". ზემოაღნიშნულს გარდა იქ არსებობდა „ლითონიცა ვერცხლისა" (იქვე 444).

ამ ჟამად ამ კუთხეს არდონის ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა ეწოდება. ეს არდონის ქვაბა-ხეობა, რომელიც ყოველმხრივ გარშემოზღუდულია, მაგრამ რომელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთად-ერთი ზემოაღნიშნული ხეობაზე მდებარე გასავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას II გარდმოსავალი აერთებს. XIX საუკუნეშიც თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის სამზღვრებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა, (Филипов. Военный обзоръ Тифлис. губ. СПБ. 1872 წ. გვ. 7—8). მისი სივრცე 497 ოთხკუთხს ვერს არ აღემატება. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.

საუკუნეთა განმავლობაში, როგორც დავინახეთ, საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან. ზღუდეც-კი ააგო რომ თუ საჭირო იქმნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილად შესძლებოდა. ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვი-

სებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქმნება, რომ იგი საქართველოსთან უფრო მრავალრიცხოვან გზებით, სხვადასხვა მხრით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შედარებით მჭიდროდ დაკავშირებული. ჩრდილოეთთან-კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს. ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: **რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთის საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს** მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხოხის მთას (ადაი ხოხ) და ასოტის მთას (არხონ) შუა გაივლება.

§ 3. ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი·

დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედზე მიდის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული. მისაბჯენ ციხედ ჰქონდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდ. თერგის სათავის მიდამოებში, მთებში მდებარეობდა". ამ ციხეს „ფრიად მაგარი მდებარეობა" ჰქონდა (Бурнашевъ. Картина Грузіи или описаніе полит. состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго. Тифлисъ изд. Бегичева 1896 წ. გვ. 9). ესლანდელ რუკებზე ამგვარი საგეოგრაფიო სახელი არ არის აღნიშნული, ამის გამო ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება.

მაგრამ უფრო დაწვრილებითი და მკაფიო ცნობები საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტსა აქვს. მისი სიტყვით თერგს „გველეთს ქვეით ერთვის... ხევი", რომელიც „სამხრეთ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა... ამ ხევს ქვეით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა... აღმაშენებელის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელა", თერგის „აღმოსავლით კიდესა ზედა მეფის მირვანის მიერ" აგებული. მან „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერარა ვიდოდნენ". ხოლო „ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგიან"-ო (გეოგრაფია 228).

სახელოვან ქართველ გეოგრაფის აღწერილობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ თეითეული მის მიერ დასახელებული ადგილის პოვნა ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ძნელი არ არის. ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვშველის. გველეთის ჩრდილოეთით თერგს მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ერთი პატარა წყალი ერთვის, რომელსაც ქისტურა (Кистинка) ეწოდება. აქ ვიწრო ხეობაში ყოფილა მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებული ციხე. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს სამხედრო გზაზე რუსებმა სად. დარიალისა „Даріальское" უწოდეს. აქ მართლაც რუკაზე ნათქვამია („Бывшее укрепленіе") „ციხის ნანგრევიო". ამის ჩრდილოეთით მირვან მეფის მიერ აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სად. ლარსია. ამაზე უფრო ჩრდილოეთით-კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებ-

ლი ადგილი „ნასასახლევი მეფეთა“, რომელიც დაახლოვებით ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს მიდამოებში უნდა ყოფილიყო. აქაც, 5-ვერსიან რუკაზეც ნათქვამია ციხის ნანგრევიო (Бывшее укрепленіе). თვით ბატონიშვილ ვახუშტის დაწვრილებითს რუკაზე (იხ. ბროსსეს გამოც. № 3 Karthli au N. du Kour) „ნასასახლევი მეფეთა“ (Résidence royale) მართლაც „ჯარიეხის“ (= ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს) მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ, დაახლოვებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით, სამხრეთით მიდიოდა (იხ. იგივე რუკა).

ზემოაღნიშნულ მოსამზღვრე ადგილითგან მოყოლებული სამზღვარი მდ. ქისტურის ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარს ქედს აღწევდა, ხოლო შემდეგ საქართველოს სამზღვარი მუდამ სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა იმგვარადვე როგორც — XIX საუკუნეშიაც რუსთა მფლობელობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული.

II თავი.

აღმოსავლეთის სამზღვარი

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი ჰერეთი.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა. ჯერ ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის სამზღვრად ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტანის მთები იყო, სახელდობრ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ალაზნის შემდინარეების გამყოფელი ქედი. ჩრდილოეთით მას არიშის წყალი, სამხრეთით-კი ჯერ ალაზნისა და იორის შესართავი ჰსაზღვრავდა, ხოლო შემდეგ საზღვარი ალაზნის პირას ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა იმ ადგილამდის, საცა გიშის წყალი ალაზანს ერთვის. მერმე მოსამზღვრე ხაზი ამ გიშის წყალს სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის უღელტეხილში იყო (ქართველი ერის ისტ. II. 309 და ვახუშტი. გეოგრაფია 304). რომ სამზღვარი გიშის წყლის სამხრეთით იყო, ეს ბურნაშევის 1784 წ. რუკითაც მტკიცდება (იხ. რუკა).

მაგრამ სამხრეთით ამ ხაზის მდებარეობა ჩვენთვის მხოლოდ მაშინ გახდება ცხადი, თუ-კი გიშის წყლის მდებარეობა გამორკვეული გვექნება. თანამედროვე რუსულ რუკებზე ამგვარი მდინარე და ციხე არსად არის აღნიშნული, მაგრამ ძველ ქართულს გიშს 5-ვერსიან რუკის მდ. კიში (р. Кишъ) უდრის, ხოლო გიშის ციხე დაახლოვებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა კიშ-კიშლაღი (Кишъ-кишлахъ) არის აღნიშნული (ქ. 9,64°30—41°15′). ამ ჟამად რუკებზე სახელები ისე სწერია, რომ გიშის წყალი არსად ერთვის ალაზანს, არამედ იგი ე. წ. აგრი-ჩაის შემდინარეა. ცხადია, რომ ძველ დროს თვით ეხლანდელს აგრი-ჩაისაც იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ეხლანდელი გიში (Кишъ) ერთვის, გიშის წყალი რქმევია. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გიშის წყალი მართლაც ალაზნის

შემდინარედ გამოვა და ამ ადგილას საქართველოს განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობა სრულებით ნათლად წარმოგვიდგება.

საქართველოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე. მაშინაც-კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმოდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ისტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ XIII ს.-ის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი ქადაგება ლეკეთშიც-კი გადაიტანა, „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქციენა“ და გააქრისტიანა (ქამთაალ.* 889, გვ. 731). წერილობითი მოწმობის გარდა ქართველთა დაღესტანში განმანათლებელ მოღვაწეობის ძეგლებიც, ეკლესიის ნანგრევების სახით არის შენახული და თვით ხუნზახშიაც-კი იყო შერჩენილი იქაურ ეკლესიის ნანგრევის ქვა, ქართული ასომთავრული წარწერით შემკული (იხ. ე. თაყაიშვილი Арх. экскурсіи II, 63).

ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს საქართველოს ამ ნაწილსაც ბედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა. პირველად ჯერ კიდევ XIII ს.-ში მონღოლთა ბატონობის წყალობით სხვათა შორის ჰერეთიც ძალზე დაზიანდა (ქამთაალ.* 875, გვ. 719). მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰაბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე აოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე XVII ს-ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტანელთა შემოსევის და შენების გამო, მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობის დაძლევა დაიწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფიო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა „ალის-სასულთნო“, მეორეს — „ელისენი“, მესამეს — „ჭარი“. უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა. ვახუშტის ცნობით ეს ხეობა არჩილ მეფის „შემდგომად იწოდა ჭარი“ (გეოგრაფია 306).

რუსული 5-ვერსიან რუკაზე ფიფინეთის მაგიერ მთა ფიფანი (დიდი და პატარა—Пипанъ, Б. Пипанъ) არის აღნიშნული, ჭარის მაგიერ-კი „ჯარი“-ა (Джары) დაბეჭდილი. მეფე ლევანმა ვახუშტის სიტყვით აქ თურმე ლეკები დაასახლა და ყოველწლიურ გადასახადად მხოლოდ ის მოვალეობა დააკისრა, „რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული“ (იქვე 306). მაშასადამე ფიფინეთის ხეობა ანუ ჭარი დაღესტნის მოსამზღვრე ნაწილია. ელისენად იწოდებოდა ქვეყანა ბელაქნის „წყალსა და გიშის წყალს შორისი ალაზნამდე და კავკასამდე“ (ვახუშტი. გეოგრაფია 306), მაგრამ ნამდვილად-კი ელისენსა და კავკასიონის ქედს-შუა, შუაგულში მაინც, ჭარი იდვა. ამიტომ ცხადია, რომ ამ ადგილას ელისენი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ვერ აღწევდა.

ალისულთნის სამფლობელოს სამზღვრები ვახუშტს გარკვევით არა აქვს აღნიშნული (გეოგრაფია გვ. 304, შეად. 306). ანტონ კათალიკოზს თავის 1757 წ. დაწერილს თხზულებაში ნათქვამი აქვს ალისულტანი თავდაპირველად „კახის სულტნად სახელდებული“ ყოფილა (იხ. მ. ჯანაშვილის საინგილო. ძველი საქართველო II, 14). მაგრამ სამზღვრები არც მას აქვს დასახელებული.

ე. წ. თათრებისა და დაღესტნითგან ლეკების ჩამოსახლებამ საქართველოს მტრებს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრითგან შემოსევა გაუადვილა, რათგან სარწმუნოებრივი ერთობის წყალობით სპარსეთის შაჰის ჯარს ადვილად ემხრობოდენ ხოლმე. საქართველოს მეფეებსა და იმ დროინდელს მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ამ კუთხის უაღრესი მნიშვნელობა, რომ რაკი „არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ-წყლიანი და მაგარი“ (კათალიკოზი ანტონი, იხ. მ. ჯანაშვილის საინგილოში გვ. 15), ამიტომ საქართველოსთვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საუცხოო საფარს წარმოადგენდა. თუმცა ლეკები, რომელნიც ჭარში იყვნენ ჩასახლებულნი დრო-გამოშვებით არამც თუ ურჩობდენ არამედ ცარცვაგლეჯასაც-კი მისდევდენ კახეთში, მაგრამ მაინც ერეკლე მეფის დროს, რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულობის დადების დროსაც ეს კუთხე, როგორც საქართველოში მყოფ რუსეთის იმდროინდელ ელჩის ბურნაშევის რუკაზეც აღნიშნულია, საქართველოს სამზღვრებში შედიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა.

როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ. საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და შეიერთა, ჭარი და ბელაქნის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებდენ, ანუ საინგილო, როგორც ქართველები ეძახიან, ამ დროს არ დაუპყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. დაიდო საინგილომ ხარკი და მორჩილება განაცხადა, საბოლოოდ-კი 1830 წ. იყო შემოერთებული.

1886 წელს ზაქათალის ოლქში სულ 74449 მცხოვრები ითვლებოდა, აქეთგან 40225 ლეკი იყო, 21090 მუღანლო და 12430 ქართველი, 521521 სომეხი (მ. ჯანაშვილი საინგილო 6).

1916 წელს ზაქათალის ოლქში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 76000 იყო: აქეთგან 19000 ქართველი და 45000 ლეკი, ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები 12000 ითვლებოდა.

III თავი

სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი

§ 1. ჰერეთი: ქიზიყი, ყარაია

ზაქათალის ოლქის შემდგომ საქართველოს უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი ეწყობა. ძველ დროს მთელი ეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც მტკვრამდე და დებედას წყალთ-გამყოფელ მთებამდე ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ზაქათალის ოლქს ზედ ეკვრის კამბეჩოანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. ძველი ქიზიყის, რომელიც ეხლა სიღნაღის მაზრად იწოდება, სამზღვრად იყო „სამხრით უფადარი და წინამინდორი ხორანთამდე“ (ვახუშტი. გეოგრაფია 310). წინამინდორად იწოდებოდა ის ველი, რომელიც სამხრეთით იორისა და ალაზნის შესართავთან თავდებოდა (იხ. ვახუშტის რუკა № 4). იგი დაახლოვებით ეხლანდელს ელდარის მინდორს უდრის, უფადარად-კი დაახლოვებით ის სამხრეთით მდებარე ადგილი იყო, რომელსაც ეხლა ჯეირან-ჩელი ეწოდება. მაშასადამე სამზღვარი იწყობა ჯერ იქ, სადაც, გიში ალაზანს ერთვის, შემდეგ სამხრეთისაკენ მიდის ალაზნის გასწვრივ მისი და იორის შესართავამდე. აქეთგან დაწყობილი სამზღვარი პირდაპირ მტკვარზე გადადიოდა (ვა-

ხუშტი გეოგრ. 310—312 და ბურნაშევის 1784 წ. რუკა) და მერმე საქართველოს სამხრეთის სამზღვარი ამ მდინარის პირს დასავლეთ-ჩრდილოეთით მიმართულებით მისდევდა დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც მდ. ალსტაფურა მტკვარს ერთვის. ძველად საქართველოს ეს სამხრეთის კუთხეც, როგორც აღნიშნული იყო, პერეთის ნაწილად ითვლებოდა.

საქართველოს სამხრეთის მოსამზღვრე ქვეყნის აღმოსავლეთს კიდეს იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც სამზღვრის ხაზი იორ-ალაზნის შესართავითგან მტკვარზე გადმოდიოდა ყარაიამდე ჯეირან-ჩეღურეთის ველის სახელი ერქვა. შემდეგ-კი ყარაია იწყობოდა. ამ ყარაიას ველის მდებარეობის შესახებ ვახუშტის ნათქვამი აქვს, რომ მთა „იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები“-ო. ამ ნაგებისა და მაშასადამე იალღუჯის „აღმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი ყარაიისა“ (ვახუშტი. გეოგრ. 180). აი სწორედ ეს ველიც ძველად პერეთს ეკუთვნოდა, და შემდეგში-კი, და უკვე ვახუშტის დროს, მას თურმე „ყარაიას“ უწოდებდენ (იქვე 182). ეს სახელი მას ეხლაც შერჩენილი აქვს.

პერეთის ამ ნაწილს სამზღვრად ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა გარეჯისა მწარე-წყლამდე, ხოლო სამხრეთით მწარე წყალი (იქვე 180), ე ი. დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც ალსტაფურას წყლის შესართავია.

ეს კუთხე ოდესღაც ქართული კულტურის დიდებული კერა იყო (იქვე 182). საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქართული მხატვრობის მრავალი განმაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარეჯის უდაბნოში შენახული არიან და რვა საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადურჩნენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა რამდენად დაწინაურებული ქართული კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე.

სამხედრო ბედის ულმობელმა ტრიალმა მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით ეს ქვეყანაც გააუკაცრიელა და უდაბნოდ აქცია. შემდეგში სპარსთა შაჰების გეგმისაებრ აქ უბინადრო ელი დემურჩი-ასანლუ შემოვიდა, რომელიც თარაქამათა ტომს ეკუთვნოდა და მესაქონლობას მისდევდა (ვახუშტი. გეოგრ. 182).

პერეთის იმ ნაწილს, რომელიც ბოლოს დროს ყარაიად იწოდა, დასავლეთ-სამხრეთით უკვე ქვემო ქართლი ეკვროდა და ამ ადგილითგან მოყოლებული სწორედ ეს ქვეყანა იყო იმავე დროს საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის სამზღვარი და მონაპირე კუთხე.

§ 2. საქართველოს სახელმწიფოებრივი სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ხაზი

ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი და სამზღვარი იმავე დროს გარდაბანის საერისთავოს ნაწილი და სამზღვარი იყო და მას ჰსაზღვრავდა „აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“ (ვახუშტი. გეოგრ. 178). მაშასადამე ქვემო ქართლის ანუ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთის სამზღვრად ჯერ მდ. მტკვარია დაახლოვებით ყიზყალას ციხის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთ-სამხრეთით, ხოლო შემდეგ ქურდევაჭრის ხეობის ქედი, რომელიც დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს და დებედას შემდინარეების გამყოფელი მთა არის.

მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკურ სისუსტის დროსაც, თუნდა XVIII ს.-შიც იქ-კი არ თავდებოდა, სადაც ქვემოქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. თუნდაც, რომ განჯისა და ერევნის სახანოებს თავი დავანებოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცნი იყვნენ და ყოველწლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხოლმე დამტკიცებულნი (Бурнашевъ, Картина etc. 12, 13—14 და Инструкція изъ Госуд. Коллегіи, Коваленскому 1799 წ. А. К. А. Г. К., წ. I, 94 § 7), ყაზახი, შამშადილო და შამქორი ხომ საქართველოსთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველთა ერთგულობას იჩენდენ. ამ ორთავე ქვეყნითგან ომიანობის დროს საქართველოს საუკეთესო, 6000 კაცისაგან შემდგარი, ცხენოსანი ჯარი მოსდიოდა ხოლმე (იქვე 6, 16). განსაკუთრებით საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეს მაჰმადიანი ხანები საქართველოსთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველობის უფრო ერთგულნი ყოფილან, ვიდრე თვით ერთმორწმუნე და თანამონათესავე სპარსეთის შაჰებისა. ამ მხრივ მეტად საგულისხმიეროა, რომ ერევნისა და ყარაბაღის ხანები სპარსეთის შაჰს აღამამედხანს-კი არ მიემხრენ, არამედ ერეკლე მეფესთან შაჰის საწინააღმდეგოდ საგანგებოდ ხელშეკრულება დასდეს და ფულიც მიაშველეს ამ საქმის განსახორციელებლად (Записка Коваленскаго о Грузіи А. К. А. Г. К. წ. I. გვ. 118). ამიტომაც არის, რომ ბურნაშევის მიერ 1784 წ-ს შედგენილს საქართველოს რუკაზე ყაზახი, შამშადილო, შამქორი განჯითურთ ქართლის საზღვრებივით წითელი ფერით არის შემოხაზული.

IV თავი

სამხრეთის საზღვარი.

ქვემო ქართლი. გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის

ქვემო ქართლი სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა სამფლობელოს გამყოფელი საზღვარი იყო ძველ დროითგანვე მოყოლებული.

§ 1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ საზღვრის გამო II ს. ქ. წ. — XI ს. ქ. შ.

ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწაწყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დააარსეს, თვით სომხეთის ვითარცა პოლიტიკურ ერთეულის საზღვრებიც გაფართოვდა (ჩემი ქართული ერის ისტ. I, 59 და Адонцъ, Арменія въ эпоху Юстиніана 395). ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივი განვითარებისა და გამრავლების შედეგი არა ყოფილა. სტრაბონის ცნობით სომხეთის მე-

ფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის მაშინ ქართველთა ტომებისათვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინაკებს — კარინი და დერქსინი (იქვე) ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად. ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელ ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჯოჯკანისა, ბოლნის-დბანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკურ მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალი შერჩენილა ეხლანდელ საგეოგრაფიო სახელ გუჯარეთში (Адонцъ, Арменія 425 შენ.). ქართული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი.

ტოპოგრაფიულად ეს გუგარეთი ანუ ქვემო ქართლი სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით თვით ბუნების მიერ არის გარემოზღუდული: სამხრეთით მას უდარაჯებენ მაღალი (8000 ფ.) ციცაბო, ორ ადგილს გარდა გარდაუვალი, ტყით მოცულნი ერევნის მთები, რომელთაც რუსული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ბამბაკის ქედი ეწოდება. ამ მთების გასწვრივ ჩრდილოეთით მდებარეობენ ე. წ. სოხეთის მთები, რომელიც აგრეთვე მაღალია ისე, რომ ზოგიერთი მწვერვალი 8000 ფ-დე აღწევს. მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებსა და რასაკვირველია გზებსაც ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული.

სტრაბონის დროსაც I ს.-ის დასასრულს ქ. წ. და I ს.-ის დამდეგს ქ. შ. ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ უკვე 35 წ-ითგან ქ. შ. მოყოლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც-კი ქართველი უფლისწული გამეფდა, ცხადია მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო.

შესაძლებელია ამავე დროს ქართველებს სომეხთა მიერ მითვისებული გუგარეთიც უკან დაებრუნებინათ (ქართველ ერის ისტ. I, 173—177). ამას ის მეგობრული განწყობილებაც გვაფიქრებინებს, რომელიც აღმოს. საქართველოს მეფეებს რომის კეისრებთან ჰქონდათ (იქვე, 178—9).

პლინიუსის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ თეზი და თრიალეთი მაინც, რომელიც აგრეთვე ფართოდ ნაგულისხმევ გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, პირველ საუკუნეში ქ. შ. უკვე იბერთ ჰკუთნებიათ (Natur, his. cap. VI § 26, ქართველ ერის ისტ. I, 60).

მაგრამ გუგარეთის ქართველთა მიერ უკან დაბრუნების შესახებ გარკვეული პირდაპირი ცნობები IV ს-ითგან ქ. შ. მოიპოვება. 374 წ. სომეხთა მეფე პაპი მოკლულ იქმნა და ამის შემდგომ სომეხ არშაკუნიანთა სამეფო შეუჩერებლივ ეცემოდა. ამ სამეფოს პოლიტიკურს დაუძლურებას ხელი შეუწყო იმ ქიშპობამ და ბრძოლამ, რომელიც ამ ქვეყანაში უფლისწულების არშაკისა და ხოსროს შორის ატყდა სომხეთის სამეფო ტახტის გამო. ეს ცილობა 387 წ. სომხეთის ორ სამე-

ფოდ გაყოფით დამთავრდა და სწორედ ამ დროს ქართველებსაც სომხებისაგან თაყიანთი ქვეყნები გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი უკან დაუბრუნებიათ (Адонцъ, Арменія 225—226).

მალე თვით სომეხთა ამ სამეფოების დამოუკიდებელი არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთისა და ბიზანტიას შორის იქმნა განაწილებული. სომეხთა ამგვარმა დაუძლურებამ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ბედი და საქართველოსთან შეერთება ხანგრძლიერობით განამტკიცა (იქვე 230) იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, ამ კუთხეში სომხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა (იქვე).

V საუკუნეშიაც მაგ. ვახტანგ გორგასლანის მეფობაში გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა (Адонцъ, Арменія 222). მაგრამ მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წესწყობილების მხრივაც, იგი საქართველოს განუყოფელს ნაწილს შეადგენდა: როგორც VI საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიითგან სჩანს, ბოლნისის, ცურტავის და რუსთავის საეფისკოპოსოები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდენ (იხ. *Գիրք Թղթոց* 183).

გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარ უბედურებამაც გამოააშკარავა, როდესაც სპარსთა მიერ 532 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქმნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ (ქართველ ერის ისტ. I, 195—197). ასეთ უკიდურეს გაჭირვების და პოლიტიკურ ბედის უკულმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს სამზღვრებში შედიოდა. VII საუკუნის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა, რომელიც ამ ორი ერის ეკლესიების სრული განხეთქილებითა და განშორებით დამთავრდა, იგი კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა (იხ. ჩემი Исторія церков. разрыва). საქართველოს ამ პოლიტიკურ დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიაც რომ გუგარეთი მართლა კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით სომხურივე VII საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო (იქვე გვ. 20 და ჩემი ქართველ ერის ისტორია, I, 60).

643—645 წელში არაბთა ლაშქარი და სარდალი ეწვია კავკასიას და საქართველოს. მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია და აღმოსავლეთი საქართველოც არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. სომხეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც მათ ემორჩილებოდა. თავისდა თავად ცხადია, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო საქართველო-სომხეთის სამზღვრებში რაიმე ცვლილება მომხდარიყო: გუგარეთი წინანდებურად ქართველთა უცილობელი კუთვნილება იყო. არაბთა პოლიტიკურმა ძლიერებამ რომ შემდეგში თანდათანობით იკლო და მათი შეუჩერებელი მიდრეკილება განკერძოებისადმი ცხადი გახდა იმ მხრივაც, რომ ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი სხეულის მაგიერ მრავალი სანახევროდ დამოუკიდებელი დაარსდა, დაპყრობილმა ქვეყნებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სხვათა შორის ტფილისისა და ქართლის საამიროც შეიქმნა. ტფილისის ამირათა ურჩობა ასუსტებდა არაბთა ბატონობას კავკასიაში, საქართველოს და სომხეთის აღდგენას-კი ხელს უწყობდა. ტფილისისა და ქართლის საამიროს სამზღვრებში შედიოდა სხვათა შორის ქვეყნა ქართლის ის ნაწილი, რომელსაც გუგარეთი ერქვა.

IX საუკუნიდგან მოყოლებული საქართველოსა და სომხეთს პოლიტიკური მოლონიერება დაეტყო. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა: ჯერ რამდენიმე საერისთავთ-ერისთავოები გაჩნდა, შემდეგ დაიწყო ცალცალკე ბრძოლა საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებისათვის. ასეთ პირობებში ბრძოლა ტფილისისა და ქართლის ამირასთანაც და ურთიერთთან აუცილებელი იყო: არაბებს უნდა ჩამორთმეოდათ მათ მიერ დაპყრობილი აღმ. საქართველოს მიწა-წყალი, ქართველ ერისთავთ-ერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლას-კი მიზნად დანაწილებული საქართველოს გაერთიანება ჰქონდა. ყოველი ქართველი მთავარი და მეფე ხან პირადად ცალცალკე, ხან ჯგუფობრივ, შეერთებულის ძალით ამ საქმის განხორციელებას ცდილობდა. სხვათა შორის საქართველოს არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებას გუარამ მამფალიც (+882 წ.) მამაცურად ცდილობდა ხელის შეწყობას და მედგარი ბრძოლის წყალობით მან დაიპყრა კიდეც ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი (მატიანე ქართლისა² 445, გვ. 223, ქართველი ერის ისტ. II, 378). თრიალეთი, ტაშირი და აბოცი როგორც ვიცით სწორედ ძველ გუგარეთს ეკუთვნოდენ. მაშასადამე, საქართველოს განახლების განთიადზე ქართველმა მთავრებმა ეს კუთხე ისევ საქართველოს საზღვრებში მოაქციეს.

მაგრამ საქართველოს გაერთიანების პროცესში მალე გარეშე ძალაც ჩაერია: სომხთა ერისთავმა აშოტ ბაგრატუნიმ ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ რასაკვირველია თავის სასარგებლოდ.

სომხთა ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომხეთის სამეფო აღადგინა, თავის სამფლობელოს სამზღვრების გასაფართოებლად ჩრდილოეთისკენ მოისწრაფებოდა და ქართლის დაპყრობას ლამობდა (ქართველი ერის ისტ. II, 379). იგი ამ ქვეყანას აფხაზთა მეფეს ეცილებოდა, რომელიც თავის მხრივ კარგა ხანია საქართველოს გაერთიანებისთვის იღვწოდა (იქვე 380). სომხთა მეფე ატაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მხარს უჭერდა. გვარამ მამფალმა სამაგიეროდ „აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა" (მატიანე ქართლისა* 445 6, გვ. 223 ქართველ ერის ისტ. II, 380). ამგვარად საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლთა შორის სომხთა მეფეც გაერია და აფხაზთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ჩადგა. ამის წყალობით სომხთა მეფეებს ქვემო ქართლის ნაწილის ზოგიერთი ადგილები ჩაუგდია ხელში, სხვათა შორის ტაშირი (იქვე, 380—381). ამ გაერთიანებას აშოტ ბაგრატუნი ესეოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ მას თავის თავისათვის სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის სახელწოდება მიუკუთვნებია (ასოღიკ, ქართველ ერის ისტ. 380). აქედგან ცხადია, რომ გუგარეთი მასაც ქართლად და ქართველთა მიწაწყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქართველთა ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთერისთავი დაარქვა. ალბათ მას კარგად ესმოდა, რამდენად ძვირფასი იყო ქართლის ის ნაწილი, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა, საქართველოს თავდაცვისათვის.

ამგვარად ეს სომეხთა მეორე იერიში იყო საქართველოს სამხრეთის სამზღვრების გადმოსალახავად და ქვენა ქართლის, ყოფილ გუგარეთის დასაპყრობად. საგულისხმიეროა, რომ სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური განახლება ამ დროსაც სომეხთა შემოსევით დაიწყო.

სტეფანე მტბევარის მიერ 814—918 წ. (იხ. ჩემი ისტორიის მიზანი 44) დაწერილი გობრონის წამება ამტკიცებს, რომ შემდეგშიაც „ტაშირი და კლდეკარი"

მეფის სუმბატის ხელში ყოფილა (საქართველოს სამოთხე 394). შემდეგშიაც ეს კუთხე მათ ხელითგან არ გაუშვიათ. რაკი სამხრეთით და დასავლეთით ძლიერი მეტოქეები, არაბები და ბიზანტიელნი ჰყავდათ, ჩრდილოეთით-კი მათ იმ დროს ღონიერი მოწინააღმდეგე არ ეგულებოდათ, რათგან საქართველოს ჯერ კიდევ ძალა მთლად მოკრებილი არ ჰქონდა, ამიტომ სომეხთა ენერგია იქითკენ მიისწრაფებოდა, სადაც ნაკლებ წინაღმდეგობას მოელოდნენ.

X საუკ.-ის დასასრულსაც ტაშირი და „ქართველთა ველი“ („Վրաց դաշտ“), ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომეხთ ეჭირათ და დავით გურგენის შვილს ეპყრა. ქ. სამშვილდე მან თავის საჯდომად აქცია და ქ. დმანისიც აიღო. გაგის ციხის მფლობელი დემეტრე მარზპანი, თუმცა გრიგორიანი იყო, მაგრამ მოინათლა და ქართველებს მიემხრო. მისი შვილი ტაშირის „მამფალი“ იყო. დავით გურგენის შვილმა იგი გაგითგან განდევნა, მაგრამ უკვე 1001 წ. თვით დავითიც მის ბიძის სომეხთა მეფის გაგიკის მიერ დამორჩილებული იქმნა (ქართველი ერის ისტ. II, 420—421).

§ 2. ქვემო ქართლის ვითარება და მნიშვნელობა XI—XII საუკუნეებში

ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. თუმცა მართალია თავიანთ მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შეჰქმნეს, რომელთაც სომეხთათვის თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდათ და თვით მოსახლეობაშიაც დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით სომხობა წინანდელთან შედარებით უფრო უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა.

ამიტომაც იყო, რომ XI საუკუნეს ქართველ ისტორიკოს ლეონტი მროველს ქართლის სამზღვრად აღნიშნული აქვს „აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი... სამხრითა მთა, რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა“ (ლ. მროველი, ცხორება მეფეთა“ 97, გვ. 2. ქართველი ერის ისტ. II, 283). მაშასადამე, ტაშირიც, ლორეც, ბოლნის-დბანისის ხეობანიც მას წინანდებურად ქართლის კუთვნილებად და ნაწილად მიაჩნდა.

საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ X საუკუნითგან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებს და ღორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდენ. პირიქით ისინი ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდენ (იხ. ზევით და Brosset, Description gèographique de la Georgie. 148, გვ. 2). ამ ტერმინში უტყუარი დამაჵტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობისდა მიუხედავად თვით ქვეყანას სომხებიც თავისდა-თავად ქართველთა კუთვნილებად ჰთვლიდენ.

XI საუკ.-ის პირველ ნახევრითგან მოყოლებული თანდათან მდგომარეობა იცვლება. მას შემდგომ რაც ბაგრატ III-ემ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საბოლოვოდ გააერთიანა, ქართველობამ წელი გაიმაგრა და საქართველოს მერ-

მინდელი მეფეები ჩვენი ქვეყნის იმ კუთხის მტრისაგან განთავისუფლებას შეუდგენ, რომელიც ჯერ კიდევ უცხო, გარეშე ძალის ხელში შერჩენილი იყო. თბილისის საამირო და სომეხთა მიერ დაპყრობილი მიწები იყო შემოსაერთებელი და XI ს-ში ქართველთა მთელი ძალ-ღონე სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მოეხმარდა.

1032 წ. ლიპარიტ ერისთავმა და იოანე აბასასძემ ბაგრატ IV თანხმობით ტფილისის ამირას ჯაფარს ბირთვისი წაართვეს (ქართველი ერის ისტ. II, 433), ხოლო ცოტა ხნის შემდგომ 1037-8 წ. იმავე ტფილისის ამირას ხელითგან გამოაცალეს ციხეები ორბეთი და ფარცხისი (იქვე 434). ამ გვარად ქართველობა ტფილისს ზურგით მოექცა და იქითგან ტფილისის მაჰმადიან ამირებს სამხრეთის დანარჩენ მაჰმადიანობასთან კავშირი მოუსპო და გზები შეუკრა.

უფრო სამხრეთით სომეხთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა იწყობოდა. აქ, 1065 წ. სამშვილდეში „სომეხთა მეფედ" კვირიკე იჯდა, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. მას ემორჩილებოდენ „ორნი ერისთავნი": „ლოკის ერისთავი და კაქაჭარისა", რომელთა ხელთ იყვნენ ოფრეთისა, ქობა(ირ)ისა და ვარზაქარის ციხეები. ბაგრატ IV-მ კვირიკე მეფე ქუეშის ჯალას დააჭერინა, და თუმცა სომეხთა ერისთავები სამსავე ციხეს აძლევდენ, მაგრამ „შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა" და ამიტომ სამშვილდის მეტი არა ჩამოურთმევია რა. სამაგიეროდ საქართველოს მეფის მონებდეს სომეხნი" (ქართველ ერის ისტორია, II, 449).

ამგვარად ამ „სომხითის" დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენი საქართველოს მოხარკედ იქცნენ.

ამის შემდგომ თვით ტფილისიც კვლავინდებურად საქართველოს მეფეს დაემორჩილა. 1068 წელს ბაგრატ IV ტფილისის ამირობა სითილ არაბს უწყალობა, მაგრამ თავის მოხარკედ გახადა და სხვა ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა (ქართველ ერის ისტ. II, 455).

სელჩუკიან თურქთა შემოსევამ კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიაც გიორგი II-ის მეფობაში გარეშე ძალის მიერ დაპყრობილი ქვემო ქართლის კუთხის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა: თურქობა კვლავ ტფილისს, სამშვილდეს, აგარათ, რუსთავს დაეპატრონა. მათვე დაიპყრეს მთელი „სომხითიც" (ქართველ ერის ისტ. II, 447—453). იმის შემდგომ ქართლის სამხრეთს ნაწილში „სომხითის" მეფობის არსებობაც მოისპო. ამიტომ როდესაც დავით აღმაშენებელმა 1110 წ. ძერნა და სამშვილდე კვლავ დაუბრუნა საქართველოს (იქვე 511), ხოლო ამის შემდგომ თავზარდაცემულმა თურქებმა უბრძოლველად დასცალეს „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი" (იქვე 512), 1198 წელს-კი მან მტერს ციხე ლორე და აგარანი წაართვა (იქვე 514), ეს უკვე ქართლის სამხრეთის ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება-კი არ იყო, — მაშინ ხომ „სომხითი" ვითარცა პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა, — არამედ სელჩუკიან თურქთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა. ამიერითგან მოყოლებული მთელი ეს კუთხე, ქართველის სამხრეთი ნაწილი, და თვით „სომხითი"-ც საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომხებს არას დროს აღარა სჭირიათ.

ძველ დროსაც რომ ქართველებს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის ე. წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდენ, ეს იქითგანაც სჩანს, რომ

საქართველოს მეფეებმა ჯერ მიზნად ამ კუთხის უცხო ძალისგან განთავისუფლება დაისახეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართველთა ხელში იყო, თვით საქართველოს დედაქალაქის შემოერთებას შეუდგნ. თვით ტფილისის აღების შემდგომაც „სომხითს" საქართველოს მთავრობის თვალში თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ „სომხითის ციხე ლორე" საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „საჯდომა"-დ ანუ რეზიდენციად ითვლებოდა, უეჭველია იმ აზრით, რომ აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრისაგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფხიზლად ეჭირებოდა თვალი სახელმწიფოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე.

§ 3. საქართველოს ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის

დავით აღმაშენებელის (1089—1125 წ.) მეფობითგან მოყოლებული საქართველო იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი ზრდა შეუჩერებლივ წინ მიდიოდა XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდის. ვითარცა ერთად-ერთი ძლევამოსილი საქრისტიანო სახელმწიფო მცირე აზიაში, საქართველო მაჰმადიანთა მონობაში მყოფ სხვადასხვა ქრისტიან ერების მფარველად და მხსნელად იყო. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში და შევიწროებული იყო სომხის ერი, რომელიც ამიერკავკასიაში რამოდენსამე მაჰმადიანს სახელმწიფოს შორის განაწილებული და იმდენსავე სულტანის ან მთავრის (შირვანშის, არმენშაჰის, კარის ამირას, რუმის სულტანის და სხვათა) თვითნებობას ემორჩილებოდა. მაშინ სომეხნი პირადადაც შევიწროებულნი იყვნენ და მათი სარწმუნოებრივი და ეროვნული გრძნობაც იმდენად შელახული იყო, რომ მათი საუკეთესო სალოცავი კათოლიკე ეკლესია ანისში მიზგითად იყო გადაკეთებული (მათე ურჰაელის ისტ. 451—445 და ვარდანის მსოფლიო ისტ. 156—157 და ქართველ ერის ისტ. II, 526—527), ხოლო წირვის დარეკვის უფლებაც არა ჰქონდათ.

ამიტომაც იყო რომ სომხობა ასეთი სიხარულით ეგებებოდა საქართველოს სამხრეთისაკენ ძლევამოსილს წინსვლას. ქართველთა ბატონებას მათთვის ფიზიკური განადგურებისაგან და მაჰმადიან მმართველთა აუტანელი და თავმოყვარეობის შემლახველი ძალმომრეობისაგან ხსნა მოჰქონდა.

სწორედ ამ დროს, დავით აღმაშენებელის, დიმიტრი I, გიორგი III, და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში აზრუმის სულტანს მოახრევინა ქედი, ხოლო სპარსეთში ქ. ყაზმინამდე და გურგანამდე მოაღწია, შავი ზღვითგან კასპის ზღვამდე იყო გადაჭიმული, სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ქ. ანისის კულტურული და მოქალაქეობრივი უაღრესი აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დროს იყო. უეჭველია, საქართველოს ძლევამოსილმა წინსვლამ სამხრეთისაკენ სომეხთა ერს საუკეთესო საშუალება მისცა თავისი ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინა და მომავალ განსაცდელის საბრძოლველადაც მოღონიერებულიყო.

§ 4. ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის და სამხრეთის საზღვრები XVI—XVIII საუკუნეში

შემდეგში როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძლურდა და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი საზღვრებიც XII საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, ქვემო ქართლს ანუ ლორე-ტაშირ-„სომხითს" საქართველოსთვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უაღრესი მნიშვნელობა უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით „მეწინავე დროშა"-დ იწოდებოდა: ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთითგან შემოსეულს მტერს უნდა დახვედროდა და სწორედ ამ მიწაწყალზე უნდა გაეწია ქართველ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა.

საქართველოს მტრებსაც ამ ქვეყნის უდიდესი მნიშვნელობა მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული. მათ ესმოდათ, რომ მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისში შემყვანელ კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა. აკი საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰაბაზმა გიორგი მეფეს მოსთხოვა: „ჯერ-არს რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდუჯის მდინარით"-ო. მაშინ ბერდუჯის მდინარე საზღვარი იყო ქართლის სამეფოსი და ძალზე შეწუხდა, „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა". ჯილდოს შენგან მოველოდდი და არა წართმევას „მიხმასა საზღვართა ჩემთასა"-ო. მაგრამ შაჰაბაზმა იცოდა რასაც თხოულობდა და სწორედ იმიტომაც მისი სურვილი შეუდრეკელი იყო (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ჰიჯ. 52). სახელოვანი ქართველი მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამ გარემოების შესახებ ამბობდა: ეს ქვეყანა „შაჰ-აბაზ ამისის განზრახვით მიიღო რამეთუ „მექმნებისო შესავალ-გასავალი ქართლსა შინა"-ო (გეოგრაფია 140—142). სწორედ ეს გარემოება იყო და არის, რომ საქართველოს მტრებს ეს კუთხე ასე იზიდავდა და ყურადღებას იპყრობდა.

იგივე გარემოება მეორეს მხრით თვით საქართველოს მმართველ წრეებს და ერს საქართველოს ამ მართლადაც „მეწინავე დროშისა" და სამხრეთის ერთადერთ საფარის დარაჯად ხდიდა და თუმცა სპარსეთის ბრძანებელიც, ოსმალეთის ფაშებიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდენ, მაგრამ ქართველობას ამ ქვეყნის შესანარჩუნებლად თვისი სიცოცხლე არ დაუზოგია.

და ამიტომაც იყო, რომ მან გაიმარჯვა: თვით აღმ. საქართველოს დაკნინების დროსაც-კი, ვახტანგ VI მეფობაში და XVIII ს-ის პირველ ნახევარშიაც, ქართლის სამეფოს საზღვარი სამხრეთით იყო იქვე, სადაც თავდაპირველად, წერილობით ცნობებს გარდა ამას ის საქართველოს 1743 წ. რუკაც ამტკიცებს, რომელიც ინახება რუსეთის მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში №-ით 505 «Иверская Земля»[1].

ერეკლე მეფის დროსაც, თუნდა 1783 წ., როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით საზღვარი და მთელი ქვენა-ქართლი, ანუ **სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალუ საქართველოს უცილობელს საკუთრებას შე-**

---

[1] «Копировалъ ее в Москве въ месяце июле 1743 г. полевой артиллерiи каптенармусъ Даника Гем...» გვარი სრულად არ იკითხება (იხ. ლედნის ფოტოგ. პირი და С. Н. Бурнашевъ. Новая Мат. для жизнеописанiя и деятельности С. Д. Бурнашева. СПБ. 1901, გვ. IV).

ადგენდა და კვლავინდებურად სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენაც მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდენ. ეს შეურყევლად მტკიცდება საქართველოში იმ დროს მყოფ რუსეთის ელჩის ბურნაშევის, როგორც წერილობით აღწერილობითგან (იხ. Картина Грузіи, полн. описаніе etc. გვ. 2), რომელიც მის მიერ 1786 წ. არის შედგენილი, ისევე და უფრო თვალსაჩინოდ მის მიერვე 1784 წ. დახატული საქართველოს საერთო რუკითგან, სადაც სამზღვარი წითლად არის შემოხაზული (იხ. С. Н. Бурнашевъ-ის Новые Мат. რუკა მეორე).

დასასრულ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრედ წოდებული „სომხითი“, ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი და შამშადილო საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაგელიც მასვე ეკუთვნოდა (Дубровинъ. Истор. I, ტ. III, 381—382).

განმსაზღვრელ ხაზის მდებარეობის გამოსარკვევად მკაფიო ცნობები ვახუშტსა აქვს მოყვანილი. მისი სიტყვით „სომხით-ერევნისა და ამისი (ე. ი. ბაბაკის) გამყოფელ არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი... რომელი წარვლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე მივალს. მთისა ამის სამხრით კერძი სომხით-ერევნისა არის, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა... ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამხრით და მიადგების წინ-თქმულსა ერევნის მთას. აღმოსავლეთის კერძი მთისა ამის რანისა და დასავლეთით კერძი არს ბერდუჯისა“ (ვახუშტი. გეოგრაფია 140).

ამ სიტყვებითგან სჩანს, რომ ვახუშტი ორ მთას ასახელებს საქართველოს სამხრეთით: ერთს, რომელიც დიდი და მაღალია იმდენად, რომ მარადის — თოვლიანად მიაჩნდა, დასავლეთით არტაანამდის აღწევს, აღმოსავლეთით კი რანსა და გელაქუნს შუა გადის და რახსამდე მიდის, ერევნის მთა ჰრქმევია. ხოლო მეორე მთა პატარა ყოფილა და როგორც ეტყობა ორ ტოტად იყოფოდა ისე, რომ ვახუშტის სიტყვით ეს მთა „ძეს ჩრდილოეთით და სამხრით“. ამასთანავე იგი თითქოს ერევნის მთის შტოდ გამოდის და მას „მოადგების“-ო. ამ მთას ბერდუჯის მთა ჰრქმევია.

ამ ტექსტის ფრანგულს თარგმანში აკად. მ. ბროსსეს შენიშვნაში აღნიშნული აქვს, ვითომც იგი რუსულს ბეზობდალის მთას უდრიდეს (გეოგ. 141 შენ. I). მაგრამ საკმარისი იყო ბროსსეს თავის გამოცემული ვახუშტის მიერ დახატული რუკა აეღო, სადაც ქვემო-ქართლია (№ 2. Gèorgie au s. du Kour) და იქ ჩაეხედა, რომ მაშინვე დარწმუნებულიყო, რამდენად შემცდარი იყო მისი ზემოაღნიშნული აზრი. იქ სახელდობრ ერევნის მთა მდ. ბამბაკის სამხრეთით არის დახატული. მაშასადამე ცხადია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვახუშტის ერევნის მთები რუსთა საგეოგრაფიო სახელს ბეზობდალის მთებს უდრიდეს იმიტომ, რომ ეხლანდელი ბეზობდალის მთები ბამბაკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. იგივე გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ვახუშტის „ერევნის მთები“ აწინდელს რუსულს რუკაზე აღნიშნულს „ბამბაკის მთებს“ უდრიდეს, რომელთა მიმდინარეობაც აღმოსავლეთით მართლაც ისეთია, როგორც ვახუშტს აქვს აღწერილი, და გელაქუნის ანუ გოგჩის ტბის ჩრდილოეთით უვლის.

ვახუშტის იგივე რუკა ამტკიცებს, რომ ბერდუჯის მთები უნდა მდ. ბერდუჯის ანუ დებედას, რომელსაც ამ ადგილას რუსები კამენკას უწოდებენ, სამხრეთით

მდებარედ ვიგულისხმოთ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ვახუშტის ბერდუჯის მთა უნდა რუსების მეზობდალის მთებს უდრიდეს.

ამგვარად ირკვევა, რომ საქართველოს სამხრეთით (სომხეთისაგან) ერევნის სახანოსაგან გამყოფელ ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა, რომელთაც ეხლა „ბამბაკის მთები" ეწოდება. ამ დასკვნის სიმართლეს მოსკოვში 1743 წ. დახატული რუსულ-ქართული რუკაც ადასტურებს. რათგან ამ რუკაზეც საქართველოს სამხრეთის საზღვარი ბამბაკის მდინარის სამხრეთით არის გახაზული. ბურნაშევის მიერ 1784 წ.-ს შედგენილი საქართველოს რუკაც ამასვე ამტკიცებს: იქაც ეს სამზღვარი მდ. ბამბაკის კარგა სამხრეთით ხატია. მაშასადამე, XVII ს.-ის დასასრულსაც, საქართველოს რუსეთთან 1783 ხელშეკრულობის დადების ჟამსაც საქართველოს სამხრეთის სამზღვრად კვლავინდებურად ერევნის ანუ როგორც ეხლაა მიღებული, „ბამბაკის მთები" ყოფილა.

§ 5. ქვემო-ქართლის უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოსთვის

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქვემო-ქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით-კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მაშინაც მთელი თავისი მდებარეობით და გზებით, მთელი თავისი ქონებრივი ძალღონითაც. ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და ალმ. საქართველო მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებითგან სჩანს, რომ ტფილისი სამხრეთითგან, სომხით-ბორჩალოთგან შემოსულ სურსათით იკვებებოდა. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. თუმცა ალმოს. საქართველოს სხვა და სხვა ადგილას ოქროსი და ვერცხლისა, უფრო-კი სპილენძის, მადნები ჰქონდა, განსაკუთრებით მაინც მადნეულობა იმ მთებში მოიპოვება უხვად, საქართველოს რომ ერევნისაგან ჰსაზღვრავენ (ბურნაშევ Картина 2).

ქვემო-ქართლში, ან. ე. წ. „სომხით"-ში მდებარე ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის მაღაროების საქართველოს ეკონომიურ კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ვახტანგ VI-ეს და ერეკლე მეფეს, რომელთაც არაფერი დაუზოგიათ, რომ დროთა ვითარების გამო მიტოვებული და მივიწყებული სამთამადნო საქმე კვლავ განახლებულიყო და გაცხოველებულიყო.

ეს მადნები საქართველოს სახელმწიფოს ფულის მოსაჭრელ ლითონსაც აძლევდენ, —ამით სჭრიდენ მეფეები ქართულ ფულს, —და ამასგარდა წმინდა შემოსავალსაც, რომელსაც მეფეები ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრისაგან დაცვას ახმარებდენ. ნ. ბუტკოვს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს 1778 წ. ერეკლე მეფემაც თავის სახელმწიფოს ყოველ-წლიური შემოსავალი გააძლიერა ახტალაში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა და რკინის მადნეულობით, რომ მან ამ მადნების დასამუშავებლად ბერძნები გამოიწერა და შემოსავლით ნაქირავებ ჯარს ინახავდა საქართველოს დასაცავად (Матеріалы для исторіи Кавказа, I, 337).

საქართველოს მეფეების მზრუნველობა ქვამადნის განვითარებაზე რომ ბრძნული იყო და ანგარიშში არ მოტყუებულან, ამას ის მრავალმეტყველი გარემოებაც ამტკიცებს, რომ ერეკლეს მეფობის უკანასკნელ წლებშიაც-კი, XVIII ს.-ის დასასრულს, მადნის მაღაროების წმინდა შემოსავალი სახელმწიფოს ყოველწლიურს

ოქროსა და ვერცხლის ფულად შემოსავლის ერთს მეოთხედს უდრიდა: 400.000 მინ.-ში (ბურნაშევი Картина 5) 100000 მინ.-მდე მაღნების წმინდა შემოსავალი იყო.

§ 6. ამ კუთხის მოსახლეობის ბედ-იღბალი XVII—XVIII ს.ს. და სომეხთა გადასახლება

თვით ქვემო-ქართლის სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ვითარცა საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანს ქვეყანასა და „მეწინავე სადროშოს", მას ხშირად ბრძოლისა და მტრის თავდასხმის ასპარეზად ხდიდა და ამის გამო მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არა ერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდეც. უფრო ძველ დროსაც რომ თავი დავანებოთ, მარტო შაჰაბაზის შემოსევამაც ამ მხრივ დიდი ზიანი მოუტანა. ამას გარდა, სპარსეთის შაჰებს რომ საქართველოში მუდამ ერთგული წინამავალნნი და მომხრენი ჰყოლოდენ, შაჰაბაზმა აქ თურქთა ელი ბორჩალუ ჩაასახლა. თანდათანობით ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანებიც გაჩდენ (ვახუშტი 70). ხშირი სამხედრო მოქმედების გამო ეს ქვემო-ქართლი, „თრიალეთი, ტაშირი და აბოცი" მთლად აოხრებული იყო: იქ „კაცნი არღარა იყუნენ" და მხოლოდ ვახტანგ V-ემ კვლავ დაასახლა იგი (იქვე 82).

თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა, XVI—XVIII საუკუნეში შეწუხებული იყო გარეშე მტრისაგან, ადვილი წარმოსადგენია რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელსაც XI ს-ითგან მოყოლებული საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებული იყო და XVI ს-ითგან მოყოლებული ხომ სახანოების ქვეშევრდომებად ითვლებოდა. აუტანელ მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა, მამაპაპეულს მიწაწყალს სტოვებდა და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს. საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სიდაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, — საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, — და თანაც საქართველოში შემოხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ. ამიტომ იყო რომ დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდენ, ჩვენში ეძებდენ და პოულობდენ კიდეც თავიანთვის თავშესაფარს.

სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდენ ხოლმე სწორედ ქვემო-ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა ე. წ. სომხითში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან. ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ „სომხით"-ში ვახტანგ VI დროს „მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა"-ო (გეოგრაფია 146). ტაშირის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ იქ „მსასლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი... და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელჩოხიანნი აჟერად-უშვერად, გარნა არიან პაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი"-ო (იქვე 148).

მაგრამ არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შერჩენილა აქ დიდ ხანს. თურქების შემოსევის დროითგან მოყოლებული, XVIII ს-ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა (ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება 122, 137, 139, 140. პ. ორბელიანი).

ამ ხნის განმავლობაში ეს საქართველოს სამხრეთის კუთხე ისე აოხრდა და გაუკაცრიელდა, რომ 1760 წ.-ისათვის როგორც რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილს აღწერილობაში ერეკლე მეფე სხვათა შორის ამბობს, მოსახლეობის 1—2%-ზე მეტი შერჩენილი არ იყო.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ამგვარ აოხრებისა და ხალხის გადასახლების წყალობით სომეხთა მოსახლეობა თვით მათს მკვიდრს მიწა-წყალზეც ისე შემცირდა, რომ ერევნის სახანოში ითვლებოდა 3000 სახლობა, ნახჭავანში 500, ყარაბაღში 7000. ყარადაღში 300, განჯაში 1500. დანარჩენნი მათ სამშობლოში აღარა სცხოვრობდენ. დარუბანდში 1000, მარაღაში 2000, ხოიში 1000 სახლობა ითვლებოდა (ნ. ბუტკოვი. Матеріалы II, 142). ამგვარად სომეხთა რიცხვის ჯამი მთელს ამიერკავკასიაში 17000 ოჯახობას უდრიდა.

§ 7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი XVIII—XIX ს.-ში

ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოხიზნის ხასიათი, როგორც ეხლა ირკვევა, თვალსაჩინოდ იცვლება: თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, XVIII საუკ.-ის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო. თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, ამიერითგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდენ და მათის დახმარებით ცდილობდენ საქართველოში თავიანთ საქმის გაკეთებას. როდესაც სომხებმა შეიტყეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულობასა სდებდა და რუსეთის კავშირსა და მფარველობას ეძებდა, ჯერ კიდევ ხელშეკრულობა დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს შედგენილი თხოვნა მიართვეს, რომელშიაც ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები რუსეთის სამეფო სახლობას ერთგულებას უცხადებდენ და თანაც უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას სთხოვდენ. რუსეთის მთავრობას ეს რასაკვირველია მოეწონა და მან გადასწყვიტა მეფე ერეკლეს დახმარებით შუშის ხანი დაემხო და ყარაბაღითგანა და ყარადაღითგან ერთი სომხური ოლქი (областы) შეედგინა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამ ოლქის მართვა-გამგეობა სომეხთა თანამემამულეს უნდა ჩაჰბარებოდა და კარგად უნდა მოწყობილიყო, რომ დანარჩენ სომხების ოლქებსაც ყარაბაღელ სომხებისათვის მიებაძათ და მათთან შეერთებულიყვნენ. ამ გზით რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ აზიაში საქრისტიანო სახელმწიფოს აღორძინებდა (Н. Бутковъ. Матеріалы II, 142).

ეს უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაა, რომელიც თითქოს სომეხთა საკეთილდღეოდ იყო შედგენილი, მაგრამ რომლის განხორციელებაც რუსეთს ამიერკავკასიაში მტკიცედ ფეხს მოაკიდინებდა. საქრისტიანო სომხურ სახელმწიფოს

ალორძინება სომეხთა გულითადი ნატვრა იყო და უეჭველია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ სწორედ მათ მისაზიდავად და აღსაფრთოვანებლად იყო ამ გეგმაში ეს აზრი შეტანილი.

ამიერითგან მოყოლებული უცნაური მდგომარეობა შეიქმნა: სომხები ორმაგს კავშირს იჭერდენ: ერთის მხრით საქართველოსთან, მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი, და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდენ, იმავე დროს, მეორე მხრით-კი იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს იკეთებდენ.

როგორც არა ერთხელ ეს ქართველებსაც შემთხვევიათ, სომხებმაც პირადად გამოსცადეს, რამდენად სახიფათო იყო რუსეთის დახმარების მოიმედეობა: რუსეთმა რომ ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულებისდა მიუხედავად საქართველოთგან მეშველი ჯარი მთლად გაიყვანა და ჩვენი ქვეყანა გააფთრებულ მტრების პირის-პირ დასტოვა, ამის საბედისწერო შედეგი მარტო საქართველომ-კი არ იგრძნო, არამედ სომხებმაც და თვით ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ ხანმაც. აღამაჰმედ ხანის შემოსევის დროს ყარაბაღის ხანი იძულებული იყო ყველა სომხებისათვის, ვისაცა-კი იარაღის ხმარების უნარი არ ჰქონდა ან ციხეში არ დაეტივნენ, მეზობელთა სამფლობელოებში საქართველოში გახიზნვის ნება მიეცა იმ იმედით, რომ როცა ქარიშხალი დაწყნარდებოდა ისევ უკან დაებრუნებინა, მაგრამ არამც თუ გახიზნული სომხები ყარაბაღში აღარ დაბრუნებულან, სხვებმაც-კი მათ მიჰბაძეს: თავიანთ მელიქების წინამძღოლობით აიყარნენ და ზოგი განჯაში, ზოგი კიდევ ისევ საქართველოში გადასახლდენ (იხ. Записка Ковалєнскаго о Грузіи АКАГК т. I, გვ. 120).

იმ დროს, როდესაც ერთი მხრით სომეხთა კათალიკოზმა ლუკამ საქართველოს ასაოხრებლად 1795 წ. მომავალს სპარსეთის შაჰს აღამაჰმედხანს, ალბათ შიშით, „სამხედრო ხარჯების დასაფარავად“ 100.000 მ. მისცა, მეორეს მხრით და იმავე დროს შეძლებული სომხები ყარაბაღითგან, ერევნითგან, ნახჭავნითგან და სხვა ადგილებითგან მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად საქართველოში გამორბოდენ და იქ ბამბაკის ხეობაში იხიზნებოდენ იმ იმედით, რომ აღამაჰმედხანი საქართველოში შესევას ვერ გაბედავდა (Бутковъ. Матеріалы II, 337).

ტფილისის აოხრების შემდგომაც მელიქები აბოვი და მეჯლუმი თავის ყმებიანად ისევ ერეკლე მეფეს შეეხვეწნენ და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს (АКАГК т. I, 113 და 134): ერეკლე მეფემ მელიქ-აბოვის ვედრება შეისმინა, ს. ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა ვალად დააკისრა (იქვე I, 116 შენ.).

დანარჩენმა სომეხმა მელიქებმა სხვა გზა ირჩიეს: მელიქების ჯიმშედისა და ფრიდონის მეთაურობით საქართველოს მეფეს ზურგი აუქციეს და პირდაპირ რუსეთის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე, წავიდენ და ხუთივე სომეხ მელიქის სახელით რუსთ ხელმწიფეს იდუმალი თხოვნა მიართვეს, თქვენ ქვეშევრდომებად და მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო. ამასთანავე ისინი თხოულობდენ, რომ მათ რუსთ ხელმწიფესაგან, ან რუსეთში შეხიზვნის, ან იმავე პირობით საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ (იქვე I, 123 და 134).

უეჭველია ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის წყალობით სომხები თავიანთვის საქართველოში აუცი-

ლებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდენ, მადლობის მაგიერ-კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება უსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს.

როგორც ეტყობა სომეხი მელიქები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ, რათგან დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ მიზანს მიაღწევდენ.

მართლაც, რუსეთმა ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და, თუმცა ეს დადებული ხელშეკრულობის დარღვევა იყო, მაგრამ მაინც რუსთ ხელმწიფეს მათთვის სხვის სახელმწიფოში დასახლების ნებართვა მიუცია. ასე იყო ეს საქმე მოწყობილი ფარულად. ოფიციალურად კი რუსეთის ელჩს საქართველოში დავალებული ჰქონდა, რომ ის საქართველოს მეფესთან ცდილიყო და სომეხ მელიქებისა და მათ ყმებისათვის დასასახლებელი მიწები განსაკუთრებით შეღავათიან პირობით დაეთმებინებინა. მიწერილობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩს უნდა ჩაეგონებინა მეფისთვის, ვითომცდა რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში თვით საქართველოს საკეთილდღეოდ ცდილობდა (იხ. Инстр. изъ Госуд. Кол. Иност. делъ Коваленскому. АКАГК. Т. I, 94 § 10).

ყველამ კარგად იცის, რომ დიდ „მფარველ" სახელმწიფოს თხოვნა პატარასთვის იძულებას უდრის. ამის წყალობით სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების უერთგულესი წინამძღალი რაზმი გაიჩინეს. ერეკლე მეფემ დაასახლა ისინი ზოგი თელავში, ზოგი სიღნაღში.

ქვემო ქართლში ე. წ. სომხითში და ლორეში მელიქ აბოს გარდა არავინ დასახლებულა. ის მაშინაც, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-9 წლებში, როდესაც ოსმალეთითგან 100000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთითგან 30000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი კიდევ ერევნის გუბერნიაში დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა (ივანენკო Исторія гражд. упр. და Шахатунянъ Админ. перед. 168—179).

§ 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით

ამგვარად ორი გარემოება სრულებით ცხადი: ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენი სომხები იმ სომეხთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც საქართველოს ამ კუთხის სომეხთა მიერ ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ მოტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებთა შორის გაჩნდენ, არც იმ სომეხთა მემკვიდრენი არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამოშვებით სახლდებოდენ (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალ გზის შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), — მეორეც ის, რომ სომეხ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი

არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკურ გეგმის წყალობით მათი უცხოეთითგან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი.

ამ ხელოვნურ ხელშემწყობ პირობებისდა მიუხედავად სომხები მაინც მცხოვრებთა შორის აბსოლუტურ სიმრავლეს კი არ შეადგენენ, არამედ მხოლოდ შედარებით. 1897 წ.-ის საყოველთაო აღწერის თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 128 587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48609, თურქ-თათრები 37609, ბერძნები 21347 და ქართველები 6685 (იხ. აგრეთვე А. Шахатуняпъ. Адм. пер. 72).

საგულისხმიეროა და დამახასიათებელი, რომ საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური განახლება და დამოუკიდებლობის აღდგენა ამ ჟამადაც სომეხთა იერიშით და ომით დაიწყო ისევ საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე მდებარე ქვეყნის ქვემო ქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ წოდებულია, ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად.

ზემოთქმული ვრცელი მიმოხილვის შემდგომ, რომელშიაც აღნუსხული იყო საუკუნეთა განმაელობაში საქართველოს ამ კუთხის მდგომარეობა, დასკვნა ძნელი არ არის. თავისდა-თავად ცხადია, სომეხთა უკანასკნელი დასახლება ქვემოქართლში საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილების მდგომარეობას ვერც ერთის მხრით ვერ შესცვლიდა. რუსეთთან 1783 წ. დადებული ხელშეკრულების ძალითაც და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს რეალური მფლობელობითაც პოლიტიკურად იგი საქართველოს უცილობელი კუთვნილება იყო. ხოლო რუსეთთან შეკრულ კავშირსა და მფარველობის ერთად-ერთი მიზანი საქართველოსთვის ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლისა და დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა შეადგენდა. ეს დებულება თვით ხელშეკრულებაშიც არის შეტანილი და იქ მეორე მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე თავდებობას კისრულობს, რომ მეფე-ერეკლეს მაშინდელი სამფლობელოს ანუ სამეფოს მთლიანობა და ხელშეუხებლობა დაცული იქნებოდა (Е. В. дастъ Императорское свое ручательство на сохраненіе целости настоящихъ владеній Е. С. Царя Ираклія Теймуразовича).

მაშასადამე, როდესაც რუსეთის მთავრობა ამ ქვემო ქართლში სომხებს დასახლების ნებას აძლევდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების მოვლენა ყოფილიყო და თვით საქართველო და ქართველობა ამ გარემოებას ვერას გზით მის მიწა-წყლის სახელმწიფოებრივ სამზღვრების შემცვლელ გარემოებად ვერ ჩასთვლის მით უმეტეს, რომ სომეხთა სამშობლოთგან აყრა და საქართველოში გადმოსახლება მათი ოსმალეთისა და სპარსეთს მიერ დევნის შედეგი იყო და ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილდღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

რაკი სომეხთა დასახლებით ქვემო-ქართლში, ბორჩალოს მაზრაში, იმ კუთხის გეოგრაფიული თვისებებიც, თავის-თავად ცხადია, არ შეიცვლებოდა, — საუკეთესო გზებიც ტოპოგრაფიული პირობების გამო ტფილისისაკენ არის მიმართული და ამის გამო ეს მხარე წინანდებურად დანარჩენ საქართველოსთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული, ამიტომ ეკონომიურ დამოკიდებულების ვითარებაც მისი და ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ადგილებს შორის არ შეცვლილა, — ძველებურად ეხლაც ეს კუთხე საქართველოსთან არის დაკავშირებული. ეს გარემოება ამ კუთხის თვით ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებსაც არა-ერთხელ ხმამაღლა აღუნიშნავთ იმ დროსაც, როდესაც პოლიტიკური საკითხის წამოყენება ჯერ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, იმ დროს, როდესაც კავკასიაში მეფის მოად-

გილედ სომეხთა თავგამოდებულ მომხრეობით ცნობილი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იყო. სომხებმა ისარგებლეს ამ ხელსაყრელ შემთხვევით და ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რომ ამგვარი სრულებით ხელოვნური საშუალებით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ.

სომეხთა სურვილი რომ განხორციელებულიყო ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა ეს საკითხი შეესწავლათ და შესაფერისი მოხსენება დაემზადებინათ. ამიტომ 1913 წელს 6 ნოემბერს და 18 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას მიწერილობა გაუგზავნა, რომ მას მცოდნე პირთა თანადასწრებით ადგილობრივ გამოერკვია, შესაძლებელია თუ არა, რომ ბორჩალოს მაზრა გუმბრს (ალექსანდროპოლს) შეუერთდეს ერთ საგუბერნიო ერობის შესადგენად. ამ სამაზრო კომისიამ, რომელშიაც ერთი რუსი იყო (მომრიგებელ მოსამართლე ბურნაშოვი), 6 სომეხი (გადასახადთა ინსპექტორი ზახარიანცი, შულავერის საზოგადოების წარმომადგენელნი ერიბეკოვი და ვ. მეპრაბოვი, ჯალალოღლის საზოგადოების წარმომადგენელნი ვ. სააკოვი და მ. ბახშინოვი, ბოლნისხაჩინის საზოგადოების წარმომადგენელი ვ. ავეტისოვი), 4 თათარი (მეპტი-აღა-სულთანოვი, ახმედ მირზა მამედ-ოღლი შამილი, აბბას-ოღლი და აბდურახმან გაიბმოვი), 1 გერმანელი (იაკობ ტაუში) და 2 ქართველი (მაზრის უფროსის თანაშემწე ინალიშვილი, გადასახადთა ინსპექტორი ბარათაშვილი), ერთმხრივ დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა სასურველი არ არის („единогласно высказались за нежелательность выделенія Борч. у. изъ состава Тифл. г.“). თავიანთი დასკვნა მათ იმ მოსაზრებით აქვთ დასაბუთებული, რომ ეს მაზრა ალმოსავლეთით და სამხრეთით მთებით არის მორთული და გუმბრისაკენ მიმართული ორი საურმო (ბეზობდალისა და გულიბულახის) გზატკეცილი ზამთარში ნამქერების გამო გაუვალი ხდება, დანარჩენი გარდასავლები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრულია ხოლმე, რომ ეკონომიურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული, იქ ჰყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის რაც რამე დასჭირდება.

ბორჩალოს სამაზრო კომისიის ეს დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიაც 11 რუსი სხვადასხვა მოხელე იღებდა მონაწილეობას გუბერნატორითგან მოყოლებული (ჩერნიავსკი, ს. პანოვი, სმირნოვი, კორვინ-პაველოვსკი, კ. სლავინსკი, მ. შესტაკოვი, ე. ციგანკოვი, მ. მისენკო, ს. პერშკე, იზიუმსკი და ჟდანოვი), 3 ქართველი (კ. აბხაზი, ი. აბხაზი და ტ. ქიქოძე) და 2 სომეხი (კ. იუზბაშევი და ელიმიზროვი), მოიწონა და თითონაც სრულებით მიემხრო (იხ. ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ივ. აბხაზის მოხსენება).

ამ ერთხმივ დასკვნას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში და ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიის სამზღვრებითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების აზრის ამ ერთხმივს უარყოფას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში მით უმეტეს აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ თვით ამ საბჭოების მონაწილეებმა კარგად იცოდენ, რამდენად თანაუგრძნობდენ ამ აზრის განხორციელებას თვით მეფის მოადგილე და მისი თანაშემწე. ამიტომ მოსალოდნელი იყო კიდეც, რომ ისინი კავკასიის უმაღ-

ლეს მთავრობისა და სომეხთა გულისწადილს კვერს დაუკრავდენ. თუ ამისდა მიუხედავად ეს აზრი ერთხმივ უარყოფილი იყო ორჯერვე, ცხადია, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიისგან ჩამოშორება და გუმბრთან შეერთება სრულებით შეუწყნარებელი და ბუნებრივ პირობების მოუხეშავი დარღვევა იქმნებოდა.

V თავი

სამხრეთ-დასავლეთის სამზღვარი

მესხეთი ანუ ზემო ქართლი

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემო-ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ-კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდენ და სწორედ ამ სახელით იქმნება იგი ქვემოთ ნახსენები ხოლმე.

მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთი-აბოცი, არტაან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო.

§ 1. პალაკაციო, ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემო-ქართლის შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა, მაგრამ ხშირად და XVII—XVIII ს. ს.-ში განსაკუთრებით ქვემო-ქართლის სამზღვრებში იყო მოქცეული.

აბოცს ძველად პალაკაციოსაც ეძახდენ, შემდეგში-კი თუნდა მაგ. ვახტანგ VI მეფის დროს, ყაიყული ეწოდებოდა. იგი „გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა" (ვახუშტი. გეოგრაფია 148—150). აბოცს ტაშირისგან იმგვარადვე როგორც ბერდუჯს, ანუ დებედას ბამბაკისაგან „ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარალაჯად წოდებული" (იქვე 148). ამავე უკანასკნელ სახელით არის ეს მთა ეხლაც ცნობილი. მას ჩრდილო-სამხრეთით აქვს მიმართულება, „მდებარებს სამხრიდამ ჩრდილოთ კერძ" (იქვე), მაღალია, „მარადის თოვლიანი და უტყეო და კალთათა ბალახოვანი" (იქვე).

დასავლეთ-სამხრეთით აბოცს სამზღვრად აღაბაბას მთა ჰქონდა, რომელიც ერთის მხრით ტბა „პალაკაციოს (Чалдырское оз.) და აბოცს შორის" მდებარეობდა და ამასთანავე იყო „საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა" (ვახუშტი. გეოგრაფია 150).

ამ აბოცში მდებარეობდა „ყაზანჩი", რომელიც თურმე „იყო ქალაქი მცირე" (იქვე). ორივე სახელი ყაიყულიცა და ყაზანჩიც ვითარცა ნაშთი ეხლაც არის საგეოგრაფიო სახელად შენახული რუკებზე „ყაიყული-ყაზანჩი"-ს სახით სწორედ ყარალაჯის ქედსა და აღაბაბას მთას შორის მდებარე მაღლობ ვაკეზე.

მაშასადამე, აბოცის სამხრეთის სამზღვარი იწყობა იქ, სადაც ირჯანის ანუ ყარალაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია. აქეთგან ხაზი მიდის

ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ ალბაბის მწვერვალამდე, შემდეგ უკვე საკუთრივ მესხეთის სამზღვარი იწყება და იმ ძველად ყარსის მთებად წოდებული მთავარი წყალთგამყოფელი მთების ქედს მისდევს, რომელიც მტკვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფს და რომელნიც ამ ჟამად ჯერ ყარსის გუბერნიის არტაანის ოლქისა და ხოლო მერმე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავლეთს სამზღვარს ჰქმნის. შემდეგ სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელი მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.

§ 2. ტაო-ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და VIII—XII ს.ს.

უძველეს დროს ლაზისტანივით ტაო და ისპირიც ქართველთა ტომს ლაზებს (ხალიბებს) ეკუთვნოდა. მაგრამ II ს. ქ. წ. სომხებმა მათ ტაო წაართვეს და ამის წყალობით აქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა. გაქრისტიანების დროსაც ეს ქვეყანა თითქოს ისევ სომეხთა ხელში უნდა ყოფილიყო. სპარსეთ-ბიზანტიის შორის VI ს. გამწვავებული და ხანგრძლივი ომიანობისა და ხოლერის მსგავსი საშინელი მოარულის მძვინვარების გამო თითქმის მთელს ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით-კი სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, ხალხი თითქმის სრულებით მოისპო (იხ. ქართველი ერის ისტ. II, 320, 327, 333). სხვათა შორის ტაოში ყოფილი შერეული მოსახლეობაც ამოწყდა და თითქმის მთელი ტაო უდაბურ ტყით შეიმოსა. მხოლოდ IX ს.-ში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება: შიდა ქართლითგან ჯერ მეუდაბნოენი და მონაზონები შემოვიდენ და დასახლდენ, ხოლო მათ კვალს მდაბიო ხალხიც გაჰყვა, დაბურული ტყეები გაჩეხა, დასახლდა და ბერებისა და ახალშენთა დაუღალავი შრომის წყალობით ეს ქვეყნები ქართული საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა. IX—XIV ს.ს.-ების ქართული ხელოვნების მრავალი საუცხოვო ძეგლები, რომელთა ნაშთებმა მთელს მესხეთში მრავლად მოაღწია ჩვენამდისაც კი, ამ გარემოების მჭევრმეტყველი დამამტკიცებელი საბუთია. მესხ მოღვაწეთა და მწერლების ენაც საუკეთესო ქართულად ითვლებოდა.

§ 3. მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედიღბალი XIII—XVIII ს. და მისი გამაჰმადიანება

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი სამცხე-ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. XIII ს.-ის მეორე ნახევარში მესხეთის მთავარის განსაგებელი იწყობოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდის აღწევდა (ჟამთააღ.* 375, გვ. 719). XIII ს.-ის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულის ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, მაგრამ შემდეგში იგი საქართველოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთავარს, შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წ. სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა (ვახუშტი. საქართ. ცხოვრება 241).

ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო. საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფას და მშვენიერ ნაწილის ჩაყლაპვას

ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა. ჯერ უმაღლეს წრითგან დაიწყო, შემდეგ ხანგრძლივ ბრძოლის საშუალებით მაჰმადიანობა თვით ხალხშიც გაავრცელეს.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი (ვახუშტი. საქართველოს ც-ა 254—247) და მთელს XVIII და XIX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. წინანდელი დამოუკიდებლობისა და ქართველობის ხსენებაც-კი რომ მოესპოთ, ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშა"-დ გახადეს, მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობითი კუთვნილებად დასტოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქა. ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კელავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფებოდა. თვითეულს თემს ანუ სანჯაყს სათავეში მემკვიდრეობითი მფლობელები სანჯაყბეგები უდგნენ.

§ 4. უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის XVIII ს.

ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველო ასეთი კუთხის დაკარგვას და ამოდენი მოძმე ქართველობის მოწყვეტას ისე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. უფრო ძველ დროითგანაც რომ არ დავიწყოთ, ისიც საკმარისი იქნებოდა, თუ გავიხსენებდით, რომ XVIII ს.-შიაც, მაგ. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის დროს, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ახალციხის ფაშებთან, რომელთაც მაჰმადიანობისდა მიუხედავად თავიანთი ქართველობა დავიწყებული არ ჰქონდათ, ერთის მხრით განსაკუთრებით კეთილი მეზობლური კავშირი ჰქონოდათ, — და ეს ცდა უნაყოფო არ ყოფილა (Бурнашевъ. Картина Грузіи 14 და Н. Бутковъ. Матеріалы II, 141—142), — მეორე მხრით ყოველ ხელსაყრელ შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავიანთი უფლება მესხეთზე ანუ ახალციხის საფაშოზე გამოეაშკარავებინათ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მეფეები თავიანთ თავს სამეფო სახელწოდებაში ასე ხაზ-გასმით ამ ქვეყნის მემკვიდრეობითი მფლობელად აცხადებდენ (იხ. Бурнашев-ის op. cit. 14 და Н. Бутковъ, Матеріалы II, 130). ამავე მიზნის მისაღწევად, სრულიად საქართველოს გაერთიანების განხორციელების ხელშემწყობ პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით-კი სწორედ ამ ძველ ქვემო ქართლის, ახალციხის საფაშოს, საქართველოსთან შემოსაერთებლად იყო სხვათა შორის 1783 წ. ხელშეკრულება ერეკლე მეფისა და ეკატერინე II შორის დადებული. ერეკლე მეფის წარმომადგენლებმა ამ ხელშეკრულებაში მეორე მუხლად შეატანინეს, რომ რუსეთის ხელმწიფე არამცთუ ერეკლე მეფის მაშინდელ სამეფოს სამფლობელოს ხელშეუხებლობის თავდებობას კისრულობდა, არამედ ისეთისაც, რომელიც შემდეგში შეძენილი იქნებოდა. და რომ ეს მუხლი სწორედ იმ აზრით იყო ჩართული ხელშეკრულებაში, ამას იმდროინდელი რუსეთის ერთ-ერთ წარმომადგენლის ნ. ბუტკოვის სიტყვებიც ცხად-ყოფენ. მას პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ამ „მეორე მუხლის შინაარსი სწორედ საქართველოს მეფეთა ძველ სამფლობელოს, ახალციხის საფაშოს, ანუ სამცხო-საათაბაგოს ეხებოდა"-ო (Н.

Бутковъ. Матеріалы II, 142*). სწორედ ასე გაიგო ამ ხელშეკრულების შინაარსი იმდროინდელმა ახალციხის ფაშამ და რაკი დარწმუნდა, რომ საქართველოს მეფისაგან მის ფაშობას განსაცდელი მოელის, ამიტომ რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდგომ მეფე ერეკლეს გადაეკიდა და მტრობა დაუწყო (Н. Бутковъ. Матеріалы, II 142).

§ 5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი. სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში

როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი, ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა და მხოლოდ 1828 წ.-ს დაპყრობილ იქნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი. ანდრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24-თიგან მხოლოდ 10 სანჯაყი: ქობლიანისა, ოძრხისა (აბასთუმანისა), ახალციხისა, აწყვერისა, ასპინძისა, ხერთვისისა, ახალქალაქისა, ჯარაქისა, ფოცხოვისა და პალაკაციოსი (ჩალდირისა), რაც ძველს სამცხეს, ჯავახეთს, პლაკაციოს და ერუშეთს უდრის. ეს მხარე რუსთა მიერ შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1877—78 წ. ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა—არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. აქეთგან სამი პირველი თემი, ანუ სანჯაყი ბათუმის ოლქად იქმნა წოდებული, ხოლო ერუშეთი, ერტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია, თუმცა ერუშეთი (= ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7—8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია ახალციხეში იცხოვროს.

მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანები ცხოვრობდენ (Иваненко. Исторія гражданскаго управ. на Кавказе 265, 260). რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან (= ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (=ახალციხის მაზ.). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, და ამ საბუთების ძალით თავიანთ უფლების აღდგენას თხოულობდენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით განრისხდა კიდეც (АКАГК VIII № 291 და Иваненко op. cit. 199). ამავე დროს ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავსშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითო 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან განათავისუფლა. ამის წყალობით 90000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან

---

* «Содержаніе 2-го артикула трактата... указывало прямо на ахалцихскій пашалыкъ или Самцхэ-Саатабаго, древнее достояніе царей грузинскихъ».

30000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში. (Иваненко, op. cit. 265—266).

ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა: წინათ იქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო, 1832 წ. აღწერამ-კი დაამტკიცა, რომ მთელს ამ ახლადშემოერთებულ ქვეყანაში 50000 ორთავე სქესის მცხოვრებიც-კი აღარ იყო. უწინ, მაგ. 1828 წ., ამოდენი ხალხი მარტო ქ. ახალციხეში ითვლებოდა. ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირიან-ფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წ-ლს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ (Иваненко, op. cit. 267).

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდენ სომხები ჯავახეთში ქართველ კულტურის ამ ძველის ძველს კერაში

§ 6. სომეხთა წამოდაება ჯავახეთის სომხეთთან შეხაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული

სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველეს დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს (А. Шахатунянъ. Административный передѣлъ Закавказскаго края გვ. 70—72 და 132—133). ეს რომ განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის, ანუ ალმოსავლეთ საქართველოს სამზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქი შეექმნათ. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ., როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი იყო. მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტურ მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიურად ტფილისის გუბერნიასთან კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

ვორონცოვის სურვილისდა თანახმად იმავე წელს ბრძანება იყო გაცემული, რომ ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის სამაზრო კომისია შემდგარიყო და გამოერკვია, შეიძლება თუ არა და რამდენად ხელსაყრელია, რომ ახალქალაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას ჩამოსცილდეს და გუმბრისას (ალექსანდროპოლის) მიემატოს რომ მასთან ერთად ცალკე განსაკუთრებით სომხობით დასახლებული გუბერნია შემდგარიყო. ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ 14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან 8 კაცი რუსი იყო (თავმჯდომარე მაზრის უფროსი პოდპოლკ. კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი დელიბაში, სამაზრო ბეითალი ტოროპოვი, საუბნო ბოქაულები ჩაპლიგინი და ლაზარევი, დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკონი), 4 ქართველი (გადასახადთა ინსპექტორი თ-დი მაყაშვილი და მემამულეთა წარმომადგენელნი ქართველ-მაჰმადიანნი მამედ-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი ფალავანდიშვილები, ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი

მურჯიკნელი), და 2 სომეხი (ქალაქის მამასახლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კაროიანცი).

ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთხმივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება. თავის აზრის დასასაბუთებლად კომისიამ სხვათა შორის პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ. გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული: მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნაწარმოებს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისათვის. ამასთანავე საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიაც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარაგზით, აგრეთვე როდიონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი საურმო გზით, რომელიც ზამთარშიაც-კი არ იკვრება ხოლმე. გუმბრთან-კი (ალექსანდროპოლთან) ზამთარში ნამქერების გამო, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო მთელ თვეობით ყოველგვარი კავშირი, საფოსტოც-კი სრულებით შეწყვეტილია ხოლმე. ზაფხულშიც-კი როდესაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია, მთელი სავაჭრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალაქის მაზ.) მაინც ახალციხეზედ, ბაკურიანზე მიდის და მხოლოდ ამ მაზრის ბოგდანოვკის უბნის სამხრეთის ნაწილს ზოგიერთი საქონელი მეტადრე ბრინჯი, ზაფხულობით გუმბრითგან (ალექსანდროპოლითგან) მოსდის ხოლმე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემოაღნიშნული ერთხმივი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულმა საბჭომ იმავე შემადგენლობით, როგორიც ბორჩალოს სამაზრო კომისიის მსგავსივე საკითხის შესახები დადგენილების განსახილველად იყო შეყრილი, ერთხმივ დაამტკიცა (იხ. Докладъ члена Тифлиск. губерн. по крестьянскимъ деламъ Присутствія И. Абхази Председателю Особаго Закавказскаго Комитета къ № 2651).

§ 7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც

თუ იმისდა მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნულ ორთავე საბჭოს წევრებმა რუსმა მოხელეებმა მეფის მოადგილის სურვილი იცოდენ და მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ის ამ გამოყოფას თანაუგრძნობდა, მაინც ეს აზრი ერთხმივ უარჰყვეს, ცხადია ჯავახეთის ჩამოშორება ტფილისის გუბერნიისგან და გუმბრთან შეერთება მართლაც სრულებით შეუწყნარებელი და ნაძალადევი გეგმა ყოფილა. მართლაც-და საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრისა და ყარსისაგან ჯავახეთსა და სამცხეს ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7—8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების (= რუსულ Безобдальскій хреб.) დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების (= რუსულ Мадатапинскій хреб.), მერმე ნიალის-ყურის მთის (= რუსულ

Чалдырскій хреб. და Ульгарскій хреб. აღმოსავლეთს ნაწილს), დასასრული ერუშეთის მთის (= რუსულს Ульгарскій хреб.) სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. ამგვარ ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფველი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ, აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები მაგ. ცხად-ჰყოფენ, რომ XVIII ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით-კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად (იხ. ბროსსეს გამოც. Histoire le Géorgie II, 466 და გორელ ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული).

ჯავახეთის (ახალქალაქის) სამაზრო კომისიის ზემომოყვანილი დადგენილება ამტკიცებს, რომ ეხლაც ეკონომიური დამოკიდებულების ვითარება და მიმართულება არ შეცვლილა: კვლავინდებურად იქითგან საქონელი ტფილისში ჩამოდის. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ჯავახეთსა და სამცხეს, ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს, როგორც რკინის გზის საკომერციო განყოფილების ყოველწლიურ ანგარიშებითგანა სჩანს, მარტო აღმოსავლეთ საქართველოსთან კი არა ჰქონია ეკონომიური კავშირი (საქონელი მარტო რკინის გზით კი არა, იქითგან პირდაპირი, შარა და საურმე გზებითაც მოდის), არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც, ქუთაისის გუბერნიასთანაც. აი მაგ. ომამდის რამდენი პური და სხვა მარცვლეულობა გამოდიოდა ყოველწლივ ამ კუთხიდან დასავლეთ აღმოსავლეთ საქართველოში და რამდენი მთელს დანარჩენს ამიერკავკასიაში, სომხეთში და ადერბეჯანში მიდიოდა (ყარსში, ერევანში, ქამარულში, ბაქოში და სხვაგან):

	საქართველოში	დანარჩენ ამიერკავკასიაში:
1910 წ.	60557 ფ.	462 ფ.
1911 წ.	152858 ფ.	1800 ფ.
1912 წ.	207752 1.	3588 ფ.
1913 წ.	96074 ფ	1312 ფ.
1914 წ.	17144 ფ.	1238 ფ.

მაგრამ მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჭიდროესად, შეიძლება ითქვას განუყრელად, ამ კუთხესთან და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო ძველად, მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასეა ახლაც. რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ჰავის პირობებისდა გვარად შემუშავებულმა ტეხნიკამ უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრების საჭიროება, ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქართველოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცი-

ლებელი იყო საქართველოს მესაქონლეებისათვის, რომ მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები იძულებული იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ (იხ. ვახუშტის გეოგრაფია 182).

მესაქონლეობის მხრივ ეხლაც საქართველოში იგივე პირობებია, როგორიც წარსულში იყო. მთელს აღმოსავლეთს საქართველოში სულ 857 000 დეს. საზაფხულო საძოვარი ითვლება, აქედგან საუკეთესო საძოვრები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, ანუ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებშია, სადაც 291 000 დ. საძოვარია.

ამ ჟამად მთელ აღმოსავლეთ საქართველოში 3 683 000 თავი საქონელი არსებობს, სომხეთის საზღვრებში-კი (ერევნის გუბ., ყარსის ოლქ. და განჯის მაღლ.) სომეხთა მთელ მოსახლეობას სულ 3 561 000 თავი საქონელი ჰყავს. ამ მაღლობებზე სომხებს. დიდძალი 2 000 000 დეს. საუკეთესო საძოვარი აქვთ ისე, რომ მთელი ბალახი მოძოვილი იყოს მათი საქონელი ამისთვის საკმარისი არ არის და ვერც შესძლებს. ამიტომ სრულებით ცხადია, რომ სომხებს საზაფხულო საძოვრები სრულებით არ ესაჭიროებათ. მაშასადამე მათთვის ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ამ მხრივ, ეკონომიურად არც გამოსადეგნი არიან და არც საჭირო. სულ სხვა მდგომარეობაშია აღმოსავლეთ საქართველო: უამ მაზრებოდ მთელი მესაქონლეობა უკიდურეს მდგომარეობაში და განსაცდელში ჩავარდებოდა, საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, დაიხოცებოდა.

თვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთაც შედარებით იმდენი საქონელი არა ჰყავთ (ორთავეში 515772 თავი ითვლება), რომ მარტო მათმა საქონელმა მთელი ამ ფართო და ღონიერ საზაფხულო საძოვრების მოჭმა შესძლოს. მაგ. ბორჩალოს მაზრაში საიჯარო საზაფხულო საძოვარი 46 000 დეს. ითვლება, აქედგან 26 სომეხთა სოფლის საზოგადოება 10 000 დეს-ით სარგებლობს საქონლის საძოვრად, დანარჩენი 36 000 დეს.-კი აღმოს. საქართველოს სხვა მაზრებითგან მოსულს მესაქონლეებს უჭირავთ. როგორც წარსულშიც, საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე სრულებით ცხადია, რომ თუმცა XIX ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქართველთა მოსახლეობა აქ მცირე რიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამც თუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია, არამედ წინანდებურად უმჭიდროესად მასთან არის დაკავშირებული.

§ თ. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?

ყველა შემონათქვამის შემდგომ ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზ.) დასაკუთრებლად. ერეკლე მეფის პირით საქართველოს რასაკვირველია რუსეთთან ამისთვის არ დაუდეია 1783 წ. ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერთო, ეს უხსოვარ დროითგან საქართველოს კუთვნილი ქვეყანა, ქართული

---

*) დაწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ იხ. აგრონომ ყაზახაშვილის თხუზულებაში საქართველოს საეროვნო მეურნეობის მოთხოვნილებანი გადამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით.

კულტურის ერთი ძლიერ კერათაგანი, სომხებს გადასცემოდა. სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ეითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, — და ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა,— ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს. იქითგან კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები.

XIX საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში გადასახლებულს ქართველს მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპულ მიწებზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა რაკი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ, მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქმნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.

VI თავი

საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი.

§ 1. კოლა-არტაანი, ტაო-თორთუმ-ისპირი.

რაკი ეხლა საკითხი ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) შესახებ უკვე ყოველმხრივ გამორკვეული გვაქვს, უნდა საქართველოს დანარჩენ მონაპირე კუთხეების შესახებ ზოგიერთი ზედმეტი ცნობები დავურთოთ.

ზევით უკვე აღნიშნულ იყო, რომ ეხლანდელ ყარსის გუბ-იის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტანისა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრიდენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVII ს-ითგან მოყოლებული არტანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ-მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1889 წ. არტაანის ოლქში 65763 სული იყო და აქეთგან მხოლოდ 1923 სომეხი ითვლებოდა. ოლთისის ოლქში მთლად 31519 მცხოვრებთა შორის სომეხი 3130 იყო.

ამ გვარად ცხადია, რომ არტაანისა და ოლთისის ოლქებში სომხები მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენენ. ამას ჯერ კიდევ შარშან, 1918 წ. თვით სომხებიც არ უარჰყოფდენ და ა. შაჰატუნიანი მაგალითად ამბობდა: აქ „სომხები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენო“ და ამის გამო ამიერკავკასიის გადაჭიჯნის დროს სომხეთის სამზღვრებს გარეშე დავტოვეთო (Административный передел Закавказскаго Края ტფილისი 1918 წ. გვ. 73—74 და 75). ეს გარემოება სომხებს ეხლა ალბად დაჰვიწყებიათ და სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებში მოქცევა ჰსურთ არტაანისა და ოლთისის ოლქისაც, რომელიც მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნით.

ხოლო ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის, ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 1400 სული მთლად გამაჰმადიანებუ-

ლი ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. ისპირში-კი, პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში ყველგან ქართველი-მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ.

§ 2 ლაზისტანი

ქართველთა მოსახლეობის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიაც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება. ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც-კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში, მაგ. 1868 წ. ლაზთა რაოდენობა ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალჰერის ცნობით რამდენსამე ასს ათასს აღემატებოდა. (Извест. Кавк. отд. геог. Общ. 1881 წ. VII წიგ. № 1. დამატება გვ. 15, 17, 59—60 და 68).

პროფ. ნ. მარრის ადგილობრივმა დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ისლამის წყალობით ლაზების გათურქება მსწრაფი ნაბიჯით წინ წასულა.

ამ ჟამად ლაზური ან ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით განისაზღვრება, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწაწყალიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რიზესა და ათინას ოლქად. პირველში ხალხს უკვე დედა-ენა დავიწყებული აქვს და თურქული შეუთვისებია, მეორეში-კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია. ეს ათინას ოლქი საკუთრივ ათინისა და ხოფას ყაზებისაგან შესდგება. სამხრეთ-დასავლეთით მისი სამზღვარი ქემერის კონცხთან (ქემერბურუნ) იწყობა, შემდეგ აჰყვება მდ. ყანლი-დერეს, გადასჭრის ათინას წყალისა და ბეიუკ-დერეს სათავეებს და მიადგება პონტოს ქედის მწვერვალს, რომელსაც ვარსამბეკი (ვერშემბეკი) ჰქვიან. აქეთგან მოყოლებული ჭანეთის მიწაწყალი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება და პონტოს ქედსა და შავზღვას შუაა მოქცეული. ეს ზოლი თანდათინ ვიწროვდება და ბათუმი ოლქში სარპთან თავდება.

ათინას ოლქი ექვს უბნად იყოფება: ხოფას, არქაბეს, ვიწეს, არტაშენის, ათინას და ხემშინის უბნებად. სულ 178 სოფელი არის. აქეთგან 39 სოფელი ხემშინის ოლქში ითვლება, რომელშიც 12778 სული მცხოვრებია. ხემშინები გამაჰმადიანებული და გათურქებული სომხები არიან. თვით ლაზთა რაოდენობის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები იმ გვარადვე, როგორც ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შესახებ, არ მოიპოვება. რუსეთის გენერ. შტაბის საიდუმლო გამოცემაში გენ. ავერიანოვის თავის მონოგრაფიაში „Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской имперіи» (СПГ. 1912 г. изданіе отд. генералъ-квартирмейстера, გვ. 20) ლაზების რაოდენობა 200000-ად აქვს აღრიცხული. როდესაც რუსეთის ჯარმა ამ მსოფლიო ომის დროს ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმალთა ჯართან ერთად უკან დაიხია და ადგილობრივ მხოლოდ 35000 ლაზი-ღა იყო დარჩენილი. უდროვოდ გასვენებული პროფეს. იოს. ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობების მიხედვით ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა 80000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა შეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდენ, ისიც მხოლოდ ხალხის აღწერის საშუალებით.

ბოლოსიტყვაობა

ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს უეჭველია ნათლად დაანახვებდა, თუ რა საზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ საზღვრებში მოქცეული მიწაწყალი და მოსახლეობა მთლიანს ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. თუმცა ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის საზღვრები უნდა ეკუთნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს.

სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი საზღვრებს უჭირავს. საქართველოს საზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს. მართალია სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევენ, მაგრამ რამდენად მათი რჩევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ თვალსაზრისით არას დროს თავიანთ პოლიტიკურ გეგმაში არ უხელმძღვანელიათ. მათ მიერ თავდაპირველი კონფერენციისათვის წარსადგენად დამზადებული დიდი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათომისა და ტრაპიზონ-სინოპის შემცველი, ნათლად მოწმობს, რომ თვით მათ თავიანთ სახელმწიფოს საზღვრების შემოხაზვის დროს არამცთუ თანამედროვე ეთნოგრაფიული მოსახლეობის პირობებით არ უხელმძღვანელიათ, არამედ ზოგან მეტისმეტად შორეულს ისტორიულს საბუთებზე, უფრო-კი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე დაუმყარებიათ თავიანთი მიწაწყლის მოხაზულობის რუკა. ამის შემდეგ სწორედ გასაოცარია, როდესაც სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს ნ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს სტამბოლის სომხურს პრესაშიაც-კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით. როცა საერობო ერთეულზე იყო ლაპარაკი, ამგვარი მოსაზრება ასე-თუ-ისე კიდევ გასაგები იყო, სახელმწიფოს საზღვრების შემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს.

რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდა მიუხედავად ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევენ, ისინი ალბათ ფიქ-

რობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო, სომხეთს-კი უფლება აქვს ყოველგვარ თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობდენ და თავიანთ რესპუბლიკის საზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდენ, ეს იმპერიალისტობა-კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობაა.

სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს. ამიტომაც არის რომ ქართველი ერის შეგნებულს ნაწილს, მის მოთავეებსა და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიანთ თავიანთ სახელმწიფოს საზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ. თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას, რასაკვირველია თავისდა უნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის საზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს. ბ-ნ ჩალხუშიანის როსტოვის რუსულ-სომხურ გაზეთში ამ ამბავის ერთი თვით უწინარეს მოთავსებული ცნობა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ომია და ძლევამოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარის მიერ აღებული იქნებაო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი საზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქმნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც. ადვილი წარმოსადგენელია როგორი ძმობა-ერთობის ჰანგებზე დამღერდენ დაშნაკელთა ბელადები და რა საზღვრებს მიაკუთვნებდენ ისინი საქართველოს, მათ მოუფიქრებელს მოქმედებას მთელი ქართველობა რომ დიდით პატარამდე, კიდით კიდემდე არ შეეძრა და შემოსეული მტერი მედგრად არ უკუეგდო. თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს საზღვრების გადმოლახვას არ დაერიდენ და ჩვენ დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენელი არ არის, რამდენად მათ მადა მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს. სწორედ ამ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას

ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს, მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაშკა-ჩაი დასდევს, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად-კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (= რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსამზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები.

ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა[1], რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ.

ბათუმი — კონსტანტინეპოლი,
1919 წ. იანვარი — მარტი.

[1] რედაქცია მადლობას მოახსენებს ბ-ნ დურმიშხან ცინცაძეს რუკის მოწოდებისათვის.

კომენტარები

1. „ანდრია მოციქ. და წმ. ნინო" პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში", 1900 წ. №V, განყ. II, გვ. 55—70; № VI, განყ. II, გვ. 18—50. ავტორს, როგორც თვით გვაუწყებს, იგი დაუწერია ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1898 წ. გერმანიაში, ქ. კენიგსბერგში. დასტამბული წერილის ბოლოში დასმული თარიღი „პეტერბურგი, 1898 წ. 13. VII" ალბათ გულისხმობს მის დასაბეჭდად გამზადებას უკვე პეტერბურგში.

ანდრიასა და წმ. ნინოს შესახებ ნაშრომს გამოეხმაურნენ „ვინმე მესხი" (გვარამაძე) და მ. ჯანაშვილი (იხ. მათი წერილები ჟურნ. „მოგზაურში", 1901 წ. № 12 და ჟურნ. „საქართველოში", 1908 წ. № 9); Н. Марр. Исторический очерк грузинской церкви (Журналы и протоколы заседаний Предсоборного присутствия, т. III, СПб., 1907; ს. კაკაბაძე. წმინდა ნინო და მისი ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბილისი, 1912; Л. Меликсет-Беков. К вопросу о настоящем имени просветительницы Грузии. Тифлис, 1914.

თვით ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნულ ნარკვევში გამოთქმული ზოგიერთი დებულება დააზუსტა „ქართველი ერის ისტორიის" I წიგნის გვიანდელ გამოცემებში — 1914 წ. შემდეგ (იხ. შენიშვნა № 8 და სხვ.).

წმ. ნინოს ცხოვრების ე. წ. არსენისეული რედაქცია ნინოსავე მეტაფრასული ცხოვრება გამოქვეყნდა 1971 წ. გამოსაცემად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. გოგუაძემ და მ. დოლაქიძემ (იხ. ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III).

2. Chronique Arménienne — ასეთი სახელწოდება აკად. მ. ბროსესაგან მომდინარეობს. მან მიაგნო და თარგმნა ფრანგულ ენაზე „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი, რომელიც მანვე დაათარიღა და გამოსცა კიდეც — Chronique Arménienne. Addisions et Ehleirciessements a L'Histoire de la Georgie, სპბ, 1851. იხ. „ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ. 1953. 1916 წ. ივ. ჯავახიშვილი „სომხურ ქრონიკას" „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანს ეძახდა (იხ. „ძველი ქართული საისტ. მწერლობა" 1916 წ. გამ., გვ. 262).

3. „№ 37" ხელნაწერის შესახებ იხ. Н. Марр. Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев (Из Сборника учеников проф. В. Р. Розена, СПб, 1897).

4. რუფინუსისა და იბერთა ტომის მოქცევის შესახებ იხ. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961 წ., გვ. 200—207.

5. სოკრატე (სოკრატე სქოლასტიკოსი). იხ. იქვე („გეორგიკა"), ტ. I, გვ. 229—234.

6. სოზომენი (ერმია სოზომენე). იხ. იქვე, ტ. 1, გვ. 235—241.

7. თეოდორიტე კვირელი. იხ. იქვე („გეორგიკა"), ტ. I, გვ. 208—213.

8. ქართლის მოქცევის ბერძნულ წყაროებს შორის ივ. ჯავახიშვილი მაშინ პირველ რიგში რუფინუსს ასახელებდა და აღნიშნავდა, რომ ის არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი და დანარჩენები მის ნათქვამს იმეორებენ. ეს შეცდომა ავტორმა გაასწორა 1914 წ. გამოვლენილი ახალი წყაროს საფუძველზე. იგი თავის „ქართველი ერის ისტორიის" I ტომში (1960 წ. გამ., გვ. 180) წერდა: „1914 წლამდე ამ წყაროთაგან (ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, მ. დ.) უძველესად რუფინუსის ისტორია იყო მიჩნეული. მაგრამ ანტონ გლასმა თავის 1914 წ. დაწერილსა და გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „გელასი კესარიელის საეკლესიო ისტორია... დაამტკიცა, რომ რუფინუსს სხვათა შორის ქართველთა მოქცევის ამბავი 395 წელს გარდაცვლილი ბერძენთა ისტორიკოსის გელასი კესარიელის მიერ დაწერილი საეკლესიო ისტორიიდან აქვს ამოღებული და გადაქმნილი". ეს წიგნი საქართველოში მხოლოდ 1923 წ. გახდა ცნობილი სიმონ ყაუხჩიშვილის წყალობით, რომელმაც მას სპეციალური ნარკვევიც მიუძღვნა (იქვე).

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქართლის მეფე მირიანი გაქრისტიანდა 337 წ. ახლოს. ეს დასკვნა მას შემდეგშიაც სწორად მიაჩნდა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 233). 1975 წ. გამოქვეყ-

ნებულ მონოგრაფიაში ნ. ლომოური რამდენადმე აზუსტებს ამ თარიღს („ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან"). გელასი კესარიელის ცნობები იხ. დასახ. „გეორგიკაში", ტ. I. გვ. 179—199 და სხვ.

ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შესახებ დასახელებულ ნაშრომთა გარდა მივუთითებთ შემდეგ გამოკვლევებს: ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ. 1949; კ. კეკელიძე, იბერიის ქრისტიანიზაციის საკითხები (იხ. მისი „ეტიუდები", III, თბილისი, 1955); მისივე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები („ეტიუდები", IV, 1957); ნ. ჯანაშიას ნარკვევი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომში, 1973 წ., გვ. 57—76; გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური (ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა), თბილისი, 1974.

8 ა. მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის" სხვადასხვა გამოცემების შესახებ იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები", კტ. I, თბილისი, 1949 წ. გვ. 230—232.

9. კაპადუკია (კაპადოკია) — მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ძველი სახელწოდება; დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

10. ბრანჯნი. იმავე ნაშრომის მე-17 გვერდზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „ბრანჯნი ჩვენს ძველ ხელნაწერებშიაც ფრანგებად იწოდებიან", და იმოწმებს თ. ჟორდანიას „ქრონიკების" I წიგნს. ქართველი ერის ისტორიის I წიგნში ავტორი „ბრანჯთა" განმარტებისაგან თავს იკავებს (იხ. 1960 წ. გამ., გვ. 177); „ბრანჯებს" ფრანგებად მიიჩნევდა კ. კეკელიძეც (იხ. მისი „ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია," I, 1951 წ., გვ. 593).

11. იხ. შენიშვნა № 8. რუფინუსი ქართლის მოქცევის თანამედროვე არ ყოფილა. იგი IV ს. მიწურულის მოღვაწე იყო.

12. ლაპარაკია ეფესოს საეკლესიო კრებაზე. ეფესო — იყო ძველი ქალაქი კარიაში, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე თურქეთში.

13. აქ სრულდება ნარკვევის I ნაწილი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ. „მოამბის", 1901 წ. V ნომერში. მას მოსდევს დასასრული — ჟურნ. „მოამბის" იმავე წლის VI ნომერში.

14. იხ. შენიშვნა № 8.

15. გრიგოლ განმანათლებლის როლის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960 წ. გამ., გვ. 211—212 და ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 1935 წ., გვ. 114—115.

15 ა. სომხური ტექსტი დაზუსტებულია ორიგინალის მიხედვით.

16. იხ. Н. Марр. Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев. Из Сборника учеников проф. В. Р. Розена, СПб., 1897, გვ. 75.

17. იხ. შენიშვნა № 8.

18. „რომლის უდიდეს საზრუნავს სარწმუნოება და ჭეშმარიტება შეადგენდა".

19. პეტრე მაიომელი (მაიუმელი), მაიუმის ეპისკოპოსი, V ს. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი — პეტრე იბერი (იხ. შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956, თავები VI—VIII).

20. იხ. Порфирий (მ. უსპენსკი; „პორფირი" სასულიერო სახელია), Восток Христианский. Серия (в «Трудах Киевской духовной Академии», 1874—1875, გვ. 54).

21. მითითებულ ამონაწერებში ქარაგმების გახსნა და დაზუსტება (პირველწყაროსთან შეჯერება) ეკუთვნის რედაქციას.

22. ქართული ეკლესიის თვითმმართველობის (ავტოკეფალიის) შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის წერილი — Автокефалия грузинской церкви («Политическая энциклопедия». Под. ред. Л. З. Сломинского, I, 1907, СПб, გვ. 46—48); მისივე, К истории церковных реформ в древней Грузии (Георгий Афонский). ქვეყნდება წინამდებარე ტომში; Н. Марр, Исторический очерк грузинской церкви («Журналы и протоколы заседаний Предсоборного присутствия», т. III, СПб, 1907, № 5, I дек. 1906). ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948 წ. გამ., გვ. 180—186).

23. ორიგენე (185—254) — ადრექრისტიანული პერიოდის ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა შუა საუკუნეების სქოლასტიკაზე.

24. „პეტრეს ძმას ანდრეას წილად ხვდა (სახარება) უქადაგა სკვითეთსა და აჰაიაში"; პეტრეზე ნათქვამია: „იქადაგა სახარება აქ, გალათაში, პონტოში, კაბადოკიაში, ბითვინიაში, აზიაში, იტალიაში".

25. ბითვინია (Вифиния) — მცირე აზიის ჩრდილო დასავლეთის ისტორიული პროვინცია (თანამედროვე თურქეთში); პ ო ნ ტ ო — მცირე აზიის ძველი რაიონი, კაპადოკიის ნაწილი, სადაც წარმოიშვა პონტოს სამეფო; თ რ ა კ ი ა — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ისტორიული რაიონი (ეგეოსის, შავისა და მარმარილოს ზღვებს შორის).

26. ეპიფანე მონაზონის ნაცვლად აქ ეწერა „ეპიფანე კვიპრელი", რაც უნებლიე შეცდომაა. იქვე მოტანილ ამონაწერში ავტორი მიუთითებს „Epiphanii Monachi". ქართველი ერის ისტორიის I წიგნში (1928 წ. გამ., გვ. 172 მითითებულია „ეპიფანე მონაზონი").

27. ს ა კ ე ბ ი („საკების ქვეყანა"), ახლანდელი სეისტანი ირანსა და ავღანისტანში; ს ო გ დ ი ა ნ ა (სოგდი, სოღდი) — ისტორიული რეგიონი მდინარეების ზერავშანისა და კაშკა-დარის აუზებში (თანამედროვე უზბეკეთისა და ტაჯიკეთის სსრ).

28. „განა ვაუწყებ იმას, რომ ყველა აბისინელთა შორის იქადაგონ სახარება, არამედ და უმეტესად მათთან, რომელნიც მდინარის გაღმა იმყოფებიან".

29. ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომის ავტორისეული თარგმანი რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1901 წ. (იხ. «Журнал Министерства Народного просвещения», № 1, СПб, გვ. 77—113).

30. დასახ. ნაშრ. გადმობეჭდილია „ქართველი ერის ისტორიის" პირველი ტომის V გამოცემიდან (1960 წ.) გამომცემელი აკად. ს. ყაუხჩიშვილი ამ ნაშრომის შესახებ შენიშნავდა: „ივ. ჯავახიშვილის შესავალი ლექცია, წაკითხული პეტერბურგის უნივერსიტეტში 1902 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მან მოიპოვა პრივატ-დოცენტის წოდება და პირველად შეუდგა „საქართველოს ისტორიის" კურსის კითხვას. ეს ლექცია, დაწერილი რუსულ ენაზე, აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის არქივში. განსვენებულ აკადემიკოსს გადაწყვეტილი ჰქონია ამ ლექციის ტექსტის გამოქვეყნება ქართულ ენაზე და დაუწყია კიდეც მისი თარგმნა: პირველი გვერდნახევარი (სიტყვებამდე: „დანარჩენ მეცნიერებისათვის", გვ. 390, სტრ. 14 ზევიდან) ნათარგმნია თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ, ხოლო დანარჩენი თარგმნა უნივერსიტეტის გამომცემლობის დავალებით დოც. მაქსიმე ბერძნიშვილმა" (იხ. ქართველი ერის ისტორიის I ნაწ. V გამოცემის შესავალი; გვ. X—XI).

31. ეს დებულება ავტორმა შემდეგში (1928 წ.) შეცვალა. იხ. მისი „ქართული სამართლის ისტორია", წ. I, თბილისი, 1928 წ., გვ. 198. მისი აზრით, საქართველოში I—VIIIს-ში იყო მხოლოდ მონობა, რომელიც X საუკუნის II ნახევრიდან „პატრონყმობამ" (თანამედროვე ტერმინოლოგიით — ფეოდალურმა ურთიერთობამ) შეცვალა.

32. მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1904 წ., 52 გვ. პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში", 1904 წ., № 2453, გვ. 2—3; № 2458, გვ. 2—3; № 2460, გვ. 2—3; № 2465, გვ. 2—3; № 2466, გვ. 2—3; № 2467, გვ. 2—3.

33. ბურჯი ეროვნებისა. თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე, შევსებული გამოცემა. თბილისი, 1903 წ.

ამ პუბლიცისტურ ნაშრომში ავტორი, პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით, ქადაგებდა, რომ დედა-ენა ეროვნების ბურჯია და ადამიანებმა სწავლა-განათლება, დაწყებითი მაინც, აუცილებლად მშობლიურ ენაზე უნდა მიიღონ. ამით ი. გოგებაშვილი უპირისპირდებოდა თვითმპყრობელობის შოვინისტ მოხელეებს, რომლებიც ქართულ ენას სდევნიდნენ და ქვეყნის გარუსებისათვის იბრძოდნენ. ამ აზრს ივ. ჯავახიშვილი მხარს უჭერდა და ეროვნული თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი იყო. მაგრამ იგი აკრიტიკებდა ი. გოგებაშვილის წიგნში „ზოგიერთ შემცდარ აზრს", რომელიც მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ გავრცელებული იყო და რომელიც საზოგადოებრივ აქტიურ ბრძოლას ვერ უპასუხებდა. საკითხი ეხებოდა „მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობას", ისტორიული წარსულის იდეალიზაციას, რასაც უარყოფითი შედეგები მოჰქონდა. ამის შესახებ იხილეთ წინამდებარე ტომის შესავალი—გამოკვლევა*.

34. იგულისხმება ი. გოგებაშვილის წერილი «К вопросу о мингрельской начальной школе» («Петербургские ведомости», 1903, 27. III), რომელიც იმავე წელს პეტერბურგში ცალკე წიგნადაც გამოიცა. ვარიანელი (ი. გოგებაშვილის ფსევდონიმია) ილაშქრებდა სამეგრელოს სკოლებში „მეგრული ანბანის" შემოღების ცდების წინააღმდეგ და ამით ამჟღავნებდა მეფის რუსეთის მოხელეთა ანტიქართულ საქმიანობას. ივ. ჯავახიშვილიც აცხადებდა ასეთ პროტესტს,—კიდევ მეტი—

---

* საერთოდ, ივ. ჯავახიშვილი უღრმესი პატივისცემით იყო გამსჭვალული ი. გოგებაშვილისადმი (იხ. მისი წერილი — „დიდი პედაგოგი", გაზ. „კომუნისტი", 1940 წ. 27 ოქტ.).

იგი მოითხოვდა, რომ მიზნის მისაღწევად პეტიციების წერა და პრივილეგიათა გამოთხოვა კი არა, არამედ საჭირო იყო ა ქ ტ ი უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ა.

35. Правда о Тифлисе. Статья Якова Гогебашвили. Тифлис, 1897.

36. П. Милюков. Главные течения русской исторической мысли, т. I, 1898. ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს ამ ნაშრომის გვ. 147—258, განსაკუთრებით — გვ. 249—252 გვერდები.

37. Testimonium paupertatis — „სიღარიბის მოწმობა", ვისმე ჭკუანაკლებობის მაჩვენებელი.

38. დაბადება და ახალი აღთქმა ითარგმნებოდა როგორც ბერძნულიდან, ისე სომხურიდანაც (კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954, გვ. 57).

39. „ივ. ჯავახიშვილმა, — წერს ს. ჯანაშია, — დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ აზრი გრიგოლ განმანათლებლის ქართლის მოქცევაში მონაწილეობის შესახებ გავრცელებას იწყებს მხოლოდ VI ს. შუადან და გრძელდება VIII ს-მდე. შემდეგ იგი თანდათან ქრება. ამ შეხედულების წარმოშობის მიზეზები იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში იძებნება" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973 წ., გვ. 76).

40. ივ. ჯავახიშვილი საკითხისადმი მხოლოდ მეცნიერულ მიდგომას მოითხოვდა, თვითონ კი ყველაფერში როდი ეთანხმებოდა ნ. მარს (იქვე, გვ. 157—158). იხ. ქვემოთ, გვ. 166, შენ. 47.

41. ისტორიული გადმოცემები ვილჰელმ ტელის შესახებ საეჭვოდ მიიჩნიეს XIX საუკუნეში (ბერნჰარდი, კოპი), მაგრამ უახლესი გამოკვლევებით (კ. მაიერი...) ამ გადმოცემაში აღწერილია რეალური ამბავი, ოღონდ მნიშვნელოვნად გადამუშავებული (Советская Историческая Энциклопедия, 14. გვ. 181).

41 ა. „სიბრძნე ბალავარისი"-ს შესახებ იხ. შ. ნუცუბიძის ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, თავი VII.

42. უახლესი გამოკვლევებით (ჰერმანდი, პოლიმანი, ბროგსიტერი) თქმულება გრაალის შესახებ ისეთი რთული შედგენილობისაა, რომ ძნელია მისი თავდაპირველი სახის და წარმოშობის ადგილის დადგენა. მასში შეინიშნება როგორც კელტური და აღმოსავლური, ისე ძველი წარმართული ელემენტებიც.

42 ა. თვით ნ. მარმაც და ივ. ჯავახიშვილმაც შემდეგში შეცვალეს თავიანთი შეხედულებები „ვეფხისტყაოსანზე". (იხ. ნ. მარი, «Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани, Тбилиси, 1966. გვ. 9; ივ. ჯავახიშვილი, „ქართული ენისა და მწერლობის საკითხები", თბილისი, 1956 წ.).

43. დ. კობიძის წაკითხვით — „ფახრედ-დინ გორგანის თხზულება ვის ო რამინი (ვისრამიანი)". იხ. დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1975 წ. გვ. 247.

44. ამ აბზაცში ჩამოთვლილი სპარსელ მგოსანთა რიგი სახელების განსხვავებული წაკითხვა იხ. დ. კობიძის აღნიშნულ ნაშრომში.

45. „სპარსელი მგოსანი" — დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი, რომელიც მაშინდელ ნარკვევებში, საერთოდ „სპარსელ მგოსნად" იყო მიჩნეული.

46. Ethe Hermann Neupersische Literatur.

47. ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება" აშკარად ჩანს ნ. მარის ადრინდელ შეხედულებათა გავლენა ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილზე, რის შესახებაც იგი თვითონ აღნიშნავდა, რომ ადრე მას ნ. მარის ნაშრომები და თეორია „შეუმცდარად ეჩვენებოდა" (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1957 წ., გვ. XI). ეს ეხებოდა არა მარტო ლინგვისტურ სფეროს. თავის მერმინდელ, მოწიფულობის ასაკში შექმნილ ნაშრომებში ივ. ჯავახიშვილი შეუდგომლად აკრიტიკებდა ნ. მარის შეცდომებსა და არაზუსტ მსჯელობას, თუმცა ყოველთვის მოკრძალებით იხსენიებდა მას. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის" 1916 წ. გამოცემა ივ. ჯავახიშვილმა მიუძღვნა „ძვირფას მასწავლებელს... ნიკო მარს".

აქ მინიშნებულ და მის მომდევნო გვერდებზე ივ. ჯავახიშვილი ქართული მწერლობის, კერძოდ კი, ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შესახებ მსჯელობის დროს კვალდაკვალ მისდევს ნ. მარს. თავის გვიანდელ ნაშრომებში კი ივ. ჯავახიშვილი ამ საგანზე აყალიბებს ორიგინალურ, მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებებს, რომელთაც საპატიო ადგილი უკავია თანამედროვე რუსთველოლოგიაში. მაგალითად, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულობის თუ ორიგინალობის შესახებ ღრმამეცნიერული მსჯელობა მოცემულია მის ნარკვევში „ვეფხისტყაოსანი" (იხ. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956 წ., გვ. 32—39 და სხვ.).

48. იხ. შენიშვნა 47.

49. ლ. ალიშანი, შირაკი. ვენეცია, 1881 წ., გვ. 153 (სომხურ ენაზე); Н. Марр. Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из «Русуданиани» («Сборник факультета восточных языков», СПб, 1895 წ., გვ. 228).

50. იხ. შენიშვნა 47.

51. როგორც ითქვა, „მამულიშვილობა და მეცნიერება" იბეჭდებოდა გაზეთ „ცნობის ფურცელ-ში" 1904 წ. მისი გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა რამდენიმე შენიშვნა აღნიშნულ ნაშრომზე: მ. ჯანაშვილის („ცნობის ფურცელი", 1904 წ. № 2472—73, 20. IV და 21. IV), ი. გოგებაშვილის (იქვე, № 2481, 29. IV), იხ. აგრეთვე „ივერია", 1904 წ., 17 ივლისი, გვ. 2—3 და 18 ივლისის ნომერი, გვ. 2.

52. პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «Министерства народного просвещения»-ში, 1904 წ., გვ. 358—372.

ამ ნაშრომში წამოყენებული დებულებები, გიორგი მთაწმინდელის საეკლესიო-ისტორიულ მოღვაწეობას რომ აშუქებენ, ნაწილობრივ აისახა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" II წიგნის VII თავში — „საქართველოს სოციალური და კულტურული მდგომარეობა გაერთიანების ხანაში" (იხ. 1914 წ. გამოცემა, გვ. 466—505 და 1948 წ. გამოცემა, გვ. 165—192).

53. Протат („პროტი")—„საარქიმანდრიტო"; „პროტი" — არქიმანდრიტი, რომელიც მთაწმინდის ყველა მონასტრის სათავეში იდგა". „პროტის სამყოფელი იყო კარიას, სადაც ღვთისმშობლის ეკლესია იყო აგებული" (გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა. რედ. ა. შანიძე, თბილისი, 1946 წ. გვ. 126).

პირველი გამოცემის შენიშვნაში, იმავე გვერდზე, გაპარულია კორექტურული შეცდომა — «Протат находился в Карсе», რაც გავასწორეთ — «находился в Кирии». კარია იმყოფება თანამედროვე თურქეთის აიდინის ვილაიეთში.

54. რუის-ურბნისის კრების შესახებ, იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია", წ. II, 1965 წ., გვ. 212—214.

55. „გასულ. სტრიი..." გამოქვეყნდა პერიოდულ გამოცემაში — «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», книга VIII, СПб, 1905.

56. ვახუშტის ნაშრ. ბოლო გამოცემა — ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973. („ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი", გვ. 13—38).

57. თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სპბ., 1848.

58. „საქ. ისტ."—ბროსე მ., საქართველოს ისტორია. ნაწილი პირველი. მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით. ნათარგმნი და განმარტებული ს. ღოღობერიძის მიერ. თბ., 1895.

59. ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი (უძველესის დროიდან X საუკ. დასასრულამდე). თბ., 1889.

60. ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია, შემუშავებული და შევსებული ავტორისაგან. მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, თბ. 1894.

60 ა. კარდუხების, ხალიბების, მოსინიკების (მოსინოიკების), ტაოხების, სკვითების (ივ. ჯავახიშვილთან — скифины ჩვენ დავაზუსტეთ — сквифины-თ), მაკრონებისა და სხვ. ისტორიული განსახლებისა და ეთნიკური კუთვნილების შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 52—57 და სხვ.

61. ჭანეთი — ქართველებით დასახლებული ქვეყანა — ივ. ჯავახიშვილის შერმინდელი გამოკვლევების მიხედვით გვიან იყო ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ფარგლებში. XIV ს. დამდეგს იგი „ბერძენთა მეფეზ" უწყალობა სამცხის ათაბაგს ბექა ჯაყელს (ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1966 წ. გამ., გვ. 250), მერე ჭანეთის გარკვეული ნაწილი გურიელის ხელთაა, მაგრამ შემდეგში სამცხის ათაბაგი (უკვე ოსმალთა მორჩილებაში მყოფი) იბრუნებს მას (იქვე, ტ. IV, 1967 წ. გამ., გვ. 75, 150, 159, 167). ჭანეთის მეგრულ-ჭანური მოსახლეობა, ისტორიული სამხრეთი საქართველოს სხვა პროვინციების ტერიტორიებთან ერთად, XVI საუკუნეში საბოლოოდ მიიტაცეს ოსმალო დამპყრობლებმა.

62. მოტანილი ადგილის დაზუსტებული ქართული თარგმანი იხ. თ. ყაუხჩიშვილის წიგნში — სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957 წ., გვ. 129—130.

63. სტრაბონის აღნიშნული ცნობის ჯავახიშვილისეული დასკვნების შესახებ იხ. წინამდებარე ტომის შესავალი — „ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა 1898—1912 წლებში".

ვრცელი და მრავალმხრივი საინტერესო მეცნიერული მსჯელობა სტრაბონისეულ ცნობათა შესახებ იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" I ტომში, აკად. გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1970 წ. იქვე სრულადაა მითითებული საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურაც.

64. ავტორის შენიშვნაში უნდა იყოს: Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, Под ред. Д. З. Бакрадзе. изд А .С. Френкеля, Тифлис, 1887.,

65. იხ. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.

66. დიონ კასიოსის „რომის ისტორია". ცნობები საქართველოს შესახებ (იხ. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნოდარ ლომოურმა, თბ, 1966).

67. Г. Халатьянц, Армянские Аршакиды в истории Моисея Хоренского. М., 1903.

68. ამიანე მარცელინე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ (იხ. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, გამოსცეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 75—165).

69. „Dio Cas". იხ. ნ. ლომოურის დასახ. გამოცემა, გვ. 82—87.

70. იხ. „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955 წ., გვ. 11.

71. „ანაბასისი" ქსენოფონტისა, მისი ცნობები საქართველოს შესახებ იხ. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი" (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967; თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ. 1976. ივ. ჯავახიშვილთან — «в городе Гимниаде» დავაზუსტეთ — «в городе Гвимниасе»; ასევე — «Скифинов» — «Сквифинов».

72. Армянская география VII века по р. Хр., приписываемая Моисею Хоренскому. Текст и перевод К. Патканова. СПб, 1877; S Soukry. Géographie de Moïse de Corène d'aprés Ptolémée Venise. 1881. იხილე: С. Т. Еремян, Армения по «Ашхарацуйц»-у (Армянской географии VII века). (Опыт реконструкции армянской карты VII века на современной картографической основе). Ереван. 1863.

73. Н. Марр. Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, перевод... («Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. VII, СПб. 1911).

74. Н. Марр. Мученичество девяти отроков колайцев. ქართული ტექსტი რუსული თარგმანითურთ და გამოკვლევით (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. V, СПб, 1903).

75. ტექსტში იყო „არბუკეთისა", რომელიც შევცვალეთ — „არმაკეთისა". ეს დაზუსტება ეკუთვნის განსვ. პროფ. ვ. დონდუას, რომლის ხელთ ნაქონი წიგნითაც («Госуд. строй»...) ჩვენ ვისარგებლეთ.

76. ე. თაყაიშვილი. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში... II. აღწერა არაგვის ხეობისა, შედგენილი მეფის ირაკლი მეორის ბრძანებით ლუარსაბ მაყაშვილისა და მანუჩარ თუმანიშვილის მიერ 1774 წ., თბ., 1907 წ.

77. ლაზარ ფარპეცისა და საქართველოს შესახებ მის ცნობათა შესახებ იხ. ლ. ნ. ჯანაშიას მონოგრაფია — „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ", თბ., 1962. დამოწმებული ამონაწერი და მისი ქართული თარგმანი გადმოცემულია ამ წიგნის 218-ე გვერდზე.

78. „სეფე" და „სეფეწული" (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929 წ., გვ. 361, 382, 393, 460).

79. ივ. ჯავახიშვილი სარგებლობს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის" სომხური გამოცემით, თბილისი, 1881 წ.

80. „წმ. ნინოსთან" ჩანართი ფრჩხილებში ეკუთვნის რედაქციას.

81. Физиолог — «Сборник статей и сведений о животных и камнях, получивший начало во II или в III в. по р. Хр.»... (Брокгауз... Энциклопед. словарь. СПб, 1902, т. XXXV-А, 719).

82. *„Սոփ Հայկ"*. უფრო შემოკლებით — *„Ս. Հ."* („ს, ჰ,"— „სოფერქ ჰაიკაკანქ" — „სომხური წერილები". ამ კრებულის XIX ტომში გამოცემულია სომხური მარტიროლოგიური ძეგლები. ამ გამოცემის შესახებ დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილის „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა", თბილისი, 1935, გვ. 2-6.

83. იხ, შენიშვნა № 82.

84. ჰეროდოტესა და მის ცნობებზე იხ. თ. ყაუხჩიშვილის წიგნი — „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1960. მითითებული ციტატის ქართული თარგმანი ბერძნულიდან გადმოცემულია ამ წიგნის 113-ე გვერდზე.

85. იხ. შენიშვნა № 82.

86. აქ იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი — „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ (1905 წ.). იხ. ამავე ტომში.

87. ყმა „გლეხის“ მნიშვნელობით („კრეპოსტნოი“) საყოველთაოდ ვრცელდება (ივ. ჯავახიშვილის გვიანდელი მოსაზრებით) XIV—XV სს-ში, ესაა, მისივე განსაზღვრით, ბატონყმური პერიოდი საქართველოში (იხ. „საქართველოს ისტორია“, 1940 წ. გამოცემა, ხელნაწერის უფლებით, გვ. 261).

88. როცა ივ. ჯავახიშვილი ამ სტრიქონებს წერდა (1905 წ.) ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული ნ. ადონცის მონოგრაფია — Армения в эпоху Юстиниана. Политическое состояние на основе нахарарского строя (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XI, СПб, 1908 г.; Второе издание — с предисловием К. Н. Юзбашяна, Ереван, 1971).

89. ლანგლუას დასახ. ნაშრ. გამოიცა 1860 წ.

90. ალიშანის ნაშრ. გამოიცა 1890 წ.

91. ადრე გამოცემული ტექსტის 146-ე გვერდზე შენიშნავდა ვ. დონდუა: Еллинек. Общее учение о государстве, т. I, 1903 (немецкое издание, 1900).

92. როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა ეს ნაშრომი წარადგინა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და წარმატებითაც დაიცვა 1907 წ. დაცვისათვის მან წარუდგინა ნაშრომის „დებულებები“, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ: Положения [к «Гос. строю» И. А. Джавах.]*

1. Род и родовая организация являются основой государственного и социального строя древней Грузии и древней Армении; это видно как из данных исторических, так и из фактов лингвистических (терминологии).

2. Роды в Армении и Грузии состояли из «танутера»=«мамасахлиса»—главы рода и «сепуһов=«сепэ» —членов рода; наследование должности главы рода шло по старшинству в роде.

3. Власть армян. «танутера» и ишхана — правителя области зиждилась на территориальной основе.

4. Сохраненные армянскими историками рассказы об истреблении целых родов за проступки одного сочлена объясняются кровной родовой местью и принципом не индивидуальной ответственности, а родовой.

Сословное различие в древнейшую эпоху Грузии основывалось на численном превосходстве родов, а сообразно с этим и их силе.

6. В эпоху Страбона несвободным населением в Грузии владел царский род, на земле которого оно жило и отбывало повинности натурой.

7. Армян. «нахарары», «азаты», «рамики» и «востаники» составляли свободные сословия, «шинаканы» — несвободное население.

Печатается по определению факультета Восточных языков: 13 апреля 1907 г.

Секретарь Факультета В. Бартольд

Типография Императорской Академии Наук (Вас. Остр., 9 лин., № 12).

პირველი გულისხმიერი გამოხმაურება ივ. ჯავახიშვილის აღნიშნულ მონოგრაფიაზე იყო გ. მურადიანის წერილი, რომელიც სოლიდურ არმენოლოგიურ ჟურნალ „არარატში“ დაიბეჭდა 1905 წ.

---

*) კაფედ. ეგზემპლარში მინაწერი ეკუთვნის ვარლამ დონდუას. მისვე ეკუთვნის ამ ფურცლის ბოლოში შენიშვნა ფანქრით — „ეს ფ. შემთხვევით პოვნილია ჩემგან ლ-გრადს, 192... წ. ქაღალდებში... ვ. დ.“. წიგნის დონდუასეულ ცალში ჩაკრულია აღნიშნული „დებულებები“. ასეთი მინაწერებით წიგნი დაცულია ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, პროფ. ვ. დონდუას სახ. კაბინეტში.

წერილში გადმოცემული იყო ავტორის კვლევის შედეგები, დასკვნები; ავტორი სათანადოდ აფასებდა ახალგაზრდა მეცნიერის დამსახურებას[1].

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტები იყვნენ ნ. მარი და ვ. ბარტოლდი. მათი რეცენზიის ასლი დაცულია ივ. ჯავახიშვილის არქივში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (№ 754).

წიგნში წამოყენებული დებულებები ივ. ჯავახიშვილისავე მერმინდელ ნაშრომებში ძირითადად განმეორდა ნაწილობრივი დაზუსტებით (იხ. ქართ. სამართლის ისტორია, წ. I, 1928 წ. კარი მესამე, თავი IV—VI).

ზემოთ შენიშნული გვქონდა, რომ 1908 წ. გამოქვეყნდა ნ. ადონცის „სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში" (რუს. ენაზე).

იმ წლების შემდეგ მრავალი მონოგრაფია და საყურადღებო ნარკვევები დაიწერა ქართულსა და სომხურ ისტორიოგრაფიაში, — ყველა მათგანის აქ ჩამოთვლა, ვფიქრობთ, საჭირო არაა. ამისგან ჩვენ გვანთავისუფლებს 1970 წ. გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. I, გ. მელიქიშვილის რედაქციით, და 1971 წ. გამოქვეყნებული „სომეხი ხალხის ისტორია" ტ. I, ს. ერემიანის რედაქციით; ამ აკადემიურ გამოცემებში დასახელებულია მდიდარი ლიტერატურა, ძველი სომხეთისა და ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურსა თუ პოლიტიკურ-კულტურულ ისტორიას რომ ასახავს.

93. „საქ. მეფე..." გამოიცა თბილისში 1905 წ. პირველად დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში" (1905 წ. №№ 2856, 2859, 2860, 2862, 2866). ამ თემაზე ივ. ჯავახიშვილს მოხსენება წაუკითხავს 1904 წ. 16 დეკემბერს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე. მოხსენების მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე დაიბეჭდა კიდეც — «Царь и история царской власти в Грузии в VIII—XIII вв.», Записки Вост. отделения Русского арх. общества, ტ. XVI, ნაკვ. II—III, 1905, გვ. XL—XCII).

ნაშრომი ავტორს დაყოფილი ჰქონდა თავებად მხოლოდ რიგითი ნომრების მიხედვით, სათაურები ამ თავებისა კი გატანილი ჰქონდა „შინაარსში", ბოლოში. ჩვენ ავტორის მიერვე მოცემული დასათაურებანი შემოვიტანეთ ტექსტში და ტომის საერთო შინაარსშიაც ავიტანეთ.

94. „ჩვენს გამოკვლევაში" ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას" (რუსულ ენაზე).

95. დასახელებული სათაურით ცალკე გამოკვლევა არ გამოქვეყნებულა. მეცნიერის მსჯელობა ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებაზე X—XIII ს-ში მოცემულია „ქართველი ერის ისტორიის" II ტომში, კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილ თავებში.

96. მოტანილი წარწერა დავაზუსტეთ თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ 1912 წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით (იხ. «К вопросу о времени построения грузинского храма в Атене. «Христианский Восток», ტ. I, ნაკვ. 3, 1912, გვ. 286, 289—290).

97. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ქართული სახელმწიფო სამართლის ბრწყინვალე ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელიც ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა 1908 წ. და ეს მაშინვე გაიგო ივ. ჯავახიშვილმა (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა, 1970 წ., გვ. 1). „ხელმწიფის კარის გარიგება" ივ. ჯავახიშვილს აქვს განხილული თავის „ქართული სამართლის ისტორიაში" (წ. I, 1928 წ., გვ. 62—67). გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილის დაუმთავრებელი ნარკვევი ამ ძეგლზე, და მისივე შენიშვნები ძეგლის თაყაიშვილისეული გამოცემის აშიებზე, გამოაქვეყნა აკად. ყაუხჩიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის" IV ტომის დამატების სახით (იხ. IV ტომის 1967 წ. გამოცემა).

98. ივ. ჯავახიშვილი ანალოგიურად მსჯელობს „ქართული სამართლის ისტორიაშიც" (წ. II, ნაკვ. II, 1929 წ.). ავტორის ეს შეხედულება არსებითად გაიზიარეს ა. კიკვიძემ (საქართველო XII საუკუნეში, თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 167), ს. მაკალათიამ (თამარ მეფე, 1942 წ. გვ. 15—17), ი. პეტრუშევსკიმ (Городская знать в государстве хулагидов, С В, V, 1948, გვ. 97). ამავე საკითხზე იხ. აგრეთვე: ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952 წ., გვ. 428, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1958 წ. გამოც., გვ. 197, შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962 წ., თავი V, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თავი V და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის ნარკვევი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია" ნაწილობრივ გადამუშავებული სახით შევიდა „ქართული სამართლის ისტორიაში" (წ. II, ნაკვეთი II, 1929 წ.).

---

[1] С. Т. Еремян, П. М. Мурадян, Вопросы арменистики в трудах акад. И. А. Джавахишвили, 95.

მიუხედავად ამისა, როგორც შესავალ ნაწილში ვთქვით, ამით 1905 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომს თავისი ორიგინალური ხასიათი არ დაუკარგავს. ეს უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ავტორი მაშინ ერთ მთლიანობაში განიხილავდა სოციალური და პოლიტიკური წყობილების საკითხებს. მეცნიერის არქივში (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი) დაცულია 1905 წ. გამოცემული წიგნის ეგზემპლარი (№ 162), რომელიც ავტორს თავისი ხელით უსწორებია.

იხ. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის «Грузия» (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები), წერ. III, 1906 წ., გვ. 427—429, სადაც ავტორი გადმოსცემს ზემოთ აღნიშნული მისივე ნაშრომის დასკვნებს.

99. პირველად გამოქვეყნდა 1907 წ., თბილისში. წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოებია IX—XIII სს.

100. აქ იყო „IX" საუკუნე ნაცვლად XI-ისა, რაც უნებლიე (კორექტურული) შეცდომის ნაყოფი ჩანს და რიცხვის ნიშანთა (I და X) გადაადგილების შედეგია. ლეონტი მროველისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნარკვევში, რომელიც „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაშია" შესული, ივ. ჯავახიშვილის მას XI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ თვლიდა (1945 წ. გამოც., გვ. 171—184). ამ საგანზე იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960 წ., გვ. 236—243 და გ. გაჩეჩილაძის — ლეონტი მროველის 1066 წლის სამშენებლო წარწერა (საქ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961 წ. № 1, გვ. 239—262).

101. „საეკლ. მუზ. გამ."—იგულისხმება „ათონის ივერთა მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით." საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. თბილისი, 1901 წ. იქვეა დამატების სახით გამოქვეყნებული გიორგი მთაწმინდელისა და ილარიონ ქართველის ცხოვრება.

102. ნიკორწმინდის საბუთის უკანასკნელი პუბლიკაციები: მ. ბერძნიშვილის (იხ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1962 წ., გვ. 25—42); ი. დოლიძის (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970 წ., გვ. 27—33).

103. იხ. ი. დოლიძის დასახ. პუბლიკაცია, გვ. 165. ამ წიგნში გამოქვეყნებულია XI—XIX სს. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები.

104. ბექა და აღბუღას სამართლის პუბლიკაცია იხ. წიგნში — ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953 წ.

105. „ძეგლის წერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ" (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის გამოც., 1970 წ. გვ. 105).

106. M. Brosset, Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848, SPb, I, 1849; II, 1850; III, 1851. ამ შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს I ტომში შესულ VII მოხსენებას. აქ შეცდომით იყო მითითებული გვ. 90 ნაცვლად 91-სა.

მარი ბროსეს გამოქვეყნებული ქართველოლოგიური და არმენოლოგიური ნაშრომების ბიბლიოგრაფია ერთვის შ. ხანთაძის მონოგრაფიას „მარი ბროსე" (თბილისი, 1966 წ., გვ. 170—203).

107. ციფრების შემდგომი დაზუსტება მოცემულია ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიაში (XI—XV საუკუნეები), თბ. 1949, გვ. 96; შემდგომი დაზუსტებანი იხ. ნარკვევებში: ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, 1, 1967 წ. „ჰამდალლაჰ ყაზვინის ერთი ცნობის გამო", გვ. 141—145 და რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალლაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება). დაიბეჭდა კრებულში „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბილისი, 1976 წ.

108. Дестунис Спиридон (комментарии Гавр. Дестуниса). Прокопия Кесарийского История войн Римлян с Персами, вандалами и готами: ა) История войн Римлян с Персами, кн. I—II, СПб, 1886—1890, ბ) История войн с вандалами, кн. I, СПб, 1891 (იხ. სიმ. ყაუხჩიშვილის, გეორგიკა, ტომი მეორე. მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1965 წ. პროკოპი კესარიელის თხზულებათა თარგმანების სია, გვ. 42).

109. დაანგარიშების დროს დაშვებული შეცდომა გაასწორეთ ავტორისავე შემდგომი დაზუსტების მიხედვით (შდრ. „საქ. ეკონომიური ისტორია", 1907 წ., გვ. 75 და „ქართველი ერის ისტორია", ტ. III, 1966 წ., გვ. 342—343).

110. ქართველი ერის ისტორიის III ტომში ავტორი (გვ. 343) გაუთვალისწინებელი სულადობის საყარაულო რიცხვად, ნაცვლად აქ მითითებული ნახევარი მილიონისა (საქ. ეკ. ისტორია, 1907 წ., გვ. 75) მიუთითებს ერთ მილიონს.

111. ეკონომიური ისტორიის V თავში („საფასე და საზომი") მოცემული კვლევა-ძიება დაედო

საფუძვლად ავტორის მიერ 1925 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიის — „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია".

112. ქართული „საფასის" (მონეტის) შესახებ იხ. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950 წ. ამ წიგნს ერთვის „შრომების სია, რომელიც ქართული ნუმიზმატიკის შესახებ საჭირო ცნობებს შეიცავს" (გვ. 108—110).

113. „საზომის" შესახებ იხ. შენიშვნა № 111.

114. ქართულ „საზომთა" შესახებ, ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული მონოგრაფიის შემდეგ (შენიშვნა № 111) დავასახელებთ გ. ჯაფარიძის ნაშრომს — ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1973 წ., სადაც მიმოხილულია ამ საგანზე არსებული ლიტერატურა და წყაროები.

115. „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" გამოქვეყნებას უარყოფითად გამოეხმაურა ფილიპე მახარაძე (იხ. მისი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები": ჟურნ. „ცისკარი", 1907 წ. № 5, გვ. 11—13). რეცენზენტი ვერ ითვალისწინებდა ქართული ფეოდალიზმისმცოდნეობის განვითარების დონეს. გარდა ამისა, როგორც ჩანს, იგი ფიქრობდა, რომ XII საუკუნეში სასაქონლო წარმოების დაბალი სტადია არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის მსჯელობიდან (საშინაო და საგარეო ვაჭრობის ხელოსნური წარმოებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების შესახებ) ფ. მახარაძეს გამოუტანია არასწორი დასკვნა, რომ თითქოს ავტორი უარყოფდა XII საუკუნის საქართველოში ნატურალური მეურნეობის ბატონობას. სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

ფ. მახარაძე „ფანტასტიკურად" მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთვლილ რაოდენობას საქართველოს მოსახლეობისა XII—XIII საუკუნეებში. მას, ჩანს, ყურადღება არ მიუქცევია ამ გამოთვლისათვის არსებული ერთადერთი წყაროსათვის (1254 წ. აღწერა) და ივ. ჯავახიშვილის შენიშვნისათვის, რომ 5 მილიონი სული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფოს ვრცელ ფარგლებში, ხოლო საკუთრივ საქართველოში ამ რიცხვის ნახევარი შეიძლება ვიანგარიშოთო (საქ. ეკონ. ისტ., 1907 წ., გვ. 80).

„საქართველოს ეკონომიური ისტორია" 1906 წ. ნაწილობრივ იბეჭდებოდა „ივერიის" ფურცლებზე (№ 22, გვ. 12—16, № 26, გვ. 10—12). 1907 წ. ივ. ჯავახიშვილს ამ თემაზე საჯარო ლექცია წაუკითხავს, რის შესახებაც დაიბეჭდა ცნობილი მოღვაწის ალ. ფრონელის ინფორმაცია გაზეთ „ისარში". ინფორმაციაში გადმოცემულია ლექციის შინაარსი (იხ. დ. გვრიტიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, თბილისი, 1968 წ., გვ. 25. გაზ. „ისარი", 1907 წ., 7 იანვარი).

„საქართველოს ეკონომიურ ისტორიას" ივ. ჯავახიშვილმა, როგორც ცნობილია, 1930—1935 წლებში ორი დიდი ტომი მიუძღვნა. ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცალკეული საკითხების შესწავლა საკმაო წარმატებით მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგაც. მაგალითისათვის დავასახელებთ შ ო თ ა მ ე ს ხ ი ა ს მონოგრაფიას „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ფეოდალურ საქართველოში", რუსულ ენაზე (თბილისი, 1959 წ.), სადაც უმთავრესად განხილულია XVII—XVIII სს. ვითარება, მაგრამ თვალსაჩინო ნაწილი ეთმობა ადრეულ პერიოდსაც (გვ. 9—102).

არსებობს აგრეთვე მრავალი სტატია და ცალკეული ქალაქებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები (ა. აფაქიძე, ლ. ჭილაშვილი, დ. მუსხელიშვილი...), ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები, კერძოდ, IV—X სს. საქართველოს ეკონომიური განვითარების კვლევა-ძიებაში, შეჯამებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომში (თბილისი, 1973 წ.).

იხ. აგრეთვე: შ ო თ ა მ ე ს ხ ი ა ს ნარკვევი — „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხები" (ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, 1976 წ.); პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები (გაზ., „თბილისის უნივერსიტეტი", 1976 წ., 7. X).

116. დაიბეჭდა პირველად 1908 წ. (Известия Императорской Академии Наук, II, № 5, გვ. 433—446; II, № 6, გვ. 511—536, სანკტ-პეტერბურგი).

ამ ნაშრომის შესახებ ავტორი 1928 წელს შენიშნავდა: „1908 წ. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში გამოვაქვეყნე 1902 წელს დაწერილი მონოგრაფია „საქართველოსა და სომხეთის განხეთქილების ისტორია VII ს. დამდეგს...", რომელიც სომხური წყაროების კრიტიკულ შესწავლაზე იყო დამყარებული" (ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928 წ., გვ. 348; 1960 წ. გამოც., გვ. 376—377. იქვე ივ. ჯავახიშვილს მიმოხილული აქვს საგნის გარშემო არსებული ლიტერატურა).

დასახელებული გამოკვლევის დახასიათება მოცემულია ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომში „აკად. ივ. ჯავახიშვილი და არმენოლოგია" (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, 1958 წ.).

ივ. ჯავახიშვილი თვითონ მიუთითებდა ერთ საკითხზე, რომლის გამოკვლევა მას აუცილებლად მიაჩნდა განსახილველი პრობლემის სრულყოფილად შესწავლისათვის. ეს იყო X ს. სომეხი ისტორიკოსის უხტანესის თხზულებაში შეტანილი ეპისტოლეების შედარება „ეპისტოლეთა წიგნთან", რომელიც თბილისში გამოიცა 1901 წ. და რომელ წერილებსაც თავის დროზე ეყრდნობოდა უხტანესი. „პირადად ასეთი შრომა, — დასძენდა ავტორი, — დამზადებული მქონდა, მაგრამ 1918 წ. მთელ ჩემ, პეტერბურგიდან მომავალ, წიგნთსაცავთან ერთად დამეკარგა. ამ მიმოწერის კრიტიკულად აღდგენა აუცილებელი, მორიგი საკითხია" (ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960 წ. გვ. 376). ეს ანდერძი შეასრულა ზ. ალექსიძემ, რომელმაც „ეპისტოლეთა წიგნის" სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა 1968 წ. (გამომც. „მეცნიერება", თბილისი). ზ. ალექსიძემ ასეთივე წესით გამოსცა, აგრეთვე, უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან" (გამომც. „მეცნიერება", თბილისი, 1975 წ.).

117. შეადარე: ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 88; მისივე, უხტანესის „ისტორია...", გვ. 132.

118. ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 32, 1.

119. ზ. ალექსიძე, უხტანესის „ისტორია...", გვ. 30.

120. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი, გვ. 91—100; მისივე, უხტანესის ისტორია, 134—141.

121. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი, გვ. 1; მისივე, უხტანესის ისტ., 52.

122. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი 67; უხტანესი, 122.

123. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი, 2; უხტანესი, 52.

124. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი, 33—34.

125. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი, 70—71; უხტანესი, 126.

126. ზ. ალექსიძე, ეპისტ. წიგნი, 43.

127. პირველად დაიბეჭდა 1912 წ. (Журн. «Христианский Восток», ტ. I, ნაკვ. 3, გვ. 277—293).

127ა დასახ. ნაშრომი დაიბეჭდა ასეთი სათაურით: «Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусств и мат. культуры в древнегрузинской литературе». Журн. «Христианский Восток», 1914, т. III, вып. I.

127ბ თოლოსის შესახებ აქ გამოთქმული სავარაუდო მოსაზრება დაზუსტდა მოგვიანებით. გაირკვა, რომ თოლოსის სამშ. მოღვაწეობას ადგილი ჰქონდა ამ სიონის მშენებლობის II, სარესტავრაციო პერიოდში, X ს. მიწურულში. (იხ. გ. აბრამიშვილის „ატენის სიონის ორი სამშენებლო პერიოდი", „მაცნე", ისტ. სერია, 1972 წ., № 1; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978 წ., გვ. 10, 110).

ატენის სიონის შესახებ ახალი მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან, ზემოაღნიშნულს გარდა, დავასახელებთ რამდენიმეს: Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948, გვ. 44—49; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბილისი, 1957; Т. В. Вирсаладзе, Первоначальная роспись Атенского Сиона... (Седьмая всесоюзн. Конференция византинистов в Тбилиси, 13—18 декабря 1965 г. Тезисы докладов, Тбилиси, 1965 г.; П. Мурадян, Армянская надпись храма Джвари (Вестник отд. общественных наук АН Армянской ССР, 1968, № 2); И. Абуладзе, Замечания по поводу статьи П. Мурадяна «Армянская надпись храма Джвари») ჟურნ. „მაცნე", 1968, № 4; იქვე, М. Лордкипанидзе, К вопросу о надписях храма Джвари в Мцхета; В. Беридзе, Письмо в редакцию журн. «Мацне» („მაცნე", 1970, № 6).

128. „მოკლე მიმოხილვა" გამოქვეყნდა ენციკლოპედიაში — Энциклопедический словарь Т-ва «Бр. А. и И. Гранат и К». Седьмое переработанное изд., том семнадцатый, 192—231. იგი დაწერილია არა უგვიანეს 1912 წლისა.

129. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქართველები დღევანდელ ტერიტორიაზე წინაქრისტიანულ ხანაში, სამხრეთიდან, გადმოსახლდნენ. ამ შეხედულების მიმდევრები შემდეგშიც აღმოჩნდნენ (მაგალითისათვის დავასახელებთ: Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей кавказского причерноморья в эпоху неолита и бронзы. Труды АБНИИ, XXIX, 1958. თავის მხრივ ავტორი დასძენს, რომ ქართველთა ძლიერი ტომი ახლანდელ ტერიტორიაზე უნდა გადმოსახლებულიყო დაახ. ძვ. წელთაღრიცხვის 2000 წ.).

„გადმოსახლების თეორია" უარყო ჯერ კიდევ აკად. ს. ჯანაშიამ (იხ. მისი რედაქციით გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, 1946 წ.).

თანამედროვე არქეოლოგიური და ლინგვისტური ძიების გაფართოების შედეგად ქართულ საბჭოურ ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება, რომ ქართველები თავიანთი მიწა-წყლის უძველესი ბინადრები არიან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე განვითარებას უძველესი დროიდანვე ავტოქტონური ხასიათი ჰქონდა. (Г. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გ. მელიქიშვილის რედაქციით, 1970 წ.).

130. ტირი — ფინიკიელთა უძველესი ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. VII საუკუნემდე (არაბთა შემოსევამდე) ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ცენტრი იყო.

131. ტექსტში ეწერა 532 წ., რაც, როგორც ჩანს, უნებლიე შეცდომა იყო. ქართველი ერის ისტ. I წიგნში, რომელიც ამ ნაშრომის თითქმის ერთდროულად დაიწერა, მითითებულია 523 წ. (იხ. დასახ. ნაშრ., 1960 წ. გამოცემა, გვ. 246).

132. „ქართველი ერის ისტორიის“ III წიგნში (1941 წ., გვ. 162) ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „გიორგი V-ის გამეფების თარიღად“ ვახუშტი მიუთითებდა 1318 წ., „მაგრამ ნამდვილად თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მას გაცილებით ადრე უნდა დაეწყო“. მეცნიერმა ეს თარიღი დააზუსტა უკანასკნელ ნაშრომში (იხ. საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, სტამბური გამოცემა, 1940 წ., ხელნაწერის უფლებით, ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ნაკვეთი, გვ. 234), სადაც გიორგი ბრწყინვალის გამეფების თარიღად მითითებულია 1316 წ.

133. ივ. ჯავახიშვილი აზუსტებს — „ძეგლის დადება“ (ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941 წ., გვ. 164).

133ა. აქ იგულისხმება ქართული „თეთრი“ (დაახლოებით უდრიდა ვერცხლის 8 მანეთს).

134. XV ს. ბოლოს მოხდა საქართველოს დაშლა სამ სამეფოდ (ქართლის, კახეთისა და იმერეთის) და ერთ სამთავროდ — სამცხე-საათაბაგოდ. განკერძოების გზაზე იყო ერთი დიდი სამთავროც — საბედიანო. დანარჩენი სამთავროები დამოუკიდებლობას აღწევენ XVI—XVII საუკუნეებში.

135. 1614—1617 წლებში ირანელთა 4-გზისი შემოსევის შედეგად კახეთი განადგურდა: 100 ათასამდე კაცი ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო 200 ათასამდე დატყვევებული ქართველი დამპყრობლებმა ირანის შიდა პროვინციებში გადაასახლეს (მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა, გ. ჯამბურია, ქ. ჩხატარაიშვილი და სხვ. საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV, 1974 წ., გვ. 272—273).

136. XVII საუკუნის ასეთი დახასიათება მაშინ არ ითვალისწინებდა მეორე მხარეს — სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას ამ საუკუნის 30-იანი წლებიდან. ცოტა უფრო მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილმა რამდენადმე შეარბილა უარყოფითი აქცენტი XVII საუკუნის გარკვეული პერიოდის მიმართ: „ქართლში მისვლისთანავე (როსტომ მეფე, მ. დ.) სახელმწიფოს ბატონ-პატრონის საღმა გრძნობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველობას შეუდგა. ამ ნიადაგზე მასა და სპარსეთის ჯარის სარდლობას შორის თითქმის პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე შეურიგებელი უთანხმოება ჩამოვარდა...“ „როსტომ მეფემ თავისი წინდახედული, მშვიდობიანი ქცევით ქართლელნი დაამშვიდა“ (იხ. ქართველი ერის ისტორია, წ. V, 1953 წ., გვ. 31). იხ. აგრეთვე — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1974 წ., თავი VI, § 1.

137. ავტორი გადმოგვცემს ფაქტობრივ მასალებს პოლიტიკურ-ისტორიულ ფონზე და წერილის სპეციფიკურობის გამო საჭიროდ არ მიიჩნევს იმსჯელოს 1783 წ. ტრაქტატის დადებით მხარეებზე. კერძოდ, ტრაქტატის მომდევნო მოვლენებისადმი ავტორის დამოკიდებულება სავსებით ემთხვევა იმ დროის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა და ოფიციალურ ისტორიკოსთა მსჯელობას. აქ მოვიტანთ მხოლოდ ერთ დიდმნიშვნელოვან საბუთს — ამონაწერს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს 1801 წ. 8 აგვისტოს სხდომის ოქმიდან: «Простая протекция, какую давала Россия Грузии, вовлекла сию несчастную землю в бездну зол, которыми она приведена в совершенное изнеможение...» (Архив Государственного Совета, т. 3, СПб, 1878 г., стр. 1197).

1783 წ. ტრაქტატის შესახებ იხ. ი. ცინცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი, თბ. 1960 წ., ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965 წ.; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მ. დუმბაძის რედაქციით, თბილისი, 1974 წ; О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в. М. 1966.

138. იხ. მამია დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება). თბილისი, 1957 წ.

139. ავტოკეფალიის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა სპეციალური წერილი — «Автокефалия. Автокефалия грузинской церкви» (იხ. Политическая энциклопедия.

Под ред. Л. З. Сломинского, I, СПб, 1907 г., გვ. 598—602). ამავე საგანზე იხ. აგრეთვე: Н. Я. Марр. Исторический очерк грузинской церкви (журналы и протоколы заседаний Предсоборного присутствия, т. III, СПб. Журнал I дек. 1906 г.).

140. 1832 წ. შეთქმულებას ივ. ჯავახიშვილი შედარებით ვრცლად ეხება ნაშრომში «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в». (СПб, 1906 წ.), სადაც შესანიშნავად ხსნის ამ მოძრაობის წარმოშობისა და მისი დამარცხების უმთავრეს მიზეზებს (ეს ნაშრომი მეორედ გამოიცა „ქართველი ერის ისტორიის" მეხუთე წიგნში, თბილისი, 1953 წ. 98—129).

შეთქმულების შესახებ მდიდარი ლიტერატურა (გ. გოზალიშვილის, ა. სურგულაძის, ლ. ებანოიძის, მ. გოცაძისა და სხვა) ასახულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" ზემოთ დასახ. IV ტომში.

141. ავტორის ეს დასკვნა არსებითად ეხება პერიოდს XIX ს. დამდეგიდან ვიდრე ამ საუკუნის 30-ან წლებამდე. ამ პერიოდში ქართული კულტურული ცხოვრება მართლაც შეფერხებული იყო. რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებითი მხარეები უფრო თვალსაჩინო ხდება 30—40-იანი წლებიდან.

142. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ შედეგებზე — „საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ ცვლილებებს განიცდიდა, ძველი საფუძვლების რღვევა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა" (იგულისხმება XIX ს. შუა პერიოდი).

143. ავტორს მიმოხილვაში არ შემოაქვს სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყება. ეს შეიძლება იმითაც აეხსნათ, რომ იგი გამოყენებული ლიტერატურის სიაში ასახელებს თავის ნაშრომს — «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.», სადაც იგი აღნიშნულ აჯანყებაზე საკმაოდ ვრცლად მსჯელობს (ქართველი ერის ისტორია, წ. V, 1953., გვ. 120—122).

144. მივაქცევთ სპეციალისტების ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის დებულებებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ცალკეული ეტაპების შესახებ: პირველი ილუზიები თვითმპყრობელობის პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაში; ნაროდნიკები; 1893 წ. შექმნილი „მუშათა პარტია" ხალხის სათავეში, ხალხის დარაზმვა და გაძღოლა; მასობრივ მოძრაობაში პოლიტიკური მიზნების წინა პლანზე წამოწევა და სხვა (გვ. 37—39).

145. 1904—1906 წწ. მოძრაობის საკითხებს ავტორი უფრო ვრცლად ეხება ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (იხ. შენიშვნა № 140).

146. იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის „საქ. ისტორიის" 1908 წ. გამოცემა.

147. ასეთი შენიშვნა ს. ავალიანის 1910 წ. ნარკვევზე ალბათ გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ივ. ჯავახიშვილს, როცა იგი ენციკლოპედიისათვის წერდა ამ ნარკვევს (1911 წ. ბოლოს, როგორც ეს ტექსტიდან ჩანს) ხელთ ვერ ჰქონებოდა ს. ავალიანისავე ვრცელი მონოგრაფია, რომელიც 1912 წ. ქ. ოდესაში გამოქვეყნდა — «Крестьянский вопрос в Закавказье, т. 1. Крепостное право и история крестьянской реформы в Тифлисской и Кутаисской губерниях».

148. რეცენზია ე. თაყაიშვილის ნაშრომზე დაიბეჭდა ჟურნ. «Христианский Восток», 1912 г., т. 1, вып. I, с. 99—104.

149. რეცენზია ე. პახომოვის ნაშრომზე გამოქვეყნდა დასახ. ჟურნალში — ტ. I, ნაკვ. I, 1912, გვ. 104—114.

შემოკლებათა განმარტება

ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი — ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფ. 1890.

ალიშანი, შირაკი — ღ. ალიშანი, შირაკი. ვენეცია 1881 (სომხურ ენაზე). აღვადგინე — მ. ჯანაშვილი, აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ქრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, ტფ., 1891.

ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა — ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, ტფ., 1891.

ბატონყმობა საქართველოში — ა. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის და XVII და XVIII საუკ. ფულის შედარება ჩვენი დროის ფულთან, ტფ., 1890.

გიორგის ცხოვ. — გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება (დამატების სახით ერთვის კრებულს — „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით“. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, ტფ., 1901).

გრიგ. ხანძთ. ცხოვ., ნ. მარის გამოცემა — Н. Марр. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, СПб. 1911.

დასტურლამალი — დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პ. უმიკაშვილის რედ., ტფ., 1889.

ვახუშტის გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოცემა — ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა საქართველოისა, წ. I, ტფ., 1892; წ. II, 1895 წ.

ვახუშტი, საქ. ისტ. — ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, დ. ბაქრაძის რედ., ტფ., 1885.

ისტ. საქ. დ. ბაქრაძის — დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889.

ისტ. საბ. შიო მღ. — თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა. ტფ., 1896.

მარიამ დედ. ვარ. — ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906.

მოქც. ქართ. სამი ისტ. ქრ. — ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა. ტფ. 1890.

მოქცევაჲ ქართლისაჲ — თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. წიგ. I, ტფ., 1892.

სამი ისტ. ქრ. — იხ. მოქც. ქართ. სამი ისტ. ქრ.

საქართველოს ისტორია, მ. ბროსე — მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ, ტფ., 1895.

საქ. სამოთხე — გ. საბინინი, საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა ღვაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის იევრიელის გობრონ (მიხეილ) პავლეს ძის საბინინის მიერ. პეტერბ., 1882.

საქ. სიძვ. I — საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედ. ტ. I, 1899.

სუმბატის ქრონიკა — იხ. სამი ისტ. ქრ.

ქართ. ცხ., ე. თაყაიშვილის გამოც. — ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906.

ქართ. ცხ., ჭიჭინაძის გამოც. — ქართლის ცხოვრება, ტ I, ზ. ჭიჭინაძის რედ., ტფ., 1897.

ქართ. მოქც. ქრონიკა — იხ. „სამი ისტ. ქრ“.

ქრონ. I, II — თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგ. I, ტფ., 1892; წიგ. II, ტფ., 1897.

შატბერდისეული ცხოვრება — იხ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“.

შიო მღ. ისტ. საბ. — იხ. „ისტ. საბ. შიო მღ“.

ძეგლის დება — ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, ნ. ურბნელის რედ., ტფ. 1890.

წმ. ნინოს ცხოვრება — იხ. „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“.

ჭიჭინაძის გამოც. — იხ. „ქართ. ცხ., ჭიჭინაძის გამოც“.

მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა — მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 1, 1900.

Агвадгине — М. Джанашвили, Агвадгине (на груз. яз.). Тиф., 1891.

Археолог. экскур., I — Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, Тиф. 1905.

Бакрадзе, Археол. путеш. по Гурии и Адчаре — Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878.

Броссе, История Грузии — М. Броссе, История Грузии (на груз. языке), изд. С. Гогоберидзе. Тиф., 1895.

Вахушти, История Грузии — Вахушти, История Грузии, ч. I, изд. Д. Бакрадзе (на груз. яз.), Тиф. 1885.

В. В. — «Византийский Временник».

Гос. строй И. Джавахишвили, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПБ, 1905.

Дворянские Грамоты — Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты. Тиф., 1881.

Джанашвили, Груз. лит. — Джанашвили, Грузинская литература (на груз. яз.), I. Тиф., 1900.

Джанашвили, Изв. груз. Лет — М. Джанашвили, Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, СМОМПК, т. 22, 1897.

Джанашвили, История груз. церк., кн. I — М. Джанашвили. История грузинской церкви, кн. I, 1898.

Древн. Вост. Моск. арх. об. — «Древности Восточные», императорского Московского археологического общества.

Еллинек, Право современного государства — Еллинек, Общее учение о государстве, т. I, 1903.

Ж. св. Нины — см. Е. Такайшвили, Новый вариант жития св. Нины (на груз. яз.), Тиф., 1891.

Житие Иоана и Ефимия — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, ტფ., 1901.

Житие Георгия — იხ. „გიორგის ცხოვრება".

ЖМНП — «Журнал Министерства Народного Просвещения».

Закон и обычай на Кавказе — М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, М., 1890.

Законы — Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, под ред. Д. Бакрадзе, 1887.

Зап. Вост. отд. ЗВО — см. ЗВОРАО.

ЗВОРАО — Записки Восточного отделения Российского археологического общества.

ИАН — Известия Академии Наук.

Карт. Цх. ред. Марии — იხ. „ქართ. ცხ., ე. თაყაიშვილის გამოც".

Карт. Цхов. изд. З. Чичинадзе — იხ. „ქართ. ცხ. ჭიჭინაძის გამოც."

Латышев — Латышев В. В., Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Греческие писатели. «Записки Имп. русск. археологичес. общества», 1893, 1896 — Лат. писатели («Записки Кавк. отд. Имп. русского археологического общества», II. 1).

Марр, Два груз. одописца — Н. Марр, Древнегрузинские одописцы, I, II. СПБ, 1902. ТРА ГФ, кн. 4.

Марр, Из книги царевича Баграта — Н. Марр, Из книги царевича Баграта, ИАН, 1899, т. X, № 2.

Марр, Из поездки на Афон — Н. Марр, из поездки на Афон, ЖМНП, 1899, Ш.

Марр, Сборники притч Вардана — Н. Марр. Сборники притч Вардана, Материалы для истории средневековой армянской литературы, ч. I, СПб., 1899.

Марр, Хитон Господень — Н. Марр, Хитон Господень, в книжных легендах армян, грузин и сирийцев. Из Сборника учеников проф. В. Р. Розена. СПБ., 1897.

Новый вариант Ж. Нины — იხ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა".

Пал. сбор. — Православный палестинский сборник.

Порфирий. Восток Христ., Сирия — Порфирий, Восток христианский, Сирия (В «Трудах Киевской Духовной академии», 1874—1875).

Пурцеладзе, Двор. грам. — Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тиф., 1881.

Пурцеладзе, Крест. грам. — Пурцеладзе, Грузинские крестьянские и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ, Тиф. 1882.

Сабинин, Рай Грузии — გ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882.

Сборник законов груз. царя Вахтанга — Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, под ред. Д. З. Бакрадзе, 1887.

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

Сооб. прав. пал. об.—Сообщения Православного Палестинского общества.

Тексты и разыск. — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии (ТРАГ/Ф).

Три истор. хр. — იხ. „სამი ისტ. ქრ.".

Три хроники — Е. Такайшвили, Источники грузинских летописей — Три хроники (СМОМПК, вып. XXVIII, Тиф. 1900)

Халатьянц, Арм. Арш. — Т. Халатьянц, Армянские Аршакиды в истории Моисея Хоренского, М. 1903.

Хаханов, Источники по введ. христ. в Грузии — А. Хаханов, Источники по введению христианства в Грузии («Древности Восточные», Московского археологического. с 1722 по 1803 год, I, II, СПБ, 1896. общества, т. I, вып. III, М.; 1893).

ХВ — Христианский Восток.

Хроника Сумбата — Е. Такайшвили, Источники грузинских летописей. Три хроники, СМОМПК, вып. XXVIII, 1900.

Хроники, I, II. — იხ. „ქრონ., I, II".

Цагарели, Свед. — А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПБ, 1886, т. I, вып. III, СПБ, 1894.

Чубинов, Груз. Хрест. — Д. Чубинов, Грузинская хрестоматия, ч. I, СПБ, 1894.

Brosset. Voyage—Brosset M., Rapportz sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—48, SPB, I; 1849; II; 1850.

Patzus der Jberer—R. Raabe, Patzus der Jberer, Leipzig, 1895.

Hist. de la G. t. I—Brosset M., Histoire de la Géorgie, t. I, 1849.

SKPAW—Sitzungsbereichte der Löniglich Preusicheu Akademie den Wissenschaften, 19 1; ტ. 38.

АКАГК. — Акты, собранные Кавказской Археографической комиссіею.

Бурнашевъ. Картина — С. Д. Бурнашевъ, Картину Грузіи или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго, Тифлисъ, изд. Бъгичевъ, 1896 г.

С. Н. Бурнашевъ Новые Мат.=Новые Матеріалы для жизнеописанія С. Д. Бурнашева, бывшаго в; Грузіи съ 1783 по 1787 г., собраль и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С. Н. Бурнашевъ, СПБ. 1901 г.

6. ბუტკოვი Матеріалы=Ц. Г Бутковъ Матеріалы для новой исторіи Кавказа с 1722 по 1803 год, I, II, СПБ, 1869.

საძიებლები

ა) პირთა

აბაზ II 395
აბაზაძენი 226
აბას-ოღლი 484
აბიათარ მღვდელი, ურია (წმ. ნინოს თანამედროვე) 39, 41
აბოვი (მელიქი) 481
აბო თბილელი 206, 248, 271
აბუ აბდალლაჰ მუჰამმედ იბნ აჰმედ იბნ იუსუფ ალ-კატიბ ალ-ხვარეზმი 294
აბუ აბდალლაჰ მუჰამედ იბნ აჰმედ იბნ იუსუფ 295
აბულალი 208
აბულასადის ცოლი 243
აბულასანი 250
აბულაძე ი. 10
აბულ-ჰასან-ბეიხაყი 62
აბუსერი, „ციხისჯურისა და აწყურისა ციხის პატრონი" 215
აბხაზი ი. 484
ადამი (ბიბლ.) 111, 112
ადარნასე (ძე დავით კურაპალატისა) 207
ავალიშვილი ზ. 404, 413, 414
ავერიანოვი (გენ.) 494
ავეტისოვი ე. 484
აზონი 137
ათანასე თბილელი 406
აკვილა მტბევარი 261
ალექსანდრე მაკედონელი 285
ალ-ისტახრი 248, 249
ალისულთანი 466
ალიშანი 18, 85
ალ-მოქტაფი, მოქტაფი, ამირა მუყმინინა (ხალიფა მოქტაფის სახელია) 250
ალფარსლანი 273
ალ-ჯარრაჰ აბდალლაჰ 295
ამანელის ძენი 232
ამირა-მუყმინინა იხ. ალ-მოქტაფი
ამირანი (თქმულებიდან) 78
ამირმირმანი 268
ანა მღვდელი, ანა მღვდელმთავარი 39, 40
ანანია შირაქელი 293, 294
ანდრია პირველწოდებული, ანდრია მოციქული 39, 43—51, 78
ანვარი სოჰეილი 75
ანტიოქოს დიდი 469
ანტომ (sic) გნუნამი 140
ანტონ კათალიკოსი 399, 405, 467
ანტონი სალირისძე (მწიგნობართუხუცესი) 238, 246
ანტონ ჭყონდიდელი 213
არბუბა (არშუშა), ქართლის პიტიახში 135
არისტარქე 285
არტავასტ 140
არტაქსი 469
არღუნ ყაენი 279, 280, 283, 284
არშაკი (უფლისწული) 470
არშაკ IV 285
არჩილ მეფე 466
ასლან ალიხანი (ერევნის ხანი) 410
ასოღიკ 472
ასურელი მამები 73
აფრიდონი 119, 234
აფრიდონი „თმოგვისა და სხვათა ციხეთა პატრონობითა აღზევებული" 217
აფხაზი კ. 484
აღა-მაჰმედ ხანი 269, 277, 281, 419—425
აღბუღა ათაბაგი 241, 245, 251, 252, 257
აღსართან 273
აშოტ კურაპალატი 206, 207, 212, 216, 243
აშოტ ბაგრატუნი (სომეხთა ერისთავი) 472

ბაგრატ ბატონიშვილი 80
ბაგრატ III 207, 208, 210, 211, 225, 227, 266, 473
ბაგრატ IV 209, 215, 222—224, 226, 228, 245, 246, 249, 252, 253, 263, 268, 274, 286, 298
ბაგრატიონები (ტაო-კლარჯეთისა) 472
ბაგრატიონთა გვარი 206—208, 212
ბაკური 26, 34, 35, 41, 43—45, 205

---

[1] შეადგინა მ. ინასარიძემ

ბაკურიუსი (რუფინი) 32
ბალავარი, ბალაჰვარი 77
ბარათაშვილი მიხ. 484, 485
ბარათაშვილი სულხან 16
ბარამიძე ა. 10
ბარანიკოვი ა. 12
ბართოლდი ვ. 11, 12
ბასილი კეისარი 225, 226, 271
ბაქრაძე დიმიტრი 16, 44
ბახშინოვი მ. 484
ბეიხაკი იხ. აბულ-ჰასან ბეიხაკი
ბელაძორი (არაბი მწერალი) 295
ბენაშვილი ან. 497
ბერნჰაიმი ერნსტ 12, 13
ბექა ათაბაგი 241, 245, 251, 252, 257
ბიოკი ა. 293
ბოდენშტედტი 70
ბოლოტოვი 43
ბრატმანი (მეფე) 125
ბრეკი მიხეილ 45
ბროსე მ. 16, 32, 33, 40, 44, 46, 243, 265, 279, 281, 477, 491
ბუღა 77
ბურნაშევი 417, 460, 465, 467—469, 478, 479
ბუტკოვი ნ. 424, 478, 480, 487
ბუღა 331, 332

გაგიკ (კახთა მეფე) 209
გაგიკი (სომეხთა მეფე) 473
გაიანე 36—38
გარაგაშიანი 18
გაგაჭკორი ე. 495
გვარამ გოდერძისძე (ბეჭის ციხის პატრონი) 215
გიორგი ათონელი 23
გიორგი კაპადუკიელი 30, 31
გიორგი კათალიკოსი 220
გიორგი კურაპალატი 215
გიორგი ლაშა 286, 287
გიორგი მთაწმინდელი 47, 48, 57, 61, 62 242, 272
გიორგი მჭედელი 259
გიორგი (წმ.) 30
გიორგი I 209, 225, 228, 271, 272, 289
გიორგი II 212, 213, 221, 222, 227, 240, 247, 250, 252, 268, 274, 286, 289, 474
გიორგი III 230—232, 264, 265, 267, 269. 276, 277, 286, 287, 289, 290, 475
გიორგი IV 227 იხ. ლაშა-გიორგი
გიორგი V ბრწყინვალე 257
გიორგი XI 398, 399
გიორგი XIII (XII) 429—433, 481
გობრონი (წმ.) 472
გოგებაშვილი იაკობ 64—67, 69, 71—73, 75, 77—81, 84
გოდერძი ერისთავთ-ერისთავი 209
გოეთე 81
გოლუბინსკი 78
გორგასლისთა შვილნი 141
გორგოჯანიძე ფ. 400
გორდლევსკი ვ. 12
გრიგოლი (რომის პაპი) 61
გრიგორ მაგისტროსი (სომეხთა ისტორიკოსი) 85
გრიგოლ ნოსელი 10
გრიგოლ (სომეხთა განმანათლებელი) 37, 40, 41
გრიგოლ (ქართველთა მამასახლისი) 134
გრიგოლ ხანძთელი 56, 61, 212, 241—243, 255, 258, 259, 288
გრიგოლ (ქართლის ერისთავი) 245
გრუზინსკი (მისიონერი) 404
გუარამ მამფალი 56, 223, 472
გუარამი (სტეფანოზის შვილი) 206
გუზან („პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა") 217
გურამ ერისთავი 205
გურამიშვილი დ. 402
გურგენ (ბაგრატ რეგვენის ძე) 207, 286
გურგენ (ძე ფანასკერტელისა, ხუშპატის ძმა) 208, 286
გურგენ ერისთავთ-ერისთავი 223

დადიანი გრიგოლ (სამეგრელოს მთავარი) 419
დადიანი ვარდან („პატრონი ორბეთისა და კაენისა და ლიხთიქითი ნიკოფსიამდის"...) 217
დავით აღმაშენებელი 19, 58, 59, 62, 85, 86, 207, 209—213, 217—219, 221, 227—231, 233, 241, 242, 246, 249, 250, 252—254, 259, 262—265, 267—270, 278—281, 286—289, 293, 296
დავით აღმაშენებლის მემატიანე 218, 236, 253
დავითი (დიმიტრი I-ის შვილი) 230
დავითი (თეიმურაზ I-ის ძე) 395, 397
დავითი (ოვსეველთა მეფე) 61
დავითი (კახთა მეფე) 208
დავით კურაპალატი 207, 286, 289
დავით ნარინი (რუსუდანის ძე) 255, 293
დავით (სომეხთა მეფე გურგენის ძე) 473
დავით სოსლანი 287, 298
დელიბაში 489
დემეტრე მეფე (დავით აღმაშენებლის ძე) 62
დემეტრე მარზპანი (გაგის ციხის მფლობელი) 473
დემეტრე („ძმა ბაგრატისა") 226

დემეტრე, დემნა (გიორგი III-ის ძმისწული) 57, 230, 267
დემურჩი-ასანლუ 468
დესტუნისი 270
დიმიტრი I 230, 250, 267, 275
დიოკლეტიანე 37, 38
დოსითეოსი 50

ეღიშე 18
ევსტატე მცხეთელი 73, 205, 206, 250, 258 259
ევხერი 50
ეზრა (ანჩელი ეპისკოპოსი) 226
ეკატერინე II 406, 408, 411, 413, 415, 420, 422, 424, 425, 487
ეკხერი 51
ელიმიზროვი 484
ელიოზ მცხეთელი 39, 40
ელისაბედ პეტრეს ასული 406
ელენე დედოფალი 34, 36, 37
ელ-მუკადდასი 290
ერეკლე II 404—421, 423—425, 428, 427, 467, 469, 476, 478, 480—483, 488, 491
ერიბეკოვი 484
ეპიფანე მონაზონი 49, 50
ექვთიმე, ეუთჳმე 47, 247, 259, 263, 289, 295, 296, 458, 462
ეფრემ მცირე 48, 49, 62, 260

ვარამ გაგელი 277
ვარაზბაკური (გუარამის შვილი) 206
ვარაზვაჩე 244
ვარდანი 475
ვარდანის ძენი 232
ვასილევსკი 50
ვახტანგ გორგასალი 471
ვახტანგ V 479
ვახტანგ VI 295, 399—404, 462, 476, 478, 479, 485
ვახუშტი ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის ძე 16, 30, 250, 266—268, 281, 400, 460, 462, 465, 476—480, 485—487, 492
ვაჰრამ ფაჰლავუნი 85
ვაკშამაისძე 246
ვილჰელმ ტელი 77
ვოლინსკი 401
ვორონცოვი 489
ვორონცოვ-დაშკოვი ილ. (გრაფი) 484, 489

ზაბილონი 30, 31, 33, 35
ზანქან ზორაბაბელი 252
ზარიადრი 469
ზაქარია ვარდანის ძე 268
ზაქარია მხარგრძელი 277
ზაქარია ფანასკერტელი 216
ზახარიანცი 484
ზოსიმე (წმ.) 247, 264

თამარაშვილი მიხეილ 322
თამარ მეფე 22, 59, 210, 211, 215—217, 230—238, 242, 244, 246, 249, 250, 252, 253, 255, 259, 263—267, 270, 277, 278, 286, 287, 291, 293, 298, 475, 486
თამარ მეფის ისტორიკოსი 250, 265, 268
თარხანის ძე 345
თარხან-მოურავი 428
თარხონი 345
თეიმურაზ I 386—397
თეიმურაზ II 404—406, 487
თეოდორე (წმ.) 373
თეოდორიტე (ბერძენი საეკლესიო მწერალი) 25
თეოდოსი II 33
თეოდოსი (არქიეპისკოპოზი) 390
თეოლიპტოსი (კონსტანტინეპოლის პატრიარქი) 387
თეოფანე (იერუსალემის პატრიარქი) 387
თეოფანე ხუცესი 262
თეოფილაქტე ედესელი 45, 46, 259
თეოფილე (მიტროპოლიტი) 43
თომა 49
თორნიკე ერისთავი 285
თრდატი, სომეხთა მეფე, (წმ. ნინოს თანამედროვე) 37, 38, 40
თურქისტანოვი ბორის 402

იაკობი 41, 42
იაკობ დეკანოზი 261
იაკობ მღვდელი 29, 261
იაკობ შემოქმედელი 80
იან ჰუსი 65
იარედი (ბიბლ.) 112
იაჰია ანტიოქელი 272
იბნ-ალ-ასირი 253, 290
იბნ-ხალიკანი 282
იბრაჰიმ ხანი 420, 423, 481
იესო ქრისტე 35, 39, 40
იოანენკო 482
იზიუმსკი 484
ილია ჭავჭავაძე 7, 86
ინალიშვილი 484
იოანე 262, 263, 247, 259, 285, 288, 295, 296
იოანე აბაზასძე 474
იოანე ათონელი 62
იოანე ანტიოქელი (პატრიარქი) 48
იოანე ბატონიშვილი 49, 433

იოანე (ბანელი ეპისკოპოსი) 226
იოანე ვარდანისძე („პატრონი გაგისა") 217
იოანე მარუშისძე 207, 208
იოანე მოციქული 49
იოანე (მსახურთუხუცესი) 277
იოანე ოქროპირი 261
იოანე („ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი") 247
იობენალი 30—33, 35
იოდასაფი 77
იოსებ არიმათიელი 78
იოსებ ბულბაფაის ძე 256
იოსებ II (რომის იმპერატორი) 410
იოსელიანი პლატონ 16, 44
იოსუა მესვეტე 292
ისიდორე ისპალიელი 50
იუდა ისკარიოტელი 223
იუზბაშევი კ. 484

კაინან 112
კალინინი 489
კარამზინი 67
კარეევი ნ. 12
კარიჭაშვილი დ. 234—235
კაროიანცი 490
კაუფმანი 294, 297
კახა, კახაა 332, 333
კახა ერისთავთერისთავი 283, 284
კახაბერ კვირიკეს ძე (ერისთავი რაჭისა და თაკვერისა) 232
კახაბერ ძე ნიანიასი 274
კვირიკე (სომეხთა მეფე) 474
კირილე (პატრიარქი) 388
კირიონი 61
კნორინგი 431, 432
კოლაელნი 73
კონდაკოვი ნ. 259
კონსტანტი კეისარი (ბასილი კეისრის ძმა) 272
კონსტანტინე (აფხაზთა მეფე) 225
კონსტანტინე (ბიზანტიის კეისარი) 288
კონსტანტინე (ბასილი ბერძენთა მეფის ძმა) 286
კონსტანტინე მეფე 31—33, 36, 37, 40—42
კორვინ-პაველოვსკი 484
კრაჩკოვსკი ი. 12
კრემერი ალფრედ 271, 295
კუეპიო 294

ლაზარევი 489
ლაზარ ფარპეცი 18
ლამექ 112
ლანგლუა 18
ლაშა-გიორგი იხ. გიორგი-ლაშა
ლევან მეფე 466
ლეონტი მროველი 239, 260, 473
ლვოვი 408
ლინდნერი 70
ლიპარიტი 226, 227
ლიპარიტ ერისთავი 474
ლომონოსოვი 67
ლონგინოზ კარსნელი 39
ლოტფ-ხანი 420
ლუკა (სომეხთა კათალიკოზი) 481

მათე (ბიბლ.) 261
მათე ურბაელი 475
მათუსალა 112
მაკარი (კათალიკოზი) 205
მალიქშა 227
მარი ნ. 9, 11, 17, 72—81, 84, 86, 87, 212, 213, 242, 247, 254, 255, 271, 494
მარიამ დედოფალი 206—209, 213, 225, 230, 276, 279, 283, 284, 390
მარიამ მეგვიპტელი 262
მარტენი პ. 292, 293
მასუდი (ხალიფა) 250
მაულანა მუჰამმედ ალი ახტარაბადელი 82
მაყა („პატრონი კაიწონისა") 217
მაყაშვილი სვიმონ 406
მაჭავარიანი ი. 249
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 23
მელიქ-შაჰი 274, 275
მელქისედეკ კათალიკოსი 266, 291
მესროპ ტერ-მოვსესიანი (მღვდელი) 41
მეწატუნიანცი 490
მეჯლუმი (მელიქი) 481
მეჰრაბოვი ვ. 484
მეჰტი-ალა-სულთანოვი 484
მითრიდატი 285
მილიუკოვი 67
მირვან 126
მირზა მუჰამმედ ხადიყნამი ალმურავი 82
მირიან მეფე 23, 26, 28, 31, 33, 35, 40, 41, 43
მირიანი (ვასალი მეფისა) 215
მისენკო მ. 484
მიტკევიჩი 489
მიქაელ დალალისონელი 261
მიქელ 123, 262
მიქელ კათალიკოსი 232
მიქელ მემლვიძე 214, 220
მიშეცკი 395, 396
მიხეილ დუკა (ბიზანტიის კეისარი) 288
მიხეილ თევდორეს ძე (რუსეთის ხელმწიფე) 386—388
მოკტაფი იხ. ალ-მოკტაფი

მომზენი თევდორე 65
მოსე ხორენელი 26, 35, 38, 40, 41, 43
მოსე ხონელი 79, 80
მოჰამადი 332
მურვან ყრუ 270
მურთაზ-ალი ხანი (გილანის მმართველი) 419
მუსინ-პუშკინი 430, 432
მურჯიკნელი 490
მუჰამედი 249, 250
მუჰამედ ნერმახი 288
მხარგრძელი ერისთავთ-ერისთავი 240
მხარგრძელი („პატრონი ლორისა") 217
მხითარ გოში 288, 290, 294

ნადირშაჰი 404
ნანა დედოფალი 40
ნასრა 207
ნეოფიტე (ანტიოქიის პატრიარქი) 387
ნიზამი 82
ნიზამ-ულ-მულკი 218
ნიკიტა პაფლაგონიელი (მეტსახელად ნიკიტა ფილოსოფოსი) 46
ნიკიფორე ბერძენი (თეიმურაზ I-ის დესპანი რუსეთში) 391—393
ნიკიფორე (მიტროპოლიტი) 388—390
ნიკიფორე III ბოტანიატი 288
ნინო ქართველთა განმანათლებელი. ნუნე 23, 25—44, 136
ნოეე 112
ნუნე იხ. ნინო ქართველთა განმანათლებელი

ოზია 39
ომარ-ხანი 416
ორბელი (დემნას სიმამრი) 230
ორბელიანი პაპუნა 405, 406, 480, 491
ორიგენი (ბიზანტიელი მწერალი) 49—51
ორმუზდი (მეფე) 285, 286
ოქროპირ ხარაზი 259

პავლე მოციქული 51, 212
პავლე (რუსეთის იმპერატორი) 430—432
პავლოვ-სილვანსკი ნ. 12
პანინი ნ. 426
პანოვი ს. 484
პაპი (სომხეთა მეფე) 470
პასკევიჩი 488
პეროჟავრ სივნიელი 27, 28, 43
პერშკე ს. 484
პეტრე მაიომელი, პეტრე პატრიარქი 45—47
პეტრე მოციქული 48—51
პეტრე პატრიარქი იხ. პეტრე მაიომელი
პეტრე I 401—405
პეტრიაშვილი ვ. 72
პიმენ სალოსი (ქართველი საეკლესიო მოღვაწე) 466
პლატონოვი ს. 11
პლინიუსი 470
პოტიომკინი 417, 418
პროკოპი კესარიელი 270

ჟდანოვი 484
ჟორდანია თ. 26, 33, 42, 43, 49, 57, 62, 222, 238, 243, 248—250, 274, 283, 284, 293, 299, 494, 495
ჟურული 290

რაინეგსი, რეინეგსი 411, 414
რავდენი 73
რევაზი (Реваз-бей), რუსი ელჩი 395
რიფსიმე 35—38, 41, 43
როზენი ე. 11
როსტომ მეფე, როსტომ-ხანი 396—398
რუსუდანი (თამარ მეფის მამიდა) 231
რუსუდანი (თამარ მეფის ასული) 286, 289
რუკნ-ედ-დინი 251
რუფინი 25, 31, 34, 35 40, 44, 45

საადი 79
სააკოვი ე. 484
საბა (მტბევარი ეპისკოპოსი) 226
საბა-სულხან ორბელიანი 241, 270, 293—296, 399
საბინინი 25, 49, 124, 258
სალვიანე მარსელიელი 214
სალომე უჯარმელი 26, 28, 41
სამოელ ეპისკოპოსი 261
სამოელ კათალიკოზი 134, 309
სარგის მხარგრძელი (ამირსპასალარი) 237, 238
სარგისის ძენი 268
